

63.3 (2Г)
ს 263

„გიორგი ათონელი“ პირველი რომანია ჰეპტალოგიისა, რომლის საერთო სახელწოდებაა „შვიდი გიორგი“. ისტორიული რომანების ამ სერიაში, გიორგი ათონელის გარდა, ნაგულისხმევია: გიორგი პყონდიდელი, გიორგი მესამე, გიორგი ლაშა, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი საააძე და გიორგი მეთერთმეტე.

წინამდებარე წიგნი მოგვითხრობს დიდი ქართველი სწავლულისა და განმანათლებლის, გიორგი მთაწმინდელ-ათონელის ცხოვრებას და მოღვაწეობას. მთავარ გმირთან ერთად ნაჩვენებია მისი დროის (XI ს.) საქართველოს ისტორიული პანორამა — შინაფეოდალური აშლილობანი და საერთაშორისო ურთიერთობანი, სოციალურ-საზოგადოებრივი მეტამორფოზები და სულიერ-ზნეობრივი კონტრასტები.

4702170201--181
С-- --------Зрд № 96--1987
М 601 (08)—87

წინაბჭე

ქვე-ყანასა ზედა

კვლავ ჰამდნენ ერთმანეთს:
ადამიანი და მიწა,
მიწა და ადამიანი,
დედა-მიწა და შვილი-მიწა.

ჯერ შვილი ჰამდა დედას — გახელებით, განიადაგებით, ყოველ დღე, იჯრებით, თითქოს იმისთვის დაბადებულიყო, მიწა ეჭამა. ჰამდა გარდასახულ მიწას და არც ეგონა, არც ეფიქრებოდა, თუ ჰამა მისი იყო ჰამა მიწისა. არც ეგონა და არც ის იცოდა, რომ მიწის მჭამელი მიწისმჭამლობით თვით იყო მიწა.

ხოლო მიწამ ყველაფერი იცოდა. და ეცინებოდა. ეცინებოდა, რადგან ელიტინებოდა, როგორ კორტნიდა, კერძავდა და თერძავდა მის ტანს შვილი მისი, დედის-მჭამელი.

და იცდიდა მიწა, იცდიდა, ეცინებოდა და, ოდეს ყოველივე ეს მოსწყინდებოდა და მოყირჭდებოდა, თვითონ შეჰამდა თავისსავე შვილს, ანუ თავისსავ სხეულს.

თუმცაღა ყველა როდი იბადებოდა მხოლოდ მიწის მკერძველად და მიწის კერძად. არამედ, ამინ გეტყვი შენ — იბადებოდა ვინმე, „ვითარცა მილიონ ერთ", რომელსა შიგან ზესთასოფლური, ანუ ღვთაებრივი უფრო სრულად დაივანებდა, ვიდრე „თ ე თ ო ნ", ანუ საკუთარი მიწიერი „მ ე".

ზე-ყანასა ზედა

ზეცაზე, ირმის ნახტომის შუაგულზე, ანუ საქართველოს ბედის ვარსკვლავთა საფიხვნოზე, ყველა ვარსკვლავი შეკრებილიყო, უხუცესიდან უმრწემესამდე.

უხუცესი — ვარსკვლავი ქართლოსისა.

უმრწემესი — ვარსკვლავი თვალშვენიერ არსუკისძისა.

ხოლო მათ შორისად ბედის ვარსკვლავნი: ფარნავაზისა, ფარსმან ქველისა, ნინო განმანათლებლისა, მირიანისა, პეტრე იბერისა, ვახტანგ გორგასალისა, გუბაზ მეფისა, ძმათა — დავით და კონსტანტინესი, არჩილ მოწამისა, კონსტანტი კახისა, გრიგოლ ხანძთელისა, გობრონ წამებულისა, დავით კურაპალატისა, ეფთვიმე ათონელისა.

და ისხდნენ სავარსკვლავო საფიხვნოზე, ზეცის უღელტეხილზე, ქართულ სულთა ბედის ვარსკვლავნი, სხივდაღლილნი და თვალმოწუენილნი.

თითქოს ერთმანეთი მობეზრებოდათ, თუმცა უერთმანეთობა არ შეეძლოთ.

უერთმანეთობა არ შეეძლოთ-მეთქი, რადგან გარშემო უთვალავი, დაუსაბამო და დაუსაზღვრავი, უცხო თესლის სავარსკვლავო საკრებულონი ზიმზიმებდნენ.

და იყო მოწუენილი ქართუელთა ბედის საფიხვნო...

და უცებ, სრულიად ახალი, ცინცხალი, მანამდე უცნობი და უხილავი ვარსკვლავი შემოიჭრა, გასაოცრად ჭვირვალი სხივცემით.

შურით და სიყვარულით შეაცქერდნენ ახალმოვლენილს ძველი ვარსკვლავნი.

ერთდროულად შურით და სიყვარულით-მეთქი, რადგან იმ სავარსკვლავო საფიხვნოელთა სული აკი ქართული იყო!...

(ქართული სული — დაუდგრომელი უფლისწული შურისა და სიყვარულისა)...


— ვინ ხარ შენ? — ჰკითხა ახალმოსულს საფიხვნოს მახვეშმა, ქართლოსის ვარსკვლავმა.

— მე ვარ ბედის ვარსკვლავი იმა ყრმისა, რომელიც დღეს დაიბადა და რომელშიც ღმერთი უმეტეს წილ დაივანებს, ვიდრე „თ ვ ი თ ო ნ“, ანუ მისი საკუთარი მიწიერი „მ ე“.

— და იგი დაიბადა საქაროველოში?

— ამინ, საქართველოში!..

სავედრებელი პირველი



ვედრება პირველი

ხოლო, იგი დაიბადა იმ წელს, რა წელსაც ჰაბუკ ხუროთმოძღვარს, სახელად თვალშვენიერს, გვარად არსუკისძეს, ქუთათისში ბაგრატ მეფისგან ნაბრძანები ტაძარი დაესრულებინა და მაშინვე სვეტიცხოვლის აღმშენებლობას შესდგომოდა.

ყრმა დაიბადა ოდეს მოწეულ იყო არე გაზაფხულისა და ბუნებაც იღვიძებდა შიშველ ბარძაყთა ზმორვით და თრთოლვით.

თრიალეთის მინდვრებზეც ყვავილობდა ძუძუნი გაზაფხულისა.

და ახალშობილ ყრმას სახელად დაარქვეს გიორგი.

სოფელი, სადაც იშვა — ტონთიო.

მამა, რომელმან შექმნა — იაკობ.

დედა, რომელმან იტვირთა და შვა — მარიამ.

ვედრება მეორე

იაკობ თაქთირისძე, ნათესავით ქართველი, დაბადებით სამცხელი — ღვაწლად ჭაბუკობითვე ქუთათისს იდგა, საქართველოს სატახტოს, მეფე ბაგრატ მესამის კარზე.

ერთხელ მეფეს ერთგული კარისკაცი სპარსეთს წარეგზავნა, რაღაც იდუმალი დანაბარებით. სამხრეთით მიმავალი იაკობი თრიალეთს, სოფელ ტონთიოში, ერთ ოჯახში ჩამომხდარა ღამისსათევად.

ოჯახი იგი აღმოჩნდა აღსავსე სათნოებითა, მაღალღირსეული ცოლ-ქმრითა და მათი მხოლოდშობილი ასულითა.

და სწორედ ასული იგი ყოფილა სახელად მარიამ, თვალითა შვენიერ, სახითა სახიერ, ხედვითა მწყაზარ და ქცევითა დაწყნარებულ.

და შეუვარდა სულსა იაკობს სული და სახიერება მარიამისა და შეიყვარა გარდარეულად.

და უთხრა იაკობმა დედას და მამას მარიამისას: შემინახეთ შვილი თქვენი კეთილად და, უკეთუ მოვბრუნდე მე მშვიდობით, მწადნელ ვარ ვიქორწინო მასზე ქორწინებითა წმიდითა და დავემკვიდრო საცხოვრისად თქვენდა, ჩემი წილხვედრი წუთისოფლის აღსასრულამდე.

და ასეც ინება საწუთისოფლო ბედისწერამ: იაკობი სპარსეთიდან მშვიდობით დაბრუნდა, მეფესაც მისგან ნაბრძანები ყოველივე სრულქმნილად აღუსრულა, მეფისგან უხვად ნაწყალობევი თრიალეთს ჩავიდა, მარიამზე ჯვარი დაიწერა და იქვე დაემკვიდრა, საცხოვრისად ქველად, წრფელად და ნებიერად.

სიყვარულის წლისთავზე პირმშო შეეძინათ, ასული, რომელსაც უწოდეს თეკლა, სახელი ქალთაგან პირველმოწამისა. შვიდი წლის თეკლა სამცხეს წაიყვანეს, სადედო მონასტერში, და აღსაზრდელად მიაბარეს საბაიას, ტაძრისის დედათა მოძღვარს.

მეორე შვილი მარიამსა და იაკობს ეყოლათ ვაჟი, სახელად თევდორე.

მესამეზე ცოლ-ქმარმა აღთქმა დასდო: უკეთუ ისევ გვეყოლოს ძე, შევწიროთ იგი ღმერთს, რადგან სწორედ ვერძი არს რჩეული საწირველი ღვთაებისა.

და მესამედ მიუდგა იაკობ.

და მესამედ იღო მუცლად მარიამმა.

და იმ ღამით ძილში უცხო ჰაბუკი გამოეცხადა მუცლადღებულ ქალს, ჰაბუკი სახეზე მზეგადაფენილი, და განუცხადა ზენაარი ხმით: „აჰა, ესერა, ჰშობე ყრმაი წული, ვერძი რჩეული ღმრთისაი, შეწირე იგი მისსა, რომლისადა აღგითქვამს, და სახელი უწოდე გიორგი!"

გაიღვიძა ქალმა, შიშითა და სიხარულით გაოგნებულმა, აცნობა ქმარს უცნაური ძილისშორისი და ორივემ ერთად, ლოცვით, ვედრებით, ღაღადისით, ისევ მრავალგზის აღთქვეს აღთქმა იგი — შეწირვა ძისა ღმრთისა მიმართ.

ვედრება მესამე

ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ.

ვითარცა ითქვა, დაიბადა იგი — გიორგი.

იშვა არესა გაზაფხულისასა, ოდეს ბუნებას განეძარცვა პერანგი ნაზამთრალი, სიკვდილის ნასუნთქარი.

და ვითარცა ითქვა, დაიბადა სწორედ იმ წელს, ოდეს ხეკორძელმა არსუკისძემ დაასრულა ჭუთათისის ტაძარი და შეუდგა სვეტიცხოველის განახლებით აღმშენებლობას.

შუბლზე ახალშობილს ჯვარსახოვანი ნაკეცი დაჰყვა.

და მარჯვნივ, საფეთქელზე, ძარღვი კათოლიკე, ცისფრად კლაკნილი, რომელიც თითქოს სამ ასონიშნად წაიკითხვოდა — „კაბ".

პირველ დარწევისთანავე უცნაურმა სურნელმა ძოიკვა აკვანი მისი.

— ესე არს სურნელება სიბრძნისაი, — თქვა ბუჯარამ, განთქმულმა თრიალეთელმა ულუკმა, მერამლემ და ღაზარინელმა.

— სწორედ, სურნელება სიბრძნისაი, — გაიმეორა განცვიფრებით და, ბოლოს დასძინა დაბეჯითებით:

— მზისწნული მისი — მზისწნული სიბრძნისა და სათნოებისა.

ხოლო ცა იმ დღეს, ახალშობილის სახლის დასწვრივ, ფუტკრის მანანას აფრქვევდა მიწას.

ვედრება მეოთხე

იმ წელს კიდევ ერთი ყრმა დაიბადა დიდი აბულახტარების ოჯახში.

დაიბადა ყრმა იგი ჭაობისფერი პერანგით.

დაიბადა და საშოითგან მუჭით მწვანე ლორწო გამოიტანა.

და კიდევ — დაბადების ჟამს მხოლოდ ამქმელმა დედაბერმა მოჰკრა თვალი, როგორ გაშხორკალდა ღრიანკალი მშობიარეს სარეცლის გასწვრივ, გაშხორკალდა და კედლის დანახეთქში გაუჩინარდა.

— მშობიარემ შობა იგი, თუ თავისით იშვა? — გაუელვა გაშეთებულ ამქმელ ქალს და მწვანე ბალყთაგან ახალნაშობის განბანვა განაგრძო.

სახელად დაარქვეს — ქირქიშ.

— მუჭით რომ დედის საშოითგან მწვანე ლორწო გამოიტანა, ესე არს ნიშატი ავსისხლიანობისა და ცოდვიანობისა, — უბრად ჩაითქვა გულში ქირქიშ აბულახტარის საწუთისოფლო ბედისმწაფელმა.

ხოლო, ცა იმ დღეს, ახალშობილის სახლის დასწვრივ, მეხის წიწილებს უშენდა მიწას.

ვედრება მეხუთე

ისევ გიორგის აკვანს მივუქციოთ გონება ჩვენი.

მზე იმ დღესაც ისე შევიდა სარკმლიდან, შევიდა და ყრმას აკვანში შეუწვა.

გაიღვიძა მზით ნაამბორევმა.

გაიღვიძა, გაიბრძოლა და არტახნი განიყარნა.

და პირველი, რასაც ხელით შეეხო, იყო აბოს კბილი, ავი თვალის უკუსაგდებად და უკუსაწბილებლად დედის ხელით აკვანზე დაკიდული.

და დაქვეითდა.

პირველად დაქვეითდა და დაემყარა მიწამყარს.

და გადადგა პირველი ნაბიჯი.

გადადგა მეორე...

და გაიარა.

და პირველი გავლა იყო გავლა მზის სხივის გასწვრივ.

კიდევ ორი წელიწადი უცნობელად მიელტვოდა მზის სხივისკენ და ცეცხლის ალისკენ, მიელტვოდა სინათლის ძალთა ოდენ მგრძნობელი და კვლავ ვერმცნობელი.

ვედრება მეექვსე

მერე დაიბადა პირველი სიტყვა, რომლისგან გონებად იქმნა გონება მისი.

და სიტყვა ესე, ნარუქად ზობილი, იყო — ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო.

— მამა, რაი არს საქართველო?

— საქართველო სამშობლოა ჩვენი.

— დედა, შენ მითხარ!

— საქართველო ღმერთია.

— ღმერთი?!

— ჰო.

— თვითონ ღმერთი?

— ღმერთი... ღმერთი ყველაფერია.

— ?!

— მერე შეიტყობ...

— მამა, დიდია საქართველო?

— დიდი, ძალიან დიდი.

— დედა, შენ მითხარ!

— პატარაა, აი ასე მცირე და პატარა! — და თავსაფრის ყური გამოუწოდა დედამ შვილს.

დედის თავსაფრის ყურივით მცირე ყოფილა საქართველო. — გაიფიქრა მწარე ფიქრით ყრმამ და ისევ მამას მიუბრუნდა.

— შენ კი რად მითხარ, საქართველო დიდი არისო?

— მე სხვა სიდიდე გითხარი, შვილო.

— რაის სიდიდე?

— საქართველოს სულის სიდიდე.

— სული? რაი არს იგი?

— მერე, შვილო, მერე შეიტყობ...

— ...სა-ქარ-თ-ვე-ლო!

სამუდამოდ ჩაუდგა, ჩაეკირა და ჩაესხეულა ჩვილის გო-

ნებას, ვითარცა საძირკველი სრულიად შემდგომი საწუთისოფლო არსებისა და არსებობისა:

პირველი ხსოვნა — ყოველი სამომავლო ხსოვნისა;

პირველი სიტყვა — ყოველი სამომავლო სიტყვიერებისა;

პირველი აზრი — ყოველი სამომავლო აზროვნებისა;

პირველი ფიქრი — ყოველი სამომავლო ფიქრთმეტყველებისა.

ვედრება მეშვიდე

შემდგომად იყო ხმა ძელის კვრისა სოფლის სამრეკლოითგან, ქამსა მიმწუხრისასა.

— ძელი მწუხრისა! — სთქვა მაშინ მამამ და უმალვე ისახა ჯვარი.

მერე თავისი თვალით იხილა გიორგიმ ძელი იგი, ურთხლის ხისა, რვალივით ულპოლველი და სააღდგომო ზენიშანივით სისხლისფერი.

და სამუდამოდ სახსოვრად იძრა ყრმის სულში ეს შეგონება:

ძელის ცემა მარადიული სიცოცხლე და სიფხიზლეა კაცთა მოდგმისა.

ვედრება მერვე

იმ დღეს კიდევ ეს საკვირველი სახილველი იხილა ყრმა გიორგიმ: ეზოში ქათამი კვერცხს ჰამდა, საკუთარ კვერცხს. ყვითელი თვალების ბრიალით, ყვითელი ნისკარტით, კვერცხიდან ნაქცევ ყვითელ ლორწოს სვლეპდა ქათამი.

მისსავე ნაშობს სჭამდა მისივე მშობელი!

საკუთარი სხეულის ჭამა?!

ქმნადობის უკუქმნადობა?!

და ამიერიდან გიორგიმ სამუდამოდ აიკრძალა ჭამა ყოველივე ხორცადნაშობისა.

ვედრება მეცხრე

და კიდევ ახალი რყევა სულისა, ოდეს ყრმა იგი პირველად შესულიყო ნასხლავ ვენახში.

ვენახი ტიროდა.

მიეახლა ვაზსა მტირალსა, თითით ცრემლი მოჰხოცა და დაიდო ენას.

და იგრძნო მანამდე განუცადებელი რაღაც უსაზღვროდ სამო გემო, რომელმაც შეურყია სრულიად სხეული, ყოველი ძარღვი, ყოველი სახსარი.

„და, რაი არს გემოი ესე, რომელთან შეტოლებით ყოველივე სხვაი გემოი არს ოდენ გელმატო?“

და მივიდა კიდევ სხვა ვაზთან და მოსწოვა რქაი მტირალი.

კიდევ სხვას.

კიდევ.

„გემოი ესე არს არარას მსგავსი, მხოლოდშობილი, გემოი ვაზისა“. და ამიერიდან გიორგიმ შეიყვარა გაზაფხული, არე ვაზის მტირალობისა.

ვედრება მეათე

ერთხელ ღამით ყრმას გარედან სიმღერა მოესმა, სიმღერა ობოლ ბიჭისა:

სიკვდილმა ჩამოიარა,
ობოლი დახედა წინაო, —
სიკვდილო, მე წამიყვანე,
ობლობა მომეწყინაო.

და მაშინ პირველი ცრემლი ჩაექცა სულში...

ვედრება მეთერთმეტე

შვიდი წლის გიორგი ტაძრისის სავანეს წაიყვანეს, მის უფროს დასთან, თეკლასთან, რომელსაც უკვე დიდი სახელი დაეგდო წმიდა ცხოვრებით, სწავლით და ღვაწებით.

— უბადლო და უსწორო არს უბიწოება სხეულისა და სულისა თეკლასი, — იტყოდა საბაია, მოძღვარი ტაძრისის დედათა სავანისა.

იტყოდა და გველივით უძვრელ თვალებს მიაცივებდა შავად მოსილი ყმაწვილი ქალის ქარვისფერ სახეს.

ვედრება მეთორმეტე

ტაძრისში მოსულ ყრმა ვიორგის თეთრი კვართი მოჰყვა, დედის ხელით მოქსოვილი და გულზე ჯვარამოქარგული.

ჯვარი ესე თვითონ შვილის შუბლიდან გადმოესახა დედას — მარიამს.

კვართი ესე, უკერველი, მუკშიგან მოიმწყვდეოდა, ხოლო ყრმის ტანზე ჩაცმული, ყრმასთან ერთად იზრდებოდა.

და ვიდოდა წლები თვინიერ ნებისად ადამიანისა.

და იზრდებოდა ყრმა.

და იზრდებოდა კვართი უკერველი.

და აოცებდა ტაძრისელ მოწესეებს ეს უცნაური, ჯვარ-შუბლიანი „ვერძი ღმრთისაი“, რომელიც საკვირველი სისწრაფით და სისრულით სწავლობდა საღვთო წერილთა, წიგნთა და წიგნთა ნაწევართა.

და იუფლებდა უფლისადმი სიყვარულს გიორგი, — იუფლებდა ყოვლითა გულითა თვისითა, ყოვლითა სულითა თვისითა, ყოვლითა გონებითა თვისითა.

— მკვირცხლ და მძლეთამძლე არს გონება მისი, ვითარცა იყო გონება მოსესი სიჩჩოით-სიყრმითგანვე, — ამბობდნენ ტაძრისელი მონაზონნი.

ვედრება მეცამეტე

— კმა არს, კმა-მეთქი, რადგან ცივ არს სისხლი თქვენი, ცივ არს სხეული თქვენი და ცივ არს სძე, რომელმან განგაძღო თქვენ, — სთქვა საბაიამ ცივი ხმით.

გველებმა რძიანი ტაშტაბრაიგიდან თავები აიღეს და შიშველი, იისფერი ხმლებივით შეიმართნენ.

მივიდა საბაია და, ჯერ ერთს, მერე მეორეს — ყელიდან შუა მუცლამდე ჩაუტარა თითოჯერ შაჟი ფრჩხილებით წაგრძელებული თითები.

გველები წამსვე მიწას განერთხნენ და გასრიალდნენ.

ვედრება მეთოთხმეტე

— თეკლააა! — ყოველდღე, მზის აღმოხდენისას იძახდა ბიჭი მდინარის გაღმიდან.

იგი მწყემსი იყო, ცხვარ-ძროხას აძოვებდა და სალამურსაც ტკრაცუნებდა ჟამ-ჟამ.

მერე უაყაჩოებით აალებულ მინდორში ამართულ ხეზე აცოცდებოდა, ძირა მსხვილ ტოტს ცხენოსნური გადალაჯვით გადააჯდებოდა, ზედ ხელს უტყაპუნებდა და ძალუმი ხმით დაჰყიოდა:

ლოპე, ლოპე, ლოპეშია,
გველი გაძერა ღობეშია,
ტაძრისის და მტკვარის წყალი
ყველა ერთად ამაშია,
თეკლა გოგო ტაძარშია,
მისი გული ღადარშია,
საბაია ნაცარშია,
გველი უწევს ალთაშია,
ძუძუ უდევს ხახაშია.

— თეკლააა!!! — კიდევ გლეხის სადილობის ჟამს დაიძახებდა მწყემსი ბიჭი. კიდევ მესამედ, მზის ჩასვენებისას დაარისხებდა.

— ვინ არის იგი სატანის მართვე? — ეკითხება საბაია თეკლას.

— აბა, მე რა ვიცი, დედაო სახიერო?

— არც სახელი იცი?

— არა, დედაო. ჩიტი ხომ არ მომიტანდა მე იმის სახელს?

— მაშ, შენი სახელი საიდანღა იცის იმ ბოროტმა ეშმაკეულმა?

— არც ეგ ვიცი, სახიერო.

— მაშ, არც შენი სახელი წაუღია ჩიტს იმ სატანისთვის! — შხამიანმა ღიმილმა დაუსერა სახე საბაიას.

— რაის გულისად მეუბნები აგრე სასტიკად, დედაო საყვარელო? კვლავ გეტყვი — არცა ჩიტისა ვიცი და არცა ადამიანის შვილისა. ღმერთია მხედვარ, ღმერთი — ჩვენი გულისა და თირკმელთა გამომძიებელი! — შეკღალადა თეკლამ.

— საბაია საშოდახშულოო! — დაარისხა ბიჭმა მოულოდნელად, მიმწუხრისას, ისევ ყაყაჩოს მინდვრიდან.

მიწა რომ გახეთქოდა და შიგ ჩანთქმულიყო, ის ერჩია თეკლას, ამის გამგონეს.

ასეთი საშინელი ფერი, საბაიას რომ ადგა სახეზე, თავის

დღეში არ ეხილა ჭალს. რა ფერი იყო ეს — მიწისა თუ ნაცრისა, ყორნისა თუ მგლისა, ნადგომარი ჭაობისა თუ ნაშემოდგომარი ფოთლისა — კაცი ვერ დაარქმევდა სახელს.

ღმუილი თუ ყმუილი აღმოხდა საბაიას. ალბათ, ცოფით ხელდარეულ ავაზას თუ ექნებოდა ესეეითარი ხმა.

— შეხედე, შეხედე, რაი მჭირს შენგან, კიდობანო საცთურისაო! — ამოიხრიალა და ფრჩხილები აილეს-დაილესა საბაიამ.

— მე რაი მიძლავს, დედაო სახიერო, რადგან ვარ უსუსტეს ქსელისა ფსუენისა.

ეს უსაზმნოდ აღმოხდა თეკლას მკრთალი ხმით, რადგან საბაიას აღარც გაუგონია, ისე საოცარი სისწრაფით განშორებოდა იგი იქაურობას და გაუჩინარებულიყო, ფრჩხილების კაპუნით.

ვედრება მეთხუთმეტე

ეკვდერში, სადაც ყრმა გიორგი ცხოვრობდა, ესვენა ჯვარი, მკლავებდახრილი და ქალის თმებით შეკვერთხილი.

გიორგი იმა ჯვრის წინაშე განასრულებდა ყოველივე საღვთო სალოცველს.

განასრულებდა, იმ ჯვარს ამბორსჰყოფდა და გასაოცარ, ზენასოფლურ სურნელსა და სითბოს შეიგრძნობდა და შეისხეულებდა.

ვედრება მეთექვსმეტე

დღე განიდევნა.

ტაძრისის მორჩილმა მოწესემ მიმწუხრის ძელი შემოჰკრა მძიმედ.

„ძელი მწუხრისა, ძელი მწუხრისა“, — გახმიანდა გიორგის სულში.

შავი მღამიობი გადაეფარა დედამიწას სრული ირგვლივით.

ზეცამ წითელბატონები გამოიფინა.

გულალმა იწვა ძველ ნასაყდრალზე, საიდანაც ყრმას შეჰყვარებოდა თვალთვალი ცის ტანისა...

...რაი არს ესე ყოველივე ესევითარი, რაიც სუფევს თვითოფერითა უთვალავითა ჩემი თვალისა და გონების მისაწვე-

ვარზე? — ეს მერამდენედ ეკითხებოდა ყრმა იგი თავის თავს შინაჩაკითხვით, შინაჩაძიებით და შინაჩაციებით.

რაი ვარ მე?

ანუ ვინ ვარ?

რაისთვის ვარ?

ანუ რაი არს „ვარ“?

„ყოფნა“, გინა „ყოფიერება“?

„არყოფნა“, გინა „არაყოფიერება“?

რაი არს თვითონ „არს“?

არსი? არარსი?

რაი არს ესე — მე რომ ვსიტყვაობ, მე რომ ვფიქრობ, მე რომ ვიაზრებ, მე რომ მელმის, მე რომ მეამება, მე რომ ვწუხვარ, მე რომ ვჰხარობ, მე რომ... და კიდევ რამდენი „მე რომ“...

რაი არს იგი, ჩემ-გარეგან, ჩემ-მიღმიერ არსი ყოველი და არარსი ყოველი, ჩემი „მესაგან“ მიღმიერი აღუთვალავი „მე“, აღუთვალავი „იგი“, აღუთვალავი „სხვა“, აღუთვალავი... აღუთვალავი რამდენი „სხვა“!

აჰა, მე!

აჰა, ქვეყანა და ზეყანა, ქვენასოფელი და ზენასოფელი, ქვენაარი და ზენაარი.

ანუ — ქვეყანა ესე დაუსაბამო და დაუსრულებელ, ხოლო მე მასში...

მე მისი ნაწილი?

ნაწილაკი...

ნა-წი-ლა-კი...

ხოლო, შემოქმედი ყოველივესი — ყოველთა დიდთა და მცირე სხეულთა, დიდთა და მცირე სულთა, დიდთა და მცირე ქვეყანათა, ზენასოფელთა და ქვენასოფელთა — ღმერთი, უფალი, საბაოთ, ყოველივეს მაარსებელი და მაცოცხლებელი!

ხოლო, მე... ისევ მე...

მაგრამ სწორედ „ვარ“? იქნებ ეს ჩემი „ვარ“ არც არის ყოფნა. იქნება იგი სინამდვილეში არყოფნაა, მე რომ აქამდე ყოფნა მგონია? ანუ — ვინ მითხრას და დამარწმუნოს დაბეჯითებით — რაი არს „ყოფნა-ყოფიერება“ და „არყოფნა-არაყოფიერება“?

მე რომ ვეხები, მე რომ ვხედავ, მე რომ ვიაზრებ — საკმარისია ყოფნა-არყოფნის ურთიერთობის თვითდასარწმუნებად?

ოო, შემოქმედო, მე რაისთვისღა განმასხეულე, რაისთვისღა ჩამიდგი სული, რაის საწუთისოფლოდ მომიწოდე იმ უხსოვარი არყოფნიდან ამ უცნობელ ყოფიერებაში? ან — იმ უხსოვარი ყოფიერებიდან ამ უცნობელ არყოფნაში?

აჰა, უფალო, გონება ჩემი კნინი, რომელმან ვერა ძალიდვას შემეცნება ყოველივესი, რაიც სუფევს ჩემში და ჩემსმიღმიერში.

უფალო, უფალო, მისაჯე მე და საჯე სჯა ჩემი და მეოხმეყავ, რათა შევიმეცნო ყოველივე, რაიც არს შესამეცნებელ, უკეთუ მიწიერსა ადამის ძესა შენის ნებით უფლება აქვს შეიმეცნოს სკნელი ყოველი — წინა-სკნელიც და გარე-სკნელიც, ზე-სკნელიც და ქვე-სკნელიც, წინა-სკნელიცა და უკანა-სკნელიც.

მისაჯე მე და საჯე სჯა ჩემი, უფალო!

იწვა და ფიქრობდა, ფიქრსა და ღამეში ჩაძირული, იდუმალი წყვდიადით მოცული, წითელბატონა ზეცის ქვეშ მწოლარე. და ფიქრი მისი იყო მხურვალე, მშფოთვარე, ბორგნეული და ცხოველმოსილი.

ოფლისა და ციური ზრიმლის ნაზავ ღველფს დაეფარა სახე ყრმისა ფიქროსანისა.

სიჩუმე იწვა მის გარშემო, სიღამეში განზავებული. ოღონდ ტაძრისისწყალის კრძალული ლაკლაკი და შორეული ღამისხმობარის ხამუშ-ხამუში შეკივლება ჰკვეთავდა სიმყუდროვეს.

— ხვალ სიკვდილი შესრიალდება ყაყაჩოს მინდორზე, — მოესმა ჩუმი ხმით.

გიორგიმ მოიხედა.

ორ ნაბიჯზე თეკლა იდგა.

— შენ როდის მოხველ?

— მცირე ხანია. შენ ვერ შეიტყვე ფიქრს ჩაყოლილმა.

— რად არა გძინავს?

— ძილი მეც ფიქრმა შემიჭამა.

— მაინც რა ფიქრმა შეგჭამა, დაო?

— სიკვდილზე ფიქრმა, ძმაო.

— სიკვდილს რას ჩააცივდი!

— ვიცი, სიკვდილი გაისრიალებს.

— მერე, უკეთუ წინასწრობილად ვიცით, წინასწრობილადვე აღვკვეთოთ იგი.

— ბედისწერას როგორ აღუკვეთ, როცა ბედისწერისა კაცმა არარა იცის?

— დიახაც არარა ვიცით და ამიტომ არც ის ვიცით სიკვდილი როდის გაისრიალებს, — გამოაჯავრა ეს ბოლო სიტყვა ძმამ დას.

— აგრემც ყოფილიყოს. ოღონდ მე ჩემმა სხეულმა მითხრა.

— არ ეგების, სული სხეულის ნახმევად იქცეს.

— აგრეა, მაგრამ ვგონებ მაინც ყველაფერი ისე არ ვიცით, როგორც გვგონია რომ ვიცით.

მართალი სთქვაო, გაივლო გიორგიმ და მერე ხმამაღლა უთხრა: — წადი, თეკლა, წადი და დაიძინე!

— მე თვითონ მინდა დავიძინო და ის ფიქრი დავივიწყო.

ძმას აღარაფერი უთქვამს.

აღარც დას უთქვამს რაიმე, ისე წავიდა მორჩილად.

კიდევ დიდხანს იწვა და ფიქრობდა გიორგი.

გარშემო ისევ იდგა სიჩუმე და ისმოდა ხმაური სიჩუმისა.

ანუ, იქნებ ეს იყო ხმაური მისი ზრდისა?

— ცაო, ცაო, წითელბატონა, მაუწყე მე, რაი არს წიაღში შენისა და რაი არს მიღმა წიაღისა შენისა და მიწილადე ცოდნა იმა მიღმიერისა!..

ფიქრის თოვაში ჩაეძინა.

ღამეს ესმოდა ხმა მისი ზრდისა.

მთელი ღამე აღარავის მოუკითხავს.

არც არასოდეს არავინ კითხულობდა, რადგან იგი იყო ტარიგი ღმრთისა, ხოლო ღმერთმა თვითონ უწყოდა, როდის უნდა მოეკითხა ტარიგი თვისი.

ვედრება მეჩვიდმეტე

ღამე გათხელდა და გაიწურა.

დღე შემოვიდა.

გიორგი ტაძრისისწყალზე ეშვებოდა. თუმცაღა ისიც ახსოვდა, საბაია რომ აფრთხილებდა გამუდმებით — მდინარეზე არ ჩახვიდე მარტოდმარტო, არ ჩახვიდე, რადგან მდინარეს ეფარვის მაცდური ყოველი, მავნე ეშმა და ეშმაკეული.

მდინარეში ლამაზად მოვა და ბოროტად წაგიყვანს ბოროტი სულიო.

მაგრამ მაინც მიდიოდა გიორგი მდინარეზე, მიდიოდა, ვინათგან სული თვისი ეშმაკისგან შეუღწევლად ეგულვებოდა და ეიმედებოდა.

მდინარეს მიადგა და შევიდა შიგ ორი ნაბიჯით, კოჭებამდე.

მზე რეცა ამას უცდიდა და ერთბაშად თბილი, შუქმფინარე კრეტსაბმელი ჩამოაფინა ნალამევი წყლის სარკეზე.

ყრმა დიდხანს გარინდებით დასცქეროდა ნაირფერი შუქებით მორიალე წყლის მდინარებას.

აი, მდინარე, განუწყვეტლივ მარადიულად არსებულიც და არარსებულიც, ძველიც და ახალიც, მომდინარეც და წარმდინარეც, და არავინ უწყის სად არის საზღვრისი ძველისა და ახლისა, გარდასულისა და ახლადშობილისა, ნარუქისა და დაოომოუმულისა, წარმდინარისა და მომდინარისა...

— გიორგი! — გაისმა ანაზდად მდინარის მეორე მხრიდან.

გიორგიმ გაიხედა.

გალმა ბიჭი იდგა. იცინოდა. კბილებს აალმასებდა.

— მეც ბიჭი ვარ შენსავით. გამოდი და მეზაფხულე! — გამოსძახა ისევე, საკვირველად კამკამა ხმით.

გიორგი უცქერდა, უხმოდ..

— გამოდი, რისა გეშინია? — დაუძახა ისევ იმ ბიჭმა.

— მე არ მეშინია, — გაეპასუხა გიორგი ნაწყენი სიმშვიდით.

— მაშ, გამოდი!

— რაისთვის?

— ისე, — ბიჭები ვართ და ეროად ვიყოთ, ერთად ვიზაფხულოთ.

— ვიზაფხულოთ?

— ჰო, ყაყაჩოს მინდორზე გავიდეთ ერთად, ვირბინოთ, ვითამაშოთ, ვიმღეროთ, ვიშაიროთ.

ყაყაჩოს მინდორში სიკვდილი გაისრიალებსო, — გაუელვა გიორგის თეკლას ნაწუხანდლევმა ნათქვამმა.

— ვერა, ვერ წამოვალ, — გასძახა მცირე ფიქრის შემდეგ.

— მშიშარა ყოფილხარ, — გულდაწყვეტით გამოსძახა გალმელმა ბიჭმა.

მშიშარაო? ძალიან, ძალიან ეწყინა გიორგის. მე მხოლოდ სიკვდილზე ვიფიქრე, თორემ შიში გულსაც არ გამკარებიაო, და მაშინვე გასძახა:

— კარგი, მე მოვდივარ!

მაგრამ ფეხის მონაცვლებაც ვერ მოასწრო, ისე დაეძგერა ზურგიდან დაძახილი:

— არ გაბედო!

ისარცემულივით შემობრუნდა გიორგი.

ფერდობი ჩამოეთავებინა საბაიას.

ზემოთ, მოშორებით თეკლა იდგა.

უფრო ზემოთ, ტაძართან ახლოს, მონაზონი ქალები იდგნენ, ყორნისფრად ჩაკორომკებულნი და ერთნაირად თვალებად გადაქცეულნი.

— იცი-ა, ვინა არს ყრმაი იგი, ვისკენაც მიელტვი შენ? — მკაცრად ჰკითხა საბაიამ.

— ვიცი, მოყვასია უბრალო, ჩემსავით მოყვასი, — უპასუხა გიორგიმ.

— მოყვასიო? აბა, შეხედე! — და ხელი გაიშვირა გალმისკენ მონაზონთა მოძღვარმა.

გიორგიმ გაიხედა და, ის ბიჭი იქ აღარ იდგა, აღარც არსად ჩანდა.

— აჰა, ესერა, სახელი მისი არს ეშმა, გინა სატანა! — ნიშნგებით შესძახა საბაიამ.

გაქვავებული იდგა გიორგი.

ნუთუ მართლა ეშმაკეული რამე იყო, საზეზე რომ ისეთი საკვირველი ნათელი ადგა იმ ბიჭსო, — გაიფიქრა, მაგრამ თითქოს ნაფიქრალი შეუტყო საბაიამ და ჩაუჭრა ფიქრი:

— ამინ გეტყვი შენ — იგი სატანა იყო, გარდასახული კეთილსახიერ ყრმად; ხოლო, ჰეშმარიტი მოყვასი შენი და მხსნელი შენი იყო სპეტაკმოსილი ანგელოსი, მაცხოვრისგან წარმოგზავნილი.

— ანგელოსი? მე არ მიხილავს იგი! — გაოცდა გიორგი.

— ვაშა შენს სულსა! სატანა იხილე, ხოლო ანგელოსი ვერა იხილე! — ისევ ნიშნი ჩაუგდო საბაიამ და ფრჩხილები ფრჩხილებს ჩამოჰკრა მწყრალად. მაშინვე მკლავში ხელი ჩაავლო, წავიდეთო, გაატრიალა და ფერდობს შეუყენა. ის იყო ტაძარს მიუახლოვდნენ, რომ გაღმიდან ხმა გამოეარდა მოულოდნელად:

— მალაზვნებო, საშოდაყრუებულებოოო!

ქალთა ყორანა კორომი ასპიტნაძგერალივით შეირყა, აიშალა და არუზრუზდა. ზოგს ვითომ წყეველა აღმოხდა — ენის კლიტე რად არ გაგიხმებაო — ზოგსაც ერთი ახარხარება რამედ უღირდა, მაგრამ საბაიას შიშით შავ კუბასტში იმალავდა უხმო ქირქილს.

— საშოდახშულებოოო! — გაისმა ისევ ყაყაჩოს მინდვრიდან.

საბაია ისევ გიორგის მიაშტერდა და უთხრა ყრუ ხმით: შეხედე, ვითარ შეგვაჭირვებს ის შენი სატანის თესლიო.

ჩემი რად იქნებაო, გაოცდა გიორგი. ის ბიჭი, მე რომ მდინარეზე ვიხილე, ვიღაც სხვაა და ეს კიდევ უცილოდ სულ სხვა არისო; ეგ სწორედ ის მწყემსი ბიჭი უნდა იყოს, ადრეც რომ გამოგეძახოდა გალმიდანო.

გაოცდა საბაია, ასე მღელვარედ და ასე, რეცა, თავის მარცლებით, არასოდეს ულაპარაკნია ყრმა გიორგის.

— ძუძუდაშრეტილებოოო! — ისევ გამოვარდა ხმა გალმიდან.

ქალობადაკვეთილმა ქალებმა კაბლაფანჩებში ჩაძირული ძუძუები მოისინჯეს, ერთმანეთისგან ნამალევად.

— საშოდამშეულებოოო!—ყვიროდა ბიჭი დაუცხრომლად.

მკერდიდან ქვემოთ, თეძო-ბარძაყისკენ გაურბოდათ ხელები ქალობადათრგუნვილ ქალებს.

— უუჰ, ბიჭო, ბიჭო, შენ კი გაბმი, შე არგასახარებელო! — ჩურჩულებდნენ პირდამშრალნი.

— რად უსმენთ და რად უცქერით, იქედნეს შვილნო! — შეჰკივლა საბაიამ და, როგორც ერთი, ისე მოწყდა და გაუჩინარდა მონაზონთა შავი კორომი.

და სწორედ მაშინ დაარისხა „იმ არგასახარებელმა“:

— საბაია საშოდაურწყულებელოოო!

სახეზე სულ ჩამოუღამდა საბაიას.

თეკლა სულ გათეთრდა სახეზე.

და ისევ უთხრა სახელამიანმა სახედღიანს:

— შეხედე, შეხედე, რაი მჭირს შენგან, კიდობანო საცთურისაო!

— ახლა მაინც რაღას მერჩი, დედაო, ახლა მაინც არ ვუხსნებივარ იმ დაწყეველილ ბიჭს! — აღმოხდა თეკლას.

ეს ითქვა და, ისევ იყვირა „იმ დაწყევლილმა“:

— თეკლააა! გამოდი, თეკლა, ყაყაჩოებში დაგელოდები!

— აჰა, გული გწყდებოდა და დაგიძახა! — მიუგდო სიტყვა საბაიამ და ტაძრის კარში გაუჩინარდა ფრჩხილების კაპუნით და კაბლაფანჩის ფართხუნით.

თეკლა სენაკში შევიდა და შეიკეტა სულშეძრული და ცრემლებაღძრული.

ვედრება მეთვრამეტე

გველებმა რძე ტაშტაბრაიგიდან სულ ამოსვლიპეს ენის რისინით, და შეიმართნენ შიშველი, იისფერი ხმლებივით.

საბაიამ ყელიდან მუცლამდე ფრთხილად ჩაუტარა ფრჩხილოსანი თითები, ჯერ ერთს, მერე მეორეს, და აჩურჩულდა:

— ყური მიგდეთ, ხატულებო...

ვედრება მეცხრამეტე

გიორგი გაღმა გასულიყო და უკვე ბექობზე გადადიოდა. ბექობს იქით დიდი, ტრიამელი მინდორი გაშლილიყო. მინდორი იგი წითელბატონა ყაყაჩოებს მოეცვა.

გიორგიმ დაიჩოქა და აკოცა ყაყაჩოს. აკოცა მეორეს, მესამეს, კიდევ სხვას, კიდევ, კიდევ. მიდიოდა ჩოქვით, კოცნიდა და, ნეტავ ყველა დამაკოცნინაო, ნატრობდა.

შუა მინდორს რომ მიატანა, გულიც და მუხლიც ერთბაშად გაერინდა. სწორედ მინდვრის შუაგულში ადამიანის სიგრძეზე ყაყაჩოების ბორცვი იყო გაწვართული, სისხლით გალუმპული საფლავის მინამსგავსი.

ყრმას მოეჩვენა, რომ ბორცვი იგი იძვროდა, თითქოს სუნთქავდა, წითელი სხეული აუდ-ჩაუდიოდა.

გიორგიმ ჯერ უცქირა, მერე წაიჩოქა, პირი ყაყაჩოს ბრჯას მიუახლოვა და რაც ძალა ჰქონდა შეუბერა. კიდევ ორჯერ მოუნაცვლა და ყაყაჩოს ფურცლები ერთმანეთს აჰყვნენ, აედეენენ, ყველა ერთად თითქოს მზის სხივთა ჰაერს აეცვა და სისხლისფერ ღრუბლად გაფრინდა ცისკენ.

— შეხედე, შეხედე, რა ძლიერი სუნთქვა ჰქონია! — გადიკისკისა გოგომ და სიცილი მისი გაისმა, ვითარცა მზის სხივთა წკარუნი.

გოგო მიწაზე გულაღმა იწვა, ყაყაჩოს საბნისგან განძარცვული, საცოდავად შიშველი — არცა პერანგი, არცა როპახაგი.

იცნო გიორგიმ: ამ დილით რომ მდინარეზე ბიჭად ეჩვენა, გოგო ყოფილა!

გოგო თითქოს ფიქრს მიუხვდა და ისევ ისე, ქვემოდან, დარეცილმა, ტანის გაუნძრეველად ამოსძახა:

— ჰო, მოგატყუე და მოგატყუე. ამბობდნენ გოგოების ეშინიაო, ამიტომ ბიჭურად მოვირთე და ისე გეჩვენე. მწადდა ახლოს მენახე. მართლა ჯვარი გქონია შუბლზე, ჯვარი. თვალები ლურჯი გაქვს. მარტო თვალები კი არა, მაცადე... მგონი წარბებიც ლურჯი, ღმერთო დიდებულო!

გიორგის კი აღარაფერი ესმოდა. უეჭველად სიზმარში ვარო, ფიქრობდა. პირველად ჰხედავდა იგი ასე დედიშობილად შიშველ გოგოს. და სიზმარში ჰხედავდა? მაგრამ ვაი თუ ცხადი იყო ეს! მაშინ, მაშინ... ღმერთი?! ნუთუ ღმერთმა დაუმჭირვა ასეთი ცოდვა თვითონ ღმრთისავე ტარიგის სულში?!

— გელოდი და ვიცოდი მოხვიდოდი. — მოესმა ისევ, და ეს უკვე აღარ იყო ძილისშორისი. გოგო ნამდვილად იყო. გოგოს ხმაც ნამდვილი. გოგოს ხილვაც ნამდვილი... მაგრამ იგი არ იყო გოგო მიწიერი. იგი ჯვარსახოვნად ესვენა, ხელებგანრთხმული და ფეხებმირთხმული.

თეთრი, აკალიფადურად ქათქათა ჯვარი წითლად დაჩითულ მწვანე მინდორზე!

ჯვარი ესე — კელავაც პირველაღმონაცენი თმებით შეკვერთხილი.

ახლადნაშობი ძუძუნი უთრთოდა ჯვარს, სინგურისფერი ყაყაჩოებით თავდარქმეულნი.

მარცხენა ძუძუ გამორჩეული სიცხოველით იძვროდა, რადგან მის ქვეშ უჩინრად რაღაც იბრძოდა ძალმოსილებით.

„ძუძუნი უმჯობეს ღვინისა, მუცელნი ვითარცა ხვავი იფქლისა“, — გაუელვა გიორგის სადღაც გაგონილმა თუ ამოკითხულმა და მაშინვე ფიქრიც ჩაუქრა სრულებით. უსაზღვრო, მანამდე განუცადებელმა წადნიერებამ მოიცვა მთელი მისი არსება. ლამის კათოლიკე ძარღვიც ამოუვარდა საფეთქლიდან.

— მოდი, დაწექი და ვიყოთ ერთად! — ისევ მოესმა.

და ისიც დაჰყვა ამ ხმას. დაჰყვა და ჩაჰყვა ყრმა იგი ფიქრ[illegible]ული. შავი ბურნუსი და თეთრი ჯვაროსანი კვართი

ერთად გაიძრო მთრთოლვარე ხელებით და გადაჰყარა. წამით შალვარიც და როპანაგიც ერთად ჩაიძრო, დაჰყარა, და გოგოს გვერდით მიუწვა, შიშველი შიშველს.

და ჯვრის ზმანებაც მაშინვე გაჰქრა.

ჯვარს ახლა მხოლოდ გოგო ჰხედავდა, ბიჭის შუბლზე აღბეჭდილს.

გარშემო ყველაფერი წამიერად დაიძირა და დაინთქა სადღაც და წამიერადვე მის სანაცვლოდ სხვა აღმოცენდა, სულ სხვა სკნელი იშვა, განსხეულდა და განეფინა ირგვლივად.

ამბორიც აღარ იყო ამბორი, არამედ, ალბათ, ეს იყო კოცნა, მანამდე შეუგრძნობელი და შეუცნობელი.

ცეცხლიც აღარ იყო ცეცხლი, მხოლოდ სხეულის დამფერფლავი და ნახშირმყოფელი; არამედ იყო სულ სხვა რაღაც, ცეცხლზე უფრო ცეცხლოვანი — გინა უ-ცეცხლ-ო-ვა-ნე-სი — მაგრამ სხეულისა და სულის ამაღორძინებელი და განმაცხოველებელი.

ერთმანეთს ჰკოცნიდნენ და ეგონათ მ'ზეს ჰკოცნიდნენ.

და ჰკოცნიდნენ მზენი ერთურთს.

და იწვოდნენ ცეცხლითა უნივთოითა.

— იცოდე, სხვა არაფერი, მხოლოდ ასე, ოდენ... მხოლოდ, — კენესოდა და ჰკოცნიდა გოგო მზეს.

— ჰო, არაფერი, სხვა არაფერი, — გმინავდა ბიჭი და ჰკოცნიდა მზეს.

და ჰკოცნიდნენ მზენი ერთურთს, წითელბატონებით მოსარაჟულ მიწაზე.

და არავის შეეძლო ეთქვა, რამდენი დრო გავიდა ამ გაუცნობიერებელ ზესთასოფლურ ტრფიალებაში, დიდი დრო თუ პატარა დრო, არავის შეეძლო. რადგან დროის გარეთაც გაღწეულიყვნენ მოტრფიალენი, მათ გარშემო დროც გამდნარიყო და გამქრალიყო საკვირველებით.

უცებ, ღვთისრისხვასავით:

— თეკლააა!!!

და ამ ძახილმა ერთბაშად ისევ აღადგინა დროც და ყოველი სკნელიც, რაიც მანამდე ძველთაძველ, შინაბერას მძაღე სუნთქვით სუნთქავდა ამ ქვეყანაზე.

ფეხზე წამოვარდნენ.

— ჩემი ძმა ეძახის შენს დას, — სთქვა გოგომ, და კიბას დასწვდა.

გიორგიმაც სასწრაფოდ გადაიცვა კვართი.

(კვართი იგი საზარდულამდე დამოკლებოდა გიორგის).

გოგომ ახლაღა შეამჩნია თეთრ კვართზე, მარცხენა ძუძუს ქვეშოთ ამოქარგული ჯვარი.

— ეგ კვართი უნდა შომცე! — ჟინიანად უთხრა მან ვაჟს.

გიორგიმ უმალვე კვლავ გაიძრო და გაუწოდა კვართი უკერველი.

— აჰა, კვართი ესე, დედას მოქსოვილი, ჯვარიც დედის ამოქარგული.

— დალალმე, სიხარულო! — შესძახა გოგომ, წამსვე კვართი ჩაიცვა და ყრმას კისერზე შემოეჭდო.

— ხოლო, შენი კვართი? — ჰკითხა გიორგიმ.

— მე კვართი არასოდეს არა მქონია. მე აქამდე განკვართელი ვიარებოდი, ხოლო ამ წუთიდან სიკვდილამდე ვიქნები კვართოსანი. მხოლოდ შენთან თუ განვიკვართები მე, — გაიცინა გოგომ და გასაქცევად შეიმართა.

— რა გქვია შენ? — დაასწრო გიორგიმ.

— ანამაისა.

— ანამაისა?

— ჰო, მაისში დავიბადე და იმიტომ.

— კარგია, რომ მაისს ყოფილხარ დაბადებული, თვესა ულამაზესსა.

— არ ვარგა მაისს დაბადება, — თქვა ანამაისამ.

— ?!

— მაისი მხოლოდ თავისი სილამაზის მოტრფიალეა და შურიანი, ოდენ თავის სილამაზეზე მზრუნველი. და მის წიაღში დაბადებულნი უფრო სძულს, ვიდრე უყვარს. აკი მაისს მზე ცუდზე ცუდია ლამაზ სახისთვის. მაისი თვითონ ხარობს და სხვას არ ახარებს. ამიტომ არის, რომ მაისში ნაშობნი მალე კვდებიან.

გაშეთებული ისმენდა გიორგი.

მწყემსი კი მღეროდა ხევს გაღმიდან:

ლოპე, ლოპე, ლოპეშია,
გველი გაძერა ღობეშია,

ტაძრისის და მტკვარის წყალი
ყველა ერთად ამაშია.
თეკლა გოგო ტაძარშია,
მისი გული ღადარშია,
საბაია ნაცარშია,
გველი უწევს კალთაშია,
ძუძუ უდევს ხახაშია.

— ანამაისა, წადი და გააჩუმე! — უთხრა გიორგიმ.

— წავალ, ოღონდ ჯერ მაკოცე!

გიორგიმ აკოცა.

— ხვალ კიდევ მოვალ აქ, ამ დროს, — შესძახა გოგომ და გაიქცა.

თითქოს თეთრი ქერუბიმი მიფრინავდა წითლად მოლივლივე მინდვრის ტბორზე.

თვალს მიეფარა.

უსაშველოდ დაწყდა გული მარტოდ დარჩენილ გიორგის. თან გაუკვირდა მარტოობის მოტრფიალეს, ახლა რომ ასე ატკინა გული მარტო დარჩენამ.

თითქოს, სული დაემშა.

შავი ბურნუსი შემოიცვა. წელზეც საკვერთხელი შემოიკვერთხა.

— ანამაისა! — წაიჩურჩულა და ჯაძოვიდა ბაბიჯაძლილი.

მწყემსი ბიჭის ხმა აღარ ისმოდა. ანამაისამ გააჩუმაო, იფიქრა გიორგიმ და ფეხს აუჩქარა.

მოდიოდა და ფიქრობდა გაოგნებული ყრმა: იყო ეს მრუშებაი? არა, არა. იყო ესე სიყვარული ზენასოფლური...

ტაძრისისწყალიც ისე გადმოიარა და ფერდობიც ისე ამოველო, რომ ერთხელაც თვალი არ მოუკრავს ზემოდან გადმომდგარი საბაიასთვის. და უცებ კი შეეხეჩა გულისყურწართმეული გიორგი მონაზონთმთავარს.

თქმა არ უნდა, თვითნებურ წასვლას არ შემარჩენს და შემომიტევს ბალანაშლილიო, გაუელვა გიორგის, მაგრამ გაოცდა, როცა საბაიამ, საყვედური კი არა, თითქოს რაღაცნაირი დიდსულოვნებით გაუღიმა და ლოყაზეც ხელი მოუგლასუნა. მერე ხელით უბიძგა და მისი სენაკისკენ ანიშნა, შედი დაისვენე შენთვისო.

გიორგი სენაკში შევიდა, თმით შეკვერთხილ ჯვარს მიეახლა, მუხლი მოიყარა და ემთხვია გულმხურვალედ.

და გაშრა ყრმა. გულიც თითქოს სულ გაუდნა და გაუქრა მკერდში: ჯვარი, რომელიც აქამდე ყოველ ამბორზე ზესთასოფლურ სითბოსა და სურნელს აზიარებდა, ახლა ცივი იყო, ისეთი ცივი, როგორც საფლავი ორმოცი დღის გარდაცვლილისა...

სოხანეზე დაცემულ, ცნობაწართმეულ ყრმას აღარ გაუგონია შემზარავი ყვირილი მდინარის გაღმიდან.

ხმა იყო ერთდროული და ორმაგი — ბღავილი ვაჟისა და კივილი ქალისა.

არც ის გაუგონია გონწართმეულს, საბაიამ რომ დაისისინა:

— გარეთ ფეხის გამოდგმა არვინ გაბედოს, იქედნეს თესლნო!

როცა მწყემსებმა გველთაგან დაგესლილი და-ძმა წაასვენეს, მაშინღა შეუშვა საბაიამ თეკლა გიორგისთან.

ვედრება მეოცე

ქალის შორეული გოდება მოჰქონდა ჰაერის რხევას, გულისმომწყვლელი და ძვალ-სახსართა დამადნობელი:

დღეო გადიდდი, ნუ დაჭღამდები,
მზეო, დადექ და დაჰგვიანდი!
შვილებს მეყრებიან
ცხელსისხლიანები,
ცივი გველ-გესლით ნაკბენიანები!
ვაი მე, დედას ძუძუდამწვარს, მაინც ღამდება,
მაინც საფლავ-დან ამოდის წყვდიადი!
ღამეო, შენამც გენაცვლები,
შენამც ჩემ დარდი გაგიგიე,
ძალიან მწარედ გიტირნია,
ვარსკვლავნი ცრემლად დაგიღვრია!
სიკვდილო ღამისფერო,
მე, დედას, ძუძუდამწვარს
შვილები დამიბრუნე.
შენი შვილი მე ვარ და მე წამიყვანე.
. . . . .
შვილებო, შვილებო,
ადექით, გათენდა!
დილაო ეერცხლისაო, შენამც გენაცვლები,
შენამც ჩემი დარდი გაგიგია,

ყაყაჩოს ყვავილებზე
ცვარ-ნამი ცრემლად დაგიღვრიაო..
. . . .
ჩემ შვილებს რად უნდათ სამოსელნი, —
მიწის სამოსელი შაუკერეთ,
სარჩულად ტირილი დაუდევით,
ღილებად ცრემლები დაუკერეთ,
საამარეს პირი გაუკერეთ
ჩემის ცრემლების ძაფებითა,
ხვნერდოვანის ბალახითა...
სიბარეე, პირი დაიბანე
ბჭლოვარი დედის ცრემლებითა.
მიწაო, შვილები შამინახე,
შენ ნემოგტირი ვედრებითა.
.
მზეო, დაიცა, არ დაბრძანდე,
მზეო, დადექ და დაგვიანდი,
შვილები დედას ეყრებიან,
შენი სამზეოდ განკვეთილნი,
შაეთის უღელში ებმებიან.

სოფლის ცრემლმა ტაძრის ცრემლიან სენაკებშიც შემოაღწია.

მონაზონ-მოწესენი საფლავებიდან თავდახსნილი ლანდებივით დაბორიალებდნენ, უბრალად, უმძრახად.

სრულმა კაეშანმა მოიცვა ქალობადაკვეთილ ქალთა სულები. ამიერიდან შორიდან ხასროლი კვიმატიანი სიტყვაც აღარ შეაშფოთებდა აღარც მათ დამშრალ ძუძუს, აღარც მათ დახშულ საშოს.

ვედრება ოცდამეერთე.

გამოხდა კიდევ ერთი მსგეფსი.

შვიდი დღე-ღამე გიორგის უმარილოდ მოხარშული ქორაფისა და ჯიშკილას მეტი პირთან ლუკმა არ გაუტარებია.

შვიდი დღე-ღამე განუწყვეტლივ და განუცადებლად კითხულობდა, ლოცულობდა, ლიტანიობდა.

— ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო, გვაცხოვნენ ჩვენ! გარემოცული მრავალთა გაბსაცდელთაგან, შენდა მოვილტვი, ჰოი, დედუფალო, და ვითხოვ წყალობასა, ჭირთა და

ურვათაგან მიხსენ მე, მხსნელო და მაცხოვარო განწირულთაო. შემაშფოთებენ მე ვნებათა კვეთებანი, და მრავლითა ურვითა აღავსებენ სულსა ჩემსა, მშვიდობა უუდრო მომადლე, სძალო, ძისა და ღვთისა შენისა ვედრებითა. ღვთისა მაცხოვრისა მშობელო ქალწულო, შენგან ვითხოვ მე ჭირთაგან განთავისუფლებასა, და სულსა და გონებასა ჩემსა, შენდა-მომართ აღვიპყრობ, საგალობელო. ჭირთა შინა და განსაცდელთა შეყუხებული, ძოხედვასა შენსა და ზრუნვასა ღირსმყავ, ღვთისმშობელო, ვითარცა სახიერისა ღვთის მშობელმან, სახიერმან და მოწყალემან...

შვიდივე ღამე ძველ ნასაყდრალზე გაათია.

იწვა და სიჩუმესთან სიჩუმით საუბრობდა.

„არა, არ იყო მრუშებაი“.

„იყო ოდენ სიყვარული ზესთასოფლური“.

თეკლა თუ მოაკითხავდა, გამუდმებით კაეშნიანი და თვალნათირალი.

ერთხელ საბაიაც მოვიდა, პირველ მაძლისყივილზე.

ეს ქალი ბნელში უკეთ ჩახს, ვიდრე სინათლეშიო, გაუელვა გიორგის, როცა ბერბეც ღამეში ქალი ყორნისფერ ლანდად დაადგა თავზე.

— ჩვენ ყველანი სიკვდილის ეშხზე ვკიდივართ, — თქვა საბაიამ ისე, გულსგარეთ.

გიორგის ხმა ხარ ამოუღია, თითქოს ვერც გაეგონოს.

— უსიამო ამბავი კი დატრიალდა ჩვენი ტაძრის სიახლოვეს, გარნა რა გაეწყობა, — სადაც უფლის სახლი დაიდგმის, იქვე სატანაც დაიდგამს ხოლმე უხილავ კარავს.

ყრმა ისევ სდუმდა.

— რად არას იტყვი, შვილო ჩემო?

— არ ვარ მწადნელი სიტყვიერებისა, დედაო სახიერო, — თქვა გიორგიმ წყნარად, მაგრამ სრული სიმტკიცით და სიტყვაშეუქცევლობით.

საბაია მდუმარედ გაშორდა.

დიდ ხანს არ გაუვლია და ისევ თეკლა მოვიდა ძმასთან.

— აკი უტყუარი გამოდგა ყოველივე, — წაიჩურჩულა მოსვლისთანავე.

— რა? — გამოერკვა გიორგი.

— სიკვდილი.

— ჰო, სიკვდილი, უტყუარი... სიკვდილივით უტყუარი. ნუთუ ღმერთს ასე სურდა?

— ღმერთს ეძინა.

— ღმერთს ეძინაო?! — შეძრწუნდა თეკლა.

— ადე, ადე, წამო დავიძინოთ, ძმაო! — მიეძალა ყრმას, რომელიც გულაღმა მწოლარე ჩაციებით უცქერდა ზეცას.

— შენ წადი და დაიძინე, დაო.

— მაინც რას ეძებ და რა უნდა იპოვნო, ერთთავად რომ ცას მიშტერებიხარ, ძმაო?

— სინათლეს.

— სინათლეს?!

— ჰო.

— ამ სიბნელეში?

— სწორედ.

— რას ამბობ, გიორგი? — შეშინდა თეკლა.

— ნუ გაიოცებ და ნუ შეშფოთდები, დაო ჩემო. ხშირად ღამეში უფრო ნათელი სამზეო დგას, ვიდრე მზიანი დღის სინათლეში.

— და შენ ახლა იქ სინათლეს ჰხედავ? — ჰკითხა თეკლამ და წყვდიადით სავსე ზეცისაკენ აირთხა ხელი.

— მე ვერ ვხედავ და ჩვენი უმწეო თვალები ვერც გაუძლებენ ზესთასოფლური სამზეოს ხილვას. მაგრამ მე ვგრძნობ, უტყუვრად ვგრძნობ, რომ ამქვეყნიური დღის ნათელი ზესთასოფლურთან შეტოლებით ისე მცირეა, ვითაცა კვარი ამსოფლურ მზესთან შეტოლებული.

ეს თქვა გიორგიმ და კვლავ გაჰყვა ფიქრს ცაზედეთისკენ.

მეტი კითხვა ვეღარც თეკლამ შეუბედა და ხმოდ გაშორდა ძმას.

ღამე კი იყო ისევ უსაშველოდ გამძლე და ხანიერი. თითქოს, დღეღამსწორების ანგარიშიც დარღვეულიყო და ღამეებს რიცხვით დღეებზე ეჭარბებინოთ.

ვედრება ოცდამეორე

იმ ღამით კი საბაია მოკვდა.

დაძინების წინ ღმერთისთვის ეთხოვნა, აღარ გამაღვიძოო. და შეესმინა ღმერთს მისი ვედრება.

ტაძრისის სადედო სამარტვილეში დაკრძალეს იგი.

მოიცრემლეს, მოიგლოვეს, მოიოხეს და იკითხეს: ვინ უნდა იქნეს სავანის ახალი მოძღვარი?

— თეკლა, — თქვა ერთმა დაბეჯითებით.

ხოლო, თეკლასაც, ვითარცა ადამიანს, მით უფრო ჰკვიანს და სახიერს, ჰყავდა მოშურნენი და სთქვეს ამა მოშურნეთა: წესი არ არს, ორმოც წლისაზე ახალგაზრდა ქალი მონაზონთა მოძღვარი იყოს!

არც ის შეიძლება, ათ წლამდე რომ ქალი შეამონაზვნო, მაგრამ თეკლა შვიდი წლიდან არს შემონაზვნებულ. ამიტომ მხოლოდ თეკლა არს ღირსი მოძღვარ იქმნას სავანისაო, — აყვირდნენ თეკლას მოყვარულნი.

და ამჯერად მოყვარულებმა სძლიეს მოძულეებს.

და შეიქნა თეკლა მოძღვარი ტაძრისის სადედო სავანისა.

ვედრება ოცდამესამე

ქარი, მძლავრფრთოსანი, შემოიჭრა მტკვრის ხეობაში. სამი ღღე-ღამე არყევდა და აზანზარებდა ქვეყანას აჯანყებული ჰაერი. მეოთხე დღეს, როგორც იქნა, დაიძინა ქარმა. ჰაერმაც დაისვენა, ადამიანმაც.

მზე ახალი აღმოხდენილი იყო, როცა გიორგიმ ძილისგან აღსადგომელი ლოცვა მოითავა, სენაკიდან გამოვიდა და ტაძრისისწყლისკენ ჩამავალ ბილიკს ჩაუყვა.

მაგრამ დის თვალს მაინც ვერ გაექცა. სად მიხვალო, კითხვა დააწია თეკლამ. სასაფლაოზე მივდივარო, უპასუხა გიორგიმ.

— სასაფლაოზე?

— ჰო.

— რომელზე?

— სოფლისაზე.

თეკლამ იყუჩა მცირე ხანს და მერე უოხრა ძმას, გამკრთალი ხმით:

— ერთი ყვავილი იმა ყრილის სამარტვილეზე დასდევ, მე რომ სახელიც არ ვიცოდი.

მარად დაბრმავებული კვირტის გოდება მოესმა გიორგის ქალობადახშული დის სიტყვაში.

თავი დაუქნია თბილი ღიმილით, და გზა განაგრძო.

ტაძრისისწყალი განვლო და ყაყაჩოს მინდორზე ავიდა. მინდვრის შუაგულზე იდგა კარგა ხანს, მდუმარი და უძრავი. მერე დაიჩოქა და ემთხვია იმ მიწას, რომელმაც მას განაცდევინა ძალმოსილება მანამდე განუცადებელი სიყვარულისა.

ისე იგრძნო, თითქოს მიწას კვლავაც არ დაჰკარგოდა სურნელება იმდღევანდელი ტრფიალებისა.

წამოდგა და ყაყაჩოების კრებას შეუდგა. სწრაფად კრებდა, რაკიღა ბევრიც უნდა მოეკრიბა და დაეკნობისთვისაც შიშობდა.

მოკრეფილ, ანუ სიცოცხლეგაყრილ ყვავილთაგან ყაყაჩო ყველაზე ადრე ჭკნება და კვდება, ისევე, ვითარცა კაცმახი სიცოცხლემოკრეფილ თესლთა შორის, ხობობი დაკრეფილ ფრინველთა შორის, ფოთრი დაკოდილ ნადირთა შორის და, საერთოდ — ვითარცა ყოველი უმშვენიერესი ქმნილება სიცოცხლეწართმეულ თანამოკიდეშეთა შორის.

ყაყაჩოს ვენება ხელეური გაიტანა და გავიდა მინდვრიდან. ნასწრაფევი ნაბიჯით მიუახლოვდა სოფელს.

სოფელს და მის სასაფლაოს.

ანუ — სასაფლაოს და მის სოფელს.

ეს სულ ერთი იყო, რადგან — როგორც მარად ერთადმყოფელი სიკვდილ-სიცოცხლე — აქაც სასაფლაო და სოფელი ერთად იყვნენ. ერთად იზრდებოდნენ და ერთიმეორისკენ მიილტვოდნენ.

სოფელშიც ჩანდნენ ახალმოსახლენი და სასაფლაოზეც.

გიორგიმ სასაფლაოს ახალმოსახლეთა უბანს მიაშურა.

წინ ერთი შავითმოსილი მოხუცი ქალი შემოხვდა და იმას ჰკითხა, გველთაგან დაგესლილი და-ძმის საფლავებს ვეძებ და როგორ მივაგნებო. ვაი მათ დედასო, მკერდში მჯიღი ჩაიკრა დედაკაცმა და მიასწავლა, სადაც უნდა მოეძია საფლავნი იგი.

მივიდა გიორგი და დააცქერდა სამარტვილე ქვებს.

ძმის ქვაზე ეს ამოეკითხა:

ვინც იტყვის რო მე ვარო
მეც ვიტყვი რო მე ვარო
ყველა ასე გადაწვება
ახლა მე რო ვწევარო.

ხოლო, დის ქვაზე:

ამა ღრო ქვეშე
სხეულითა დანერგულ ვარ
გარნა ნერგი სულისა ჩემისა
კვლა შენთან ჰგიეს.

ძმის ქვაზე ერთი ყაყაჩო დასდო, თეკლასგან ჩათქმული ყვავილი.

ანამაისას ქვა სრულად დაჰფარა ყაყაჩოებით და სამარტვილე ახლა სულ იმ ბორცვს დაემსგავსა, მაშინ რომ იხილა გიორგიმ მინდვრის შუაგულში — ანამაისას ტანზე დახვავებული ყაყაჩოს ბორკვი.

ესეც ბოეჩვენა ყრმას: მაწანწალივით ყაყაჩოს ბრჯა რეკა ახლაც იძვროდა, თითქოს სუნთქავდა და წითელი სხეული აუდ-ჩაუდიოდა.

გიორგიმ დაიჩოქა და საფლავის ქვას ემთხვია ფერხთა მხარეზე.

— ცეცხლითა უნიჭოთითა დავიწვა მე შენთან და შენგსით, — წაიჩურჩულა და წამოდგა.

იგრძნო, ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი, მაგრამ აკრიან თვალებში მაინც სიმშრალე ედგა, მიხვდა, გარეთ კი არა, შიგნით, გულში ექცეოდა ცრემლი (სისხლივით შინაგან ჩაქცევა სცოდნია ცრემლსაც).

ცოცხლებს უჭირთ ძალიან უჭირთ საფლავებთან დიდხანს დგომა, თუნდაც გარდაცვლილი აკუთარ სიცოცხლესაც ერჩივნოთ.

მერე, რაღაც ხენეში სიცილი შემოესმა და ახლაღა შეამჩნია, რომ მოშორებით, ახლადგათხრილი საფლავის ცინცხალ მიწაყრილზე სამი კაცი იჯდა, ჭამა-სმად. მესაფლავენი უნდა ყოფილიყვნენ. ჭამდნენ, სვამდნენ და რაღაცის გამო ღლიცინობდნენ.

ფეხი აიჩქარა გიორგიმ.

სასაფლაოდან რომ გამოდიოდა, ის დედაბერი იქვე დახვდა და კითხვაც შემოაგებება მოუთმინარი ხმით: რანი არიან შენთანის ის უბედურებიო.

არიან, უბრალო ხოყვაისნი არიანო, უპასუხა გიორგიმ.

— ეგი თვითონ ვიყავი ხარ, ყრმაო კეთილო? — არ მოეშვა ქალი.

— ერთი მწირი ვიწმე ვარ, დედაო კეთილო, მლაშალი, უნარჩევესი და უღირსი მონაი ღმრთისა.

ისევ აავლ-ჩაავლო თვალი ქალმა თავით ფეხამდე გიორგის, მის ჯვალოს ბურნუსს, ქანაფის საკვერთხელს და შიშველ ფეხებს. ხამლები მაინც ჩაგეცვა ფეხზეო. — ამოიგმინა.

ეგეც ღვთის ნება არისო, აგრე ფეხშიშველამ უნდა ვიარო მთელი ჩემი წუთისოფელიო, მკრთალად იღიმებოდა გიორგი.

ქალს ღიმილიც ეუცხაურა და ყრმას საბუზე მიაშტერდა. ღმერთო დიდებულო, ჯვარიო მაშინვე თვითონაც ისახა პირჯვარი.

გიორგიმ შუბლზე უხებურ მოისვა ხელი.

— არა, არა, ნუ წაშლი, ნუ! — ეცა და ხელი შეჰკიდა ჩამოცშალა ქალმა.

— ნუ შიშობ, დედაო კეთილო, დედის მუცლიდან დამყვა მე ჯვარი ესე.

დედის მუცლიდანო?! სულ შეიშალა ქალი იგი.

— ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო მარიამ, აკურთხე დედა იგი, რომელმან იტვირთა, შვა და აღზარდა ძე ჯვაროსანი! — შეჰღაღადა, მუხლებზე დაეცა და ცრემლთა თხევით დაუკოცნა ორივე ხელი.

ძლივს წამოაყენა ფეხზე გიორგიმ მოხუცი დიაცი, დაამშვიდა, მაღლი შიუძღვნა შაბლი და მარცხენა მხარი ლოცამბორა.

— იცი-ა, შვილო, ანაშაისას სწორედ ძაგბაიოი ჯვარი ესვენა პერანგზე აჩოქარგული. ბოლო სიტყვადაც ეგ მოესწრია შეკ ბედდამწვარს: პერანგი ესე არ გამხადოთ, მასთან ერთად ჩამასვენეთ სამარეშიო. და შეუსრულეს კიდეც. — სთქვა ქალმა გულადულებით.

გული გაუდნა სიგულეში გიორგის, ამის გამგონეს, და სხეული ისე გაუცივდა, საკუთარ კოცონზე დამწვარიც რომ ვერ გათბებოდა.

წამისად გატრიალდა ღა გაიქცა.

სახტად დარჩენილმა ქალძა მანამ უცქირა, სანამ ასე საკვირველად გაქცეული ყრმა სულ არ გაუჩინარდა.

გიორგი ისევ იმ ყაყაჩოს მინდორში მივიდა, ისევ იმ ნატრფიე ადგილზე თავდაღმა დაირეცა, ჯვარსახოვნად განერთხო და ატირდა.

ღიდხანს იტირა.

ჩემი კვართი იმასთან წევს, მეც იმასთან გწევარო, — ეს ფიქრი უელავდა და უსხეპავდა გონებას.

წამოდგა. წამოვიდა. ტაძრისისწყალს მოადგა, ტანთ გაიხადა და შიგ ჩაეშვა. წყალმა ძარღვები დაუწყნარა, გული გაუშვა კიცა, გონება გაუმკაცრა.

სათვალა არ ახსოვდა და ისე იგრძნო თითქოს ახლა მონათლულიყოს.

წყლიდან ამოვიდა საოცრად გამსუბუქებული.

ესეც იგრძნო: ახლა სულ სხვა იყო, სხვა სულიერ-ხორციელი, ვიდრე წყალში შესვლამდე.

და სულმტკიცედ წარემართა მონასტრისაკენ.

— არა, არა, იყო ოდენ სიყვარული ზესთასოფლურის..

ვედრება ოცდამეოთხე

ის დღეც განესრულა.

ძელი მიმწუხრისა შემოჰკრეს ტაძრისის სავანეში.

ისევ აღმოხდა საფლავიდან წყვდიადი და მოიცვა ყოველივე მიწასა და ცაზედეთს შორის.

ღამის განზოგებამდე ლოცულობდა და ლიტანიობდა გიორგი. მერე სანთლები პირით მოაქრო (ეს წესად ჰქონდა) და დაიძინა.

დაიძინა და ნახა უცნაური ძილისშორისი.

იყო ქვეყანა და ქვეყანა იგი მოეცვა სრულად ეკალსა და ბარდს, ძეძვსა და წიწვს, ნარსა და ღიჭს, თრიმლსა და თუთუბოს.

ჰზე — სინათლის გაცემის შურით აღვსილი და გახელებული, მდუღარე დორბლს ანთხევდა ქვეყნიერებას. იდგა გველეა, ხვატი, ხორშაკი. ცა ჯიქანგამშრალი ძროხასავით გარდათხმოდა დედამიწას, რომელსაც დასდებოდა ფერი, მსგავსი მანამდელი არა ფერისა.

და ქვეყნის შუაგულსა, ჯერაკუმიას, იდგა ტბა ერთი, ტოლი ფარავნისა თუ ტაბაწყურისა. ხოლო, წყალი ტბისა იყო დამპალ-დამყაყებული, სავსე მწვანე ბალყით და ყლარტით, შმორით და ჰოჭით. დაღაცათუ ტბა იგი მაინც იყო შემცველი სიგრილისა და სინოტივისა.

და მიილტვოდნენ ტბისკენ ადამიანნი, მიილტვოდნენ თავდავიწყებით, რადგან თვითონ მიწაც ვეღარ იმაგრებდა ადამიანებს უსაშველო მსურვალებით აფუტკრულ ტანზე.

და მიჰქროდნენ, მირბოდნენ, მიბარბაცებდნენ, მირაცრაცებდნენ, მიჩლახუნობდნენ და მიფორთხავდნენ ტბისკენ სიცხით, შიმშილით და წყურვილით გაშეთებული ადამიანნი.

და ეშვებოდნენ წყალში ბღავილით, ხავილით, ღმუილით, ყმუილით, კვნესით, გმინვით, კმინვით, ვაით და ვიშით.

წყალში ეშვებოდნენ ადამის ძენი, წყალში ჩაინთქმოდნენ და ერთბაშად წყლის ზედაპირზე უცხო სახედ ამოინთქმოდნენ.

და აღარ ჰქონდათ ადამიანებს სახე ადამის ჯიშისა. უხარმაზარი თავები გამოსხმოდათ, თავები ჰიპოპოტამისა, წინ გადმომსხდარი ჩასისხლული თვალებით, უფსკრულოვანი ცხვირის ნესტოებით, ყურებამდე ჩახეული ლაშებით, ჭიტა ყურებით და... საესებით უშუბლოდ, უშუბლოდ-მეთქი!

ტანი კი, თითქოს, ადამიანისა შერჩენოდათ ჰიპოპოტამებს, მაგრამ ტანი დამცრობილი კიდურებით, დანაღირსებული ჩალამკალამა ხელ-ფეხით, ჩაღრმავებული ვიწრო მკერდით და უსაშველოდ გაბერილი, ქეშელა მუცლით.

და ზიმზიმებდნენ მწვანე ჰიპოპოტამნი მწვანე ტბაში თუ ნატბეურში, ერთმანეთს მწვანე ენებს ურისინებდნენ, ულონო ხელებს ერთმანეთს უშლაპუნებდნენ ხან ჩუბუტოში, ხან უშუბლო თავში (უშუბლო!), ერთმანეთს ანერწყვავდნენ უსახო სახეში (უსახო!). ბაყაყებს იყვანდნენ ბღუჯა-ბღუჯა და ერთმანეთს ატენიდნენ ჭიტა ყურებში და სითხითებდნენ ჩაბუირებულნი.

ხოლო სიცილი ღმეჩით მოცინართა, ისმოდა როგორც ყინვის ჩხრიალი.

უხაროდათ, რაღაც ძალიან უხაროდათ, ალბათ ის, ერთად რომ იყვნენ, ერთმანეთი რომ უყვარდათ ვითომ და ერთმანეთი რომ სძულდათ მართლა.

(რა კარგია, რომ ერთად არიან ადამიანნი, — მაშ, ვინ უნდა შეიძულონ, ერთად თუკი არ იქნებიან?!).

ერთად იყვნენ, დიახაც ერთად.

მაგრამ ყველა იძახდა „მეს“:

მე მშიის,
მე მწყურის,
მე მსურის,
მე მშურის.

და არავინ ამბობდა —

ჩვენ გვშიის,
ჩვენ გვწყურის,
ჩვენ გვსურის,
ჩვენ გვშურის.

სიტყვა „ჩვენ“, თითქოს მეტყველების დასაბამითგან არა სცოდნოდეთ, ან ოდესღაც მცოდნეთ დავიწყნოდეთ და უხმარქმნოდეთ.

ერთმანეთს პურს რომ თხოვდნენ, — აჰა, პურიო, მაგრამ პური კი არა, ქვა იყო იგი. ერთმანეთს თევზს რომ თხოვდნენ, — აჰა, თევზიო, მაგრამ თევზი კი არა გველი იყო იგი.

ერთმანეთი სძულდათ უსაზღვროდ, მაგრამ ვერ სთმობდნენ მაინც ერთმანეთს, რადგან იყვნენ გულჩუკენნი და უკიდურესად ეშინოდათ მარტომყოფლობისა.

ერთმანეთს მტრობდნენ და მაინც ერთად იყვნენ, რადგან ერთმანეთის მტრობაში მაინც მხოლოდ ერთმანეთის იმედით იყვნენ და ერთმანეთისგან ელოდნენ შველას.

ამიტომ იყვნენ ყველანი ერთად, ერთმანეთის მოშიშარნი და ერთმანეთის მოიმედენი. იყვნენ ერთმანეთისგან განუშორებლად, ყველა ცალკე „მე“.

(და, მართლაც, უკეთუ ერთად არ იქნებოდნენ, ვინ უნდა სძულებოდა ამდენ ცალკე „მეს“?!).

და ვართ ჩვენ ადამიანნი!

და უნდა ვიყოთ მარადჟამს ერთად!

და ვართ ჩვენ ერთად!

ტბის გარშემო კი სჯულის ფიცრები ეყარა, დაბზარულნი და დამსხვრეულნი, სჯულის მცნებათა ნაფლეთებით:

ცალკე ერთგან —

„არა
„არა
„არა
„არა
„არა

ცალკე მეორეგან —

კაც კლა",
იმრუშო",
იპარო",
ცილსწამია",
გული გათხიდეს ცოლისათვის ბოყვასია შენსია".

ზიმწიმებდნენ ჰიპოპოტამნი, ყირყაშებდნენ, ჩიჩვინებდნენ, ყეფდნენ, ღრუტუნებდნენ, ღლიცინებდნენ, ბუყბუყებდნენ მძვინვარე მწვირეში და დახშული იყო ყურთასმენა ცასა და მიწას შორის მათი უგვანი ფორიაქისგან.

ამაოდ იტანჯებოდა გიორგი. უნდოდა სიმღერა სიზმრად დაეჯერებინა და ძილისგანაც თავი დაეხსნა, მაგრამ ვერარა გაეწყო. მისთვის ახლა ძილი არ იყო ძილი და სიზმარიც არ იყო სიზმარი. იყო მაცილად სიცხადე, საშინელი სახილველით განივთებული და დაჟეჟმარიტებული.

კანიდან ძვრებოდა გიორგი, ეწადა მისულიყო ტბასთან და ეყვირა ხმითა საშინელითა, თუმცა თვითონაც არ იცოდა რა უნდა ეყვირა, მისვლა და ყვირილი კი უსაშველო წადილით ეწადა. მაგრამ მუხლები ისე მოჰკვეთოდა და მოწყლოდა, ფეხი ადგილიდან ბეწვის ტოლაზე ვერ დაეძრა, სიტყვაც გულგვამში ისე ჩაჰკეტოდა, ყელიდან კრინტიც ვერ ამოეგდო. ანუ სიტყვის ფუძე მოწყლოდა, ანუ ხმაც თითქოს სულ გადასწვოდა.

და უცებ, წადილი იგი, რომელიც ყრმა გიორგის ისე მწველი სახმილით სწვავდა და სიტყვა იგი, რომელიც მის სულს ახრჩობდა — ციდან ჩამოიჭრა და გამაყრუებელ ქუხილად დააცხრა დედამიწას:

— უშუბლოხო!

სამარეულმა სიჩუმემ მოიცვა ქვეყნიერება.

მდუმარება ჩამოწვა და ჩამოლპა ტბაზე.

— უშუბლოხო! — კვლავ დაარისხა ზენაარმა ხმამ.

სდუმდნენ შიშით ხარდაცემული ჰიპოპოტამნი, რადგან ვერ გაეგოთ, რაი არს „უშუბლონი", რადგან არც ჰქონდათ და არც იცოდნენ რა იყო შუბლი.

გიორგის კი ზეციდან ხმა ისე განივთებულად ესმოდა, ასე ეგონა, ხელსაც შეახებდა იმ ხმას. უთუოდ ცხადში ვარ და არა სიზმარშიო, თორემ ეგზომ მძლავრი ხმა უეჭველად გამა-

ღვიძებდაო, — ესეც გაიფიქრა გიორგიმ და საბოლოოდ მისწებდა ძილისშორისს.

და ისევ ხმა ზეციერი:

— ვინა ხართ თქვენ?

და მაშინ კი ტბამ ერთხმად ამოიყეფა:

— ადამიანნი, ადამიანნი, ადამიანნი!

ამოიყეფეს, რადგან ეს სიტყვა ჯერ კიდევ არ დავიწყნოდათ ჰიპოპოტამებს.

— ადამიანნი? — გაიოცა ზენაარმა ხმამ.

— სწორედ, სწორედ, ადამიანნი! — ისევ იჯგუვლეს უშუბლოთა.

— მერე, ვითარ ხართ ადამიანნი?

— იმით, რომ —

ჩვენთან არს მუცელი ფაშვნიერი,
ჩვენთან არს ჩუბუტო ცხიმოვანი,
ჩვენთან არს საშოი განპებული,
ჩვენთან არს საურველი განუპობელი.

— ხოლო, შუბლი?

— შუბლი? არ ვიცით, არ გვახსოვს, არა გვსმენია.

— სული?

— სული არს მუცელი, სული არს ჩუბუტო, სული არს საშოი, სული არს საურველი.

— აზრი?

— აზრი არს ჩუბუტო, აზრი არს მუცელი, აზრი არს საშოი, აზრი არს საურველი.

— სიტყვა?

— სიტყვაი არს:

მშიის,
მწყურის,
მსურის,
მშურის.

— და თქვენა ხართ მარილი ქვეყანისაი?

— ჩვენა ვართ, ჩვენა ვართ მარილი ქვეყანისაი.

მაშინ მზემ თავი მისცა ერთბაშად შეყრილ კუნაპეტ ღრუბლებს, ცა წამიერად მოშავებედდა, ვითარცა ძაძაი ბალნისაი, და იგრიალა სრულის სხეულით. იგრიალა და ყოვლის მხრიდან ასხლეტილი ექო და ანტიექო ზედ ტბის თავზე შეასკდა ერთურთს.

და განიბვნა სარკმელნი ზეცისანი და გადმოეშვნენ ძენი ქუხილისანი, და დააცხრა ღედამიწას უთვალავი მეხის წიწილა.

„და შეიძრნეს მთანი ქუეშე ფერსთა მისთა და ღელენი დადნენ ქუეშე მისსა და ვითარცა ცვილი წინაშე ცეცხლისა და ვითარცა წყალი გარდამომავალი გარდამოსაქანელს მისსა“.

„რამეთუ მე ესერა განვამტკიცო ქუხილი და დავჰბადო სული და მიუთხრა კაცთა ცხებული მისი. შევქმენ ცისკარი და ნისლი და შევიდე სიღრმესა ქუეყანისასა. უფალი ღმერთი ყოვლისა მპყრობელი — სახელი მისი“.

და იძრა იძვრისი და უძვრისი ყოველი. მეხის წიწილა წკეპმის დელგმამ და ლეშხმა შეცვალა. მერე თითქოს ზეცამ რისხვა ჩაიცხრო, მაგრამ მაინც დადინჯებით განაგრძო დედამიწის დარწუულება და დანათელა. დიდხანს წვიმდა. ქამუამად ისევ მეხთატეხა და ელვათა კრთომა აზანზარებდა და აფორიაქებდა გარემოს.

დედამიწამ, გამაძღარმა, გაგრილებულმა და დარწუულებულმა, დაივიწუა შიმშილიც, სიცხეც, წყურვილიც. და ტბაც, ირგვლივად მოვარდნილი წყალვარდნილებით, ერთბაშად ამოიზარდა, პირთამდე აივსო და დასავლით-კერძო მანამდი დამშრალი და დავიწყებული ქალაპოტისკენ გაქანდა.

ახალი წყალი, ლურჯი და კამკამა, დაუთმობელი სიაფთრით ერეკებოდა ძველს, დამპალსა და დაშმორებულ წყალს. სულ მალე ტბა იგი იყო სავსებით ახალთახალი, სუფთა, სპეტაკი და გამჭვირვალე, ზეციური წმინდა ცრემლით ნასხური და ნაკურთხი.

უცებ წვიმა მოწყდა და მოიკვეთა.

ცამ გადაიწმინდა და გადაიდარბაზა.

არიელიც დაშვებულიყო — ახალნაშობი ძე ჰაერეთისა.

ცინცხალმა მზემ მოაფინა ქვეყნიერებას ჩვილი სხივები.

და არიელს, ძესა ჰაერეთისასა, საოცარი გალობის ხმა ჩამოჰყვა ციდან.

ზე აიხედა გიორგიმ და იხილა გუნდი თეთრი, ფრთოსანი ქერუბიმებისა, რომლებიც გედების გუთნის მინამსგავს წყობით, მზის სხივს მოჰყვებოდნენ და ოსანას მღეროდნენ. ხოლო, წინ ანგელოსთა სპეტაკ გუთნეულს თეთრი ასული მოუძღოდა, მარჯვენა ხელით წმინდა სამება ესახა, მარცხენაში ჯვარი

ეპყრა, ჯვარი ვაზისა, ფრთებდახრილი, თმა შეკვრთხილი, ტანზე თეთრი ქათქათა კვართი ემოსა, გულზე ჯვარამოქარგული.

თითქოს სადღაც ენახა ადრე ეს ღვთის ჭაღი გიორგის და ახლა ვერასგზით ვერ გაეხსენებინა.

— ესც არს ასული ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნოვიყავ! — გაისმა გრგვინვა და გრგვინვა იგი განეფინა ცისადცისად და სხივად-სხივად სრულ სამყაროში.

ნეტარების ცრემლით აევსო გული გიორგის, ყოველივე ამის მხილველს და მსმენელს.

— ოსანა, ოსანა ასულსა უფლისასა! კურთხეულ არს მოსავალი სიხელეთა უფლისაითა! ოსანა, ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა! — შეჰღაღადა ყრმამ და მოირთხა მუხლი.

— უფალო ღმერთო, სად მინახავს ეს ანგელოსი? — იტანჯებოდა იგი.

ტბას გაუსწორდა ციური გუნდი და მაშინვე გუნდი იგი თკითონ გაუჩინარდა სივრცეში, ხოლო ასული იგი მარტოდმარტო, ნელი რონინით ეშვებოდა ტბისკენ.

ტბას ვაჰხედა გიორგიმ. ტბა იყო წყნარი, უძრავი, უხინჯოდ სარკოვანი, თვითონ ლურჯი და საკუთარ სილურჯეში მომცველი ლურჯი ცის სრული სახოვანებისა.

ახლა შეამჩნია გიორგიმ: აღარსად იყვნენ ტბის უცნაური მობინადრენი, მუცლოვანნი და უშუბლონნი. გამქრალიყვნენ ჰიპოპოტამნი. ტბის გარშემო, ხმელეთზე ახლა ერი იდგა, ჩვეულებრივი ადამიანნი, კაცნი და ქალნი, ჩვილნი და მბცოვანნი. იდგნენ მდუმარედ, გაცქვიფულად, შიშრეულნი და ზარდატეხილნი.

— ნუ გეშინინ! — გაისმა ხმა ციური ასულისა. რომელიც ტბის ზედაპირს შვიდ წყრთეულზე დაახლოებოდა და ნელი რხეევით წემდგარიყო, უხილავ ჰაერწნულზე დამყარებული.

— ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქვენ! — გაიმეორა ასულმა და ჯვრით ჯვარი გარდასახა ხალხს.

— შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათაი! — მესამედ გაისმა ხმითა საოცრად ამოდასამენელითა.

ერთბაშად ერი მოისხლიტა, მუხლებზე დაეცა და მოჰყვა პირჯვრის წერას და სახვას.

ზენაარი ქალი კი განაგრძობდა, უხილავ ჰაერწნულზე დამყარებული:

— დედაო ღმრთისაო, მარიამ, სუნნელებისა მშვენიერო სამკვიდრებელო, ლოცვითა შენითა ერი და ქვეყანა შენი წილხვდომილი რჩეულად გამოაჩინე, რათა ზიარ იქმნეს სიწმიდეთა სალმთოთა ძისა შენისათა აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

— ამინ! — იბღავლა ხალხმა და ისახა ჯვარი ცრემლების თქეშით.

— გული წმიდა დაბადე მათთანა, ღმერთო, და სული წრფელი განუახლე გვამთა მათთა!

— გული წმიდა დაბადე ჩვენთანა, ღმერთო, და სული წრფელი განგვიახლე გვამთა ჩვენთა! — გაიმეორა ერმა ზენაარი ნაკარნახევი.

— აღსდექით, განიფრთხვეთ ძილი და იყავით მარად მღვიძარედ — მკაცრად დააირისხა ქალწულმა — ამინ გეტყვით თქვენ, ძილს განერიდეთ, ვინათგან ძილი ნელ-ნელ მოჩვევაა სიკვდილისა.

— ამინ, ამინ, ესერა, ძილი ნელ-ნელა მიჩვევაა სიკვდილისა!

— ძილის ნება არა აქვს ერს რიცხვით დამცრობილს; არც ნება აქვს ურთიერთას მტრობისა და სიძულვილისა. ამინ გეტყვით თქვენ, მხოლოდ ურთიერთსიყვარულს ძალუძს იხსნას ერი, რიცხვით მცირე, უღმველი დაღუპვისაგან. ამინ, ამინ, დაე გიყვარდეთ ერთმანეთი, ქართლოსის ძენო!

— დაე, გვიყვარდეს! — ბღაოდა ხალხი.

— ნუ სტკივა ქართველს ქართველისაგან! — განაგრძობდა ქალწული, მაღლა, უხილავ ჰაერწნულზე დამყარებული.

— ნუ სტკივა!

— ნუ ჰშურს ქართველს ქართველისადმი შურითა შავითა!

— ნუ ჰშურს!

— ნუ სწყურია ქართველს ქართველისაგან!

— ნუ სწყურია!

— ნუ ჰშია ქართველს ქართველისაგან!

— ნუ ჰშია!

უცებ გიორგისკენ შემობრუნდა ქალწული, მისკენ ჯვარი განაპყრო და ხალხს შესძახა:

— აჰა, ესერა, შეხედეთ, შეხედეთ!

ვითარცა ერთი ერთსხეულოვანი, ისე შემობრუნდა სრულიად ერი და ყრმას მიაშტერდა.

— ამინ გეტყვით თქვენ, აჰა ესერა, ტარიგი ღმრთისა და შუბლი თქვენი, ქართლოსიანნო! — გიორგის შუბლს მიუშვირა ჯვარი ასულმა.

და ყველამ ერთად, კაცმა და ქალმა, ყრმამ და მხცოვანმა, გიორგის ჯვაროსან შუბლს მიაპყრო მზერა.

— ღმერთო მაღალო! — აღმოხდა ერს და ისევ ისახა პირჯვარი მუხლმოყრილმა.

გიორგი კი ქალწულისაკენ მიიღტვოდა. მიიღტვოდა მოკვეთილი, დუნე მუხლებით, მღელვარე გულით, ოფლის ქცევით და სისხლის თქარუნით.

ტბის პირს მიატანა გიორგიმ. მიმოიხედა. ადამიანთა შველა უნდოდა დაღლილ-დაქანცულს, იმ ქალწულთან რომ მიეყვანათ, მაგრამ ადამიანის ჯაჭანება აღარსად იყო. აღარც ჰიპოპოტამებს უცდიათ შემობრუნება. მხოლოდ ბუნება განზოგებულიყო საკუთარ სიმშვენიერესა და სიმარტოვეში.

დამსხვრეულ და დაფანტულ სჯულის ფიცრებსაც თავი მოეყარათ, შეერთებულიყვნენ, შემტკიცებულიყვნენ და ახლა ისევ ერთად, თავმოყრილად და სიტყვაშეყრილად ეწერა:

„არა კაც კლა,“
„არა იმრუშო,“
„არა იპარო,“
„არა ცილისწამო,“
„არა გული გითქმოდეს ცოლისათჳს მოყვასისა შენისა.

ხოლო ქალწული იგი ჰაერწხულიდან დაშვებულიყო და ზედ ტბის სარკეზე ვიდოდა ნებიერად, შიშველი, უზენაესის ხელით ნათალი ფეხებით და რაღაც ღრმა საზრუნავით დატვირთული, გასაოცრად სათნო სახიერებით და ხატიერებით.

— ანამაისა, ანამაისა! — შეჰღაღადა გიორგიმ.

ქალწული შედგა, გიორგის მოჰხედა და სთქვა წყნარად, წყნარად:

— სახელი ჩემი — ნინო.

— ნინო?!

ქალწულმა უხმოდ, ოდნავი თავის დადრეკით დაუდასტურა და განაგრძო რონინი წყალსა ზედა.

— ოო, ყოვლად სახიერო დედაო ჩვენო, ქალწულო, მ ი-
ციქულთა სწორო, წმინდაო განძანათლებელო, ქნარო სულ
სა წმიდისა! — შეჰღაღადა და ჯვარი ისახა გიორგიმ.

ქალი კი ვიდოდა წყალთა ზედა, უცხო რონინით, ვიდოდა
ლაღი, ღმრთივეზიარი და ბუნებაზიარი. ხოლო წყალი, არამცირე
არ უტყდებოდა და განერღვეოდა ფერსთა ქვეშე, არამედ
გლუვად, განურღვეველ სიმყარედ ედგმოდა ყოველ მის ნა-
ბიჯს.

განცვიფრებული და გაოგნებული უცქერდა ყრმა წყალზე
უცხო, არამიწიერი მიმოხრით და რხევით მოარულ ღვთაებ-
რივ ქალწულს.

სული აუთრთოლდა და აუცახცახდა გიორგის.

— ყოვლად წმიდაო დედაო სახიერო და ნათელო დაუღა-
მებელო! — აღმოხდა მას.

ქალი შედგა, შემობრუნდა, თვალი მიაპყრო და სიტყვა
მოჰბერა:

— რაი გსურის?

— მე მსურის შენთან! — შესძახა გიორგიმ.

— მოვედ ჩემთან! — მშვიდად მოსძახა ქალმა, ჯვრის ნე-
ლი მორხევით.

— ვითარ მოვიდე? — გაიოცა გიორგიმ და წყალს დაჰხე-
და.

— გულპყრობილ იყავნ, ნუ გეშინინ, რამეთუ მე ვარ და
სიტყვაი ჩემი არს! — სთქვა ქალწულმა დინჯად, მტკიცედ, და
განაგრძო სლვა ისევ საკუთარ იდუმალ ფიქრში ჩაღრმავებულ-
მა.

— მაშ, მოვდივარ მე! — თვითდაჯერებით ჩაითქვა გიორ-
გიმ და წყლისა და მყარის მიჯნას მიადგა.

„მე ახლა მივდივარ წ ყ ა ლ ზ ე და არ შევდივარ წ ყ ა ლ-
შ ი, რამეთუ წყალში შესვლა ბადალია წყალში ჩავარდნისა,
ხოლო წყალზე გასვლა იგივეა, რაიც წყალზე გაელაა“.

და ჩაიჭედა გონებაში, და ჩაიფესვა სულში:

„მე არ შევდივარ წყალში“.

„მე მხოლოდ წყალზე გავდივარ, წ ყ ა ლ ზ ე“.

და ვერ გააღწია ათი ნაბიჯიც, რომ წყალმა საზარდულზე
შემოჰკრა.

„მე წყალზე მივდივარ, წყალზე-მეთქი, და არა წყალში!“

ვერ იქნა და ვერ ააშორა ფეხი ტბის ფსკერს და როცა წყალი მკერდზე მოერტყა, მაშინ კი შესძახა მეფეთეარეებ:

— მე ვიძირები!

შემოტრიალდა ქალი, უკვე ყელამდე დაძირულ ყრმას წარბისერეშით დააცქერდა და ჩასძახა რისხვეულად:

— მცირედ მორწმუნეო, რაისად შეორგულდი?

— სახიერო, აკი წყალი ნივთია რღვნადი?

— გარნა იგივე წყალი არის განურღვევადი.

— როგორ, როდის აქეთ?! — გაჰკვირდა გიორგი.

— ოდეს იწამებ სიტყვასა ღვთაებრივსა.

— მე მუდამ მწამს! — მხურვალედ სთქვა ყრმამ.

— გარნა, თუ გწამს რომ გწამს? — დაბეჯითებით ჩაჰკითხა ნინომ.

— მწამს, სწორედ მწამს რომ მწამს!

— ჩემი სიტყვა თუ იწამე შენ?

— ვიწამე, ნათელო დაუღამებელო, წრფელად ვიწამე!

— ცოტომილ ხარ, რამეთუ იძირები.

— ?!

— მე გითხარ: „მოვედ ჩემთან", მაგრამ ჩემ სიტყვაზე უაღრეს შენ გაჰყევ ც ო დ ნ ა ს წყლის რღვნადობისას. და, აჰა ესერა, შენს სულში ცოდნა რ წ მ ე ნ ა ზ ე აღამაღლე და იმიტომაც ჩაიძირე.

— გაბა, უმჯობეს არა არს — შევიმეცნო, რათა ვიწამო? — იკითხა ყრმამ კრძალვით.

— არა, უმჯობეს არს გწამდეს, რათა შეიმეცნო, — მტკიცედ თქვა ნინომ და, სანამ გიორგი სიტყვას მოიბრუნებდა, ისევ განაგრძო:

— ამინ გეტყვი შენ, იმად იძირები-მეთქი, რომ შენ მონა ხარ იმ ცოდნისა, რომელმა ცოდნამ შენ ჩაგინერგა წყლის თბევადობა და განრღვეულობა, ხოლო ეშვი შეიტანე და შეორგულდი ჩემი სიტყვისადმი, — სიტყვისადმი, რომელმან შენ მოგიწოდა, ცოდნის მონობა გადმოგეღახა და რწმენის თავისუფალ საუფლოში შემოგეღწია.

— მაშ, ცოდნა მონობაა, ხოლო რწმენა თავისუფლება! — ჩაილაპარაკა გიორგიმ, მძიმედ ჩაფიქრებულმა.

— ცოდნა ხილული ქვეყნისგანაა, მიწიერი და ნივთიერი

სამყაროსგან ნაკარნახევი, ხოლო რწმენა — უხილავი, ზესთასოფლური, რომელიც ცოდნით არ აღიქმების.

— მეც მიფიქრია, მე — ცოდვილს: იესოს ჯვარცმა ცოდნაა-ძეთქი, კაცთა თვალით ხილული და დამტკიცებული, მაგრამ მისი მკვდრეთით აღდგომა და ამაღლება ცასა ზედეთსა — რწმენაა, რწმენა, კაცის თვალთაგან ხილვისა და ცოდნის მიღმიერ.

— ხოლო, ცოდნის გარეშე, რა გზით უნდა ავმაღლდეთ რწმენად? — ფიქრის შემდეგ იკითხა ყრმამ დათრგუნვილი ხმით.

— სიყვარულით — მხურვალედ შესძახა ქალმა — მხოლოდ სიყვარულითა ზენაარითა, ზესთასოფლურითა! გახსოვდეს, ყრმაო კეთილო, რწმენა და სიყვარული მარჩბიენი არიან — მარჩბიენი, განწიაღებულნი სასოებაში. გაიხსენე პავლე მოციქული: „ხოლო, აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოებაი, სასოებაი და სიყვარული, სამი ესე; ხოლო უფროის ამათსა სიყუარული არს“.

— სიყვარული... სიყვარული! — ჩაურთო გიორგიმ ღელფიანი ხმით, და მის სულში რაღაც, მანამდე განუცადებელი ქნარი აჟღერდა.

— ღმერთი სიყუარული არს და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა.

— და პირადი ბედნიერებაც სწორედ მოყვასისა და ზესთასოფლურის სიყვარულით და რწმენით იშვების, — განაგრძო ნინომ ფიქრი ყრმისა.

— სიყვარულით და რწმენით... ყოველივე სიყვარულით და რწმენით იშვების, — გაიმეორა გიორგიმ.

— მაშ, იწამე? — გაისმა ქალის ხმა.

— ვიწამე, ვიწამე, ქნარო სულისა წმიდისა.

— გწამს, რომ იწამე?

— მწამს, რომ ვიწამე.

— რაი იწამე რწმენითა რწმენისა?

— სიტყვაი შენი.

— სახელდარქმევით?

— სახელდარქმევით ვიწამე, რომ წყალი არს არათხეველად, მყარ და არაგანრღვევად.

— მაშ, მოვედ ჩემთან! — ისევ მოესმა ყრმას ზენაარი ხმა.

და ველარ იცნო მან თავი ოვისი.
და განცვიფრდა გონება მისი.
და განცოველდა სული მისი.
და განმსუბუქდა სხეული მისი.
და, თითქოს, იღლიებში ქარი შეუვარდა, ქარი მყარი, და ციმცივ ამოისხლიტა წყლიდან. ამოისხლიტა და ისე გაიარა ტბის ზედაპირზე, ვითარცა ზურმუხტისფრად მოლივლივე მდელოზე.
და მივიდა გიორგი ნინოსთან.
და მოიყარა მუხლი მის მუხლთა წინაშე.
ეამბორა მის კვართის კალთას.
და ივრძნო საოცარი სინორჩე სულისა.
და იგრძნო ირველივ ახალთახალი, ცინცხალი ძვრანი ყოველი იაერისისა და უძვრისისა.
— აღსდექ! — უბრძანა ქალმა.
გიორგი სწრაფად წამოდგა და უკუდგა სამ ნაბიჯზე.
ნინომ ისევ განაპყრო ჯვარი მისკენ და გაიმეორა:
— აჰა, ვითარცა ითქვა, შუბლი ჯვაროსანი, შუბლი ქართლოსის ძეთა, ჟამსა შუბლისა უპოვრობისასა.
— არა ღირს ვარ! — ამოიგმინა გიორგიმ.
— მისმინე, ყრმაო, — მკაცრი ხმით გააწყვეტინა ქალმა, — შუბლი და მკლავი საქართველოს ისე მძაფრად არასოდეს დასჭირვებია, როგორც ჟამსა ამასა აწინდელსა.
— დედაო განმანათლებელო, შემინდე კითხვა კადნიერი და უძლურება გონებისა ჩემისაი, მაგრამ რა აზრი იფარვის მიღმიერ ამა სიტყვათა?
— შუბლი წმიდანისა და მკლავი შემოქმედისა.
— შუბლი წმიდანისა? — შეძრწუნდა გიორგი — წმიდანისა!
— ჰე შმარიტად!
— მაგრამ მე ცოდვილი ვარ, ღვთაებრივო, და ღელვამან ცოდვისამან მომიცვა მე!
— შეჩერდი და მისმინე, ყრმაო, — შეაწყვეტინა ქალწულმა — სატანამ ადრე დაამწიფა შენი სხეული, მაგრამ ღმრთისაგან ბოძებულმა შენმა სულმა, ჯერ რომ ჩვილ არს, ჩვილმაც კი შეძლო მისი დათრგუნვა, ვინათგან ტრფიალება შენი იყო ზიარება ზენაარისა, რწმენისა, და ზესთასოფლური სიყვარულისა.

— მაგრამ მაინც მიწიერი ვარ, ყოველად წმიდაო, და მასხურე წყალი ხათლობისაი, შენის ღვთაებრივი ხელით მასხურე — შეჰღაღადა და ისევ მოიყარა მუხლი გიორგიმ.

— იყავნ ნება შენი და, აჰა ესერა, გასხურებ შენ წყალსა წმიდასა და გაგწმიდავ ყოველთაგან არაწმიდებათაგან შენითა, და ყველა შენთა კერპთაგან გაგწმიდავ შენ და მოგცე შენ გული ახალი და სული ახალი ჩაგიდგა შენ! — სთქვა, სამჯერ დაიხარა, სამგზის აღიღო წყალი პეშვითა და ასხურა ღაჩოჭილ ყრმას ასულმა ცოთმოელენელმა.

და იგრძნო გიორგიმ გული ახალი და სული ახალი.

და რაღაც უსაზღვროდ სანეტარო გალობა ისმოდა მიწილს მის არსებაში, რაღაც უცნაური, მანამდე განუცდებელი და განუაზრებელი სიტყვა მოიწიფებულიყო მის გონებაში, მაგრამ ვერც მღერად და ვერც მეტყველად ვერ დაიძრა ბაგენი პირისა.

და უცებ გაისმა ხმა ცისკროვანი:

— ჩვენ გავფრინდით!

— ?!

— გულპყრობილ იყავნ, ნუ გეშინიან. შენებლო ჭარიფალია, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

სთქვა და აცურდა, ალივლივდა ცისკენ ჭალწული.

ყრმამაც მაშინვე კამარა შეჰკრა და აჰყვა ზეცად.

დიდხანს მისრიალებდნენ ცისად-ცისად, გასაოცრათ ჩვირვალ, უკიმპრო ჰაერეთში.

ჭალი მიხვდა, როგორ ეწადა ყრმას ეკითხა, საით მივფრინავთო, მაგრამ კითხვას ვერა ბედავდა და უთხრა თვითონ:

— თქმულა მრავალჯზის მრავალთაგან — „თვალი დედამიწისა“, ან „ჭიპი დედამიწისა“, ხოლო ოღესმე ვისმეს სმენია „შუბლი დედამიწისა“?

— შუბლი დედამიწისა? არა, მე არ მსმენია.

— აწცა ისმინე, აწცა იხილავ.

სთქვა ჭალმა და ყრმას ნეტარების მოლოდინით აევსო გული.

მიფრინავდნენ, მიჰქროდნენ, მისრიალებდნენ ცისად-ცისად.

და ირხეოდნენ სარკმელნი და საჭანელნი ზეცისანი.

მიფრინავდნენ ჯვარსახოვნად განრთხმულნი.

მიფრინავდნენ გასაკვირველ ფერთა კონაში: თეთრი — ღრუბელი, ლურჯი — ზეცა, მწვანე — მზის სხივი.

და უეცრად ერთი ფერიც შემოერია და შემოესხეულა მანამღელ ფერთა შეკონებას — ფერი რახსისა.

ხოლო რახსისფერი იყო ორბი, რახსისფერი და ბოლოთეთრი.

ერთბაშად მოიჭრა, ყივილით და თვალთა ღუზღუზით.

მოიჭრა და მარჯვენა მკლავზე დააფრინდა გიორგის.

უსაშველოდ დაუმძიმდა ურმას მკლავი. ვერც ორბის ჭანგთა მკვეთელობას გაუძლო. მარჯვენა მოეკეცა და დაუვარდა, დაბალთული და დაბოშებული.

საშინელი ხმით იწივლა ორბმა, ქვასავით მოწყდა და დაინავარდა ქვემოთ მიმცურავ რძისფერ სამყაროში.

— ძლიერ მკლავს ეძებს, მძლეთამძლეველ მკლავს, ხუთასი წელიწადი ეძებს და ვერ უპოვნია, — სთქვა ქალმა.

გული დაწყდა ურმას.

მაინც რა სიმძიმე უნდა ჰქონოდა ორბის ტანს, ან რა სიბასრე მის ჭანგებს. ჭაბუკის მკლავმა რომ ვერ გაუძლო?

ცხენის ნალის გამართვა ძალედვა გიორგის მარჯვენს, ორბის სიმძიმეს კი ვერ გაუძლო.

ქალი კი განაგრძობდა:

— ხუთასი წლის წინ იშვა ეგ ორბი ნილოსის პირას, ზეცადან ჩამოვარდნილი ცხელი კვერცხიდან. ხუთი წლის წინათ დაიხსნა თავი ხუთასწლოვანი სიბერისაგან და ახლადაღორძინებული, კვლავ განჭაბუკებული, ეძიებს იგი კაცთა შორის ღვთაებრივ მკლავიანს.

„რომელმან აღავსო კეთილთა მიერ გულისთქუმაი შენი, განახლდეს ვითარცა ორბისა სიჭაბუკე შენი“, — გახმიანდა გიორგის გულში და მაშინვე ეს ჰკითხა ქალწულს:

— ვითარ ხდება განჭაბუკება ორბისა დაბერებულისა?

— ოდეს წელთა სიმრავლით ორბს ფრთენი დაუმძიმდეს, ჭანგნი და ნისკარტი დაუჩლუნგდეს და თვალთა შუქნი დაუმოკლდეს, მაშინ ზეცისკენ აჰრიალ ქარს აჰყვება ბებერი იგი, ქარიდან მზისკენ აიჭრება, მზისთვალს მიერქმევა უკანასკნელ ძალთა მოკრებით, ტანს გაიხურვებს მზის მხურვალებით და იქიდანვე ათვალულ ციც წყაროში შთავარდება ნამზეური ტანით, სამგზის ამოევლება და ჩაევლება, ბებერ

ფრთებსა და ბებერ კანს ჩატოვებს წყალში, თეითონ კი ახალის ფრთებით, ახალის კანით, ახალის ჭანგ-ნისკარტით, ახალის შუქმძლავრ თვალებით და ახალ-ს გულით, -წყებს ცხოვრებას განახლებულს, განჭაბუკებულს.

ჯული სიხარულით აევსო ყრმა, განჭაბუკებული ორბისა გამო.

და გული სინაწულითაც აევსო ყრმას, მკლავის სისუსტის გამო, — განჭაბუკებულ ორბის სიმძიმე რომ ვერ იტვირთა მისმა მარჯვენამ...

ბიცურავდნენ ჯვარსახოვნად განრთხმულნი.

და უეცრად მთების ლაშქარი ამოიჭრა ღრუბელთა ოკეანიდან.

რაზისფერი ზეწარი დაიპეს ტანზე და აღიმართნენ საკუთარი სიშიშვლით გაამაყებულნი.

და იდგნენ მარად საოცარნი და მარად მაოცარნი.

გუნდ-გუნდად.

დას-დასად.

კორომ-კოროშად.

ზვინ-ზვინად.

ხომლ-ხომლად.

დვრილ-დვრილად.

უდიადესნი, დიღნი, ქვედიდნი, საშუალონი, ქვესაშუალონი, მცირენი, უმცირესნი.

და ყველანი ერთად — ერთფესვოვანნი, ერთსხეულოვანნი, ერთსისხლოვანნი.

მშობელი დედამიწისგან გაქცეულნი და ზეცის ძუძუთა მაწოვარნი.

ციურ ჯიქნისგან ძუძუმტენი.

და იდგნენ და მღეროდნენ ციური ძუძუმტენი.

მღეროდნენ, ღაღაცათუ ქვენასოფლელთა არ ესმოდათ მათი სიმღერა. არ ესმოდათ, ვინათგან სიმღერა იგი იყო ოდენ სალმრთოი, ზესთასოფლური.

ოდენ ღმერთებს ესმოდათ სიმღერა მიწიდან გაქცეული მთებისა.

და იდგა ასე კავკასიონი, ვითარცა ჯერაკუმია დედამიწისა.

იდგა ცას შეცქერილი, ცის ძუძუმაწოვარი, ცასთან მომღერალი.

— აჰა, ესერა, კავკასიონი — შუბლი დედამიწისა! — უთხრა ქალმა ყრმასა, და უმალვე ცამ გამოსცა მგრგვინავ ნაკადულად:

— ამინ, ამინ, შუბლი დედამიწისა!

— ...შუბლი დედამიწისა! — იხმო და შეიხმო თვითონ კავკასიონმა.

— შუბლი კათოლიკე! — დაასრულა ქალის ხმამ.

და წამით მდუმარებამ მოიცვა სკნელი ყოველი.

— ხოლო შენ — შუბლი ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყნისა! — სთქვა ნინომ და ისევ განაპყრო ჯვარი გიორგის შუბლისკენ.

მიეახლა და ემთხვია ჯვარს გიორგი.

ქალის ნედლი თმის სურნელი შეიგრძნო თმით შეკვერთხილი ჯვრის ამბორისას და მიხვდა: ანამაისას სურნელი იყო!

და სულში ცრემლი ჩაექცა ღვარად.

და ისევ ზენაარმა ხმამ გამოაბრუნა:

— გახსოვდეს, შუბლო ერისაო, გახსოვდეს ერი შენი, სხეულით სისხლნადენი და სულით განრღვეული!

— არა ღირს ვარ! — იბღავლა გიორგიმ.

— იქმენინ ღირს! — შეაწყვეტინა მკაცრი ხმით ნინომ.

— ღირს მყავ! — შეჰღაღადა ისევ გიორგიმ.

ქალი კი განაგრძობდა ხმითა უკვეთელითა:

— უფალმან მოსცეს ძალი ერსა ჩვენსა, უფალმან აკურთხოს ერი ჩვენი მშვიდობით!

— ამინ, თავშეუდგამო ნათლის მფენელო!

— რამეთუ არა დამდაბლდეს მიწამდე სული ერისა ჩვენისა, და არა აღეკრას ქუეყანასა მუცელი მისი!

— ამინ, ნათლითა დაუღაჭებელო!

— ურნატნი მისნი დაათრევენ, უფალო, გაამრავლე ნაყოფი მისი, ცუარითა ცისითა მხიარულ იყოს ჯეჯილი მისი!

— ამინ, ამინ, ქალწულთა თვალო!

მცირე ხნით შედგა ნინო, ჯვრიანი მარჯვენა ზეცისკენ აირთხა და უთხრა გიორგის:

— აჰა, ესერა, გზაი შენი წუთისოფლისა: ზრუნვა ჩემი განათლული ერისათვის! და აღამაღლე ერი შენი, ხოლო რამეთუ აღამაღლო, უწინარესად შენ აღამაღლე სული შენი,

აღამაღლე იმ სიმაღლისად, შენი ვარსკვლავი შენს ქვეშ მოექცეს!..

ისევ დუმილი იამოწვა და გახანიერდა. და ისევ ქალის ძლიერმა ხმამ დაარღვია მდუმარება იგი:

— აჰა, ესერა, შუბლი დედამიწისა და, დიდაზროვნებითა და დიდსიტყვაობითა შენითა, ღაეწეროს მასზედა — „ნათესავი ქართველთა“!

და როგორც იქნა, დასძრა ენა გაოგნებულმა ყრმამ:

— სული ჩემი ჩემ ხელთა არს და, ღმერთია მბედვარ, ღვთისა შეწევნითა, შევეცდები იქნეს იგი ჩემზე უმაღლეს, მაგრამ ჩემი ერისანი... ჩემი ერისანი ჩემნი არიან?

და მაშინვე მიუგო ნინომ:

შენნი არიან,
რომელნი არიან
და რომელნი კვალად
მოსლვად არიან.

და, ბოლოს, კიდევ ეს უთხრა:

— რომელმან შენი ისმინოს და შეიწყნაროს, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.

და გაქრა.

და მარტო დარჩა ორი შუბლი: შუბლი დედამიწისა და შუბლი ქართლოსიანებისა.

ვედრება ოცდაცხრაჲ

რაღაც საკვირველმა, მანამდე განუცადებელმა ხმამ გამოაღვიძა გიორგი.

რეცა, უცხო სიმღერა უნდა ყოფილიყო.

სიმღერა სინათლისა ღამესა შინა.

ვედრება ოცდამეექვსე

გათენდა.

კვლავ შემოიჭრა მოზვერი თეთრი, ვერცხლისმფრქვეველი, მაძგერებელი და მაშქერებელი შავი მოზვრისა.

გიორგი გათენებამდე ამდგარიყო, უცნაური ძილისშორისით შეძრული და გაოგნებული.

გამოვიდა და ცისკრის მისავლებამდე იარა ფეხშიშველმა ცვრითა და ზრიმლით დაღვაფულ დედამიწაზე.

ეკვდერში დაბრუნდა და დიდხანს ილოცა — ლოცვა ძილისაგან აღდგომილისა სამადლობლად, ლოცვა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისადმი და ბოლოს ტროპარი წმიდა ნინოსადმი: „სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო, და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო, და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“.

ლოცვა რომ მოითავა, საამბოროდ მიეახლა ჯვარს. ერთხანს მდუმარედ და შიშრეულად უცქერდა, — იმ სიცივისა ეშინოდა, ანამაისასთან შეხვედრის შემდეგ რომ პასუხობდა ჯვარი ყრმის ამბორს.

შიში განიგდო, მივიდა და ემთხვია ჯვარს.

და ისევ პირველქმნილი, ზენასოფლური სითბო და სურნელი შეიგრძნო და შეისხეულა ქალის თმით შეკვერთხილი ჯვრისგან.

— გმადლობ შენ, უფალო! — შეჰღაღადა და დაეცა მუხლებზე.

როცა ეკვდერიდან გამოვიდა, მზე შუბის ტარს უკვე ასცილებოდა.

გამოვიდა — მუხლით მტკიცე, გულით მხნე და სულითა ამაღლებულითა. თეკლასთან მივიდა და, ვითარცა ჩვეოდა, ისე უბრალოდ და ლიტონად უთხრა, უკვე წასასვლელ გზას ვადგივარ და უნდა გამოგეთხოვოო.

— საით მიდიხარ, ძმაო ჩემო? — თვითონაც უბრალოდ და უშფოთველად იკითხა თეკლამ.

— ჯერ ის გზა უნდა გავიარო, მოციქულთა სწორმა ნინო განმანათლებელმა რომ განვლო.

— მაშ, ფარავნისკენ და მერე, ფარავნიდან მცხეთისკენ, არა?

— ჰო.

— მერე მცხეთიდან?

— მერე, იქიდან არ ვიცი, საით, მაგრამ ეს კი ვიცი ნამდვილად: წავალ ჩემს იქით.

— შენს იქით?! — უსაზღვროდ გაიოცა თეკლამ.

— სწორედ ჩემს იქით წავალ, — მშვიდად უპასუხა ძმამ. სიჩუმე ჩამოწვა.

და ისევ თეკლამ ამოიღო ხმა, როგორც იქნა:

— არ ვიცი, რას ნიშნავს წასვლა „შენს იქით", მაგრამ ის კი სრულის რწმენით მწამს, რომ შენ, ტარიგი და ნათლული ღვთისა, აწვალ სულ მალე. ისე მალე, შენი ვარსკვლავი შენს ქვეშ მოექცეს.

სიზმარი გააბსენდა გიორგის. ეს ერთი ნათქვამი უკვე ამიხდაო, გაიფიქრა, მაგრამ ბრმამალლა ცრაცერი უთქვამს ნასიზმრევზე.

მხოლოდ ეს სთხოვა ძმამ დას, სანამ ცაცოიხს არ გავშორდები, ნურავის ეტყვი ჩემს წასვლასო.

ეს უთხრა და მოეხვია თეკლას.

დიდხანს არ გაუშვა დამ ძმა. ამბორსყოფდა და ლოცავდა ცრემლთა თსევით.

ერთმანეთს დაშორდნენ.

ორას ნაბიჯზე ერთხელ კიდევ მოიხედა გიორგიმ.

ისევ იქ იდგა ქალი ფიჩოსანი, სადაც დატოვა.

და იქვე იდგა ტაძარი, დროებამისგან გვემული ტანით და დაკაწრული ყელით, ღაწვებით.

ველდრება ოცდამეშვიდე

ორი დღე-ღამის შემუსვრის შემდგომ, მივიდა ფეხშიშველად გზის მლეწველი ყრმა ფარავნის ტბაზე.

ტბა იყო ლურჯი, წმინდა ნინოს თვალების ფერი, მოსარკული, ოდნავ მთრთოლვარე.

ვააბსენდა სიზმარეული ჰიპოპოტამნი, მწვირე მძვინვარე, დამსხვრეული სჯულის ფიცარნი, დახლეჩილი მცნებანი, და შეენანა ცხადად ხილული სიმშვენიერე ფარავან-ტბისა.

ჯავახეთის მთებს გაჰხედა და ინიშნეულა, რომ ახლაც ისევე, როგორც ნინოს საკვირველი მოელინების ჟამს, მთები „იყვნეს სავსენი თოვლითა და ჰაერითა სასტიკითა".

მაშინ მწყემსები დახვდნენ ნინოს. ახლა კაცის ჭაშანებაც

არ იყო თვალსაწვდომში. მწყემსის მიტოვებული კარავი კი იხილა, სწორედ კ. ტბის გასადინართან, სადაც შვიდასი წლის წინ ღამეს ათევდა ქალწული, გამნათლავი საქართველოსი.

კარვის წინ დიდი ქვა იდო. ზედ ჩამოჯდა და ფიქრში ჩაესვენა.

მხეც ჩაესვენა.

სადღაც შორს მწუხრის ძელი შემოჰკრეს — ერთხელ, მეორედ, შესამედ, კიდევ, კიდევ...

და გახმიანდა გიორგის სულში:

ძელი მწუხრისა, ძელი მწუხრისა,
ხმა ზენაარი, ფიქრი უფლისა...

მალე დაღამდა, ძალიან მალე.

(ისედაც — რეცა, ღამეებმა რიცხვით დღეებს გადააჭარბეს).

კარავში შევიდა ღამის სათევად და, ნინოსავით, „დაიდვა ლოდი სასთუნალ, დაწვა და დაიძინა".

ეგონა, იმ ღამესაც ისეთსავე სიზმარს იხილავდა, როგორიც ნახა იქ, ტაძრისში, უკანასკნელ ღამეს. მაგრამ ასეთი უსიზმრო და უშფოთველი ღამე აქამდე არც განუცდია ყრმა გიორგის.

დილით, სისხამზე, ორბის ყივილმა გამოაღვიძა.

სული აუყიყინდა გიორგის და ფიცხლად გამოიჭრა გარეთ.

ზედეთს აჰხედა.

კარვის სწორად ირაოზე ბრუნავდა ორბი, ჯვარსახოვნად გაშლილი, რახსისფერი და ბოლოთეთრი.

— ღმერთო დიდებულო, ის არის, ის! — გაუელვა გიორგის და მარჯვენა მკლავი განიმკლავა წინ.

ფრინველმა შვიდჯერ დაჰკრა წრე გიორგის გარშემო, ყიპ-ყიპით და თვალთა ბრიალით, მაგრამ ბოლოს, თითქოს გადაიფიქრა, კამარა შეჰკრა და გასროლილი ისრის სისწრაფით გადაიკარგა ცისგვამიდან.

— ისევ დამიწუნა! — გული შეეკუმშა ყმაწვილს.

და იგი გულდამძიმებული დაადგა ტბის გასადინარის გასწვრივ მიმავალ საცანდალო გზას.

ეს გზაწვრილი, ნინოს ნატერფალით, მას გაიყვანდა მცხეთის დიდ გზაზე.

და ისევ გაისმა ორბის ყივილი.

და თვისით, გონების უკითხავად განემკლავა მარჯვენა მკლავი გიორგის. დააცხრა ორბი და დაუვარდა მკლავი ყრმას, მტკივნეულად სახსარმოშლილი.

იწივლა ორბმა, ირაო შეჰკრა, ცა გადაჰკვეთა და გადაიკარგა.

— არიელ!!! — შეჰბღავლა გიორგიმ.

— გარნა, რატომ „არიელ“? ვინ მომიგლინა ეს სახელი? ვინ მიკარნახა, რომ სწორედ ეგ ორბი არის იგი — არიელ, ძე ცაზედეთისა, მე რომ მარჯვენა დამაგდებინა?!...

სავედრებელი მეორე



ვედრება პირველი

— უკეთუ არ მომეწონა, იცოდე, მარჯვენას დაგაგდებინებ! — უთხრა ერთხელ სვეტიცხოვლის მშენებლობაზე მოსულმა ბაგრატ მეფემ თვალშვენიერ არსუკისძეს.

მეფეს მკრთალად ელიმებოდა და ხუროთმოძღვარმაც სიცილით შეჰკადრა პასუხი:

— ყველას მოსაწონი რა აშენებულა ცისქვეშეთში, მეფეთმეფეო?

ერთბაშად ბაგრატს რისხვამ დაუბნელა ნათელი სახე.

— მე „ყველა“ ვარ, შე კადნიერო?

— შენ ყველაც ხარ და ერთადერთიც, მეფეთა მეფევ, — არ დაიხია თვალშვენიერმა.

რისხვა წადნიერებამ გადაუწმინდა სახიდან მეფეს.

— მაინც რაი არს ჩემი „ერთადერთობა“ და „უკეთაობა“, ასე ცალ-ცალკე სანიშნეულოდ, თამამო ჭაბუკო?

— ამ ათას ხუთასი წლის გასწვრივ, ვინ დათვლის რამდენი

მეფე და მთავარი ჰყოლიათ ნათესავთა ქართველთა, მაგრამ შენ ერთადერთი ხარ, რომელმაც ხელახლა შეჰკარ და გაამთლიანე საქართველო, ფარნავაზიდან — ათას სამასი წლის შემდგომ, გორგასალიდან — ხუთასი წლის შემდგომ. შენ მესამე გამაერთიანებელი ხარ ქართლოსიანთა ქვეყნისა, დიდო მეფეო...

— მაგრამ ტფილისი? — შეაწყვეტინა ბაგრატმა გულამოხვინჩვით — სანამ ტფილისში არაბი ამირა ზის, მანამ საქართველოს ერთობლიობა ვერ დაერქმევა.

— მალე ისეც მოხდება, ტფილისს მდგარ არაბობას ან ქართული ხმალი და შუბი მოინელებს, ან ქართული ენა და სული.

— მე უკეთ ვიტყვი, — ისევ ჩაუჭრა მეფემ, — თუ ჩემი ხმალი ვერ მოინელებს, შენი ტაძარი მოინელებს, — და ხელი გაიშვირა სვეტიცხოვლისკენ, რომელიც უკვე ფუძიდან ათწყრთეულზე ამომართულიყო, ქვისმთლელებით, ქვათამტვირთველებით, ხუროებით და კირითხუროებით გარსშემოჯარული.

— მადლობელი ვარ, ხელმწიფეო, მაგრამ ჩემი რა არის, — სვეტიცხოველიც ხომ შენია, რადგან არც ის იქნებოდა, თუ არა სწორედ შენი გონითი განაზრახი და ბრძანებითი განსრულება. შენ რომ არა, არც ქუთათისის ტაძარი იქნებოდა, არცა ბედია, არცა მოწამეთა, არცა კაცხი და არცა ნიკორწმინდა.

— სიტყვა სხვა გეზით ნუ წაიყვანე, — ისევ ღიმილით გაწყრა ხელმწიფე, — ყველას მოსაწონი ჯერ არაფერი აშენებულაო, ამბობდი შენ.

— ისევ გავბედავ და კვლავ პირდაპირ გავიმეორებ, მეფეთმეფეო: არც არასოდეს არც რამ აშენდება, არც რამ ითქმება და არც რამ დაიწერება ყოველი კაცის მოსაწონისიმეთქი.

— მერე, შენი მეფე ასე „ყველაში" გასარევი რატომ გახადე-მეთქი?

— ოდნავ გულშიც არ გამივლია, მირონცხებულო გვირგვინოსანო, მაგნაირი განუსჯელი და უმართებულო კადნიერება. ეგ რომ მეფიქრა, მაშინ მკლავი კი არა, თავის გაგდებინების ღირსი ვიქნებოდი აუცილებლად!

— თავს რას ვერჩი? რა ხელმწიფე და ქვეყნის პატრონი

უნდა იქნეს ისეთი კაცი, რომელიც მაგნაირ თავს ქვეყნის სასიკეთოდ არ მოიხმარს, მოჰკვეთავს, გაახმობს და გადააგდებს, — ისევ გაიცინა და თავზე ხელი დაადო მეფემ თვალშვენიერს. მერე ხელი თავიდან ბეჭზე ჩამოუტარა, ბეჭიდან იდაყვამდე და სთქვა რაღაც უცხო, შორიდან მონადენი ხმით:

— მე მხოლოდ მკლავი ვთქვი.

— და... მკლავს მომკვეთავ? — საშრეთელი დააგდო და მტკვანგაშლილი მარჯვენა მაღლა აირთხა თვალშვენიერმა.

— უკეთუ არ მომეწონა-მეთქი სვეტიცხოველი, — გაიმეორა მეფემ.

მწუხვეტით ჩამოიგდო მარჯვენა არსუკისძემ და თქვა მწარე ღიმილით:

— ჩვენში საშიში არც ეგ არის.

— ?!.

— საშიში ჩვენში მხოლოდ კარგის კეთებაა.

მეფე ისევ გაკვირვებული მდუმარებით უცდიდა ხუროთმოძღვრის სიტყვის გაშლას და დასრულებას.

— დიახ, მეფეო, ჩვენში შეიძლება მხოლოდ კარგის აგებისთვის მოგჭრან მარჯვენა.

— ვისთვის მომიჭრია, კადნიერო, მე მკლავი უსამართლოდ? — ისევ გაურისხდა სახე ბაგრატს.

— შენ ერთი ხარ და შენამდე მთელი ქვეყანაა, ხელმწიფევ ჩემო; და კვლავაც ვიტყვი: ჩვენში ყველა ფიქრობს: მე უკეთ ავაშენებდიო, მე უკეთ დავწერდიო, მე უკეთ ვიტყოდიო, მე უკეთ ვიქმოდიო, მე უკეთ ვისარდლებდიო, მე უკეთ ვიმეფებდიო. და ამიტომ მარადიული შური მძლავრობს ნათესავი ქართველის გულში, მაგრამ შური არა ვინმე უცხო თესლისადმი, არამედ მხოლოდ და სწორედ საკუთარი თვის-ტომისადმი, თანაზიარი სისხლ-ხორცისადმი. ასეთია ნათესავი ქართველი — უცხოსგან აშენებულ ფეხისადგილს ამჯობინებს ქართველისაგან აგებულ ტაძარს; უცხოსგან ნათქვამ, ათასგზის ნალეწ სიბრიყვეს ამჯობინებს ქართველის ცინცხალ სიბრძნეს; ასეთია ნათესავი ქართველი — არასდროს საკუთარ თავზე ფიქრით იმდენს არ იხარჯება, რამდენსაც მეორე ქართველზე ფიქრით, მისი სიკეთის, მისი სიმაღლის, მისი გამარჯვების ჯავრით და ბოღმით, მე არ ვიცი, იქნებ შური ქართველ კაცს მისმა ბედისმწაფელმა მხოლოდ იმად დაუდ-

გინა, რომ მუდამ ფხიზლობდეს, არ თვლემდეს, გული არ უგრილდებოდეა და შური ღვიძლა მუდამ რაღაცის სამოქმედოთ ე-შური-ებოდეს. მაგრამ ეს კი აშკარად ვიცი, რომ ქართველი სწორედ ქართველის დაანაჩაგრავად და დასამდაბლებლად ე-შური-ება გასაოცარი ძალისხმევით და ძალის მოკრებით. ქართველს ქართველი ოდენ მანამდე ითმენს, სანამ მის გვერდით მიაბოტებს და სანამ მის წინ თუნდაც ერთი გოჯითაც არ აიწევა. ამიტომ ეხარბებიან და ემტერებიან ქართველები ქართველთა თვალებს. ამიტომ ეხარბებიან და ემტერებიან ქართველები ქართველთა მკლავებს. გეტყვი, მეფეო, შენ ერთადერთს: როცა ქვაზე ჩუქურთმას ვჭრი, მოხდება ხოლმე, მარჯვენა მკლავი, ბეჭით მტევნამდე, მთელს სიგრძეზე, ერქოლას დამიწყებს, ისეთ ერქოლას, თითქოს ძარღვებში კრაზანები მიმოქრიან ნებტართა ცემით, და ვიცი, რომ სწორედ მაშინ, ჩემს მაცქერალ ხუთას წყვილ თვალში, ოთხას ორმოცი წყვილი მაინც შურის მზერით მიკბენს სისხლს და მიჭამს მარჯვენას. ამიტომ ვამბობ, მეფეთმეფეო, ჩემს მკლავს მოკვეთა მხოლოდ მაშინ დაემუქრება, უკეთუ ჩვენი სათაყვანო სვეტიცხოველი მისი საკარი დიდებულებით განესრულება; ხოლო, უკეთუ არსუკისძის მკლავი გაცუდდა, დამერწმუნეთ, გაცუდებულ მკლავს არამც თუ მოკვეთა არ დაემუქრება, არამედ კიდეც შეაქებენ მას, შეაქებენ და სახოტბო დიდსიტყვაობით გააფუებენ.

მეფე მდუმარედ ისმენდა, მდუმარედ მიმოდიოდა, მოკლე ნაბიჯით და ტანის მსუბუქი მიმორწევით. მერე არსუკისძის წინ შეჩერდა, თვალებში მიაცქერდა და უთხრა:

— ასე გამოდის, შენს მკლავს მართლაც წარკვეთის განსაცდელი დამუქრებია.

— ასე გამოდის, — გაეცინა არსუკისძეს.

მცირე ხანს ისევ იყუჩა მეფემ და მას უკან, ისე რომ თვალი არ მოუშორებია, ეს მიუთვალა:

— და გამოდის ისიც, რომ მე მაშინ ცოცხალი აღარ ვიქნები.

— ეს... როგორ? — აწრიალდა თვალშვენიერი.

— სწორედ, სწორედ, ასე გამოდის. თუმცა რა ვუყოთ, ან რა შენი ბრალი იქნება! — ბეჭზე ხელი რამდენჯერმე შემოჰკრა ბაგრატმა და დინჯად დაასრულა:

— აჰა, ესერა, მე სვეტიცხოვლის დასრულებას ვერ მოვესწრები.

— ხელმწიფეო!.. — და დაბნეულმა არსუკისძემ მუხლის მოყრა დააპირა, მაგრამ მეფემ არ დაანება.

— დადექ და დამშვიდდი, ბედისწერამ ასე ინება და ასეც თქვა, — მშვიდად ლაპარაკობდა მეფე.

— ვისმა ბედისწერამ, მეფეო? — ანგარიშმიუცემლად შეჰკადრა თვალშვენიერმა.

— ჩემმაც და შენმაც, ორივემ ერთად.

— ?!

— უკეთუ ჩვენ, ახალი სვეტიცხოვლის კურთხევას ორივე დავესწარით, ორივე ვიზეიმებთ და ვიხარებთ, ხოლო უკეთუ შე ძაწამ მოვკვდები, მაშინ შენ ქართველები, თუ თავს არა, ბაღანს მაინც დაგაგდებინებენ, რადგან შენ ხომ კარგს ააშენებ, კარგს, უხეხაესს, ვინათგან შენ სხვანაირად, ცუდის აგება არც შეგიძლია.

სთქვა საოცარი ზემიწიერებით გაცისკროვნებულმა გვირგვინოსანმა და მოეხვია კაცს, რომელიც ქუთათისის ტაძრის აგების შემდგომ, რაღაც ზენასოფლური რწმენითა და სიყვარულით განეცდებოდა.

რაღაცის თქმა დააპირა თვალშვენიერმა, მაგრამ ისევ დაასწრო მეფემ:

— შენ ეს მითხარ, უმაწვილო, ვინ თქვა შეგონება ესე — შური არს წუხილი მოყვასისა კეთილსა ზედაო?

— ბასილი დიდმა კესარიელმა, — სწრაფად მიუგო თვალშვენიერმა.

— და უფრო მართებულ იქნებოდა, ამიერიდან ასე გვეთქვა: შური არს წუხილი ქართველისა ქართველის სიკეთესა ზედა! — სთქვა მეფემ მშვუნვარებით.

მშვუნვარებამ მოიცვა არსუკისძის სრული არსებაც.

მშვუნვარებამ დაისადგურა სრული ირგვლივით.

უცებ ორბის ყივილმა გამოაფხიზლა ორივენი.

ცას აჰხედეს, ორივემ ერთწამიერ.

ორბი სწორედ მათ დასწვრივ ბრუნავდა საირმაოზე.

არსუკისძის მცირე სახლაკის წინ, სადაც ახლა მეფე და მისი პიროთმოძღვარნი იდგნენ, — გარაბადზე სახლის პატრონის სანადირო მშვილდი და ისრებით სავსე ნიჯაროი ეკიდა.

— ახლა გაირკვევა, თვალშვენიერო, ბედისწერას საით მივყევართ! — შესძახა მეფემ არაამქვეყნიური სიცილით და ჯერ მშვილდი ჩამოიღო, მერე ნიჯაგორიდან უგრძესი, ფრთემაღალი ქეიბური ამოარჩია და მშვილდზე გამართა.

მეფე ხელუცთომელი მოისარი და მონადირე იყო. ორბიც ისე ახლოს დასტრიალებდათ, კარგად უჩანდა ნისკარტიც, ჭანგებიც, ტანის რახსიც და კუდის სითეთრეც. და არავითარი ეჭვი არ იყო, ორბი მის ლაღ საირაოს წამში მკვდარი მოეხსნებოდა.

— შენ გიბრიალებს თვალებს, არსუკისძევ, მკლავის წართმევას გიპირებს ალბათ!

სთქვა მეფემ ისევ სიცილით, მშვილდი მოზიდა, გაჰხედა, წამით გაქვავდა და... ისარმაც იწივლა.

ორბმა, თითქოს აინუნშიაც არ ჩააგდო დედამიწიდან ნატყორცნი სიკვდილის მაცნე. მხოლოდ ერთხელ იყივლა რაღაცნაირი ჯანღიანი ხმით და კვლავ განაგრძო ფრთების ლივლივით რწევა უშფოთველი.

მეფეს კი მიწისფერი ედო სახეზე.

არსუკისძესაც უ.ახლეროდ ატკენოდა გული.

— ერთიც სცადე, მეფეთმეფეო! — შესძახა და ნიჯაგორა ეცა ახალი ისრის ამოსაწვდენად.

— ხელი არ ახლო! ბედისწერამ ერთი გასროლის უფლება მარგუნა მე, ბოლო ბედისწერას ღმერთებიც ვერ მოუშლიან ნაბიჯს.

— მაშინ მე მომეც ნება, მეფეო! — წაეტანა არსუკისძე მშვილდს, რომელიც ბაგრატს ჯერ ისევ ეპყრა მოშლილად დაშვებულ მარცხენა ხელში.

— როგორ, კადნიერო, მეფეს უნდა გაეჯიბრო და... აჯობო? — ისევ სიცილით თქვა ბაგრატმა და თვალშვენიერმა იგრძნო, რომ სიცილი იგი თავშეკავებული მძვინვარებით იყო აღსავსე.

— შემინდე, ხელმწიფეო! — ამოიგმინა არსუკისძემ, უფრო მეფის წუხილით შეძრულმა, ვიდრე მისი რისხვათ შემკრთალმა.

— არ გაბედო, ეჭვათგან ჯვარი არს იგი.

— ჯვარი?!

— აბა, შეხედე! — მეფემ მშვილდით აჩიშნა ცისკენ,

არსუკისძემაც აიჩეჩა და იხილა — ორბი მართლა ჯვარს ჰგავდა, ჯვარსახოვნად ფრთაგაშლილი და ცად განრთხმული.

— მე ჯვარს ვესროლე და ვინძლო შენც აღარ ესროლო ჯვარს. მე ამ ცოდვისთვის დავისჯები და ვინძლო შენც აღარ დაისაჯო, — დაასრულა მეფემ.

იკი ნელი ნაბიჯით მივიდა და გარაბადზე დაჰკიდა მშვილდი. და როცა გაბრუნდა, თვალშვენიერს უკვე დამშვიდებული ეჩვენა ის. მაგრამ ისიც მოეჩვენა, თმა-წვერი თითქოს უფ-

გაეთეთრებოდა მანამდეც ჭაღარა ხელმწიფეს. ძალიან კი ვეღარა განსპეტაკებული თმები ისედაც ახოვანსა და სახიერებით განთქმულს.

— რაც მოხდება, მოხდეს, ყველა სიკვდილის შვილები ვართ. სიცოცხლეც სხვა რაი არს — დაბადებითვე სლვა სიკვდილისკენ! — თქვა და მხარზე ხელი დაადო მეფემ ხუროთმოძღვარს.

ისე იგრძნო არსუკისძემ, თითქოს მკვდრის ხელი ეტვირთა ბეჭზე.

— რა ბრძანებაა, ხელმწიფეო! შემთხვევაა და სხვა არაფერი.

— შემთხვევაო? ჰო, შემთხვევა, მაგრამ შემთხვევაა კაცის გაჩენაც, მისი საწუთროც შემთხვევების ჯამია და სხვა არაფერი, შემთხვევაა მისი სიკვდილიც.

— ნუ ინებებ სიკვდილზე ფიქრსაც.

— სიკვდილზე ფიქრი მამშვიდებს მუდამ, — შესძახა მეფემ და მოახტა ცხენს.

გაღმა, არმაზის მხარეს, ამალა უცდიდა, მისივე ბრძანებით ჩამოკვეთილი და დატოვებული. მელქისედეკ კათალიკოსიც იქ იყო, გიორგი ბატონიშვილიც, ზვიად სპასალარიც.

ერთხანს სვეტიცხოველს უცქირა მეფემ მდუმარედ. მერე მიუბრუნდა და უთხრა თვალშვენიერს:

— ამასაც მშვიდად გეუბნები, მშვიდად, მაგრამ შეურყევლად და შეუცვალებლად: სვეტიცხოვლის აღმშენებლობას არ დაეძინოს და ძილით სიკვდილს არ მიეჩვიოს!

— უძილოდ და უსიკვდილოდ აღესრულება, მეფეთმეფეო! — შესძახა ხუროთმოძღვარმა.

— შენ კი რასა მთხოვ, თვალშვენიერო?

— ჩემი თხოვნა ერთადერთია.

— სთქვი!

— ფიქრს ნუ დაუთმობ ფრინველის ჯვარსახოვნებას, ჩემო მეფეო, ვინათგან ანაგებით ჯვარია ყოველი ყოფიერი — ფრინველიც, ადამიანიც, ყოველი სულდგმულიც და არასულდგმულიც. ქვეყანას რომ ოთხი მხარე აქვს, ეგეც ჯვარია. ყოველ ხილულში ჯვარი იხილვების, ყოველ უხილავში, გინა წარმოსახვითში, ჯვარი წარმოისახვის. ჯვარია სიბრძნეც, ჯვარია სინათლეც...

— კმარა! — ხელი აიქნია მეფემ — ეგ ყოველივე იქნებ მეც ვიცი, მაგრამ... ჯვარს არ უნდა ესროლო-მეთქი!

დაიბნა თვალშევნიერი.

—თავს გაუფრთხილდი, ჩემო მეფეო!

— კეთილი, მე თავს გავუფრთხილდები, ხოლო შენ — მკლავს გაუფრთხილდი!

თქვა მეფემ და ქუსლი ჰკრა ცხენს.

ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა და უკანასკნელი სიტყვადი მიმოქცევა იყო.

იმ წელიწადს მეფე ბაგრატ მესამე, აფხაზეთისა და კახეთ-ჰერეთის მოვლისა და მანდაურ საქმეთა განსრულების შემდგომ, სამხრეთ საქართველოსკენ წარემართა. ტაო და ბასიანი იქაურ ახსაურთა ღალატისა და „ღადრობის" წყალობით, ბიზანტიელებს ეპყრათ, აგერ, თოთხმეტი წელიწადი. კეისარი ბასილი მეორე ბაგრატ მეფესთან „მეგობრობას" არ ელეოდა, მაგრამ ტაო-ბასიანის ქართულ მიწებზე ხელის პოტინსაც არ იშლიდა.

და ჩავიდა მეფე ბაგრატ მესამე ტაოს.

ფანასკერტის ციხეში დადგა.

მისვლისთანავე სპასალარი ზვიად ერისთავთერისთავი ერთგულ ახსაურთა შემოსაყრელად გაგზავნა.

ზვიადი რომ მობრუნდა, საღსალამათად დატოვებული მეფე სარეცლად დახვდა დარეცილი.

და მიიცვალა იმ ღამით.

აღესრულა საქართველოს მესამე გამაერთიანებელი.

ხელმწიფე, რომელიც „წარემატა ყოველთა ხელმწიფეთა ყოვლითა გახგებითა".

ხელმწიფე, რომლის „შემპოვნედ და მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ხელმწიფენი"

ხელმწიფე, რომელსაც „დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი წინააღმდგომნი“.

ხელმწიფე, „გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათვის“.

გამეფდა 15 წლისა, იმეფა 36 წელიწადი, აღესრულა შობითგან 51 წლისა.

ზვიად სპასალარმა ფანასკერტიდან წამოასვენა საყვარელი მეფის ცხედარი.

ლიხის მთაზე შეიყარნენ მგლოვიარე ამერ-იმერი.

დაკრძალეს ბედიის ტაძარსა შინა.

(არსად კაცთა ჯიშთაგან ისეთი დიდებული დაკრძალვა და დატირება არ იცოდნენ, როგორც ქართველთა).

გლოვობდნენ საქართველოს მოყვარენი — ქართველნი და არაქართველნი.

ზეიმობდნენ საქართველოს მომტერენი — არაქართველნი და ქართველნი.

ვედრება მეორე

დრო კი მიჰქროდა უსულთქმოდ და უწერტილოდ. მიჰქროდა ძველ ფრთათა განყრით, ახლად ასხმული ცინცხალი ფრთების ქნევით, ფათქუნით, დგაფუნით. მიჰქროდა კაცთა დაუკითხავად. კაცთა მოდგმას კი ისევ ეგონა, დრო ვიდოდა კაცთა ჰკუისად.

დროს თავის ჰკუისად მიჰყავდა დროგადასულნი.

და მოჰყავდა დროს დრომოსულნი.

ახლა საქართველოს ტახტზე მეფე გიორგი პირველი იჯდა, ბაგრატ მესამის იამავარი ძე.

ტახტზე ასვლისას იგი იყო თორმეტი წლისა.

მუდამ მძიმე ქართული გვირგვინი კი დღითი დღე უფრო მძიმდებოდა.

და ღამეებიც უფრო და უფრო სჭარბობდნენ დღეებს.

მაგრამ ქედი მძლავრი დაჰყვა „ყმაწვილ“ მეფეს.

და იყო ყრმობითვე გულუძვრელი, „ახოვან და ყოვლითურთ უშიში ვითარცა უხორცო“.

და „სავსე ყოვლითა სიკეთითა“.

საქართველოში კი ღალატი ჰყვაოდა.

ღალატი — თანასისხლიერის შურისა და სიძულვილის საძირეზე დამყნილი.

სინდისსაც, საკუთარ სინდისსაც რომ ეკითხა მოღალატისთვის, რად ჰღალატობო, ვერც კი გეტყოდათ ღალატის აზრს.

ეს იმას ჰგავდა:

„რადა მღერი?“ — ეკითხებიან მომღერალსა.

„მემღერების და ვმღერივარ“, — პასუხობს მომღერალი.

„რადა ჰღალატობ?“ — სინდისი (საკუთარი სინდისი) ეკითხება მოღალატეს.

„მეღალატების და ვღალატობ“, — პასუხობს მოღალატე.

ღალატი ჰყვაოდა და ბარტყობდა საქართველოში.

და იმ დღეს, რა დღესაც ქუთათისში, ბაგრატის ტაძარში, გიორგის მეფედკურთხევა განესრულა, აღმოსავლეთ საქართველოდან პირველი საშფოთარი ამბავი მოიჭრა: „განდგა ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყანათა კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველად აქუნდა იგი“.

ბრაზით შესჭამა ჯავრი ყმაწვილმა მეფემ. ჰერეთ-კახეთის საქმე დრომდე უნდა გადადებულიყო: ქართული სისხლის დაჭცევით არ უნდა დაეწყო ხელმწიფობა ქართველ ხელმწიფეს.

ჯერ მას სამხრეთულ-ქართული მიწები ეძახდნენ — ტაო და ბასიანი.

ვედრება მესამე

გიორგის მეფედკურთხევის დღეს კიდევ მოხდა ერთი საკვირველი ამბავი, რაიც ხუროთმოძღვარს, თვალშეუნიერ არსუკისძეს გარდახდა თავს.

შუა წელზე იყო მოყრილი სვეტიცხოველი, ხუროთმოძღვარს რომ ხარაჩოზე სიარულისას მძიმე ხიფათი შეემთხვა. ფიცართა გადაბმაზე მთავარი ჯიბუკი ლუსმარი ცთომილათ ჩაეჭედა ხუროს. არსუკისძე რომ გადადიოდა, სწორედ მაშინ გამოეცალა ლუსმარს სამაგრი ძალა, ფიცარიც ფიცარს აღარ შეეფიცრა, წამისად ორივე ჩაყირავდა და გაღმა-გამოღმა გალაჯული კაციც უკვე უსაყრდენო სივრცეში ჩაინთქა.

მხოლოდ იმის გააზრებაღა მოასწრო თვალშეუნიერმა, თავით არ დაეცეო, კედელს ფეხი სცა, ჰაერში ირმიცულად გაიჭრა და მიწას მარჯვენა მხარით დაეჩარცხა.

მძიმედ კი დაირეცა. ბეჭი კვირისტავიდან ამოუვარდა. უსაშველო ტკივილმა ცნობა წაართვა.

მივარდა ქარჩაისძე, თუში გალატოზი, და აღარ დაზოგა სათაყვანო ოსტატი: მარცხენა მხარეს გადააბრუნა, მარჯვენა თეძოზე ფეხი დააბჯინა, ამოვარდნილ მკლავს დასწვდა, მაღლა აზიდა და ბეჭი საბეჭე კვირისტავში უკანვე ჩაუგდო.

ტკივილმა ისევ დაუბრუნა ცნობა არსუკისძეს. სანამ მის სახლაკში მიასვენებდნენ, მკლავი გაუსივდა და ფრჩხილები გაულურჯდა.

გარეთ დამაწვინეთო, თვითონვე ითხოვა, ბანზე, საიდანაც ფუძიდანვე ჩანდა სვეტიცხოველი.

მეფე და კათალიკოსი ისევ ქუთათისში იყვნენ — ტაძრეულით, დარბაზეულით, მსახურეულით.

ავადმყოფ ხუროთმოძღვარს, ყრმობით ობოლს, ხეკორძელი ქალი უვლიდა, სეფელია, დედის სწორი დიაცი, თვითონ უშვილძირო და უთვისტომო. ის ურეცხავდა და უკერებდა, ის უცხობდა და უხარშავდა.

ახლა ქარჩაისძეც შემოდიოდა ხშირად. სახვევებსა და საფენებს უცლიდნენ მკლავზე ავადმყოფს. დინდგელის, მრავალძარღვას, ზმილაკის, უზვერულისა და ყაყაჩორას ნახარშით უზელდნენ, უსალბუნებდნენ და ცხელი კუპრიელით უარტახებდნენ მარჯვენს.

მერე ქარჩაისძემ თუშეთის ცვრიან საძოვარზე და ბიცოვან წყლებზე ნაზარდი მოზვერი დაკლა და მის მხურვალე სისხლში აბანავა ხუროთმოძღვარი, მანამ აბანავა, სანამ სისხლი ტანზე არ შემოაცივდა ავადმყოფს.

მაგრამ საშველი მაინც არ ჩანდა. არც სიმსივნე ცხრებოდა მკლავზე, არც დამთრგუნველი მხურვალება ტოვებდა გათარანებულ სხეულს.

ვედრება მეოთხე

და ერთხელ, ნაშუადღევს, როცა ტკივილითა და უძილობით განაწამებ სნეულს ჩაეძინა, ორბი მოფრინდა, რახსისფეროვანი და ბოლოთეთროვანი.

ნისკარტი და ჭანგები სისხლით ჰქონდა გაღვენთილი, ახალი, ოხშივრიანი სისხლით.

და დააჯდა სნეულ მკლავზე ორბი იგი არსუკისძეს, დააჯდა და ნისკარტით არტაშანი შემოაგლიჯა ელვის უსწრაფესად და ჰანგით კანი ჩაუჭრა და იჭექა ჭრილობიდან ჩირქმა, თხრამლმა და შალალმა.

აცალა ორბმა და, როცა გალახული სისხლი და წბოლი სრულად დაწდა და დაიწურა, ნაჭრილობევში ნისკარტი ჩაჰყო და შიგ ჩაასხა პირითა და ჩინჩახვით ჯუმლად ნაგროვი უცხო სისხლი უცხო ფრთოსანმა.

ტკივილმა, სიკვდილის ავმა ჩაფარმა, უცებისად აიკრიფა გაჟარვარებული შანთები და განივლტო მისგან ნაწამები ადამიანის ტანისაგან. და უსაზღვრო ნეტარებამ მოიცვა არსება ხუროთმოძღვარისა. ჯერ შიშობდა თვალის გახელას, — ვაი თუ ოდენ სიზმარი მეზმანება და სინათლის ხილვამ ტკივილებით აღსავსე სიცხადე უკანვე დამიბრუნოსო.

მერე ის იფიქრა თვალშვენიერმა, იქნებ ეგზომ უსაზღვრო ნეტარებას სწორედ სიკვდილის კარიბჭეში შევყავარო და თვალები განახვნა ნასწრაფევად.

და იხილა ჯერ უხილავი სახილველი სვეტიცხოვლის აღმშენებელმა: მარჯვენა მკლავზე ორბი აჯდა და დაჟინებით უცქერდა მის თვალებს. ალბათ, ამ თვალებმა გამაღვიძეს და გამომაბრუნეს სიკვდილის კარიბჭისგანო, გაივლო და თვითონაც მზერა გაუმართა ორბის თვალებს თვალშვენიერმა.

ჩემსავით თაფლა თვალები ჰქონიაო, გაუელვა ადამიანს.

ჩემსავით თაფლა თვალები ჰქონიაო, თითქოს „უელავდა" ფრინველსაც.

ორბი ფერად რახსი იყო და ამან კიდევ უფრო განაცვიფრა და გააცბუნა თვალშვენიერი, — რადგან რახსი იყო ისიც, იქ, ქვემოთ, მცირე ვაშკარანში რომ ესვენა რუდუნებით...

დიდხანს უცქერდნენ ერთმანეთს თვალუძვრელნი და ურთიერთ მზერა-განწირნილნი.

ადამიანის გუმანისა და გონებისათვის შეუღწეველი და შეუცნობელი რამ შეიგრძნო კაცმა ფრინველის ამ უძრავ თვალთა მიღმიერ. ვეღარ გაუძლო და წამით მზერა ორბის თვალებიდან მის სისხლიან ნისკარტზე, ჰანგებზე და ბუმბულზე ჩამოატარა. უცქირა, უცქირა, მაგრამ ვერასდიდებით ვერ მიხვდა რა სულიერისა უნდა ყოფილიყო ეს საკვირველი, მაკურნებელი და მაცოცხლებელი სისხლი —

ზესკნელურისა, თუ ქვესკნელურისა?
ფრთოსანისა, თუ რქოსანისა?
მიწაზე მცოცავალისა, თუ ფეხზე მოსიარულისა?
ჩლიქ განპებულისა, თუ ჩლიქ-განუპობელისა?
მცოხნელისა, თუ არამცოხნელისა?
ძუძუმწოვრისა, თუ კვერცხისმდებლისა?
ხვასტაგისა, თუ ნადირისა?

და დარწმუნდა თვალშეუნიერი, რომ არ იცნობდა არა სულიერს, რომელსაც ასეთი ფერის სისხლი ექნებოდა — სისხლის, ლაჟვარდის, ბროწეულისა და ყაყაჩოს ფერებით შეზავებული.

ერთხელ კიდევ მიუსვ-მოუსვა ნისკარტი ნაჭრილობევს ორბმა-დასტაქარმა, ერთხელ კიდევ აუარ-ჩაუარა და მსუბუქად დაუბრჯღალა და დაუბალთა მკლავი ბეჭიდან მტევნამდე.

გამორჩევით კათოლიკე ძარღვი მოურყია ჭანგებით.

და აფრინდა ორბი, აფრინდა მცირე შეყივლებით, აფრინდა, მწოლარე კაციშვილის თავზე სამგზის წრე შემოხაზა, უცებ ცაში აიჭრა და საირაოზე დატრიალდა ჯვარად გაშლილი.

— რა გქვია შენ? — შებღავლა არსუკისძემ და წამოიწია მარცხენა მკლავზე დაბჯენილმა.

და თითქოს პასუხად რაღაც ჩამოჰყივლა ორბმა, სამმარცლოვანი დაყივლებით.

„ა-ი-ე!" — ამოიკითხა ამ დაძახილში თვალშეუნიერმა.

წამსვე გონებაში გამოაკოპიტა და უმალვე დაიქუხა:

— არიელ!!!

და წამსვე უცნაური, მანამდე კაცისთვის უსმინარი ხმით იყივლა ორბმა ჯვარსახოვანმა, ჯვარი ელვასავით დაბრუნდა, ბორბლად იქცა, ისევ გასწორდა, ისევ იყივლა ძალმოსილი გულმარიხიანი ყივილით, კამარა შეჰკრა, ცა გადაჰკვეთა და გაუჩინარდა.

— არიელ, ძე ჰაერეთისა, ვინ მომივლინა მე იგი და ვინ მიკარნახა სახელი მისი?!

ფიქრობდა გაოგნებული ადამიანი.

მესამე დღეს, სისხამზე, ფეხზე დადგა თვალშვენიერი. ისე მხნედ იყო, თითქოს, ავადმყოფობას არასოდეს არ გაეცლოს მის სხეულში.

მკლავიც სავსებით გამთელებოდა. მხოლოდ ნაჭრევი სამი თითის დადებაზე უჩანდა მკრთალად.

ქალაქს ჯერ ისევ ეძინა, ფეხზე რომ ადგა.

საყვარელ შავრა ცხენზე შეჯდა და ხეკორძისკენ გაქუსლა.

ხეკორძულას მიადგა, ცხენიდან გარდახდა, ტანთ გაიხადა და გადაეშვა წყალში, თავისი ყრმობის გამნათლავ ემბაზში.

მანამ იბანავა, სანამ ახლად აღმოხდენილი მზის სხივმა არმაზის მთა არ გადმოლახა და ხეკორძულას ტალღებს არ ჩამოეჭრა.

და ამოვიდა მდინარიდან კვლავ განათლული და სულიან-ხორციანად გასალკდევებული.

და უცებ, კვლავ მოიჭრა ორბი იგი, ყივილით და ფრთების დგრიალით.

— არიელ, არიელ!

მარჯვენა მკლავი გამართა თვალშვენიერმა.

და დააჯდა ისევ მკლავს ფრინველი.

და ისევ აუარ-ჩაუარა ბეჭდან მტევნამდე, აუარ-ჩაუარა და, ფრთების ცემით, კრინვით და კმინვით, დაუკაწრა, დაუჭანგა, დაუბუბნა და დაუბალთა.

გამორჩეულად, ისევ კათოლიკე ძარღვი დაურყია და დაუჯგვლიმა ფრინველმა ვაჟკაცის მკლავს.

მიმოდიოდა მკლავზე ზემოდან ქვემოთ ორბი იგი და თან ნისკარტით უნერწყვავდა და ულოპრავდა ბროწეულისფრად აყვავებულ კუნთებს.

და ლოპრი იგი გამოსცემდა სასწაულად საკვირველ სურნელს, უფრო ახლად ნაძუძური ჩვილი ბავშვის ხსენის მსგავსებულს.

მარცხენა ხელი წაატანა ორბს არსუკისძემ, მარჯვენაც მოიშვილდა და ორივე მკლავით ატაცება მოუნდომა, მაგრამ არ დაჰყვა ფრინველი ნებას ადამის ძისას.

არც მისი ალერსი იალერსა.

არც მისი ფერება შეიფერა.

არც თვითონ გაიმეტა კაციშვილის მკერდისთვის, ან სახისთვის ლოპრი იგი სასწაული, ნაძუძური ჩვილის ხსენივით სურნელოვანი.

ისე ჩანდა, მხოლოდ არსუკისძის მარჯვენა მკლავისთვის ემეტებოდა ცით მოტანილი იდუმალი მადლი ორბსა რახსისფეროვანსა და ბოლოთეთროვანსა.

და აფრინდა, და გაფრინდა ორბი იგი ხაფიანი ყივილითა და გულმარიხიანი ყიპყიპით.

თვალი გააყოლა თვალშვენიერმა და გული დაწყდა, რომ არიელის სიმაღლიდან არ შეეძლო ქვეყნის დანახვა.

გაფრინდა ორბი და დატოვა მარჯვენა სვეტიცხოველის აღმშენებლისა, აღვსილი საკვირველი ძალმოსილებით და იდუმალი გრძნეულებით.

ვედრება მეექვსე

ამის შემდგომ ყოველ მესამე დღეს, გამთენიაზე, მიდიოდა შავრაზე ამხედრებული თვალშვენიერ არსუკისძე ხეკორძულაზე საბანაოდ. ყოველ მესამე დღეს, სად იყო და სად არა, გამოჩნდებოდა ორბი იგი ბოლოთეთროვანი და რახსისფეროვანი, ფრთებს დაიკეცავდა, შურდულივით დაეშვებოდა და დააცხრებოდა წყლიდან ახლად ამოსული ვაჟკაცის მარჯვენს.

დააცხრებოდა და დაუკორტნიდა, დაუბუბნავდა და დაუბალთავდა ნისკარტის, ჭანგებისა და ფრთების ცემით.

ცემდა, წაფავდა და ააღმასებდა არიელი სვეტიცხოველის აღმშენებლის მარჯვენას — გამორჩევით, ძარღვსა კათოლიკესა.

და მიფრინავდა.

და მოფრინავდა.

და ასე ყოველ მესამე დღეს.

და არსუკისძეს, მკლავგრძნეულსა და მკლავსასწაულს, მხოლოდ იმაზე წყდებოდა გული, არიელის სიმაღლიდან რომ არ შეეძლო ქვეყნის დანახვა.

სავედრებელი მესამე



ვედრება პირველი

ქვა არის სიტკიცე დედამიწისა, ჩონჩხი მისი სხეულებრივი ანაგებისა, სასოება მისი ტანის სიმთელისა და განურღვევლობისა.

უკეთუ ქვა არ ყოფილიყო, ადამიანიც არ იქნებოდა, ანდა თუ იქნებოდა, სხვანაირი უნდა ჩამოკვეთილიყო ადამიანი, სულ სხვანაირი.

(იქნებ კიდევაც აჯობებდა, სხვანაირი ყოფილიყო ადაძიანი, იქნებ უარესიც იქნებოდა, მაგრამ ახლა ამ საკითხავთან არაფერი გვესაქმება).

ჰოდა, ქვა არის-მეთქი სიმტკიცე დედამიწისა და... ადამიანის სიმტკიცეც.

ადამიანი ქვის სიმტკიცის და სიმკვრივის იმედად ცხოვრობს და იღწვის.

და მთელს წუთისოფელს ქვასთან განუყრელ ჯუფთად ატარებს ადამიანი.

ქვა არის მისი პირველი საშრომელი და საბრძოლველი იარაღი-საცხოვრებელი.

ქვა არის მისი კერია-საცხოვრებელი.

ქვა არის მისი საკურთხეველი-საცხოვრებელი.

ქვა არის მისი სახლი-საცხოვრებელი.

ქვა არის მისი წისქვილი-საცხოვრებელი.

ქვა არის მისი საფლავი-საცხოვრებელი.

ქვასავით მტკიცე.

ქვასავით მძიმე.

ქვასავით მკვრივი.

ქვასავით მთლიანი.

ქვასავით მომთმენი.

ქვასავით უგრძნობელი.

ქვასავით გული, გინა გულქვა.

და ქვა თვითონ არს გულქვა, ფრიად გულქვა ადამიანისთვის.

არაფერი ისე გულქვად, ჯიუტად არ ეურჩება ადამიანის ხელს და გონებას, როგორც ქვა.

მაგრამ მაინც დააბიჯებდა ქვით ნამტკიც დედამიწაზე კაცი კაცთაგანი, რომლის წინაშეც ყოველი ჯიშის ქვას სისხლში მონის თვინიერება ჩაუსახლდებოდა, მისი ხელის უბრალო გადასმაზეც ქვის გული ცვილისად ექცეოდა, მისი საჭრეთლის შეხებისას ძვალ-სახსარში ვასილისკო გაუვლიდა და ტანი აუცახცახდებოდა.

და ეს კაცთაგანი იყო სახელად თვალშვენიერი, გვარად-არსუკისძე, მესაიდუმლე და მეუფე სულისა ქვისა უსულოისა.

ველურ ქვათაგან ყოვლად მყაფარ და საჭრეთლის მსხლეტარ კოხის ქვასაც თვალს დაჰკრავდა თუ არა, მაშინვე უცნაური გერშით უპოვნიდა უწვრილეს ნერვებს და, ჩუგლუგის ერთი შემოკვრით, ეტრატის ფურცლებივით დაშლიდა ყოველი სხვა ოსტატისთვის შეუღწეველ შხამიან კოხს. უფრო მსუბუქად, თამაშ-თამაშით, მოჰყვებოდა არსუკისძის ხელს — კაჭარი და არძანი, სალა და კარკარი, სპონდიო და ფიქალი, სიპი და სასრევი, ქარწბია და სოდომის ნალეწი.

მაინც დრუნგილი იყო ტრფიალი და გზნება თვალშვენიერ არსუკისძისა.

ალგეთის, თეძმის და ნიჩბისის ბუდობთაგან ამოკაფული

ლაქვარდოვანი, მწვანე და ხორცისფერი დრუნგილის ლორფინები იყო მისი საყვარელი, სულის მარგებელი სამუშაო მასალა.

სრული გატაცებით და თავდავიწყებით თლიდა და კვეთავდა ჩუქურთმასა და ყოველი ახალი თხზულხაზის წარბის ახსნა და თვალის ახელა უსაზღვრო სიხარულით ავსებდა მის გულს.

გარშემო კი სრული ძალისხმევით იძვროდა ყოველი იძვრისი სვეტიცხოველის აღმშენებლობისა.

გიორგი მეფისა და მელქისედეკ კათალიკოსის მკაცრი განკარგულებანი, განუცადებელი ზრუნვა და ურვა მტკიცედ ესაწინდრებოდა ტაძრის აღმასვლას.

ხარები, ცხენები, კარაულნი, ვირი, კერძოვირი და აზავირი — ცალუღლად, უღლად, ყევრად — განუწყვეტლივ ეზიდებოდნენ ქვასა და ღორღს, ლოდსა და როკჭს, სილას და ქვიშას, კირსა და ცარცს, გაჯსა და კირლამს. ხე-ტყე ტივებით მოცურავდა მტკვრით და არაგვით, და ზედ ტაძართან ერთდებოდნენ, წეროების გუნდის მინამსგავსად.

განუწყვეტლივ და მონაცვლეობით თავიანთ კერძ სამუშაოს განასრულებდნენ — ხურონი, ქვითხურონი და კირითხურონი, მხატვარნი, მსახვარნი და მეჩუქურთმენი, ზენკალნი და კვერითხურონი.

იპრებოდა, იკაფებოდა, ითლებოდა და ირანდებოდა — აბაკი და ადიტონი, დვირე და დროშის ჰოკი, ანწალა და ავარტანი, ელამონი და ელევენი, თავბანდი და თავკიდე, კამარა და არწივაკი, ლატანი და ლავგარდანი, ბაზო და გულფიცარი, ბატიყელა და სერსერათი, თაღი და თაღის წარბი, კაკუტი და ჯალაბდარი, ლართხი და ლარტყა, ნივნივა დ საგბოლისი, საცრემლე და სალექარი.

ხალხში უკვე დადიოდა ხმა: მცხეთის სვეტიცხოველი ქუთათისის ბაგრატეულს ეჯიბრება ისე, ვითარცა კონსტანტინოპოლის აია სოფია ეჯიბრებოდა იერუსალიმის სოლომონის ტაძარსო.

და არსუკისძე არსუკისძეს ეჯიბრებაო, — ამასაც ამბობდნენ.

ვედრება მეორე

იცოდე, მკლავს დაგაგდებინებ, ჩემმა რომ მამიჩემისას არ აჯობოსო, — უთხრა ქუთათისიდან ახლად ჩამოსულმა, ახლადნაკურთხმა მეფემ, გიორგი პირველმა, თვალშვენიერს.

თან ისე უთხრა, კაცი ვერ მიხვდებოდა, სახუმროდ თქვა თუ საჭეშმარიტოდ.

ვედრება მესამე

ქვას აპობდა, აკოპიტებდა, თუ კაზმავდა — ყოველთვის მარტოობა ერჩივნა თვალშვენიერს, კაცთაგან მარტოობა.

არ უყვარდა, როცა მისი თითების კვალდაკვალ სხვისი თვალები დაცოცავდნენ, ღრიანკალის საცეცებივით.

მეტადრე შურიანი თვალების ფათურს ვერ იტანდა მის ნახელავზე.

არადა, თვალახმის გარეშეც უტყუარი გერშით შეიგრძნობდა და შეიცნობდა ბოროტი თუ კეთილი თვალის თვალთვალს გრძნეული ხუროთმოძღვარი.

იმ დღესაც ასე მოხდა.

თვალშვენიერი ტაძრის მთავარი კარიბჭის კურტიმლებს კაზმავდა, როცა ოფლით დაცვარულ მარჯვენა ხელის მტევანზე მოშურნე და მოძნაური მზერის დაცემა შეიგრძნო.

ხელი ზედ ქვაზევე გაუქვავდა.

აიხედა.

ჯარბის თვალები უქცერდნენ, უძვრელად, ჩაციებით.

ფეხისგულები გაუხურდა არსუკისძეს (რაიც სჩვეოდა უამური განცდის ჟამს).

ჯარბის თვალებიანი მწითური ჭაბუკი იყო. მწითური, თხელი წარბებით, დაბალი უნაოჭო შუბლით და წინწამოზიდული, უსაშველოდ გრძელბიბილოვანი ყურებით.

— რაი არს, ხუროთმოძღვარო, ასე ავად რომ შემომხედე? იქნებ, საჭვრეტად გებილწებოდე? — თქვა მოსულმა ჯიქურად და ისე ცივად გაიცინა, რომ სიცილი იგი ტუჩ-კბილის არეს არ გასცილებია და სახეზე ნაკვთიც არ შერხევია.

გალახული კვერცხიდან გამოჩეკილს ჰგავსო, გაიფიქრა თავისთვის თვალშვენიერმა, ხოლო ხმამაღლა ეს ჰკითხა ახალმოსულს:

— ვინ ხარ, ჰაბუკო, შენ?

— მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ჩემი მოსვლაც ამ ქვეყანაზე ჩვეულებრივი იყო. ჩემი არსებობაც ჩვეულებრივი ტაკიმასხარობით დაიწყო. დავიბადე თუ არა, ვითარცა ყველას, მეც სულ პირველად ბარძაყებში ჩამხედეს — ბიჭი დაიბადა თუ გოგო — და მერე მოითვალისეს ცხვირი და თვალები, პირის ნახევი და ყურის ნაპრეცნი, ხელები, ფეხები, თითები...

— მე დაბადება არ მიკითხავს და, ანთუ როგორი კვერცხისაგანი ხარ შენ, — გააწყვეტინა არსუკისძემ და კვლავ აემზადა სამუშაოდ.

— მაშ, სხვარიგ გეტყვი: არიან სხეულნი გრილნი და სხეულნი ტფილნი, ხოლო მე გრილთა სხეულთაგანი ვარ, — და ნასაუკუნევ ძვალთა ჩხარუნის მინამსგავსი ხმით გაიცინა მწითურმა სტუმარმა.

„ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილი ხარ, არცა ტფილი, და მეგულების აღმოგდებაი შენი პირისაგან ჩემისა“, — უცებ მიუგდო არსუკისძემ სიტყვითა იოანე ღვთისმეტყველისა.

— მე ვარ ქირქიშ აბულახტარი! — შესძახა სტუმარმა, დიდგულა, მზვაობარი ხმით.

— მაინც რაისთვის მოსულხარ, ჰაბუკო აბულახტარო? — ყრუდ ჰკითხა თვალშვენიერმა.

— სახილველად სვეტიცხოველის აღმშენებლობისა.

— აჰა, შეხედე, მიდი ხალხთან, აღმშენებლებთან.

— ხალხთან? — სიცილი აუვარდა ქირქიშ აბულახტარს. კარგა ხანს ღინცილებდა მხრებისა და ყურის ბიბილოთა ტოკვით.

— გინდა ხალხი და გინდა ხვასტაგი! ბღავილი კუშთა და გლასუნი მამრთა და მდედრთა, სხვა არაფერი! დანარჩენი ყოველივე, გონისმიერი, არის მხოლოდ ყალბზე უყალბესი ლაყბიერება, სიცრუე და ფარისევლობა! — როგორც იქნა დაბოლოვა და ბიბილოებიც დაუწყნარდა.

— საძრახისია, ფრიად საძრახისი, შენი სიტყვაც და შენი სიცილიც! — მკაცრად თქვა არსუკისძემ და ისევ შეუდგა მუშაობას.

— ხალხთან კი არა, მე შენს სახილველად მოვედი, ხუროთმოძღვარო.

— ჩემთან, რაისთვის? — ისე იკითხა, თავიც არ აუღია და არც მუშაობა შეუწყვეტია არსუკისძეს.

— სიდიდისთვის.

ეს რომ მოესმა, მაშინ კი ასწია თავი თვალშეენიერმა, კითხვის ნიშნით სახეგარდასახულმა.

— რა სიდიდისთვის?

— იმისთვის, რასაც დღეს ჰქვია არსუკისძე, აღმშენებელი ქუთათისის სამეფო და მცხეთის საკათალიკოსო ტაძრებისა.

— მერე, იხილე ერთიც და მეორეც.

— ტაძრები?

— სწორედ.

— მე ტაძრების დიდი აღმშენებლის ხილვა უფრო მეწადნიერება, ვიდრე იმ აღმშენებლის დიდი ტაძრებისა.

— ?!

— რადგან ხალხი აღმშენებელზე მეტს ლაპარაკობს, ვიდრე აშენებულზე.

— აკი ხალხი ხვასტაგიაო, და უკეთუ ასეა, მის ლაპარაკს რაღა ფასი აქვს?

— ხალხის ფასი სწორედ მხოლოდ ლაპარაკში და ხმაურშია, გინა ხვასტაგივით ზმუილში, ბღავილში და სხვა არაფერში.

შეჰხარა ამ სიტყვებმა თვალშვენიერი. დიდხანს სდუმდა მიწას თვალმიბჯენილი. რეცა, ეგზომ უტიფარი სიტყვის მთქმელიც გადაავიწყდა. მერე ტაძრის გარშემო მომუშავე და მოფუსფუსე ხალხს გაჰხედა და უსაზღვრო სიბრალულმა მოიცვა გული მისი. ბოლოს მოუბრუნდა იმ უსიამო სტუმარს და უთხრა თავშეკავებული მძვინვარებით:

— წადი აქედან, ჭაბუკო, წადი და დაივიწყე, ჩემთან რომ იყავ და მეც დავივიწყებ შენს სტუმრობას.

— არა, არ დაივიწყებ, არაის გზით არც დაივიწყებ და ვერც დაივიწყებ! — ჟინით დატენილი ხმით შესძახა სტუმარმა — ქირქიშ აბულახტარს ვერავინაც ვერ დაივიწყებს, და განა მარტო იმიტომ, რომ მას გრძელი ბიბილოები და ჯარბის თვალები აქვს, ან კიდევ, ხელის თითები უფრო მოკლე, ვიდრე ფერხთა თითები!

უნებურად თვალი გაეჭცა არსუკისძეს და მართლა გააოცა

ქირქიშ აბულახტარის ხელებზე თითების სიმოკლემ. ხელებიდან ფეხებზე ჩამოჰკრა მზერა, მაგრამ ძვირფასი, სინგურისფერი წაღები ემოსა ფეხებზე მწითურ ჰაბუკს და არ უჩანდა ფერხიცა თითები.

— ...არამედ საქმენი მისნი გაიძულებენ, ვერასოდეს ვერ დაივიწყოთ ქირქიშ აბულახტარი!

სთქვა მუქარით და უცებ იქვე მწოლარე უზარმაზარ რუჟან ლოდს დაწვდა ორივე ხელით, დაწვდა და, სანამ არსუკისძე რაიმე გააზრებას მოასწრებდა, ასწია ქირქიშმა ციმციმ ის მქისე ქვაკლდე, ათი ვაჟკაციც ასაწევად ხელს რომ ვერ შეუბედავდა. ასწია, წუთით ჰაერში გააჩერა და ისევ არხეინად ჩამოუშვა და დაასვენა ლოდი იგი მისსავ ნაწოლზე.

— აჰა! — იყვირა ნიშნისგებით და თვალი თვალში გაუყარა აბულახტარმა არსუკისძეს.

გაოგნებული იდგა სვეტიცხოვლის აღმშენებელი.

— სადაც ვინმემ თავისი სთქვას, იგი ნურც ჩემსას დაივიწყებს! — გაიცინა აბულახტარმა ავი სიცილით.

გაიცინა, გატრიალდა და გაუჩინარდა.

გაუჩინარდა და რაღაც უცნაური სუნი დატოვა, ჯარაოტის სიმყრალის მსგავსი.

თვალშვენიერი კი იდგა და გაშტერებით დასცქეროდა ქვას, რომელიც მართლაც ათ კაცს ბზის ფორნიდან ძლივს გადმოეღო და ახლა ერთ ვინმე კოტიტა თითებიანს ეგრე იოლად დაებრიყვებინა.

ვედრება მეოთხე

იმ დღეს ერთხელ კიდევ დაისვა ღრიანკალი ბარძაყზე ქირქიშმა.

დაისვა და გაახელა მსუბუქი ბწკენით, და როგორც კი გაავებულმა მცოცავმა ტიტველ ხორცს მარწუხები მოუჭირა და ნამარწუხალში გესლით გატიკნილი კუდი ჩაასრიალა, ქირქიშმა სრულად ჩანერწყვა და ჩაწურვა არ აცალა და უმალვე აიგლიჯა ხორციდან მცოცავი იგი.

ისე ჩანდა, თანდათან, მცირე ნანერწყვავით აჩეევდა ტანს ახალგაზრდა აბულახტარი ღრიანკალის გესლს.

ის დღე მოეწამლა თვალშვენიერ არსუკისძეს. რასაც ხელი მოჰკიდა, ვერაფერი სასიკეთოდ ვერ მოიხმარა — ვერც საჭრეთელი და ვერც საჭვრეთელი, ვერც სატეხი და ვერცა საკვეთი, ვერც ხვეწი და ვერცა ჩქუთი.

ბოლოს, ნასამხრალზე, იფიქრა — სულ მოცდენას, საიოლო რაიმეს მაინც გავაკეთებო და ბადიმებს ჩაუჯდა გასათლელად.

და უკვირდა ყველას, ბადიმების სათლელად როგორ მოიცალა ჩვენმა დიდმოძღვარმაო.

თლიდა და ქირქიშ აბულახტარზე ფიქრობდა არსუკისძე. უეჭველად გალახული კვერცხიდან იქნება გამოჩეკილიო. — ფიქრობდა, მაგრამ იმოდენა ძალა რა სატანას უბოძებია ამ ბოროტისთვისო. თანაც თავს ეგულისწყრომებოდა თვალშვენიერი, რატომ ვფიქრობო, აკი გადავწყვიტე სამუდამოდ დავივიწყო ეგ ნავსიანი ნაშობი ბელზებულისაო.

და ამ ფიქრში რომ იყო, უცებისად ისევ იგერშა უცხო თვალი ბადიმის თლაში გართულ ხელის მტევანზე.

მაგრამ ამჯერად იგერშა არა თვალი ჯარბისა, არამედ ჰოროლი მზისა.

წამისად აიხედა თვალშვენიერმა.

მის წინ შავ ბურნუსში გახვეული და შავი საკვართულით წელშეკრული ჰაბუკი იდგა, ხმელი, მაღალი, უხამლოი. მრეში თმები მძიმე ვარჯებად ეყარა მხრებზე. სახე ნამზეური ჰქონდა, უცხო, არაამქვეყნიური ფერისა და იერისა.

ასეთი წყობილი და დაწუნარებული სახე არასოდეს ენახა არსუკისძეს.

„ჰაბუკი სიბრძნის სიმწიფითა ნაყოფითა განშვენებული და... ეგზომ წყობილი, ეგზომ სახედაწუნარებული!..“

„ნეტავ, ასეთი ხომ არ მინდა იყოს სვეტიცხოველი?!“

და წამით ტაძრისკენ გაიხედა ხუროთმოძღვარმა.

წამითვე შემობრუნდა და ისევ საწეში შეხედა მოსულს.

თვალები დიდი და ლურჯი ჰქონდა.

და, თითქოს — წარბებიც ლურჯი.

მარცხნივ, საფეიქელზე — ცისფერი აშკი კათოლიკე ძარღვისა, ვითარცა ზედწარწერა — „კახ“.

ხოლო, შუბლი — მაღალი და ჯვარსახოვანი.

ღმერთო დიდებულო!

თვალი ხომ არ მაცდუნებსო, გაუელვა არსუკისძეს, ჭაბუკის შუბლს წამით მზერა მოწყვიტა, ზედაზენს გაჰხედა, მერე ჯვრის ტაძარს, იქიდან არმაზის მთას და ასე, გაწაფული თვალით, ისევ სტუმრის შუბლს მიაშტერდა.

ბეჯითად — ჭაბუკს შუბლზე ჯვარი ესახა!

ერთმანეთს უცქერდნენ დიდხანს, მდუმარედ, თვალგანწონილნი.

და გრძნობდნენ ცალ-ცალკე — როგორ ეღვრებოდათ ერთმანეთისგან სულში უცხო მზე — ამქვეყნიური სამზეოსგან მიღმიერი მზე.

გიორგი ვერ მიხვდა, ეს როგორ უნდა მომხდარიყო, მაგრამ აზრი კი დაიკრა, რა კითხვაც დაიბადა არსუკისძის გულში — „ვინ ხარ, ჭაბუკო, შენ?" — და გულნაფიქრალის სიტყვით გაცხადებას თვითონ დაასწრო პასუხი:

— ერთი მწირი ვინმე ვარ, მდაბალი და უხმარი მონაი ღმრთისა.

ეს მაინც და მაინც არ გაჰკვირვებია თვალშვენიერს. აკი ვინაობის შესატყობელი კითხვა ყველასთვის ერთნაირიაო და ახლა თვითონ დაასწრო კითხვა:

— სახელად რა გქვია, ღვთის ნათლულო?

— გიორგი.

— საიდან და რა გზით მოდიხარ?

— იმ გზით, რა გზითაც იარა ნინომ — ფარავნიდან მცხეთის კარამდე.

— ნინოს გზით? — გაიკვირვა თვალშვენიერმა. მცირედ ჩაფიქრდა და განაგრძო — იქნებ ყოველ ნათესავ ქართველს სულის მარგებელ ევლოგიად განეცდებოდეს ერთხელ მაინც გავლა მაგ გზისა.

თქვა და ისევ მიაშტერდა სახეზე სტუმარს.

დუმილი გახანიერდა.

„რომ გაიღიმოს, სამი-ოთხი წლის ყრმას დაემსგავსება", გაივლო გულში თვალშვენიერმა.

და „გულში გავლებულს" წამსვე ხმამაღლა მიუგო გიორგიმ:

— ბავშვის ერთ ღიმილს მთელი სამყაროს სიხარულიც ვერ აიწონის.

ამას კი აღარ მოელოდა თვალშვენიერი.

(მაგრამ გიორგი კი მოელოდა?!)

„ნუთუ ეს ჰაბუკი არის იგი — მარჩბივი ჩემი სულისა?!“ — გაუელვა არსუკისძეს.

„ნუთუ სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი არის მარჩბივი ჩემი სულისა?!“ — გაუელვა გიორგის.

— ბავშვის ღიმილიო? რაისად ამბობ? — ხმამაღლა იკითხა გაოგნებულმა არსუკისძემ.

— გზაზედ, ურბნისს რომ მოვატანე, ერთი ხის ჩრდილში მცირე ხანს შევდექ დასასვენებლად — დაიწყო გიორგიმ — იქვე მცირე მოლზე მივწექ და თვალი მივლულე. რაღაც შრიალმა გამომაღვიძა. ვხედავ, ჩვილი ყრმა, სამი ანუ ოთხისა წლისა, ბალახში მოაბიჯებს უძალო და უსასოო ნაბიჯებით. მოდის და ხელში ყვავილი უჭირავს, არა ვარდი და არა ყაყაჩო, არამედ რაღაც უცხო სისხლისფერი ყვავილი. ხოლო სახეზე... ღმერთო ჩემო, რა სახე იყო ეს, ან რა ღიმილით მოქანდული და დამშვენებული! მოვიდა ახლოს, სულ ახლოს, ყვავილი ჩემსკენ გამოიწვადა და მითხრა პირღიმილიანმა: — „აჰა, ესერა!“ — მე ჩამოვართვი ყვავილი უცხო, თავზე ვეამბორე ყრმას და ჯვარი გარდავსახე სამგზის. სახე დაუდინჯდა და დაუბრძენდა ყრმას. გაიღიმე ისევ-მეთქი, შევევედრე. წამით გაიღიმა, უცხაური არილის შუქით, ისევ ჩაიქრო ღიმილი, ისევ დინჯი სახით ამომხედა, მიცქირა, მიცქირა და, უცებ, რეცა, რაღაც გაახსენდა, გაბრუნდა და წავიდა უძალო, აცაბაცა ნაბიჯით, და შევიდა ღია ჭიშკარში, საიდანაც გამოსულიყო ჩემი ძილის ჟამს.

დაასრულა, უბეში ხელი ჩაიყო და ყვავილი ამოიღო გიორგიმ.

— აჰა, ყვავილი იგი, უწმიდესი, უმანკოესი და უსათნოესი ხელით მოწყვეტილი!

მადლი მიუგო თვალშვენიერმა, ყვავილი ჩამოართვა, დაყნოსა, დახედა და თქვა გაკვირვებულმა:

— ასე ცოცხალი, ასე სურნელმოსილი, თითქოს წუთის წინ მოეწყვიტოთ!

— ორი დღე-ღამის წინ მოისრა იგი და მაინც არის ისევ

ცოცხალი, სიცოცხლითა პირველშობილებითა, — თქვა გიორგიმ.

ატრიალა და აბრუნა ხელში ყვავილი იგი თვალშვენიერმა, მერე გიორგის შუბლს მიაჩერდა და თქვა მხურვალედ:

— ხოლო, მასაზრდოებელი ამა ყვავილის უჭკნობლობისა — წმიდა გზა ნინო განმანათლებლისა, ხელი უმანკო ყრმისა და ხელიდან ხელში წმიდა ჯაბუკისა.

— ...და კვლავაც უჭკნობელი დარჩება იგი უწმიდეს და უნეტარეს ხუროთმოძღვართან დავანებული, — დაასრულა გიორგიმ სიტყვა თვალშვენიერისა.

გაეცინა თვალშვენიერს.

— უწმიდესი და უნეტარესიო? ჩუმად, ჯაბუკო, მელქისედეკ კათალიკოსს არ მიწვდეს ყურში, თორემ მერე ის გვწვდება ჩვენ ყელში, — თქვა, სიცილი ჩაათავა და ისევ დინჯად და საქმიანად დაასრულა:

— ეს ერთი ღამეც ვაცალოთ და, უკეთუ ხვალ დილითაც ყვავილი ესე უცნაური კვლავ ამნაირი ცხოველმოსილებით შემოგვანათებს, მაშინ ჩვენც ჩვენებურად სასწაული ვისასწაულოთ.

თქვა თვალშვენიერმა და წავიდეთო — ანიშნა გიორგის. მიჰყვა სტუმარი მასპინძელს. სვეტიცხოვლის ეზო გაიარეს. უხაროდა გიორგის, საუფლო ტაძრის მშენებელთა სახეებს რომ უცქეროდა, საუფლო ოფლით ალმურმოდებულ სახეებს.

„და სრულიად მიმოსახედნი და მიმოსადგომნი სვეტიცხოველისა მოუცავს ერთ მთლიან, განუკვეთელ და განუჭრელ სუნთქვას, საუფლო სუნთქვას“, — ფიქრობდა გიორგი.

— აქ ერთიანი საუფლო სუნთქვით სუნთქავს ყოველი, — თქვა თვალშვენიერმა და ხარაჩოს პირველ კიბეს შეუდგა.

„ღმერთო დიდებულო, ეს ხომ ჩემი მდუმარი ფიქრი იყო და ამან სიტყვით, სწორედ ახლა, გასწვრივად ჩემი ფიქრისა, ვით განაცხადა?!“ — ტვინი დაეწვა გიორგის.

— სხვანაირად სვეტიცხოველი არც აშენდება, — დაასრულა ორივეს ფიქრი თვალშვენიერმა, ხმამაღლა დაასრულა, ხოლო თავისთვის გულში კვლავ გაიცლო, სწორედ ეს ჯაბუკი უნდა იყოს ტყუბისცალი ჩემი სულისაო.

მიუძღოდა მასპინძელი სტუმარს, ხარისხ-ხარისხად, და ფი-

ქრობდა თავისთვის გულში: „ნეტავ შემეძლოს, მუხლმოყრილმა რომ ავაშენო სვეტიცხოველი“.

მიჰყვებოდა სტუმარი მასპინძელს და ფიქრობდა თავისთვის გულში: „ნეტავ შემეძლოს, მუხლმოყრილმა რომ აღვწერო ჟამნი და ცხოვრებანი საქართველოსი“.

მიდიოდნენ და ადიოდნენ მაღლა მარჩბივნი სულისანი.

„და უკეთუ სხეულით ვერ შევიძელ, სულით მაინც დაჩოქილი ვიქნები შენი აღშენების ჟამს სვეტიცხოველო!“ — ფიქრი მოინაცვლა თვალშვენიერმა.

„და უკეთუ სხეულით ვერ შევიძელ, სულით მაინც დაჩოქილი ვიქნები შენი ჟამთასვლის აღწერისას, ქართლოსის ჯიშო!“ — ფიქრი მოინაცვლა გიორგიმ.

ადიოდნენ.

და თავთავისთვის ფიქრობდნენ.

და ერთნაირად ფიქრობდნენ.

მაგრამ ერთმანეთის ფიქრი არ ესმოდათ ახლა.

განგებას ორივენი იმით დაესაჯა, ყოველთვის რომ ვერ შეეტყოთ ერთმანეთის მდუმარე ფიქრი.

ვიდოდნენ ქვემოდან მაღლა, ვიდოდნენ მაინც ერთი სულისანი, ერთობილი ფიქრთმეტყველებით აღვსებულნი.

ნაზრახევნი და ნაზიარევნი შინაგანი სულისანი.

სულ მაღლა ავიდნენ, წელში გადაკვეთილი ტაძრის ზღუდარზე.

იდგა ქვედატანი ტაძრისა და სულწასულად, გამთლიანების წყურვილით შეპყრობილი, ელოდა სადღაც ზედეთში გაფრენილ ჯერ კიდევ უსხეულო თანასხეულს.

ჩამოსხდნენ.

თვალშვენიერმა გიორგისგან მიძღვნილი ყვავილი ილეკროს ლორფინზე დადო და თქვა:

— დილამდე დაველოდოთ და ვიხილოთ ძალმოსილება მისი ცხოველმყოფელობისაი.

გიორგიმ მდუმარე თავდადრეკით ამცნო თანხმობა.

მზე ჩაიწურა.

ჰაერი იძრა.

რწმოლმა იწივლა.

მწუხრის ძელსა სცეს სამთავროს ტაძარში.

და უცებ, სიმღერის თუ ლოცვის მინაგვარი ხმით აღმოხდა არსუკისძეს:

ძელი მწუხრისა, ძელი მწუხრისა,
ხმა ზენაარი, ფიქრი უფლისა.

— ეს როგორღა მოხდა, ხუროთმოძღვარო?! — შესძახა გიორგიმ.

— რა, გიორგი?

— ეგ ლექსი ხომ ჩემს სულში დაიბადა, ფარავნის ტბასთან, ხოლო... შენს სულში საიდან გაჩნდა?

— რა ლექსი? — იკითხა თვალშვენიერმა განცვიფრებით.

— რაიც ახლა თქვი, — და თვითონაც ლოცვასავით თქვა გიორგიმ:

ძელი მწუხრისა, ძელი მწუხრისა,
ხმა ზენაარი, ლოცვა უფლისა.

— ნუთუ მართლა! ნუთუ ისევ... — იყვირა თვალშვენიერმა.

ვეღარ შეენიშნათ, როგორ წამოვარდნილიყვნენ ფეხზე ორივენი.

დიდხანს იდგნენ ასე — ჩაფიქრებულნი, გაოცებულნი, გაშეთებულნი.

— მე ვიცი ახლა რა სიტყვა სუფევს შენს სულში, — უთხრა თვალშვენიერმა.

— მეც ვიცი, რა სიტყვაც სუფევს შენს სულში,—შეაგება გიორგიმ.

— სთქვი!

— ძელის ცემა მარადიული სიცოცხლე და სიფხიზლეა კაცთა მოდგმისა.

— აგრეა, აგრე, ფიქრი ჩემი! — შესძახა თვალშვენიერმა.

— აგრეა ჩემი ფიქრიც, რაიც ჩემს სულში დაიბადა ჯერ კიდევ პირველ ყრმობისას.

— მაშ, შენს სულშიც, ჩემს სულშიც, ჟამ-ჟამეულად ერთნაირი საფიქრალნი აღიძვრებიან, ერთნაირ წყობით, ერთნაირ ხმობით, ერთნაირ გრძნობით! — სთქვა თვალშვენიერმა და მარჯვენა ხელი მხარზე დაადო სტუმარს.

გიორგიმ იგრძნო, რომ არსუკისძის მარჯვენა უსაზღვრო სიყვარულით იყო ტვირთული.

და როგორ ხდება, ერთნაირი საფიქრალნი რომ აღგეძვრის ჩვენ? — აღმოხდა გიორგის.

მცირე ხანს კიდევ მდუმარედ უცქირა თვალშვენიერმა უცნაურ ყმაწვილს და სთქვა ნელა, მკვეთრი დანაწევრებით:

— ნება მომეცი, არისტოტელეს ერთი ლოგოსი გავიხსენო, კეთილო ჰაბუკო!

ლოგოსი? არისტოტელე?

მაშინვე მიხვდა თვალშვენიერი: ტაძრისის მონასტერში ძველი და ახალი აღთქმების გარდა სხვას ვერაფერს ეზიარებოდა ყრმა გიორგის ურწყული და უძლური გონება და მაშინვე დასძინა: არისტოტელე ნათესავით მაკედონელი იყო, მაგრამ ბერძნულად სიბრძისჰეტყველებდა. ალექსანდრე მაკედონელი იმან გაზარდა. განუზომელია არისტოტელეს ლოგოსთა სივრცე, სიღრმე და სიმაღლეო.

ხოლო, ლოგოსი?

ლოგოსი სიტყვაა ენითა ქართულითა, გარნა სიტყვა ისეთი, ვითარცა იტყვის იოანე: „პირველითგან იყო სიტყუაი, და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“; და სწორედ შენი მაღალი გონების საკადრისია არისტოტელეს საკვირველ ლოგოსთა შესწავლაო, უთხრა ბოლოს მასპინძელმა სტუმარს.

მაგრამ რა იყო ის ლოგოსი, რომელიც გახსენებად უნდა გეთქვაო, — კრძალულად მოაგონა გიორგიმ.

და გაიხსენა არსუკისძემ ლოგოსი არისტოტელესი:

ქვეყნად არიან ადამიანნი,
ადამიანნი ერთარსებანი.

და განაგრძო თვალშვენიერმა:

— სწორედ ყოფილან ადამიანნი, — თუმცაღა მცირედნი და ფრიად იშვიათნი — მაგრამ მაინც ყოფილან, რომელთაც აქვთ ერთი არსება, ერთი სული, ვითარცა მარჩბიენთ ერთსულოვანთა. და დადიან სულით მარჩბიენი, დადიან და სხეულით ერთმანეთისგან რაგინდ შორსაც არ უნდა იყვნენ, მათი ნაფიქრალნი, ფიქრზე უმალესად, მაინც აღწევენ ერთმანეთს და სულის გაცვლით ერთმანეთს სულში უსახლდებიან.

მცირე ხანს კიდევ იყუჩა თვალშვენიერმა და ბოლოს უთხრა გიორგის დაბეჯითებით:

— და ასეთი სულით მარჩბიენი ვყოფილვართ ჩვენ, ჩემო უმრწემესო ძმაო! — უთხრა, ხელები მხრებზე შემოხვია და ეამბორა შუბლსა ჯვაროსანსა.

გიორგიც მყისვე მკერდზე მარცხენა კერძოით ემთხვია და იგრძნო რა მძლავრად უცემდა გული მესვეტიცხოველეს.

— მაშ, ვართ მარჩბიენი! — შესძახა თვალშვენიერმა.

— ერთარსნი! — თქვა გიორგიმ.

— თუ, თანაარსნი?

— არა, ერთარსნი! — მტკიცედ გაიმეორა გიორგიმ.

— ამინ, ერთარსნი! იყოს ეს სიტყვა ქართული, ნარუქად ნაშობი შენი სულისა.

— ჩვენი სულისა! — ჩაასწორა გიორგიმ.

და ჩამოსხდნენ სულით გაბედნიერებულნი.

„მართალი ყოფილა: მსგავსი მსგავსს ახარებს და აბედნიერებს," — გაუელვა ორივეს ერთად.

სული მარტოი იღლება მარტოსულობის სიმძიმითო, — ამბობდა არსუკისძე, — დადის მარტოსული დაღლილ-დაქანცული, დადის და ეძებს მეორეს, თავის ჯუფთის ცალს, რათა მიეყრდნოს, მიესვენოს, მასთან მიმოსუნთქვით აღორძინდეს და კვლავ განემტკიცოს. უმეტეს წილ ამაოდ ეძებს მარტოსული თავის ჯუფთის ცალს და უკეთუ ვერ იპოვნის, ბოლოს და ბოლოს სული იგი იამავარი დაიმსხვრევა საკუთარი უსხეულო სხეულის სიმძიმით...

ღამე განზოგადდა, „ერთარსთა" საამურ სიტყვაქცევაში.

ძილს მოეცვა სახლაკნი სვეტიცხოველის მაშენებელთა.

„სახლაკი მუშისა სახლაკი სულმწარისა არს", — გაუელვა გიორგის.

და იდგნენ წყვდიადში განზავებულნი სახლაკნი სულმწარეთა...

უცებ, შორეული, უცხო ძახილი შემოიჭრა მცხეთურ ცისგვამში. ბღავილსაც ჰგავდა ხმა იგი, ზმუილსაც, გმინვასაც, თხვრასაც.

— ირემი დაიბადა, — თქვა არსუკისძემ სიხარულით, — ფურირმის ძეობა და ზვეობა სუფევს ახლა ზედაზნის ტყეებში.

— ღმერთო, უშველე! — ჩაიბუტბუტა გიორგიმ.

კიდევ გაისმა ძეობის ხმა ზედაზნის მთიდან... კიდევ...

ისხდნენ და ისმენდნენ ტყუბნი სულისანი.

ისხდნენ მდუმარედ, სიტყვაგანრიდებულნი.

ისხდნენ და უტყვად ისუნთქავდნენ ერთმანეთის აზრს.

და აზრი მათი იყო მტკიცედ დაჯიშებული, წმინდად გათლილი და გარანდული, უხორკლო და უმეჭეჭო, ვითარცა ქვა — გათლილი თვალშვენიერ არსუკისძისგან, და სიტყვა — გათლილი გიორგი თაქთირისძისგან.

ზედაზნის მთიდან კი ჟამ-ჟამეულად ისევ მოდიოდა ხმა ძეობისა და ზვეობისა, და ხმას თან მოჰქონდა ჩვილი სურნელი ნადირის ჯიქნიდან ნადინარი ნარუჭი რძისა.

აედონთა სულისშემძვრელი გალობა მოედინებოდა სამთაეროს წალკოტიდან.

და ისხდნენ ერთად შუაგარდაკვეთილ სვეტიცხოველზე სურო ქვისაი და ხურო სიტყვისაი.

ისხდნენ და ისმენდნენ ნადირთა და ფრინველთა ხმიანს — თანადედამიწელთა ხმიანს.

ისხდნენ და ისუნთქავდნენ ველურ ძუძუდან ნადინარი ლორთქო რძის სურნელს.

ისხდნენ და ისუნთქავდნენ ერთმანეთის აზრს.

გიორგიმ იგრძნო, რეცა იმ წუთში გაიზარდა სვეტიცხოველი.

— არა, ეს შენ თვითონ გაიზარდე ამ წუთში, — უთხრა თვალშვენიერმა.

უკვე აღარ გაჰკვირვებია გიორგის, ზიარმა სულმა რომ ზიარ სულს ფიქრი გაუსწორა.

დრო კი ვიდოდა.

ვიდოდა სივრცეში დრო.

— მე მინდა სვეტიცხოვლის მეოხებით დრო სივრცეში მოვაქციო და მოვამკვრივო, — სთქვა თვალშვენიერმა.

— ვიცი, შენ მიელტვი დროის და სივრცის განსხეულებას, — მაშინვე გადაუბა სიტყვა სიტყვაზე გიორგიმ.

— მინდა და მიველტვი, მაგრამ ძალუძს კი-ა კაცსა დროის და სივრცის განსხეულება?

— ძალუძს, უკეთუ კაცთან იქნება ღმერთი.

— ღმერთი?! — უცებ, სატევრად მონაქნევი ხმით იკითხა ხუროთმოძღვარმა.

— სწორედ, ღმერთი! — დაბეჭდა გიორგიმ.

— მაგრამ...

— ?!

და უცებისად ორიენემ იგერშა, რომ ამ წუთში ისინი უკვე აღარ იყვნენ მარჩბივნი სულისანი. ისინი უკვე სხვადასხვა იყვნენ, ერთმანეთისგან სულგარტოლვილნი და სულგანწვალებულნი.

არც შეემჩნიათ, ისე წამომდგარიყვნენ და ამართულ-ყვნენ, ღმერთზე ფიქრით აღსილნი.

დუმილი გახანიერდა.

— ვიგრძენ და ვიცან: სხვადასხვანი არიან ღმერთი ჩემი და ღმერთი შენი, — დაარღვია მდუმარება თვალშვენიერმა.

— ხოლო იესო ჰრქუა მას: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა! — ღაღადჰყო გიორგიმ და ჯვარი გარდასახა არსუკისძეს.

— შევიყვარე უფალი ღმერთი, ვინათგან ღმერთი თვითონ სიყვარული არს, — შეაგება თვალშვენიერმა და მარჯვენა ხელით მაღლა ასწია გონიო ილეკროსი.

და განსხეულდა იკანკლედი გიორგის თვალწინ: სწორკუთხედი ხუროთმოძღვრის მკლავისა და გარდაკუთხედი გონიოსი.

დაუშვა მკლავი არსუკისძემ, გონიო ისევე ზღუდარზე დასდო და ჰკითხა გიორგის ჩაციებით:

— მაინც რაი არს იგი, უფალი ღმერთი?

— ?!

— ვითარ დაიწყო, ვითარ იშვა, ვითარ ისხეულა, უკეთუ ისხეულა? — განავრცო სიტყვა თვალშვენიერმა.

— უფალს არა აქვს არც საწყისი, არც წარმოშვება და მასში, ვითარცა მარადიულ არსში წარმოიშვება სხვა ყოველივე, ყოველი არსიც და არარსიც, — სთქვა გიორგიმ.

— შენ ისევე თქვი, ვითარ იტყოდა დიდი პლატონი, — გაეღიმა თვალშვენიერს.

— ?!

— სწორედ, პლატონი, რომელმან თქვა ოთხასი წლით ადრე ქრისტეშობამდე: საწყისს წარმოშობა არა აქვს; საწყისიდან გარდაუვლად წარმოიშვის ყოველივე წარმოსაშვები, ხოლო თვითონ საწყისი არაფრისგან არ წარმოიშვის, — დაასრულა თვალშვენიერმა.

ფიქრში ჩაიძირა გიორგი. „ითქვა უადრეს ოთხასი წლით ქრისტეს შობამდე". და უცებ სირცხვილმა დაუწვა ღვიძლი, ვინათგან ყრმას, ტაძრისის საყუდარში წლობით ნაყუდარს, არ სცოდნოდა არცა პლატონი, არცა იგი... არისტოტელე... და კიდევ რამდენი ვინმე...

იდგნენ, დუმდნენ და ორივეს სულში ბრუნავდა ეს საფიქრალი: მარად წარმდინარე და ქვედამზიდავი ესე საწუთრო ადამიანისა არის მარადისი ძიება ღვთისა, და ვაითუ, მაინც არარა ვიცით, ანუ ოდენ ის ვიცით, რაიც არ არს ცოდნა, ანუ სწორედ ის არ ვიცით, რაც არის იგი ჭეშმარიტებით.

— მარჩბივო სულისა ჩემისა, სხვადასხვა მგონია მე ღმერთი ჩემი და ღმერთი შენი, — გაიმეორა თვალშვენიერმა წელან ნათქვამი.

— განა, იესო, უფალი და მაცხოვარი ჩვენი, ორივე ჩვენთვის არ არის ერთი?! — განცვიფრებით შესძახა და, მარტო გული კი არა, ძვლებიც შეუძრწუნდა გიორგის.

— უფლის ნათლულო, ოდენ ქრისტეს აღმსარებლობა როდი გვყოფნის სრულიად ღმერთის გააზრებასა და გაცნობიერებაში, — შემწყალებლური ღიმილით უთხრა თვალშვენიერმა.

წყენა ჩაუხდა გულში გიორგის:

— აკი ქრისტე, თვითონ ღმერთი, წარმოიშვა ღვთის წიაღიდან!

— და მასთან ყოველი არსიც წარმოიშვა იმავ წიაღიდან, — წაართვა სიტყვა თვალშვენიერმა.

— და წიაღი იგი, ღმერთი ყოვლისმომცველი, ყოვლის განმყოფელი და თვითონ ერთარსება განუყოფელი! — უკუიჭირა სიტყვა გიორგიმ.

— მადლი შენ, უფლის ნათლულო, რამეთუ მიწილადე სული შენი, მაგრამ კვლავ გეტყვი — მე სხვა ღმერთს ვეძებ და მივესწრაფი, განსხვავებულს შენი ღმერთისგან! — ჟინიანად დააწვა სათქმელს თვალშვენიერი.

— მაინც რა არის შენი ღმერთი, საყოველთაო ღმერთისაგან განსხვავებული? — ჰკითხა გიორგიმ დაღლილი ხმით.

— ყური დამიგდე, ნათლულო ღმრთისა, — მძიმედ ამოისუნთქა თვალშვენიერმა — შენ რომ ღმერთს ამბობ, ღმერთი იგი, გეთახმები, არსებულია მარადიულად, უსაწყისოდ, დაუ-

საბამოდ, ისე, ვითარცა არ აქვს საწყისი არც დროს, არც სივრცეს. გარნა ის ღმერთი, საითკენაც მე მივისწრაფვი, არის ღმერთი არარსებული.

— არარსებული?!

— სწორედ და, იქნებ ღმერთი არც იყოს იგი, — თქვა არსუკისძემ.

— და შენ უნდა შექმნა იგი?! — ჰკითხა გიორგიმ.

— მე უნდა შევქმნა! — დაუბეჯდა ჯიუტად ხუროთმოძღვარმა.

— მაინც როგორი იქნება იგი? — არ ეშვებოდა გიორგი.

— არ ვიცი, სიტყვით არ ძალმიძს გამოვხატო, ვინათგან სიტყვათა მიღმაა იგი.

— სიტყვათა მიღმა?

— ჰო, სიტყვათა მიღმა და უხილავი, ვითარცა აზრი.

— ალბათ შენს ღმერთს მაშინ იხილავ, როცა სვეტიცხოვლის აღმშენებლობას დაასრულებ, — ფიქრის შემდეგ უთხრა გიორგიმ.

— შენ ასე გგონია? — იკითხა თვალშვენიერმა და გიორგი ვერ მიხვდა, რა უფრო იმსჭვალებოდა მისი სიტყვიდან, წყენა თუ სიხარული.

ისევ დადუმდნენ და ისევ უსიტყვოდ სუნთქავდნენ და ისრუტავდნენ ერთმანეთის ფიქრს, ზედაზნიდან მომავალი ველური რძის სურნელთან ერთად.

ზემოდან ისევ გაისმოდა ოხვრა მშობიარე ფურ-ირემისა.

ქვემოდან კაცთა ოხვრაც ისმოდა ხამუშხამუშად.

მძიმედ ეძინა ქვასთან ბრძოლით დაქანცულ მუშათა საცხოვრისს. ავი ძილისშორისი აწამებდა ყოველ სახლაკს სულიმწარისას.

ისევ გიორგის სიტყვამ განაპო დუმილი:

— დიდ არს ძალა ჩ ე მ ი ღმერთისა, რომელმაც შენ ჩაგინერგა უნარი შ ე ნ ი ღმერთის ძებნისა და მოპოებისა.

იფიქრა ერთხანს თვალშვენიერმა ამ სიტყვაზე და ბოლოს ეს უპასუხა:

— მარადიული ნათლის ძუძუს ხარ დაწაფებული, ყრმაო კეთილო, მაგრამ მითხარი, განა მე უკვე მოვიპოვე ჩემი ღმერთი?

— მოიპოვე და იგი არს სვეტიცხოველი.

და ისევ იგრძნო გიორგიმ, თითქოს სიმაღლე მოემატა სვეტიცხოველს, და აზიდა იგი მაღლა თვით აზიდულმა სვეტიცხოველმა.

— ისევ შენ თვითონ იზრდები, ყრმაო კეთილო, სვეტიცხოველი კი ელოდება ზრდის დასასრულს. მაშასადამე, უკეთუ მართლა ჩემი ღმერთი ეს ტაძარია, ღმერთი იგი კვლავ არსებობის საზღვრებს მიღმაა.

— ჯერ არსებობაზე მაღლა დგას იგი, ხოლო დადგება ჟამი, ოდეს შენი გრძნეული ხელით ტაძარი ესე თვითონვე შექმნის არსებას თვისას.

მცირე ხანიც მოითიეს უტყვად და უცებ შესძახეს, რაც ერთად იშვა ორივეს სულში:

— სვეტიცხოველო, ჰქმენ თავი შენი!

სვეტიცხოველი კი იდგა განკვეთილი და გამთლიანების წუყურვილით ატანილი.

იდგა და სულწასულად ელოდა ჯერაც უსხეულო თანასხეულს.

ისინი კი ისხდნენ და საუბრობდნენ.

ძილის მეუფე ვერ ბედავდა მისულიყო და თავისი ყოვლის დამრეცავი კვერთხის მიმთხვევით დაეხუჭა მათი თვალები.

მწყურვალე წადნიერებით ეკითხებოდა ყრმა მწირი და პასუხობდა ხუროთმოძღვარი, და ერქვა მათ საუბარს — „ხელოვნებისათვის“.

ხელოვნებას, ჯერ აზრად განსჯილს, „ზედმიწევნულობას“ ვუწოდებთ, ხოლო აზრი საქმედ განსრულებული — არის სრულქმნილი ხელოვნება, — ამბობდა ხუროთმოძღვარი.

მაგრამ არა ყოველი ხელთხაქმარი არის ჭეშმარიტი ხელოვნება, არამედ:

ჭეშმარიტი ხელოვნება არის ღმერთი.

ჭეშმარიტი ხელოვნება არის ლოგოსი.

ჭეშმარიტი ხელოვნება არის ხელოვანი.

მაგრამ ხელით კეთება და ხელით კეთების ცოდნა არ არის ხელოვნება, არამედ იგი არის ხელოსნობა, ანუ — ხელოვნება ნავსი.

— ალღოსმიერია, თუ აზრისმიერი ხელოვნება? — ჰკითხა გიორგიმ.

— ალღო თვითონ აზრია, მაგრამ აზრი ნადირთა, და ნადი-

რული აზრით, ანუ ალღოთი, იწყება თვითონ ადამიანი, — ამბობდა თვალშეენიერი.

— ალღო იგერშებს ხელოვნებას, ვითარცა ნაღირი სისხლსა ნაკოდისასა, ხოლო აზრი, საკუთრივ აზრი, დასწმენდს, დაასაწმისებს და დაასისწორებს ალღოთი ნაგერშალს.

— მაშ, დვრიტა ხელოვნებისა ყოფილა ალღო, ანუ გერში, ხოლო აზრი ილისტიკი ყოფილა მისი, — თქვა გიორგიმ.

— კარგად სთქვი, — მოეწონა თვალშეენიერს, — დვრიტა და ილისტიკი!

— და როცა ჩვენ ვამბობთ, — განაგრძო გიორგიმ, — „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი და ქუეშე შეუდგნა მას შვიდნი სუეტნი“ — შეგვიძლია ასედაც ვთქვათ: ხელოვნებამან იშენა სახლი თვისი და ქუეშე შეუდგნა მას შვიდნი სუეტნი ალღოსანნი და გერშისანნი.

— ხოლო, შვიდთა სვეტთაგან უზენაესი — სვეტი-ცხოველი! — ჩამოართვა თვალშეენიერმა.

— სვეტი-ცხოველი, სვეტი-სული, სვეტი-სხეული! — დაიძახა გიორგიმ.

— სვეტი ცხოველი, სვეტი სული, სვეტი სხეული! — გაიმეორა არსუკისძემ, ნახატურივით გარინდებულმა და ახლა თვითონაც იგრძნო, როგორ ამოიზიდა შუაგარდაკვეთილი ტაძარი და როგორ აზიდა მაღლა ორი თითის დადებით აღმშენებელი მისი.

— სვეტიცხოველი — სვეტი ერისა, სხეული ერისა, სულიერისა!

— ღმერთო ძლიერო! „სულიერი“! „სული“ და „ერი“ ერთ სიტყვაში შერწყმული და შეერთებული! „სულ-ერი“, სულიერი!

— სვეტი-ცხოველი — სხეული ერისა, სული ერისა!

— და, სვეტიცხოველო, სულო ერისაო, ჰქმენ თავი შენი!

— სულო ერისაო!

— ჰქმენ თავი შენი!

— იქმენინ თავითა შენითა!

და ცისკარი შემოვიდა, ნედლი და ნათელმორთხმული.

უხილავი ჯადოქრის ხელით ახლადგაწაფული, ვერცხლისფერი ილეკროს თაღი ჩამოადგა წუვდიადისაგან ენაწართმეულ დედამიწას.

„ხოლო, არიელი, ძე ჰაერეთისა?“ — ფ ი ქ რ ა დ გაუელვა გიორგის, ცისკრის მხილველს.

— ორბი? — ს ი ტ უ ვ ა დ აღმოხდა თვალშვენიერს.

და ისევ გაოცებულნი და გაოგნებულნი, თვალებით ერთურთს შეეყინენ სულის მარჩბივნი.

და, როგორც იქნა, ისევ თვალშვენიერმა შეძლო ყინვის გალხობა:

— მაშ, ერთხელ კიდევ ვიწამეთ ჩვენ საოცარი, კაცის გონებით მიუწვდომელი თანაზიარობა ჩვენი სულებისა: არიელი, ძე ჰაერეთისა, ორბად გისახავს შენ შენდათავად, და აგრევე მეც ჩემდათავად, ვინათგან სულნი ჩვენნი არიან ცალკე და არიან ერთად!..

ხოლო, თვითონ არიელი არსადა ჩანდა.

არსუკისძემ იცოდა, ორბი რომ იმ დღეს არ მოფრინდებოდა.

გიორგიმ კი არ იცოდა.

(ყოველთვის, განუწყვეტლივ და განიადაგებით როდი იყვნენ ისინი ტყუბნი სულისანი)...

წამოიმართნენ და ყვავილს დააცქერდნენ, ილეკროს ლორფინზე ღამენათევს.

ყვავილი იყო ცვარით და ზრიმლით დაღვენთილი, კვლავ ზრობაშეუხებელი და ლორთქოდ ცხოველმოსილი.

— ხარ-ობს, ვინათგან უ-ხარ-იას! — დამარცვლა გიორგიმ, თვითონ გახარებულმა.

— სი-ხარ-ული! — დამარცვლა თვალშვენიერმაც, ყვავილი იგი აიღო და გიორგის ანიშნა.

და დაეშვნენ ძირს.

სანამ მიწაზე ფეხს დაადგამდნენ, მესტვინარმა ნესტვს ჩაჰბერა და ზეწამოჰყარა მსახლობარნი ჭოხთა, კარავთა და სახლაკთა.

გამოჰყავდათ მუშები ჰაჰაპეტებს, სამუშაოთა ზედამდეგებს, ეპისტატებს, აღმშენებელნი სვეტიცხოველისა, ჯგუფ-ჯგუფად, წყვილ-წყვილად, თითო-თითოდ. არაგვისკენ გარბოდნენ. შედიოდნენ მდინარეში, ხელ-პირს იბანდნენ, მხარმკლავს და გულ-მკერდს იზელდნენ ცივი წყლით. ძილისა და ძილისშორისის ნაშთებს განუტევებდნენ სხეულიდან. გარბოდ-

ნენ სიცილით და ოხვრით, ხუმრობით და ლაწყლვით, ღიღინით და ბუზღუნით.

— წყალო, წყალო, შენ წაიღე ჩემი ცუდი სიზმრები! წყალო, წყალო, შენ წაიღე ჩემი ცუდი სიზმრები! წყალო, წყალო, შენ წაიღე ჩემი ცუდი სიზმრები! — ბუტბუტებდა რომელიღაც, წყალზე თვალდაშტერებული.

წყლიდან ამოდიოდნენ და იქვე, მდინარის პირას, ერთი უტევანის სიგრძეზე სახელდახელოდ ნაგებ ფიცრულ ტბოშს უსხდებოდნენ სასაუზმედ.

მზარეულები უკვე არიგებდნენ პინაკებით მოხარშული ლოპინარისა და ოსპის ბოღლოწოს.

არსუკისძეს საგანგებოდ გამოეთხოვა მეფისთვის და კათალიკოსისთვის, მუშას არ მომიშივდეს და არ მომიწყურდესო. სვეტიცხოველი სიყვარულმა, სიხარულმა და მადლმა უნდა ააშენოსო. ხოლო, მშიერი კაცის ცრემლი და წყევლა-კრულვა, ახალს აგვიშენებს კი არა, აშენებულსაც დაგვინგრევს და წაგვილეკავსო.

კუჭი დედაა წუხილისაო.

მეფენი, ბაგრატ და გიორგი, დიდად ზრუნავდნენ სვეტიცხოვლის მშენებელთა სიმაძღრისათვის. ორივე მეფის ჟამს სვეტიცხოვლის აღმშენებელთა ტბოში ყოველდღე ოთხჯერ უნდა გაშლილიყო, ოთხივე ჯერით — საუზმე, სადილი, სამხარი და სერი.

ჯერ ბაგრატმა დაადგინა და მას უკან გიორგიმ განაახლა მამის დანადგინარი: ვინცა ვინ სვეტიცხოვლის აღმშენებლობაზე იღვწის, განტევებულ იქნას ყოველი გადასახადისაგან და მის კარზე რაიმეს მოსათხოვრად აღარავინ მისდგომოდეს, თვინიერ მზისა, ქარისა და წვიმისაო.

მელქისედეკ კათალიკოსიც არ ივიწყებდა სვეტიცხოვლის მაშენებელთა მაძღრისად დაპურების საზრუნავს. მოსე წინასწარმეტყველიც და პავლე მოციქულიც მოგვიწოდებდნენო — „არა შეუკრა პირი ხარსა მლეწველსაო“, — ამბობდა მელქისედეკი.

არსუკისძე მუდამ სასტიკი თვალით ზომავდა მნე-მუჯირებს, რომელთა კისრად იყო ზრუნვა მუშის საზრდელ-სანოვაგეზე. ერთხელ სადილეული საზრდელის დაგვიანებისთვის, არსუკისძემ მუჯირს ისეთი სილა შემოჰკრა, სამ დღეს ცწობაზე ძლივს მოიყვანეს მუჯირი იგი...

მესტვინარმა ისევ ჩაბერა ნესტეს.

ძელსაც ჰკრეს სამთავაროს ტაძრისიანებმა.

საუზმე ჩათავდა. ეპისტატებმა სვეტიცხოველს შემოუსიეს აღმშენებელნი.

ცა — სუფთა, უზადო და უმეჯჯო, — ელოდა მზეს მარადიულ სამზეო გზაზე.

მზე კი, უფალი მზე, რეცა ამოსვლას აგვიანებდა.

არსუკისძემ ცას თვალი აუხშირა, თითქოს იქიდან ვისმეს მოსვლას ელოდებოდა, მაგრამ არ მოდიოდა. თვითონაც იცოდა, იმ დღეს რომ არ მოვიდოდა. ძალიან კი უნდოდა, გიორგის ენახა მისი ორბი.

— მზის ამოსვლა მაინც ვიხილოთ და ვიგემოთ ერთად, — უთხრა გიორგის ღიმილით.

გაუკვირდა გიორგის, „მაინცობა" რად ჩაურთო და ცაზე მზის გარდა კიდევ რას ელოდებოდაო, — გაიფიქრა, მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ საპასუხოდ გაუღიმა მკრთალი ღიმილით.

მზე ამოვიდა, ისევ ახალი და ხელახალი. ნელი, ზვიადი რხევით გადმოადგა იგი ჯვარის მონასტერს და პირველი სხივები ჩამოჰყარა კონა-კონებად მტკვრისა და არაგვის წყალსაკრებელში.

თვალშვენიერმა მარცხენა ხელი გიორგის გადასდო მხარზე, მარჯვენათი კი მისი ნაჩუქარი ყვავილი მზისკენ გაიშვირა.

— მადლობელი ვართ, მე და ჩემი უმრწემესი ძმა, ვინათგან შენ კვლავ მოხველ ჩვენთან, მზეო კეთილო!

ყვავილი კი ისევ ლორთქო იყო, ცხოველნაჯერი, დაუმჭნარი და ფერგაუმკრთალი. მხოლოდ ნაღამური ცვარი აკრიფა და შესვა მზემ მისი ფურცლებიდან.

გამოტრიალდა და გამოატრიალა გიორგი თვალშვენიერმა.

ახლა ერთად უნდა აღვმართოთ მე და შენ სვეტიცხოველზე ვაზი ჩემი ნახელავიო, — უთხრა და წაიყვანა.

ტაძრის მარცხენა ნაოსში შევიდნენ და თავს დაადგნენ დიდი ხის ლართხებზე დაწოლილ ქვას.

სიგრძე ქვისა — სამი წყართეული.

სიგანე — წყართეულნახევარი.

ფერი — თეთრი, კამკამა.

ჯავარი — ქარვა.

ხოლო, ჩუქურთმა ქვისა — ვაზი, რქაშვენიერი, ორი მტევნით ორმხრივ ხატვირთი.

ჩუქურთმის გარშემო, ოთხივე მხრის გასწვრივ — მრუდხაზოვანი მეანდრები და ალაგრეკები.

დასცქეროდა გიორგი ამ საოცარ სახილველს, საკვირველი ხელოვნებით ნახელოვნარს.

უცებ დაიჩოქა და დაემხო. ვაზს რქა და მტევნები დაუკოცნა და უთხრა მხურვალედ:

— ბედნიერი ხარ, ქვაო შენ, ბედნიერი, ვინათგან ღვთაებრივმა დიდოსტატმა უაზრო და უჯმაჯური ქვაობისაგან დაგიხსნა და ვაზის სიცოცხლე მოგანიჭა! მომილოცნია, მომილოცნია! ეს რომ სთქვა, იქვე მუხლებზე შემობრუნდა და, ვიდრე თვალშვენიერი გონს მოეგებოდა, მარჯვენა ხელის მტევანზე ეამბორა ნასწრაფევად.

მოეხვია თვალშვენიერი, აზიდა და ჩაიკრა გულში ტყუბი სულისა.

ვერ შეემჩნიათ, ისე შემოსდგომოდნენ ჯგროდ ხელოსანნი.

არსუკისძემ თვალი გადაჰკრა ქარჩაისძეს. ქარჩაისძე გავარდა და სხვებიც გაიყოლია. მსხვილად ნაგრეხი კანაფის ჯალამბარი მოიტანეს (ილეკროს აშკს არ ენდნენ, — ჩუქურთმა არ დაგვიზიანოსო), ქვა ერთ მხარეს აზარმაცებით აზიდეს, გვარლით შესკვნეს, სამხრეებით შეამარყუჟეს და წასაღებად გაამზადეს.

წინ თვალშვენიერი ჩადგა, უკან — გიორგი. მოიმშვილდნენ, სამხრეები მხრებზე გადაიცვეს და გადაიჭიმეს, აიმართნენ და აზიდეს ქვა-ვაზი. დაიძრნენ და შეუდგნენ კიბის საფეხურებს.

მძიმედ ვიდოდნენ, მაგრამ მაინც მიდიოდნენ და ადიოდნენ, ქვემოდან მაღლა, სვეტიცხოველზე, თვითონ ნიშან-სვეტნი საუკუნისა.

ადიოდნენ და აჰქონდათ ვაზი ჯვარსახოვანი — ზენიშანი საქართველოს სულისა და სხეულის მთლიანობისა და ტანგანურღეველობისა.

ათი ვაჟკაცის თანადგომით მარქაფად მისდევდათ ქარჩაისძე, მაგრამ ხელის შეშველებაც არ ისურვეს ტვირთში შებმულებმა.

და ავიდნენ, ელამონის თავზე ავიდნენ. ტვირთი ფრთხილად ჩამოიტვირთეს და ოფლი ჩამოიწურეს.

მერე, უბიდან ყვავილი ამოიღო არსუკისძემ, გიორგის წაძღვნევი ყვავილი.

და ყვავილი იგი მთავარ საჭდევზე მიამაგრა ხუროთმოძღვარმა.

ირგვლივ სიო ირხეოდა შეფრფინვით და ყვავილიც თრთოდა — სიონაკრავი, კვლავაც ჭკნობაშეუხებელი და სიცოცხლეშეულევნელი.

და ეთხელ კიდევ შეუდგნენ ქვა-ვაზს თვალშვენიერი და გიორგი, ფეხზე დააყენეს, ზურგით კედელს მიაყრდნეს და მიახუტეს.

ყვავილი ვაზსა და სვეტიცხოველს შორის მოექცა.

სრულმა დუმილმა და გარინდებამ მოიცვა ყველა.

იმ ვაზს უცქერდნენ და შეიგრძნობდნენ.

იმ ყვავილს ვეღარ უცქერდნენ, მაგრამ იმასაც შეიგრძნობდნენ.

და პირველი ისევ არსუკისძე გამოერკვა, ილისტიკი მოითხოვა და მოართვეს.

დაადო თავზე ილისტიკი ახლადალმართულ ქვას. შუა მოციმციმე ვერცხლის ბურთულას დააცქერდა და დარწმუნდა, რომ ქვა სწორად იდგა. ერთხანს კიდევ უცქირა მდუმარემ მისი სულის და სხეულის ნაშობს. მას უკან ვაზის შუაწნულს ხელი მიაბჯინა და მღელვარედ შესძახა:

— სახელი მისი — ვ ა ზ ი ც ხ ო ვ ე ლ ი!

— ამინ! — სთქვა გიორგიმ და ჯვარი გარდასახა ჯვარს, ახალნათლულს.

— ამინ! — და ჯვარი ისახეს ყველა იქ მდგომთა.

ძირს დაეშვენენ ისევ.

ჩემი წასვლის დრო დადგაო, თქვა გიორგიმ.

ჯერ მუქაფა უნდა მოგიძღვნაო, უთხრა თვალშვენიერმა.

რაის მუქაფაო?! — გაიკვირვა გიორგიმ.

ყვავილი რომ მომიძღვენი, იმის სამაგიეროო, — სთქვა ღიმილით თვალშვენიერმა, ყრმას მკლავში ხელი გამოჰდო და წაიყვანა.

„ჰმ, მუქაფა! ამაოდ დაშვრები, ღვთაებრივო ხუროთმოძღვარო!“ — გაუელვა ფიქრმა გიორგის.

— არც დაგშვრები და კრინტსაც ვერ დაძრავ! — სიცილით უპასუხა ხმამაღლა თვალშვენიერმა გიორგის ფიქრს.

ისევ ესმოღათ ერთმანეთის ფიქრი, უხილავი და უცნობელი ძაფებით გადაბმულ სულიერ ტყუბებს.

გიორგის, თითქოს შერცხვა, ნაფიქრალი მუქარა რომ გაუმჟღავნდა და გაძალიანება ვეღარ შეუბედა, ისე შეჰყვა სახლში მასპინძელს, მისი მძლავრი ხელისგან მკლავშეპყრობილი.

მასპინძელმა ტილოს ნატით დაფენილ დალიზე დასვა სტუმარი. თვითონ, — ახლავეო, თქვა, გავიდა და ორიოდ წუთში უკანვე შემობრუნდა. ხელში ტანმორჩილი, შავფეროვანი ვაშკარანი ეჭირა.

გახსნა ვაშკარანი იგი არსუკისძემ. გახსნა და ხის მცირე ჭვარი ამოიღო, ქალის დალაკით შეკვერთხილი.

ჭვარი რახსისფერი იყო, თმა — ალისფერი, ანუ მზისფერი.

ჭვარის ხილვაზე ჭვარი ისახი გიორგიმ.

იგრძნო ღვთის ტარიგმა — ეგზომ მცირე ჭვარში უხემოსი ხელოვნება და სულიერება ესვენა.

ისიც გახსენდა გიორგის — ფერი ამ ჭვრისა, რახსისფერი, იმ ორბსაც ჰქონდა, ჯერ სიზმარში რომ ნახა და შემდეგ ცხადში, ფარავნის პირას.

— ეს ჭვარი ნინოს ეკლესიის ნაწილია, — თქვა არსუკისძემ.

— ნინოსი?!

— ჰო, წმიდა ნინოს ხის ეკლესიისა, მირიან მეფეს რომ ააშენებინა ნინომ სწორედ იქ, სადაც ახლა შენდება ჩვენი, ახალი სვეტიცხოველი.

ღელვარედ ისმენდა გიორგი, ჭანდაკებასავით ძლიერი იმ ჭვარს თვალუბით ჩაცივებული.

— სწორედ იმ ადგილას ჯერ იყო ნინოს ხის ეკლესია — განაგრძობდა თქმას შენიერი — მერე, იქვე, მის ნაძირალებში, ვახტანგ გორგასალმა ააშენა ქვის სიონი. ხოლო ახლა, გორგასალიდან ხუთასი წლის შემდეგ, ორიეს ნაძირალებზე შენდება მესამე სვეტიცხოველი.

— ხოლო, ეგ ჭვარი? — ვეღარ ითმინა გიორგიმ.

— ნინოს ეკლესიის ნაწილია-შეოქი. მე თვითონ ჩემის ხელით გავთხარე პირველთაგანი ბალავერი სვეტიცხოველისა, მე თვითონ მოვიძიე და მიყაგენ მის ნაშთენებს პირველქმნილი სალოცავის საძირეებში.

— მაინც, როგორ?! — გააკვირვა გიორგიმ.

— ძალიან იოლად, რადგან მე ხომ მახსოვდა, — უბრალოდ თქვა თვალშვენიერმა.

— მახსოვდაო?! რა გახსოვდა?! — დაიბნა გიორგი.

— ადგილი და აღნაგი იმ ხის ტაძრისა, რომელიც აღეშენა ნინოს ნებით და წილხვდომილობით.

— მერე, მახსოვსო, ისე ამბობ, ვითომ შენ თვითონ დასწრებოდე და თვალით გეხილოს! — პირი შეუცინდა გიორგის.

— სწორედ კიდევაც დავესწარ და კიდევაც ვიხილე.

— როგორ?!

— მე ვიყავ და ვცხოვრობდი მაშინ, — ისევ სრული სიმშვიდით და უბრალოებით სთქვა არსუკისძემ.

გაშრა და გაყვითლდა გიორგი.

— მაშ, შენ ერთხელ უკვე იყავ ამ ქვეყანაზე? — ძლივს შეძრა ენა.

— ვიყავ, — დაუდასტურა თვალშვენიერმა უღიმილოდ.

— მაშ, შენ გინახავს წმიდა ნინო, მეფე მირიან, დედოფალი ნანა და სხვანი და სხვანი იმ ქვეყნისანი, წინანდელნი შვიდასი წლისა?!

— მინახავს, ყველა მინახავს.

— ყველა გახსოვს?

— ყველა.

— მერე, მერე... როგორი იყო წმინდა ნინო?

— ეგ კი აღარ მახსოვს.

— როგორ, ყველა გახსოვს და ის აღარ გახსოვს, უმთავრესი და ღვთაებრივი?!

— ალბათ, სწორედ მისი ღვთაებრიობის გამო არ მახსოვს... ღვთაებრივის დახსომება მის ხილვაზე ძნელი ყოფილა!

გაჩუმდა და ჩაფიქრდა თვალშვენიერ არსუკისძე.

გიორგისაც მოშლოდა ფუძე სიტყვისა.

— არა და, როგორ მჭირდება გახსენება მისი ხატისა! — აღმოხდა ისევ არსუკისძეს. თქვა და უცებ, თითქოს ფიქრი იცვალა, ჯვარი მაღლა ასწია და განაგრძო:

— და ეს ჯვარი იმ ხის ნაწილთაგან გამოვთალე და გამოვკვართე, ნინოს ხელნაალერსევი და ცრემლნაფრქვევი ხის

ნაშთისაგან... და აჰა, ესერა, შენია იგი! — დაასრულა და ჯვარი გაუწოდა თვალშვენიერმა გიორგის.

— ჩემი?!

— სწორედ შენია, ღვთის ნათლულო!

მივიდა და მარჯვენით მარჯვენაში ჩაუდო ჯვარი იგი სულის ტყუბმა სულის ტყუბისცალს.

ჯვრის შეხებამ და შესხეულებამ გამოარკვია გიორგი.

დააცქერდა, ჯვარი ისახა და ეამბორა. მას უკან ისევ არსუკისძეს ჩაეკრა გულში.

— მადლობელი ვარ! — უთხრა და ეწყინა, რომ ეს სიტყვა სუსტი იყო, ძალიან სუსტი, სწორედ იმ მადლის გამოსახატავად, რაითაც ახლა ავსებულიყო გული, და სრული არსება მისი.

— ვიცოდი, ასეთ მუქაფაზე უარს ვერ მეტყოდი, — ხმამაღლა გაიცინა არსუკისძემ და თვითონაც ეამბორა გიორგის შუბლსა ჯვარსახოვანსა.

დასცქეროდა გიორგი ჯვარს, ჯადოქსიცილი.

ჯვარი!

ქრისტემდე — იარაღი კაცთა ტანჯვისა, წამებისა, ვნებისა, დამცირებისა, დამდაბლებისა.

და — „ჰურიათა რამე საცთურ და წარმართთა სისულელე“ (პავლე მოციქულის სიტყვები გაახსენდა).

ხოლო, ჯვარი ქრისტეს შემდგომი, ქრისტეს ღვთაებრივი სისხლით ცხებული — ზენიშანი ცოდვისგან დახსნის, განწმენდის, სიკვდილის დათრგუნვის, ძლევისა და გამარჯვებისა.

ჯვარი!

გარდაკვეთა მაღლივისა და განივისა: მაღლივი — ზენაარისა, გინა ღვთაებრივისა, განივი — ქვენაარისა, გინა კაცობრივისა.

ერთყოფნა ზენასოფლურისა და ქვენასოფლურისა.

ჯვარი ქართული!

ქალის თმებით შეკვერთხილი.

ქალის სულიერ-სხეულებრივი ნაყოფიერების სიმძიმით დახრილი ფრთები ქართული ჯვრისა...

— ხოლო, ეს თმები? — უცებ იკითხა გიორგიმ.

— თმებიო?

— ჰო, აი ეს ალისფერი დალალი, რომლითაც შეკვერ-

თხილია ჯვარი ესე, — გაიმეორა გიორგიმ და უმალვე ინანა მწარედ.

თვალშვენიერ არსუკისძე გაფითრებულიყო.

ლამის გული გაუხმა გიორგის, ვითარცა კეცი.

— ჰო, კიდევ რა უნდა მეთქვა? — თქვა თვალშვენიერმა დაღლილი ხმით და შუბლზე ხელი წნეხვით გადაიტარა.

— მე უკვე მეშინია, ხუროთმოძღვარო! — უცებ უთხრა გიორგიმ.

— ჩემი გეშინია? — გაეცინა თვალშვენიერს.

— არა, შენი კი არა, შენთვის მეშინია, შენთვის.

— მაინც რაისთვის, ვერ გამიგია, — ისევ ნაძალადევად გაიღიმა და მხრები აიჩეჩა არსუკისძემ.

— რაღაც დიდი, უფსკერო წუხილი სდუღს შენს გულში.

— ნუ გეფიქრება. შესაძლოა, ეგ წუხილი ჩემი არსების განუყრელი და განუკვეთელი თანაარსებობაა და, უკეთუ ვიქნები — ისიც იქნება, არ ვიქნები და — არც ის იქნება.

ისევ გაჩუმდა და ჩაფიქრდა. და ფიქრის მერე უთხრა გიორგის:

— მოდი, კვართები გავუცვალოთ ერთმანეთს!

— კვართები?!

— ჰო, კვართები, პერანგები.

და წელზემოთ გაშიშვლდა უცებ არსუკისძე.

— კვართები, ჰო, მაგრამ... ენა დაება გიორგის.

— რა, გენანება?

— გენანებაო! მე სიცოცხლე არ მენანება, მაგრამ... კვართი საერთოდ არ მაცვია მე, — თქვა გიორგიმ, საკვართული შემოიხსნა და ტანი იმანაც იშიშვლა წელზემოთ.

და ასე შერჩნენ ერთმანეთს ტანშიშველნი, ზეაღმავალი ქვის მეუფე და ახლადმომავალი სიტყვის მეუფე.

ერთმანეთს უცქერდნენ ზეაღმტაცი წადნიერებით.

გიორგის წინ ზრდასრული, დამწვისებული ვაჟკაცი იდგა, ოცდაათ წელს გადამცდარი, მზითნაჯერი, სრულად კუნთოვანი, აზიდული და გაშლილი თორაქით.

თვალშვენიერის წინ ჯერ ისევ ყრმა იდგა, ტანითა იფქლის ფერითა და ზრდაუმწიფარი, მაგრამ ნაკვთოვნად წყობილი და სამომავლო ტანის სიმრთელით მრავლის აღმთქმელი.

— მერედა, რატომ არა გაქვს კვართი? — ჰკითხა თვალშეენიერმა.

— არა მაქვს, რადგან კვართი ჩემი საფლავსა შიგან ჰგიეს.

— როგორ?! — აღმოხდა თვალშვენიერს.

— ნურცა შენ მკითხავ...

— არ გკითხავ, არა, — შეაშველა თვალშვენიერმა.

ისევ მდუმარედ ათვალიერებდნენ ერთმანეთს.

— ჩემს კვართში შენ ვერც კი ჩაეტეოდი, — უთხრა გიორგიმ.

— სამაგიეროდ, შენ ჩაეტევი ჩემს პერანგში, — შესძახა თვალშვენიერმა. მაშინვე მივიდა, კვართი გიორგის თავზე გადააცვა, ხელებიც სახელოებში თვითონვე გააცმევინა და გარედან მისი ბურნუსიც შემოაცვა.

— სამაგიეროდ? — უმწეოდ იკითხა გიორგიმ.

— სამაგიეროდ, ეგ საკვერთხელი მისახსოვრე მე!

— აჰა, საკვირველო ადამიანო!

არსუკანასკნელ ჩამოართვა და მაშინვე შეირტყა წელზე საკვერთხელი იგი.

ისევ მდუმარება, — მდუმარება სიტყვაღქმევაზე უფრო მეტყველი.

დადგა დრო დამშვიდობებისა.

და ეუბნებოდა თვალშვენიერი:

— მაცხოვარი და მეუფე ჩვენი, იესუა ნაზარეველი, ტომით იყო ჰაბირუელი. დე, ვეთაყვანოთ, მის კვალს მივსდიოთ განუყრელად, მისთვის დავიხოცოთ, მის ფერხთა მტვერად გარდავიქცეთ, მაგრამ იქნებ ჩვენშიც, ჩვენს თანასისხლიერ ნათესავ ქართველშიც იყო ვინმე, ან იქნეს ვინმე, რომლის ღვთაებრივ მადლს და ღირსებას უკეთუ არ ვეთაყვანებით, აეგად მაინც ნუ მივიწყენებთ და ხალხის ხსოვნიდან მის აღმოფხვრას ნუ ავიჩემებთ.

— რაის თვის ბრძანებ..., — სიტყვის ჩაბმა სცადა გიორგიმ, მაგრამ აბრძნა თვალშვენიერმა, ნუ შემიწყლიო, და განაგრძო:

— ვგრძნობ უტყუვრად და უცთომელად, ჩემო გიორგი, დადგება დრო, შენ სიბრძნის მდელო იქნები და იმა მდელოზე მრავალსახე ყვავილები აყვავდებიან; შენთა წიგნთა და ლოგოსთა მადლით მოირწყვება ქვეყნიერება, მაგრამ, გახსოვდეს,

სიბრძნეც, სიქველეც, სიყვარულიც და სიხარულიც ყოველ სკნელისა, შენთვის და ჩემთვის, ისე ვითარცა ყოველი ქართველისთვის — მაინც უნდა იწყებოდეს საქართველოდან.

გიორგიმ ისევ დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ ისევ არ დაანება თვალშვენიერმა:

— ვიცი, ვიცი, რომ მეთანხმები, უსიტყვოდ ვხვდები; აკი უსიტყვოდ გვესმის ხშირად ჩვენ ერთმანეთის.

გიორგის ხმა აღარ დაუძრავს. იდგა იგი თავდახრილი, მდუმარი, უსაწყისო და უსასრულო ფიქრით ნატვირთი. და როგორც იქნა, ამოიღო ხმა:

— ვიდრე წავსულვარ, ეს ერთი თხოვნა შემისრულე, ხუროთმოძღვარო!

— მითხარ, გიორგი!

— სანამ ტაძარს დაასრულებდე, სადმე კედელზე, ადამიანის თვალის საჩინოდ, შენი სახელი დააწერე, ვითარცა შენ, აღმშენებელმა.

— სახელი მივაწერო?! — განცვიფრდა თვალშვენიერი.

— სწორედ, სწორედ!

— არც არასდროს მიმიწერია, არც ქუთათისის ტაძარზე მიკადრებია და არც სვეტიცხოველს შევაწუხებ ჩემი ცოდვილი სახელის მირქმევით.

— უნდა მიაწერო, თუნდაც იმიტომ, შენს მაგივრად სხვისი სახელი არ აღმოჩნდეს ზედ მიწერილი.

ჩაფიქრდა არსუკისძე, ჩაფიქრდა. მერე, უცებისად, თითქოს სხვა მკვეთრმა საფიქრალმა გამოარკვია და გიორგის მხარს მოეჭიდა.

— მაშ, მშვიდობით, ჩემი სულის თანამოსაგრეო!

— მშვიდობით, ჩემი სულის თანამხედარო!

ერთმანეთს გადაეხვივნენ.

თვალშვენიერმა იგრძნო: გიორგის გულზე სცხელოდა.

გიორგიმ იგრძნო: თვალშვენიერს გულზე სციოდა.

და გაშორდნენ.

— არ დაგავიწყდეს, ღვთის მუხლზე ზიხარ და, ღმერთს გაუფრთხილდი! — უკანასკნელად უთხრა თვალშვენიერმა.

— შენ კი სატანას გაუფრთხილდი, რადგან — სადაც ღვთის სახლი დაიდგმება, იქ სატანაც დაიდგამს ხშირად უხილავ სახლაკს! — უკანასკნელად უთხრა გიორგიმ.

და წამოვიდა გიორგი. წამოვიდა და, არმაზის მთას რომ ქედზე მოექცა, მაშინ შედგა და მოიხედა უკან.

არსუკისძე აღარსად ჩანდა.

ველარც დაინახა და აღარც იმის დაჯერება სურდა, რომ სვეტიცხოვლის აღმშენებელიც იმათში ჩაიკარგა, ამ სიმაღლიდან ჯინჯველებად ჩენილნი რომ ფუსფუსებდნენ და ფუთფუთებდნენ მტკვრისა და არაგვის წყალსართავში.

კვართის უბიდან ჯვარი ამოიღო და დაჰხედა ხარბად.

კვართსაც და ჯვარსაც სდიოდა სურნელი მისი სულის მარჩბივისა, თვალშვენიერ არსუკისძისა.

ხოლო, ალისფერი ქალის დალალს თავისი, საკუთარი სურნელი ჰქონდა.

ჯვარი ცხელი იყო, თუმცაღა ქალის ნედლი თმა ანელებდა მის მხურვალებას.

ტანის მხურვალებას კი ველარ გაუძლო. ჯერ ბურნუსი გაიძრო და მიაგდო. მერე კვართი გაიხადა და ბალახზე გაფინა მოწიწებით. და მაშინ პირველად იხილა: კვართის მარცხენა ძუძუზე ტაძარი იყო ამოქარგული.

მსახვარი სვეტიცხოვლისა!

სიხარულით აევსო გული.

და უცებ მოეჩვენა: სვეტიცხოვლის მსახვარი ნინოს ჯვარს ჰგავდა!

და წამსვე, გაშლილ კვართზე, მსახვარის გვერდით, მისგან მარჯვნივ, დაასვენა თმით შეკვერთხილი ჯვარი ნინოსი.

უცქირა, უდარა და უჯერა ერთურთს.

და დარწმუნდა, რომ სვეტიცხოველი არ შენდებოდა ეითარცა ჯვარი ყოველი, ანუ აწამდე ქმნილი ტაძარი ყოველი. არამედ იგი შენდებოდა ხატებად ნინოს ჯვრისა, ქართულისა.

თუმცაღა ესეც — უფრო შეიგრძნობოდა, ვიდრე შეიცნობოდა.

მაგრამ, უკეთუ ეს მართლა ასეა, რად არ გაუმხილა თვითონ თვალშვენიერმა — მარჩბივმა მარჩბივს?!

და უსაზღვროდ მოეწადინა ისევ ხილვა არსუკისძისა.

გადაიხედა და თვალით ჩხრეკა დაუწყო ქვეშეთს.

ისევ არ ჩანდა არსუკისძე.

ჩანდა მხოლოდ სვეტიცხოველი, შეაგარდაკეთილი და გამთლიანების დაურწყულებელი წყურვილით პირდაღრენილი.

დიდხანს უცქირა ვრცელთვალიანმა.

ისევ ჯვარმა წაართვა მზერა, დახრილმკლავებიანმა.

ასეთ ჯვარზე ცმა უძძიმესი იქნება, რადგან დახრილ ფრთებზე გალურსმულ წამებულს უფრო მძიმე და მძაფრი დატვირთვით დაითრევს დედამიწა...

ისევ გადახედა ქვეშეთს.

ისევ არ იყო თვალშეუნიერ არსუკისძე.

მხოლოდ ისევ იყო სვეტიცხოველი, გარდაკეთილი და გამთლიანების წყურვილით გახსნილები.

იდგა ტაძარი და თითქოს იძვროდა.

თითქოს ფეთქავდა.

იდგა და ფეთქავდა საქართველოს საფეთქელზე სვეტიცხოველი.

ვედრება მეცხვიდე

მესამე დღეს, მიმწუხრისას, მიატანა გიორგიმ სოფელსა მშობელსა — ტორითიოს.

ძელი მიმწუხრისა რეკავდა სოფლის ეკლესიიდან:

ძელი მწუხრისა, ძელი მწუხრისა,
ხმა ზენაარი, ღრუბა უფლისა.

„ნეტავ ახლა, აი, ამ წუთში, არსუკისძის სულშიც თუ იძვრის ღვინი ესე?!" — გაუელვა გიორგის.

მივიდა სახლსა შინა დაბადებულსა.

შეხვდა დედა.

შეხვდა მამა.

შეხვდნენ ძმები.

და ყველა შეხვედრას ერქვა სიხარული და სიყვარული უწრფესი, უცაზესი და უსათნოესი, რადგან ყველაფერი იყო მშობელშვილური და ზიარსისხლური.

მეორე დღეს იაკობმა უთხრა შვილს: ბიძები გიხმობენ ხახულში და ჯერდა წახვიდე ოცილეტიდ ადგო.

ბიძებზე? ის ვინ?

ჰო, ასე იყო: იაკობ თაქთირისძეს ორი უფროსი ძმა ჰყავდა — გიორგი და საბა. ორივე, დიდი ხანია, ხახულის ტა-

ძრის ღვაწლსა და სამსახურში იდგნენ. გიორგის „მწერალს“ ეძახდნენ, რადგან ადრე მწერალთ-გამგებლად მსახურობდა მეფე დავით კურაპალატის კარზე.

და ახლა ბიძები იხმობდნენ ძმისწულს — გიორგი მწერალი და საბა — „კაცი წრფელი და უმანკო“.

და გადაწყდა ხახულს წასვლა.

გამგზავრების წინ დედამ შვილს პერანგი გაუსინჯა. გაუკვირდა მარიამს. შვილს პერანგი თითქოს ისეთივე ეცვა, თვითონ რომ მოუქსოვა უკერველად, მაგრამ ახლა მარცხენა მხარეს ჯვარი კი არა, ტაძარი ეხატა.

— ეს რა კვართია, შვილო?

— კვართია, პერანგი, სხვა რა უნდა იყოს?

— მეც ვხედავ, რომ პერანგია, მაგრამ ჯვარი რა იქნა?

— გავცვალე, დედა, მთხოვა და უარი ვეღარ ვუთხარ.

— ვინ გთხოვა?

— ერთმა ადამიანმა... მთხოვა და გავუცვალე; ჯვრიანი ტაძრიანში გავუცვალე.

მარიამი გაჩუმდა.

— გული დაგწყდა, დედა? — ჰკითხა გიორგიმ, თვითონ გულდაწყვეტილმა.

— არა, შვილო, გული რად დამწყდებოდა, უკეთუ შენმა გულმა გაიხარა? — უთხრა და აკოცა დედამ შვილს.

...და წავიდნენ ხახულს იაკობი და გიორგი.

და მივიდნენ.

და იდგა დიდებული ტაძარი, გუმბათოვანი, სამნავიანი, მდინარე თორთომის მარცხენა შენაკადზე — ხახულისწყალზე.

მეფე დავით კურაპალატს აეშენებია იგი, ღვთისმშობლის სახელზე, გიორგის მისვლამდე ორმოცი წლით ადრე.

იაკობმა შვილი ძმებს მიჰგვარა.

ძმებმა, გიორგი მწერალმა და საბამ, ძმისწული, რომლის მაღალნიჭიერება და ღვთისმოსაობა ადრევე შეეტყოთ, დიდი სიყვარულით ჩაიბარეს, იაკობს შვილისადმი მამეული მზრუნველობის აღთქმა მისცეს და თვითონ უკანვე გამოისტუმრეს.

მეორე დღეს ბიძებმა ყრმა ძმისწული წარუდგინეს ხახულის მთავარი ლავრის წინამძღვარს, მამა მაკარის.

განაცვიფრა წინამძღვარი ყმაწვილის ხილვამ. ჭეშმარიტად უფლისგან ხელდებული არისო და მაშინვე აკურთხა კურთხე-

ვითა წრფელითა, მაშინვე საეკლესიო ეკლოგიის მონაწილედ ჰყო და თავის სულიერ შვილად გამოაცხადა.

ხახულის სავანეში იმჟამად იღვწოდა დიდი ბასილი, ძე მეფე ბაგრატ მესამისა, ძმა მეფე გიორგი პირველისა, „ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებასა შინა ზედმიწევნილი, მთარგმნელი სხვათა ენათაგან ფრიად კეთილი, და რიტორ-მომთხრობელი, და მაღალ სიტყვათა ზედან დამთხზველი, მონოზონებათა სრული, და განმანათლებელი ეკლესიებთა, რომელსაც უწოდეს ქართველთა ეკლესიათა სამკაულად“.

და მიჰგვარეს ბასილი დიდს ახალი მოწაფე. და იმანაც განიხარა მისი ხილვით, სიხარულითა დიდითა. განიხარა და აკურთხა კურთხევითა წმიდითა.

მას უკან კიდევ ღმერთშემოსილმან ანტონი მნათემან აკურთხა გიორგი, ყოვლითა კურთხევითა. ხოლო, ანტონი იყო „ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსი და მთარგმნელი წერილთა, უბნობასა შინა მჭევრმეტქვი, და შვენიერი მთხზველი, და მჭადაგებელი, რომელიც იწოდებოდა დიდ მეცნიერად“.

ბოლოს, სრულად შეიყარა საკრებულო უხუცესთა სამღვდელოთა და იწყეს ბჭობად, ვისთვის მიეცათ სამოწაფოდ მათი ახალი, შვილად აყვანილი ჭაბუკი.

და გადაწყვიტეს: ყველაზე ღირსეული, ღმრთივსულიერი, მწყემსი კეთილი, რომელიც ახალ მოწაფეს „სწავლის სძესაც“ უხვად შეასმევდა და სათნოებითაც უაღრესად განასრულებდა — იქნებოდა ილარიონ თვალოელი.

ილარიონი ადრე თვალის მონასტერში მოღვაწეობდა, ანტიოქიის ახლოს. მერე იქიდან წამოსულა, „თვალოელის“ სახელით, და ხახულის სავანეში დავანებულა.

და „მას ჟამსა, ვითარცა მთიები, ბრწყინავდა კრებულთა შორის მამათასა“ ილარიონ თვალოელი. იყო იგი „სიბრძნისმოყვარებასა შინა სრული, სათნოებისა სარკე და მმარხველთა კანონი“.

და სწორედ ილარიონ თვალოელს შეჰვედრეს სამოწაფოდ სულიერი შვილი თვისი წმიდა მამებმა. და შეიწყნარა „უმაღლესი სათნოებითა და სულიერთა მოძღვრებათა შინა განთქმულმა“ ილარიონმა თანამოღვაწე სამღვდელოთა თხოვნა და მიიღო გიორგი მოწაფედ და შვილად თვისად.

განვლო მცირე დრომ და ისევ იწყო ხმამ მიმორხევა: არცა

არავინ არს, არც ყოფილ არს და არც იქნებიეს ბადალი გიორგისი, არცა ნიჭის სიმაღლით, არცა გულის სისრულით, არცა სულის სიმძლავრით და არცა ზნეკეთილობით.

საკვირველი სისწრაფით სწავლობდა და ითვისებდა ენებს — ბერძნულს, არაბულს, სომხურს.

საოცარი ძალტევადობით ისრუტავდა მისი მძლავრი გონება ყოველივეს, დაწერილს თუ ზეპირად ნათქვამს. სასწაული იყო მისი ხსოვნითი სისრულე. უნდოდა თუ არ უნდოდა, ყოველივეს საზეპიროდ ინთქავდა გონება მისი: საღეთისმეტყველო წერილნი ყოველნი, ძველი და ახალი აღთქმანი, კანონნი სჯულისანი, საგალობელნი, საწელიწდონი, ძლისპირნი...

მაგრამ — მთავარი მაინც იყო განსჯანი წაკითხულისანი.

და საკუთარი განსჯანი...

...სინათლე შუა დღისა, სინათლე ცისკროვანი ცისა, სინათლე სრულიცხოველი მზისა — ნუთუ ეს არის სასრული სრულიად სინათლისა?

სწუხდა გიორგი.

შფოთავდა მისი სული.

სინათლე უაღრესი!

სინათლე უაღრესი!

სადა არს იგი, უკეთუ არს?

უნდა იყოს! რამეთუ სინათლემ ჰქმნა თავი თვისი.

უნდა იყოს და უეჭველ არს, სადღაც არს სინათლე უაღრესი, ანუ უ-სი-ნათლ-ო-ე-სი, ანუ უ-ნათლ-ო-ე-სი! უნდა იყოს ამა სინათლის მიღმიერ.

და ვითარ შევიგრძნობ მე მას, სინათლეს უაღრესსა და მიღმიერსა?

და ვითარ შევიცნობ მე მას?

ანუ, ვითარ ვიალღოებ და ვიგერშებ მე მას?

ანუ, ვითარ მივწვდები და მივემთხვევი მე მას გონებითა ჩემითა?

ანუ, ძალუძს კი-ა გონებასა ჩემსა და სრულიად გონებასა კაცისასა შეგრძნება და შემეცნება უნათლოესისა?

ანუ, ნება აქვს სულსა ჩემსა ჩვენი სინათლის მიღმიერი უსინათლოესის შემეცნებითი ხელყოფისა?!

შემეცნებითი ხელყოფისა...

შემეცნებითი შეურაცხებისა...

შემეცნებითი შებილწვისა..»

ვაი, უტიფრობას სულისას ჩემისას!

სწუხდა ჭაბუკი მოხაზონი,

შფოთავდა სული მისი.

მარტო იყო.

მარტო იყო იმ ჟამსაც, ოდეს მისი დიდი მოძღვარი და მასწავლებელი ისეთი გზნებით განსჯიდა მასთან სიტყვადმიმოქცევაში საკითხავთა სულის მარგებელთა.

ჟამდაჟამ ისეთ უსაშველო მარტოობასაც კი შეიგრძნობდა, თითქოს, მის ახლოს მყოფ ადამიანთაგან თანამედროვე აღარ მოიძევებოდა და — ნაღლოდ დრო და სივრცე იყო მისი თანამედროვე.

უკეთუ არავინ მიეახლებოდა და არავინ ჭაესიტყვებოდა, ოვითონ არარაისთვის არავის არ მიეტანებოდა.

მარტო იყო.

მარტო დადიოდა. საყოველთაო გზას ერიდებოდა. საცანდალოს მოიძიებდა.

მხოლოდ მისი „მე" იყო მასთან.

მხოლოდ მისი „მე" და მისი „ანტიმე".

არავის უნდოდა. არავინ უნატრებოდა.

თუმცა — თვალშევნიერ არსუკისძე ენატრებოდა.

ვაი უტიფრობას სულისას ჩემისას, რამეთუ თვალშევნიერი უტიფარ არს!

სვეტიცხოველის სუროთმოძღვარი აკი თავის საკუთარ ლმერთს ეძიებს და, აი, უტიფრობა და კადნიერება სულისა მისისა!

მაგრამ... ოოო, რა შემზიბლავია ძიება ახლისა, თუნდაც ახალი ღვთაებისა!

ვაი უტიფრობაჭ, ჩემი სულისა!

მინდოდა მეთქვა: რა მომხიბლავია-მეთქი ძიება ახალი ჭეშმარიტებისა!

მაგრამ არსებობს კი-ა ახალი ჭეშმარიტება?

ახლა, საერთოდ — „რაი არს ჭეშმარიტება?" — პილატეს ეს აგდებული კითხვა დღემდე ხომ პასუხგაუცემელია?

მაგრამ, — ვგონებ, ეს კი სწორად ვიცით, რომ ჭეშმარიტება მარადიულია და ჩვენ მისი შექმნა არ შეგვიძლია.

ჩვენ მხოლოდ ჰეშმარიტების მიგნება და აღიარება შეგვიძლია.

ხოლო, არსებულის მიგნება, თუნდაც აქამდე მიუგნებელის მიგნება, არა არს მიგნება ახლისა.

ხოლო, არსუკისძე ეძიებს სრულიად ახალს, ჰეშმარიტების რაღაც მიღმიერს, მაშასადამე ღმერთის მიღმიერს, ახალ ღმერთს, აქამდე არარსებულს, თუ ჩვენთვის არარსებულს და ჩვენი გრძნობის და გონების მიღმიერად არსებულ ღმერთს!

აი, უტიფრობა და ქადნიერება თვალშეუნიერ არსუკისძისა!

და ძალიან, ძალიან ენატრებოდა თვალშეუნიერთან ყოფნა გიორგის. მის „უტიფარ სულთან" ყოფნა ენატრებოდა.

მისაჯე მე და საჯენ, უფალო, რაისთვისაც გამომიწვიე მე, რაის საწუთისოფლოდ, არყოფნიდან ამ უცნაურ, ჩემთვის ჯერ ისევ გაუცნობიერებელ ყოფიერებაში?

და, არის თუ არა ადამიანი აზრი დედამიწისა?

ან, იქნებ, თავის თავის აზრიც არ არის იგი?

იქნება, შენის ნებით, უფალო, ადამიანი სამყაროს მხოლოდ მიგდებული ბავშვია და სხვა არაფერი?

იქნებ, ამ დედამიწის ბუშს არცა აქვს უფლება, თავი იმტვრიოს და ტვინი იჭყლიტოს, რა სულიერ-სხეულებრივი მიმართებანი შეიძლება იქნეს აჴ არ იქნეს „მესა" და „არა-მეს" შორის, ზენასოფლურსა და ქვენასოფლურს შორის, მიღმიერსა და მოღმიერს შორის...

მზის ჩასვენება ღამის საოევად, ძილად და ძილისშორისად განაწყობს დედა-ბუნებას და არსთა ყოველთა. ხოლო იგი არ იძინებდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სიკვდილს არ იჩვევდა (აკი ძილი სიკვდილის მიჩვევაა), არამედ, უბრალოდ, არ ეძინებოდა.

არ ეძინებოდა, რადგან მის გონებაში უთვალავ აზრთა ნადიმი იდგა და ყოველი მონადიმე იყო თავისთავად ხელშეუვლები, სხლტომადი, მყაფარი, პიტალო და ფიწალო, ჭირვეული და ჩხუბისთავი, დაურიდალი და შეურიგალი.

ამიტომ არ ეძინებოდა.

მხოლოდ, დამწვარი ფოთლების მინამსგავსი სურნელი მოეფინებოდა და მოათრობდა აზრის დუღილით ნადუღარ მის გონებას.

მდინარის პირას ჩავიდოდა, ან მდინარეში ჩაცვივნულ ვარ-

სკვლავებს ჩასცქეროდა, ან მინდორზე გულაღმა დაირეცებოდა და იწვა დამწვარი ფოთლების სურნელითა და აედონთა გალობით აღრეულ ბურანში.

მცხეთიდან კიდევ ერთი, მანამდე განუცადებელი და გაუცნობიერებელი სურნელი გამოჰყვა, დღემდე რომ განუშორებლად დაუფლებოდა მთელს მის არსებას. სახელი ვერ დაერქმია გიორგის, რა სურნელი იყო ეს? მაგრამ უსაზღვროდ სამო და სანეტარო კი იყო სურნელი იგი.

აშკარად არსუკისძის კვართს ასდიოდა, ტაძროვან კვართს, მაგრამ კვართს რომ გაიხდიდა, ტანს დაიბანდა და დაისპეტაკებდა, მაშინაც, დედიშობილას, გაუნელებლად განეფრქვეოდა ფშვიადი იგი.

და გიორგიმ უწოდა მას — „სუნნელება სვეტიცხოვლისა“.

ვედრება მერვე

უფროს ბიძას, გიორგი მწერალს, კანანახად, მგალობელთ წარმმართველად და საქამნო წიგნთა მკითხველად ემსახურებოდა ყრმა გიორგი.

ჟამჟამად თვალშვენიერ არსუკისძის დანაბარები უწუხებდა სულს — დიდი ეფთვიმე მთაწმიდელის გზა გელოდება გასავლელადო.

ხახულის მოძღვართა და მოწესეთა წყალობით უკვე ბევრი რამ შეეტყო გიორგის ეფთვიმეს ცხოვრებისა და ღვაწლთაგან.

და ფიქრობდა გიორგი დიადი მამა-შვილის, იოვანესა და ეფთვიმეს გამო...

გიორგის ფიქრი გაუწყდა: თავზე უფროსი ბიძა დასდგომოდა, გიორგი მწერალი.

იმიერ ტაოში, ხახულის სავანიდან მარჯვედ მოარული მგზავრისთვის ერთი დღის სავალზე, დაბა ტვარწატაფში, წარჩინებული დიდაზნაურისა და სპასპეტის, ფერის ჯოჯიკისძის სასახლე იდგა.

მამამისი ჯოჯიკ, თორნიკე ერისთავის თანაშემწე სარდალი იყო ბარდა სკლიაროსთან ძლევამოსილი ბრძოლის ჟამს.

თვითონ ფერისი, ექვსი ათასი რჩეული მხედრით, მხარში ედგა მთავარსარდალ გაბრიელ ოჩოპინტრესძეს, როცა ქარ-

თველებმა სრულად გაანადგურეს მამლან ამირა და მისი მრავალრიცხოვანი სარკინოზული მხედრობა.

ფერისს ცოლად ჰყავდა მეფე ბაგრატ მესამის ასული კრავაი, ანუ გიორგი მეფის და დიდი ბასილი ხახულელის დაი. ამბობდნენ კიდეც მაშინ: ეს დიდებული დედაკაცი ღმრთისმსახურებით მის ძმას, ბასილი ნეტარს არც კი ჩამოუვარდებაო.

და განუზრახავთ ცოლსა და ქმარს, მათი დიდი ოჯახისათვის ვინმე მოეწვიათ საღვთო სწავლებათა და წმიდა ზნეობათა მასწავლებლად.

და ასეთ სასურველ სულის მწრთვნელად მიუჩნევიათ და, ძიდევაც „დიდითა ვედრებითა და ქენებითა", მიუწვევიათ გიორგი მწერალი.

და მიდიოდა გიორგი მწერალი ფერის ჯოჯიკისძის ოჯახში მოძღვრად და მასწავლებლად, მიდიოდა და თანაშემწედ მიჰყავდა ძმისწული თვისი, ჭაბუკი გიორგი.

და წაიყვანა.

და პირველ დღეთავე შინა შეიყვარეს ფერისის ოჯახმა და სრულმა სახლეულმა ეს საკვირველი, ნიჭმაღალი, ზნემაღალი, სახედაწყნარებული და ჯვარშუბლოვანი ჭაბუკი.

ფერისის მეუღლემ, კრავაიმ — „საღმრთომან მან დედაკაცმან შვილად თვისად აღიარა იგი".

დრო კი მიჰქროდა. მიჰქროდა უსულთქმოდ და უწერტილოდ. მიჰქროდა ძველ ფრთათა განყრით, ახლადასხმული ცინცხალი ფრთების ქნევით, ფართქალით.

ვედრება მეცხრე

ფერის ჯოჯიკისძე სასახლის ახლოს კარის ეკლესიას აშენებდა. მსახვარიც თვითონ იყო ეკლესიისა, ერისმთავარიც და ხუროთმოძღვარიც.

მიწის მთხრელნი, ქვითხურონი და გალატოზნი კი სომხები მოეხმო.

გიორგიც, როგორც კი ერისმთავრის სახლეულის სულიერ წრთვნასა და წიგნთა კითხვას დაეხსნებოდა, მაშინვე მშენებლობაზე გადიოდა, თვითონაც მუშაობდა და მშენებლებს ქვათა თლაში და ქვათატვირთვაში ეხმარებოდა.

ძალიან შეეთვისნენ ერთმანეთს.

ძალიან მოსწონდა გიორგის ეს კეთილი, შრომისმოყვარე და ჭკვიანი ადამისძენი.

უხაროდა, რომ ქართველ და სომეხ წინაპართა განუკვეთელი ძმობა და მეზობლობა ამათაც ისე ესმოდათ და ეცნობიერებოდათ, როგორც თვითონ.

მათთან სიტყვათმიმოქცევით, სომხურ მეტყველებაშიც იწაფებოდა იგი.

და ერთხელ, როცა გიორგიმ და გაგიკ შირაკაცმა კედლის ზღუდარზე ქვა აზიდეს, დათქმულ ადგილზე ჩაასადაგეს, მერე იქვე ჩამოსხდნენ და ოფლი მოიწმინდეს, გაგიკმა ჰკითხა გიორგის:

— რა მითხარი, რა გვარიაო სვეტიცხოვლის აღმშენებელი?

— არსუკისძე, — უპასუხა გიორგიმ.

— არსაკისძე? — და ეშმაკურად ჩაეცინა გაგიკს.

— არსაკისძე კი არა, არსუკისძე-მეთქი!

— მაგრამ ხომ არის არსაკისძეც?

— არ ვიცი, ასეთი გვარი არ გამიგია.

— არც მე გამიგია, მაგრამ ხომ შეიძლება არსებობდეს ასეთი გვარიც? — არ ეშვებოდა გაგიკ შირაკაცი.

— შეიძლება თუ არ შეიძლება, რა ბედენაა, უკეთუ მცხეთის სვეტიცხოვლის აღმშენებელი ცხადად და ნათლად არსუკისძეა და არა არსაკიძე?

— მაგრამ გახსოვდეს, უკეთუ იგი არსაკიძეა, მაშინ სომეხი ყოფილა სვეტიცხოვლის აღმშენებელი.

— ?!

— ვინათგან არსაკი, ანუ არშაკი სომხური სახელია, — დაასკვნა გაგიკმა.

გაჰკვირდა გიორგი, მცირედ დაფიქრდა და მას უკან ეს მიუგო მოსაუბრეს:

— აგრე თუ ჩავუევით, ეგ სახელი — არსაკ-არშაკი — არც სომხურია და არც ქართული, რადგან იგი პართიიდან შემოვიდა სომხეთშიც და საქართველოშიც.

— მაგრამ საქართველოში მაინც სომხეთიდან მოვიდა სახელი არშაკ, — არ იშლიდა თავისას შირაკაცი.

— რად აგიჩემებია და აგიკვიატებია, გაგიკ, — გაწყრა გიორგი, — საიდანაც არ უნდა იყოს ეგ შენი არსაკ თუ არშაკ,

სვეტიცხოვლის აღმშენებელი არსუკისძეა, არ-სე-კის-ძე, მორჩა და გათავდა!

გაგიკვს აღარაფერი უთქვამს, ოღონდ კეთილი, თან ეწმაკური ღიმილით შეავლო თვალი გიორგის ფიქრიან სახეს.

თვითონ გიორგის საფეთქელზე გამალებით უფეთქავდა ძარღვი კათოლიკე.

ვედრება მეათე

მცირე ხნით გონება მოვიცვალოთ, უკან დავისიოთ და ფიქრით იმ წელიწადს მივადგეთ, ოდეს ბოროტი მოუსავლიანობა დაემუქრა საქართველოს.

ბელზებულის, ჭაკი სატანის თვალმა გათვალა და ამოახმო თესლი, ნაყოფის მშობელი, საგაზაფხულოდ ნასვავ-ნათეს თერძულებში.

მეფის დამ, ალისფერმა ევნიკიამ იტვირთა განკურნება უცხო მწერთაგან გაბერწებული დედამიწისა.

(სამკურნალო ხელოვნება შეესწავლა ევნიკიას, ვითარცა იყო წესი სამეფო სახლსა შინა).

ძმას, გიორგი მეფეს აბრძანებინა: ყოველ სოფელში თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის ქალწულები გამოეყვანათ, სათვეო რიგით წიდოვანნი, და თერძულებში ერბენინებინათ, უროპანაგოლ, აბავერ-გაშიშვლებულნი.

თვითონ პირველმა გაიძრო როპანაგი ევნიკიამ, თანატოლი ქალწულებიც ჭვედა ტანზე გააშიშვლა და წარუძღვა სირბილით სამეფო და საბატონო ყანებისაკენ. ძაღლის ძილზე გავიდნენ და გლეხის სადილობამდე ირბინეს. ირბინეს და აფრქვიეს გაქალწულობის ცხელი ნაწური ჭაკი სატანის ცხელი თვალით გათვალულ მიწას.

და განიკურნა დედამიწა, განაგდო სატანა და დაიბრუნა ძალი ნაყოფმშობელობისა.

და იფეთქა ჯეჯილმა.

მაშინ თვითონაც ქალწული იყო ევნიკია.

მაშინ...

ხოლო, ახლა...

ახლა აღარ იყო ქალწულობა.

არამედ იყო გარდაქალწულება.

და იყო სიყვარული, ნაშობი ქალწულობისა.

ხოლო, სიყვარული თვალშვენიერ არსუკისძესთან განეყოფოდა ევნიკიას.

გარდარეული სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი.

ვედრება მეთერთმეტე

ქირქიშ აბულახტარსაც შეჰყვარებოდა ევნიკია.

გადარეულად შეჰყვარებოდა.

ვედრება მეთორმეტე

ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს თორნიკე ერისთავის გმირობა, ძალიან ძვირად.

დავით კურაპალატი და თორნიკე ერისთავი რომ არა, ბარდა სკლიაროსი ბასილი კეისარს კეისრობამდე ამოჰყლეტდა აკვანში.

ხშირად ემართებოდათ ასე ქართველებს: უცხო თესლისთვის საკუთარი სისხლის ფასად გაცემული მადლი ბოლოს მაინც მატლად ექცეოდათ და უმადურობა ცხვირში ძმრად ამოსდიოდათ.

არადა, ასეთი ძლიერი ხელმწიფე არც მოსწრებია ბიზანტიის საიმპერატორო კარს, როგორც ბასილი მეორე — ეს გულმშრალი, ენამოტეხილი უაზნო და უგვარდიდო, მედუქნის ქალის ნაშობი.

(უგვარდიდონი საერთოდ მოსდგამდა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტსა და გვირგვინს — მეღორეები, მეჯოგეები, მეჯინიბეები, ცირკის ჯამბაზები, ტაკიმასხარები).

და იყო კეისარი და ბასილევსი ბასილი მეორე უაზნო და უგვარდიდო, მაგრამ ხელმწიფე ძლიერი ნიჭით, ძლიერი ნებით და ძლიერ ბოროტი გულით.

და გეშინოდეს ადამიანო, ძლიერი ბოროტისა!

და მთავარ მტრებად აიჩემა ბოროტმა ძლიერმა — დასავლეთით — ბულგარელები, აღმოსავლეთით — ქართველები.

იმ წელს, რა წელსაც გიორგი პირველი საქართველოს ტახტს ისადაგებდა და მძიმე გვირგვინს ყმაწვილურ თავზე ისწორებდა, ბასილი ბასილევსს უკვე ოცდახუთწლოვანი სისხლნათხევი კეისრობის გზა ჰქონდა განვლილი. დიდძალი სი-

სხლი დაექცათ და დიდძალი ხორციც დაუმიწდათ ბერძნებს ბულგარელებთან ხანგრძლივ ხმალთაკვეთებაში, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაუტანია „ბოროტ ძლიერს".

და მოვიდა საქართველოში ამბავი ბავთი და ზარდამცემი: ბასილი კეისარს ბელასიცის მთებთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში ბულგარელები სასტიკად დაუმარცხებია, თხუთმეტი ათასი ბულგარელისთვის თვალები დაუთხრია, ყოველ ას დაბრმავებულზე, ბრმათა ასეულის წინამძღოლად, ერთი ცალთვალდაბრმავებული წაუმძღვარებია და ამნაირად, ბრმა კოლონებად ასხმულნი, მათი მეფისთვის, სამუილისთვის გაუგზავნია. ათასეულობით თვალდაშრეტილ თანამემამულეთა ხილვით ელდაცემული სამუილი ლოგინად ჩავარდნილა და მსგეფსის თავზე კიდევაც მომკვდარა.

ამ დღიდან ბასილი ბასილევსს ახალი, უკანსაყივარი სახელი დარქმევია — „ბულგართმელეტელი".

მაგრამ არც ეს ჩაუგდია აინუნში გიორგი მეფეს — უშიშსა ვითარცა უხორცოს.

სიცილით კვდებოდა გიორგი: უკანსაყივარ სახელად მაინც „მჟლეტელი" სჯობია „კუანას", ან „მეჰაკესო" (იმპერატორ კონსტანტინე მეხუთეს გულისხმობდა — ნათვლისას ემბაზი რომ აუქოთებია კუილით, ხოლო მოწიფულობისას ჰაკ ცხენებთან რომ მაკინტლობდა).

გიორგი მეფის ბობოქარ სულს სამხრეთული ქართული მიწები მიუხმობდა — ტაო და ბასიანი, რომლებიც იქაურ მოღალატე აზნაურებს მიეცათ ბერძნებისთვის, „ღადრობითა ბოროტითა".

ღალატი ჰყვაოდა საქართველოში. ღალატი — თანასისხლიერის შურისა და სიძულვილის საძირეზე დამყნილი.

ღალატი ბარტყობდა საქართველოში.

აგერ, თოთხმეტი წელიწადი იდგნენ ტაო-ბასიანის ქართველთაგან ნაღალატევ ქართულ ციხესიმაგრეებში ბიზანტიური ციხიონები.

დრო მიდიოდა, დროს ადამიანები თან მიჰყავდა, მაგრამ ზნისა, ჩვევისა და ხსოვნის წაღება, რეცა, არ შესძლებია ყოველისმყლაპავ დროს, რამეთუ: ქართველთაგან ნაღალატევი ქართველები ტაო-ბასიანის ქართულ მიწა-წყალზე ისევ ქართველობდნენ, ქართულ ენასა და ქართულ სულს მიმოიქცევდნენ,

მათ თანამსახლობარ სომხებსაც ძველებურად თანაიძმობდნენ, თანაიჯირვებდნენ და თანაილხინებდნენ... თუმცაღა ციხიონებში მაინც უცხოელნი იდგნენ — ბერძენნი, ანუ ბიზანტიელნი, ანუ „რომეელნი“.

იდგნენ და იყვნენ.

თავისთვის იყვნენ, თავისთვის-მეთქი!

რადგან — ქართულ მიწა-წყალზე, ქართულ შინაყოფაში ჩარევას ვერ ბედავდნენ.

და იყო ორივე მხარე თ ა ვ ი ს თ ვ ი ს: ქართველობა ქართველობით და უცხოელობა უცხოელობით.

მაგრამ გიორგი მეფეს არ შეეძლო ყოფილიყო ისეთი კუდაბახალა მეფუკა, მის მიწაზე რომ უცხო თესლის „უწყინარობით“ თავი ენუგეშებინა.

სამხრეთისკენ მიეშურებოდა ქართველთა ლაშქარი, ქართული მიწების დასაბრუნებლად, მოსაბრუნებლად და საპატრონოდ.

მეფეს თანასარდლებად მისდევდნენ — ზეიად ერისთავი, რატი ბაღვაში კლდეკარელი და ხურსი ტაოელი.

ტაოში ფერის ჯოჯიკისძე შემოეგება და შემოუერთდა თავისი ლაშქრით გიორგი მეფეს.

ზედიზედ განდევნეს ქართველებმა ბიზანტიური ციხიონები ქართული ციხეებიდან.

ფერის ჯოჯიკისძემ ძლევის სალხინებელი ტაბლა თავის სასახლეში გაუშალა მეფეს, ტვარწატაფში.

(ისედაც ეწვადნიერებოდა მეფეს ფერისის ოჯახში წვევა, რადგან დიასახლისი — კრავაი, აკი მისი და იყო, ასული მეფე ბაგრატ მესამისა).

ტაბლის კურთხევა სახლის უფალმა მიანდო ჭაბუკ ბერს, რომელსაც სახელად ერქვა გიორგი.

და აკურთხა ბერმა გიორგიმ ტაბლა იგი: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედი სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა ეგრეთცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს, და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“.

გაოცდა მეფე: არასოდეს ადამიანის სახეზე ასეთი სიმშვიდე არ ენახა.

„ალბათ, ესე არს სიდიადე სიმშვიდისა, ან იქნებ... სიმშვიდე სიდიადისა“, — ფიქრობდა და ნაფიქრალს ინაცვლებდა მეფე.

კურთხევა რომ დაასრულა, უკუდგა და წასასვლელად გაემზადა გიორგი ბერი. მაგრამ არ გაუშვა გიორგი მეფემ: მოდი და ვიყოთ ერთად, ჩემო სეხნა და სახელმოდგამოო, — უბრძანა კეთილი ღიმილით.

გვერდით დაისვა და მის შუბლს დააცქერდა.

— ღმერთო დიდებულო! — აღმოხდა.

ბერს ხელი შუბლისკენ გაეჭცა.

— ნუ გეფიქრება, მონაზონო, — გაეცინა მეფეს — ჯვარი ესევითარი, უცნაური და გაუგონარი, არცა წაგერთმევის, არცა წაგეშლების.

მერე ლხინისუფლობა ხურსი ტაოელს უბრძანა მეფემ. აქაური ხარ და აქაურმა გვიწინამძღვრეო.

ნადიმი გაიწყო, გაგრძელდა და გახანიერდა.

სმა იყო სასმურებითა წვრილითა.

ზმა იყო სიტყვითა მცირითა და აზრითა ნოყიერითა.

გალობა იყო ხმითა ჰამოითა და ხიბლითა საგრძნეზოითა.

მეფემ თავისი სადღეგრძელო აღკვეთა ბრძანებითა რისხვეულითა.

მასპინძელი აღღეგრძელა ლხინისუფალმა.

ყველამ გაიხსენა ფერისის გმირობანი, გამორჩევით, ოცი წლის წინანდელი ვაჟკაცობანი. მაშინ ადარბადაგანის ამირა, მამლანი მოვიდა საქართველოს წასახდენად. მოვიდა ასი-ათასიანი მხედრობით. ვანის ტბის პირად, ქალაქ ხლათთან დაბანაკდა სარკინოზთა ლაშქარი. მეფე დავით კურაპალატს სალაშქრო ცხენზე ამსედრება აღარ შეეძლო, წელთა სიმრავლით დატვირთულს, და სახელდახელოდ შეყრილ ქართულ მხედრობას სარდლებად უჩინა გაბრიელ ოსპირტრესძე და ფერას ჯოჯიკისძე. და ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს რიცხობრივად დიდად უპირატესი მტერი. ბევრმა ქართველმა ისახელა იმ დღეს თავი. გამორჩევით — ძმებმა გამრეკელებმა და ფერას ჯოჯიკისძემ. გაჭცეულ მამლანსა და მის თანამლტოლვარე ლაშ-

ქარს ქართველებმა ხლათიდან არჭეშამდის სდიეს ჩეხვით და ქაფვით...

ხურსი ტაოელმა მორიგი სასმურითა ტურფითა დღეგრძელყო ნათესავი ქართველი.

ნათესავი ქართველი გიორგი მონაზონმა ადღეგრძელოსო, უცებ ბრძანა მეფემ.

ფეხზე წამოდგა ჰაბუკი ბერი.

სიჩუმე ჩამოწვა.

ყველა უცქერდა და ელოდა უზღვრო წადნიერებით.

მასპინძლის სახლეულმა კი იცოდა, რომ მათი მეწიგნე და კანანახი არც ღვინოს სვამდა და არც საეროებთან ტაბლას არ იზიარებდა.

— რა გაეწყობა, მე ვარ მიზეზი მოშრომისა შენისა და ნუ იქნები გულკლებულ, უკეთუ გვაზიარო სიბრძნესა შენსა! — უთხრა მეფემ, დარსახოვანმა.

— იყავნ ნება შენი, მეფეთ-მეფეო, უკეთუ ჩემი ძაბუნი სიტყვა ღირსჰყავ სასმინრად. მაგრამ ვაითუ, მიწამან ჩემმან იბღავლოს და ხნულმან მისმან იტიროს ჩემზედა უძლურებისა სიტყვისა ჩემისათვის.

— სთქვი გულდებულად და გულუშიშრად! — გაამხნევა ხელმწიფემ.

და თქვა გიორგი ბერმა, გიორგი მეფის ბრძანებით, სიტყვა: რაი არს ნათესავი ქართველი?!

— სამი რამ მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა დ და ჰ ა ე რ ო ვ ნ ე ბ ა დ მოსდგამს ნათესავსა ქართველსა:. წყობილნაკვთოვანება ანაგებისა, მზისფეროვნება კანისა, კეთილსურნელება სულისკვეთისა.

— სამი რამ ძლიერ ნიშატად მოსდგამს ქართველის ს ხ ე უ ლ ს: სიმკვრივე კუნთისა, სიმტკიცე ძარღვისა, სიმხურვალე სისხლისა.

— სამი რამ ძლიერ ნიშატად მოსდგამს ქართველის გ უ ლ ს: გულისხმიერება, გულწრფელობა, გულმოწყალება.

— სამი რამ კეთილ ნიშატად მოსდგამს ქართველის ს უ ლ ს: დიდსულოვნება, დიდბუნებოვნება, დიდმეცნაობა.

— სამი რამ ქ ვ ე ლ ნიშატად მოსდგამს ნათესავ ქართველს: სიმამაცე, სიმართლე, სილაღე.

— სამი რამ გ ა მ ო რ ჩ ე უ ლ ნიშატად მოსდგამს ნათე-

სავ ქართველს: პატივმოყვარეობა, სახელისმაძიებლობა, განცხრომისმოყვარეობა.

— სამი რამ უკიდურეს მოყვარეობად მოსდგამს ნათესავ ქართველს: უცხოთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა, ძლევისმოყვარეობა.

— სამი რამ უძლურებისა ნიშატად მოსდგამს ნათესავ ქართველს: უძლურება თეთრკბილოვან მტრის გამოცნობისა, უძლურება თანმიმდევრობისა, უძლურება საიდუმლოს შენახვისა.

— ქართველი არის შემწყნარებელი უცხო თესლისა, შეუწყნარებელი შინაური თანასისხლიერისა.

— ქართველი არის უშურველი უცხო თესლისა, მოშურნე შინაური თანასისხლიერისა.

— ქართველი არის შენმდომებელი უცხო თესლისა, დაუნდობელი შინაური თანასისხლიერისა.

— ქართველი ფიქრობს: მე როდი ვიწყებ საქართველოდან, არამედ — საქართველო იწყება ჩემგან.

— ორივ ბუნება განუჯრელ და განუკვეთელ ნიშატად მოსდგამს ნათესავ ქართველს: ბუნებაი სიღმრთოი და ბუნებაი საკაცოი. მაგრამ ორივესა ბუნებასა შინა სასწორი ქართველისა არის წონასწორობადაკარგული, საზღვარგადამცდარი, ზომიერებაგანრღვეული, ადვილად მიმორხევადი და მიმორწევადი.

— აჰა, ესერა, რაისად ხდება რომ ზოგჯერ ეგზომ მოკლენი არიან ქართველთა თვალნი სულისანი.

— აჰა, ესერა, რატომ ჰყვავის ღალატი საქართველოში.

— აჰა, ესერა, რატომ ბარტყობს ღალატი ქართველთა შორის.

მცირე ხანს იყუჩა ჭაბუკმა ფიჩოსანმა და განაგრძო ისევ:

— ქართველი არის გულმავიწყი ფრიადი, რადგან მარად ავიწყდება ის, რაიც არასდროს არ უნდა ავიწყდებოდეს: საქართველო უყვარს ყოველ უცხო თესლს, მაგრამ ქართველი როდი უყვარს ყოველ უცხო მომსვლელს საქართველოში; ვინათგან მათ საქართველო უქართველოდ ესურვილებათ და თავისთვის ესურვილებათ. აი, რა ავიწყდება მუდამ და არ უნდა ავიწყდებოდეს არასდროს ქართველს, ვითარცა მარადიული საფხიზლებელი გონებისა.

— ხიზანი უყვარს ნათესავ ქართველს, ხიზანი დევნილი, უქონელი, უპოვარი, სასოწარკვეთილი, ნიადაგგამოსხლტილი; უყვარს თავგამოდებით და თავგადაკვდომით. დაე, უყვარდეს, ვინათგან ქართველის უსაზღვრო კაცთასიყვარულს მეტყველებს იგი. მაგრამ რად ავიწყდება ნათესავ ქართველს, რომ მისგან დაჩაგრებულ და მის სახლში მისგანვე დამკვიდრებულ ხიხახთა შორის ბოლოს და ბოლოს ბევრი ის კიდეც გამოერევა, შენჯანვე სულმობრუნებული და გაღონისძიებული, შენსავე სახლში პირველობას რომ გეცილება? აი, რა ავიწყდება მუდამ და არ უნდა ავიწყდებოდეს არასოდეს ქართველს, ვითარცა მარადიული საფიქრებელი გარნებისა.

— მაგრამ, სამაგიეროდ, ფრიად გულმახვილია ის ქართველი, ვინათგან არასოდეს არ ავიწყდება ის, რა არასდროს არ უნდა ახსენდებოდეს: წყენა შინაური თანასწორი ქართველისა და, უფხიზლაც ისეთი წყენა, ყრმობისას უნებურად ნებსით ნაჩხვლეტს, სიჭარმაგეში გულში შეს ძგერებით რომ გადაუხდის: აი, რა ახსოვს მუდამ და რა უნდა ახსოვდეს არასდროს ქართველს.

— არასოდეს ადამიანს არ ავიწყდება, რაც არ ახარებს, რაც აწყენინებს, რაც გულს უკოდავს. და ქართველ კაცსაც არ ავიწყდება ქართველი კაცი, რადგან სიკეთე და ზიანმაღლება არ ახარებდა ერთმანეთისა.

— ამიტომაც ქართველი ქართველისგან არის მუდამ განკერძოებული. განცალკევების ცოფით მოსილი ქართველი ისე განკერძოებით მიისწრაფვის ვინმეობისკენ, საკვირველი რა მისი, ურანი სწრაფად, ცხოველი ჭრილისა, სრულად ჯვის მხოლოდ საკუთარი „მეს“ ამაღლების და აღზევებისთვის.

— ქართველს რაკიღაც უყვარს სიტყვა „ჩვენ“, ანუ უკეთუ იტყვის, „ჩვენის“ შიგნით უფრო მაინც გულახდილ „მეს“.

მე ვარ პირველი სიტყვაი,
მე ვარ პირველი აზრი,
მე ვარ პირველი ხმაი,
მე ვარ პირველი ხმალი,
მე ვარ პირველი მკლავი,
მე ვარ პირველი საურვალი,

მე ვარ პირველი მომღერალი,

მე ვარ პირველი მოტირალი (პირველობას ტირილშიც რომ არ შეელევა!).

მე ვარ...

მე ვარ...

მე ვარ...

მე...

მე...

მე...

მე ვარ ყველაფერი!

ხოლო, სხვა (ქართველთაგანი) — ან არაფერი და არაყოფიერი, ან მხოლოდ ჩემს შემდგომ ყოფიერი.

ყოველი ქება, ხოტბა-დიდება ქართველს მარტოდენ თავისთვის უნდა — ყოველ ქორწილში სიძისა და ყოველ ტირილში მიცვალებულისა.

— მე ერთი ვდგავარ ქვეყნის ჭიპზე — მე, ერთადერთი!

— ჰკითხე ქართველს — ვინაა შენს შემდგომ მეორე ხმალი? და მაშინვე მოგიგებს მწყრალად: რატომ მეორე, ან მესამე, ან მეოთხე? შენ შეგიძლია მკითხო მეხუთე, უფრო მეექვსე, კიდევ უფრო მეშვიდე, მერვე!.. ჰხედავ? მეორე ქართველისთვის „მეორე ხმლობაც“ კი დაენანა. დაენანა, რადგან „მეორე“ ძალზე ახლოა „პირველთან“.

— მე რომ მეფე ვიყო...

— მე რომ სპასალარი ვიყო...

— მე რომ ერისმთავარი ვიყო...

— მე რომ... მე...

— განუწყვეტლივ იქექება „მე“ ყოველი ნაცრის მქექველის გულში.

— აჰა, რაისად უჭირს ყოფნა ქართველთა შორის ამ ძველთაძველ სიბრძნეს — „ბაგე ერთ და ხმა ერთ ყოველთა“.

— აჰა, რაისად არიან ეგზომ ხშირად ბეცნი და ბერბეცონი ქართველთა თვალნი სულისანი.

— აჰა, რაისად ჰყვავის ღალატი ქართველთა შორის.

ისევ იყუჩა მცირე ხნით ჭაბუკმა სიტყვისმგებელმა.

ისევ დააწვა დუმილი ტაბლას.

მხოლოდ წვიმის ხმა შემოდიოდა გარედან.

და წვიმის ხმაც, თითქოს „თავისთვის“ იყო, რადგან გაქ-

ვავებულ მონადიმეებს, გულის სიღრმეში ფიქრჩაქცეულებს, რაიმე გარეგანი ხმისთვის ყურადღება უკვე აღარ დაეთმობოდათ.

და მხოლოდ სიჩუმე ცოხნიდა დროს და სივრცეს, ცითაცა ყაჭი ჰიჭნაურისა.

ხოლო სიჩუმისგან წარმოიშვის ყოველი არსი და არარსი.

და ისევ დაიბადა ხმა სიჩუმისგან, ხმა რომელიც ისევ წყნარად, მაგრამ ისე განივთებულად გაისმოდა თითქოს ხელით დაჭერა და ხელით წონის განსაზღვრებაც შეიძლებოდა ყოველი ბგერისა და ნაბგერალისა.

— ბოროტება სიკეთის უკმარობაა.

— სიკეთე სიყვარულის სისავსეა.

— უკეთუ არ გიყვარს, მაშასადამე ვერცა კეთილი ვერ იქნები.

— ხოლო, ნათესავი ქართველი სიყვარულს უკეთუ ეძიებს, უფრო უცხო თესლში ეძიებს, ვიდრე თანასისხლიერ ქართველში.

— მაშასადამე, ქართველი ქართველისადმი უფრო მოშურნეა, ვიდრე მოკეთე.

— და ასე, ურთიერთმოშურნეობით უმოკლდებათ ნათესავთა ქართველთა თვალნი სულისანი.

— უსიყვარულოდ ადამიანის წუთისოფელი სატანჯველია.

— ხოლო, ამა ჯოჯოხეთური სატანჯველისგან თავდასახსნელად ჰგიეს ოდენ ორი საშველი — ან სიკვდილი ნასწრაფევი, ან ისევ სიყვარული წრფელი, ხანგრძლივი.

— ხოლო, ოდეს ადამიანი არც წუთისოფელ ზე აიღებს ხელს და არც ბოროტებას შეელევა, იგი იწყებს სახიობას სიყვარულისას, ფარისეველობას სიკეთისას და მთელი მისი წუთისოფელი სტყუის იგი, სტყუის ნიღაბქვეშ, ზედაპირულ ზედაპირულ ქაფზე ტივტივით, ვინათგან მისთვის უცხო არს სიღრმენი სიყვარულისა და სიქველისა.

— რა გაეწყობა — სიყვარულს მუდამ სიძულვილი დარაჯობს მტრად, მესისხლედ, მესაფლავედ, ისე ვითარცა სიხარულს — მწუხარება, სიყმაწვილეს — სიბერე, სიცოცხლეს — სიკვდილი და სიკვდილს კიდევ — რაღაც ჩვენთვის უცნობი ეტლისმწაფელი.

— მაგრამ სანამ ვართ წუთისოფლის წუთისოფლელნი, მაინც სიყვარული სიძულვილს არ უნდა დავაჩაგვრინოთ.

— ქართველი კაცის ყველა ნიშატი — ღირსება და უღირსება, სინათლე და სიბნელე, მადლი და ცოდვა, სიქველე და სიბოროტე, სიმაღლე და სიმდაბლე — ყველა ერთად ჩვენს წინაპართა სისხლისაგან ჩვენს ძარღვებში შეგვიწოვია. ჩვენს ტვინზეც ჩვენი წინაპრების ნაკვალევნი აღბეჭდილან წარუშლელად და წარუხოცელად.

— ადამიანი ბუნებას მოჰკავს საწუთისოფლოდ, წუთისოფელი კი მას გაჰხარჯავს, გაბლეკს და დაასაფლავებს, ხოლო მატიანე საფლავებიდან ისევ აღადგენს, მაგრამ არა მკვდართათვის, არამედ მხოლოდ ცოცხალთათვის.

— და სასაფლაოდან აბრუნებს მკვდრები გვასწავლიან სასაფლაოსკენ მიმავალ ცოცხლებს.

— და ცოცხლებმა შეუმცდარად უნდა ისწავლონ, წინაპრების ნაცად ნიშატთაგან რა დაიწუნონ და ისევ საფლავში ჩააბრუნონ, ხოლო თვისი წუთისოფლის უკეთ გაწყობისა და გაწაფვისათვის, რა აირჩიონ, ანუ მათი თანადროული და თანამდევი ცხოვრებისათვის კათოლიკე ძარღვად რა გაიხადონ.

„კათოლიკე ძარღვი“ გამორჩეული სიმკვეთრითა და გზნებით თქვა გიორგიმ, რომელსაც საფეთქელზე თვითონ უთრთოდა ძარღვი კათოლიკე, წარწერით — „კაბ“.

და უმალვე აღმოხდა მეფეს:

— კათოლიკე ძარღვიო?!

და წამის შემდგომ:

— ბარემ ისიც გვითხარი, ჰაბუკო მწყემსო, რაი არს იგი სახელდებით, ძარღვი კათოლიკე, რომელმაც უნდა იხსნას და აღმავალჰყოს ნათესავი ქართველი სამომავლო და სამერმისო საცხოვრის გზებზე.

— სიყვარული, — უმალვე მოკვეთა ბერმა.

— სიყვარული? — იკითხა მეფემ, რაღაც უკმარი მბრების აწურვით.

— იგულისხმება სიყვარული მოყვასთა შორის, ანუ სიყვარული საზოგადოდ კაცთა შორისი.

— მაგრამ, ნათესავ ქართველს განა აკლია სიყვარული კაცთა შორისი?

— არამცთუ აკლია, შეიძლება ჭარბადაც ჰქონდეს.

— მერე?

— მერე, მეც სწორედ იმას მოგახსენებ, მეფეთმეფეო: ნათესავ ქართველს სიყვარული განპებულად აქვს განპებულ გულში.

— ?!

— თვითონ განსაჯე, ხელმწიფეო: ნათესავ ქართველს უსაზღვროებით გააჩნია სიყვარული საზოგადოდ კაცთაშორისი, მაგრამ აკლია სიყვარული შინაური, ნათესავად, სახლთაშორისი. და ამად ვამბობ: სამომავლო საარსებოდ და აღმასასვლელად ბათესავმა ქართველმა კათოლიკე ძარღვად უნდა იმოძღვროს სიყვარული, თანადგომა და თანაღმობა უწინარესად ქართველთა ბორის!

დაასრულა პაბტკბა ბერმა.

დაასრულა და ისევ ჩამოწყა ღა ჩაშოლპა დუმილი.

გარეთ მტრალი ტროდა ღამე.

წვიმდა, თქეშახსილად, შეუკავებლად.

მეფე შეირხა, გიორგის თვალი ბიაშტერა და უთხრა მძიმე ხმით:

— სწორედ ღვთის ხელით გათლილი თავი გადგას მბრებზე შენ, პაბუკო წმყვდსო, მაკრამ ვეჭვობ, რომ ქართველები სიყვარულით ერთიანებით სოლში ჩაძერწას შეეცდებიან და მოახერხებენ.

სთქვა, შწარე ღიმილით სახე დაეკეუცა და გაწაგრძო:

— და კიდევაც რომ შეეცადნონ, სანამ ქართველნი ერთმიანეთს შეიყვარებენ მაგის ლოცვისა და ცქერაში, ჩვენი დაუძინარი მტრები თვითონ საქართველოს ხელიდან გამოგვტაცებენ.

თქვა და ფიცხლავ წამოდგა ფეხზე.

— ტომ, ვიდრე ერთმანეთს შეიყვარებდნენ, მადლობა ღმერთს, სილოა ეგაქვს შიში წინსვლისთვის და გამარჯვებისთვის — ბიში, სიყვარულზე უფრო ძლიერის!

და მახვილზე დაიდო ხელი.

ვედრება მეცამეტე

წასვლის წინ გიორგი ბეფე და გიორგი ბერი განაპირებულიყვნენ და იყვრენ ცალკე რაღაც სიტყვათმიმოქცევაში.

— შენც გეცოდინებოდა, ჰაბუკო, ალექსანდრე მაკედონელს რომ უთქვამს დიოგენესთვის: მთხოვე, რაც გსურს შენ, ფილოსოფოსს, და მე, მეფე, უეჭველ შეგისრულებო. და მეც ისე გეკითხები, ჩემო ფილოსოფოსო — სათხოვარს ხომ არაფერს აღავლენდი შენ შენი მეფის წინაშე?

— მაქვს სათხოვარი, მეფეთმეფეო, — უცებ უთხრა ბერმა.

— აბა, ბრძანე, კეთილო!

— უბრძანე სვეტიცხოვლის აღმშენებელს, ხელმწიფეო, აუცილებლად მიაწეროს ტაძარს თავისი გვარი, სადმე, კედელზე, გარკვეულად და ადამიანის თვალის საჩინოდ მიაწეროს.

— ?!

— ნათელი დაუღამებელი უძღვის მეფობასა შენსა, მეფეთმეფეო, და ამად მწამს, აღესრულება თხოვნა ჩემი და ბრძანება შენი: უეჭველად მიაწეროს თავისი გვარ-სახელი ხუროთმოძღვარმა სვეტიცხოველს, მიაწეროს — „თვალშვენიერ არსუ-კის-ძე“ — მიაწეროს!..

ვედრება მეთოთხმეტე

ტვარწატაფიდან გავიდა მეფე, მაგრამ ჯერ ისევ ტაოში, ოლთისის გზაზე, კონსტანტინოპოლიდან წამოსული ბერძენი ფაიქები წამოეწივნენ და კეისრის პატრუცაგი მიართვეს.

ეტყობოდა, რისხვა ვეღარ დაუშერია ბასილის და სწერდა გიორგის, მუქარით: რაც დაგიპყრია, ახლავე დასცალე და მამიშენის, ბაგრატ მესამის მემკვიდრეობას დასჯერდიო.

რისხვეულობა და გულფიცხელობა არც გიორგის აკლდა და მაშინვე, იგივე ფაიქთა ხელით, ეს პასუხი შეუბრუნა იმპერატორს: ტაო და ბასიანი სწორედ მამაჩემის მემკვიდრეობა იყო; კიდევ, ორივე ეს ქვეყანა ოდითგანვე და მისხით-მისხამდე ქართული ქვეყნებია და ამათგან ერთ სახლაკსაც კი უსისხლოდ არავის დავანებებო.

ორ ქრისტიანულ ქვეყანას შორის ომის შმორიანი სუნი ჩამოწვა.

ქართველთა მეფემ იცოდა, ავზნიანი ბასილი უსისხლოდ და უსიკვდილოდ არ დათმობდა ტაო-ბასიანს. ამიტომ სასწრაფოდ საომარ სამზადისს შეუდგა და მაშინვე მოკავშირეც მოიძია.

ეს ალ-ჰაქიმი იყო, ეგვიპტის ხალიფა.

ელჩები აფრინა ქაიროში გიორგიმ.

ბიზანტიელები და მათი კეისარი ერთსაირად დაუძინარი მტრები არიან ჩემიც და შენიცო, — უთვლიდა ქართველი არაბს — მოდი და ერთად შევუტიოთ საერთო მოსისხლესო, შენ სამხრეთიდან და მე აღმოსავლეთიდან, ერთდროულად შევესიოთ ბიზანტიის სამანებსო.

შენ მუსლიმი ხარ, მე ქრისტიანი, მაგრამ ღმერთი ყველასთვის ერთია, მუსლიმისთვის და ქრისტიანისთვისო. მერე, ცალკე ქრისტიანები და ცალკე მუსლიმნი უფრო მტრობენ ერთმანეთს, ვიდრე ქრისტიანები და მუსლიმებიო.

ამიტომ გეუბნები მე — ქრისტიანი მუსლიმს, თავი დავანებოთ ღმერთის შეწუხებას და ჩვენ, მიწიერთა, მოვუაროთ ერთმანეთს. ჩვენ თვითონ, ღვთის მოუხმობლად მივხვდეთ, ვინ ვის ემტერება და ვინ ვის ემოყვრებაო.

ბასილი კეისარიც ხომ იმნაირია, არც ქრისტე და არც მუჰამედი არ გაახსენდება, ისე ერთნაირად დალევს მაჰმადიანის და ქრისტიანის სისხლსო.

ამიტომ, საზოგადოდ ღმერთისა და საზოგადოდ ადამიანის სახელით, მოგიწოდებ ერთად შევესიოთ და სისხლად ვაქციოთ უჯიშო, ბილწსისხლოვან ბასილი კეისარს საზოგადოდ ღმერთისა და საზოგადოდ ადამიანის მესისხლეობაო, — სწერდა გიორგი ალ-ჰაქიმს.

ვედრება მეთხუთმეტე

ალ-ჰაქიმი ფატიმიდური დინასტიის უსაჩინოესი ხელმწიფე იყო. ფატიმიდები კი თვით მუჰამედის ასულის, ფატიმასაგან ჩემულობდნენ თავის წარმომავლობას.

ფატიმას ღვთაებრივმა თესლმა ყველაზე სრულქმნილ ნაყოფად ალ-ჰაქიმი გამოიდინაო, — გაიძახდნენ მისი თაყვანისმცემელნი.

თერთმეტი წლისა იყო ტახტზე რომ ავიდა. ოცდახუთი წელიწადი იმეფა. მამაცი კაცი იყო, ნიჭიერი და მიზანსწრაფული. უზღვროდ სასტიკიც იყო და უზღვროდ გულმოწყალეც. განუკითხავად და უგანაჩენოდ აყრევინებდა თავებს, მარჯვხიცაც და მარცხნივაც. შეწყნარებაც ისეთ დროს იცოდა, არც მი-

წაზე და არც ზეცაში არავინაც რომ არ ელოდა. დაუნდობელი მტერი იყო ქრისტიანების და ჰაბირუელებისა. მუსლიმთაგან სუნიტების სისხლის ქცევაც უყვარდა. არც შიიტებს აკლებდა ხელს, როცა ჰიპოხონდრია წამოუვლიდა. ამიტომ ყველას სძულდა იგი, ყველა სჯულისა, ყველა ერისა და ყველა წოდების ადამიანს. მაგრამ მაინც ყველას უყვარდა, რადგან ყველას საკუთარი თავი უყვარდა, ყველას საკუთარი სიცოცხლის დაკარგვისა ეშინოდა. გულწრფელად მხოლოდ დრუზებს უყვარდათ, რადგან მან დრუზების სექტის სიწმინდე სცნო და დრუზებმაც მათი მწყალობლის ღმერთობა ერთხელ და სამუდამოდ აღიარეს (სწორედ მაშინ ალ-ჰაქიმმა თავი ღმერთად გამოაცხადა).

თვითონ ალ-ჰაქიმს უმაღლეს ხალხად მთელს ქვეყანაზე ქართველები მიაჩნდა და გული წყდებოდა, ქრისტიანობას რომ არ ელეოდნენ ქართველები.

იესო ქრისტე ხომ ჰაბირუ იყო და ჰაბირუს ღმერთად როგორ ეთაყვანებიან თვითონ ღვთის სწორი ქართველებიო, — ჰკვირობდა ხალიფა.

ჰიპოხონდრია და შავნაღვლიანობა მაინც არ შორდებოდა ალ-ჰაქიმს. დღეს რომ ღმერთად მოევლინებოდა ქვეყანას, მეორე დღეს უსაცოდავეს მწერად თელიდა თავს. ხან ბრწყინვალედ მორთულ-მოკაზმული, ბრწყინვალე ამალით ვარშემორტყმული გაივლიდა ხალხში, ბაზრებში, ქუჩაბანდებში, ხან კიდევ — მარტოდმარტო, ძონძით მოსილი გადაიკარგებოდა სიცხით ათახთახებულ უდაბნოებში და ალ-მუკატამის მთის მიუსაფარ ხევხუვებში. აგრე მარტოსულად ხეტიალისას მხოლოდ ერთგულ მეუზანგეებს თუ იახლებდა და იმათაც დიდის დამანძილებით ერთ ადგილზე დააყენებდა ფეხმოუცლელად; თვითონ კი უგზო-უკვლოდ დაიკარგებოდა და გვიან, აგერ როდის თუ მოაკითხავდა მარტო შთენილებს.

თურმე ალ-მუკატამის უმაღლესი მწვერვალის თხემზე ადიოდა ძაძით მოსილი ხალიფა, მუხლს მოიყრიდა და ღმერთის თევით, მშიერ-მწყურვალი, ღმერთს ეხვეწებოდა, რა იქნება მეც ისე მეჩვენო და მელაპარაკო, როგორც მოსეს ეცხადებოდი და ესიტყვებოდიო.

ლამის ალ-ჰაქიმიც ნაბუქოდონოსორ ბაბილონელივით შეირყა ჭკუაზე, საშინელი სიზმრის წყალობით, ნაბუქოდონო-

სორივით გაეზარდა თმები და ფრჩხილები, ნაბუქოდონოსორივით სძოვდა ბალახს და იღეღფებოდა ღამით ნაფრქვევი ცვარით და ზრიმლით.

ამბობდნენ, მარტო შავი ნაღველი კი არა, ტვინიც შავი უნდა ჰქონდეს ხალიფასო. ყმაწვილობიდან მართლა ტვინის სიმშრალე ჰქონდა და ძარღვთა დახშულობანი სტანჯავდა უღვთოდ. მხოლოდ იის ზეთი შველოდა. ამიტომ დღეობით იჯდა და გრილდებოდა იის ზეთით ავსებულ აეაზანში.

მერმე, დიდი ჯანაოზი გამოუჩნდა ალ-ჰაქიმს, სახელად აბუ იაკუბ ისააკ ძე იბრაჰიმისა ძისა ანასტასისა. და ასწავლა უებარი წამალი აბუ იაკუბ ისააკ ძემან იბრაჰიმისაგან ძისამან ანასტასისამან ტვინის სიმშრალით განაწამებ ხელმწიფეს.

და სახელი ამა წამლისა — „ქართული წამალი".

ხოლო, არსი „ქართული წამლისა" — ნადიმი, ღვინო, სიმღერა და შიგადაშიგ — ქალი.

ქალები ისედაც ძალიან უყვარდა ალ-ჰაქიმს, როგორც ჭეშმარიტ არაბს — მაღალმკერდიანი და ძუძუბარაქიანი ქალები — ტიტველს რომ თავზე შარბათს დაასხამდა და, დანდრაზა ძუძუმკერდის გადახურვის წყალობით, მუცელი არ დაუსველდებოდა).

და, მანამდე რომ ხალიფა ალ-ჰაქიმი ღვინის სმისთვის ყოველ ქვეშევრდომს ან ატყავებდა, ან თავს აგდებინებდა, ახლა ღვინოს თვითონაც მიეშვა და ხალხიც მიუშვა, თვითონაც ამღერდა და ხალხიც აამღერა, თვითონაც მიემრუშა და ხალხიც „შიგადაშიგ" მიამრუშა.

და, თვითონაც მორჩა, ხალხიც მოარჩინა.

ჭეშმარიტად ღმერთი ყოფილა ალ-ჰაქიმიო, — ამბობდა ხალხი.

ჭეშმარიტად ღმერთები ყოფილან ქართველებიო, — ამბობდა ალ-ჰაქიმი.

ვედრება მეთექვსმეტე

მაგრამ გიორგი მეფის წერილი მაინც უპასუხოდ დარჩა.

მომკვდარიყო ალ-ჰაქიმის მკურნალი ჯანაოზი, აბუ იაკუბ ისააკ ძე იბრაჰიმისა ძისა ანასტასისა, და ხალიფასაც ხელი

აუღია „ქართულ წამალზე". აუღია და ისევ ნადირივით გაჭრილა მთა-ველად.

ქართველთა მეფის წერილმაც ქაიროს მაინც და მაინც მაშინ მიატანა, როცა ხალიფა ალ-ჰაქიმი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერვის შეეტყო.

ხალხი უცდიდა ხალიფას.

გიორგი მეფის წერილიც უცდიდა.

მაგრამ გიორგი მეფე ვეღარ მოუცდიდა.

რადგან — ბასილი კეისარი აღარ იცდიდა.

ვედრება მეჩვიდმეტე

ბასილი ბასილევსმა იცოდა, ძალზე ძნელი იქნებოდა ქართველებთან რკენა და რქენა. და საიდუმლოდ ამზადებდა იგი საქართველოზე დაცემას. წინასწარ ხმაც განავრცო, მესოპოტამიაში ვაპირებ გალაშქრებასო და, ქვეყნის თვალის ასახვევად და ქართველთა სიფხიზლის მოსაბოშებლად, ომში სახარჯო სურსათ-სანოვაგეც კი არტიოქიაში გაგზავნა.

თვითონაც კეისარი, მრავალრიცხოვანი და ალმაჭურად აღჭურვილი ლეგიონებით, ადრიან გაზაფხულზე, სირია-მესოპოტამიის გზით გაეშურა აღმოსავლეთისაკენ.

მაგრამ შუა გზიდან უცებ მარცხნივ შემობრუნდა და საქართველოსკენ წამოემართა სრულის მხედრობით.

ქართველებს კი, თუ რაიმე უუნარობა და უჭკუობა სჭირდათ, ეს მაინც მტრის ხრიკებისა და სამუხანათო ხვანჯების გამოცნობა იყო.

მაგრამ ამჯერად გიორგი მეფის მზირებმა მაინც დროზე ამოიცნეს მტრის გეზთა საცთომელი ცვალებადობა და ყოველივე სასწრაფოდ აცნობეს მეფეს.

ფიცხლად დაიძრა გიორგი მეფე მტერთან შესახვედრად.

ბასიანის პირღია შემოსასვლელში დაიბანაკეს ერთურთის პირისპირ ქართველებმა და ბიზანტიელებმა.

დიდხანს, „მრავალდღე", ზომავდნენ ერთმანეთს თვალით. შერკინების დაწყებას კი, თითქოს ორივე მხარე შიშობდა და საომარი ბედისწერისგან მისთვის უკეთესი ჟამის დადგომას ელოდებოდა.

გიორგი მეფე ფატალისტი იყო.

ჯარში ულუკი ვინმე ხომ არ გვყავსო, — მოიკითხა.

მე მყავს ულუკი და ღაზარინელიო, — მოახსენა რატი ბაღვაშმა, კლდეკარის ერისთავმა. ჩემივე კუთხიდან არის, თრიალეთიდანო.

და სასწრაფოდ მოაყვანინა რატიმ ულუკი იგი.

ტანად მცირე იყო, ჩინჩაფურა, ვიწრო მხრებიანი და გრძელხელებიანი. ბეჭები სახნისებივით ჰქონდა ამოყრილი. იმოდენა ყურები ესხა, ალბათ იმ ყურებით, უკეთუ დასჭირდებოდა, თვალებიდან ცრემლების ამოხოცვასაც იოლად მოისერხებდა. ხოლო თვალები წვრილი ჰქონდა, მბურღავი გრძნებით გატენილი და დანდალუკიით ჩაყვითლებული.

რა გქვიაო, ჰკითხა მეფემ.

ბუჯარაო, უპასუხა ულუკმა.

რა შეგიძლიაო, კითხვა მოუწაცება გიორგიმ.

რასაც მეფე მიბრძანებს და ღმერთი გულისხმას ჩამიწერგავსო, — მხნედ მიუგო ბუჯარამ.

აბა, რამლი ჰყარე და შეგვატყობინე, რა მოგველის, უკეთუ მტერს შევებმებითო, — უბრძანა მეფემ.

იყავნ ნება შენიო, — და უბეში ჩაიყო და ჩაიფათურა მარჯვენა ხელი ბუჯარამ.

ჩაიფათურა და უბიდან შავი ჩვრით შეფუთული და შავი აშკით შეკრული რაღაც ამოიღო და მიწაზე დასდო, ფრთხილად, რუდუნებით.

მას უკან მეფეს მიუბრუნდა, თაყვანსაცემად მომშვილდულმა თავი ლამის მიწას ატაკა, ისევ გაიმართა და შეჰკადრა: უკეთუ არ გამირისხდები, ქარქაშიდან ხმალი აღმოიხდინე და მცირე ხნით მიბოძეო.

მეფე ჯერ შეცბა მკითხავის ეგზომ მოულოდნელი მოთხოვნით, მერე მხრები აიჩეჩა, თითქოს გაიღიმა კიდეც და ხმალი ქარქაშიდან ამოიწვდინა.

ლურჯი გველივით გაიშხორკალა და ჰაერს სხეული განუკვეთა ფოლადმა ლაჟვარდოვანმა.

ჩამოართვა მეფეს ბუჯარამ ხმალი, ფრთხილად, ორივე ხელით. იქვე მეფის წინ, პირით აღმოსავლეთისკენ შებრუნდა და შვიდი ნაბიჯი გადათვალა, იმდენად განივრად, რამდენადაც მის მოკლე ნაბიჯებს ძალედვათ.

შვიდი ნაბიჯის თავზე შეჩერდა, ხმალი ორივე ხელით აზი-

და, დაიქნია და სწორედ ორი ხელის დადებაზე ჩაარჭო მიწაში.

დაიზრიალა, იძიგძიგა და იბრკიალა ხმალმა ერთხანზე.

შავი ფუთა აიღო ბუჯარამ და უკვე დაწყნარებულ ხმალს ვადაზე შვიდჯერ შემოავლო, რაღაც ლოცვის მაგვარი ბუტბუტით.

მას უკან ჩვარი უცებ გახსნა და ძვალთა შემაზრზენი ჩხარუნიც გაისმა.

ძვლები ხმლის გარშემოწერვით განეფინენ მიწაზე.

ძვლები ადამიანისა იყო, ძველთაძველი, დროისა და მიწისგან გამოხრული, ყვითელნი, დაჩვრეტილნი და დამღიავებულნი. ერთი ლავიწის ძვალი უნდა ყოფილიყო, მარჯვენა ლავიწისა. ერთიც ბარძაყის ძვლის ნალეწი. დანარჩენი თითები იყო, ხელთა რტონი, უკლებლივ ათივე.

ვინ იყო იგი ვისაც ამ ძვალთა პატრონი ერქვა? ვისი სულის და ხორცის ჭურჭელი იყო ჩონჩხი იგი, რომლის ნამუსრევნი ახლა ქართველი მეფის საომარი ხმლის გარშემო ეყარა? ანუ — რა იყო სულ-ხორცი იგი, რომელიც შეიგრძნობდა, განიცდიდა და ხარობდა? იყო მოზეიმე ხორცი და მოზეიმე სული, და ოდესღაც იყო ყოველივე.

იყო!

და იქვე, ოდესლაღე, გაქრა სულიც, გაქრა ხორციც. გაქრა, მაგრამ ჭეშმარიტად გაქრა?! გაქრა... და ერთადერთი, რაიც ადამიანის უდღეური ანაგებიდან რაიმე ნაშთი კიდევ დროით გამძლე ყოფილა — ყოფილა ოდენ და ოდენ ძვალი...

ადამიანის ყოველი გრძნება და გზნება ბოლოს თავს იყრის და განეფინება თითებში.

ადამიანის ყოველი გააზრების ნივთობრივი ქმედებაც არის თითები.

და რას აკეთებდნენ ეს თიოები, როცა იყვნენ ვითარცა თითები, ანუ რტონი ხელისა?

რას ქმნიდნენ?

რას აშენებდნენ?

რას ანგრევდნენ?

ვის ლოყას ეფერებოდნენ?

ვის მკერდს ელაციცებოდნენ?

ვის ყელს ეტანებოდნენ (საალერსოდ, თუ სახრჩობად)?

ვის ულესავდნენ მახვილს (საშველად თუ საშიგნავად)?

ფიქრობდა გიორგი, მეფე ქართველთა, მახვილი მესიისა.

ფიქრობდა მანამ, სანამ ულუკი იგი, ოთხზე დართხმული, ხმლის წრეწირში მიმოფანტულ ძვლებს სინჯავდა გაფაციცებით. სინჯავდა, ძვალთა ვარდნის კუთხეებს ამოწმებდა, ურთიერთისგან დაცილებისა და ხმლისგანაც ყოველი მათგანის დაშორების მანძილს ზომავდა, თითქოს რაღაცეებს კრებდა, რაღაცას რაღაცაზე ამრავლებდა, რაღაცას ბუტბუტებდა თუ ლოცულობდა.

როგორც იქნა წამოდგა ფეხზე ბუჯარა.

წამოდგა, მაგრამ ცოცხალი ადამიანის ფერი აღარ ედო სახეზე.

აბა, რას გვეტყვიო, ჰკითხა მეფემ.

ჩემს სიკვდილს და არგადარჩენასო, ამოიხრიალა ღაზარინელმა.

— მაინც?

— ვიტყვი სიცრუეს — შემრისხავს ღმერთი, ვიტყვი სიმართლეს — შემრისხავს მეფე. ამიტომ ვთქვი, სიკვდილს ვერ ავცდები-მეთქი.

რისხვამ ტუჩები გაუყვითლა მეფეს.

— შენ სიმართლე სთქვი და სიკვდილისა მე ვიცოდე! — უბრძანა და ისეთი თვალით დააცქერდა, გველი რომ ბაყაყს დააცქერდება, გამჩხიბავი და გამყინავი მზერით.

და თქვა ბუჯარამ, გაჩხიბულმა ულუკმა და ღაზარინელმა:

— მტერი მოითვლის შვიდჯერ მეტ ძალას, მეფევ მბრძანებელო, მაგრამ როდის ყოფილან ქართველები უმრავლესნი მათი მტრებისა! აქ მთავარი სულ სხვა რამ არის... და ისევ შეყოვნდა მკითხავი.

— დაასრულე! — ბრძანა მეფემ და ყბის ძვლებმა ლოყები შეურხია.

— მთავარი ის არის, რომ კეისრის ლაშქარში უცხო მხედრობა დგას, რომელსაც აწამდე საქართველოს სამანებთან ფეხიც არ დაუდგამს.

— სახით და სახელდებით?

— სახით მწითურნი არიან და მათებურ ენაზეც ეგ ჰქვიათ — რუსნი.

— რუსნი?! — გაოცდა მეფე.

გაოცდა ყველა.

— სწორედ რუსნი, — დაადასტურა ისევ ბუჯარამ.

მამამისის, ბაგრატ მესამის მონათხრობი გაიხსენა გიორგიმ: პირველად ბასილი კეისარს რუსები მაშველ ძალად ჩრდილოეთიდან — კიევიდან მაშინ გამოუწვევია, ბარდა ფოკა რომ აუჯანყდა, მთელი მცირე აზია წაართვა და ლამის კონსტანტინოპოლსაც ამოჰხადა სული ალყით და შიმშილით. კიევის მაშინდელმა მთავარმა, ვლადიმერ სვიატოსლავის ძემ, დახმარება აღუთქვა, მაგრამ სამაგიეროდ ბასილი კეისარს მისი დაი მოსთხოვა ცოლად. კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარი არ კადრულობდა „წარმართ ვარანგთან" დამოყვრებას, მაგრამ მეტი გზა არ ჰქონდა და გაათხოვეს კეისრის დაი, ანნა, კიევის რუსთა მთავარზე. და გამოუგზავნა წარმართმა სიძემ ქრისტიან ცოლისძმას ექვსი ათასი დარჩეული მეომარი. სწორედ ამ რუსთა მხედრობის წყალობით იყო, რომ ქრისოპოლისთან ბასილი ბასილევსმა სასტიკად დაამარცხა ბარდა ფოკა. კიდევ, მეორედ, აბიდოსთან, ისევ რუსების იმედით ჩაება გადამწყვეტ ბრძოლაში ბასილი. ბარდა ფოკამ იფიქრა, სანამ რუსები ჩემს ჯარს ბოლოს მოუღებდნენ, მანამ მე ჩემის ხელით ძაღლთა პირ ბასილის მოვუთავებ სიცოცხლესო. და მიაშურა ფოკამ პირდაპირ ბასილის, მაგრამ კეისრისკენ გაჭანებულმა ფოკამ, სრულიად მოულოდნელად ცხენს გეზი უცვალა, ბრძოლის ველს გაეცალა, დაქვეითდა და მიწაზე კიდევაც დაწვა და კიდევაც დააკვდა. ვერავინ მიხვდა, და დღემდეც არავინ იცის, რა დაემართა მაშინ ბარდა ფოკას...

ფიქრს გამოეყარა გიორგი და ჰკითხა ბუჯარას:

— რამდენი არიან?

— რუსნი?

— ჰო.

— ექვსი ათასი.

გაეცინა მეფეს.

— ნუ მიწყენ, მეფევ მწყალობელო, მაგრამ ასი ათას ხერძენს უფრო მოევლება, ვიდრე ექვსი ათას რუსს.

— მჯობნის მჯობნი რამ დალია ამ ქვეყანაზე?

— მაგრამ უნდა მოგახსენო მე, კადნიერმა, ხელმწიფეო, რაიც ხმალმა შენმა, კურთხეულმა ხმალმა უკვე შეიტყო, — უთხრა, მიწიდან ხმალი ამოაძრო და მეფეს მიართვა.

მეფემ ხმალი აიღო და ისე შიშვლად დაიდევა წინ, უნაგირის ძარძაყსა და ცხენის ჯიდაოს შორის.

— აბა, რაიც შენმა ძვლებმა ჩემს ხმალს შეატყობინეს, ვინძლო ახლა მეც შემატყობინო! — ბრძანა მეფემ და ისევ დააშტერდა მჩხიბავი თვალით ულუკის სახეს.

მზერა არ გაიტეხა ბუჯარამ და უთხრა მეფეს გადაწყვეტით:

— უკეთუ შეებმი, მარცხი გიწერია, მეფეთმეფეო.

— მარცხი?

— დიახ... და ახლა ბრძანე, მომკლან, ან ენა მომჭრან! — დაასრულა ულუკმა და თავი მიწაზე დააბჯინა.

ეს ბოლო სიტყვები გიორგის აღარც გაუგონია.

მისი გონება სიტყვა „მარცხს“ ჩასჭიდებოდა.

ბარძაყები აუძაგძაგდა, ისე ძალუმად, ძაგძაგი კაციდან ცხენსაც გადაედო.

ასე ემართებოდა მეფეს, როცა რამ მძიმე ფიქრი განეცდებოდა.

მაგრამ ეს არ იყო შიში, არამედ იყო მხოლოდ გზნებადი ლტოლვა მარცხის დამარცხებისა. შიში ვერ დაერქმეოდა თუნდაც იმიტომ, რომ „უშიშს, ვითარცა უხორცოს“, ბარძაყთა წუთიერი ძიგძიგი და თრთოლვა კიდევ მაშინ ემართებოდა, როცა სხეულში ქალის ტრფიალების თონე გაუჩაღდებოდა...

სანამ მეფე ფიქრობდა და ბარძაყებს იწყნარებდა, ბუჯარამ ძვლები აკრიფა, სათითაოდ დაკოცნა, მერე ყველა ერთად იმ ფლასში გაჰხვია, ისევ იმ შავი აშკით შეკრა და უბეში ჩაიბრუნა დიდის რუდუნებით.

ვედრება მეთვრამეტე

გიორგი მეფემ ბრძანა ბანაკი აეყარათ და უკან გამობრუნებულიყვნენ.

ოლთისის გზით მოდიოდნენ.

ბიზანტიელები ფეხდაფეხ მოსდევდნენ.

გიორგიმ ოლთისიდან მოხახლეობა დედაწულიანად გაიყვანა, ჯარი გააფრთხილა ხალხზე ეზრუნათ, და თვითონ ცხე-ქალაქი, მტერს რომ არ დარჩენოდა, ცეცხლს მისცა.

კოლას გზას დაადგა გიორგი და მისი ლაშქარი.

ისევ კვალში ჩამდგარნი მოსდევდნენ ბიზანტიელნი.

თვითონ მეფე და ზვიად ერისთავი ქართველთა წინაკერძს მოუძღოდნენ.

ხურსი და რატი უკანაკერძს იფარავდნენ.

სოფელი შირიმნი გამოჩნდა.

გიორგიმ და ზვიადმა ჩამოიტოვეს სოფელი.

ხოლო ხურსი და რატი, ის იყო შირიმს მიეახლნენ, რომ კეისრის მეწინავე კოჰორტებიც წამოეწივნენ.

ქართველები შეუბრუნდნენ და შეებნენ მტერს.

სასტიკი ხმალთაკვეთება გაჩაღდა.

შედრკნენ და უკუიქცნენ ბიზანტიელნი.

გულდაგულ გამოენთნენ რატი და ხურსი.

მაგრამ კეისარმა მოუსწრო ბრძოლას მთაყარი ძალებით.

წინ წასულმა გიორგი მეფემ კი გვიან შეიტყო, „ვითარმედ ომი არს უკანა-მავალთა ზედა“.

მაშინ „აღბორგნეს“ მეფე, მყისვე უკან შემოაბრუნა და საომრად განაწყო წინამავალი და თანამაველი ლაშქარი.

გიორგისა და ზვიადის მოსვლამდე აკავებდნენ კეისრის ლეგიონებს ხელჩართულში თავდავიწყებით ჩაბმული ქართველები.

ისევ შედრკნენ და გასაქცევად აიშალნენ ბიზანტიელნი.

და სწორედ მაშინ შორიდან ნაძგერალმა მაზრაკმა ძირს დასცა ხურსი ერისთავი.

გულშეძრულნი შედგნენ ქართველნი.

გულმოცემულად შემოუტიეს ბიზანტიელებმა.

რატი კლდეკარელმა კვლავ დასძრა წინ თავისიანნი.

თავდავიწყებით შეიჭრა ქართველი ერისთავი ბიზანტიელთა მჭიდრო რიგებში.

გიორგი მეფემ და ზვიად ერისთავმაც მოატანეს ბრძოლას.

მაგრამ რატი ერისთავს ვეღარ მოუსწრეს ცოცხალს: შუბებით დაეცხრილათ და მახვილებით აეკაფათ ბიზანტიელებს.

მძვინვარე ყივილით გადაეშვა გიორგი მეფე ბრძოლაში.

ქართველები, რეცა, ახლა იწყებდნენ ბრძოლას.

ბასილი ბასილევსმაც ბრძოლად ჩააბა სამარჭაფო ლეგიონები.

დიდხანს წონასწორად ქანაობდა ბრძოლის სასწორი.

ისევ გაიჭრა წინ გიორგი.

ბასილი კეისარს დაეძებდა გააფთრებული.

კეისარი კი თავისიანთა ღრმა უკანაკერძში იდგა ბუკელარიოსებითა და პროტოსპათაროსებით გარშემორტყმული.

ყური აუწვა და აუწივლა ქართველი მეფის ყივილმა ბასილის. სახე დაემეწყრა ბრაზით და სირცხვილით.

— რა საკადრისია, ღვთაებრივი კეისარი მის ყმის გამოწვევას აჰყვეს? შესძახა, მახვილი იწვადა და ცხენი წინ წამოაგდო დუკა თეოდოროსმა, რომელსაც „ლაბაშას" ეძახდნენ უკანსაყივარად.

ეს პირდაპირ ხსნა იყო კეისრისთვის. და კეისარი კიდეევაც დაუფასებს ლაბაშას, სხვებს რომ დაასწრო, ამდენ ლაქუცარს, და პირველმა გაიმეტა თავი მისი „ღვთაებრივი ბასილევსისთვის".

უკანაკერძში მდგარმა ლეგიონებმა გზა მისცეს, და ცხენი დააოთხა თეოდოროს ლაბაშამ. მას აღარ დასჭირვებია ძებნა ქართველი მეფისა, რომელიც ორივე მხრისთვის სათვალისოდ გამოირჩეოდა სწორედ გამორჩეული ახოვნებით და შემმართებლობით.

თეოდოროს ლაბაშა კი მრავალნაცადი ოსტატი იყო ორთა შერკინებისა. და გაალმასებით მიუხტა იგი გიორგი მეფეს. ურაგირზე გადაბნექა მოასწრო გიორგიმ და ბეწვზე აიცდინა პირველი მონაქნევი, თუმცა ოქრომკედოვანი ქეჯიმი მაინც ჩამოუკვეთა ბერძნის მახვილმა ცხენის მარცხენა ბეჭიდან. და საპასუხოდ აელვა ხმალი გიორგიმ. ფარით ისხლიტა თეოდოროსმა, და წინიდან მოვარდნილ სიკვდილთან მორკენალმა მეფემ ვერ შენიშნა, როგორ მოუხდა მას ზურგიდან შავი გაელვებით მეორე სიკვდილი. ეს რომელიღაც ბერძენი სქოლარიოსი იყო, რომელმაც უკნიდან დაუსისწორა მახვილი მეფეს, კეფაში...

ხმლის ელვა...

წამი...

და ელვას ახალმა ელვამ დაასწრო:

ჭირქიშ აბულახტარმა სქოლარიოსს მხრის კვირისტავში უჭირა ხმალი და მიწას ზრიალით დაენარცხა ხმლიანი მარჯვენა, ლერწმის ღეროსავით სუფთად მოკვეთილი. მეორედ მოიქნია აბულახტარმა და თავგაპობილი მოწყდა უნაგირიდან ბერძენი.

და ისე, რომ გიორგი მეფემ კვლავ არ იცოდა, რაიც მის ზურგში მომხდარიყო, წამით თავისი მძლავრი თვალებით მოპირდაპირეს მზერა გაუტეხა და იმავე წამშიც ხმალი ჩასტია. და თეოდოროს ლაბაშა ალმედად განკვეთილი გადმოეშვა ცხენიდან.

აიშალა ბრძოლის სასწორი. ბიზანტიელთა მარცხით დაქანდა იგი.

და, ბოლოს, როცა „მოისრეს ბერძენნი დიდნი და ფრიადნი“, მარცხს შერიგებულმა ბასილი კეისარმა ბრძოლის ველს ზურგი აქცია.

მაგრამ „სულმოკლე იქნეს ქართველნი“, ნადავლს დაეხარბნენ და ბრძოლას განრინებულ მტერს ბოლომდე აღარ მისდიეს.

სამაგიეროდ, როცა ქართველები ნადავლით დატვირთულნი წამოვიდნენ, ჰაიჰარად აშლილ-დაშლილნი, ბიზანტიელებმა ისევ მოსდიეს ხელახალ კოჰორტებად და ლეგიონებად დარაზმულებმა.

ქართველები არ მოელოდნენ და საომრად გაუწყობელნი შეხვდნენ მტერს. შეხვდნენ და იძლივნენ. არტაანში შემოიჭრნენ ბიზანტიელნი. შემოიჭრნენ და ბოროტად იავარჰყვეს — გაძარცვეს, გადასწვეს და მცხოვრებნი, ვინც სიკვდილს გადაურჩა, ტყვედ წაიყვანეს.

გიორგი მეფე სამცხეში გადავიდა ნიალის გზით. იქიდან თრიალეთს მიაშურა. გზადაგზა ჯარებს კრებდა. გზაზედვე აუწყეს დაწვრილებით, როგორ დაიხსნა იგი აშკარა სიკვდილისგან ქირქიშ აბულახტარმა შირიმნის ბრძოლაში.

ბრძანა მოეყვანათ მასთან ქირქიში.

მიიყვანეს.

მუხლებზე დაეცა და მეფის მუხლებს საამბოროდ მიეტანა მხსნელი მეფისა.

არ დაანება გიორგიმ. უმალვე ფეხზე წამოაყენა და უცქირა ერთხანს მდუმარედ.

„მწითური ყოფილა“, გაუელვა მეფეს.

„მწითურ, გინა რუს“, — ისევ ის ულუკი გაახსენდა, ადამიანის ძვლებით მერამლე, — მწითური, ანუ რუსი დაგამარცხებსო.

მოდი და ერწმუნე კიდევ ამნაირ ცრუსა და რიოშს: მწი-

თურმა დამამარცხა კი არა, მწითურმა დამიხსნა თურმე უეჭველი სიკვდილისაგანო.

ერთი ფიქრი ესეც იფიქრა გიორგიმ, ახლა იმ ულუკს მოვაძებნინებ და ოთხში ამოვაღებინებო, მაგრამ მაშინვე ფიქრი მოინაცვლა, ჯანდაბას მისი თავიო, და ისევ მის მშველელს მიექცა აზრით.

როგორი კაცის კერძი ვყოფილვარო, გულში გაეცინა მეფეს — უშუბლო, გრძელბიბილოვანი, ჯარბის თვალებით, საკვირველად მოკლე თითებით, გვრიტის ფეხებივით წითელი ხელისგულებით და კიდევ... სუნს გამოსცემდა, რაღაც უსიამო სუნს, მგონი ჯარაოტის სიმყრალის მაგვარს.

ზიზღი დაითრგუნა მეფემ და ისევ ხელებზე შეხედა აბულახტარს. ისიც კი მოეჩვენა, მის მხსნელს ხელებზე თითო თითიც აკლდა და უცებ თვალით გადაუთვალა კიდეც, მაგრამ ჩვეულებრივად ხუთ-ხუთი რომ აღმოაჩნდა, ბოლოს მაინც ეს იფიქრა გიორგიმ: ასე მოკლე თითებით, გეგონება, ხმლის ვადასაც ვერ ჩაეჭიდოს ხელმოვარგებით, მაგრამ ოსტატი კი ნამდვილად ყოფილაო.

მარჯვენის მოჭრის ოსტატი!..

— მაშ, შენ ქირქიშ აბულახტარი ხარ?

— დიახ, მეუფეო მწყალობელო!

— მეხმლედ ამიყვანიხარ!

მუხლებზე დაეცა ქირქიშ აბულახტარი და დაულოშნა ფერხნი ხელმწიფეს.

ვედრება მეცხრამეტე

თრიალეთს მოატანა გიორგი მეფემ.

ბასილი ბასილევსი ფეხდაფეხ მოსდევდა, ყველას და ყველაფერს სპობდა და აოხრებდა მაოხრებლობის დიდოსტატი.

ბრძანება გაეცა ბულგართმჭლეტელს: არ დაზოგოს არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, არც ჩვილი, არც სრულწლოვანი, არც ქალი, არცა კაცი.

ჯავახეთი იავარჰყვეს ბიზანტიელებმა და თრიალეთს შემოუდგნენ.

თრიალეთს ახალი ლაშქარი შეეყარა იაკობ თაქთირისძეს: წანართა და შაქელთა ჯარიც გაჩნდა მაწევრად.

ყველა ერთად შემოიყარა გიორგი მეფემ და მტერს მიუბრუნდა გაალმასებით.

შედრკა ბასილი კეისარი, ქართველებს ზურგი აქცია და ისევ ჯავახეთ-არტაანის გზით გაჭენდა.

ახლა გიორგი მისდევდა ფეხდაფეხ მტერს, შერკინებაც გულით სწყუროდა, „გარნა დაუშალეს შებმა მეორედ“.

ნაადრევმა ზამთარმა მოუსწროთ მორკენალთ.

კეისარი გამოსაზამთრებლად დაბანაკდა „ქუეყანასა ხალდისასა, მახლობელად ტრაპიზონთასა“, საიდანაც იგი მომავალი წლისთვის საზღვაო ლაშქრობას ამზადებდა საქართველოს ზღვის განაკიდურთა ასაოხრებლად.

ემზდებოდა, მაგრამ გამარჯვების რწმენა ძალზე შერყეოდა ბასილის.

ქართველთა მეფეს ახალი ჯარები ჰყავდა მომავალ წელს საომრად.

შირიმნის ბრძოლაც, მართალია, თავის გამარჯვებად ჰქონდა გამოცხადებული კეისარს, მაგრამ საკუთარ თავთან ბჭობისას არც ამაში იყო მაინცდამაინც დარწმუნებული.

ალბათ, თავის მხრივ „ის ბიჭი“ თავის თავს თვლის გამარჯვებულადო, — გულს ასკდებოდა ბასილი.

ერთი სიტყვით, ბიზანტიის იმპერატორი უგემურად ელოდა გაზაფხულებას „ქუეყანასა ხალდისასა“.

ზავი სწყუროდა ბასილის.

იქნებ, „იმ ბიჭსაც“ სწყუროდეს ზავი?!

თითქოს, გიორგი მართლა მიხვედრილიყოს ბასილის გულის წადილს და ელჩი გაუგზავნა საზავო მოლაპარაკების დასაწყებად.

ცას ეწია სიხარულით კეისარი.

და მთელი ზამთარი „ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ზავისა და სიყუარულის თვის“.

რეცა, კიდეც შეთანხმდნენ.

რეცა, კიდეც „შეიყუარეს“ ერთმანეთი.

და მოიწია არე გაზაფხულისა.

და წეროებმა გაავსეს ზეცა, გუთნის მსგავსად დაწყობილებმა, მწუხარე ფრთების ქნევით.

და სწორედ მაშინ იმპერატორმა შეიტყო, რომ მის დასამ-

ხობად აჯანყებულან მისგან წინა წელს განპატიჟებული სარდლები — ნიკიფორე ქსიფე და ნიკიფორე ფოკა.

მაგრამ ბასილის ისევ სწყალობდა ბედი. სანამ შეთქმულნი მის წინააღმდეგ რაიმე ქმედითს იქმოდნენ, მათი მეთაურები თვითონ დაეტაკნენ ერთმანეთს. დაეტაკნენ და ნიკიფორე ქსიფემ ყელი გამოღადრა ნიკიფორე ფოკას, ხოლო თვითონ ქსიფე კეისრის ერთგულმა კარისკაცებმა შეიპყრეს.

ბასილის ბრძანებით ქსიფე ბერად აღკვეცეს, დანარჩენ შეთქმულთაგან ერთი ლომებს დააგლეჯინეს, სხვებს უბრალოდ თავები დააყრევინეს.

მთავარი მაინც ის იყო, კეისარმა აიჩემა, შეთქმულებს ქართველი მეფე მფარველობდაო. და მისი ბრძანებით, მოკლულ ნიკიფორე ფოკას თავი მოჭრეს და გიორგის გამოუგზავნეს. ამით იმპერატორი ქართველ მეფეს ატყობინებდა, რომ მისთვის, თითქოს ყველაფერი ნათელი იყო და დავა კონსტანტინოპოლსა და ქუთათისს შორის ერთხელ და სამუდამოდ მხოლოდ მახვილთა ჯვარედინს უნდა გადაეწყვიტა.

ვედრება მეოცე

ბასილი კეისრისა და გიორგი მეფის ურთიერთობას კიდევ უფრო ამწვავებდა ფერის ჯოჯიკისძის მონაწილეობა ორი ნიკიფორეს შეთქმულებაში.

დიახ, აშკარა გახდა, რომ ქართველი ერისმთავარი წილს იდებდა კეისრის დასამხობად გათვლილ შეთქმულებაში.

და ერთხელ, შუაღამისას, მოულოდნელად დაესხნენ ბიზანტიელნი ფერისის სასახლეს ტვარწატაფში.

უცხოელ მომხვდურთა შორის ქართველებიც შეიცნო ფერისმა და მისმა სახლეულმა.

(აკი ღალატი ჰყვაოდა საქართველოში, ღალატი თანასისხლიერის შურისა და სიძულვილის საძირეზე დამყნილი).

ყველანი შეიპყრეს, ხელ-ფეხი დაუბორკილეს და წაიყვანეს.

პყრობილთა შორის იყო ბიძა-ძმისწულიც — გიორგი მწერალი და გიორგი კანანახი.

ვედრება ოცდამეერთე

ბასილი კეისარი მაშინ ნიკომედიაში იყო. საომარ მზადყოფნას ამოწმებდა. უფრო რუსი დრუჟინების მოხილვას ჩაეთრია იმპერატორი.

სიძეს, კიევის მთავარს, ვლადიმერ სვიატოსლავის ძეს გამოეგზავნა ცოლისძმისთვის თავის ლაშქარი.

ბუნებით გულგრილი და აუღელვებელი ბასილი სწორედ გულგრილად ვეღარ უცქერდა, როგორ იძვროდა დედამიწა რუს მეომართა მწყობრი და მძლავრი ნაბიჯების ქვეშ...

ბორკილდადებული შეთქმულები მოჰგვარეს კეისარს.

სამი ბერძენი იყო, ერთი ქართველი.

ჯალათებიც მოჰყვნენ, წითლადმოსილნი და ნაჯახშემართულნი.

სამხედრო ბანაკი დადგა და გაირინდა.

წყრთანახევარი სიგრძე-სიგანის ფიცარნაგზე, შუაგულში, დიდი ხის კუნძი ელოდათ სიკვდილმისჯილებს.

ჯალათებმა ერთმანეთის მიყოლებით აიყვანეს სამივე ბერძენი ფიცარნაგზე. სამივეს ჯერ ენები ამოჰგლიჯეს მარწუხებით, მერე გაშიშვლებულებს ნაჯახებით დაჰკვეთეს ხელები, ფეხები, ამოჰკვეთეს საწულონი, დასწვეს თვალები და ბოლოს, როგორც იქნა, საშველი დააყენეს თავების დაყრევინებას.

და ფერის ჯოჯიკისძეს მიაშურეს ჯალათებმა.

კეისარმა ანიშნა, ხელები გაუხსენით და ახლოს მოიყვანეთო.

აღასრულეს.

უცქირა ერთხანს ბასილიმ, მშრალი თვალით და უძრავი სახით, მის წინ აშვეტილ, საოცრად ხატკეთილ ჭარმაგ ვაჟკაცს.

უკეთუ გსურს სიცოცხლე გაჩუქო, თავზე ნაცრის დაყრით მოინანე დანაშაულიო, — უთხრა ბოლოს კეისარმა ფერისს.

მწარედ გაეცინა ქართველს: ჯერ ერთი, მოსანანიებელი არაფერი მაქვსო, რადგან ჩასაფრებით და მზაკვრობით შენი დამხობა არც მიფიქრიაო; მე მხოლოდ დაუფარავად შემიძლია გითხრა, ქართულ მიწებზე ხელის პოტინს დაანებე თავი-მეთქი; მერე, მოსანანიებელიც რომ მქონდეს, ჩემი უფალი გი-

ორგი მეფეა და მხოლოდ მას ერთს ხელეწიფების ჩემი შერისხვაც, განპატიჟებაც და სიკვდილით დასჯაცო.

სახე ჩამოუბნელდა ბასილის.

და ანიშნა ჯალათებს.

მაგრამ გარყევაც ვერ მოასწრეს ვერც ჯალათებმა, ვერცა ვინმე იქ მდგომთაგანმა, რომ ელვასავით მივარდა ფერისი მეწინავე რუს მეომარს, მახვილიც ელვასავით ამოაძრო, ვადით მიწას დასცა და წვერით ზეაღმართულს ზედ გულით წამოეგო.

წუთში დასრულდა ყოველივე.

მარჯვენა გვერდზე, მომშვილდული ეგდო ფერისი.

პირველი შეირხა რუსი, იმ მახვილის პატრონი.

მკვდარს მიეახლა. წამოიჩოქა. დასწვდა, ასწია მძლავრი ხელებით და გულაღმა ფრთხილად დააწვინა მიწაზე მიცვალებული.

გულზე ხელები დაუკრიფა.

და თვალები დაუხუჭა.

ხოლო, ბასილი ბასილევსმა ეს უთხრა ფერის ჯოჯიკისძის საკვირველად წუნარ სახეს:

— შენ რომ მოკვდი, მე დავმშვიდდი!..

ვედრება ოცდამეორე

ქართულ მიწაში დამიწებაც არ უნდა ჰღირსებოდა ქართული მიწის დიდ შვილს. ბიზანტიის გულმშრალმა ავტოკრატორმა აკრძალა მისი გადასვენება საქართველოში.

სამშობლოში დაბრუნება ფერისის სახლეულსაც აღუკვეთა ბასილიმ.

ფერისის ცხედარი მისმა ქვრივმა მეუღლემ, კრავაიმ, კონსტანტინოპოლს გადაასვენა და იქ, ქართველთა სასაფლაოზე დაკრძალა.

კონსტანტინოპოლს დარჩნენ ქართველები.

მათ შორის — ჭაბუკი გიორგი ბერი.

ვედრება ოცდამესამე

ისევ მოვიდა ბასილი ბულგართმჭლეტელი დიდძალი ლეგიონებით ბასიანს და მოსთხოვა გიორგი მეფეს იმიერ და

ამიერ ტაო. სამაგიეროდ სამარადჟამო მშვიდობას, კავშირს, მეგობრობასა და მოყვრობას აღუთქვამდა კეისარი ქართველ ხელმწიფეს.

გიორგიც ჩაეგება აბეზარ მოსისხლეს.

ჩაეგება და ლაშქრის ერთი ნაწილი, ცხენ-კაციანად მძიმე აბჯრით შერკინული მხედრობა, ზვიად ერისთავს ჩააბარა და ბიზანტიელთა ბანაკისკენ გაგზავნა.

ზვიადი, ბასილი კეისრის შემოთავაზების პასუხად, მასთან სამშვიდობო სიტყვამიგებაში უნდა ჩაბმულიყო, ხოლო გიორგი, ყოველ შემთხვევისთვის, მაინც საომრად უნდა გამზადებულიყო.

„უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ, და უკეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ მისთვის“, ფიქრობდა გიორგი მეფე.

ბოლოს და ბოლოს, მაინც არ მოხერხდა უსისხლოდ საქმის გათავება.

ზვიად სპასალარს მისმა მზირებმა აცნობეს, ისე ეტყობა, კეისარი იდუმალ თავდასხმას უმზადებს ქართველებსო.

აგრე არ უნდათ და, ზვიად ერისთავის თოროსანი მხედრობა თვითონ დაესხა ბიზანტიელთა ბანაკს.

და ქართველებმა „აოტეს ზოგი ბასილის ლაშქრისა“.

კეისარმა გაქცეულები შეაყენა, თავი მოუყარა და ლეგიონები მტკიცედ შეკრა ქართველთა უკუსაქცევად.

ბრძოლად გასვლის წინ ბასილიმ ქართველი მეფის ხელმოწერილი და მისი ბეჭდით დაბეჭდული საზავო წერილი შუბის წვერზე წამოაგო, მაღლა აღმართა, ჯარებს დაანახა და ზეცას შესძახა:

აჰა, ესერა, იხილე და საჯე, უფალო, წერილი ესე მათი და საქმე, რომელსა აწ იქმანს!

მასუკან ჯვარი მოაღებინა, მიწაზე მანდილი გაშალა, ჯვარი ზედ დაასვენა და ზემოდან დასძახა:

— უკეთუ მიმცე მე ხელთა მტერთასა, არღარა თაყვანი ვცე უკუნისამდე!

ეს თქვა და ნიშანი მისცა.

და გამოეყო რუსული დრუჟინა ბიზანტიელთა ლეგიონებს.

მჭიდრო, განურღვეველ რიგებად შეყრილიყვნენ, ბრგენი,

სრულტანოვანნი, ჩალისფერნი. მოდიოდნენ მწყობრი, მძლავრი ნაბიჯით და საჭურველის ზრიალით.

მდუმარედ ელოდნენ ქართველნი.

პირველად ხვდებოდნენ მანამდე უთვალავი მტრის მხილველნი ეგზომ უცხო მტერს.

გული, რეცა უშლიდა მახვილის დაძვრას.

უკუიქცა ზვიად ერისთავის ლაშქარი.

სრულის ძალებით გამოედევნა ბასილი კეისარი.

მეფე გიორგიც ფიცხლად დაიძრა ქართველთა მთავარი ლაშქრით.

სასისხლე ხაზს მიუახლოვდნენ, შედგნენ და ისევ დასცეს ბანაკნი ორკერძოითვე.

მძიმედ ჩაეფიქრებინა გიორგი ზვიად სპასალარის თოროსან სპათა მარცხს.

ახლა კი ენიშნა თრიალეთელი ულუკის ნამისნარი — მწითურნი დაგამარცხებენო.

ბასილი კეისარიც მძიმე საგონებელს მისცემოდა. ყველაზე ძვირი სისხლი ქართველებთან ბრძოლაში მექცევაო, ფიქრობდა იგი ფიქრითა შფოთიანითა.

იმისიც ეშინოდა კეისარს, სანამ აქ, ქართულ მიწაზე ფეხს ვიბორძიკებ, ვაითუ ზურგში, ჩემს სატახტოში ჩემი მტრები კიდევ რაიმე სამტრო ხვანჯებს მიხლართავენო.

და ისევ გამოუგზავნა დიასპანი ბასილი კეისარმა გიორგი მეფეს: რაც იყო, იყო — დავივიწყოთ და ერთხელ და სამუდამოდ შევრიგდეთო.

რაკი შერიგებაა, შევრიგდეთო, — უპასუხა გიორგიმ.

და ისევ მიუსხდნენ სამშვიდობო მაგიდას.

ტაო-ბასიანის ციხე-ქალაქები შუა გაიყვეს.

შენი უფროსი ძე, უფლისწული ბაგრატი, კონსტანტინოპოლს უნდა გამატანოო, — უთხრა ბასილიმ გიორგის. სამი წელიწადი იყოს ჩემთანო, შვილზე უტკბესად შეგინახავო, — ეჩიჩინებოდა თვითონ უძეო კეისარი—ისედაც არ აწყენს კონსტანტინოპოლში ზრდა და წრთვნა ბატონიშვილსო.

— გეფიცები ფიცითა მტკიცითა: წელსა მესამესა გამოგიგზავნო ძე შენი, — დაასრულა ბასილიმ.

და წაიყვანა ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინოპოლს ბატონიშვილი ბაგრატ, ოთხი წლისა.

უარი შეუბედა თვალშვენიერ არსუკისძემ გიორგი მეფეს: საღვთო სალოცავზე ბიწიერი კაცის სახელის მიწერა ღვთის გმობა და შეურაცხება იქნებისო. ამიტომ არ მივაწერ ჩემს გლახაკ სახელს სვეტიცხოვლის ტაძარზეო.

გაწყრა გიორგი მეფე: მე მიბრძანებია და აღესრულება, არა და... მხარზე მარჯვენა არ შეგრჩებაო...

მარჯვენა არ შეგრჩებაო?!

ეს მერამდენედ ითქვა არსუკისძის მარჯვენის დაგდებინება?!

და აღესრულა ნაბრძანები გიორგი მეფისა.

და უკვე ღაღადებდა წარწერა ესე ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე:

„ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღეშენა ესე წმინდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაითა“.

ხოლო, ჩრდილოეთის კედელზე გონია და მასზე ჩაჭიდებული მარჯვენა ხელი იყო ამოკვეთილი, იქვე წარწერით:

„ხელი მონისა არსუკისძისაი. შეუნდვეთ“.

გაეცინა გიორგის, ეს რომ წაიკითხა, და უთხრა თვალშვენიერს: ამ ნახატზე და წარწერაზე გინდა გადაიაროს მკლავის მოკვეთის მუქარამო?

ეგ არ მიფიქრია, თუმცა ყარგად კი გამომსვლიაო — იცოდა არსუკისძეც.

კათალიკოსს კი გაუხარდებოდა მისი სახელის ეგზომ ხმამაღლა მოხსენიებაო, და მელქისედეკის ზვიადმა სახემ გაუელვა წამით გიორგის.

მცირედად კი მისაყვედურა კათალიკოზმა და ესეც გაიხსენა — „ნუ აღმერთებ თავისა შენისა ძეგლსაო“, — მაგრამ უმალვე ჩაშოშმინდაო, — ამბობდა ღიმილით თვალშვენიერი.

მაინც იმდენი გიქნია, შენი სახელი არ დაგიწერიაო, — უთხრა გიორგიმ.

სახელი კი არა, თქვენი ბრძანება რომ არ ყოფილიყო, გვარსაც არ მივაწერდიო, — თავისას არ იშლიდა ხუროთმოძღვარი.

გიორგი კიდევ დიდხანს უცქერდა წარწერას. მანამ უყუ-

რებდა, სანამ მისი სიმაღლით ნაჩქერალმა შუქმა თვალები არ ატკინა.

წარწერის თავს გასდევდა გარდანაკვეთი ტაძრისა.

— მაინც რას ფიქრობ, არსუკისძევ, უნდა მომასწრო და დამასწრო თუ არა სვეტიცხოვლის თავის დაბურვას? — უცებ იკითხა მეფემ და თვალები მოისრისა.

გაჰკვირდა თვალშვენიერი. ნაღვლიანი ეჩვენა ეგზომ ახალგაზრდა და სიმხნევით განთქმული ხელმწიფის ნათქვამი.

უკეთუ მოსწრება არ უწერია, უმალ მე ვერ მოვესწრები და შენს შემდგომ არც უნდა მოვესწრო სვეტიცხოვლის დასრულებასო, — მიუგო მეფეს.

— აბა, შენ იცოდე, ვინძლო ორივე მოვესწროთ! — გაიღიმა მეფემ კეთილი, თუმცა ნაღვლიანი ღიმილით.

ერთხელ კიდევ შემოუარეს ტაძარს მეფემ და ხუროთმოძღვარმა.

ერთხელ კიდევ შედგა და მიაჩერდა გიორგი მკლავს, გონიას და წარწერას.

— შენს ბრძანებამდე, მეფეთმეფეო, კიდევ ერთი ვინმე შემომიჩნდა, სახელი მიაწერეო სვეტიცხოველს, მაგრამ უარი ვუთხარ და არ შევასრულე მე მისი თხოვნა, — უცებ თქვა თვალშვენიერმა.

— ვინ იყო ის ერთი ვინმე? — სწრაფად მოუტრიალა კითხვა გიორგიმ.

— მწირი ერთი, ახალგაზრდა, შენი სახელმოდგამი, მეფეთმეფეო.

— გიორგი? — გაკვირვებით შესძახა მეფემ.

— დიახ, ხელმწიფეო, — განცვიფრდა თვალშვენიერიც.

— ის აქ იყო?

— დიახ.

იმის კითხვა კი ვეღარ შეჰბედა, საიდან იცნობდა მეფე იმ კრძალულ მწირს.

— საიდან სადაო? — თვითონ ჩაილაპარაკა მეფემ თავისთვის.

— ნინოს გზა გამოევლო, ფარავნიდან მცხეთამდე.

— ნინოს გზაო?

— და ერთი დღე-ღამე ვიყავით ერთად. ღამე აი, იქ გავა-

თიეთ და ის ქვა-ჯვარი, ვაზიცხოველი, ერთად ავზიდეთ და ერთად ჩავასადაგეთ, — აირთხა ხელი არსუკისძემ.

— საოცარია, საოცარი, — ამბობდა მეფე — სწორედ ღვთის ხელნადები არის ის ბერი.

— სწორედ ჰური სიბრძნისა და სათნოებისა.

— ჰკუის გვადრუცი.

— დიახ, სწორედ.

— და იმან გთხოვა, მიგეწერა შენი სახელი ტაძრის კედელზე?

— იმან მთხოვა თავდაპირველად, სწორედ იმან.

— და უარი უთხარ?

— დიახ, უარი.

— ძალიან სცდები, — დაბეჯითებით უთხრა მეფემ, — სწორედ მისი თხოვნა აღგისრულებია შენ.

— ?!

— ამინ გეტყვი შენ: მე აზრად არ მომსვლია ის, რაც გიბრძანე, მაგრამ სწორედ იმ ჩემმა სეხნა ბერმა მთხოვა მებრძანებია შენთვის სვეტიცხოველზე ამოტვიფრა აღმაშენებლის სახელისა.

ამას კი სრულებით აღარ ელოდა არსუკისძე.

საიდან და როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ორი გიორგი — მეფე და მწირი — ვერც კითხვა გაუბედა მეფეს და აღარც თვითონ ეწადინებოდა ამის შეტყობა. აღარ უნდოდა, რადგან, თითქოს გულიც წყდებოდა, რომ მისი სულის მარჩბივი მისგან სადღაც ისე შორს წასულიყო, მათ ნააზრევთა მანამდელი თანხვდომილობა აგრე რიგად ბოშლილიყო და დაწრეტილიყო.

— ახლა იგი ჩვენგან შორს არის, სთქვა მეფემ და წასასვლელად აემზადა.

ისრის სასროლზე მეფეს ამალა უცდიდა.

ვედრება ოცდამეხუთე

მეფის ამალაში არსუკისძის თვალმა ერთი ვინმე გამოარჩია — ანაგებით, ფერით, მიმოხრით.

და გაახსენდა, რომ იმ „გამორჩეულს" ქირქიშ აბულახტარი ერქვა.

ვედრება ოცდამეექვსე

— როცა ქირქიში ფხიზლობს, მე მშვიდად მძინავს, — ბტყოდა ხოლმე გიორგი მეფე.

სავედრებელი მეოთხე



ვედრება პირველი

მაშ, გიორგი მწირი კონსტანტინოპოლს იყო.

კონსტანტინოპოლი!

სატახტო აღმოსავლეთ რომის იმპერიისა, ანუ ბიზანტიისა.

ოქროს ჭიპი დედამიწისა!

გიორგის მისვლამდე ქალაქს გადახდილი ჰქონდა თავგადასავალი ათას ექვსას ოთხმოცი წლისა.

ბიზანტიის სატახტო ბოსფორისა და პროპონტიდის შესაყარში, ევროპისა და აზიის წყალგამყოფ მიჯნაზე იყო გაშლილი.

შავი ზღვიდან გამდინარე ბოსფორი ერთი დღის სავალ გზას გაივლის და პროპონტიდასთან შეერთებამდე ერთი ტოტით იჭრება მარჯვნივ. ესაა „ქრისოკერას", ანუ „ოქროს რქა".

ოქროს რქა, საკუთრივ ბოსფორი და პროპონტიდა ქმნიან ნახევარკუნძულს.

სულ პირველად, ქრისტეს დაბადებამდე 660 წელს, აქ მო-

ვიდნენ და დასახლდნენ მეგარელი ბერძნები. ეს ადგილი მათთვის მიუნიშნებია სახელოვან დელფოელ მისანს, პითიას. რაკი ახალი ქალაქის დაარსება გწადიათ, წადით და ბრმების პირდაპირ დაესახლეთო, უთქვამს პითიას მეგარელთათვის. ბრმებად ულუკი ქალი თურმე ქალკედონის დამაარსებლებს გულისხმობდა. ქალკედონი ბოსფორ-პროპონტიდის აზიურ სანაპიროზე მდებარეობდა და, რაკი მისმა პირველმა ბარის დამკვრელებმა პირდაპირ, ევროპული ხმელეთის სრული უმჯობესობა ვერ იაზრეს, ამიტომ უწოდა მათ პითიამ „ბრმები“.

მაშ, მეგარელი ბერძნები მოვიდნენ და ყოველი თვალხილულისათვის სახილველ ადგილზე დასახლდნენ და დამკვიდრდნენ.

ასე დაიბადა ევროპისა და აზიის გზაკვეთილზე ქალაქი ბიზანტიონი.

დრო კი მიჰქროდა უსულთქმოდ და უწერტილოდ. მიჰქროდა ძველ ფრთათა ცვენით, ახალდასხმული ცინცხალი ფრთების ქნევით, ტყლაშუნით. მიჰქროდა კაცთა დაუკითხავად. კაცთა მოდგმას კი ისევ ეგონა, რომ დრო ვიდოდა მისი ჭკუისად.

და ბიზანტიონის დაარსებიდან გაფრინდა ცხრაას ოთხმოცდაათი წელიწადი.

და მოვიდა რომის იმპერიის დიდი კეისარი კონსტანტინე. მოვიდა და აქ, ბიზანტიონის ადგილზე შეუდგა ახალი მსოფლიო სატახტოს, „მეორე რომის“ მშენებლობას.

იმპერატორი ბოსფორის მხრიდან მიადგა ნახევარკუნძულს, ნაპირზე გადავიდა და შუბით ხელში შეუდგა ზომვას.

— ვიცი მანამ, სანამ შემთხვეულობა რაიმე არ შემაჩერებს, — სთქვა კონსტანტინემ.

იარა და ზომა მთელი დღე ნახევარკუნძული. ღამემ შეაჩერა და შეჩერდა იგი. დაასვა სამანი და აქ, მისი ბრძანებით დაიწყეს დიდი თხრილის გაჭრა, წყლიდან წყლამდე, ოქროს რქიდან პროპონტიდამდე. თხრილის გასწვრივ აშენდა მაღალი, სქელი ქვის კედელი, და სახელი მისი — „კონსტანტინეს კედელი“.

ზღვათა სამივე მხრიდანაც შეიკრა ქალაქი. მაღალი კედელზღუდენი და ბასტიონნი სქელი რკინის ჯაჭვებით შემოირაგვნენ და შემომტკიცდნენ.

ქრისტეს დაბადებიდან 330 წლის 11 მაისს საზეიმოდ ეკურთხა მსოფლიოს ახალი სატახტო ქალაქი.

და ეწოდა „კონსტანტინოპოლს“ — კონსტანტინეს ქალაქი.

იმპერიის ძველი სატახტო, ქალაქი რომი, სუსტდებოდა და ეცემოდა, ხოლო ახალი, კონსტანტინოპოლი, იზრდებოდა, შენდებოდა, მშვენდებოდა.

კონსტანტინეს აღსასრულიდან რომის აღსასრულამდე, ასორმოცი წლის მანძილზე, ოცდათექვსმეტი იმპერატორი იმპერატორობდა და არცერთ მათგანს ცდითაც არ უცდია და მოცლითაც არ მოუცლია რომის ხელახალი ამაღლება-აღზევებისთვის.

ბოლოს, თავისი გაიტანეს გერმანელებმა. ჯერ, 410 წელს, გულფიცხელი ალარიხის წინამძღოლობით აიღეს იმპერიის ძველი სატახტო. მერე, 455 წელს კოშტმა ვანდალმა ჰენზერიხმა დაიპყრო და გაძარცვა იგი. ბოლოს, 476 წელს, გაუთლელმა ოდოაკრმა სამუდამოდ დაამხო და იავარჰყო „მარადიულ ქალაქად“ სახელდებული რომი.

რომაული ტრაგედია დასრულდა. დაიწყო იგი ლეგენდარული რომულუსით და გათავდა ძუძუმწოვარა რომულუსით.

ხოლო, აღმოსავლეთ იმპერია კვლავ განაგრძობდა სიცოცხლეს. თანაც, მისი მესვეურნი არ იშლიდნენ და ისევ „რომაელებად“ იწოდებოდნენ.

მაგრამ შემდგომმა ისტორიამ „ბიზანტიის იმპერიის“ სახელით მონათლა იგი.

კონსტანტინე არაფერს ზოგავდა „ახალ რომში“ ხალხის მოსაზიდავად, წასაქეზებლად, დასასახლებლად, დასამკვიდრებლად. მალე, ძალიან მალე, კონსტანტინოპოლი ხალხით გაივსო და იმპერიის უდიდეს ქალაქად იქცა.

აქ ადვილად შეიძლებოდა გამდიდრება.

აქ ცხოველი იყო ვაჭრობა და ხელოსნობა, მიწათმოქმედება და მეღვინეობა, ზღვაოსნობა და მეთევზეობა.

აქ უფრო იაფად და უხვად არიგებდნენ პურს, ღვინოს და ზეთს.

აქ უჩვენებდნენ უფრო მდიდრულ საცირკო სანახაობებს, ვიდრე ძველ რომში.

ახალი ქალაქის განაშენიანება, მისი ხუროთმოძღვრული ანაგება და იერსახე — იყო ნარევი, ორი ნაკადით:

და ამის მიზეზი, უწინარესად, იყო თვითონ კონსტანტინეს ორჭოფული მიმოზნექა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის.

მისი ბრძანებით, კოხსტანტინოპოლში ერთად, გვერდიგვერდ, აუგეს ტაძრები წარმართულ ჰელიოსს, ტიხეს, დიოსკურებსა და ქრისტეს მოციქულებს.

337 წელს, პასექის დღესასწაულზე, სიკვდილმა მოაკითხა დიდ იმპერატორს. ლოგინად ჩავარდა. წარმართობის მოყვარემ და ქრისტიანობის მფარველმა სიკვდილთან თვალსწოროობაში გადაწყვიტა ქრისტიანად მონათლულიყო. უნდოდა, ნათლისღება, ქრისტეს მიბაძვით, მდინარე იორდანეში აღესრულებინა, მაგრამ ავადმყოფობამ სარეცლიდან მხარი არ ააღებინა და შეურიგდა, ისევ სასიკვდილო სარეცელზე მიეღო ქრისტეს სჯული.

ნათლას მოთავეობდა ეპისკოპოსი ევსევი.

მრავალმნიშვნელოვანი იყო უკვე „ნამდვილ ქრისტიანად“ მოქცეული ხელმწიფის სიტყვა ნათლიღების დასასრულს: „ახლა უკვე გაჭრა ყოველგვარი ორაზროვნება“.

და მოკვდა შობითგან 65 წლისა, 31 წლის ზეობის თავზე.

ზეიმით დაკრძალეს მისგანვე დაარსებულ მსოფლიო ქალაქში, მისგანვე აშენებულ მოციქულთა ტაძარში.

მისი ხსოვნა ერთნაირი ბჭობისა და პატივის საგნად დარჩა, როგორც წარმართთა, ასევე ქრისტიანთა შორის. წარმართნი მას ჰელიოსის სწორ ხოტბას ასხამდნენ, ხოლო ქრისტიანები განადიდებდნენ ვითარცა პირველი ქრისტიანული სახელმწიფოს დამაარსებელს, წმინდანთა შორის იხსენიებდნენ და „დიდის“ თიკუნით ამკობდნენ.

კონსტანტინედან იუსტინიანემდე გავიდა 190 წელიწადი. ამ დროის მანძილზე იმეფა 15 კეისარ-იმპერატორმა და კონსტანტინოპოლის გაზრდისა და გამშვენიერებისათვის თხუთმეტივეს ერთად იმდენი არ უზრუნვიათ, რამდენსაც ზრუნავდა და იღვწოდა იუსტინიანე.

სამი დრო ერთ ჰარმონიად შერწყმოდა ერთურთს კონსტანტინოპოლში: ანტიკურ-ბერძნული, კონსტანტინეს-დროინდელი და იუსტინიანეს-ჟამინდელი.

ქალაქის შუაგულში იშლებოდა კოლონებითა და ქანდაკებებით გარშემორტყმული ორი ფორუმი — ავგუსტეონი და

კონსტანტინეონი. ავგუსტეონი კონსტანტინეს დედის, პირველი ქრისტიანი დედოფლის, ავგუსტა ელენეს სახელობისა იყო.

ავგუსტეონის შუაგულში იდგა ოქროს სვეტი, საიდანაც იყრებოდა ყველა დიდი გზა ქვეყნის სხვადასხვა მხრისკენ. სწორედ ეს იყო „ომფალოს ტეს გეს“, ანუ — „ჭიპი დედამიწისა“.

იუსტინიანემ ავგუსტეონს ოთხივე მხრიდან, კვადრატულად, ორრიგოვანი კოლონადები შემოარტყა და თვითონ მოედანი მთლიანად თეთრი მარმარილოთი მოაგო.

ფორუმ ავგუსტეონს ოთხი მხრიდან ნაირსახოვანი ნაგებობანი გადმოსცქეროდნენ: ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — ძველი ბიზანტიონის აკროპოლისი, ჩრდილოეთიდან — კონსტანტინეს საღვთო სასახლე, სამხრეთ-დასავლეთიდან — ზევქსისის თერმები და ჰიპოდრომი, აღმოსავლეთიდან — სინკლიტი (სენატი) და მაგნავრის სასახლე, სამხრეთიდან — ხალკა, სამყოფელი თვითონ იმპერატორისა.

ავგუსტეონის სამხრეთით გაშლილი ჰიპოდრომი სიგრძით ოთხასი ნაბიჯი იყო, სიგანით ასი ნაბიჯი. იგი მოერთოთ ქანდაკებებით, ობელისკებით. მათ შორის იდგა ბრინჯაოს სამი გველით ნახლართი კოლონა, ოქროს ზედადგარით.

ფორუმიდან ხალკაში, იმპერატორის სამყოფლოში შესასვლელი კარები რკინისა იდგა. ამას წინაკარსაც უწოდებდნენ. აქედან მდიდრული დერეფანი იწყებოდა და ნახევარწრიულ, ლარტყულ-ცხაურით შემორაგვულ ეზოში თავდებოდა. ეზოს ბოლოში დიდთაღოვანი დარბაზის კარი იხსნებოდა. შიგნით დარბაზი დიდად ვრცელი და ჭერმაღალი იყო. იატაკი — ქარვადაკრული თეთრი დრუნგილით მოგებული და გარშემო მეწამული ქვის ლორფინებით შემოკვერცხილი; კედლები — თეთრი, მწვანე, წითელი, შავი და ყვითელი მარმარით აელვარებულნი; ჭერი — მოზაიკად მოკენჭილ-მოსევადებული.

ხალკის როტონდიდან ბრინჯაოს ორმაგი კარებით იწყებოდა სამეფო გვარდიის საგუშაგო დარბაზნი, ანუ პორტიკნი სჭოლარიოსებისა, პროტექტორებისა და კანდიდატებისა. აქ ერთმანეთში გადადიოდნენ დრუნგილით მოგებული აელინები და სააღლუმე დარბაზები, რომელთაგან უმთავრესში უზარმაზარი ვერცხლის ჯვარი იდგა.

გვარდიის სამყოფლოს შუაზე კვეთავდა კოლონადებით ჩარიგებული ხეივანი, რომელიც ებჯინებოდა თვით სამეფო სასახლეს.

აქ კი იხსნებოდა საღვთო კონსისტორიონი — სატახტო დარბაზი. სამი მხრიდან მას ეზოები ერტყა. სამივე ეზოში სასახლიდან გასასვლელი სპილოს ძვლის სამი კარები ეკიდა, ჩინური ფარჩა-ჭიპნაურის კრეტსაბმელებით დაფარულნი. შიგნით, კონსისტორიონის კედლები — კეთილშობილი ლითონებით მოსევადებულნი. იატაკი — ფერადი დრუნგილისა, სპარსული ხალიჩებითა და ნატებით დაფენილი.

დარბაზის სიღრმეში, სამსაფეხურიან მოოქროვილ კვარცხლბეკზე, ბრწყინავდა ტახტი ოქროსი, მოოქვილი ძვირფასი ქვებით, მარგალიტებით, ქრისოლითებით, ფირუზებით, ზურმუხტებით, სარდიონებით, ბივრილიონებით, ტოპიზიონებით. ოქროს ტახტს თავზე ოთხ სვეტზე დაყრდნობილი ოქროს თაღი დასცქეროდა. გარშემო ოთხი ნიკეა იდგა, ფრთაგაწვართულნი, აღფრთოვანებულნი, ხელში დაფნის გვირგვინებით ტვირთულნი. ტახტის უკან ბრინჯაოს სამკარიანი გასასვლელი იყო; გასასვლელს ზემოთ კიბეები მიიმართებოდა.

ამ კიბეებზე ეშვებოდა იმპერატორი. ამ კიბეებით შემოდიოდა და ჯდებოდა ტახტზე.

კონსისტორიონის გვერდით სანადიმო ტრიკლინიუმი იშლებოდა, ცხრამეტი სარეცლით.

მახლობლად იესო მაცხოვრის ეკლესია იდგა, ვითარცა იმპერატორისა და ავგუსტა-დედოფლის სამლოცველო.

ხალკას აპარტამენტებს ეზოებით, გალერეებით და კიბეებით უერთდებოდა დიდი სასახლე — დაფნა (ეს სახელი მიიღო ნიმფა დაფნასგან, რომლის ქანდაკებაც კონსტანტინემ რომიდან წამოიღო და აქ დადგა). დაფნა-სასახლის მთავარი შესასვლელი ჰიპოდრომის სამხრეთ-დასავლეთ კარს ებჯინებოდა. იქვე გაშლილი იყო იმპერატორის პირადი ცხენსარბიელი.

დაფნა ტერასებად იყო ზეაღმართული. მისი ქვედა ტერასა სამი ნაწილით შეიკვრებოდა: ავგუსტუსის ტრიკლინიუმი, რვაწახნაგოვანი საოსტიგნე და სასახლის კოიტონი. ზედა ტერასები სამხრეთ-დასავლეთით გადასცქეროდნენ დიდ ბაღებს,

ბაღებს ქვემოთ კი — პროპონტიდას. მეორე მხრითაც გრძელი გალერეა სასახლეს აერთებდა წმინდა სტეფანეს ეკლესიას და ჰიპოდრომს. იმპერატორი სწორედ აქიდან შედიოდა ჰიპოდრომზე, თავის სამყოფში — კათიზმაში.

თვითონ კათიზმა ორსართულიანი მცირე სასახლე იყო, ტრიბუნით, მისაღები და განსასვენებელი დარბაზებით. აქედან უცქერდა კარისკაცებითა და მცველებით გარშემორტყმული იმპერატორი ჰიპოდრომზე გამართულ ასპარეზობას. ხოლო, ავგუსტა-დედოფალი თავისი სეფექალებით და შიმუნვარებით სანახაობას უმზერდა წმინდა სტეფანეს ეკლესიის ზედა გალერეადან.

დაფნასა და პროპონტიდას შორის გაშლილ დიდ ბაღებში კიდევ ორი სასახლე იდგა — ქრიზოტრიკლინიუმი და ტრიკონქი. ორივეს ერთად ეწოდებოდა საღვთო სეფედარბაზოვანი. ეს იყო თვით ავგუსტუს-იმპერატორისა და ავგუსტა-დედოფლის სანთიობური საცხოვრებელი. ხალხისა და ღმერთის წინაშე ღვთაებრიობის ნიღბით დამძიმებულ და ფარისევლობით დაღლილ-დაქანცულ მეფე-დედოფალს მხოლოდ აქ, კრეტსაბმელებით დაფარულ და ჩაწყვდიადებულ საკუთარ სამყოფლოში შეეძლოთ დაბრუნებოდნენ საკუთარ თავს, საკუთარ ადამიანურ ჩვეულებრიობას, მოკვდავურ უმწეობას, სულიერ შეუცნობლობას და ხორციელ წარმავლობას.

ქრიზოტრიკლინიუმი მაგნავრის ტრიკლინიუმს უერთდებოდა, ხოლო მაგნავრა — სინკლიტის, ანუ სენატის სასახლეს.

ფორუმ ავგუსტეონიდან ჩრდილო-დასავლეთით მიემართებოდა მთავარი ქუჩა — მესა („შუა"). იგი გაივლიდა კონსტანტინეს ფორუმს და გაიყოფოდა გზაბოძალად: ერთი შტო ჩრდილოეთით მიდიოდა, ხარისიას კარებისაკენ, მეორე — დასავლეთით, ოქროს კარიბჭისაკენ.

ფორუმ კონსტანტინეონის შუაგულში იდგა ცადაშვებული ძოწისფერი სვეტი, ზეთავზე სხივოსანი გვირგვინით შემკობილი ჰელიოსის ქანდაკებით.

იუსტინიანემ ეს ქანდაკება კონსტანტინეს ძეგლად გა[illegible]კეთა. ხმაც მაშინ დაირხა: კონსტანტინეს სვეტის ძირში რომიდან საიდუმლოდ ჩამოტანილი პალადიუმი მარხიაო, ხოლო თვით სვეტის წიაღში ჯვარიცხოველის სასწაულმოქმედი ნაწილია დატანებულიო.

მაგრამ სასწაული იმჟამინდელი კონსტანტინოპოლისა მაინც იყო სწორუპოვარი აია სოფია — „წმიდა სიბრძნე".

ადრე ამ ადგილზე ამავე სახელწოდების ხის ეკლესია იდგა, რომელიც ქალაქში მომხდარი დიდი აჯანყების (აჯანყება „ნიკა") დროს დაიწვა.

და იუსტინიანე ახალი, გრანდიოზული ტაძრის მშენებლობას შეუდგა.

იმპერატორმა მშენებლობის მეთაურობა ჩააბარა ორ სახელმოხვეჭილ ხუროთმოძღვარს, ისიდოროს მილეტელს და ანთიმიოს ტრალელს.

ახალი ტაძარი ვრცელ ტერიტორიას მოითხოვდა და ამიტომ საჭირო გახდა ბევრი ახლომახლო შენობისა და კერძო საცხოვრებელის აღება. იუსტინიანემ, — თუ ფულით, თუ თხოვნით, თუ მოთხოვნით, თუ მოჭრთამვით და მოთაფვლით მოახერხა გაჭირვებულ მოქალაქეთა დაყოლიება და მათი სახლების აღება.

იყო ერთი ვინმე ქვრივი დედაკაცი, ანა, რომელიც არასდიდებით, არა ფულზე და არა სულზე, არ თანხმდებოდა სახლის აღებას. ერგასი ლიტრა ოქრო რომ მომცეთ, მაინც არ ავიღებ სახლსო, — გაიძახდა ქალი გაწიწმატებით. მაშინ თვითონ ესტუმრა იმპერატორი იმ ქალს: დედაკაცო, ჩემს საკუთარ პალატას რომ ვაშენებდე, მაშინ შენ მართალი იქნებოდი, მაგრამ მე ხომ ღვთის სახლს ვაშენებ და, გეყვედრები, ნუ დამაბრკოლებო.

იმპერატორის ასეთ „თავმდაბლობაზე" და „თავგატოლებაზე" ქალმა თანხმობა განაცხადა, ოღონდ იმპერატორს პირობა ჩამოართვა, მე როცა მოვკვდები, სწორედ ჩემი სახლის ადგილზე დამასაფლავეთო.

იყო კიდევ ვინმე ანტიოქოს ყვერული, რომელსაც სახლი უნდა დაენგრია ოცდაათ ლიტრად, მაგრამ ყვერული იგი „განკრთა და არა ინება". ასი ლიტრა ოქრო შეაძლიეს, მაინც არა ქნა. მაშინ შეიტყვეს, ჰიპოდრომის გიჟი ყოფილა ყვერული იგი და აი, მეფის ახლოს დააბრძანეს სანახაობის საცქერლად. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ პატივმოყვარეობით ატანილ ხადუმს, იმპერატორის სურვილის კვალობაზე, საკუთარი სახლი ძირიან-საძირკვლიანად მოეთხარა...

მთელი იმპერია დაირაზმა, დაიძაბა და დაიხარჯა ახალი აია

სოფიას მშენებლობისათვის. რომში ჰელიოსის ტაძარს რვა წითელი სვეტი აბსნეს და კონსტანტინოპოლს ჩამოიტანეს. ეფესოდან რვა მწვანე მარმარილოს სვეტი გამოგზავნეს. უძვირფასესი სამკაულები გამოიღეს ათენმა, ტროადამ და კიზიკოსმა. უმაღლესხარისხოვანი საშენი და საჩუქურთმე მარმარილო მოჰქონდათ — პროკონესიდან (თეთრი), ეგვიპტიდან (მწვანე), კარიიდან (წითელი), ეგვიპტიდან (თეთრი), ნუმიდიიდან (ყვითელი).

სწორუპოვარი ბრწყინვალებისთვის იმპერატორმა უზომო სიუხვით გაიღო ოქრო, ვერცხლი და სპილოს ძვალი.

იუსტინიანეს ენება ახალი ტაძრის შიგნით კედლები თავიდან ბოლომდე მთლიანად ოქროთი მოეგო, მაგრამ ასტროლოგმა უღუკებმა დაარწმუნეს: საუკუნის ბოლოს ძალზე ღატაკი მეფეები მოვლენ და ოქროს სიხარბით ტაძარს მოგითხრიანო; ამიტომ ქვით ააშენე და აია სოფია ქვეყნის დასასრულამდე ურყევად დარჩებაო.

იმპერიის მრავალ კუთხეში დაანგრიეს ტაძრები და აია სოფიასთვის კონსტანტინოპოლის გზებს გამოუყენეს ფერადფერადი დრუნგილის ლორფინნი, კოლონები, ნატიფად ნახეწი და ნაჩუქურთმევი ქვანი მრავალნი.

ისიდოროსისა და ანთიმიოსის მეთაურობის ქვეშ ათი ათასი კაცი მუშაობდა სრული დატვირთვით.

პირველი ბარი თვითონ იმპერატორმა დაჰკრა, ბალავერშიც პირველი ქვა თვითონ ჩაუშვა საკუთარ ხელით. ცდილობდა იშვიათად მიეტოვებინა სამუშაო. ცდილობდა მოულოდნელად წასდგომოდა თავზე მშენებლებს, რათა ყველას ემუშავა მოუცდენლად, სრული დატვირთვით. ზაფხულის პაპანაქებაშიც იქ იდგა იმპერატორი, თხელ თეთრ სამოსში გამოწყობილი.

და დასრულდა მშენებლობა წმინდა სოფიას ტაძრისა ოთხ წელიწადსა და ოთხ თვეში.

სტილური შერწყმა — აღმოსავლურისა, ჰელინურისა, ქრისტიანულისა.

გარედან, რეცა კრძალულად გამოიყურებოდა ტაძარი, მაგრამ შიგნით შესვლისთანავე გრანდიოზულობით პირდაპირ განმაცვიფრებელი შთაბეჭდილებით იპყრობდა მნახველს.

ტაძრის მთავარი შესავლის წინ — ვრცელი ატრიუმი, პორ-

ტიკებით გარშემორტყმული. ატრიუმის შუაგულში — მარმარილოს ტანიდან მომდინარე შადრევანი. დასავლეთის პორტიკით — შესავალი თვითონ ტაძარში. პირველი ნაწილივე შენობისა — წაგრძელებული ნართექსი, დასავლეთის კედლიდან გამოსხმული სვეტებით ცხრა თანაბარ ნაწილად დაწილადებული და ყოველი ნაწილი ჯვარსახოვანი თაღით თავდაბურული, ნართექსიდან ცხრა კარით — შესვლა მთავარ სივრცეში. და რაღაცნაირი, ელდის მაგვარად მოულოდნელი, გრანდიოზული სივრცე. ხუროთმოძღვრულ ანაგებათა სიმსუბუქე. ერთსხეულოვანი და ერთსულოვანი ნადიმი სწორკუთხედებისა, რკალებისა, კუბებისა, თაღებისა, ნახევართაღებისა, სფეროებისა, ნახევარსფეროებისა, აფსიდებისა, ნახევარაფსიდებისა, იალქნებისა, ნახევარიალქნებისა. სიმძლავრე სინათლისა. სიმრავლე ფერებისა. მაგრამ არსად არავითარი სიჭრელე, არამედ ფერთა სრული თანასხეულობა და თანასისხლობა. თითქოს, ერთი რომელიმე ფერი რომ გამოუშალო, სისხლისგან დაიცლება და დაიქცევა აია სოფია.

განზომილება შინა სივრცისა: სიგრძე — 77 მეტრი, სიგანე — 71,7 მეტრი, სიმაღლე — 55 მეტრი.

გუმბათი — მეუფე შუაგული ნავოსისა და სრულიად ტაძრისა — დიამეტრით 31,5 მეტრი.

აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან გუმბათს ესხეულება ორი ნახევარგუმბათი. და ასე იქმნება მთლიანობაში ნახევარსფერული გუმბათოვანი თავსაბურველი ტაძრისა. და იქვე დაძლეულია ყველაზე დიდი სიძნელე — მრგვალი, კოლოსალური გუმბათის დამყარება სწორკუთხა ნავოსზე: ოთხივე კუთხით გუმბათი ნავოსს ემყარება გაშლილი იალქნისებრი ოთხი ნახევართაღით, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობიან ორ-ორ სვეტს. გვერდითი, უფრო ვიწრო ორი ნავოსი, შუაგული მთავარისაგან გამოიყოფა ორი კედლით, რომლებიც ზემოთ დასრულებულია უზარმაზარი თაღებით. კედლები, თავის მხრივ, ეყრდნობა ოთხ-ოთხ სვეტს და ამ სვეტთაშორისი სივრცეებით უერთდება ერთმანეთს სამივე ნავოსი.

ტაძრის შუაგულში, გუმბათის გასწვრივ, აღმართულია ამბიონი, ფერადოვანი დრუნგილებით, სპილოს ძვლით, მჭრქალი ვერცხლით და კეთილშობილი ქვებით. ამბიონის თავზე —

თაღი, მოჭედილია ოქროს ფურცლებით, თაღს ზემოთ კიდევ — ჯვარი ოქროსი.

კანკელი ვერცხლის, კანკელის სვეტებზე — ხატები: მაცხოვრის, მარიამის, მთავარანგელოზთა, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა.

კანკელს მიღმა — საკურთხეველი, ტრაპეზი სუფთა ოქროისა, თვალმარგალიტით მოჭედილი. ოთხი მოოქროვილი ვერცხლის სვეტი შესდგომოდა თაღს, დასრულებულს ოქროს დიდი ჯვრით.

საკურთხევლის სიღრმეში — ტახტი პატრიარქისა, მოოქროვილი ვერცხლისაგან.

მარტო საკურთხევლისთვის 40 000 გირვანქა ვერცხლი დაიხარჯა.

დღისით საოცრად ნათელი აია სოფია, სახილველად არაუმცირეს სანატრელი იყო ღამით, გაჩირაღდნებული მრავალთმრავალი კელაპტრებით, კერეონებით, ლამპადებით, კანდელებით, ქორაკანდელებით. რეცა ზეციდან უხილავ ხელებს უხილავი ჯაჭვებით ცეცხლოვანი ხომალდი ჩამოეშვათ, უკუნეთ წყვდიადში საცურაოდ და სატორტმანოდ.

ტაძრის კურთხევა მოხდა 537 წლის 27 დეკემბერს.

ოთხცხენიან ეტლზე აღმჯდარ იუსტინიანეს პატრიარქი შეეგება თავის ამალით და შეიყვანა ტაძარში.

ოცნება იყო იუსტინიანე კეისრისა, ჩემმა ტაძარმა იერუსალიმის სოლომონ ბრძენის ტაძარს უნდა აჯობოსო. და ახლა უცქირა დიდხანს, უცქირა და ბოლოს იბღავლა აღტაცებით ფრთაგამოსხმულმა:

— მე შენ გაჯობე, სოლომონ!

ვედრება მეორე

დრო კი მიჰქროდა უსულთქმოდ და უწერტილოდ. მიჰქროდა ძველ ფრთათა ცვენით, ახლადასხმული ცინცხალი ფრთების ქნევით, ფათქუნით, ფართქალით, ტკრციალით, ტყლაშუნით. მიჰქროდა კაცთა დაუკითხავად.

კონსტანტინე დიდიდან ბასილი ბულგართმჭლეტელამდე, 640 წლის მანძილზე, კონსტანტინოპოლს, „მსოფლიოს ჰიპაზე" — დრომ მოიყვანა და დრომ წაიყვანა:

იმპერატორი — 52.

დედოფალი — 71.

იმპერატორის მეძავი — 132.

დედოფლის კურო — 207.

საჭურისი, ანუ მედროვე ყველული — 104.

მწერალი და ფილოსოფოსი — 50.

და ყველა ერთად რომ არ ჰღირდა ფეხის ფრჩხილად ჰომეროსისა, გინა — ესქილესი, სოფოკლესი, ევრიპიდესი, არისტოფანესი, პინდაროსისა, საფოსი, სოკრატესი, პლატონისა, არისტოტელესი, და სხვათა მრავალთა ძველთა ჰელინთა ფრჩხილთა ღირსებისად რომ არავინ მოიძევებოდა ბიზანტიის ათასწლოვანი ისტორიის წიაღში.

და მაინც იყო მსოფლიოს აზრობრივი კორიფევსი ბიზანტია.

და მაინც იყო დედამიწის ოქროს ჭიპი კონსტანტინოპოლი.

ჩამქრალი და ჩამკედარი იყო ძველი ჰელადის ცხოველი დვრიტა ადამიანის იდეალური მთლიანობისა — სხეულისა და სულის ერთნაირად, ჰარმონიულად ამაღლებისა, აღზევებისა და განსპეტაკებისა.

ბიზანტიური იდეალი ადამიანის სულისა და სხეულის გახლეჩას ლამობდა თავგამოდებით.

სხეული უნდა დაკნინებულიყო, მკლავისა და მუხლის სიმკვრივე და სისწრაფე მოშლილიყო, გონებისა და აზრის თავისუფალი სალმასურობაც დაჩლუნგებულიყო.

მაგრამ მაინც სუნთქვა არ შეეძლო ბიზანტიას მარად ცხოველმყოფელი ჰელინური სუნთქვის გარეშე.

და სუნთქავდა ბიზანტია ანტიკურ-ჰელინურ ნასუნთქს.

და კვლავ ლოშნიდა ბიზანტია უნდილი ტუჩით ანტიკურობის მხურვალე ძუძუს.

ბიზანტია ანტიკურობის ნამღერს მღეროდა.

რა ვუყოთ, რომ გამხელასაც არ კადრულობდა, მაგრამ მაინც ანტიკურობიდან ნასუნთქარით და ნაწოვარით ედგა სული ბიზანტიას.

ამიტომ კორიფევსობდა ბიზანტია.

ამიტომ ჭიპობდა მისი სატახტო.

და, როცა დრომ გიორგი ქართველი კონსტანტინოპოლს მიიყვანა, ანუ დედამიწის ჰიპზე ფეხი დაადგმევინა, მაშინ მას იქ დახვდა:

საიმპერატორო სასახლე — 3
წარჩინებულთა სახლი — 777
ეკლესია — 96
ჰიპოდრომი — 1
უნივერსიტეტი — 1
აკადემია — 1
მეძავთ-საძოვნებელი — 1001
იმპერატორი (კეისარი, ბასილევსი, ავტოკრატორი, ავგუსტუსი) — 1
დედოფალი (ავგუსტა, ბასილისა) — 1
უფლისწული — 0
იმპერატორის მეძავი — 0
დედოფლის კურო — 0
მეღროვე ყვერული — 1
პატრიარქი — 1
ბერ-მონაზონი — 1001
ფერეხიკა — 3000
ჯაბანი — 502
ულუკი — 59
მსტოვარი, იმპერატორის ნებით — 1000
მსტოვარი, საკუთარი ნებით, ანუ მოხალისე — 100 000
მკვლელი, იმპერატორის ნებით — 130
მკვლელი, საკუთარი ნებით, ანუ მოხალისე — 3333
მათხოვარი — 7000
სოდომიტი აშკარად (თავს რომ ნეკით იქექავს) — 127
სოდომიტი მალულად (თავს რომ სალოკი თითით იქეჭავს) — 127000
მწერალი ჰეშმარიტი — 0
ფილოსოფოსი ჰეშმარიტი — 0
ხოლო, სულ, ოქროს ჰიპელნი — 900000 (შეიძლება 1 მილიონიც).

და ხასიათით ოქროს ჰიპელნი — ნერვიული, მღელვარე,

ხმაურიანი, მალემრწმენი, ჭორიანი, ღვთისმორწმუნეც და ეშმასმორწმუნეც, ნათლისმოყვარეც და ჯადოსმადევარიც, მოაზროვნეც და ლაზღანდარაც, მშიშარაც და მოჯანყეც.

ერთ პირგახეულ ჭორიკანას შეუძლია შიშის ზარი დასცეს მთელ ქალაქს.

შიში, მერე, შიშს გააჩნია. ის კიდევ არაფერი, მამაკაცები უეცრად ცვედნებად რომ გადიქცევიან, არამედ მოხდება ხოლმე, დიდი შიშისგან ქალებსაც საწიდოვნო რიგი მოუწყდებათ და ერთბაშად ქალობა ეკარგებათ. და გარბიან ოქროს ჰიპელნი — მამაკაცყოფილნი და დიაცყოფილნი — გარბიან, სადაც და საითაც მოუხდებათ, უგზო-უკვლოდ, ბღავილით, წივილით, წრიპინით, კრჩხიალებით, გოდებით, ვედრებით. შერბიან ეკლესიებში და ყელს იღადრავენ უსაშველოდ მწუხარე ლოცვით:

„კირიელეისონ!!!“

ვედრება მეოთხე

ხოლო ჩვენ კვლავ მოვიცვალოთ ფიქრი ჩვენი და ისევ პირველ სიტყვათა სარბიელზე მოვიდეთ.

ფერის ჯოჯიკისძის ქვრივი კრავაი, და მისი სახლეული, კეისრის ნებით, პატივში იყვნენ კონსტანტინოპოლის სასახლის კარზე, ვინათგან, მაინც და მაინც, კრავაი დაი იყო გიორგი ქართველთა მეფისა.

კრავაიმ და გიორგი მწერალმა ჰაბუკი გიორგი სასწავლებლად მიაბარეს აია სოფიას საპატრიარქო აკადემიაში.

სწავლა იყო სრულად სასულიერო, საეკლესიო, საღვთისმეტყველო, საქრისტიანო.

საკვირველი სისწრაფით და სისრულით აითვისა და შეითვისა გიორგიმ ენა ბერძნული.

გაკვირვებულნი იყვნენ თვითონ ბერძენნი — მასწავლებელნი და მოწაფენი, ხანდაზმულნი და თანატოლნი.

მხოლოდ ღვთისმეტყველების შესწავლა დიახაც დიდმცოდინარობად ითვლებოდა, დიდმცოდინარობად და სრულმცოდინარობად. და ესეც უკვე იცოდა გიორგიმ, რა უთქვამს ოდესღაც ერთ უბირსა და ლიტონ ბერს სახელოვანი იოვანე დამასკელისთვის: თავი ნუ მოგაქვს შენი ცოდნითო, ვინათ-

გან ცოდნა შენი არის საერო, ხოლო ცოდნა საერო არცა განიმხილების სასულიერო ჰვრეტის წინაშეო.

მაგრამ გიორგის ვრცელი, მარად უპურებელი და დაურწყულებელი გონება ოდენ საღვთისმეტყველოს არ კმარისობდა და თავგამოდებით მიელტვოდა ყოველ სხვა დარგთა, რაიც ოდესმე შეუქმნია ადამის მოდგმის დაუსვენარ სულს.

— ორითავე ცოდნითა უნდა აღივსოს გონება კაცისა, სასულიეროითა და საერთოითა, უკეთუ ღმერთმა ინება სრულქმნილება კაცის სულისა, — ამბობდა თვითონ გიორგი.

ადრე მთავარი საიმპერატორო სასახლის მაგნავრის პალატაში უნივერსიტეტი იყო, სადაც არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას და მუსიკას ასწავლიდნენ. მაგრამ ახლა, თვითონ სწავლის მოძულე და უმეცარი ბასილი კეისრის დროს, სრულიად დაყრუებულიყო და დაშრეტილიყო სუნთქვა მაგნავრის უნივერსიტეტისა.

იყო კერძო სასწავლებლები, სადაც ასწავლიდნენ ტრივიუმისა და კვადრიუმის თანმიმდევრული განწესებით: ჯერ — ფილოსოფია, გრამატიკა და რიტორიკა, შემდეგ — არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა.

და შევიდა გიორგი კერძო სკოლაში, თანაც ისე შევიდა, საპატრიარქო აკადემიაში სწავლაც არ შეუწყვეტია.

ხოლო, კერძო სკოლა, რომელიც გიორგიმ აკადემიასთან ერთად დაიწყვილა, იყო იოანე მავროპოდისა, მოკრძალებული პოეტისა და რიტორისა.

იოანე მავროპოდი გატაცებული იყო ძველი ბერძნული ხელოვნებით და ფილოსოფიით. გამორჩევით პლატონი და პლუტარქოსი უყვარდა და ერთი ეპიგრამით ასე მიმართავდა იესო მაცხოვარს:

ქრისტევ,
უკეთუ წარმართთაგანის
ვისმეს გამოხსნას დაეპირებ,
გემუდარები:
პლატონი და პლუტარქოსი გადამირჩინე!

„საოცარია სწორედ, — ფიქრობდა გიორგი — ეს ბერძენნი იმ წინაპარ ბერძნებს წარმართებს და ბარბაროსებს ეძახიან და მათი სულით კი უდგათ პირში სული.

„ათენს, მთელი მსოფლიოს მასწავლებელს, უნივერსიტე-

ტი დაუხურეს, მაგნავრა რომ არ დაჩრდილულიყო. ახლა აღარც მაგნავრაა, აღარც ათენი, ათენურის გარეშე კი სუნთქვაც არ ძალუძთ.

„ბერძნები არიან და ბერძნობას არ კადრულობენ: ჩვენ რომეები — რომაელები ვართო, გაიძახიან ბერძენნი ბერძნულად.

„და უმრავლესნი ეს „რომაელნი“ ისე იბადებიან, იზრდებიან და იხოცებიან, რომს ერთხელაც თვალითაც რომ არ იხილავენ.

„სახელმწიფოც ბერძნული აქვთ და სახელმწიფოსაც „რომს“ ეძახიან, ძველი „ჰელადის“ ათვალწუნებით.

„მეტყველებაც ბერძნული აქვთ, ფიქრთმეტყველებაც, ყველაფერი და ყოველივე ბერძნული. მაგრამ მშობლიურს მაინც სხვისი ურჩევნიათ, ნათხოვარი ურჩევნიათ, სხვისი ნათქვამი, სხვისი ნამღერალი, სხვისი ნახმარი...

„თანაც — სხვისას სხვისად როდი თვლიან.

„სხვისი სიკეთით იცოხნება ჭიპი დედამიწისა, მაგრამ სხვისი სიკეთე არასდიდებით არ უხარია“.

ფიქრობდა გიორგი, ქართული ფიქრთმეტყველებით.

ბერძნული ენა ბერძენზე უსრულესად იცოდა უკვე, მაგრამ ფიქრთმეტყველება მისი იყო მაინც ქართული.

და ფიქრთმეტყველება არის სწორედ ჯიში და ჯილაგი ადამიანისა.

დიდებულად იცოდა ბერძნული, არაბული, სომხური. მაგრამ ქართველს ქართული ჯიში. ფიქრით ქართულად ამეტყველებდა.

ფიქრობდა და სწავლობდა გიორგი.

ყველაფერს ფიქრობდა და სწავლობდა, რაის სწავლაც მოხერხდებოდა მსოფლიოს ჭიპზე. ყველაფერს სწავლობდა — ქრისტემდელსაც და ქრისტეს შემდგომსაც.

ვედრება მეხუთე

მაინც ბაბილონის გოდოლს ამსგავსებდა გიორგი კონსტანტინოპოლს.

მრავალი ჯიშისა და გვარჯილაგის ტერფი ტერფავდა ჭიპსა დედამიწისასა.

მრავალი ენა სხეპავდა მის ცისგვამს.
ბერძენნი
ლათინნი
თრაკიელნი
ბულგარელნი
გერმანელნი
არაბნი
ილირიელნი
ისავრიელნი
პისიდიელნი
ლიკაონელნი
ჰაბირუელნი
სომეხნი
ქართველნი
რუსნი.

ახლად შემოსულნი იყვნენ რუსნი.

უცხო ქალაქში ხომ ყოველ პირველად შემოსულს ნაბიჯი ერევა, გული უკრთება, მუხლი ეკვეთება.

მაგრამ რუსნი ისე გულდანდობილად დააბიჯებდნენ, როგორც ყრმობითვე ნაჩვევ, ტანურღვეველ მშობელ მიწაზე.

ყველაზე მძლავრად და სრულნაკვთიანად სწორედ რუსული ტერფი ებჯინებოდა დედამიწის ჭიპს.

გუშინ მესამედ დაინახა ვიორგიმ ის რუსი, ფერის ჯოჯიკისძემ რომ მახვილი ამოართვა და გულში დაიკრა, და მერე თვითონ თაისი ხელით რომ დაუხუჭა თვალები იმ რუსმა მკვდარ ქართველს.

ძლიერი, უდიერი ნაბიჯით მოდიოდა რუსი.

კეთილი, ფიქრიანი სახე ჰქონდა, წყნარი და უშფოთველი.

წამიერად რუსსაც გაუჩერდა მზერა ქართველის სახეზე. რეცა რაღაცამ გააოცა. მაგრამ ესეც წამით მოხდა. წამით გაიღიმა რუსმა.

ვედრება მეექვსე

ქართველები და სომხები კი დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ კონსტანტინოპოლისა, იმდენი ხნის ნაცნობნი, რამდენი ხნისაც იყო თვითონ კონსტანტინოპოლი.

მარტო ნაცნობი კი არა, შინაურები იყვნენ სომხები და ქართველები კონსტანტინოპოლის სასახლის კარზე.

ხშირად მაჭიკი მსოფლიოისა ქართველებს და სომხებს მაჭიკივით ეჭირათ ხელში.

ან ქართველებს, ან სომხებს.

ან ერთად — სომხებს და ქართველებს.

კონსტანტინოპოლის დაარსებიდან კონსტანტინოპოლში გიორგის მისვლამდე, 680 წლის განმავლობაში, მტკიცედ შემუშავებულიყო და დაჯიშებულიყო საყოველთაო აზრი, გინა „მსოფლიო აზრი“ ქართველთა და სომეხთა მიმართ.

და ამბობდნენ დაბეჯითებით:

ქართველები და სომხები ღვთაებრივი მოდგმისანი არიან.

ქართველები — მარსისა,

სომხები — მერკურისა.

(მარსი და მერკურიო, — ლათინურ-რომაულით ამბობდნენ, ხოლო პირველშობილი ბერძნულით რომ ეთქვათ — არესი და ჰერმესიო, — ამას თითქოს აღარც კადრულობდნენ ეს „გარომაელებული ბერძენნი“).

ქართველები არიან საკვირველად ნიჭიერნი, ჰაეროვანნი, მამაცნი, დაუდეგარნი, უცხოთმოყვარენი, ურთიერთმოქიშპენი და ურთიერთგაუტანელნი.

სომხები — გასაოცრად ჭკვიანნი, დაკვირვებულნი, ურთიერთმოყვარენი და ურთიერთგამტანნი.

საშიშია, ფრიად საშიში ყველა სამტრო ქვეყნისთვის, როცა ეს ორი ხალხი, არესისა და ჰერმესის მოდგმისანი, ერთად არიან, ერთიმეორეს ავსებენ და ერთიმეორეს განამტკიცებენ.

და მადლობა ღმერთსო — გაიძახოდნენ ბიზანტიაში, — რომ ქართველები და სომხები ერთად ყოფნას, თანადგომას და თანალმობას უმეტეს წილ ვერ ახერხებენ, და ერთიმეორის მარადიული მოყვარენი, ერთიმეორეს მარადიულად ექიშპებიან.

მაშინაც, ყრმა ბასილი ბასილევსს ბარდა სკლიაროსი რომ აუჯანყდა, აჯანყებულს სომხები დაეხმარნენ, ქართველები კი დაემტერნენ და თორნიკე ერისთავმა კიდევაც მოინელა ბარდა სკლიაროსი, მაგრამ ამით რა გამოვიდა?

როგორც ეტყობა, სომხები უფრო მართალი ყოფილან, რადგან ქართველთა წყალობით გადარჩენილმა ბასილი კეი-

სარმა აღარც სომხები დაზოგა და აღარც ქართველები.

სომხებს ბასილიმ ჯერ ტარონი წაართვა, მერე ვასპურაკანი. ესეც არ აკმარა და, საქართველოს ერთგულ მოკავშირეს, ანისის მეფეს, იოანე-სუმბატს, ანდერძი დააწერინა ბასილიმ — ჩემი სიკვდილის შემდეგ ანისი კონსტანტინოპოლის სასახლეს ებოძოსო.

ქართველებს კი უმადურმა იმპერატორმა სამხრეთი ტაო წაჰგლიჯა და მისგან ცალკე საკატაპანო შექმნა.

ვინ იცის, ქართველები და სომხები რომ ერთად ყოფილიყვნენ და კონსტანტინოპოლის ტახტზე ბარდა სკლიაროსი აეყვანათ, იქნებ ის მაინც დაიხსომებდა და ამაგს ამაგით მიუზღავდა ერთსაც და მეორესაც — საქართველოსაც და სომხეთსაც?

თუმცაღა, ვინ იცის!

ან, ბარდა რით იქნებოდა ბასილიზე უკეთესი?

ან, რად უნდა აეყვანათ ტახტზე ვინმე სხვა თესლი და ჯილაგი, როცა თვითონ ქართველებს და სომხებს, ერთიან ძალით, ტახტზე აყვანა თუ შეეძლოთ, განა ტახტზე დაბრძანებას ვეღარ შეიძლებდნენ?

განა აკლდათ ქართველებს და სომხებს ღირსეული თავები, რომლებიც მსოფლიო იმპერიის გვირგვინს კიდევაც დაიმშვენებდნენ და კიდევაც მოიხდენდნენ?

მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ სწორედ აკლდათ ყველაზე საჭირო თავი — თავი ერთად ყოფნისა და ერთად მოქმედებისა.

ქართველები უფრო გრძნობის ამყოლნი არიან და საკუთარის მოვლა-პატრონობაც არ შეუძლიათ ხეირიანად და გერგილიანად.

სომხები კი ჭკუით მოქმედებენ, საკუთარსაც თავგამოდებით პატრონობენ და სხვისგან დაუდევრად დაგდებულსა და უპატრონოსაც ეპატრონებიან.

სომეხი თაედაუზოგავად, გასაოცარი სიბეჯითით, წადნიერებით, ფრჩხილების ცვეთამდე ჩხრეკს და ეძიებს ყოველივეს, რასაც გარდასული ისტორიის წიაღში სომხური ერქვა, ან რასაც შეიძლება სომხური ერქვას, ან დაერქვას.

ქართველს კი ქართველის და ქართულის მოძებნა იშვიათად გახსენებია.

არ გახსენებია, რადგან მისთვის ყველაფერი მხოლოდ მ ი-
ს ი თ იწყება.

სომხებს წვრილად შეუსწავლიათ და აღუწერიათ ცხოვრე-
ბანი ყოველი სომხისა, ნამდვილისა და საკარაუდებელისა, რო-
მელსაც კი ოდესმე ამ უზარმაზარ სახელმწიფოში თავისი
მკლავით, ხმალით, თუ გონებით რაიმე გაუკეთებია, ყოველი-
ვე სომხის ნაქმნარი, საქმე დიდი თუ საქმე მცირე, დაწყებუ-
ლი საიმპერიო ტახტისთვის ბრძოლით, გათავებული სადმე
ნესტიან სენაკში ცხვირის დაცემინებით.

ქართველებს კი მსგავსი ჩხრეკისთვის ვერ მოუცლიათ.

ვერ მოუცლიათ, ვინათგან საკუთარი, პიროვნული „ჩხრე-
კისთვისაც" არა ჰყოფნით ეს ერთადერთი წუთისოფელი.

და არ იძვროდა მელანი ქართული სისხლის აღსადგენად
და ასაღორძინებლად.

ხოლო, უმელნოდ სისხლი მკედარია, მარად მკედარი, დამ-
შრალი და დამიწებული.

სისხლის აღდგომა და აღორძინება მემატიანის მელანია.

მემატიანის მელანი სისხლის ფერისცვალებაა.

და აჰა, ესერა, ახლა გიორგი ქართველი, ჭაბუკი მწირი და
სწავლული სრული, ეძიებდა, ჩხრეკდა, სწავლობდა და წერ-
და ცხოვრებას ყოველი ქართველისას, რომელთა სახელიც დი-
დად თუ მცირედ, უხვად თუ მწირად, შემორჩენოდათ „რომე-
ების" (თუ ბერძნების) უზარმაზარი სახელმწიფოს საისტორიო
დანაშრევებს.

და მოიღვინთებოდა მელანი დამშრალი და დამიწებული
ქართული სისხლის გასაცოცხლებლად და ასაღორძინებლად.

და ამოდიოდნენ სულეთიდან ქართველნი, უცხოეთში ნა-
ხარჯი წუთისოფლებით, ამოდიოდნენ, ეტრატზე ეფინებოდნენ
და ლაგდებოდნენ. და ასე აღორძინდა გიორგის ღმრთივნაკუ-
რთხი მელნით და კალმით „უცხოელ ქართველთა" თავგადა-
სავალნი ქრისტედან მუჰამედამდე.

ვედრება მეშვიდე

და აჰა, დრომ დაჰბადა მუჰამედი, ყურანი, ისლამი, გინა
მუსლიმობა, გინა მაჰმადიანობა.

და დრომ ააღზევა მოდგმა არაბისა, ანუ სარკინოზისა, ანუ
აგარიანისა,

ააღზევა და გააბატონა დრომ არაბეთი, არაბეთის ზღვიდან ატლანტის ოკეანემდე — გასწვრივი სასისხლო ხაზით ქრისტიანული სამყაროსადმი.

ხოლო, ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი ს ა მ ყ ა რ ო მ ო ქ ც ი უ ლ ი ა ორ ი ბ ე რ ი ას შ ო რ ი ს.

დასაწყისი, ანუ აღმოსავლეთით — ქ ა რ თ უ ლ ი ი ბ ე რ ი ა.

დაბოლოება, ანუ დასავლეთით — ე ს პ ა ნ უ რ ი ი ბ ე რ ი ა.

და ორივე ხელთ იგდეს არაბებმა — დასაწყისიც, დაბოლოებაც, თავიც და ბოლოც.

და იბატონეს არაბებმა:

თავში, ანუ ქართულ იბერიაში — 400 წელიწადი.

ბოლოში, ანუ ესპანურ იბერიაში — 800 წელიწადი.

ქართულმა იბერიამ — არცა სულში და არცა სისხლში არ გაიკარა, არ შეირია და არ შეინაკადა არავითარი ნიშატი არაბულისა (და არავინ იცის, სჯობდა თუ არა ასე, მაგრამ ასე კი იყო).

ესპანურმა იბერიამ კი — სრულად შეირწყა და შეითვისა ნიშატი ყოველი არაბულისა, მისი სულიც, მისი სისხლიც, მისი სხეულიც (და არავინ იცის, სჯობდა თუ არა ასე, მაგრამ ასე კი იყო).

ახალმა უმძიმესმა და უხანგრძლივესმა სისხლიანმა ავდარმა მოიცვა მსოფლიო.

იბადებოდნენ, იზრდებოდნენ და იხოცებოდნენ თაობები, სამშვიდობო ცხოვრებით გაუხარელნი, მარად მეომარნი და სისხლმათხევარნი.

უკვე დიდი ხანია, მშობლები ასაფლავებენ შვილებს და არა შვილები მშობლებს.

ანუ შვილებს, საომარ ველზე აჩეხილებს, მშობლების ნაცვლად ყორნები სტირიან და ასაფლავებენ.

იბადებოდნენ და დედის საშოითგან მუჭით სისხლი გამოჰქონდათ სისხლის თხევისთვის დაბადებულებს.

და იდგა მარად გამოუდარებელი ავდარი სისხლიანი, მუსლიმთა და ქრისტიანთა ხმალთაკვეთებით.

ომები უმძიმესნი და უთავეამონი, რამეთუ ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულიყო: რომელ არს ჭეშმარიტი ჭიპი დედა-

მიწისა — მუსლიმთა მექა, თუ ქრისტიანთა კონსტანტინოპოლი?

ანუ — რომელ არს სალოცავი ჭეშმარიტად ზესთასოფლური — ქააბა, თუ აია სოფია?

და სცემდნენ ერთმანეთს, და სისხლს აქცევინებდნენ ერთმანეთს — ბიზანტია და არაბეთი, არაბეთი და ბიზანტია.

და უფრორე თავგამოდებით და თავგადაკვდომით იბრძოდნენ ერნი მცირენი, იმის შიშით, სიპატარავე არ დაგვწამონო დიდთა ვეშაპთა, მყლაპავთა მსოფლიოისა.

არცერთი ბრძოლა, არცა დიდი და არცა მცირე არ გადაუხდიათ ბიზანტიელებს, მათში რომ მეწინავე სისხლმაქცევრებად ქართველები და სომხები არ გამოსულიყვნენ.

და უცხო თესლოათვის ეგზომი „თავგადაკვდომის“ სანაცვლოდ ერთიც და მეორეც ღებულობდა მხოლოდ უმადურობას ღორისსულოვანს.

(საერთოდ კი ასე მოდგაბს დიდისა და მცირის მარად უსწორო „წონასწორობას“).

მაგრამ რაკი უქართველოდ და უსომხოდ მაინც არა საქმის გამოწყობა და გადაწყვეტა არ შეეძლოთ, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, მაინც აძლევდნენ ბიზანტიელნი წამდაუწუმ სახელმწიფოს საუნებელ ლაგამ-უნაგირს სომეხს თუ ქართველს.

და იყვნენ გამუდმებით ბიზანტიის საიმპერატორო კარზე ქართველნი და სომეხნი — ნაშიერნი მარსისა და მერკურისა:

დომესტიკოსნი
კომიტნი
მაგისტროსნი
პატრიკიოსნი
ნობილისიმოსნი
სებასტოსნი
კურაპალატნი
ეპარქოსნი
რეფერენდარნი
დიასპანნი
პარაკიმომენოსნი
პროედროსნი
სინკლიტიკოსნი

ჰეტერიარქოსნი
დრუნგარიოსნი
მისტიკოსნი
ლოგოთეტნი
ბასილეოპატორნი
ბუკელარიოსნი
ვიკარიოსნი
კუბიკულარიოსნი
პროთოსპათაროსნი
პრეპოზიტოსნი
სქოლარიოსნი
სპათაროსნი
ანთიპატოსნი
პრიმიკირიოსნი
პროტოვესტიარიოსნი.

განიერი, თამამი ნაბიჯებით დააბიჯებდნენ ავგუსტეონზე და კონსტანტინეონზე, კონსისტორიონში და ტრიკლინიუმში, ხალკასა და დაფნაში, ქრიზოტრიკლინიუმში და ტრიკონქში, მაგნავრაში და აია სოფიაში.

სომხები საიმპერატორო ტახტსაც სინჯავდნენ შ უ ა დ ღ ი ს ა ს, ქართველები კი — სადედოფლო სარეცელისკენ მიჩუმათობდნენ შ უ ა ღ ა მ ი ს ა ს.

(ქართველებს შეეძლოთ სამეფო ტახტი სატრფიალო სარეცელზე გაეცვალათ, ისე ვითარცა ესავმა იაკობს პირმშოობა გაუცვალა ოსპის ნახარშზე).

ქართველებისა და სომხებისა იყო ჭიპი მსოფლიოისა — მათი არ ერქვა, თორემ მათი იყო.

თუმცაღა — კიდევაც ეკუთვნოდათ მათ ოქროს ჭიპი, კიდევაც არ ეკუთვნოდათ.

ასე იყო, რადგან — კიდევაც ერთად იყვნენ ქართველნი და სომეხნი, კიდევაც არ იყვნენ ერთად.

არ იყვნენ ერთად, რადგან მათ შორის იდგა სული უდიადესი, თუმცა არცა ქართველი, არცა სომეხი, არამედ ტომით ჰაბირუ.

და სახელი მისი — იეშუა ნაზარეველი, ანუ იესო ქრისტე.

იესო ქრისტე, რომელ არს ღმერთი და მხოლოდ ღმერთი! — იძახდა სომეხი.

იესო ქრისტე, რომელ არს ღმერთიც და არს კაციც! — იძახდა ქართველი.

და მხოლოდღა ამის გამო არ იყვნენ ერთად სომეხ-ქართველნი.

და ჰხარობდნენ ყოველნი, ოქროსპიპელნი და არაოქროსპიპელნი, ერთად ყოფნას რომ ვერ ახერხებდნენ ქართველები და სომხები.

ვედრება მერვე

ისლამი კი მძვინვარებდა იბერიიდან იბერიამდე.

იბერიიდან იბერიამდე იძვროდა დედამიწა ქრისტიანთა სისხლში ამოვლებული ჩალმებით შუბლდამშვენებული მხედრობის ფერხთა ქვეშე.

(წესად ჰქონდა არაბს: ქრისტიანს მოჰკლავდა, მის სისხლში ჩალმას ამოავლებდა აღტაცებული).

— ალლაჰ — ილალლაჰ! — ყოველ ძახილთა დამჩაგვრელი და დამამხობელი ძახილი იმა დრო-ჟამისა.

იბერიიდან იბერიამდე!

ქართული იბერიიდან ესპანურ იბერიამდე!

ესპანურმა იბერიამ იცნო, მიიღო, შეირწყა და შეისხეულა ისლამი, არაბობა, სარკინოზობა, აგარიანობა.

აღმოსავლეთში კი, ორი დიდი ძალიდან ერთმა იცნო და შეირწყა ისლამი, მეორემ — ახლოსაც არ გაიკარა. სპარსეთმა იცნო, შეითვისა და შეითავისა. ქართულმა იბერიამ კი — მარჯვენით ხმალი აიღო, მარცხენით ჯვარი და ოთხასი წელიწადი იომა ისლამისგან, არაბობისგან ქვეყნის და რჯულის გადასარჩენად.

და ოთხასი წელიწადი, ანუ თორმეტი თაობა ქართველობისა ეძღვნება ისლამის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას.

ომის დროს კი — მუდამ მშობლები დაიტირებენ შვილებს.

ხოლო მშობლები შვილმკვდარნი და შვილთაგან დაუტირალნი მიდიან მარად მგლოვიარე წუთისოფლიდან.

ოთხასი წელიწადი ეწერა ქართული იბერიის ავდრიან დროებებს:

„ქრისტიანობისთვის! ქართლოსიანობისთვის!“

მაგრამ ქართული იბერია არ იყო მხოლოდ ქართული სისხლის იბერიისთვის.

არამედ, იგი იყო ერთმორწმუნე, ქრისტესმიერ ბიზანტიისთვის.

ბიზანტიისთვის იგი იყო აღმოსავლური ბურჯი რვალისა, სწორედ ისლამის გახელებული შემოტევის უკუსაგდებად.

საქართველო იყო ს ა ფ ე თ ქ ე ლ ი ქრისტიანული სამყაროისა.

და იბრძოდა ოთხასი წელიწადი ქართველობა — იბრძოდა საქართველოსთვის და ბიზანტიისთვის.

„შენ უნდა მიხსნა მე და შენ თვითონ უნდა იქნე ჩემი", — აი, რა ესმოდა „სამაგიეროდ" საქართველოს მთელი ოთხასი წელიწადი ოქროს ჭიპიდან.

„მე გიხსნი შენ და ვიქნები შენთან", — ესმოდა პასუხად ოქროს ჭიპს მცხეთიდან, არტანუჯიდან, ქუთათისიდან.

და არ მოსწონდა ეს „შესწორება" ბიზანტიას საქართველოდან.

„შენ ჩ ე მ ი უნდა იყო, ჩ ე მ ი!!!" — ჭიპზე იხეოდა ჭიპი დედამიწისა.

„შ ე ნ ი კი არა, შ ე ნ თ ა ნ ვიქნები, შ ე ნ თ ა ნ!!!" — თავისას არ იშლიდა საფეთქელი დედამიწისა.

„ჩ ე მ თ ა ნ კი არა, ჩ ე მ ი!"

„შ ე ნ ი კი არა, შ ე ნ თ ა ნ!"

„უკეთუ გინდა საფეთქელი არ ჩაგელეწოს, შენ ჩ ე მ ი უნდა იქნე!"

„უკეთუ გინდა ჭიპი ნაჭიპლარად არ დაგეშრიტოს, იქმარე მხოლოდ შენთან ვიყო, შ ე ნ თ ა ნ და არა შ ე ნ ი"

„მხოლოდ ჩ ე მ ი-მეთქი!"

„მხოლოდ შ ე ნ თ ა ნ-მეთქი!"

„ჩემი..."

„შენთან..."

და ადენდნენ ერთმანეთს ხან სისხლს და ხან ძმარს ერთმანეთს ერთმორწმუნენი და ძმანი ქრისტესმიერნი.

ადენდნენ, ანთხევინებდნენ და მერე ერთმანეთს შეულოცავდნენ სისხლის დენისას:

ძმამან ძმა მოკლა — კაენმა აბელი —
სისხლო, გეყოფა ნადენი მაგდენი.

და ორივე, ცალკეულად, თავისთვის თავს ინუგეშებდა:

„საქართველო ჩემი საკუთრებაა მხოლოდ!“ — ეს იყო ნუგეში ბიზანტიისა.

„მე ბიზანტიის მოკავშირე ვარ მხოლოდ!“ — ეს იყო ნუგეში საქართველოსი.

და აქცევინებდნენ ერთმანეთს — თუ სისხლს, თუ ძმარს „თანასაკუთრებისანნი“, თუ „თანამოკავშირეობისანნი“.

და ასე — ოთხასი წელიწადი იყო საქართველო თუ სისხლისა და თუ ძმრის ქცევაში „მსოფლიო ჭიპობისთვის“ დანასისხლად გადამტერებულ ორივე ჭიპთან — მექასთან და კონსტანტინოპოლთან.

ხოლო, საკუთარი ჭიპი ჯერ ისევ ვერ გამოეხსნა — ტფილისი ისევ არაბებს ეპყრა.

საქართველო გაერთიანებული იყო — უტფილისოდ.

და ტფილისობა — ერთიანი საქართველოს დედაქალაქობა ეტკირთა ქუთათისს, ქართულ ქალაქთა მადლიან დედას.

ვედრება მეცხრე

შუაღამემდე კითხულობდა გიორგი, შუაღამემდე აწვალებდა და ამღერებდა საწერანს. ნაშუაღამევს სენაკიდან გავიდოდა ნამაშვრალევი.

და მივიდოდა ბოსფორისა და ოქროს რქის შესაყარზე.

და უმალვე ფიქრის ფრთებით მცხეთის მიწაზე დაფრინდებოდა გონება მისი.

რაღაცით ჰგავდა ოქროს ჭიპს მცხეთა.

სხეულებრივი ანაგებით მაინც ჰგავდა ერთმანეთს ეს ორი მიწა.

ორივე ჰგავდა გუთნის დარად დალაგებულ წეროების გუნდს, გუთნის ერთი მხარე ბოსფორს, ანუ მტკვარს რომ მისდევს, ხოლო მეორე — ოქროს რქას, ანუ არაგვს.

იქნებ ბოსფორი მტკვარს სულაც არ ჰგავს, არც მდგნე ოქროს რქა მშფოთვარე არაგვს, მაგრამ გუთნის, თუ სახნისის ანაგება, წეროების მწუხარე ფრთებით გაფრენილი, მაინც მიაფრენს მის გონებას მცხეთის მიწაზე.

და აქ — ბიზანტიური გუთნის წვერზე აღმართულა აია სოფია.

და იქ — მცხეთური გუთნის წვერზე აღიმართება სვეტიცხოველი.

და ახსენდება, განუწყვეტლივ და განიადაგებით ახსენდება თვალშვენიერ არსუკისძე, ტყუბისცალი მისი სულისა.

და თვალწინ უდგას სვეტიცხოველი, შუაგარდაკვეთილი და გამთლიანების წყურვილით გაშმაგებული.

და ჰხედავს, განივთებით ჰხედავს, როგორ ფეთქავს, ვითარცა ძარღვი კათოლიკე, საქართველოს საფეთქელზე სვეტიცხოველი.

ვედრება მეათე

ყრმა იყო მზის ანასხლეტი.

უფლისწული ბაგრატ, იამავარი ძე გიორგი ქართველთა მეფისა.

ჩამოიყვანეს კონსტანტინოპოლს, ბასილი კეისრის შვილობილად (აჰ, მძევალი არვის ეგონოს!).

სამი წელიწადი უნდა მოეხადა კეისრის შვილობილობა (არა მძევლობა!).

მართლა საკვირველი იყო სილამაზე ქართველი უფლისწულისა.

უკეთუ გაზრდა დასცალდა, იქნება იგი უმშვენიერეს იოსებ მშვენიერისა, — იძახდნენ ოქროს ჭიპელნი, ბაგრატის ხილვით გაკვირვებულნი.

შავი და ლურჯი ფერი არასოდეს ასე ბუნებითად არ შერწყმია ერთმანეთს, როგორც ქართველი უფლისწულის თვალებშიო, — ამასაც გაიძახოდნენ.

გაიძახოდნენ, რადგან ბაგრატ ბატონიშვილს მარჯვენა თვალი შავი ჰქონდა, მარცხენა — ლურჯი.

ალექსანდრე მაკედონელის შემდგომ ასეთი თვალები არცერთ უფლისწულს აღარ მოსწრებიაო.

შავი თვალი დედისგან აქვს, ლურჯი მამისგანო, — ამასაც ამბობდნენ.

სიმშვენიერის გამჭირდველი ბასილი კეისარიც აღტაცებული იყო ქართველი „შვილობილის“ სიმშვენიერით.

და კიდევაც წრფელად უყვარდა არავისმოყვარულ იმპერატორს ყრმა ბაგრატი.

ისურვე რაიც გსურდეს და უმალვე შეგისრულდებაო, ეუბნებოდა დღენიადაგ ყრმას კეისარი.

და ბაგრატიც დღენიადაგ ერთადერთ სასურველსა და სანატრელს აღავლენდა პასუხად ხელმწიფის ღრიტინისა:

— დამაბრუნე საქართველოში!

— საქართველო და საქართველო! არსად დაგეკარგოს ეგ შენი საქართველო! — ანჩხლობდა კეისარი.

და მაშინ, როცა ყრმას სახე გაუფითრდებოდა და თვალებშიც ბოლმის ავდარი ჩაუდგებოდა, ბასილი წამსვე დაუყვავებდა:

— ჰა, ნუ წაგვლეკავ მაგ შენი ცრემლითა შავითა და ცრემლითა ლურჯითა, ირწმუნე, მალე დაბრუნდები მაგ შენს საქართველოში.

— მაგრამ არა ვირწმუნო, რაიცა თვალითა არა ვიხილო, — უცებ თქვა ერთხელ ბაგრატმა, მკაცრი, ურღეველი ხმით.

გულზე შხამმა გადაუარა ბასილის.

მამამისზე უარესი უტეხი და შეუპოვარი იქნება ეს ლაწირაკიო, — ჯერ ეს გაიფიქრა და მერე იქვე, დამანძილებით მდგარ გიორგის მიუბრუნდა კეისარი:

— ეს შენგან ექნება გაგონილი ყმაწვილს, ბერო!

— ეგ თვითონ მისგან ვამიგონია, — მშვიდად უპასუხა გიორგიმ.

— აბა, კიდევ გაიმეორე! — ისევ ბაგრატს მიექცა ბასილი.

— ვიდრე თვალითა არა ვიხილო, არცრა ვიწამო, — გაიმეორა ბაგრატმა ისევ გულდებულად.

— შენს ნათქვამს ჰგავს-მეთქი! — კვლავ მიუტრიალდა გიორგის კეისარი.

— დიახ და დიდად მახარებს, ჩემსას რომ ჰგავს და ჩემი არ არის, არამედ მისი, საქართველოს მომავალი გვირგვინოსნისა, — მხურვალედ თქვა გიორგიმ.

— შენ ზრდი თუ მე ვზრდი ქართველ უფლისწულს? — იყვირა ბასილიმ.

— იგი თვითონ იზრდება.

ეს ისეთი სიმშვიდით თქვა გიორგიმ, მუხლი მოეჭრა კეისარს: ასეთი მშვიდი, შიშისგან განწმენდილი და განსპეტა-

ქებული თვალები არც ენახა და არც წარმოედგინა არასდროს.

ერთხანს ასე განლიგებით უცქირა გიორგის თვალებს, მაშ უკან ისევ ბაგრატს მიუბრუნდა კეისარი:

— მაშ, ირწმუნებ, ოდეს იხილავ!

— დიახ, ხელმწიფევ!

— კიდევაც იხილავ და კიდევაც ირწმუნებ, მაგრამ შენ რომ წახვალ, მე სიცოცხლე გამიმწარდება.

გაჰკვირდნენ ბაგრატი და გიორგი, ისე უმწეო ეჩვენათ კეისრის სიტყვა. წუთით კეისარიც კეისრად ვეღარ დაიჯერეს. ნუთუ ეს სახსარმოშლილი, ენადაბმული და სახედამეწყრილი კაცი აზანზარებს შიშით მთელს ქვეყანასო, და თითქოს შეეცოდა კიდეც გიორგის ეს მარტოხელა, უშვილძირო და უთვისტომო ბებერი.

— ასე ძნელია უქართველობა? — ჰკითხა უცებ ბაგრატმა ბასილის.

ქართველი უფლისწულის უცნაურ სიტყვისგებას მიჩვეული იყვნენ კეისრის სახლისანი, მაგრამ ეს კითხვა სწორედ უცნაურსა და მოულოდნელში აღარც ეტეოდა. გონება სულ გაუშეთდა ბასილის. უქართველობა არ შეგძლებიაო, — ამას ეუბნებოდა ახლა ეს ღლაპი, არადა, რეცა, მარიალიც იყო... მართალი...

— იქნებ აგრემც იყოს და, გიხაროდეთ, გეამაყებოდეთ თქვენ, ქართველებს! — თქვა ბოლოს დაჭანცული ხმით.

ბაგრატმა პასუხი დააპირა, მაგრამ ბასილიმ გაჩუმება ანიშნა ხელით, და თვითონ განაგრძო, ენის ბორძიკით და კისრის ძარღვთა თრთოლვით:

— მამაშენი, გიორგი მეფე, ისეთია, ჩემი სისხლის დალევა არ მოეყირჭება, მაგრამ უმისობა მე მაინც არ შემიძლია.

— თქვენ ორივეს ერთმანეთის სისხლის დალევა არ მოგყირჭდებათ, მაგრამ უერთმანეთობაც არ შეგიძლიათ, — მაშინვე მიუგო ყრმამ, წყნარად, დალაგებით და დაჯერებით.

— ეს კი უეჭველ შენგან ისწავლა ყრმა უფლისწულმა, — ისევ მიუბრუნდა გიორგის ბასილი.

— შესაძლოა, თუმცა რა ბედენაა, როცა ეგზომ თვალნათლივი ჭეშმარიტების დანახვა და გააზრება შვიდი წლის ყრმასაც ისე იოლად შეუძლია როგორც კაცსა ასაკით და გონებით

მოწიფულსა და დამწვისებულს, — ისევ უდრტვინველად და უშფოთველად თქვა გიორგიმ.

— მაინც შენს ნაწრთვნევს ჰგავს ყოველივე, მაინც შენს ნაწრთვნევსა! — არ მოეშვა იმპერატორი.

— ჩემი წრთვნა კაი ყმას რად დასჭირდება, ავტოკრატორო, იგი თვითონ ჯიშად მოდის გაწრთვნილ-გაზრდილი, ვითარცა...

და უცებ სიტყვა წაართვა ბაგრატმა გიორგის:

სამი რამ არ გაიწურთნება —
მგელი, არწივი, კაი ყმა:
მგელი არ მოშლის მგლობასა,
კაი ყმა — მამაცობასა,
არწივი — არწივობასა,
კლდის ქიმზე თამაშობასა.

ლექსი ესე, უფლისწულმა რომ ქართულად თქვა, ბერძნულად როგორ იქნებაო, ჰკითხა ბასილიმ გიორგის.

და გადაუთარგმნა გიორგიმ ბერძნულად.

— კარგი ყოფილა! — ბალღივით გაიხარა კეისარმა.

კარგა ხანს სცემდა ბოლთას სახეგაღიმებული, ბოლოს ისევ ბაგრატს მიადგა და ჰკითხა თვითონ გაყმაწვილებულმა:

— მაინც რას იტყვი, ბაგრატ, როგორ გგონია, ქალობაში ქალწული ქალი აჯობებს, თუ ურწანი ჰაკი, ჰა?

სულ ერთიანად გაწითლდა ბაგრატი.

სულ ერთიანად გაშავდა გიორგი.

სულ ერთიანად ჩაბჟირდა ბასილი.

დიდხანს იცინა კეისარმა, მერე თითქოს შეწუხდა, ქართველები რომ არ აჰყვნენ მის ჭიხვინს, სახე დაიწყნარა, ისევ ბაგრატს მიადგა და ჰკითხა გულდინჯად:

— მაინც რა გენატრება და გეწადნიერება ყველაზე მეტად საქართველოში?

— რიონი, — მაშინვე მიუგო ბაგრატმა.

— რიონი? რა უნდა იყოს რიონი? — გაიკვირვა კეისარმა.

— იგივე, რაიც ფასისი, — წამოეშველა გიორგი.

— ქალაქი? მდინარე? — ისევ იკითხა ბასილიმ.

— მდინარე, რომელი არს გამნათლავი ემბაზი ჩემი! — გულმხურვალედ შესძახა ბაგრატმა.

— ოჰოო! — გაიკვირვა კეისარმა.

— სწორედ, რიონი, რომელი არს მდინარე სრულად ქართული, დასაწყისით დასასრულამდე.

გაუკვირდა ბასილის. ამას კი ვეღარ წარმოიდგენდა, თუკი მდინარესაც „ქართული“, „ბერძნული“, თუ „რომაული“; დაერქმეოდა. წყალს კი არა, მისთვის აზრი უკვე იმასაც დაჰკარგვოდა, ყოველი კაცი რომ ცალკე ერისაგანი და ჯიშისაგანი იყო ამქვეყნად. თვითონ ბასილის წინაპრები, რომელთაც საისტორიო ბედისწერამ, კეთილი თუ ბოროტი ხუმრობით, ბიზანტიის კეისრის ტახტგვირგვინი არგუნათ, წარმომავლობით მაკედონელი მეჯოგეები იყვნენ. თვითონ კიდევ, ბასილი, აკი ქალებს გადაყოლილ რომან უფლისწულს მიკიტნის ქალისგან გაუჩნდა, სამიკიტნოში რომ ანასტასია და უფრო აგდებულად — ანასტო ერქვა, დედოფლობისას კი თეოფანო დაერქვა... და მოდი ახლა და ირკვიე, რა „ერისაგანი“ და რა „სისხლისაგანი“ იყო თვითონ იმპერატორი.

ეს ქართველები კი მომდგარან და მდინარის „სისხლსა“ და „ჯიშსაც“ ადგენენ აგერ...

ჰმ, საოცარნი არიან სწორედ ეს ქართველები... საოცარნი... და რა ჰქვია ამათ... ახირებულნი?.. ჰკვიანნი?.. გიჟნი?

— მაინც რითი სჯობს ეგ შენი რიონი, თუ ფასისი ბოსფორს? — მიადგა ისევ კეისარი ბაგრატ უფლისწულს — აი, გახედე, აქეთ ევროპაა გაშლილი, იქით აზია.

— იქაც აგრეა, რიონზე, მარჯვნივ ევროპა, მარცხნივ აზია და ქუთათისიც ასეა — ევროპაც და აზიაც, ვითარცა კონსტანტინოპოლი, — სთქვა ბაგრატმა.

— მერედა, თუ იქაც ისეა, როგორც აქ, ქალაქიც, გალმა-გამოღმაც, ევროპაც, აზიაც, ყოველივე ერთნაირი, — მაშ, რაღა აზრი აქვს შენს აჩქარებას ასე წადნიერად რომ მიილტვი საქართველოსკენ?

— იქ არის კიდევ უმთავრესი, — შესძახა ბაგრატმა.

— რა უმთავრესი?

— ადგილის დედა.

— რაის დედა?!

— ადგილის დედა, — გაიმეორა ბაგრატმა მკვეთრად.

სულ გამოლენჩდა კეისარი. მერე მიუბრუნდა გიორგის და ჰკითხა:

— შენ მითხარი, გიორგი, რას ამბობს ყრმაი ესე და რაი არს იგი... ადგილის დედა?

და აუხსნა გიორგიმ.

მაგრამ ამაოდ აუხსნა: ვერ იქნა და ვერ გაიგო, ვერ გულისხმაჰყო ბასილი კეისარმა, რა იყო ეს ქართული ჰკუით ხსირებული „ადგილის დედა“:

— აი, ის ლექსი კი გავიგე — მგელი, არწივი, კაი ყმაო — ეს კი ვერ გავიგე, ადგილის დედაა თუ დედის ადგილი, ისევ ვერ გავიგე. და გამოტყდა ბოლოს ბასილი, ერთხელ ათონიდან ჩამოსულმა ეფთვიმე ქართველმაც ახსენა ეგე ადგილის დედა, კიდევაც ამიხსნა, მაგრამ ვერც მაშინ გავიგე და ვერც ახლა, შენც ვერ გამაგებინეო, — ეუბნებოდა გიორგის.

ხოლო, რაკი ეფთვიმე ათონელმა და გიორგი ბერმა ვერ მიმახვედრეს და ვერ გულისხმამყვეს, გამოდის, ამა ქვეყნიდან ისე წავალ, არც არასდროს მეცოდინება რა არის და რა ჯადო უძევთ ქართველებს რაღაც იმ „ადგილის დედაშიო“ — თქვა ბასილი კეისარმა, თითქოს სიცილით, თითქოს სინანულით.

ბაგრატ ბატონიშვილის დაბრუნების დრო კი დამდგარიყო: უკვე გასრულებულიყო მსოფლიო ჭიპზე მისი „შვილობის“, თუ „მძევლობის“ სამწლიანი ვადა.

ბასილი კეისარმა გამომშვიდობების წინ მაგისტროსის წოდება უძღვნა ბაგრატს და უთხრა, თითქოს გულდაწყვეტით:

— მაშ, არ იშლი და მტოვებ, არა, მაგისტროს?

სხვანაირად როგორ იქნებაო, — უხმოდ, მხრების აწურვით ამცნო პასუხი ბაგრატმა.

— შენი დედის ადგილი გეძახის, არა? — წყენით ნაკმაზი სიცილით გაიცინა კეისარმა.

— ადგილის დედა, — გაუსწორა კრძალვით უფლისწულმა.

გაჩუმდა ბასილი ბასილევსი. ფიქრმა გაითრია ძალუმად. მერე ქართველებს აჰხედა და თქვა რაღაც სინანულით თუ სიქადულით:

— ჟამქამეულად მე ისეთი ფიქრიც მქონია, საქართველო ძირბუდიანად ამომეწყვიტა — ისე ამომეწყვიტა, არცა კაცი და არცა ძაღლი კედელზე მიმფსმელიც აღარ დარჩენილიყო ქართველის თესლად ქვეყანაზე, მაგრამ, ახლა, არ ვქენ თუ ვერ ვქენ, — გადარჩით და გაიხარეთ, ქართველებო!

ეს სთქვა და პასუხს დაელოდა.

მაგრამ ქართველებმა არ უპასუხეს.

გაოცებამ მოიცვა კეისრის სახე.

ჯერ გიორგის უცქირა დიდხანს, მაგრამ ვერ იქნა და მისი მზერა ვერ დაიჭირა.

იდგა ბერი, სხეულით უძვრელი და სულით განუკვეთელი.

მერე ისევ ბაგრატს მიუბრუნდა კეისარი, სახეზე ღიმილჩამომხჩვალი.

— აბა, მშვიდობით და ამიერიდან დაისვენე-თქო, უთხარ მამაშენს.

მცირე ხანს კიდევ იყუჩა და ბოლოს დასძინა:

— და ჩემგან ყველა დაისვენებს...

ეს კი რაღაც სანაწეროსავით იყო ნათქვამი.

ვედრება მეთერთმეტე

დღე იდგა მსოფლიოს ჭიპიდან ქართველი უფლისწულის გამომგზავრებისა.

და ეზრახებოდა გიორგი ბაგრატს ხმითა განუკრელითა და სიტყვითა განუკვეთელითა:

— მუდამ გახსოვდეს ტფილისი, მომავალო გვირგვინოსანო, გახსოვდეს, რადგან ტფილისი თავია საქართველოსი, ანუ გონება, ანუ აზრი, ისე ვითარცა ქუთათისი გულია, ხოლო მცხეთა — საფეთქელი საქართველოსი. უტფილისოდ საქართველო უთავობაა, უაზრობაა. ამად იზრუნე მუდამისად ტფილისის დახსნისათვის, საქართველოს გონების, აზრის დაბრუნებისთვის!

— გწამდეს, ასე იქნება, განმაბრძნობელო! — მსურვალედ მიუგო ბაგრატმა.

— უკეთუ ვიწამო, უნდა ვიხილო.

— ჴეშმარიტად!

— და არა ვიწამო, ვიდრე თვალითა არა ვიხილო!

— არა ვიწამო, ვიდრე თვალითა არა ვიხილო! — გაიმეორა უფლისწულმა.

ვედრება მეთორმეტე

საქართველოსკენ მოიჩქაროდა ბაგრატ უფლისწული.

ტფილისი — თავი და აზრი საქართველოსი.

ქუთათისი — გული საქართველოსი.

მცხეთა — საფეთქელი საქართველოსი.

ფიქრობდა...

ფიქრი ფიქრს ათოვდა, ათოვდა...

მოდიოდა ქართველი უფლისწული საქართველოსკენ, სულწასული მოდიოდა, და კონსტანტინოპოლის საღვთო კონსისტორიონის კატაპანი მოაცილებდა, საპატიო კენტურიის თანხლებით.

ის იყო, კიდეც შემოდგეს ფეხი ქართულ მიწაზე და უცებ ახალი მანდატური წამოეწიათ ახალი, ცინცხალი ამბით: მოულოდნელად გარდაცვლილა კეისარი ბასილი მეორე და მის ნაცვლად კეისარ-იმპერატორ-ბასილევს-ავგუსტუს-ავტოკრატორი შექმნილა მისივე ძმა, კონსტანტინე მერვე.

და ბრძანებდა ახალი კეისარი: სასწრაფოდ უკანვე, კონსტანტინოპოლს დააბრუნეთო ქართველი უფლისწული ბაგრატ გიორგის ძე!

ბაგრატს კი ფეხად გადმოესწრო ქართულ სამანზე.

ბიზანტიელებიც მოჰყვნენ შლიგინით, მაგრამ „რომეების“ ვერაგობის მცოდნე გიორგი მეფეს დროულად უზრუნვია მოსალოდნელი ხიფათისგან შვილის დასახსნელად: უკვე ქართულ მიწაზე გადმოსულ უფლისწულს ეგებებოდნენ ალმაჭურ აღჭურვილი „დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართლელნი“.

მათ შორის იყო იაკობ თაქთირისძე.

და კიდევ — ქირქიშ აბულახტარი.

ბიზანტიელები ერთხანს ბრაზიანად ათვალიერებდნენ ბაგრატ უფლისწულის კედლად აღმართულ ქართველობას...

მერე, ბასილი მიცვალებულის მანდატურმა დაცინვით უთხრა კონსტანტინე ცოცხალის მანდატურს: უკეთუ ძალგიძს, ახლა შენ გამოიყვანე უკან ბაგრატ უფლისწული, ჩემი იმედი კი ნუღარ გექნებაო. თქვა, გაბრუნდა, გაქუსლა და თავისი კენტურიაც გაიყოლია უკანმოუხედავი სრბოლით.

ახალი იმპერატორის მანდატურმაც ისღა მოახერხა, მათრახის ტარი დაეკბინა და ისიც, თავისი კენტურიით უკან გაბრუნებულიყო.

ჰხედავდა ბაგრატ უფლისწული ბიზანტიელთა გაქცეულ ზურგებს და გონებას უკბენდა ფიქრები კონსტანტინოპოლში გატარებულ წლებზე: მაშ, მომკვდარა დიდი კეისარი ბასილი

მეორე, ორმოცდაათი წელიწადი რომ მის ნებაზე ათამაშებდა მსოფლიოში უდიდეს სახელმწიფოს. ისე მომკვდარა, რომ ამ „ყოვლისშემძლეს“ და „ყოვლისმცოდნეს“ არ ჰღირსებია შეგრძნობა და შეცნობა ადგილის დედისა... ამ უცნაური, ახირებული თუ გიჟი ქართველების ადგილის დედა... ახლა იწვა, განუძრევლად ესვენა, სხეული, ანუ ქვეყნის მზარავი ბასილის სულისაგან დაცლილი და მიტოვებული ჭურჭელი, ესვენა და აღარავის აღარ აშინებდა, აღარც აფიქრებდა იგი... ხოლო ახალი იმპერატორი? კიდევ მისი მომდევნო? კიდევ, კიდევ...

— მშვიდობით მოგვიხველ, სათაყვანო უფლისწულო ჩვენო!

ეს ქირქიშ აბულახტარი იყო.

ბაგრატი ფიქრს გაეყარა და შემობრუნდა.

თვალი მოავლო შემხვედრ ქართველობას და უმალვე პირზე მზე აუყვავდა.

— ღვთის მადლით, კარგად ბრძანდებით, უფლისწულო!

ბაგრატმა თვალით იაკობ თაქთირისძე მოიძია, მიეახლა და უთხრა:

— კარგად ვარ ღვთის მადლით და მადლითა და წყალობითა შენის ძისათა, რომელ იყო მზრდელი ჩემი კონსტანტინოპოლს.

— ჩემი გიორგი! — შესძახა იაკობძა თავშეკავებული აღტაცებით.

— შენი გიორგი და ჩვენი გიორგი! — შეაგება უფლისწულმა.

ქირქიშ აბულახტარს პირზე ღიმილი ჩამოხრჩობოდა...

ვედრება მეცამეტე

ქუთათისის სასახლე დიდის ზარ-ზეიმით ელოდა „ვერაგთა ქვეყნიდან“ უფლისწულის დაბრუნებას.

მოეხვია გიორგი მეფე სამი წლის უნახავ შვილს.

იგრძნო ბაგრატმა: საკვირველად თბილი, ძალიან თბილი მკერდი ჰქონდა მამას. მკერდი რვალისა, განურღვეველი, ვითარცა გლემურძი ველური ტახისა.

მაგრამ გლემურძი იგი მაინც ამხელდა გულის მძლავრ ცემას...

მამას სიკვდილისა არ ეშინია — საკუთარი სიკვდილისა.

მამას სიკვდილისა მაინც ეშინია — შვილის სიკვდილისა.

უშიში, ვითარცა უხორცო აგრეთვე მამა იყო და იმასაც მუდამ თან სდევდა შიში შვილის სიკვდილისა.

სამი წელიწადი განიადაგებით იმის შიშში იყო, ბაგრატი არ მომიკლან კონსტანტინოპოლს, მზაკვართა, მკვლელთა და მეჯურმუცეთა საუფლოშიო.

ახლა ბაგრატი დაბრუნებულიყო.

ერთად იყვნენ მამა და შვილი, და შიშიც უნდა მოხსნოდა გიორგი მეფის გულსა უშიშსა და უზაროსა.

უშიშსა და უზაროსა, ვითარცა უხორცოსა!

მაინც რაი არს აზრი უშიშისა და უზაროსი, ვითარცა უხორციოსა?

დაძლევა ხორცის ტკივილისა?

სწორედ — ხორცის ტკივილი ჰბადებს შიშს არსებაში ძეხორციელისა.

და უკეთუ კაცთაგანი დაძლევს ტკივილს ხორცისას, მხოლოდ მას ძალუძს დასძლიოს შიში სრულიად არსებისა.

და იყო ასეთი კაცთაგანი, გიორგი, მეფე ქართველთა, მძლეველი ხორცის ტკივილისა და მძლეველი შიშისა არსებისა სრულისა.

მაგრამ შიში შვილის სიკვდილისა მაინც განიადაგებით თან სდევდა უშიშსა და უზაროსა.

და სტანჯავდა გიორგი მეფეს შიში ბაგრატ უფლისწულისა, ძისა იამავარისა, ანუ მხოლოდშობილისა.

ვედრება მეთოთხმეტე

— უსაყვარლესი შვილის სიკვდილი ყველას მოინელებს, და მეფესაც მოინელებს, — ეუბნებოდა იოანე აბაზაისძე თავის დისწულს.

— მოინელებს..: მოინელებს, — ბუტბუტით იმეორებდა ქირქიშ აბულახტარი.

ბიძას შავი ნაღველი ედგა სანაღვლეში, დისწულს მწითური ნაღველი.

იმიტომაც: იოანეს წყვდიადის ფერი ეფინა სახეზე, ქირქიშს — ფერი ზაფრანისა.

— აბა, შენ იცი! მარტო მე როდი მაქვს შენი იმედი. ყველას სჯერა, რომ ძარღვებში სისხლის ნაცვლად ფელგამს არ ჩაიყენებ.

— შევეცდები... შევეცდები...

საწმართულოს მარჯვენა ჯიბეში ქირქიშს ღრიანკალი უფათურებდა და მწითურ ნაღველს უხელებდა.

დაილია ღამე, დადგა ძაღლის ძილზე.

ცისკრის ვარსკვლავსაც გაუდნა სახე.

და იმ დილით, უზმოზე, ულუკმო კუჭზე და ღამისტეხვით ნანჯღრევ სულზე, ქირქიშ აბულახტარმა ბარძაყი იშიშვლა და კიდევ ერთხელ, ანუ ასმეერთედ დაისვა ღრიანკალი ბარძაყზე.

დაისვა და დაანერწყვინა, უფრო დიდი ნერწყვით ვიდრე ადრინდელი ასი დანერწყვა.

ვედრება მეთხუთმეტე

იმ ღამით მთვარე არ მოეწონა მეფეს, ახალი შეშლილი მთვარე. ყვიციან ნამგალას წითელი ბაკმით მოსალტული შავი დისკო ესვენა ხელისგულზე.

ვარსკვლავებიც მოღნაშულად ბეუტავდნენ ცაზედეთზე.

მაჩქათელებიც ჯგროებად დარიალებდნენ სასახლის ირგვლივ.

მხოლოდ მაშინ ჩაეძინა გიორგის, როცა ის წითელსალტოვანი დისკო გადაგორდა უხეირო ზმორვით მესხეთის მთის გადაღმა.

ჩაეძინა, მაგრამ მართამ გააღვიძა, უმრწემესმა და უსაყვარლესმა ასულმა.

— მამ!

— რა იყო, მარ?

ფეხზე წამოიჭრა და ხელში აიტაცა ბავშვი.

იგრძნო, ტანი უთრთოდა მართას.

— გესმის, მამ?

— რა, შვილო?

სარკმელისკენ ანიშნა მართამ.

— ყური უგდე!

რწმოლის შორეული წივილი მოესმა გიორგის.

— ჰო, მესმის, მესმის.

— და ისიც თუ გესმის, მამ, რას იძახის ფრინველი იგი? — ჰკითხა მართამ მთრთოლვარე ხმით.

— არ ვიცი. მაინც რას იძახის?

— „ძმაო", „ძმაო", „ძმაო!" ასე იძახის.

ტანზე ცივმა ეკალმა გამოჰყარა გიორგის.

იცოდა, გაგიჟებით უყვარდა დას ძმა. ბაგრატის დაბრუნებამ საკვირველად გაახარა მართა, სული აუყვავა და გაუცისკროვნა.

კონსტანტინოპოლიდან ვერცხლის კუმკუმა ჩამოუტანა საჩუქრად ბაგრატმა მართას, საკვირველი თხზულვარდულებით მოხატული, მაღალყელიანი და ირმის სატუჩურიანი.

აღარ იშორებდა მართა ძმის ნაჩუქარს.

წყაროზე ჩადიოდა, წყლით აავსებდა კუმკუმას, აავსებდა სარმუზებს წაიძრობდა და წყალს შიშველ ფეხებზე დაიღვრიდა, ან ისე უსაზმნოდ გადააქცევდა, ისევ და ისევ.

წყალსაც და ყოველ სხვა სასმიერსაც, რაიც ხუთი წლის უსუარას დაელევნებოდა, მუდამ ძმისეული კუმკუმით ეწაფებოდა მართა, ირმის სატუჩურით ტუჩზე მიდგმული კუმკუმით...

— შენ გეჩვენება, მაო! — ძლივს ამოიღო ხმა გიორგიმ.

— რას ამბობ, მამ, ნუთუ მართლა არ გესმის როგორ გაჰკიეის — „ძმაო", „ძმაო", „ძმაო"!

გიორგის რწმოლის ხმა ესმოდა, მაგრამ „ძმაო" კი არა, ასე ესმოდა:

— „შვილო", „შვილო", შვილო"!

— შენ გცივა, მამ?

— არა, ჰო, გრილა, — ძლივს თქვა და ბავშვი მჭიდროდ მიიკრა მკერდზე.

— იმას ყური არ ათხოვო, შვილო, პატარა ფრინველია, ლამაზი, ცეცხლისფერ ფრთებით.

საუფლისწულო სანთიობოში შეიყვანა, დააწვინა და უჩურჩულა:

— სსსუუუ, ბაგრატი არ გააღვიძო!

ბაგრატს მშვიდად ეძინა.

— დაიძინე, მარ! — უთხრა და აკოცა. მერე ბაგრატს უცქირა ერთხანს და გავიდა სანთიობოდან.

მთელი ღამე ესმოდა მართას რწმოლის წივილი: „ძმაო", „ძმაო", „ძმაო"!

ხოლო, გიორგის: „შვილო“, „შვილო“, „შვილო“!

ვერ იქნა და ვერ დაისვენა მეფემ.

იცოდა, რწმოლი ყველაზე უტყუარი ფრინველი იყო სიკვდილის მაცნობარ ფრთოსანთა შორის.

და, რად ესმის მართას რწმოლის ძახილში „ძმაო“, ხოლო მე — „შვილო“?!

ნუთუ ბაგრატი?!

ნუთუ შეიძლება მამის გულში დაიბადოს ფიქრი შვილის სიკვდილისა?

არა, არა, ეს უმძიმესი და უსაშინელესი ფიქრი შენში შინაგანად ვერ წარმოიშვის, არამედ უეჭველად გარესკნელად იჭრება იგი, საწუთისოფლო ბედისწერის გამონაწური!

ბედისწერისა!

ბედისა... წერისა...:

საკვირველად დაბერდა ღამე. დაბერდა და აღარ გათენდა. (იქნებ, ღამეებმა რიცხვით დღეებს გადააჭარბეს!).

წამოდგა მეფე. აივანზე გავიდა და ცას მიაშტერდა.

ცისკრის ვარსკვლავის გარდა ყველა ვარსკვლავი მოჩანდა ცაზე.

და უცებ ეს გაახსენდა, მართას რომ ასწავლიდა ამ ლექსს:

მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამაჩემი,
წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

და მაშინ ეს უთხრა მართამ მამას:

— მე ვიცი, ვინც თქვა ეგ ლექსი.

— ვინ?

— ყველაზე პატარა ვარსკვლავმა.

ახლა იმ „პატარა ვარსკვლავს“ ეძებდა ცაზე გიორგი.

ვერ იქნა და ვერ დაიხსნა თავი ფიქრთა სიმძიმილისგან.

ხოლო, რწმოლი გამუდმებით წიოდა — „შვილო...“

„ნუთუ ბაგრატ, ძე ჩემი, ერთადერთი, პირმშო ჩემი...“

შინაგანი ისევ არ იყო ფიქრი ესე შავნაბდიანი.

ისევ სადღაც გარესკნელიდან მოწვეთავდა ფიქრი ესე სისხლის გამაშრობელი და ძვალსახსართა დამადნობელი.

„იქნებ დემეტრე?!“

დემეტრე ალდესგან ჰყავდა გიორგის, ოსის ქალისგან.

(არავის ქვეყანაზე ისეთი ჯიშიანი ძუძუ არა აქვს, როგორც ოსის ქალსო, იტყოდა ხოლმე გიორგი მეფე).

ალდე და დემეტრე იმჟამად ანაკოფიას აფარებდნან თავს, მარიამ დედოფლის რისხვისგან განლტოლვილნი.

დემეტრე! უიღბლო (თუ იღბლიანი) ნაყოფი გიორგი მეფის აკრძალული ტრფიალებისა.

ვედრება მეთექვსმეტე

და, ვითარცა ყოველთვის, თავისი გაიტანა ადამიანის საწუთისოფლო ბედისწერამ: გიორგი მეფეს აუხდა რწმოლის ძახილი.

და მოუკვდა შვილი.

მოუკვდა... მართა.

წყაროზე იპოვნეს მკვდარი.

გულაღმა იწვა, სახით გაკვირვებული და ქერუბიმის ღიმილით გაღიმებული.

მარჯვენა ხელში ცარიელი კუმკუმა შესცივებოდა, ძმის ნაჩუქარი.

კუმკუმას სატუჩურიდან ღრიანკალი გამოძვრა, ნასწრაფევად გაიშხორკალა და ბალახებში გაუჩინარდა.

შეირყა სასახლე, სრულიად სატახტო.

ასეთი ბავშვები დიდხანს ვერ ცოცხლებენო, ამბობდნენ შეძრწუნებული ადამიანები. ამბობდნენ, რადგან ძეხორციელთაგან არავის შეეძლო მზერა გაესწორებინა მართას ღვთაებრივი სილამაზისთვის. ღმერთო, როგორ დადის ამ ცოდვილ მიწაზე ეს ანგელოზიო, — ამასაც ამბობდნენ მართას მხილველნი.

მართა სწორედ ღმერთს ჩამოუცურდა კალთიდანო, ჩამოუცურდა და საქართველოს გვირგვინოსანთა სარეცელზე დაირეცაო, ახლა კი ღმერთმა თავისი შვილი თვითონვე წაიყვანაო, — ამასაც ამბობდნენ.

გლოვობდა ქუთათისის სასახლე, საგლოველი სუდარით შესუდრული.

მარიამ დედოფლის ხმა გაისმოდა ჟამჟამად, შემზარავი და შემარყეველი.

ტიროდა ყველა.

არ ტიროდა მხოლოდ გიორგი მეფე.

არ ტიროდა, რადგან უსაზღვრო წუხილს დაეშრიტა მისი ცრემლსათხეველი.

იდგა მუმია.

და მუმია იგი ოდენ მაშინ შეიძვრებოდა, ოდეს მართას სარმუზებს აიღებდა, ჰკოცნიდა და მკერდში იკრავდა, ისევ ფეხებთან დაუწყობდა, ისევ დასწვდებოდა, ისევ კოცნიდა, გულში იხუტებდა და ისხეულებდა, ისევ... ისევ...

თან უკვირდა: როგორ გაზრდილიყო მართა, კუბოს მწოლარე.

ჟამჟამად ბაგრატს შეავლებდა თვალს.

ბაგრატი თავითით უდგა დას და ხორბლისფერ თმებს უვარცხნიდა მთრთოლვარე თითებით.

ესეც უკვირდა მეფეს, აზრგანტევებულს: მართას უფრო ეტყობოდა სახეზე სიცოცხლის ნიშატი, ვიდრე ბაგრატს.

გოგო ცოცხალივით იწვა, ბიჭი მკვდარივით იდგა.

სასახლიდან გამოასვენეს მართა.

მუხლმოყრილი დაუხვდა ხალხი.

ყველა დაეცა.

ხოლო გიორგი მეფე ვერცა მტერმა და ვერცა მოკეთემ ვერ იხილა ძირს დაცემული.

არ დაცემულა, რადგან კაცი უსაშველო მწუხარებისგან სრულიად „სხვად", რაღაც თუ ვიღაც „სხვად" ქცეულიყო.

ალბათ, თვითონ სიკვდილი, ხორცსხმული სიკვდილი, სწორედ ამნაირი უნდა ყოფილიყო, როგორიც მაშინ იყო გიორგი მეფე.

ანაზდად დაცემული დედოფალი მარიამი უმალვე ზეაღმართა მეფემ. ქუთათელი მეორე მხრიდან შეუდგა მხარში დედოფალს.

მეუღლის რკინისა და ყინვის კლავს ეკიდა მარიამის განრღვეული სხეული, შავი კაბა ემოსა. შავი კუბასტი უფარავდა სახეს. მკერდზე მართას თეთრი პერანგი უფრიალებდა.

მწუხარებით დათრგუნვილი ევნიკია თვალშეენიერ არსუკისძეს და ქირქიშ აბალახტარს მოჰყავდათ.

გრძნობდა თვალშეენიერი: ცივი ჰქონდა მარცხენა ხელი ევნიკიას.

გრძნობდა ქირქიში: ტფილი ჰქონდა მარჯვენა ხელი ევნიკიას.

(ასე იყო, რადგან: არსუკისძე ტფილთა სხეულთაგანი იყო, ხოლო აბულახტარი — სხეულთა გრილთაგანი).

ქუთათისის ბაგრატის ტაძარში დაკრძალეს მართა.

გიორგი მეფე ოდენ სასახლეში მობრუნებისას დარწმუნდა, რომ მართა საესებით წასულიყო მისგან.

ამიერიდან გიორგის სიკვდილამდე თან დაჰყვებოდა წუხილი უკურნებელი, ჩასახლებული გულში, სისხლში და ფიქრში, მაშინაც კი, როცა მასზე არა ფიქრობდა. და დაჰყვებოდა წუხილი იგი, ვითარცა დედის საშოით თანდაყოლილი. დაჰყვებოდა ხან შორიახლო, ოდნავ მცირე, შეკუმშული და შემკვრივებული, ხან ერთბაშად, ყოვლისმომცველად გაზრდილი და აღზევებული. ხოლო, როცა ეს მოხდებოდა, — როცა წუხილად გარდასული მართას სახება მის სულში გრიგალივით შეიჭრებოდა, ორივე მკერდს დაუწვავდა და სისხლსაც ცრემლად დაუდუღებდა — გიორგი მეფე ცხენს მოახტებოდა, სათაფლიის ტყე-მაღნარში გაჭენდებოდა და, ცხენიდან გარდამხდარი, პირდაპირ მღვიმეში ჩაინთქმებოდა.

სათაფლიის ქარანძავი იყო მისი საცრემლე, ბბერი, უჩინო, ვრცელი და ტევადი შეილმკვდარი მეფის ცრემლთა სათხევრად.

და გლოვას თვისას უჩინოდ განასრულებდა მეფე.

უჩინოდ ეცვა ხელმწიფური სამოსის შიგნით კვართი შავი, საგლოველი, განუშორებლად.

უჩინოდ, — რადგან მეფე იყო და ჩვეულებრივი ადამიანური გლოვის უფლებაც არა ჰქონდა საჩინოდ.

და დაუნდობლად არღვევდა მის ჩაკირულ სხეულს სიმძიმილი ვითარცა ცალკე კაცისა და ვითარცა საზოგადო ქვეყნის პატრონისა.

შეუსვენებელი შრომით ცდილობდა დაეთრგუნა სატკივარნი და საწუხარნი პირადულიც და სახელმწიფურიც.

დადიოდა საქართველოს ყოველ კუთხეში, ციხე-ქალაქებს ამაგრებდა, ხალხს ამხნევებდა, ქვრივ-ობოლთა და უპოვართა, საპყართა და უმწეოთა განიკითხავდა და ეხმარებოდა.

წარბგაშლილი, პირზე ღიმილგადაფენილი ეგებებოდა ყველას, თვითონ უჩინო სიმძიმილით გულდალახვრული.

ვედრება მეჩვიდმეტე

— ლამის მოინელოს უსაყვარლესი შვილის სიკვდილი, მაგ ყოვლისმომნელებელმა ეშმას ნაშობმა, — თქვა იოანე აბაზისძემ.

— ტყუილად მოჰკალ შენ საბრალო ბავშვი, ტყუილად შეჩურთე ღრიანკალი კუმკუმას ყელში, — უთხრა ქირქიშს კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ბაღვაშმა.

— მაინც მოინელებს მეფეს მართას სიკვდილი, — თქვა ქირქიშმა.

— მაინცობას დიდი დრო მიაქვს, — ჩაუჭრა ლიპარიტმა,

— და დროს ჩვენც მივყავართ, — დაუმატა იოანემ.

დუმილი ჩამოწვა და ჩამოლპა.

— მაინც რით იქნება ბაგრატი გიორგიზე უკეთესი? — ეცება იკითხა ქირქიშმა.

— ბაგრატი ყმაწვილია, ჩვენს ნებაზე მოვიქცევთ და მოვირგებთ.

— მაგრამ ეკალზე რომ მაინც ეკალი ამოდის?

— ეკალიცაა და ეკალიც.

— ჰო, სად ქაცვი, ან ნარ-ეკალი, სად კიდევ ღიჭი და წიწვი..

ისევ დუმილი.

— ისევ შენი იმედი გვაქვს, ქირქიშ!

ისევ მძვინვარე გამოხედვა ჰქონდა სამიეს, მაგრამ... სამიეს ისევ ღარიბი თვალები.

ხოლო, ქირქიშ აბულახტარს საწმართულოს ორივე ჯიბეში ღრიანკალნი უფათურებდნენ და მწითურ ნაღველს უხელებდნენ.

შვიდი ერთ ჯიბეში სხმარტალებდა, შვიდი მეორეში.

ისევ ღამე იდგა, ბერბეცი, შავნაბდიანი და შავფიქრიანი.

თითქოს ღამეები საქართველოში რიცხვით კიდევაც სჭარბობდნენ დღეებს.

ვედრება მეთვრამეტე

მასვე ჟამს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, კონსტანტინე კეისართან შესახვედრად.

მას შემდგომ, რაც ბაგრატ უფლისწულმა, მძევლობიდან

თავდახსნილმა ქართულ სამანებში შემოასწრო, უმძრახობა სუფევდა კონსტანტინოპოლსა და ქუთათისს შორის.

ხოლო უმძრახობა და უსიტყვობა ბიზანტიასა და საქართველოს შორის შეუძლებელი იყო დიდხანს გაგრძელებულიყო და იგი უნდა დარღვეულიყო ან კარგად ან ავად, ან პირზე მთხევით (წრფელით თუ ფარისეველურით), ან სისხლის თხევით (უკვე წრფელით).

და სწორედ ამიტომ მიიქცეოდა კათალიკოსი მელქისედეკი კონსტანტინოპოლს, გიორგი მეფის ნაზრახევით და ნასაუბარალით. ბოლოს და ბოლოს, უნდა გარკვეულიყო, რას ფიქრობდა ახალი ავტოკრატორი, საქართველოსთან მტრობას თუ მოყვრობას, ან რა თხოვნა ჰქონდა, ან რა მოთხოვნა.

ან კიდევ: რა წონისა იქნებოდა თხოვნა და რა წონისა მოთხოვნა.

ყოველივე მაინც კეისარ-იმპერატორის პირადი ბუნებისად უნდა ყოფილიყო ხავარაუდევი და ნააზრევი.

ხოლო, თვითონ კეისარ-იმპერატორი კონსტანტინე მერვე ტახტზე ასვლისას უკვე სამოცდაათ წელს მიტანებული კაცი იყო. მას ორმოცდაათი წელიწადი თავისი დიდი ძმის, ბასილი მეორის თანამმართველის სახელი ისე ეტარებინა, იმპერიის თანამმართველობა და თანამოსაყდრეობა კი არა, არასოდეს საკუთარი კუჭის გარდა არაფერი არც თვითონ გახსენებია და გახსენებით არც სხვას ვისმეს შეუწუხებია. კარგი ჭამა-სმა იმპერიის ტახტ-გვირგვინსაც ერჩივნა და მთელს სამყაროსაც. ანდა, თუ კეისრობა, ან თანაკეისრობა რამედ უნდოდა, მხოლოდ პოხიერი და გემრიელი საჭმელ-სასმელისთვის უნდოდა.

ამას გარდა, კოჭის თამაში უყვარდა გარდარეულად.

მხოლოდ ერთ რამეში ჰგავდა ძმას, ნიჭიერ ბასილის ეს კონსტანტინე უნიჭო: ქალები არ უყვარდა, არც გარდარეულად, არც ზომიერად, არც ზომადაკლებულად. ეს იყო და ეს.

კოჭის თამაშში დროს ანიავებდა.

ჭამა-სმაში სახელმწიფო საჭურჭლეებს ანიავებდა.

და საკუთარი ჯანმრთელობაც გაანიავა ამ კეისარმა „გამნიავებელმა“: უზომო ჭამისგან პოდაგრა გაუჩნდა. ორივე ფეხი დაუსივდა, ორივეში ჩირქი, თხრამლი და შალალი ჩაუდგა.

მაინც არ იმოკლებს სივრცეს ჭამისას. არც ერთ დღეს არც ერთ რგოლს არ გამოტოვებს ჭამის ჯაჭვიდან: საუზმარი, სადილი, სამხარი, ზარმელი, სერობა, სერობისკუდი.

ვიტელიუსის შემდგომ ასეთი მჭამელი გვირგვინოსანი არ მოსწრებია ქვეყნიერებას.

(ვიტელიუსმა რომის ტახტზე სამი თვე ძლივს მოათია, მაგრამ იმ სამ თვეში მარტო მის მუცელს ცხრაასი მილიონი სესტერციუმი დასჭირვებია. ვიტელიუსის მარტო ერთი სადილი ოთხასი ათასი სესტერციუმი დასჯდომია სახელმწიფოს. მარტო ერთ რომელიღაც კერძის დამზადებაზე ასი ათასი სესტერციუმი დახარჯულა).

ხალხში კონსტანტინე კეისარს უკანასკნელ სახელად უკვე ზოგი „მთქვლეფავს“ ეძახის, ზოგი „ღორმუცელას“, ზოგიც „ფუტუროს“.

ყველა ეს ცნობა კონსტანტინოპოლელ ქართველთაგან შეიტყო მელქისედეკმა.

ჩასვლისთანავე ქართველთა კურიას ეწვია მელქისედეკი, ღამეც იმათთან სიტყვაკაცეობაში გაათია.

პირველად იხილა აქაურ ქართველთა შორის კათალიკოსმა ახალგაზრდა გიორგი, საკვირველსახოვანი და მეტყველენოვანი.

— უფლისა ხათლული ძგონია მე ყრმაი ესე, — აზარვით თქვა მან და ჯვარი გარდასახა გიორგის...

და კვლავ ისმენდა და გაიაზრებდა კათალიკოსი ქართველთა ნაამბობს.

ახალი კეისარ-იმპერატორი, სხვა სიკეთესთან ერთად, ყოფილა ყოველად მშიშარა, ეშვიანი, ცილნაწამების მალემრწმენი და სასჯელისაც მალემიმგები.

ყოველ სასჯელთაგან თვალსასეიროდ ამჯობინებს თვალების დათხრას.

ყოველ ნიშიერს ეშვით და მტრობით უთვალთვალებს. ბასილის დროინდელი წარჩინებული და ღირსეული კარისკაცები გააძევა და თავისი თანამეინახენი, თანამჭამელნი და თანამემუცლენი შემოიყარა სასახლის კარზე.

ქართველები შეიძულა ჭირის დღესავით. ქართველებმა ნადიმი დიდებული იციან, მაგრამ თავი ძალიან მაღლა უჭირავთ და იმავ მაღლააპრეხილ თავში დიდად თამამი აზრებიც ებადებათო;

ყველასგან დამფრთხალი და ყველას მიმართ დაეჭვებული ბებერი კეისარი ერთადერთს — პატრიარქ ალექსი სტუდიტს უსმენს და უჯერებს თვინიერად.

ვედრება მეცხრამეტე

და შეხვდნენ ერთმანეთს მეორე დღეს საქართველოს და ბიზანტიის საეკლესიო მამანი.

დიდის პატივით და სიყვარულით მიეგება ალექსი მაღალღირსეულ სტუმარს.

ერთად მოიარეს და მოიხილეს კონსტანტინოპოლის ყოველი ღირსსახილველი ადგილი. მოილოცეს ყოველი სალოცავი და ბოლოს, უამრავი ხალხის თანდასწრებით, ერთად აღასრულეს საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურღია აია სოფიაში.

მომდევნო დღეს, ალექსი სტუდიტის წარდგინებით, საქართველოს მწყემსმთავარს საღვთო კონსისტორიონში შეხვდა კეისარი კონსტანტინე მერვე.

კარგა ხანს გაგრძელდა სიტყვადგება. ნელინელ მოხიბლა და მოიარშივა მელქისედეკმა ქართველებზე შემომწყრალი ბასილევსი. ბოლოს გული სულ დაუჩვილდა და უთხრა კონსტანტინემ მელქისედეკს: ქართველი სამღვდელონი მირჩევნიან ქართველ ერისკაცებსო. სამღვდელონი უწყინარნი არიან, მხოლოდ ლოცულობენ, ან კიდევ წერასა და გარდაწერაში არიან ერთთავად ჩაძირულნიო, ერისკაცნი კი მუდამ ტახტის სავნებლად და სარეცლის საბილწავად არიან ერთთავად გამეცადინებულნიო.

ძეხორციელთაგან ვინ შეუბედავს ან შენს ღვთაებრივ ტახტს, ან შენს წმიდათაწმიდა სარეცელსო, — გაიოცა მელქისედეკმა.

ტახტი დიახაც საფრთხილო და საფიქრალია, ხოლო სარეცელი, მართლაც და, თქვენი უწმიდესობის ბრძანებისა არ იყოს, რაღა საფიქრალი და საზრუნავი მაქვს, რადგან მე ხომ ეს ათი წელიწადია ქვრივი გახლავართო, — სთქვა და სიცილი აუვარდა კეისარს. უცებ სიცილში ხველა გაერია, კარგა ხანს ხველებით იჯახირა და აგერ როდის, როგორც იქნა სული მოიბრუნა.

(ესეც გაახსენდა მელქისედეკს ქართველებისგან ნაამბობი:

კონსტანტინე მეუღლეზე ეჭვიანობდა თურმე, ერთხელ კიდევაც წასწრებია კუროსთან, მაგრამ სიცოცხლეში მაინც ვერაფერი გაუბედნია რქადასხმულ ქმარს მისი დამამდაბლებელი ცოლისთვის. ოღონდ, როცა ცოლი მომკვდარა, მაშინ კი მისულა კონსტანტინე და გაბედულად დაუფურთხებია კუბოში მწოლარესათვის, და თანაც — დაუფურთხებია საშოს დასწვრივ).

სული მოიბრუნა და გიორგი მეფეს გადაწვდა კონსტანტინე კეისარი. ცუდად მომექცა შენი მეფეო, — ეუბნებოდა მელქისედეკს — თავისი ძე, ბაგრატ უფლისწული, ჩემს ძმას ბასილის ანდო, მე კი არ მანდო და ერთი დღითაც არ დამიტოვაო. ასე გამოდის, არ მენდობა მე გიორგი მეფე და რაკი არ მენდობა, გამოდის, მეც არ უნდა ვენდო! — ეს ბოლო სიტყვა ისე ხმამაღლა თქვა, ვითომც ღვთაებრივი სიბრძნე წამოესროლოს პირიდან.

მაშინვე ტკბილსიტყვაობით შეუტრიალა პასუხი მელქისედეკმა: უნდობლობაზე რად ინებებთ სიტყვისგებასო, აკი დათქმული იყო თავიდან, მხოლოდ სამი წელიწადი უნდა დაეყო ბაგრატ უფლისწულს კონსტანტინოპოლში და, დათქმული ვადა რომ განესრულა, მხოლოდ მაშინ გამოემგზავრა ბაგრატი საქართველოსკენ, და ვინ იფიქრებდა, რომ მაინცა და მაინც მაშინ აღესრულებოდა სულკურთხეული ბასილი კეისარი ამა წუთისოფლიდანო.

— ჰო, ვინ იფიქრებდა, ვინ იფიქრებდა, ვინ იფიქრებდა, — რატომღაც სამჯერ წარმოთქვა კეისარმა დაღლილად და დადუმდა.

მცირე ხანს აცალა და ისევ აღუტეხა სიტყვა ძლიერი მელქისედეკმა. ქრისტესმიერი ძმობა მოისაძირკვლა, შვიდასწლოვანი კავშირი და მეგობრობა „გაახსენა“ კეისარს (ვითომ იცოდა და „გაახსენა“!), მირიანისა და კონსტანტინე დიდის დროიდან ნეტარხსენებული ბასილის დრომდე.

რაღაცნაირი ნეტარებით ისმენდა კეისარი ქართველი სტუმრის სიტყვაობას, გალობასავით მომდინარეს.

— და ღვთის ნებით, ასევე დავრჩებით ჩვენ — რომაელნი და თქვენ — იბერიელნი, ქრისტესმიერი ძმანნი, მეგობარნი და მოყვარენი! — დაასრულა კონსტანტინე კეისარმა ნაუბარი მელქისედეკისა. დაასრულა და დაამთქნარა.

მელქისედეკი შეშინდა, ვაითუ კეისარს დაეძინოსო და მაშინვე სვეტიცხოველზე ჩამოაგდო ახალი სიტყვა.

— სვეტიცხოველი? — ძილს გამოექცა ბასილევსი.

— დიახ, სვეტიცხოველი, — და მოსდგა მელქისედეკი ახსნას, რა აზრი აქვს სიტყვას და სახელს სვეტიცხოვლისას, როგორ დაიბადა, როგორ გარდაისახა ერთხელ, მეორედ და ახლა ვითარ შენდება ახალთახალი ფერისცვალებით იბერიის ტაძარი კათოლიკე.

— ტაძარი კათოლიკე! — გაიკვირვა კონსტანტინემ — განა, თქვენთვის, საქართველოსთვის, ათონის ივერონი არა არის ტაძარი კათოლიკე?

ამოდენა „ცოდნას“ კი აღარ მოელოდა მელქისედეკი უმეცარი კეისრისაგან, მაგარმ მცირეხნიანი შეცბუნება მაინც დასძლია:

— ათონის ივერონი საქართველოს გარეთ ქართველთა კათოლიკე სავანე და სალოცავია, თქვენის მაღალღვთაებრივი ზრუნვით მოვლილი და ნაპატრონევი, ხოლო თვითონ საქართველოში ტაძარი კათოლიკე ჟამსა ამასა არს ტაძარი ქუთათისისა, მაგრამ უნდა იქნას მაინც მცხეთის სვეტიცხოველი.

— მაგრამ მაინც ქუთათისმა რა დააშავა, უნეტარესო? — უცებ, თითქოს საქმიანად იკითხა კონსტანტინემ. ასეთმა მოულოდნელმა კითხვამ, მართლაც, კინაღამ დააბნია მელქისედეკი.

— დააშავაო? დააშავა კი არა, ქუთათისმა იხსნა სრულიად საქართველო, მაგრამ მაინცდამაინც ასე იყო და ასე არს დასაბამიდან დღემდე, აწამდე: ერთობილი საქართველოსთვის და ქართველობისთვის უმჯობესია, მისი ერთიანი სხეულის, აზრისა და სულის კათოლიკე ტაძარი, ანუ პასტოფორიონი, ტაძარი სამეუფო და სრულიად საერისო — მაინც აღმოსვლეთში უნდა სუფევდეს და არა დასავლეთში, ანუ იბერიაში და არა კოლხეთში.

— მაინც რადაო?! — სულ გამოფხიზლდა კეისარი, წადნიერებით შეპყრობილი.

— იმად, რომ ქრისტიანობას და ქართველობას უფრო ნაკლებად უჭირს კოლხეთში, ვიდრე იბერიაში. კოლხეთი თქვენთან არის გადაბმული, გადაჯდობილი, განსხეულებული, ერთმორწმუნე ქრისტესმიერ ბიზანტიასთან, ხოლო იბერია უფრო შორსაა კონსტანტინოპოლიდან და უცხო თესლი და

უცხო რჯული უფრორე მეტად იბერიას აწუხებს, ავიწროებს და გადაწვებება-გადაჯიშებით ემუქრება იქაურ ქრისტიანობას, იქაური ქართველობას.

— ქრისტიანობას და ქართველობას? — გაიკვირვა კეისარმა.

— დიახ.

— თუ უფრო ქრისტიანობას, ვიდრე ქართველობას? — ჩაჰკიდა კეისარმა.

— ერთსაც და მეორესაც, ორივეს ერთნაირად.

— ვერ გავიგე, — მხრები აიჩეჩა ავტოკრატორმა.

— ასეა, რადგან ქრისტიანობა და ქართველობა ერთი გაუჩრებაა ყოველი ქართველისთვის.

— ?!

გაოცებისგან გამოლენჩდა კონსტანტინე.

ქრისტიანობა კარგად მესმის რაც არისო, მაგრამ ქრისტიანობა რატომ არის ქართველობა და ქართველობა რატომ არის ქრისტიანობაო, — ამას კი ვეღარ გაუგო თავი და ბოლო. ასე რომ ვიმსჯელოთ, მაშინ მე თვითონ რაღა გამოვდივარო?!

თვითონ ქრისტიანი რომ იყო, ამის გააზრება ადვილად შეეძლო, მაგრამ ვინ იყო იგი, ვითარცა „ერის შვილი“, ამის აბოცნობა მის ღატაკ სულს კი არა, მამაზეციერსაც აღარ შეეძლო.

ვთქვათ და იყო ბიზანტიელი.

მაგრამ „ბიზანტიელობა“ ხომ არ იყო „ერის შვილობა“?! არამედ ეს იყო მხოლოდ „მცხოვრებლობა“ ბიზანტიის იმპერიაში.

„ერის შვილობა“ კი არის, ვთქვათ — ქართველობა, ბერძნობა, სომხობა, არაბობა, გერმანელობა, ბულგარელობა, აგერ კიდევ რუსობა...

და არც ერთი არ იყო, არც ერთი „ერის შვილი“ კეისარი კონსტანტინე მერვე. მისი ოდინდელი „მაკედონელობაც“ წაეშალა „ბიზანტიელობას“.

გული დაწყდა კეისარს, ერისშვილობის უნარდაკარგულს.

— მაშ, კათოლიკე პასტოფორიონი თქვენი ქრისტიანობისა და ქართველობისა უნდა იქნეს სვეტიცხოველი! — მიუბრუნდა უცებ მელქისედეკს.

— დიახ, ღვთაებრიეო ავტოკრატორო.

— და სვეტიცხოველი იქნება აღმოსავლეთში კათოლიკე ბურჯი ქრისტიანობისა!

— დიახ.

— ჩვენი და თქვენი ქრისტიანობისა?

— ყოველი ქრისტიანობისა, — მტკიცედ გაასწორა მელქისედეკმა.

წამოიწია ტახტიდან და დადგა სნეულ ფეხებზე კონსტანტინე იმპერატორი.

ისევ სამივემ მოვიყაროთ თავიო, ბრძანა და შეუთვალა ალექსი სტუდიტს: ჩემი ფეხების პატრონს აპატიე, რომ თვითონ ვერ გეახლები და იქნებ შენი უწმინდესობა მობრძანდეს საღვთო კონსისტორიონშიო.

და მოვიდა ალექსი სტუდიტი.

და ურჩია კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კეისარს, რით დაეჯილდოებინა მწყემსმთავარი საქართველოსი.

და „მოსცა კეისარმან კონსტანტინემ მელქისედეკს შესამკობელნი ეკლესიათა, ხატნი და ჯუარნი, და ყოველნი სამღდელთმთავრო და სამღდელო სამკაული“.

და წამოვიდა მელქისედეკი კონსტანტინოპოლიდან საქართველოში. წამოვიდა და „მოვიდა ქუეყანასა და სამწყსოსა თჳისსა და იყიდა სოფლები ტაოს: ზადკარეკი ხუთითა აგარაითა, და ძაღლის-ხევს იყიდა სოფელი ოროთა სამითა აგარაითა. ესე ორნივე სოფელნი მათითა აგარაითა თჳისთა ძმათა განძითა იყიდა. და კლარჯეთს მოიგო სოფელი ერთი სხლოანი. და შავშეთს მოიგო სოფელი დიდი სხლობანი, აგარა მისი ნაღუარევი. და ჯავახეთს მოიგო სოფელი ტონთიო. და კოლას მოიგო და დააშენა სოფელი დიდი ოროტანი აგარაითა. და ფარავანს ააშენა სოფელი ერთი მახაროვანი. და საკოეთს შეიპყრნა და ააშენა სოფელნი ორნი: ნაქალაქევი და ბერდაძონი, და დაუდვა წმიდასა ამას დედაქალაქსა მცხეთას, სუეტსა ცხოველსა“.

და კათალიკოსმა რომ სვეტიცხოველისთვის ჯავახეთს სოფელი ტონთიო „მოიგო“ — სოფელი იგი იყო სამშობლო გიორგისი.

— შენ იმდენს იზამ, ისე ვითარცა არც მამაჩემს, აღარც მე დამასწრებ კურთხევას სვეტიცხოველისას, — უთხრა მწარე ღიმილით გიორგი მეფემ არსუკისძეს.

ესა სთქვა მეფემ, როცა ტაძარი საბეჭურებზე ამოსულიყო.

— ჯერ კვლავ ჰაბუკი, ეგზომ ცოდვას რად ბრძანებ, მეფევ? — გაკვირვებით ჰკითხა თვალშვენიერმა.

— ვგრძნობ, მალე დავუტევებ მე მდენსა ამასა საწუთროსა.

სთქვა და პასუხი აღარ დაანება გიორგიმ ხუროთმოძღვარს.

შვილმკვდარ მამას სიკვდილზე ფიქრი სიკვდილამდე არ გაეყრებაო, — მწარედ გაიფიქრა თვალშვენიერმა.

ცხრაჯერ გადაიწერა პირჯვარი მეფემ: სამ-სამჯერ სამივ ტაძრისა — სვეტიცხოვლისა, ჯვარისა და სამთავროისა.

ამის შემდეგ აღარც სვეტიცხოველი უნახავს გიორგი მეფეს და აღარც მისი ამშენებელი.

დამდგარიყო და დაქვავებულიყო წელიწადი, ქრისტეს დაბადებიდან 1027.

16 აგვისტო, დღე პირველმოწამისა რაჟდენისა.

ზოდიაქური ბედისწერით — ეს დღე ღრიანკალს ესესხებინა ქალწულისაგან.

გიორგი მეფე თრიალეთს ჩასულიყო, „ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი გინა იწრონი“.

მართას სიკვდილის შემდგომ სულ იმას ნატრობდა, მართა დასიზმრებოდა და სიზმარში მაინც ენახა მისი ღვთაებრივი სახე.

ყოველ ღამე იმ იმედით იძინებდა, იქნებ ამ ღამით მაინც შევხვდე შვილსა სანატრელსაო.

და იმ ღამეს ესიზმრა.

მრეში ღრუბლისფერ ირემზე იჯდა თეთრკაბიანი გოგონა, სხივთა მფრქვეველი, ნიავქარზე გაშლილი ოქროს თმებით. მოფრინავდა და მოაფრენდა რქაღრუბლიან ირემს მართა. მარცხენა ხელი ჯიდაოზე ჩაეცლო ნადირთა თავადისთვის, მარჯვენათი კი თეთრ, ქათქათა ღრუბელს, თუ კვართს თვისას მოაფრიალებდა, — აი, იმ პერანგს, იმ გლოვის დღეს რომ დედამისს, დედოფალ მარიამს გულზე მიბმული უფრიალებდა.

წამოიჭრა და გაეგება გიორგი. უნდა მივარდეს, აიტაცოს

და ჩაიკრას შვილი ამდენი ხნის წუხილით ნათოვარ და ნათოშარ გულში, ახლა ერთბაშად გულგაბედნიერებულმა.

— შვილო მართა, ხმა გამე, შვილო! — დაძახება უნდოდა, თუ დაუძახა, ვერ გაარკვია, რომ მართას ხმა შემოესმა სწორედ გარკვევით:

— მამ, მამ, საყვარელო, გვიშველე, მამ!!!

— გვიშველეო?!

და ახლა დაჰკრა გიორგიმ თვალი: შავი აფთარი მოჰქროდა ირმის კვალდაკვალ, და სადაც არის, წამწამისად, უნდა წამოსწეოდა შუან-დაღრჯენილი და ბაგედალოშქრილი.

უმალვე გამართა მშვილდ-ისარი გიორგიმ და მარად უცთომელ ხელით სტყორცნა ძალსრულად, სტყორცნა და მთელის ტარით ჩაურჭო ისარი წარბს და წარბს შუა აფთარს, ჩაურჭო და განუპო შუბლი. ხმა აღუტევა აღტაცებით და გაექანა დარეცილი ნადირისაკენ, გაექანა, რათა ეკოცნა ნაისრალზე. აი, მიეჭრა უძრავად მწოლარე აფთარს გიორგი, დაიდრიკა და ის იყო, განპებულ შუბლს კოცნით უნდა დასწაფებოდა, რომ ანაზდად პირი გახსნა და წრიულ განავრცო გახსნილი პირი შავმა აფთარმა. უეცრადვე ჯოჯოხეთივით ბნელმა ხახამ მოიცვა გიორგიც და ყოველივე მის გარშემო. წამსვე ალმასის უზარმაზარმა შუანებმა გაიელვეს და შვიდგან იგრძნო შვიდი შუანის ცივი ძგერება შვილმკვდარმა მეფემ:

მარცხენა საფეთქელზე,
მარჯვენა ყელზე,
მარცხენა ძუძუზე,
მარჯვენა თეძოზე,
მარცხენა საურვალზე,
მარჯვენა ბარძაყზე,
მარცხენა კოჭის კვირისტავზე.

დილით კარავში მკვდარი იპოვნეს ღრიანკალთაგან დაკბენილი გიორგი მეფე.

კარვის კარებთან კი მეფის ერთგული მეხმლე იწვა, ჭირჭიშ აბულახტარი, ისიც ღრიანკალთაგან შვიდგან დანესტრილი.

მარჯვენა საფეთქელზე,
მარცხენა ყელზე,
მარჯვენა ძუძუზე,
მარცხენა თეძოზე,

მარჯვენა საურვალზე,
მარცხენა ბარძაყზე,
მარჯვენა კოჭის კვირისტავზე.

და არავინ იცოდა, რა სასწაულით გადაურჩა სიკვდილს ქირქიშ აბულახტარი.

ხოლო, საქართველოს მეფე გიორგი პირველი უკვე სიკვდილის საუფლოში ესვენა.

ლირწ'ი შხამის არჩივი გამხდარიყო მირონცხებული გვირგვინოსანი, „სავსე ყოვლითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არავინ გამოჩენილიყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავსე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა".

აღესრულა „და დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა მკვიდრთა მამულისა და სამეფოსა მისისათა, იგლოვდეს ყოველნი სიკეთისა, და სიჭაბუკისა, და ახოვნებისა მისისათვის".

გამეფდა შობითგან 12 წლისა, იმეფა 13 წელიწადი, აღესრულა 25 წლისა.

თრიალეთიდან ჩამოასვენეს და ქუთათისის ბაგრატოვანში დაკრძალეს, მართას გვერდით გათხრილ სამარტვილეში.

და იყო მშვიდ: განტევებულ ყოველგვარი საწუთისოფლო საზრუნავისგან.

და იყო ბედნიერ: სანატრელი შვილის გვერდით განისვენებდა.

ვედრება ოცდამეერთე

საქართველოს ტახტზე ახალი გვირგვინოსანი იჯდა:

ბაგრატ მეოთხე.

ძე მეფე გიორგი პირველისა.

ცხრა წლისა.

და ჩამოიღო გარაბადიდან მამისეული სამეფო ხმალი ყმაწვილმა მეფემ.

და უსაშველოდ ემძიმა ხელში.

და ძლივს აზიდა ჯერ საზარდულამდე, მერე მკერდამდე.

ვედრება ოცდამეორე

ყველას დაასწრეს ლიპარიტ ბაღვაშმა, კლდეკარის ერისთავმა და იოანე აბაზაისძემ.

ახალ ხელმწიფეს ეახლნენ.

ხელმწიფობა მიულოცეს.

მუხლებში ჩაუვარდნენ.

სამარის კარამდე ერთგულება შეჰფიცეს.

ვედრება ოცდამესამე

ამა ორგულთა ცრუფიცილისგან განვიწმინდებიო, იფიქრა ყრმა ხელმწიფემ და მცხეთას მივიდა. კიდევაც მოილოცა და ახალი სვეტიცხოველის აღმშენებელიც ინახულა.

დიდბანს უცქირა მეფემ სვეტიცხოველს, ჯერაც უსრულოს, გარეშემო შემოუარა გულმოდგინე ჰვერტით და ჩხრეკით, ბოლოს დამანძილებით მომავალ არსუკისძეს მიუბრუნდა და უთხრა:

— უკეთუ პაპიჩემის და მამიჩემის დროს შენგან ნაშენებს შენვე ჩემს დროში ვერ დააჯარბებ, იცოდე მარჯვენს დაგაგდებინებ!

— ?!

ესეც მესამეო, — გაიელო გულში არსუკისძემ.

ვედრება ოცდამეოთხე

გიორგი მეფის სიკვდილმა მიხრწნილი სული აუფოფინა კონსტანტინე კეისარს.

საქართველოს ლომი მოჰკვდენია და მისი ბოკვერის გალობებამდე დრო დავიცეთ და ჩვენ ჩვენი ვქმნათო, — კვლავ აფუსფუსდა და აფუთფუთდა ჭიპი დედამიწისა.

და დაიწყო იმით, რომ ბიზანტიელებმა ბასილი კეისრის დროს მიტაცებული ქართული თემებისაგან შექმნეს იბერიის საკატაპანო. და ცდილობდნენ ყოველი საშუალებებით მის გაფართოებას ისევ ქართული მიწების ხარჯზე.

და ამისთვის არ ერიდებოდნენ — არა ქრთამს, არა მოსყიდვას, არა ღალატს, არა პირისშლას, არა იარაღს და არა სისხლს;

საქართველოს კი ისევ ღალატობდნენ მეფის მცირეწლოვნებით გათამამებული აზნაურები.

(სხვა რომ არაფერი, ისე მაინც — ეღალატებოდათ და ღალატობდნენ, ვითარცა — ემღერებოდათ და მღეროდნენ).

ბაგრატის გამეფების ჟამსვე ტაოელ დიდებულთა უმრავლესობა, „რომელნიმე ციხოვანნი და რომელნიმე უციხონი", კონსტანტინოპოლს ჩავიდა, კეისარს ეთაყვანა, ეყმო და თავი ბაგრატ მეფისგან განდგომილად გამოაცხადა.

ამ მოღალატე ერისწყეულთაგან ყველაზე დიდები იყვნენ: საეროთაგან — ვაჩე კარიჭისძე, სამღვდელოთაგან — იოანე ბანელი.

შინაურთა ღალატს გარედან ახალი მაოხარი ლაშქრობა მოჰყვა საქართველოში. კეისარმა კონსტანტინე მერვემ ქართველთა სისხლის დაუქცევლად არ ინება სააქაოდან საიქიოში გადაბარგება. 1028 წელს მან ნიკიტა პარაკიმომენოსი წარმოგზავნა „მიუწვდომელისა ძალითა, ლაშქრითა თვისითა და განძითა ურიცხვითა".

ბიზანტიელებმა ხელახლა ააოხრეს ბასილი კეისრისაგან ნაოხარი, ჯერ ისევ ჭრილობაშეუკრავი მესხეთ-ჯავახეთი, ხოლო როცა თრიალეთს შემოუდგნენ, აქ ბაგრატ მეფის ერთგული აზნაურები დაუხვდნენ მტერს, კლდეკარის ერისთავის, ლიპარიტ ლიპარიტის ძის წინამძღოლობით.

დაუხვდნენ და მარცხნაჭამი უკუაქციეს ბიზანტიელნი, მაგრამ უკუქცეულებმა მაინც მოახერხეს კიდევ ორი ქართველი დიდაზნაურის გადაბირება: ჩანჩახა ფალელმა გარყვნობის ციხე გადასცა უცხოელებს, ხოლო არჯევან ჰოლოლას ძემ — წერეფთის ციხე.

მაინც თავგამოდებით იბრძოდნენ სამხრეთელი მამულიშვილნი. ტბეთის ეპისკოპოსმა, საბა მტბევარმა ჯვარი და ლოცვანი გადასდო, აბჯარი აისხა, ხმალი აიღო და მტერზე საცემად წარუძღვა შავშეთელ მამულიშვილებს.

საბამ ტბეთის ეკლესიასთან ძლიერ გამაგრებული საომარი ბანაკი განაჩინა, სახელად „სვეტი" დაარქვა და შიგ მისებრ გულმხურვალე თანამემამულეთა ლაშქარი ჩააყენა.

სვეტიდან გამოიჭრებოდნენ ანაზდაითად საბას მეომარნი, აზნაურნი და უაზნონი, მტერს ესხმოდნენ და შავ დღეს უთენებდნენ.

საბას მარჯვენა ხელად უდგა მისებრ იარაღასხმული ბერი, ანჩის ეპისკოპოსი ეზრა ანჩელი.

მთელი შავშეთი ფეხზე დაეყენებიათ სამშობლოს საკეთილდღეოდ გასამხედროებულ ბერ-ფიჩოსნებს.

მაინც არ ცხრებოდნენ ბიზანტიელნი. ახლა უფრო ვერაგი, მზაკვარი და ბოროტი ჯარა დაატრიალეს ჭიპზე დედამიწისა. თურმე მხოლოდ ზოგიერთი სულმოკლე ქართველი აწნაურის ღალატი არ ყოფილა საკმარისი და ახლა ხალხის, „წვრილი ერის" მოღორებაც გაუჩარხიათ ბიზანტიელ სამართლის ჭურუმებს.

კონსტანტინოპოლს აქამდე თავს აფარებდა დემეტრე გურგენის ძე კლარჯი, რომელიც ადრე საქართველოს ტახტისთვის ებრძოდა ბაგრატ მესამეს. ებრძოდა, დამარცხდა, სიკვდილს ძლივს გადაურჩა და კონსტანტინოპოლს გადაიხვეწა. და აი, ახლა კონსტანტინე კეისარს აღმოუჩენია, რომ ბაგრატ მეოთხე საქართველოს ტახტზე უკანონოდ მჯდარა, ხოლო კანონიერი ხელმწიფე, დემეტრე გურგენის ძე, თურმე ამდენ ხანს უსამართლოდ ისჯება, „კანონიერ ტახტს" მოკლებული ამიტომ სიმართლისა და სამართლისთვის თავგადამკვდარი კეისარი ახალ ჯარებს აგზავნიდა „დიდსულოვნური დავალებით": ხალხი დაარწმუნეთ და მისი მხარდაჭერა მოიპოვეთ, რათა საქართველოში „უკანონო ბაგრატი" დაემხოს და „კანონიერი დემეტრე" აღზევდეს!

და მოუძღვა ახალ ბიზანტიურ ლეგიონებს საქართველოში „საქართველოს კანონიერი მეფე".

და თითქოს გაჭრა კიდეც ბიზანტიელთა მზაკვრულმა ქადაგებამ, მოსყიდვამ, მოპოხებამ ხელის გულისა, ტრელობამ და თითლიბაზობამ. წვრილ ერში ბევრი დაიყოლიეს ბაგრატ მეოთხის წინააღმდეგ ასამხედრებლად.

საომარ უნაგირზე აღჯდა საქართველოს ყმაწვილი მეფე. შემოიყარა ლაშქარი ჭუთათისის სამოქალაქოისა და დაიძრა სამხრეთისაკენ.

მაგრამ ზეკარზე გადასულ მეფეს სასიხარულო ამბავი შეწოაგებეს ფაიქებმა. თურმე მეფის მისვლამდე იმარჯვეს და იმძლავრეს „სვეტის" გმირებმა, საბა მტბევარმა და ეზრა ანჩელმა: ბერთა და მღვდელთა ათასეულით დახვედრიან ბიზანტიელებს კარსა კარნიფორისასა. დახვედრიან და შაოსან მხედ-

რებს შავი დღე უთენებიათ შავი გულით მოსულ მტერთათვის. ბიზანტიელთა მთავარსარდალი ნიკიტა პარაკიმომენოსი თავისი ხელით მოუკლავს ეზრა ანჩელს, ჩალიბად შერკინებაში.

ხოლო, დემეტრე, ძე გურგენისა?

ხოლო დემეტრე, ვინც მოილტვოდა „კუთვნილი ტახტისა და მიწის" დასაუფლებლად — მიწას კიდევაც დაეუფლა, რადგან იგი მოისრა და „კუთვნილ" ქართულ მიწაზე დასამიწებლად დაირეცა ხელითა რომელიღაც ბერი-მხედრისა. რომელიღაცო", იმიტომ ვამბობთ, რომ მკვლელმა სახელი არ გაამხილა. ალბათ იფიქრა, ქართველის სისხლი ჩემს უნებურად რომ დავაქციე, ეს ცოდვა დაე გაუმხელელად ედოს და სტანჯავდეს მხოლოდ ჩემს სულსო.

ბიზანტიელთაგან, ვინც სიკვდილს გადარჩენილა, უგზო-უკვლოდ გადახვეწილა.

ხოლო, გამარჯვებულნი? სად არიან ახლა საბა, ეზრა და ბერ-მონაზონ გმირთა ლაშქარი?

ახლა ისინი მტკვრის სათავეში, ახლადნაშობ თავანკარა წყალში ჩამდგარან, ტანთაგან მტრის(მაგრამ მაინც ადამიანთა) სისხლს იბანენ, სისხლის ქცევისთვის მონანიების ლოცვით ლოცულობენ და ხელახალ ნათლით ინათლებიან!..

ვედრება ოცდამეხუთე

არ ყოფილა აუცილებელი, სახელმწიფოს მეთაური ნიჭიერი და ჭკვიანი იყოს. საკმარისია ჭკვიანი და გონგამჭრიახი იყვნენ მრჩეველნი, რეფერენდარნი.

სახელმწიფოს მეთაურისთვის თურმე ისიც საკმარისი ყოფილა, ჭკვიანი და ნიჭიერი მრჩევლების რჩევას დაუჯეროს.

თითქოს ახლა მიხვდა ამას კეისარი კონსტანტინე ფუტუროლ: რატომ არავის ვკითხე, არ იქნებ ვკითხე და არ დავუჯერე საქართველოში გალაშქრების განზრახვაო.

და საქართველოში განცდილი მარცხი რომ შეიტყო, სიკვდილის წვეთაც იმ დღეებში შეიგძნო კეისარმა კონსტანტინე მერვემ.

და მას ჟამსვე მიხვდა პირველად, რომ მარტო ჭამა და კოჭის თამაში როდი ყოფილა საფიქრალი კაცისა, ვითარცა კაცისა და ვითარცა ქვეყნის ხელისუფალისა.

საფიქრალი კი ყოფილა მემკვიდრეობა კეისარ-ბასილევს-აგუსტუს-ავტოკრატორ-იმპერატორობისა.

კონსტანტინეს ღმერთმა ძე არ მისცა, საიმპერიო ტახტ-გვირგვინი მემკვიდრეობად რომ გადაეცა. მას შემდეგ, რაც დაქვრივდა და მკვდარ ცოლს საშოზე დააფურთხა, აღარც მეორე ცოლი შეურთავს და აღარც საერთოდ გაჰკარებია ქალად ნასახს.

და შემორჩა სამი შვილი, სამივე ქალი: ევდოკია, ზოია და თეოდორა.

და სამივე იყო შინაბერა, გაუთხოვარ და მამაკაცისგან გაუცადებელ.

უფროსი ევდოკია არც ლამაზი იყო და არც ნიჭიერი. ბავშვობისას ყვავილი შეჰყროდა და ართვალ ჩოფურად დარჩენილიყო. და ამიტომ ნებიერ ქალობაზე უიღბლოდ იმედგადაწურული, სახეაჩეხილი ევდოკია ახალგაზრდობის წლებიდანვე დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეცილიყო და აგერ, ეს ორმოცდახუთი წელიწადი, აღარც ქალად და აღარც სეფეასუ-ლად აღარავის გახსენებია.

მეორე, შუათანა ზოია, იმჟამად იყო ორმოცდაათი წლისა.

ხოლო, მესამე, თეოდორა — ორმოცდარვა წლისა.

ზოიას და თეოდორას, ვითარცა ქალებს, მაინც ქალები ეთქმოდათ. გვარიანად ლამაზები იყვნენ და ქალური სინორჩეც თითქოს ჯერ კიდევ შემორჩენოდათ უჭკნობელად. უფრო მაინც ზოია გამოირჩეოდა, ზოია, — რომლისთვისაც ზედწადებ სახელად „ძოწითშობილი" დაერქმია დროის ნათლიას.

და სიკვდილს მირქმეულმა კონსტანტინემ გადაწყვიტა კეისრის ტახტი და გვირგვინი ზოია ძოწითშობილისთვის დაეტოვებინა.

და ისიც ახლა გაახსენდა კონსტანტინე ფუღუროს — ზოიას, ვითარცა ქალს არც მამაკაცი აწყენდა და, მით უფრო ვითარცა ბასილისას, ბასილევსი-მეუღლე აუცილებლად სჭირდებოდა.

და მაშინვე უახლოესი რეფერენდარიი შეჰყარა სასიძოს ასარჩევად და საძიებლად.

და პირველი დაუსახელეს ვაჩე კარიჭისძე.

— მაგრამ ვაჩე კარიჭისძე ხომ ქართველია? — ამრეზით იკითხა კონსტანტინემ.

— ქართველია, მაგრამ ქართველ მეფეს განუდგა და შენ

გეახლა, ვითარცა შენი ერთგული მსახური და ბაგრატ მეფის დაუძინარი მტერი, — თქვა ერთმა.

— ანაგებაც ხელმწიფური აქვს კარიჭისძეს, სახეც, იერიც, — თქვა მეორემ.

— მძლავრი აქვს გონება, — თქვა მესამემ.

— მძლავრი მკლავი — მიაშველა მეოთხემ.

— მძლავრი ბარძაყნი, — იხუმრა მეხუთემ.

— საურველიც მძლავრი აქვსო, ამასაც იტყვით — დაიღრინა კეისარმა — მაგრამ ცით მოვლენილიც რომ იყოს, ქართველის ჯიშისას არც კეისრის ტახტთან გავატარებ, არც ჩემი ასულის სარეცელს გავაკარებ. მორჩა და გათავდა!

სხვა დაასახელეთო, ბრძანა კეისარმა ბოლოს, სული რომ მოიბრუნა „ქართული ჯიშის“ ხსენებით აბორგებულმა.

და რომელიღაცამ დაასახელა კონსტანტინე დალასინი.

— კონსტანტინე დალასინი სომეხია, არა? — იკითხა კეისარმა.

— დიახ, დიდად კეთილშობილი სომეხი.

— სომეხი კარგია. იხმეთ და მომგვარეთ, — ბრძანა კონსტანტინემ.

— ერთ კვირაში აქ იქნება, — იყო პასუხი.

— ერთ კვირაშიო? რატომ ასე გვიან? — შეშფოთდა კეისარი.

— დალასინი ამჟამად კონსტანტინოპოლს არ იმყოფება. იგი თავის ვილლაში განისვენებს, კილიკიაში.

— თავი დაანებეთ, დრო ამდენს არ ითმენს, გონება მოიჩხრიკეთ და ისეთი მოიძიეთ, აქ რომ იყოს, კონსტანტინოპოლს, და ახლავე შეიძლებოდეს მოწვევა და გაბედნიერება მისი, — ბრძანა კეისარმა ბეჭედუცვლელად.

და მოიჩხრიკეს გონება მრჩეველთა.

და თქვა ერთმა ყველაზე:

— კონსტანტინოპოლში იმყოფება რომანოს არგიროს.

— რომანოს არგიროს, ეპარქოსი კონსტანტინოპოლისა!

— დიახ, იგი.

— დიდებულია!

— ჯიშით კეთილშობილი.

— ზრდილი და განათლებული.

— თანაც, არგიროსი ჩემი ნათესავია,—იყვირა და ბალღი-

ვით გაიხარა იმპერატორმა — ბაბუაჩემს და ბაბუამისს ცოლებად ღვიძლი დები ჰყავდათ, მააააშ!

— მაგრამ არგიროსი სამოცი წლისაა, — ფრთხილად თქვა ერთმა.

— მაგრამ კარგად შენახულია.

— კარგია, კარგი.

— მაგრამ მაინც არის ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება.

— რა?

— რომანოს არგიროსი ცოლიანია.

— და ცოლი და ქმარი ერთმანეთს ისე აღმერთებენ, უერთმანეთოდ ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენიათ.

— ჰა, ჰა, ჰა! — აფრუსტუნდა იმპერატორი — ახლავე აქ მომგვარეთ!

და მოჰგვარეს რომანოს არგიროსი საღვთო კონსისტორიონში კეისარს.

და მაშინვე უთხრა სასიმამრომ სასიძოს: აირჩიე, რომელი გიჯობს — ცოლთან გაყრა, ჩემი სიძობა და კეისრის ტახტ-გვირგვინი, თუ თვალების დათხრა და ოთხში ამოღებით სიკვდილიო!

თვალების დათხრა და სიკვდილი მირჩევნია ცოლთან გაყრასო, — უპასუხა რომანოსმა სავსებით მშვიდად.

— რაო?! — ლამის გაუსკდა ბებერი ჩინჩახვი კონსტანტინეს.

შეიპყარითო, ბრძანა, და შეიპყრეს, ბორკილები დაადეს, დილეგს ჩასვეს და უმძიმესი სასჯელის მოლოდინში ჩააგდეს ხელმწიფობის დამწუნებელი.

ეს რომ რომანოსის სათნო მეუღლემ შეიტყო, მაშინვე შემოუთვალა ქმარს: ოღონდ შენ ცოცხალი გადარჩი და კარგად დარჩი და მე სულაც დავიკარგები ამქვეყნიური ცხოვრებიდანო. თქვა ეს, უმალვე სახლიდან წავიდა, სამონაზვნო სქემით შეიმოსა და სამუდამოდ ჩაიკარგა სამონასტრო სამკვიდრებელში.

რომანოს არგიროსი უკვე უცოლო იყო.

უცოლო კაცის დაქორწინება კი შეიძლებოდა.

ამიტომ იგი „გატყდა“ და დათანხმდა.

ზოია და რომანოსი დაქორწინდნენ.

მათი ქორწინებიდან სამი დღის თავზე კეისარი კონსტანტინე მოკვდა.

მაშ, ოქროს ჭიპზე დედამიწისა, ნებითა გაჩენისათა, ახალი ხელისუფალნი აღმოცენდნენ:

ბასილისა-ავგუსტა ზოია ძოწითშობილი,

ბასილევს-ავგუსტუს-კეისარ-ავტოკრატორი-იმპერატორი რომანოს მესამე, უკანასკნელი — „არგიროს", გინა „ვერცხლი".

ვედრება ოცდამეექვსე

— საქართველოსთან მტრობა არ გვარგებს, — სთქვა ბასილისა ზოიამ.

— მეც ყოველთვის აგრე ვფიქრობდი — საქართველოსთან მტრობა ნანდვილად მეგობრობით და მოყვრობით უნდა შეიცვალოს, — დაუდასტურა ბასილევსმა რომანოსმა.

ეს იყო ერთადერთი, პირველი და ყველაზე მტკიცე ერთსულოვნება და ერთაზროვნება, რაიც კი ექნებათ განგების ძალით თავმოყრილ ცოლ-ქმარს.

და ამ კეთილმა ხმამ მოატანა საქართველოში.

გიორგი ბერი ითვლებოდა: სასურველ არს საქართველოდან კონსტანტინოპოლს წვევა უზენაესისო.

და ისევ წარემართა მელქისედეკ კათალიკოსი.

ისევ დიდის პატივით შეხვდა ჭიპი დედამიწისაი საქართველოს მწყემსმთავარს.

და შეხვდა „სიყუარულითა დიდითა" რომანოს კეისარი „საყუარელ ქართუელთა" სულიერ მამას, შეხვდა და „მოსცა შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯუარნი, სამღდელმთავრო და სამღდელო სამკაული, და წარმოვიდა ქუეყანასა და სამწყსოსაე თვისსა" კათალიკოსი მელქისედეკ.

მეორე ქართული წვევა კონსტანტინოპოლს უფრო ფართო და ღრმა განზრახვებით იზრახებოდა და განიბჭობოდა ქუთათისის სასახლის კარზე. ამჯერად თვითონ დედოფალი მარიამი, დედა ბაგრატ მეფისა და ქვრივი დიდი გიორგი პირველისა, ემზადებოდა კონსტანტინოპოლს გასამგზავრებლად.

მე კონსტანტინოპოლიდან ჩამოვიტან სამუდამო მშვიდობას, კავშირსა და ერთობასო, ეუბნებოდა მარიამი ბაგრატს. და ეს იქნება ჩემი უმორჩილესი არზანიგი საყვარელი საქართველოსთვისო.

— ხოლო, პირადად შენთვის, შვილო ჩემო და მეფეო ჩემო, პატივსა კურაპალატობისასა, ვითარცა არს ჩვეულება და წესი სახლისა ჩვენისა.

მდუმარედ ისმენდა ბაგრატი.

— და კიდევ რას მპირდები, დედაო საყვარელო? — ხმა ამოიღო როგორც იქნა.

კიდევ ცოლს გპირდებიო, ფიცხლად მიაგება მარიამმა.

?!

სწორედ, და ცოლი შენი იქნება კეისრის ასულიო.

ეს კი მაინცა და მაინც აღარ გაჰკვირვებია ბაგრატს, ვინათგან არ იყო ახალი ამბავი ჭორწინებრივი მოყვრობანი საქართველოსა და ბიზანტიის სამეუფო სასახლეთა შორის.

ბიზანტია, სომხეთი და ოვსეთი — აი, სამი ქვეყანა, რომელთა სამეუფო სასახლეებთან საქორწინოდ, სამოყვროდ და სანათესაოდ მიელტვოდნენ შვილნი ქართული სახელმწიფო სასახლისანი.

თვითონ ბაგრატი ოვსის ქალზე ოცნებობდა ყმაწვილური ოცნებით. მამის ნათქვამისთვისაც მოეკრა ყური: ქვეყანაზე არა ქალს არა აქვს ისეთი ჯიშიანი ძუძუ, როგორც ოვსის ქალსაო, და კიდევ: საოცრად ჯიშიანი ნაშიერი მოსდგამს ქართველისა და ოვსის შეუღლებასო.

ამაებს ფიქრობდა ბაგრატი, მაგრამ ხმამაღლა აღარ გაუმხელია, რადგან ესეც ახსოვდა, რომ დედამისს, დედოფალ მარიამს არ უყვარდა ოვსის ქალებზე სიტყვის ჩამოგდება. არ უყვარდა, რადგან აკი ოვსის ქალმა გაუნახევრა და გაუწბილა მას ქმართან სიყვარული და სარეცელი...

და მარტო დედის ქალური გულსატკივარი კი არა, თვითონ ბაგრატსაც ეთქმოდა საყვედური ეგზომ საყვარელი მამისადმი: აკი სწორედ ოვსის ქალთან, ალდესთან ტრფიალით გაუჩინა მამამ ბაგრატს, კანონიერ უფლისწულს, უკანონო მეტოქე დემეტრე...

რად არას იტყვიო, ფიქრი გაუწყვიტა მარიამმა.

და ამოიღო სიტყვა ბაგრატმა: კარგია და საშურველი ბიზანტიასთან მშვიდობა, ერთობა და მეგობრობაო, მაგრამ ნუთუ მაინცა და მაინც მიუცილებლად მჭირდება მე, დედაო საყვარელო, მათი ნაწყალობევი კურაპალატობა და, კიდევ... სადედოფლოს მომათხოვრება?

მომათხოვრებაო?!

ეს რა საკადრისიაო, სახე გაურისხდა მარიამს, კურაპალატიც, ნობილისიმოსიც, პატრიკიოსიც, სებასტოსიც, პროედროსიც — ყოველთვის დიდ პატივად და არზანიგად ეძლეოდათ კეისართაგან ქართველ მეფეებსო.

— მაგრამ თვითონ კეისრები რად არ ატარებდნენ მაგ სახელებს — უცებ იჭექა ბაგრატმა — არ ატარებდნენ, უკვე აღარ კადრულობდნენ და მხოლოდ ქვეშევრდომებს ურიგებდნენ, ქვეშევრდომებს-მეთქი!

— ამას რად იტყვი, შვილო, მამაშენი გიორგი, ან პაპაშენი ბაგრატ, ან მამის პაპა დავით მეფეთამეფე კურაპალატი კეისრისგან ნაჩუქარ მაგ წოდებებს რომ ღებულობდნენ, განა ვისმეს ქვეშევრდომად თვლიდნენ თავის თავს?

— თვითონ, რასაკვირველია არ თვლიდნენ, მაგრამ კეისრები კი თვლიდნენ. და ასედაც არის: ის ვინც წყალობას ღებულობს, მწყალობელის ქვეშევრდომობასაც მაშინვე უნდა შეურიგდეს. თავის გონებას მაინც უნდა გაუმხილოს, რომ წყალობის ამღებელი მწყალობელის ქვეშევრდომია-მეთქი!

გაცხარებით ლაპარაკობდა ყმაწვილი მეფე.

უსაზღვრო გაკვირვებამ შეიპყრო მარიამი. ასეთი არასოდეს უნახავს ძე თვისი. აწამდე მორჩილი და თვინიერი... თითქოს ერთბაშად გაზრდილიყო და გარდასახულიყო თერთმეტი წლის ყრმა.

კრძალულად მიეახლა და მოხვია ხელი შვილს.

— ნუ აჩქარდები, შვილო ჩემო, რამეთუ ჯერ ნაადრევია წყალობის მიღებაზე უარს ვამბობდეთ და მწყალობელთან დამოყვრებასაც არ ვეძიებდეთ.

და დასძინა მცირე ხნის შემდეგ:

— დღეს ასე გვიჯობს, ხოლო ხვალ — ხვალემ გვაჩვენოს! სდუმდა ბაგრატი.

ისევ ჰქონდა დუმილის უნარი ჯერ ყრმა ხელმწიფეს.

ვედრება ოცდამეშვიდე

და გაემგზავრა დედოფალი მარიამ კონსტანტინოპოლს.

და დახვდა დიდის ზარ-ზეიმით საქართველოს დედოფალს ოქროს ჭიპი დედამიწისა.

გამორჩეული სიხარულით და სიყვარულით შეხვდნენ მარიამს ქართველები და სომხები.

ქართველები იმიტომ, რომ — მარიამი საქართველოს დედოფალი იყო.

სომხები იმიტომ, რომ — მარიამი სომეხი იყო.

და ერთად იყვნენ იმ დღეს ქართველები და სომხები, ვითარცა ერთ სისხლ და ერთ ხორც ძმანი ღვიძლისანი.

(მაგრამ — ხვალ კი იქნებოდნენ ერთად?).

კეისარი რომანოს არგიროსი და ბასილისა ზოია ძოწითშობილი საღეთო კონსტანტორიონში დიდის პატივით შეხვდნენ საქართველოს დედოფალს.

ორივე მხარემ პირობა დადო სამუდამო მშვიდობაზე, კავშირსა და მეგობრობაზე.

კავშირი მტკიცდებოდა ორივე მხარისთვის დიდად სასურველი დამოყვრებით: საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე ცოლად ირთავდა რომანოს კეისრის ასულს (პირველი ცოლისაგან), ელენეს.

რომანოსი ბაგრატს, სიძეს და ხელმწიფეს, არზანიგად უგზავნიდა კურაპალატის ზედწოდებას.

ვედრება ოცდამერვე

მოდიოდა ბიზანტიიდან მარიამ დედოფალი.

მოჰქონდა მშვიდობა საქართველოსთვის.

მოჰყავდა სადედოფლო ქართველი მეფისთვის.

ტაოში ჩაეგება მეფე ბიზანტიიდან მომავალთ.

ერთმანეთს შეხვდნენ, ბანას.

და იქვე, ბანას ტაძარში დაიწერეს ჯვარი ბაგრატმა და ელენემ.

ქუთათისს მოვიდნენ და დიდის ზარ-ზეიმით იქორწინეს.

და საქორწილო სანთიობოს კარებთან მარიამმა ელენეს აჭამა კომში. პატარძალმა კომში უნდა სჭამოსო გარდაქალწულების წინ, — უჩურჩულა დედამთილმა რძალს.

მაგრამ საბედნიერო კომშია ბედნიერებას მაინც ვერ უწინამორბედა.

არ გასულიყო თვე თაფლობისა, რომ უეცრად ყმაწვილი დედოფალი გარდაიცვალა.

და არ გასულიყო ერთი წელიწადი და ბაგრატ მეფემ მეორედ იქორწინა.

ამჯერად მან ცოლად შეირთო ბორენა — იკსთა მეფის, ურდუოეს ასული. ბიზანტიასთან მოყვრობის მოშლამ გაათამამა ბაგრატ მეფის მოიტყუე დიდაზნაურნი.

და აუმხედრეს ბაგრატს მისი ნახევარ-ძმა დემეტრე, ალდეს ნაშობი.

ანაკოფიას ჩადიოდნენ ბოღალატენი, ალდესთან და დემეტრესთან, და „იყო მათ შორის მი-და-მო საუბარი".

მაგრამ დემეტრემ ვერც მასზე გაცილებით ძლიერი ძმის წინააღმდეგ გამოსვლა გაბედა, ვერც მის დიდსულოვნურ პატიებას დაელოდა, დაჰკრა ფეხი და კონსტანტინოპოლს გადაიხვეწა.

და, თავშესაფრის საფასედ დემეტრემ ციხე-ქალაქი ანაკოფია კეისარს შიართვა.

და, ამნაირად, ისევ ჩამოდგეს ბიზანტიელებმა ფეხი აფხაზეთს.

ხოლო, ქართველთა მეფეს ანაკოფიისთვის ჯერ არ სცალოდა.

ვედრება ოცდამეცხრე

რანის სატახტოში — განძაში, მაშინ ისევ ამირა იჯდა, სახელად ფადლონ.

ოცი წლით ადრე ბაგრატ მესამემ, ბაგრატ მეოთხის ჰაპამ, ქართული მიწების შეწუხებისათვის სასტიკად დაამარცხა და დახარკა განძის ამირა.

აწლა კი ისევ გამძლავრდა და შემოუტია ქართულ სამანებს ფადლონმა.

ბაგრატ მეფემ ბრძოლად გამოსვლა უბრძანა ლიპარიტ კლდეკარელსა და იოანე აბაზაისძეს. და ამათაც შემოიყარეს ლაშქარნი.

ბაგრატმა დამხმარედ უხმო კახეთის მეფეს კვირიკეს, და ისიც წამოვიდა კახთა ჯარით.

მეფემ ტფილისის ამირაც, ჯაფარ ალის ძე გაიწვია ფადლონთან საომრად. ჯაფარს ქართველ მეფესთან წაკიდება ხელს არ აძლევდა და ისიც აღჯდა სალაშქრო ცხენზე.

ბრძოლა მოხდა ეკლეცთან.

სასტიკად დამარცხდა განძის ამირა.

ქართველებმა „გააქციეს ფადლონ და აუწყვიდეს ლაშქარი, აიღეს აგარი და განძი ურიცხვი. ამიერიდან სიკუდილამდე შეჰავდა ფადლონ".

ვედრება ოცდამეათე

არ ავიწყდებოდა ბაგრატ მეფეს მისი მოძღვრის, გიორგი ბერის დანაბარები:

ტფილისი — თავი საქართველოსი,

ქუთათისი — გული საქართველოსი,

მცხეთა — საფეთქელი საქართველოსი.

და იყო ოთხასი წელიწადი საქართველო უთავოდ, ანუ უტფილისოდ.

და ამოიჩრა გულს განაზრახი ბაგრატ მეოთხემ — უცხო უღლისგან დაუღლული ტფილისის დახსნა.

მაგრამ ტფილისის ამირა ჯაფარ-ალის ძე აკი მისი მოკავშირე იყო ფადლონთან ბრძოლაში. ჯაფარმა, ტომით არაბმა, ქართველის საკეთილდღეოდ თვისტომი გაიმეტა და ახლა ბაგრატს სიკეთე მტრობით როგორ უნდა გადაეხადა და გუშინდელი მოკეთის წასახდენად დღეს მახვილი როგორ ამოეწვადა?

მაშინ საკუთარი ხელის გაუსვრელად და სამოკავშირეო სიტყვის გაუტეხლად განიზრახა ბაგრატ მეფემ ტფილისის დახსნა. და იხმო მან ლიპარიტ ბაღვაში და იოანე აბაზა-სძე. იხმო და განაზრახა: იქნებ ისე მოახერხოთ, ჯაფარ ამირა ტფილისს განაშოროთ და ხმაც ისე დააგდოთ, მე ამ განზრახვისა არაფერიც არ მცოდნებოდესო.

ბაღვაშმა და აბაზაისძემ მეფის საბრძანები იტვირთეს და აღსრულებასაც შეუდგნენ.

მუხათგვერდს მიეიდნენ მცირე ამალით და ტფილისს კაცი გაგზავნეს ჯაფარ ამირასთან. მოსალაპარაკებელი რამ გვაქვს, მოდი და მოვილაპარაკოთო, — შეუთვალეს.

ჯაფარმა ღალატის გერში ვერ აიღო და გულდანდობილად შეხვდა მაწვევრებს.

და ის იყო, საგანგებოდ გამართულ კარავში ფეხი შედგა,

რომ ერთბაშად ლიპარიტ ბაღვაშის მცირე სტვენაზე ქართველები ჯაფარს წაესივნენ, მიწას გააკრეს და ხელ-ფეხიც შეუკრეს.

— ღალატი, ქართველებო, ღალატი?! — იყვირა ჯაფარ ამირამ — ვაშა თქვენს სულსა! მე არაბი ვარ და მიღალატეთ, მაგრამ მადლობა ალლაჰს, ქართველებმა ერთმანეთის ღალატი უკეთ, უფრო სრულქმნილად იცით. ჩვენ თუ ვერა, ჩვენი შვილები მაინც მოესწრებიან, როგორ დასჭრიან ქართველები ყელებს ერთმანეთს!

ქართველებმა არაბის ძახილს ყური არ უგდეს.

მაშინვე ქართველთა ჯარი ბირთვისის ციხეში შევიდა.

ბაღვაშისა და აბაზაისძის ეს გამარჯვება დანარჩენ დიდაზნაურთ გულზე ეკლად დაესოთ, და შეუჩდნენ ბაგრატს: საკადრისი არ არის ეგზომ მუხანათური გზით შენივე მოკავშირისა და მოკეთის გამეტებაო. ან ვის დააჯერებ, რომ ბაღვაშმა და აბაზაისძემ ეს უკადრისი საქციელი შენი ბრძანების გარეშე გაბედესო. ამიტომ, სანამ უარესი არ მომხდარა, ამირა გაათავისუფლე და ისევ ტფილისში გაუშვიო.

ეს რჩევაც იყო, თხოვნაც და მოთხოვნაც.

და ბაგრატ მეფემ ბაღვაშისა და აბაზაისძის მოქცევა თვითნებობად გამოაცხადა, ჯაფარ ალის ძეს ბორკილები აჰყარა და ტფილისს გაუშვა, ისევ ამირად, ისევ ტფილისის ბატონ-პატრონად.

საქართველო ისევ უთავოდ, გინა უაზროდ დარჩა.

ვედრება ოცდამეთერთმეტე

ახლა გონება მოვიცვალოთ და ისევ გიორგი ბერთან დავბრუნდეთ.

გიორგი ისევ კონსტანტინოპოლს იყო.

ერთ დღეს იოანე მავროპოდის სხოლაში ახლად შემოსულ ყმაწვილთა წინაშე ქადაგებდა გიორგი.

იდგა, მეტყველებდა და საკვირველი გრძნება და ჯადო მოჰყვებოდა მის ყოველ სიტყვას, ყოველ ლოგოსს.

და როცა დაასრულა, წამოდგა ფეხზე ყმაწვილი ერთი და შესძახა გიორგის:

— შენ რომ გისმენ, ოლიმპიელო, მხოლოდ ამ ერთ სანა-

ტრელს ვნატრობ! ან მე ვიყო ქართველი, ან შენ ბერძენი!

— ცამჯობინოთ ვიყოთ რაც ვართ და ვიყოთ ერთად, — წამსვე უპასუხა გიორგიმ კეთილი ღიმილით.

— ნანდვილვე ხარ ოლიმპიელი, განმაბრძნობელო!

— ?!

— სწორედ შენებრი რიტორი დიდოსტატი უნდა ყოფილიყო პერიკლე ათენელი, რომელსაც ათენში ეძახდნენ ოლიმპიელს.

— ?!

— ოდეს პერიკლე მეტყველებდა, არ იძვროდა არცერთი ნაოჭი მისი სამოსელისა, არცერთი ნაკვთი მისი სხეულისა, და იძვროდნენ ოდენ ბაგენი, საიდანაც იგი აფრქვევდა ელვასა და მეხს, ვითარცა ზევსი ოლიმპიელი.

— რა გქვია, ძმაო, შენ? — ჰკითხა გიორგიმ, მცირედ შეცბუნებულმა.

— მიქელ პსელლოს.

— მაშ, გამარჯვება, მიქელ პსელლოს!

და ხელი გაუწვადა გიორგიმ.

და უცებ ემთხვია ხელზე ყმაწვილი იგი.

— განა, ამისთვის? — იწყინა გიორგიმ, ხელი გამოსტაცა და თავზე დაადო მცირე დახანებით.

— ეს ამბორი შენს სულთან მაახლოებს და ამის ნებას ნუ წამართმევ, განმაბრძნობელო, — შესთხოვა მიქელმა.

— მადლობელი ვარ, კეთილო ყრმაო.

— საოცარია შენი ლოგოსი, — არ ცხრებოდა მიქელ პსელლოსი — თუმცა ქადაგება შენი იყო წმინდა ღვთისმეტყველება, მაგრამ ღვთისმეტყველება განფენილი და განშვენებული ფილოსოფიით.

— ფილოსოფია და ღვთისმეტყველება უჩემოდაც განაშვენებენ ერთიმეორეს.

— ფილოსოფია წმენდს გონებას. ხოლო შენი ლოგოსი ჩარხავს, აღაგზნებს და აფიცხებს სულსა კაცისასა.

— განწმენდა, გამდიდრება და გაბედნიერება გონებისა მაინც იწყება ღვთისმეტყველებით.

— ღვთისმეტყველება ღვთისა არს, მაგრამ ფილოსოფიაც ღვთაებრივი მგონია მე.

— ღვთაებრივი არის მხოლოდ ის, რაიც თვითონ ღვთაებისაგან წარმოიშვის.

— ?!

— და ყოველი, რაიც წარმოიშვის ადამიანის გონებისგან, არის მხოლოდ ადამიანური. ასევე ჩვენი საყვარელი ფილოსოფიაც არის ოდენ ადამიანური, რადგან ფილოსოფოსობა ღმერთს არა სჭირდება.

მერე, მოწაფეები რომ წავიდ-წამოვიდნენ, გიორგიმ ცალკე გაინაპირა და დიდხანს ესაუბრა მიქელ პსელოსს.

ყრმა იყო ძლიერი გონებისა. იგი სრულმწიფარი გააზრებით გაიაზრებდა ჰომეროსის ორივ პოემას, მის ყოველ ადგილს, ყოველ სტიხონს, ყოველ ლოგოსს.

ჰომეროსის ლოგოსთა განსჯა ცხრა წლის ასაკშიც შემეძლო, თქვა მიქელმა.

— განსჯანი შენი გონებისა არ ეთანხმება შენს გვარ-სახელს, — ღიმილით უთხრა გიორგიმ (რამეთუ „პსელლოს“ ენაბრგვილად და ბუნდოვნად მოლაპარაკეს ნიშნავდა).

— არამცთუ მხოლოდ მე, არამედ შენი ლოგოსის ყოველ მოსმინარს შეშვენის „პსელლოს“, — წამსვე შეაგება მიქელმა.

გვიან ღამემდე ამაშვრალეს და აოფლეს გონება ჰომეროსზე.

— ჰომეროს! ამ სახელზე დიდი სახელი არ მოსწრებია კაცთა მოდგმას, — შესძახებდა აღტაცებული მიქელ პსელლოსი ჟამჟამეულად და ბოლოს დაბეჭდავდა: არც მოსწრებია და არც მოესწრება!

— იქნებ მიწიერ კაცთა მართლაც არ მოსწრებია, მაგრამ ხომ შეიძლება მოესწროს?

— როგორ, განმაბრძნობელო, მსგავსი ჰომეროსისა? — გაუკვირდა მიქელს.

— არამცთუ მსგავსი, შესაძლოა უფრო დიადიც.

— ნუთუ ეს შესაძლებელია?

— რატომაც არა? კაცობრიობას ახლა ამშვენებს სახელი „ჰომეროს“, მაგრამ იგივე კაცობრიობის წიაღშივე ოდესმე შეიძლება დაიბადოს „ჰომერიკოტატოს“.

— ჰო-მე-რი-კო-ტა-ტოს, — დამარცვლა გაოგნებულმა მიქელმა.

„ჰომერიასიდან — უპირველესი“ — გაუელვა გიორგის ქართული ფიქრთმეტყველებით.

(„უსინათლოესი“ — ესეც გაახსენდა, მუდამ მ ი ს კ ე ნ რომ მიელტვოდა გონება მისი).

— ჰომერიკოტატოს! — კვლავ გაიმეორა მიქელ პსელლოსმა და მაღმერთებელი მზერით მიაპყრო თვალი „იბერიელი ოლიმპიელის“ ჯვაროსან შუბლს.

— დიახ, ვინ იცის, ვის ელოდება მომავალში კაცობრიობის სიტყვათა და აზრთა სარბიელი! — დაასრულა გიორგიმ.

ბოლოს, მოსეირნენი აია სოფიას რომ გაუსწორდნენ, გიორგიმ მიქელი შეაჩერა, წინ დაუდგა, ორივე ბეჭზე ორივე ხელი დაადო და უთხრა მტკიცე ხმით:

— ხოლო შენ ამინ გეტყჳი, მიქელ პსელლოს, — შენ იქნები შენი ქვეყნის ჰომერიტატოს!

— არა ღირს ვარ, განმაბრძნობელო! — შეჰღაღადა მიქელმა და მუხლი მოირთხა.

— ადექ! — უბრძანა უმალვე გიორგიმ.

ყმაწვილი წამოდგა და კვლავ კრძალვით გაუსწორა თვალი მოძღვარს.

და ახლა ეს უთხრა გიორგიმ: კარგი რამ არის განსჯანი მიმართ ჰომეროსისა, მაგრამ ჰომეროსი იყო მაინც კაცი კაცთაგანი.

— ღვთაებრივი კაცი კაცთაგანი, — ჩაურთო პსელლოსმა.

— მაგრამ მაინც მიწისაგანი.

— ღვთაებრივი მიწისაგანი, — არ ი'შლიდა თავისას მიქელ პსელლოსი.

— მაგრამ შემოქმედნი მისი, დედაც და მამაც, ორივე იყო „ანთროპოტოკოს“ — „ადამიანის მშობელი“, — არ უთმობდა აღარც გიორგი.

— მაგრამ თვალით ხილული და ხორცსხმული ვინ ყოფილა, რომლის მშობელსაც დაერქმეოდა „თეოტოკოს“ — „ღმრთის მშობელი“?

— ასეთი იყო იესო, მაცხოვარი ჩვენი.

— იესო, მაცხოვარი ჩვენი, — გაიმეორა გრძნებით პსელლოსმა და დადუმდა.

დუმილი გახანიერდა და გაჟამიერდა.

— მიქელ პსელლოს, — დაიწყო ისევ გიორგიმ — ვგრძნობ,

სული შენი უფრორე დატვირთულია სულიერი სამყაროითა ქრისტემდელითა, ვიდრე ქრისტეს შემდგომითა და ქრისტესმიერითა.

— მაგრამ თვითონ განსაჯე, ბრწყინვალეო განმაბრძნობელო, — ქრისტეს შემდგომმა ჟამთსარბიელმა ათას წელიწადს გადააჭარბა და ამ ათასი წლის წიაღში განა დაბადებულა თუნდაც ერთი ვინმე ისეთი, ვინც ქრისტეს შობამდე ნაშობ ჰომეროსს, პლატონს, დემოკრიტეს, არისტოტელეს შეედრებოდეს?

— მაგრამ, ღმერთი?

— ?!

— გრძნობა ღვთისა და ცნობა ღვთისა?

— ?! — ისევ ვერ გაეგო მიქელ პსელლოსს, რა გააზრებით ეკითხებოდა გიორგი.

— ყური მიგდე, ძმაო უმრწემესო, — დაიწყო ისევ გიორგიმ — წინდაწინ გეტყვი; ჭეშმარიტი ღმერთი ადამიანმა ქრისტეს შემდგომ და ქრისტეს მეოხებით აღმოაჩინა.

ქრისტემდე ადამიანი ღვთის სახიერებასაც ვერა ჰხედავდა.

ქრისტემდე ღმერთი ოდენ ბუნების მრისხანე სტიქიონში ეცხადებოდა ადამიანს — უხილავი ქარის გრიალში და ხილული წყლის მდინარებაში, უხილავი ჰაერის სინოტივეში და ხილული ცეცხლის მხურვალებაში.

და იყო მხოლოდ შიში ღმერთის წინაშე და არ იყო სიყვარული ღმერთისადმი.

და იყო ღმერთი საშინელი და არა საყვარელი.

და იყო მსხვერპლის წირვა და მათ შორის შეწირვა თვით ადამიანისა, ღმერთის მრისხანების დასაცხრომად და გულმოსაგებად.

და ამიტომ ძველ მოძღვრებათა ყოველ ლოგოსში, ყოველ სტიხონში არს მოწოდება — „გიყვარდეს, გიყვარდეს, გიყვარდეს ღმერთი!“

ხოლო, მრავალგზისი მოწოდება სჭირდება იმას, რაიც არა არს, რაიც არ გჯერა, რაიც არა გწამს.

მრავალგზისი მოწოდება სიყვარულისა გჭირდება მაშინ, როცა არა გაქვს სიყვარული, არამედ სიყვარულის ნაცვლად გაქვს შიში, მხოლოდ შიში.

და ოდეს გაიძახი — „მიყვარს!“, ეგ სიტყვა შრება მხო-

ლოდ ბაგეზე, გულს კი ვერ აღწევს და გულს არ უყვარს, არამედ გულს მხოლოდ ეშინია, და მხოლოდ შიშის გამო იძახის გული — „მიყვარს, მიყვარს“...

და ძახილი ესე არის ძახილი მონისა.

და, ამინ გეტყვი შენ: ქრისტეს წინარე ადამიანნი არიან მ ო ნ ე ბ ი ღვთისა და არა შ ვ ი ლ ე ბ ი ღვთისა.

კაცობრიობამ თავისი არსებობა დაიწყო შიშით და არა სიყვარულით და მას შემდგომ, რასაც იგი სიყვარულს ეძახდა, ისიც იყო ნაშიერი მხოლოდ შიშისა.

სივრცესა და დროში შიშით მოათრევდა იგი თავის არსებობას — შიშითა შიმშილისა, შიშითა მწყურვალებისა, შიშითა სიცივისა, შიშითა მცხინვარებისა და ბოლოს, შიშითა სიკვდილისა გარდუვალითა.

ადამიანი არის შვილი სიკვდილისა, ხოლო სიკვდილის შვილობამდე — შვილი შიშისა.

არ არსებობს არა სიტკბოება და ნეტარება კაცის წუთისოფლისა, შიშსა და ძრწოლას რომ არ ემონებოდეს.

და ვიდოდა ასე, მარადჟამს, საუკუნითგან საუკუნემდე ცხოვრება კაცისა, ეშმასაგან ცთომილისა, ცთომილებისთვის კი ღმერთისგან დასჯილისა. ხოლო სასჯელი: მოპოება ჭირის ოფლით ნაწვიმარი ღუმა პურისა, ლმობა სულისა, ლმობა სხეულისა, ლმობა მშობიარობისა, და ტანჯვა გაადამიანებისა, რამეთუ შობითგანვე ადამიანი არა იშვას ადამიანად.

და იყო შიში, ოდენ შიში და კიდევ — სვლა სიკვდილისკენ, დაბადებითვე სვლა სიკვდილისკენ, სვლა აკვნიდან კუბომდე, მხოლოდ და მხოლოდ.

ი წ ყ ე ბ ო დ ა აკვნიდან და თ ა ვ დ ე ბ ო დ ა კუბოს ფიცართან.

თ ა ვ დ ე ბ ო დ ა — მეთქი!

იყო სიკვდილი, იყო ხრწნადობა და ამით თავდებოდა ყველაფერი.

თავდებოდა-მეთქი!

და არ იყო ხსნა, არამედ იყო ოდენ შ ი შ ი.

და რაისადღა ჰღირდა საწუთისოფლო საცხოვრისი ადამის ძისა, უკეთუ იყო ოდენ ტანჯვა, ოდენ შიში და ოდენ სვლა სიკვდილისკენ?

და გეტყვი ამინ! დიახაც ჰღირდა, — ჰღირდა, რამეთუ

ადამიანის წუთისოფელს განკურნელად თან სდევს ი მ ე დ ი,
ანუ ს ა ს ო ე ბ ა.

იმედი ხვალისა.

იმედი უმჯობესისა.

იმედი დახსნისა.

იმედი მოპოებისა.

იმედი ღმერთისა, ღმერთის გულის მოგებისა, ღმერთისგან პატიებისა, ღმერთთან მიმთხვევისა, ღმერთთან შეერთებისა.

და ი მ ე დ ი ი ყ ო მ ე ს ი ა, მხსნელი ღვთაებრივი.

და ი მ ე დ ი ი ყ ო თ ვ ი თ ო ნ ღ მ ე რ თ ი.

ათასი წელიწადი გაიძახის კაცობრიობა სიტყვასა მარად წმიდასა, უკვდავსა და სალოცავსა: „პირველითგან იყო სიტყუაი, და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“.

და მგონია მე ურყევად და უცვალებელად: სიტყვასა მასში, სიტყვასა ღვთაებაში, იყო ი მ ე დ ი, ს ა ს ო ე ბ ა.

ესეც გაიხსენე შენ, მიქელ პსელლოს, წიგნიდან „შესაქმისა“: „და თქუა ღმერთმან ვ ქ მ ნ ე თ კაცი ხატად და მსგავსად ჩ უ ე ნ დ ა“... აჰა შეხედე — „ვქმნათო“, „ჩუენდაო“ — მრავლობითობით ამბობს ღმერთი. მაშ, იგი, ოდეს სამყაროს ქმნიდა, არ იყო მარტო, არამედ იქვე, გვერდით ჰყავდა მოთათბირე, მოკავშირე, თანამოაზრე. და ეს არის ლოგოსი, გინა სიტყვა, გინა სიბრძნე, მაგრამ იგი არის იმავდროულად — იმედი, იმედი-მეთქი.

და ქრისტეს წინარე ყოველი მოძღვრება — ძველი აღთქმა და ყოველნი აღმოსავლურნი, ბერძნული ფილოსოფია და ბერძნული მისტერია — იყო მრავალსაუკუნოვანი სამზადისი ლ ო გ ო ს ი ს ა და ი მ ე დ ი ს ხორცშესხმისა.

და ყოველი მოძღვრება ღვთაებისა, ლოგოსისა და იმედისა — ეგვიპტური და შუამდინარული, ინდური და ჩინური, ჰებრაული და სპარსული, ბერძნული და რომაული — იყო მხოლოდ ცალკე ხალხისა, ცალკე სახელმწიფური, კარდახშული და გამოკეტილი.

და იყო ღმერთი იმდენი და ღმერთმეტყველება იმდენი, რამდენიც იყო ცალკე ხალხი და ცალკე ქვეყანა.

და მსოფლიო ცოდვისგან ხელდარეული მსოფლიო კაცობ-

რიობა მიელტვოდა ერთი ღმერთისკენ, ერთი ღმერთმეტყველებისკენ, ერთი ლოგოსისა და იმედისკენ.

და აჰა, ესერა, დაიბადა იგი, ხორცსხმული ღმერთი, ლოგოსი, იმედი და სასოება კაცობრიობისა.

დაიბადა იგი, ვისზედაც ორკეცად იყო მთელი სამყარო უსასრულო დროისა და სივრცის წიაღში.

და სახელი მისი — იესო ქრისტე.

ანუ — მოძღვრება ხსნისა.

ანუ — მოძღვრება სიყვარულისა.

ანუ — მოძღვრება აღდგომისა.

ანუ — მოძღვრება უკვდავების.

მოვიდა იგი, მოვიდა და ასწავლა კაცობრიობას ცხოვრება ჭეშმარიტი.

ასწავლა მოწანიება და განწმენდა ყოველი ცოდვისა და საცთურისაგან.

და ასწავლა აზრი ყველაზე თავადი და უთავადესი ყოველთა აზრთა ზედა: შენი ცხოვრება, ადამიანო, არის არა სამზადისი სიკვდილისა და არა გზაი სიკვდილისკენ, არამედ — გზაი უკვდავებისკენ.

დიახ, უკვდავებისაკენ!

ხოლო გზა იგი, გზა უკვდავების, არის უმძიმესი. უმძიმესი, რამეთუ ადამიანმა უნდა დაითრგუნოს ათასეული წლების განმავლობაში გულს თანდაყოლილ სნებად შემორჩენილი სიძულვილი და მის სანაცვლოდ გულს დაიმკვიდროს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი.

სიყვარული, მხოლოდ სიყვარული.

რამეთუ გზაი უკვდავებისკენ გაივლის მ ხ ო ლ ო დ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ზ ე.

უმძიმესი გზა არს-მეთქი გზა ესე, გითხარი მე შენ, უმძიმესი, რადგან გული ადამიანისა ათასეულ წელთ სარბიელზე სიძულვილს უფრო შეეთვისა, ვიდრე სიყვარულს. სიძულვილი დაიჯიშა, დაიჯიშა-მეთქი ადამიანმა!

მაგრამ სხვა გზა არ არსებობს უკვდავებისკენ, თვითწიერ დაჯიშებული სიძულვილის აღმოფხვრისა და მის ადგილზე სიყვარულის ჩანერგვისა და ჩამკვიდრებისა.

და, რამეთუ განიწმინდონ ადამიანნი აწამდე თავდაუხსნელ მსოფლიო ცოდვათაგან — კაცად მოვლენილი, ღმერთი-მაცხო-

ვარი თვითონ კისრულობს ავიდეს და ეწამოს ჯვარზე კაცობრიობის სამაგიეროდ.

და, აჰა ესერა, ეწამა იგი და კაცობრიობა განწმენდილია!

მაგრამ ვაი შენ, ადამიანო, უკეთუ შენთვის დათხეული სისხლი ღვთაებისა უფასურ ჰყავ და ისევ ჩაეფეთ და ინგორე სანგორელსა ცოდვისასა და მწვირისასა!

ვაი, უკეთუ დაივიწყო, რომ შენ, მოარული თიხა და ფერფლი, ქრისტემ შვილობილ გყო ღმერთისა უზენაესისა.

და მიერითგან, ადამიანო, ჩოარულო თიხავ და ფერფლო, შენ ხარ შვილი ღვთისა და ძმა უსაყვარლესი და უსათნოესი ძისა ღვთისა თვითონ ქრისტესი.

გითხარი მე შენ, ქრისტემდე არ არსებობდა-მეთქი ძალა კაცობრიობის ცოდვათაგან დახსნისა.

იყო სრულად უკმარი და უსაზომო წირვა მსხვერპლისა, კვლა და სისხლის ქცევა ცხოველისა სამსხვერპლოისა და თვითონ ზორვად დაკლული ადამიანისა.

და თვითონ ღმერთი გარისხებდა შენ პირითა ესაია წინასწარმეტყველისა: „რად მინდა სიმრავლე მსხუერპლთა თქუენთა, რამეთუ სავსე ვარ მე ყოვლად დასაწველებითა ვერძთა, და ცმელთა კრავთათა, და სისხლი კუროთა და ვაცთა არა მნებავს". და იქვე: „არცა მოხვიდეთ ჩუენებად ჩემდა, ვინ გაჰოითხოვა ესენი ხელთაგან თქუენთა დათრგუნვად ეზოისა ჩემისა?" და კიდევ: „ნუღარ მოიტანთ სამინდოთა ამაოთა, რაბეთუ საძაგელ არს ჩემდა საკმეველი თქუენი, ახალ თუენნი თქუენნი, და შაბათნი, და დღე დიდი არა თავს ვიდვა. მარხვა და უქმობა, და დღესასწაულნი თქუენნი, ძულან სულსა ჩემსა, მექმნენით მე სიმაძღრედ არღა მერმე ულხინო ცოდვათა თქუენთა". და ისევ, იქვე: „ოდეს განიპყრნეთ ხელნი თქუენნი ჩემდამო, მივაქცინე თვალნი ჩემნი თქუენგან, და უკეთუ განამრავლოთ ვედრება, არ შევისმინო თქუენი რამეთუ ხელნი თქუენნი სისხლითა სავსე არს!"

მსხვერპლად დარეცილი ხორცი და დაქცეული სისხლი ვერ აჭარწყულებდა ცოდვას მომაკვდინებელსა და არას შეელოდა აღსრულებას კ ა ნ ო ნ ი ს ა ს.

ხოლო კანონი ძველი აღთქმისა, ანუ „კანე", და ყოველი კანონი ქრისტემდელი, იყო ოდენ წინასწარი მომზადება კაცობრიობისა ქრისტეს მოძღვრების მისაღებად — მოძღვრებისა,

რომელიც ჭადაგებდა უკეე არა მსხვერპლსა და კა-
ხონს, არამედ თავისუფლებასა და სიყვარულს.

ქრისტეს მოძღვრებაში სისხლიან მსხვერპლთა ზორ,ას ცვლის უსისხლო ევხარისტია, ხიარება პურით და ღვინი.ი, რაითაც ადამიანი ეზიარება თვითონ ქრისტეს სამყაროულ თვითშეწირვას.

და კანონი ქრისტემდელი — ქრისტეს მიერ შეცვლილია თავისუფალი სიყვარულით. ასე არს, ვინათგან ღმერთს არ ჭირდება (აკი თვითონვე თქვა უარი) ცოცხალ სულდგმულთა (მისგანვე სულდგმულთა) დაკვლა და წამება, არამედ მხოლოდ ადამიანის თავისუფალი სიყვარული, ანუ თავისუფალი შეერთება ადამიანურისა ღვთაებრივთან.

შეჩერდა გიორგი.

იდროვა მიქელ პსელლოსმა და ჩაურთო უცებ:

— მაგრამ მოძღვრება ქრისტესი მრავალწილ თვით ქრისტემდე ქადაგებულ არს თითქმის ყოველ ადრინდელ ნამოძღვრევში — ანუ ინდოელ ბუდასთან, ანუ სპარსელ ზოროასტრთან, ანუ ჰელინ სოკრატესთან, ანუ ჰაბირუელ მოსესთან. არა კაც კლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილსწამო, და ყოველნი მცნებანი ათნი, განა ნარუქად, გინა თავდაპირველად, ქრისტემდე მოსემ არა თქვა?

— ნარუქი მაინც იესო ქრისტეა, — ნასწრაფევად მიუგო გიორგიმ — ამინ გეტყვი შენ, მოსემ ის ათი მცნება მხოლოდ კანონად თქვა, ხოლო კანონი მხოლოდ შიშით ცდილობს კაცთა შორის ზნის დანერგვას. ქრისტემ კი ყოველი საზნეო მცნება გარეგანი შიშიდან შინაგანი სულის განუყოფელ ნაწილად აქცია, როცა თქვა: არამცთუ კაცი ჰკლა, არამედ გულშიც რომ კაცის სიკვდილი იდუმალ სურვილად დაგრჩეს, მაშინაც მკვლელი ხარ; არამცთუ იმრუშო, გულიც რომ გითქმოდეს, მაშინაც მრუში გქვიაო, და სხვა მცნება ყოველი მაცხოვარმა ჩვენმა ადამიანს სულში ჩაუსახლა-მეთქი სულის ნაწილად. ის ვინც მხოლოდ კანონის ძალიდან მომდინარე სასჯელის შიშით არ მოჰკლა კაცი, მაინც მკვლელია, რადგან მკვლელობის ცოფი მაინც სულში დაუმარხია. ამიტომ მხოლოდ მოყვასის წრფელ სიყვარულს ძალუძს აღმოფხვრას შენი სულიდან სიძულვილით დაჯიშებული სურვილი მკვლელობისა, მრუშობისა, ქურდობისა, ცილისწამებისა, შურისა... შურისა, რომელ

არს წუხილი მოყვასისა კეთილსა ზედა, ვითარ იტყოდა განშვებულად ბასილი დიდი კესარიელი.

— ბასილი კესარიელი? — უცებ ჩაეკრა მიქელ პსელლოსი — მართლაც რომ მშვენიერია: „შური მწუხარებაი არს მოყვასისა კეთილთათვის, აშისთვისცა მოშურნესა არა ოდეს დააკლდების მწუხარებაი და ჭირი“.

— და კიდევ — გადააბა გიორგიმ — „ვითარცა გესლი რკინასა, ეგრეთვე შური სულსა შესშამს და განპლევს“.

— და ბასილი კესარიელი ქართველი იყო, არა?

— ?!

ამას არ მოელოდა გიორგი.

— ქართველი? მე ამაზე არასოდეს მიფიქრია, — თქვა გიორგიმ.

— მე კი ასე გამიგონია, რომ ბასილი კესარიელი ქართველი იყო, — გაიმეორა პსელლოსმა — კაპადოკიელი, ანუ პონტოელი ქართველი, ისე ვითარცა ბასილის ძმა, დიდი გრიგოლ ნოსელი და კიდევ — დიდი გრიგოლ ნაზიანზელიც.

გიორგი სდუმდა, პსელლოსი კი განაგრძობდა:

— სწორედ: დიდი ძმანი ბასილ და გრიგოლ და მათთან დიდი გრიგოლ ნაზიანზელიც ისეთივე კაპადოკიელები იყვნენ, როგორც თქვენი განმანათლებელი ნინო კაპადოკიელი.

და სანამ გიორგი რამეს იტყოდა, ესეც დასძინა მიქელ პსელლოსმა:

— და ევაგრე პონტოელიც ქართველი უნდა ყოფილიყო.

— მაგრამ კაპადოკიელობა და პონტოელობა ყოველთვის ქართველობას როდი ნიშნავს, ძმაო ჩემო და მეგობარო ჩემო, — ხმა ამოიღო გიორგიმ.

— ყოველთვის არა, მაგრამ მაინც უმეტეს წილად კაპადოკიელები და პონტოელები ხომ ქართველები იყვნენ და არიან?

— კაპადოკიაში ქართველებს გარდა ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ბერძნებიც, სომხებიც.

— მერე და რაო, — ექვსას ორმოცდაათი წელიწადი გავიდა ძმათა ბასილ და გრიგოლ პონტოელთა წუთისოფლიდან და, სომხები რომ ყოფილიყვნენ, მათ სომხობას ამდენ ხანს უთქმელს დატოვებდნენ სომეხი ჟამთააღმწერელნი? მერე, ბასილიმ რომ სატალელ სომხებს ეპისკოპოსად თავისი ნათესავი გაუგზავნა და თან შეუთვალა — თქვენთვის უცხო კაცს კი

გიგზავნით, მაგრამ დიდად ღირსეულს გიგზავნითო, შეიძლებოდა ასეთი რამე სომხებისთვის სომეხს შეეთვალა?!

უტყუარს ამბობს ეს ყმაწვილიო, — გაუელვა გიორგის.

— სომეხმა რომ სომხად არ დაიჩემა და არც ბერძენი იჩემებს ბერძნად, თუნდაც ამიტომ უნდა ვიშუამდგომლოთ, რომ ეგ დიდი ძმანი ღვთისმეტყველნი იყვნენ ქართველნი, პონტოს დიდგვაროვან ქართულ ოჯახში დაბადებულნი და ღვაწლად კაპადოკიას განსახლებულნი. და კიდევ, მაგ პონტოურ-ქართული ოჯახიდან იყვნენ დიდი პეტრე ეპისკოპოსი და სამი ქალი წმინდანი — ემილია, მაკრინა და თეოზევია, — არ ცხრებოდა მიქელ პსელლოსი.

— ის კი არა და, კიდევ ვამბობ, გრიგოლ ნაზიანზელიც კაპადოკიელი ქართველი იყო-მეთქი, ევაგრე პონტოელიც ქართველი.

გიორგი კი ისევ სდუმდა და თითქოს კიდევაც ერცხვინებოდა, რად არ ვიგრძენ და ვიაზრე ბიზანტიის წიაღში მოღვაწე ქართველთა ნუსხაში შემეყვანა ყველა ისინი, რომელთა ქართველობას ახლა ეს ბერძენი ყმაწვილი მე, ქართველს, მიმტკიცებს და მაძალებსო.

თითქოს ნაფიქრალს მიუხვდა მიქელ პსელლოსი და უთხრა გიორგის კნინღა მუდარით, კნინღა მუქარით:

— შეიწყნარე, განმაბრძნობელო, შეიწყნარე და შეიფარე შენი კალმის ქვეშ ბიზანტიაში მოღვაწე ქართველნი, თორემ მალე აღარც ქართველად შემორჩება ჟამთა სვლას მათი სახელი, აღარც ბერძნად.

— რა გაეწყობა, — თქვა გიორგიმ რაღაცნაირი სიმძიმილით — აკი თვითონვე გაურბოდნენ წმინდა მამანი საკუთარი პიროვნებისა და ტომობრივი წარმომავლობის გამხელასა და წარმოჩენას. გრიგოლ ნოსელი ამბობდა კიდეც თავისი ძმის, ბასილი დიდის შექების ჟამს: ხორციელ საქმეთა გამო მისი შესხმა და ქება-დიდება უგუნურება ჰგონია, არც სამშობლო ქვეყნის, არც მამულის და არც ნათესავების ხსენება ჰღირს რაიმედო. ბასილი დიდისათვის ნათესავი არს მხოლოდ თესებაი ღმრთისაი, ხოლო მამული მისი არს სათნოება და სხვა არაფერი. არც იმას აგდებდნენ რაზედ წმინდა მამანი, სად იქსებიდნენ, სად იცხოვრებდნენ, როგორ იარსებებდნენ. ბასილი დიდს რა იმპერატორის რომელიღაც მოხელე გაძევე-

ბით დაემუქრა, სავსებით მშვიდად უპასუხნია მაშინვე: ჩემთვის გაძევება არ არსებობს, რადგან დედამიწის არც ერთ ადგილზე მიჯაჭვული არ გახლავართო; სადაც ახლა ვდგავარ, თუ ვცხოვრობ, ისიც არ არის ჩემი, და ჩემი მიწა იქნება ყველგან, სადაც არ უნდა გადამაგდოთ, ასეა, — რადგან ყოველი ადგილი ყველგან მხოლოდ ღვთის ადგილია და არა უმწეო ადამიანისა, ფეხად მოარული თიხისა და ფერფლისა.

იდგა და ისმენდა მიქელ პსელლოსი.

მივიდა გიორგი, თავზე ხელი დაადო და ჰკითხა ღიმილით:

— კიდევ რას იტყვი, კეთილო ძმაო უმრწემესო?

— კვლავ იმას ვიტყვი სანატრელსა, რაც ადრევე ვთქვი და ვინატრე: ანუ მე ვიყო ქართველი, ანუ შენ ბერძენი, ღვთაებრივო განმაბრძნობელო!

ვედრება ოცდამეთორმეტე

დრომ ორი წელიწადი კიდევ ჩამომარცვლა და, ნებითა კეისრისა რომანოს არგიროსისა, წამოემართნენ ქართველები საქართველოსკენ.

მოდიოდა კრავაი, ქვრივი ფერისისა, მოასვენებდა ქმრის ნაშთებს ქართულ მიწაში დასამიწებლად. მოდიოდა და მოჰყვებოდნენ სახლეულნი და მსახურეულნი მისნი.

და მათ შორის — ორივე გიორგი, ბიძა-ძმისწული.

მოდიოდა ახალგაზრდა გიორგი და ფიქრობდა ფიქრითა უთვალავითა და უზღვროითა.

ფიქრი ფიქრს ათოვდა, ფიქრი ფიქრს შლიდა, ფიქრი ფიქრს აშენებდა, ისევ და ისევ, განუწყვეტლივ და განუცადებლად.

ისევ გაახსენდა მიქელ პსელლოსი.

რა გამძაფრებით ესურვილება ამ ყმაწვილ ბერძენს, ყველა დიდი სულით მოღვაწე რომ ქართველი იყოს. მაინც და მაინც ქართველები იყვნენო ყველაზე დიდი მამანი სრულიად საქრისტიანო ეკლესიისა: ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანზელი, ევაგრე პონტოელი, და კიდევ... კიდევ რამდენი...

და, კაცმა რომ თქვას, მართლა ქართველები კი იყვნენ.

მაგრამ ქართველები ხომ ისეთები ვართ, ჩვენდა სასიკე-

თოდ მანამ კრინტსაც არ დავძრავთ, სანამ სხვა, უცხოელი ვინმე არ იტყვის ღირსებას ჩვენსას.

ოღონდ უცხოელმა გვაღიაროს, ხოლო ჩვენს სიტყვას ჩვენზე და საერთოდ ჩვენში რა ფასი აქვს!

ასეა, რადგან — უცხოელმა შიშველი სიშლეგეც რომ სთქვას, ჩვენ მაშინვე ამას ვიტყვით, ღვთაებრივი გონების ნაკვეთი რამ გვითხრა ამ უცხოელმაო, ხოლო ჩვენებურმა რომ მართლა საღვთო ნიჭისა რაიმე წაიცდუნოს, მაშინვე პირში თუ ვერა, ზურგიდან მაინც ქოქოლას დავაყრით, მეხი კი დავაყარე შენი სიშლეგის გვადრუცსო.

ასეა, რადგან — ქართულ სიტყვათმიმოქცევაშიც „უცხო", „უცხოური" და „უცხოელი" იგივეა, რაიც „უკეთესი", „საუცხო-ო".

ხოლო, როგორც მგონია მე, ასე იმად უნდა იყოს, რომ ქართველი მისი ღირსების აღიარებას უფრო უცხოელისგან ჰპოებს, ვიდრე საკუთარი სისხლიერი ქართველისაგან.

წრეგადასულად უყვარს ქართველს:
როცა მას აღიარებენ,
როცა მას აქებენ,
როცა მას აღმერთებენ,
როცა მას ეალერსებიან,
როცა მისი ეშინიათ,
როცა მისი ერიდებათ,
როცა მისი ეფიქრებათ,
როცა იგი უყვართ,
როცა იგი სწამთ,
როცა იგი ე-პირ-ვე-ლე-ბათ.

და პირველობას ქართველი კაცი ხომ თავის სისხლიერს, ნათესავ ქართველს ცოცხალის თავით არ დაანებებს — უცხოელს კი იგი თავის თანანაშობ უპირატესობას, გინა პირველობას, ანუ პირველადობას, მეორადობაში ისევე ჰაიჰარად გაუცვლის, როგორც ესავმა პირველშობილებმა ოსპის წვენში გაუცვალა თავის მომდევნო ძმას — იაკობს!

პირმშოობა ოსპის წვენში, სათქვლეფ ნახარშში!

მოდიოდა გიორგი მძიმე ფიქრთმეტყველებით დატვირთული.

ფიქრი ფიქრს ათოვდა უხმო შრიალით. ათოვდა, ეფინებოდა, ეტკეპნებოდა, ძველი ფიქრი ნაფიქრალად იკარგებოდა, ახალი ფიქრი ბუდეს იშენებდა, განუწყვეტლივ, განიადაგებით.

ვედრება ოცდამეცამეტე

და მოვიდნენ ტვარწატაფს.

კრავაიმ თავისი სალოცავი მეუღლის ნაშთები თორმეტი წლის წინათ ნაშენებ ეკლესიაში დაკრძალა, თვით ფერისის ნაშენებ ეკლესიაში.

(არც აქამდე და არც ახლა არავის შეუნიშნავს: ფერისის ეკლესიას აღმოსავლეთ მხარეზე, ფუძესთან, არშიის ქვაზე სომხურად ეწერა: „გაგიკ შირაკაცი“).

ფერისის დაკრძალვასა და დატირებას გიორგი აღარ დასწრებია, რადგან ტვარწატაფს მისვლისთანავე შეატყობინეს დედის გარდაცვალება და მაშინვე წარემართა იგი ტონთიოსკენ.

ბიძამისი გიორგი მწერალიც წაჰყვა თრიალეთს უსაზღვრო მწუხარებით გულშეძრულ ძმისწულს.

ხოლო მწუხარება გიორგისი, აწ დედამკვდარისა, იყო არა თვალთაგან ცრემლთა დინებით, და სიტყვადი ვაებით, არამედ სამარეული მდუმარებითა და შინაგან ცრემლთა ჩაქცევით.

(სისხლივით შინაგან ჩაქცევა სცოდნია ცრემლსაც).

თრიალეთს მიაღწიეს, ტონთიოც გამოჩნდა, აგერ თაქთირისძეთა სახლიც.

მაგრამ გიორგი სახლში კი არა, პირდაპირ სასაფლაოსკენ წარემართა, რადგან დედა სახლში კი არა სასაფლაოზე ეგულებოდა.

გიორგი მწერალმა ნაბიჯუქცევლად მიმავალ ძმისწულს შეჩერება ვერ გაუბედა და ისღა დარჩენოდა თვითონ მისულიყო სასწრაფოდ სახლში და ძმისთვის შვილის დაბრუნება შეეტყობინებინა.

გიორგი დედამკვდარმა კი უკვე შედგა სასაფლაოზე, ფეხი და მაშინვე მიაგნო თაქთირისძეთა საგვარეულო საგოდებელს და იქვე დედის საფლავს.

და ალბათ, ეგზომ ნაბიჯაურევლად, უყოყმანოდ და უვარაუდოდ მაინც იმიტომ მიაგნო, რომ, თითქოს თვითონ დედა მარიამი მიიხმობდა უხმო ძახილით თორმეტ წელიწადს უცხოობაში გადაკარგულ უსაყვარლეს შვილს.

დაიჩოქა გიორგიმ, მიწას ხელები დააბჯინა და, ვითარცა მწყურვალი წყალს დაეწაფება, ისე დაეწაფა ამბორით საფლავს, დედის მკერდისა და მასზე დაკრეფილი ნაჯაფარი ხელების დასწვრივ.

„წიაღი, რომელმან მშობა მე, აწ განწიაღებულ არს წიაღსა მიწისასა“.

თვალები მისი, ცხელნი და მშრალნი, ითხოვდნენ ცრემლს მარწყუულებელს, მაგრამ უსაზღვრო წუხილს დაეხშო და დაეშრო მისი ცრემლსათხეველი.

იწვა გიორგი ნაორმოცალ მიწაზე — ორმოცი დღის წინ სამზეოზე პირველად ამოყრილ ქვესკნელზე, ამა ქვესკნელის ადგილი ახლა მის მშობელ დედას რომ დაეჭირა, სამუდამოდ დარეცილსა და დაქვესკნელებულს.

წამოიწია.

მიწა აიღო მუჭით.

მიწა წებოვანი იყო, ფერად ყვითელი, ქარავასაით.

და ასეთივე თიხად, წებოვან და ყვითელ თიხად იქცევა დედა.

დედა!

დე-და...

დ-ე-დ-ა...

ვის ძალუძს ჩაწვდეს სიღრმეს და გაწვდეს სივრცეს სიტყვისას — „დედა“?!

ოდენ „დედაა“ ბადალი სიტყვისა „ღმერთი“.

და იგი სიტყვაც, უპირველესი ლოგოსი იგი, რომელიც „იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“ — ის სიტყვაც, ალბათ — ალბათ კი არა, უეჭველად — იყო „დედა“.

ყოველი დაბადება და დაბადება თვითონ სამყაროისა განწიაღებულ არს „დედობასა“ და „დედასა“ შინა.

ანუ — ყოველი ახლადშობილი არ არის პირველშობილი, ვინათგან მასზე ადრინდელი და პირველშობილი არის დ ე დ ა.

და სრულიად სამყაროს დაბადებაც გულისხმობს მის წინარედ მაინც დედობის არსებობას.

და არა არს მარადიული არსებობა არარაისა, თვინიერ დედობისა და ღმერთისა.

„დედა! შენ უფრო შენს სულში მატარებდი მე, ვიდრე სხეულში!“

ბეჭზე ხელის შეხებამ გაჰყარა ფიქრს გიორგი.

მამის ხელი შეიცნო, წუხილით და სიყვარულით დატვირთული.

ადგა და მჭიდროდ ჩაიკრა მკერდში შვილმა მშობელი.

უკვე დამდგარიყო ჟამი იგი, როცა შვილი იხუტებდა მამას გულში, ადრე რომ თვითონ ეხუტებოდა და ესხეულებოდა მამის მკერდს, ჯერ ჩვილობისას, შემდგომ ყრმობისას.

დაპატარავებული ეჩვენა გიორგის მამა, თვითონ ზროტანოვანს და ფართო მკერდიანს.

ძმა მივიდა, თევდორე, და მოეხვია გიორგის, თვითონაც ახოვანი და სრულტანოვანი.

გიორგი მწერალი საფლავის ფერხთით დამდგარიყო მდუმარედ თავდადრეკილი.

თეკლა ორმოცამდის არ მოშორებია დედის საფლავს, ორმოცის თავზე კი გაბრუნებულა ტაძრისს.

დიდხანს იდგნენ საგლოველზე მგლოვიარენი.

ბოლო ხანს ძილი დაჰკარგა საცოდავმაო, ეუბნებოდა მამა შვილს, ღამეებს თეთრად ათენებდაო. ღამეს რას ათევ, დაიძინე-მეთქი, ვეუბნებოდი. და ერთხელ აღმოხდა როგორც იქნა — წასული შვილი მიკარგავს ძილსა და მოსვენებასო. წასულია და უკან მოგვივა, საწუხარი რა ჰქონს-მეთქი ჩვენს გიორგისა, ვუსაყვედურე. ვუსაყვედურე და მაშინ მითხრა: მკვდრის დედას დაეძინება და წასულის დედას ძილი თვალს არ გაეკარებაო.

უცებ დედის ნაქსოვი კვართი უკერველი გაახსენდა და უსაზღვროდ ეტკინა გული. იმ კვართის სურნელიც გაახსენდა, ანამაისას რომ აჩუქა და საფლავში რომ ჩაიყოლია ანამაისამ.

ძლივს დაიხშო აშლილი საცრემლე გიორგიმ.

უცებ, კვართის სურნელის ნაცვლად რაღაც მწარე ფშვიადმა მოიცვა მისი სუნთქვა, წყალგადასხმული მუგუზლის სუნის მინასმგავსმა.

და ეკლესიიდან მწუხრის ძელის ხმაც გაისმა.

წავიდეთო, წყნარად უთხრა შვილს იაკობმა და თან დამნაშავესავით გახედა საფლავს.

მწუხრიც მკვრივდებოდა, მრუმე სიმკვრივით.

წამოვიდნენ.

მიცვალებული კვლავ მარტო დარჩა.

(ცოცხლებს ძალიან უჭირთ მკვდრებთან დიდხანს დარჩენა).

მოდიოდნენ,
მწუხრის ძელი კი რეკდა მძაფრად.

„ძელი მწუხრისა, ძელი მწუხრისა,
ხმა ზენაარი, ფიქრი უფლისა“.

ადუღდა გონება გიორგისი.

„ნეტავი ახლა, ამ წამში, არსუკისძის სულშიც თუ რეკავს ძელი მწუხრისა?“ — გაუელვა გიორგის.

„სად არის და რასა იქმს ახლა თვალშვენიერი?“

„ანუ, სვეტიცხოველი, შუაგარდაკვეთილი რომ დავტოვე მე...“

გზაბოძალზე რომ გამოვიდნენ, გიორგიმ ხელმარცხნივ გადაუხვია.

— სახლის გზა ხომ არ დაგვიწყნია, შვილო, — ჰკითხა იაკობმა და მკლავში ხელი ჩაჰკიდა.

— არა, მამა, არ დამვიწყნია, მაგრამ უნდა წავიდე! — ნასწრაფევად შეაგება გიორგიმ.

— საით?

— ხახულს.

— თუ ტვარწატაფს? — იაკობს დაასწრო ძმამ, გიორგი მწერალმა.

— არა, ბიძაჩემო, ტვარწატაფს ვეღარ წამოვალ. მე ახლა ხახულს უნდა მივიდე, ძია საბასთან და მამა ილარიონთან, რომელიც იყო პირველი მოძღვარი ჩემი.

— დაღამდა, შვილო, სახლში გაითენე და დილით ადრე შეუდექი გზას — კრძალვით გაწყრა იაკობი.

— არა, მამა, სახლში ვეღარ შემოვალ.

— ვეღარ?!

— ჰო, ვეღარ-მეთქი.

— რა მიზეზია, შვილო?

— უდედო სახლში ვეღარ შემოვალ.

— უდედო სახლშიო? — და ენა ჩაუვარდა იაკობს.

— რას ამბობ, გიორგი, მაშ ჩვენ რა ვქნათ, სახლში აღარ შევიდეთ? — აღშფოთდა თევდორე.

— ნუ იტყვი, ძმაო, შენც და მამაც ისევ ისე იქნებით

ჩვენი დედის სახლში, მაგრამ მე უნდა მაცალოთ, მცირე დროით მაინც უნდა შემიბრალოთ! — თქვა გიორგიმ მთრთოლვარე ხმით და მოეხვია ძმას.

შემიბრალეთო?!

გაოცდა სამივე: ასეთი მავედრებელი ხმა არც ერთს არასდროს სმენოდა გიორგისაგან.

— კარგი, წადი შვილო, — თქვა იაკობმა და უმალვე დადუმდა ცრემლით ყელდაჩიხული.

მარჯვენა ხელი სამების შეკვრით აღმართა გიორგიმ.

— მშვიდობა თქვენდა!

სამივეს ჯვარი გარდასახა და გამოტრიალდა.

ვედრება ოცდამეთოთხმეტე

და კვლავ მივიდა ხახულს, სავანესა საყვარელსა.

მივიდა და ეთაყვანა მოძღვართა სანატრელთა და ბერთა ღმერთშემოსილთა ყოველთა.

მიეხვივნენ და მიესხეულნენ ყრმასა რჩეულსა და აღზრდილსა თვისსა წმიდა მამანი — ბიძა საბა, მაკარი განმანათლებელი და დიდი ილარიონ თვალოელი (ხოლო დიდი ბასილი ბაგრატ მეფის ძე და ღმერთშემოსილი ანტონი მნათე, უკვე სულით განყრილი იყვნენ სხეულთაგან და სხეულნი მათი განწიალებულ იყო ხახულის წმიდა მოღვაწეთა სამარტვილეში).

უცქირა ილარიონ თვალოელმა ღამენათევი, დამაშვრალი თვალებით გიორგის, უცქირა და უთხრა ბოლოს:

— სახე შენი ჭაბუკური სახიერებისა და უზადობისა, თმა შენი წაბლოვანი, უჭაღარო და უნაცრო, გარნა, ვითარცა იტყვის დიდი ბასილი კესარიელი — არა ჭაღარა და სითეთრე თმისა, არა ნაოჭი და ზადიერება სხეულისა, არამედ ოდენ სიბრძნე და გონიერება არს მხცე და სიჭარმაგე კაცისა.

— და ყოველივე სიკეთე მისი არის შენგნით — წამსვე მიაგება სიტყვა ილარიონს მაკარიმ — შენგან სვამდა იგი სძესა სწავლისასა და შენგანვე წარემატებოდა ყოველთა სათნოებათა შინა.

— არა ჩემგან, არამედ ჩვენგან! — ხმა აღუტევა თვალოელმა.

— შენგან, სწორედ შენგან — ჩაერია საბა — შენა ხარ,

მამაო ილარიონ, პირველი მოძღვარი გიორგისი და მიზეზი ყოვლისა კეთილისა. და აწცა შენ უნდა აკურთხო მონაზონება მისი.

მონაზონება უნდა ვაკურთხოო? აკი სიყრმითგანვე მონაზონია გიორგი?

— გარნა, კურთხევითა აწამდე მაინც არის უკურთხებელი და აწცა სწორედ შენ უნდა აკურთხო გიორგი ბერად და მონაზვნად, ღმერთშემოსილო ილარიონ! — მიეჯარნენ და მიეძალნენ დიდ თვალოელს საღვთო მამანი და მოწესენი ყოველნი.

და აკურთხა დიდმა მოძღვარმა თავისი დიდი მოწაფე ბერად.

და იყო გიორგი ბერი მოძღვართაგან, სულიერ ძმათაგან და მოყვასთაგან უსაზღვრო სიყვარულითა და ყურადღებით გარემოსილი.

და უცებისად, ერთ დღეს გიორგიმ იგრძნო, რომ იყო მ ა რ ტ ო, მ ა რ ტ ო ხ ე ლ ა და მ ა რ ტ ო ს უ ლ ი.

და საოცარი სწორედ ის იყო, რომ მისი მ ა რ ტ ო ო ბ ა სწორედ ა დ ა მ ი ა ნ ე ბ თ ა ნ ყ ო ფ ნ ა იყო, თანაც ეგზომ მოყვარულ და მზრუნველ ადამიანთა შორის ყოფნა.

თითქოს სწორედ ადამიანებთან ყოფნა ა მ ა რ ტ ო ე ბ დ ა, გინა ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ დ ა, გინა ა ღ ა რ ი ბ ე ბ დ ა მის სულს.

ადამიანებთან იგი მ ა რ ტ ო იყო.

და ერთადერთი, როცა იგი მ ა რ ტ ო ა რ ი ყ ო, მხოლოდ მაშინ იყო, როცა მ ა რ ტ ო ი ყ ო — ადამიანთაგან თავდახსნილი, განრიდებული და გან-მ ა რ ტ ო-ებული.

ასე იყო, რადგან — როცა იგი მხოლოდ თავის თავთან იყო, თავის სულთან, თავის აზრთან, თავის ფიქრთან, თავის სიტყვასთან, თავის ლოგოსთან — იყო მხოლოდ თავის ს ა კ უ თ ა რ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ს თ ა ნ თანააზროვნებაში, თანაფიქრთმეტყველებაში — და ამიტომ სწორედ მაშინ ა რ იყო მ ა რ ტ ო, სწორედ მაშინ იყო იგი თავდახსნილი მ ა რ ტ ო ო ბ ი ს გ ა ნ.

„ადამიანებო, უკეთუ მე თქვენ მართლა გიყვარვართ, უკეთუ ჩემდამი თქვენი სიყვარული არის წრფელი და არა ფარისევლური, გემუდარებით, დამტოვეთ მ ა რ ტ ო, რათა თავი დავიხსნა მ ა რ ტ ო ო ბ ი ს გ ა ნ“.

უხმოდ, უბგეროდ ბღაოდა სული მისი.

„ადამიანებო, მოყვასნო და მოყვარულნო ჩემნო, მე თქვენთან მარტო ვარ, მარტო, და ამიტომ გემუდარებით, გამიშვით მარტო!“

ბორგავდა, ჯანყდებოდა არსება მისი.

და ახლა მიხვდა გიორგი, რომ ადამიანთაგან მხოლოდ ერთთან ყოფნით არ იყო მარტო.

და ის ერთადერთი იყო თვალშვენიერ არსუკისძე, მარჩბივი მისი სულისა.

და ნეტავ თვალშვენიერიც თუ ამასვე ფიქრობდა ახლა, ამ წუთში? — ფიქრობდა გიორგი.

ფიქრობდა ხალხისგან განმარტოებული და მარტოობისგან თავდახსნილი.

ვედრება ოცდამეთხუთმეტე

„ყველასთან მარტო ვარ მე — მარტოხელა და მარტოსული. მხოლოდ ამ ქალთან ყოფნით არა ვარ მარტომყოფელი. და კიდევ გიორგისთან ყოფნით არ ვიყავ მარტო“, — ფიქრობდა არსუკისძე.

იგი თავდამხედ იწვა და ჭარჯვენა ხელი გულაღმა მწოლარე ქალის მარცხენა ძუძუზე ესვენა.

— რატომ სდუმხარ და რას ფიქრობ, თვალშვენიერო? — ჰკითხა ევნიკიამ და ვაჟის ხელი მკერდიდან მცირედ ჩამოიცურა.

— არაფერზე არ ვფიქრობ მე, არაფერზე, როცა ვარ შენთან და ვარ ასე, — თქვა თვალშვენიერმა და ისევ დაადო ხელი ქალის მკერდს, მარცხენა კერძოს.

და უკვირდა ევნიკიას, ვაჟი რომ უფრო მარცხენას უფერებდა, ვიდრე მარჯვენას. უკვირდა, შეტყობა ეწადნიერებოდა, მაგრამ შეკითხვას ვერ უბედავდა.

ვაჟმა კი იმ დღიდანვე შეიგრძნო და შეიცნო მარცხენა ძუძუს გრძნებააღვსილი მიმზიდველობა, რა დღიდანაც პირველად შეახო მთრთოლვარე ხელი ქალის საკინძეს.

და ეს იყო ნარჩეულობა მარცხენა რძესადინარისა — იქ გული იძვროდა.

ხოლო, გული გამორჩეული ცხოველმოსილებით ათრთოლებდა ქალის მკერდის მარცხენა მხარეს.

სწორედ აქ იწვა ძუ, ხვადის სულის შემარყეველი ძუ — ძუძუში იწვა.

(ძუძუ, ანუ ო რ ჯ ე რ ძ უ — ძუ და ძუ — ძუ-ძუ).

და ევნიკიამ არ იცოდა, რა უცნაური ფიქრები უტრიალებდა ვაჟს იმ წუთს, ფიქრთაგან აქნილ გონებაში.

არაფერზე არ ვფიქრობო, — ამას კი ეუბნებოდა — როცა შენთან ვარ, არაფერზე არ ვფიქრობო, რადგან შენთან ყოფნით ფიქრის უნარიც მეკარგება და მიქრებაო.

უხაროდა ქალს, უსაზღვროდ უხაროდა. შეიძლება ვაჟი სტყუოდა კიდეც, მაგრამ ქალი რის ქალი იყო, ვაჟის ტყუილს თუ ფესვებს მოუჩხრეკდა.

სახე მზისთვალივით გიბრწყინავსო, უთხრა ვაჟმა, და ეს მაინც აღარ უნდა ყოფილიყო ტყუილი, რადგან ქალი მართლა ძალიან ლამაზი იყო, მზისთვალივით მბრწყინავი სახით და მზესავით მხურვალე ტანით.

ვაჟიც მზე იყო ქალისა.

და გახელებით ჰკოცნიდა ერთურთს ორი მზე — მზენი სხივგახელებულნი და სისხლგახელებულნი.

დროდადრო კი, დრო ითიშებოდა და ჩერდებოდა.

და სივრცეც უსივრცო ხდებოდა.

მზის ყვირილი, თუ მზის მყვირალობა სუფევდა გარშემო.

რეცა უსაზღვრო და უზომიერო ფუტკრის მანანას მოეცვა მთელი სამყარო უცნაურ ტკბობით.

და ანაზდად, ციდან ორბის ყივილი ჩამოიჭრა.

წამოიწია არსუკისძემ.

— არ ადგე რა, არ ადგე! — და ქედზე დაეკიდა ქალი ვაჟს.

ისევ იყივლა ორბმა.

— არ ადგე რა, თვალშვენიერო, თვალის ჩინო, თვალო ნატვრისა!

არცა ჯოჯოხეთი, არცა მიწა, არცა ცეცხლი და არცა ქალი — არა იტყვიან: „კმა არს!“ — გაუელვა სვეტიცხოვლის აღმშენებელს და წამოდგა ფეხზე.

ცას აჰხედა.

ორბი ირაოზე იდგა, ჯვარად გაშლილი.

და ეჩვენებოდა არსუკისძეს: ორბი ესე ჯვარსახოვანი, ანუ ჯვარი ესე ორბსახოვანი, იყო ჯერაკუმია ცისგვამისა.

ხოლო, მკერდი ქალისა — ჯერაკუმია დედამიწისა.

და თვალით აზომ-დაზომა თვალშევნიერმა მანძილშორისი ქალსა და ფრინველს შორის.

სიმაღლე ესე სვეტიცხოვლისა?!

ხოლო, ძალმოსილება ამა სიმაღლის დაძლევისა?!

მარჯვენა ხელი მომუჭა მესვეტიცხოვლემ, ისე მკვრივად, ფრჩხილები გაულურჯდა სავსებით. მერე უცებ გაშალა და თვალის სიფფრით დააცქერდა ხელისგულს, დააცქერდა და იხილა:

ზოლი სიცოცხლისა — მკვეთრი, შუაზე ნაწყვეტი.

ზოლი გონებისა — ღრმაკვალოვანი, ნატყუპი აშკით გამძლავრებული.

ზოლი თირკმლისა, გინა ტანის სიმთელისა — ღრმაკვალოვანი.

ზოლი ბედიღბლისა — მკრთალი, უღონო, უღიმღამო.

ბორცვი ვენერასი (ქვედამხარი ცერა თითისა) — სუფთა, უზადო, ნიშატი წრფელი სიყვარულისა.

ბორცვი იუპიტერისა (ქვედამხარი საჩვენებელი თითისა) — მაღლივად დახაზული, ნიშატი სიამაყისა.

ბორცვი სატურნისა (ქვედამხარი შუა თითისა) — ნიშატი გონგამჭრიახობისა.

ბორცვი აპოლონისა, ანუ მზისა (ქვედამხარი არათითისა) — ნიშატი სიმშვენიერისა.

ბორცვი მერკურისა (ქვედამხარი ნეკა თითისა) — ნიშატი გულმეცნიერებისა.

ბორცვი მარსისა (ქვედამხარი ხელისგულისა) — ნიშატი სიმამაცისა.

ისევ იყივლა ორბმა.

— არიელ! — აღმოხდა თვალშევნიერს.

— რაო? — იკითხა ევნიკიამ.

— არც რა! — ხელი აიქნია თვალშევნიერმა.

ალბათ ხელისგულზე ნაცქერალისას ამბობს რაიმესო, იფიქრა ქალმა, ფეხზე წამოდგა, ვაჟთან მივიდა, მიესხეულა, ხელისგული ვაუშალა, დააცქერდა და უთხრა:

— ასეთი ხელისგული ჩემი მკერდიდან აგყვა შენ.

თვალშევნიერს საღღაც შორიდან ჩაესმა ეს ხმა, ვისაც გაწ ქალად სვეტიცხოველს ჩაეორია მისი გონება.

ახლა მას მ ა რ ტ ო დ დ ა რ ჩ ე ნ ა და მ ა რ ტ ო ო ბ ი ს გ ა ნ თავის დახსნა მოსწყურებოდა, ვინათგან ქვემოდან...

ქვემოდან ქვის ძახილი ესმოდა.

ქვის ძახილი!

— ხოლო ჯვარი? — უცებ ჰკითხა ქალმა.

— ჯვარი?! — ძლივს გამოერკვა ვაჟი (ქვის ძახილისგან ძლივს გამოერკვა).

— ჰო, ჯვარი, ჩემი თმით შეკვერთხილი, მკერდზე რომ გეკიდა შენ.

და ვერ უპასუხა არსუკისძემ.

თითქოს სიტყვის ფუძე მოშლოდა.

მას ისევ ქვის ძახილი ესმოდა.

ქალი კი ქალურად არ ეშვებოდა, ქალურად ელამუნებოდა და ესხეულებოდა.

— დაკარგე განა ჩემი კულულით შეკვერთხილი ჯვარი, რამდენჯერ გკითხე და უპასუხოდ დააგდე ჩემი კითხვა? იქნებ ვისმეს უსახსოვრე, ვისმეს გაუყავ სიყვარული და სიხარული ჩემი!

— კარგი, გეყოფა, ევნიკია, და უკითხველად ირწმუნე, ერთხელ და სამუდამოდ ირწმუნე-მეთქი, რომ ჩვენი სიყვარული ისევ ისეთია, ვითარცა იყო — თვინიერ განყოფისა და ზადიერებისა, — უთხრა და აკოცა თვალშვენიერმა.

— მაშ, ისევ გიყვარვარ?

— უკვე გითხარი და რამდენჯერ გითხრა!

— მაშ, დაჰხატავ ჩემსა ხატებას სვეტიცხოველში?

ამას კი ვეღარ უპასუხა თვალშვენიერმა, ვინათგან მის გულისხმაში ქალის ხმა ისევ ქვის ხმამ დაჰფარა, ქვის ძახილმა.

ვედრება ოცდამეთექვსმეტე

ხოლო, გიორგი (მარტოობას მოწყურებული მესვეტიცხოველის სულის მარჩიელი) იმ ჟამს მარტო არ იყო, რადგან მ ხ ო ლ ო დ თავის ფიქრებთან იყო, ადამიანთაგან განლტოლვილი და განრინებული.

მას წასვლა გადაეწყვიტა, წასვლა შორს, ნათესავთაგან, ახლობელთაგან, ნაცნობთაგან და ყოველთა მცნობელთაგან.

მარტომყოფლობის შორიელი გზის მთავარი ზრახვა იყო

მოვლა, მოხილვა და მოლოცვა ყოველი წმინდა ადგილისა ხახულიდან იერუსალიმამდე.

და ერთ ნისლიან ღამეს იდუმალ გავიდა გიორგი ხახულის სავანიდან, გავიდა, და ვითარცა „მოსე შევიდა ნისლსა...“

დილით, როცა აღარც წყვდიადი იყო და აღარც ნისლი, გიორგის გადაკარგვა შეიტყო ყველამ. შეშფოთებამ და შეჭირვებამ შეიპყრო ხახულელთა სამწყსო.

მაკარი წინამძღვარმა სასწრაფოდ ფეხზე დააყენა ყოველი მოწესე. მისი ბრძანებით გაუსიეს გზის მცოდნენი და გზისმლეწველნი ყოველ მხარეს, ყოველ შარაზე, ბილიკზე და საცანდალოზე, რათა მოეძიათ გიორგი და მოებრუნებინათ უკანვე, უსიკვდილოდ.

მდევარი იგერშა გიორგიმ და, რაკიღა სხვა საშველი აღარ იყო, „საღმრთოი ღონე იხმარა“: გზაზე ერთი ვინმე მაწანწალა შეხვდა, დაბებკილი და დაკონკილი სამოსელით, თავისი მთელი შესამოსელი გაუცვალა, მისი ძონძები გადაიცვა და გზა განაგრძო. ესეც საკმარისად არ მიიჩნია. ვიღაც ბრმა საპყარს გადაეყარა, ხელი ჩაავლო, წაუძღვა და წაიყვანა. ასე იარეს შეუსვენებლივ ერთმანეთზე აბმულმა ბრმამ და „ბრმის ჭირისუფალმა“. იარეს სამი დღე-ღამე.

მერე ერთ ტყეში შევიდნენ, უსიერსა და კაცის ფეხისგან უფეხურსა. შემოაღამდათ. ცისგვამი ღრუბლით და მრუმით გაიტენა. ჰაერი გაბოროტდა. მეხი გავარდა.

მთელი ღამე ნამეხარ და ნაელვარ მიწას მეხის წიწილა აცხრებოდა წივილითა და წიოკობით.

ეშმა განსხეულდა სრულიად ჰაერეთში.

ეშმამ შვიდჯერ დაანარცხა მიწაზე გიორგის ბრმა თანამგზავრი. კბილები აღრჭენინა, აყმუვლა, არღოლა და აყეფა ნაცოფარი ძაღლივით.

არ მოშორდა გიორგი ძრწოლით გონშერყეულს. მოშლილ ყბებს უსწორებდა, ბირიდან მოდენილ ლოშქრს უწმენდდა, ამოცვენილ თვალებს ბუდეებშივე უბრუნებდა, ძიგძიგით ატანილ სხეულს უზელდა, სისხლს უთბობდა, გულს უსალბუნებდა, სულს უმშვიდებდა.

მხურვალე, დაუღლელი ხელებით, სათნოებით აღსავსე სიტყვით და ლოცვით სრულად განავლტო გიორგიმ ბოროტი ეშმა საწყალობელი უსინათლოს სულისა და სხეულისაგან.

მეორე დღეს, როცა ტაროსს საშველი დაადგა, ისევ ლოცვით და სიტყვით სრულად განკურნებული თანამგზავრი მისგანვე აჩემებულ ერთ მონასტერში მიიყვანა და იქ დატოვა გიორგიმ.

დატოვა, დალოცა, დაემშვიდობა და გზა განაგრძო.

მიდიოდა ძონძით მოსილი.

მიდიოდა ფეხშიშველა და თავღია — „უხამლოი და უქუდოი“.

მიდიოდა უღვინოი და უწველოი“.

მიდიოდა „გზასა იწროსა“, ერთგზისი იჯრით, „რამეთუ დღესა შინა ერთგზის მიიღის პური და წყალი“.

ვედრება ოცდამეჩვიდმეტე

და „ესევითარი შრომითა და მოღვაწებით შემკობილი მიიწია შავსა მთასა“.

შავი მთა! მთაი საკვირველი!

მარგალიტი სირიის უდაბნოური ასკეზისისა!

გიორგის მოსვლამდე შვიდასი წელიწადი გაევლო აქაურ განრინებას, უკიდურესად მკაცრსა და უზენაესად ღვთაებრივს.

აქ დაიწყო „მესვეტეობა“:

საფუძვლის ჩამგდები — სვიმეონ მესვეტე.

ოცდაათი წელიწადი იჯდა ფეხმოუცველად სვეტზე — განმხოლოებული ცასა და მიწას შორის.

და აკვირვებდა ქვეყანას საკვირველთმოქმედი ესე.

უთვალავი ადამიანი „მორბიოდეს“ მის სახილველად და სათაყვანოდ ქვეყნიერების ყოველ კუთხიდან.

მათ შორის — მრავლად „მორბიოდეს“ ქართველნი.

სვიმეონის გარდაცვალება — და ატყდა ომი მისი ცხედრისთვის. აქეთ — ბიზანტიელნი, იქეთ — ანტიოქელნი. იმარჯვეს ანტიოქელებმა და მათი ღვთაებრივი სისხლ-ხორცი დაკრძალეს მათსავე მიწაზე, ანტიოქიაში.

ხოლო, შავი მთა გახდა — „მთაი წმიდაი“, ანუ „მთაი საკვირველი“.

მესვეტეობა ასკეზისის უმაღლესი გმირობის გამოვლინებად იქცა. ბევრმა მოწესემ მიჰბაძა სვიმეონ მესვეტეს თავი-

სი „ახალი მესვეტეობით“. ზოგმა, თითქოს გაუძლო, უმრავლესობამ ვერ გაუძლო და ნაადრევად მიითრია მიწამ ცაში აცმული სვეტის თავისგან.

ხოლო, მესვეტური გმირობით ყველას სძლია მეორე სვიმეონმა, უფროსისგან ასი წლის შემდგომ — სვიმეონ მესვეტე-უმცროსმა, სასწაულმოქმედმა, რომელიც ორმოცდასამი წელიწადი „ბრწყინვიდა, ვითარცა მთიები თავსა ზედა სუეტისასა“.

ეს იყო უწმიდესი და უსაკვირველესი გმირი მაშინდელი საქრისტიანო სამყაროისა.

უამრავი ქრისტიანი აწყდებოდა შავ მთას, მთასა საკვირველსა, სვიმეონ მესვეტისა და დედამისის, წმიდა მართას სახილველად, სათაყვანოდ, მათ ტაძრში სალოცავად და სამოღვაწეოდ.

და მრავალთა შორის იყვნენ ქართველნი.

დედა რომ გარდაეცვალა, თურმე ამას ეევდრებოდა ქრისტეს სვიმეონ მესვეტე — შენი ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი მისახსოვრეო.

და აი, ერთ დღეს სამი ბერი ეწვია სვიმეონ სასწაულთმოქმედს, სამივე ქართველი, იერუსალიმიდან ახლად მოელენილნი. და ერთმა მათგანმა, ანტონიმ, მოართვა სვიმეონს ჯვარი ოქროისა, რომელშიც ჩატანებული იყო ნამკესი ძელისა ქრისტეს ჯვარცმისა.

(იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში აათალა თურმე ანტონიმ ნამკესი ძელსა ცხოველსა, რომელზე გადანაჭერით შეკრულ იყო ჯვარი ქრისტეს ჯვარცმისა).

და ნამკესი იგი შეიქნა უზეშთაესი ევლოგია სვიმეონ სასწაულმოქმედისა.

ხოლო, ანტონი სვიმეონმა აკურთხა სელევკიის ეპისკოპოსად.

და მიდიოდა სვიმეონ მესვეტე-სასწაულმოქმედთან „ერი მრავალი ქართველთაი“, რომელთაგან ბევრი რჩებოდა იქვე, მის სავანეში სამოღვაწოდ, მისი წილხვედრი წუთისოფლის აღსასრულამდე.

(და ყველა მათგანი, საფლავს ჩასული, კმარულობდა საქართველოდან წამოღებული ერთი მუჭა მიწის გულზე დაპნევას).

და სვიმეონ მესვეტემ დაიმოწაფა და გამოგზავნა საქართველოში სამოღვაწეოდ ცამეტი მამა: იოვანე (ზედაზნელი), დავით (გარეჯელი), სტეფანე (ხირსელი), იოსებ (ალავერდელი), ზენონ (იყალთოელი), ანტონ (მარტყოფელი), ისე (წილკნელი), თათე (სტეფანწმინდელი), შიო (მღვიმელი), ისიდორე (სამთავნელი), აბიბოს (ნეკრესელი), მიქელ (ულუმბოელი), პიროს (ბრეთელი).

მერე, არაბობა და ისლამი დაეუფლა სირიას.

მერე, ისევ ბიზანტია და ქრისტიანობა გამძლავრდა ანტიოქიას.

და ისევ გამრაელდნენ ქართველები შავი მთის სავანეებში — სვიმეონწმიდას, რომანწმიდას, პროკოპიწმიდას, ბარლაამწმიდას, წყაროთა მონასტერს, ეზრას მონასტერს, ლერწმისხევს, კალიპსოს, კასტანას.

და იდგა შავი მთა, მთაი საკვირველი, დატვირთული ქართველ მოღვაწეთა ტაძრებით, სალოცავებით, სააზროვნო სავანეებით.

მთავარ ტაძარში — ლარნაკი სვიმეონ სასწაულმოქმედისა და ნეტარი დედამისისა მართასი.

და აღვიდა მთასა საკვირველსა გიორგი.

და შევიდა მთავარ პასტოფორიონში, თაყვანი სცა და ეამბორა ლარნაკსა სასწულმოქმედისასა.

მოიარა და მოილოცა ყოველი მონასტერი, ყოველი დიდი და მცირე სალოცავი. მოიკითხა ყოველი წმიდა მამა და ყოველისაგან მიიღო ლოცვა და კურთხევა, აღსავსე სიყვარულითა და სათნოებითა.

მაგრამ მთავარი მაინც სრულიად შავი მთის სამონასტრო ცხოვრების წინამძღვართან შეხვედრა და მისგან ლოცვა-კურთხევის მიღება უნდა ყოფილიყო. თვითონვე უწყოდა გიორგიმ: „თვინიერ მოძღვრისა არა არს ცხორებაი სულისაი და წარმართებაი მონაზონებისაი“.

ხოლო სახელი წინამძღვრისა და მოძღვრისა იყო — გიორგი შეუვნებული. ასე დარქმეოდა, რადგან მას მუდმივ საცხოვრისად და სულის სამოღვაწოდ თავი თვისი თვითონვე შეეყუდებინა შავი მთის კლდეს, ერის ღრმასა და ბნელ ჭარასაკენ.

და იდგა კლდისა დანახეთქში გიორგი შეყენებული, „ვითარცა გვრიტი უბიწოი და ტრედი უმანკოი“.

„კაცი ზეცისაი და ანგელოზი ქვეყნისაი“.

„ყოვლითურთ უცხოი და განშორებული ხორცთაგან და ხორციელთა ზრუნვათა გონებითა ღმრთისა მიცვალებული“.

„დიდი მნათობი ნათესავთა ქართველთა“.

აგერ, მეთორმეტე წელიწადი მიდიოდა გიორგი შეყენებულის თვითშეყენებიდან და თვითდაყუდებიდან. მეთორმეტე წელიწად ქვეყნისაგან თვალით არა ეხილა რა, თვინიერ კლდისა, სანთლისა და საღვთისმეტყველო საკითხავისა, და პირსა მისსა იმდენსავე ხანს არა ეგემნა რა, თვინიერ პურისა და წყლისა.

და შევიდა გიორგი ჭაბუკი გიორგი შეყენებულთან, შევიდა და იხილა იგი, ვითარცა გედი, თეთრ სპეტაკ თმაწვერში სრულად დანთქმული განლეული სხეულით და, თითქოს უხილავ ცაზედეთში ასაფრენად გამზადებული.

(„ჰოი, დაყუდებაო, განმანათლებელო სულისაო!“).

არასოდეს რომ არაფერი შეხარებია — თეთრი, ახალშობილი თოვლივით ქათქათა წვერი შეეხარბა გიორგის.

„ოდესმე ასე მეც გავთეთრდები?!“

და ეს ფიქრი უცებ გაუწყვიტა ზენაარმა ხმამ.

— მე გელოდი შენ! — შემოტრიალდა და უთხრა გიორგი შეყენებულმა.

— გელოდი და ვიცოდი მოხვიდოდი, — გაიმეორა მან, მშვიდად, გალობასავით.

— არა ღირს ვარ, უნეტარესო! — აღმოხდა მოსულს.

— მე შენ ხშირად გხედავდი ძილში, ჯვარშუბლიანს, და ეს უფრო ცხადი იყო, ვიდრე სიცხადე შენს უხილავად.

უთხრა და მიაპყრო მოხუცმა თვალი ჭაბუკი ბერის შუბლს. უცქირა, უცქირა, მერე უცებ ხელები მაღლა აღირთხა, თვალებიც ზეაღაპყრო და შეჰღაღადა:

„აწ განმიტევე, უფალო, მონაი შენი, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა ტარიგი შენი, შუბლითა ჯვარსახოვანითა!“

„არა ღირს ვარ“, დააპირა ჭაბუკმა შეყენება შეყენებულისა, მაგრამ უმალვე ჩაუჭრა მოხუცმა: „სდექი მდუმრიად, რამე-

თუ უსიტყვოდაც მესმის ძვრაი და ძალი სულისა შენისა, მიხილავს სიკეთე გულისა შენისა და განმიცდია ტალანტი შენში ღვთაებრივად დაუნჯებული“.

უთხრა და აკურთხა კურთხევითა უწმიდესითა გიორგი უხუცესმა გიორგი უმრწემესი.

აკურთხა და დაიმოწაფა.

დაიმოწაფა და დაამკვიდრა სავანესა რომანაწმიდას.

და დაჰყო გიორგიმ რომანაწმიდას „სამი წელი დიდითა შრომითა და მოღვაწეობითა, მარხვითა და მღვიძარებითა, სიმდაბლითა და მორჩილებითა“. ასეთი ღვაწლოვანი და კრძალული ცხოვრება კი — ყოველი სასულიერო მოღვაწისთვის იყო „ფრთე აღსვლად ღმრთისათანა“.

უსაზღვრო სიხარულით აღსებოდა გული გიორგი შეყენებულს, ქართველთა შორის ამაღლებული სულის მოკლინებაზე მარად მონატრულსა და მეოცნებეს.

— დიდი ეფთვიმეს შემდგომ, სწორედ ამ ჭაბუკმა უნდა სრულყოს ნაკლულოვანება ენისა ჩვენისაი, — ამბობდა ხოლმე იგი შავი მთის მამათა და მოწესეთა შორის.

— და მადლობა ღმერთსა, რომელიც მისი დედის წილხვდომილ ქვეყანას დასაღუპად არ იმეტებს და არ უგულებელჰყოფს სიგლახაკესა ჩვენსა, — ამასაც იქვე დასძენდა გიორგი შეყენებული.

გავიდა სამი წელიწადი, და მოძღვარმა თავისი მოწაფე — „სრულქმნილი ჰასაკისა თანა სიბრძნითა და გონიერებითა“ — აკურთხა სქემით და გაამზადა იერუსალიმში წარსაგზავნად, წმიდა ადგილთა მოსახილველად და მოსალოცავად.

ვედრება ოცდამეთვრამეტე

„გამომცადე მე, უფალო, და განმცადე მე, გამოახურევენ თირკმელნი ჩემნი და გული ჩემი“.

და ვიდოდა გიორგი იერუსალიმად.

ვიდოდა უხამლოი და უქუდოი.

ვიდოდა ქალბაბარის ძვალზე უმტკიცესი ძელითა და ძარღვით.

ვიდოდა ხელში ჯვარსახოვანი ჭაჩაბურით, რომელიც გამგზავრების წინ მოძღვარს მიეძღვნა მოწაფისათვის (ამ ჭაჩაბუ-

რით მოეელო პალესტინის წმიდა ადგილნი თვითონ გიორგი შეყენებულს).

და ვიდოდა იერუსალიმად ქართველი ბერი, „ტარიგი ღმრთისაი“, ვიდოდა „სულისა სურვილითა და გორებისა სიმხურვალითა“.

ვიდოდა მზისკენ, ჯიუტად ვიდოდა.

მზეს მზურვალებით ბრწყინვალება სულ დაჰკარგვოდა და ცაზე გალურსმულ სპილენძის დისკოს ადვილად კორტნიდა ჭაბუკი ბერის ალმასის თვალი.

„გამომცადე მე, უფალო, და განმცადე მე, გამოახურენ თირკმელნი ჩემნი და გული ჩემი“.

ვიდოდა ქართველი ასკეტი. ვიდოდა და ფიქრობდა. ფიქრობდა და მიიპწრაფოდა უფლისა ქვეყნად — სულისა სიამეთა წყაროსა ზედა დასაწაფებლად.

ყოველი დამიანი, ვიდრეღა ცოცხლობს, განუწყვეტლივ სიამეთა წყაროს ეძიებს, და ეძიებს საკუთარი „მე“-ს გარეთ და საკუთარი სიმძიმის და განზომილების ს ა ყ რ დ ე ნ ი ც ადამიანს მიტომ მისივე „მე“-ს გარეთ ეგულება. და ეძიებს, ეძიებს, სიკვდილამდე ეძიებს იგი საკუთარ „მეს“, სადღაც სხვაგან, ისევ საკუთარი „მე“-ს გარეთ. და ასე, მთელი ცხოვრება ადამიანისა არის საკუთარი „მეს“ ძიება ყველგან, თვინიერ საკუთარი „მე“-სა. და ადამიანი იშვიათად თუ მობრუნდება და შეეხიზნება საკუთარ „მეს“, — შეეხიზნება და შეემყუდროება ოდენ იმისთვის, მცირეოდნად მაინც რომ ძალა მოიკრიბოს და ისევ სასწრაფოდ გავიდეს საკუთარ „მესგან“, კვლავ დაუცხრომლად საკუთარი „მეს“ საძიებლად.

მაგრამ ყოველი ადამიანის გასვლა საკუთარი „მესგან“ და საკუთარი „მე“-ს ძიება, არის მაინც ძიება ქვენასოფლურ ნივთიერ-გრძნობიერ სამყაროსა შინა.

მე კი — მე ასკეტი ვარ და საკუთარი „მეს“ საძიებლად, მოსაპოებლად და დასამკვიდრებლად მივილტვი ღვთისკენ, მარადიულად და ყველგან არსებულ ღვთაებისკენ.

და გზა ჩემი არის — ა ს კ ე ზ ი ს!

მე ასკეზისის გზით უნდა დავძლიო ჩემს გარშემო შემოგარსული და შემოჯარული ნივთიერ-გრძნობიერი ყოფიერება, ვითარცა უმდაბლესი, ბიწიერი, სუფთა სულის მაცდუნებელი და მაწამებელი ყოფიერება.

არსუკისძე ხელოვნებაა.

მე — ასკეზისი, ანუ ენითა ქართულითა — განდეგილობა!

გარნა, იქნებ ასკეზისიც — ვითარცა გზა ბილწი გარეყოფიერების დაძლევისა და ღვთაებრივამდე ამაღლებისა — აგრეთვე ხელოვნებაა? და, იქნებ, უფრო დიადი ხელოვნებაც?!

„თვალშვენიერ, თვალშვენიერ, გამესიტყვე მე, ტყუბსა სულისა შენისასა!“

და, თითქოს მოესმა ხმა არსუკისძისა, ხმა სიტყვითა ფიქრმეტყველებისა, სიტყვითა უხმოითა შინაგანმდებარითა:

„ასკეზისი არა არს ხელოვნება, ვინათგან არა არს შემოქმედება“.

„გარნა, ასკეზისი არის გზა ქვენასოფლურის გადალახვისა და ზენასოფლურთან მიმთხვევისა!“ — ფიქრი აუჯანყდა გიორგის.

„გარნა, მხოლოდ განსვლა და მიმთხვევა არა არს ხელოვნება“ — უქცია ფიქრი თვალშვენიერმა.

„ასკეზისის გზით მე ვიხილავ შუქსა ღვთაებრივსა!“

„იხილავ, ალბათ, იხილავ, გარნა არცა ხილვა — თუნდაც ღვთაებრივი და ზესთასოფლური შუქის ხილვა — არ იქნება ხელოვნება, არ იქნება შემოქმედება. ასე არს, რადგან შემოქმედება ქმნადობაა ჯერ უქმნადისა და არარსებულისა. ხოლო, ოდენ ხილვითა ერთითა ახალი, ნარუქი, არარა შეიქმნების“.

„მაშ, ასკეზისს არა ძალუძს შემოქმედება?“

„შემოქმედება ძალუძს მხოლოდ შემოქმედებას“.

„ასკეზისი ჩახშობაა ქვენასოფლური ენებებისა“.

„შემოქმედება კი არ განარჩევს ენებათაგან ქვენას და ზენას, მისთვის ენება ყველა ენება არს. და თვითონ შემოქმედებაც არის ენებათა აჯანყება, გარდასახვა, გარდაქალწულება და აყვავება, საიდანაც ბოლოს და ბოლოს უნდა იშვას ნარუქი, ახალახე და ახალნერგი შენამოქმედი“.

„შვრე, ეგ ხომ არ არის ანტიღმერთობა?!“ — სული და სისხლი შეუძრწუნდა გიორგის.

„ვინ იცის — შესაძლოა, ხელოვნება ნაწილაც არის ანტიღმერთობა არსებულისა, მაგრამ უეშველად უნდა იყოს

თვითონ ღმერთობა მანამ არარსებულისა და ახლა სწორედ ხელოვნებისგან შექმნილი ნარუქისა".

„ასკეზისის გზით მე მაინც გავალ ქვენასოფლისგან, რომელ არს კუტი, ცოდვილი შვილი ზენასოფლისა";

„გახვალ, გააღწევ ქვენასოფლისგან, რამეთუ წმიდანი ხარ, და მიაღწევ ზესთასოფლურსაც სიწმიდითა შენითა, გარნა დარჩები ოდენ წმიდანი და არასოდეს არ იქნები ხელოვანი, ანუ შემოქმედი ნარუქისა, მანამდე უქმნადი შენამოქმედისა".

ვიდოდა და ფიქრობდა.

ფიქრობდა ფიქრითა თვისითა და ფიქრითა ტყუბისა სულისა თვისისათა.

ვიდოდა შეუჩერებლივ ქართველი პერეგრინუსი ქალბაბარის ძვალზე უმტკიცესი ძვლითა და ძარღვით.

გადაიარა სირიის უდაბნო.

გაიარა დამასკო.

ისევ ბრძოლა მზესთან (უცხო მზესთან, რომელიც არ ჰგავდა მზესა ქართულსა) და ბრძოლა მზისგან დადაღულ დედამიწასთან (დედამიწა, რომელიც არ იყო „დედა" და არ ჰგავდა მიწასა ქართულსა, მისი „დედამიწა" ახლა მის გულზე დაკიდული ქართული მიწის ნაშთი იყო).

და აჰა, ესერა, ფეხი შედგა გალილეას.

გალილეა, სამშობლო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

(თუმცაღა რაი არს „სამშობლო" ღვთაებისათვის?!).

აი, ნაზარეთიც, მთებში ჩაკარგული მცირე ქალაქი.

ბეთლემს იშვა და ნაზარეთს იზარდა უფალი ჩვენი.

აი, ეკლესია ხარებისა.

ეკლესიაში, ქვემოთ, მღვიმე-ქარანძავი, და ჩაჰყვა ქვის კიბეებს გიორგი.

აი, ის ადგილი, სადაც მჯდარა ქალწული მარიამი და რთავდა ზეზის ძაფს. და აქვე მიეახლა მას მთავარანგელოსი გაბრიელი და ახარა: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა; კურთხეულ ხარ დედათა შორისს"

აი, ქარანძავი, სადაც იზრდებოდა უფალი ჩვენი!

აი, სარეცელი, რომელზეც ეძინათ ღვთისმშობელს და მის ღვთაებრივ ძესს

იმავე ქარანძავის მარცხენა მხარეს გიორგიმ იხილა საფლავი იოსებისა, მარიამის ქმრისა. თვითონ ქრისტეს დაემარხა იგი,

თავისი წმინდა ხელებით. სამარის კედლიდან წყალი გადმოსჩქეფდა, ფერად თეთრი, საკმევლის სურნელოვანი და სნეულთა მაკურნებელი.

მერე გიორგიმ თაყვანი სცა სვეტსა, რომელთან იჯდა უფლით მუცელქმნილი მარიამი.

ამოვიდა ქარანძავიდან და უკანასკნელად მიმოიხილა უფლის მშობლიური ქალაქი.

მშობლიურიო?!

მაგრამ რაი არს-მეთქი „მშობლიური“ უფლისათვის?! აკი სწორედ და მხოლოდ აქ, მის „მშობელ მიწაზე“, მისმა „მშობლიურმა ხალხმა“ არ აღიარა ღვთაებრივობა მისი ღვთაებრივი შვილისა! განა იოსებ ხუროის ძე არ არისო, განა დედამისი მარიამი არ არისო, განა მაგის ძმები არ არიან იაკობ, იოსე, სვიმონ და იუდა — ყველანი მიწიერნი, და თვითონაც მათი სისხლი და ხორცი როგორღა იქნება წინასწარმეტყველი, გინა მესია, გინა მაცხოვარიო?! — ირონიებოდნენ, იხერხებოდნენ, ჭირქილებდნენ და ქილიკობდნენ ნაზარეველნი, და მაშინ სთქვა ქრისტემ სიტყვა მწარე და მწარედ სახსოვარი: არა შეიცნონ და შეიწყნარონ წინასწარმეტყველი სოფელსა თვისსა და სახლსა შინა თვისსა!..

და უცებ, შხამიანმა ფიქრმა გადაუარა გულზე გიორგის:

„ვაი, თუ — ნაზარეველნი ჰგვანან ქართველებს?!“

ნაზარეთს გაშორდა და ერთი ისრის გასროლის მანძილზე მიადგა წმინდა წყაროს. მიწის ღრმა გულიდან მომდინარეს.

აქ მოისმინა ქალწულმა მარიამმა სიტყვა პირველი ხარებისა — „გიხაროდენ, მიმადლებულო...“

და ისხურა სახეზე გიორგიმ წმიდა წყალი წმიდა წყაროისა.

და განაგრძო გზა. და მივიდა კანას, სადაც უფალმა წყალი ღვინოდ აქცია.

და მივიდა მთასა თაბორსა.

თაბორის მთა — სადაც ერთგულმა მოწაფეებმა — პეტრემ, იაკობმა და იოანემ — იხილეს ფერისცვალება მაცხოვარისა („და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“).

თაბორის წითელ კლდეზე, მონასტერს ავიდა და იღოცა.

და აქ უთხრეს გიორგის: თაბორის მონასტერი და ნაზარეთის ოთხი ეკლესია ქართველებმა ააშენესო. ეს მაშინ, რაჟამს ვახტანგ გორგასალმა დაიპყრო იერუსალიმიო...

ვიდოდა გიორგი ქალბაბარის ძვალზე უმტკიცესი ძვალით და ძარღვით.

და მიაღწია იქ, სადაც იორდანეს ზემო ნაკვეთი ერთვის ტბასა გენისარეთისასა, გინა ტიბერიადისასა.

იორდანე! აქ ჩავლილმა ტალღებმა განბანეს და განანათლეს უფალი კაცობრიობისა.

მდინარე გადაიარა, ტბის ჩრდილო მხარეს გაუყვა და მივიდა კაპერნაუმს.

„კაფარ“ — „სოფელია“, და აქედანვე უნდა წარმოსდგებოდეს ამ მცირე ქალაქის სახელიო. მაგრამ „სიმცირე“ ვით ითქმოდა, როცა სწორედ კაპერნაუმი იყო უსაყვარლესი ადგილი თვითონ უფლისა. სწორედ აქ შეიგრძნო და შეიცნო მან პირველად ძეღვთისაობა თვისი, — ძეღვთისაობა და თვითონ ღმერთობა. აქვე, კაპერნაუმს იწამა ხალხმა მისი პირველი შეგონებანი, ვითარცა სიტყვანი ჭეშმარიტი ღვთაებისა, მესიისა და მაცხოვარისა.

და ყველაზე ძლიერი, რაიც მან, უფალმა აქ, კაპერნაუმს თქვა:

„ადამიანო, ღმერთი თვითონ შენში არსა!“

(ამიტომ, — თუნდაც ამიტომ — ადამიანს უნდა უყვარდეს ადამიანი, მისი ღმერთობისთვის მაინც უნდა უყვარდეს!).

და, ალბათ, აქ პირველად — ერმა, „რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი, და რომელნი სხდეს სოფელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდათ მათ“.

იორდანეს გასწვრივ ვიდოდა გიორგი, ლოთის ზღვისაკენ.

ზღვიდან ჩრდილოეთით ერთი დღის სავალზე იგი მივიდა იქ, სადაც მონიშნული იყო ადგილი ქრისტეს ნათლისა.

უსიამო გრძნობამ გაუნელა აღტკინება სულისა. ფრიად მღვრიედ და მწვირედ მოედინებოდა იორდანე — წმიდათა-წმიდა მდინარე დედამიწისა.

უეცველად სუფთა, ანკარა, ლურჯად მოლივლივე იქნებოდა მ ა შ ი ნ იორდანე, გამწმენდავი მაცხოვარისა, — ინუგეშა თავი გიორგიმ — მტკვარივით, არაგვივით, ანუ რიონივით ღვრული და კამკამა...

მაშ, იორდანე!

ნათელა უფლისა!

ნათვლაო?!

„ნათ-ვლა", „ნათლ-ვა" — ჩააცივდა გიორგის გონება ამ სიტყვას.

ხოლო, ბერძნულად — „ბაპტისმა"...

მაგრამ „ბაპტისმა" ხომ „განბანვაა", ან „ჩაყურყუმალაებაა", თუ „ჩაყვინთვა" და სხვა არაფერი?!

ქართველებმა კი „სინათლე", ანუ „ნათელი" ჩასდეს და „ნათლვა", „მონათლვა", „განათლვა" დაარქვეს.

იოანე ნათლისმცემელსაც ბერძნები „ნათლისმცემელს" კი არა, ბაპტისტებს" ეძახიან — „განმბანველს", თუ „ჩამყურყუმალავებელს".

საოცარია: ნათელი, ჯვარი, ვაზი და ქალის თმა — ოთხივე ზენიშანი ერთ „მოქცევაში" მოუქცევია ქართველი კაცის უცნაურ სულსს..

ქართლის მოქცევა გაახსენდა... „მონათვლა" მტკვარში „მო-ნათლ-ვა"... ნინო „განმა-ნათლ-ებელი"... ჯვარი ვაზისა... თმით შეკვერთხილი...

და უბეში ხელი ჩაიყო.

არსუკისძის ნაჩუქარი ჯვარი იძვროდა მძიმედ მღელვარე მკერდზე...

შუაღამე დადგა — ჟამი ქრისტეს ნათლობისა.

უთვალავი სანთლით, კელაპტრით, კერეონით განათდა იორდანე.

ხალხით გაჭედილიყო მდინარე.

„კირიელეისონ!!!" — თითქოს ზეციდან ჩამოიჭრა მჭუხარე ხმა.

„კირიელეისონ!"

„უფალო შეგვიწყალე!!!" ზრიალებდა ხალხი...

და შევიდა გიორგი იორდანეში. კოჭებამდე შევიდა, მერე — მუხლებამდე.

წყალი არ იყო ცივი.

არც თბილი იყო.

დაიხარა, წყალი ამოპეშვა და სახეში შეიქცია. კიდევ მეორედ, მესამედ.

და ასე — „მოიბანა" სახე.

თუ „მოინათლა“..

და, აჰა ესერა, მინიშნება საწუთისოფლო ბედისწერისა: ქრისტე იყო ოცდაათი წლის, ოდეს იდგა აქ, ამ მდინარეში, და ინათლებოდა... და გიორგიც იყო ახლა ოცდაათი წლის, იქვე, ქრისტეს ნანათლევში ჩამდგარი!

გული მიუჩუმდა, რეცა... ძიიინ, ძინ... ისევ დარეკა. ოცდაათი აითვალა გულის ნაძგერი.

ისევ ამოპეშვა და შეიქცია სახეზე წყალი, ქრისტეს ნავლევი.

ემწუთხა წყალი, მწარედ ემწუთხა.

ეს — წყალი იყო მლაშე და მარილიანი?

თუ სახეზე ნადენი, ნაგზაური და მზით ნამშრალევი ოფლი იყო ეს?

უბიდან ჯვარცმა ამოიღო, არსუკისძის ნაღვნევი.

დააცქერდა, დაიხარა და აბოავლო იორდანეში ნაწილი წმინდა ნინოს ეკლესიისა.

თითქოს რაღაცის შეეშინდაო, ნასწრაფევად ჩაიდო და ჩაიმალა უბეში ჯვარცმა გიორგიმ.

ჩაიმალა და ჩაითბო.

წყლიდან გამოვიდა და გზა განაგრძო დასავლეთისკენ.

გათენდა, როცა იერიქონს მივიდა.

იერიქონი! ისუ ნავეს საყვირებით დაქცეული და დარეცილი დიდი ციხე-ქალაქი. ახლა სარკინოზთა მცირე დასახლება იყო აქ...

აჰა, მთა გაბანისა. სწორედ გაბანის მთის წვერზე შეჩერდა მზე, უფლის ბრძანებით, სანამ ისუ ნავე იერიქონელთა, ამორეველთა და ქანაანელთა მხედრობას ერკინებოდა, და მხოლოდ მაშინ ჩაესვენა მზე გაბანს გადაღმა, როცა ჰაბირუელთა მთავარსარდალმა მტერს ხელი მოუთავა.

მაშ, მზე დამდგარა და გაჩერებულა გაბანის მთაზე:

„მზეო, დადექ და დაგვიანდი!“ — გაახსენდა გიორგის ანა-მაისას დედის მოთქმა და აერყა სული..

იერიქონიდან, ბეთანიის და ელეონის მთის გავლით, პირდაპირი გზა მიდიოდა იერუსალიმს.

და მივიდა გიორგი ბეთანიას, ავიდა ელეონის ანუ ზეთისხილის მთაზე, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა თვითონ იერუსალიმი,

იერუსალიმი, თვალისჩინი დედამიწისაჲ რამეთუ ამბობდნენ ჰაბირუელნი: თვალი დედამიწისა არის პალესტინა, თვალის გუგა — იერუსალიმი, ხოლო თვალის კაკალი, საიდანაც იმზირება მთელი სამყარო — ტაძარი სოლომონისა — დრვიმოთალიკონოს.

ძველად ელეონსაც „სამი სინათლის მთას“ ეძახდნენ. — რაკი სწორედ სამი სინათლე გაივლიდა აქ: ამომავალი მზე, ჩამავალი მზე და შუქი მოდენილი სოლომონის ტაძარში ანთებული ჩირაღდნებიდან.

ელეონს დადგა იესო ქრისტე და აქედან გაგზავნა ორი მოწაფე იქვე, სოფლიდან სახედრის მოსაყვანად, რათა შემჯდარიყო და შესულიყო იერუსალიმში. და დასასრულიც ქრისტეს მიწასთან შეხებისა აქვე დასრულდა: სწორედ აქედან, ელეონის მთიდან ამაღლდა ზეცად იესო მაცხოვარი. მისი ჯვარცმიდან ორმოცი დღის შემდგომ.

კლდოვან ნიადაგს ეტყობოდა კიდეც მძლავრად ნაყრობნი მარცხენა ფეხის ნაკვალევი.

დაემხო და ემთხვია უთვალავჯერ ნამთხვევ უფლის ნატერფალს გიორგი. სამჯერ ემთხვია — ნაქუსლარს. ნათითარს და შუაგულს — ჯერაკუმიას (ძლიერი ქუსლი ჰქონია იესოს, გრძელი თითები და ღრმად შეზნექილი ჯერაკუმია ფეხისგულისა).

როცა უფლის ნატერფალს ჰკოცნიდა, სამჯერვე რაღაც სუნი შეიგრძნო გიორგიმ, მანამდე სრულიად უგრძნობელი და უცნობელი სუნი.

ისიც ვერ გაარკვია, სუნი იყო თუ სურნელი ეს?

ან რისა იყო, რაისაგანი?

ცისა თუ მიწისა?

ღვთისა თუ კაცისა?

თვითონ ქრისტეს ნატერფალ-ნასხეულარისა, თუ ადამიანთა ნამთხვევარ-ნალოშნარისა?

ვერ მოიაზრა გიორგიმ რა დაერქმია ამ შეგრძნებისათვის — სურნელი ღმერთისა, თუ სუნი კაცობრიობისა?!

წელში გაიმართა და საკუთარ ფეხებს დააცქერდა. მაგრამ უმალვე, „ცოდვილ ვარ“, გაუელვა და ახლა თვალი მოატარა ისევ ელეონს.

ზეთისხილის მთა უხვად დაეღარა ნაპრალთა, ქვაბთა, ლაკვანთა და ქარასძავთა.

ყველაზე ახლოს, ორმოც ნაბიჯზე, იყო გამოქვაბული, რომელშიც ქრისტე თავს უყრიდა, ასწავლიდა და წაფავდა თავის მოწაფეებს. აქვე დაიბადა და დაიჩხა პირველად მარადსახსოვარი ლოცვა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაი შენი, იყავნ ნებაი შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი არსობისაი მომეც ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსნენ ჩუენ ბოროტისაგან. რამეთუ შენი არს სუფევაი და ძალი და დიდებაი საუკუნეთა მიმართ. ამინ".

ჩავიდა და ილოცა გიორგიმ იმ პირველ ქრისტიანულ სიტყვანალოცავზე და ცრემლნათხევარზე.

ამოვიდა და კვლავ დააცქერდა იერუსალიმს.

აქედან დაბლა, თითქოს ხევში ჩანდა ქალაქი დავითისა და სოლომონისა, სამი მხრიდან კლდოვანი მთებით გარშემორტყმული.

აი, დედაქალაქი მსოფლიო ქრისტიანიზმისა.

დედა-ქალაქი...

დედა...

(ქართველებმა დაარქვეს „დედა" სატახტო ქალაქს, მხოლოდ ქართველებმა. მხოლოდ... მხოლოობა უყვართ ქართველებს).

აი, ზედა-ქალაქი იერუსალიმისა!

აი, ქვედა-ქალაქი!

აი, ახალ-ქალაქი!

აი, მორიონი, ანუ გოლგოთა, გინა თხემი!

აი, ტაძარი იაღვესი!

აი, სიონი!

აი, დავითის კოშკი, სადაც დაიწერა ფსალმუნი, ზესთასოფლური საგალობელი!

გიორგის მოსვლამდე ორი ათას წელზე მეტს ითვლიდა ეს ქალაქი. ღვთაებრივმა დავითმა, ისრაელის და იუდას თიხრმეტივე ტომი ერთ სახელმწიფოდ რომ შეკრა, მაშინ გამოაცხადა იერუსალიმი ერთიან ჰაბირუელთა სატახტო ქალაქად. მერე,

დავითის ღვთისთესლიერი ძე და მემკვიდრე, სოლომონ ბრძენი, რომელმან ფრიად უაღრეს აღაშენა, გააძ'ვენიერა და განავრცო იერუსალიმი, ვითარცა უწ'მინდესი, უმ'დიდრესი და ულამაზესი ქალაქი სამყაროისა. ხოლო, ზენაშანი ჰაბირუელთა იმჟამინდელი აღზევებისა — სოლომონის ტაძარი, იაღვეს საბელზე აღმართული, უანგარიშო სიმდიდრით აღვსილი და უნატიფესი სამკაულებით დამშვენებული. მერე, შემდგომად სოლომონის აღსრულებისა, დაცემა და დაშლა ჰაბირუელთა სახელმწიფოსი; ცალკე ისრაელი და მისი სატახტო სამარია, ცალკე იუდეა და მისი სატახტო იერუსალიმი. ისრაელსა და სამარიას ასირიელებმა მოუღეს ბოლო. მათმა მრისხანე მბრძანებელმა შარუკინ მეორემ აიღო სამარია, გაძარცვა, გააოხრა, მისი მოსახლეობა დედა-წულიანად გაირეკა და მიმოფანტა მის უზარმაზარ სახელმწიფოში. სამარიის დაცემიდან ასოცდათექვსმეტი წლის შემდგომ იერუსალიმსაც ეწვია უბედურება. ახალი მსოფლიო ძლრძნებელი, ბაბილონიის უნიჭიერესი და უსასტიკესი ხელმწიფე, ნაბუქოდონოსორ მეორე შემოიქრა ცეცხლით და რკინით. იუდეის მეფე, სედეკია, გაიქცა ოჯახით. იერიქონის ველზე წამოეწივნენ ბაბილონელნი, შეიპყრეს და მიჰგვარეს თავის მბრძანებელს. ნაბუქოდონოსორმა სედეკიას თვალწინ მის ვაჟებს ყელები გამოსჭრა, თვითონ სედეკიას თვალები დაუშრიტა. მანამდე გაუგონარი სისასტიკით დააცხრა თავზე იერუსალიმს ნაბუქოდონოსორი. ქალაქი გაძარცვა და ძელებამდე გააშიშვლა. მისი ციხენი და სიმაგრენი საძირკვლამდე დაანგრია. სოლომონის ტაძრიდან ის საარაკო სიმდიდრენი ერთიანად გაიტანა, თვითონ ტაძარი დაანგრია და ბალავრიანად მოთხარა. და იერუსალიმის მთელი მოსახლეობა დედა-წულიანად აჰყარა და ბაბილონში ტყვედ წაიყვანა. ასე მოხდა: თუმცაღა არ მოხდებოდა, სედეკია უბედურს რომ იერემია წინასწარმეტყველისთვის დაეჯერებინა, ეგვიპტის ფარაონის დახმარების უნიადაგო იმედს არ აჰყოლოდა და ნაბუქოდონოსორის მორჩილებას შერიგებოდა. დაუჯერა კი არა, დილეგში ჩააგდო მაშინ სედეკიამ იერემია. ჩააგდო და, აჰა, ესეც შენი „ბაბილონის ტყვეობა"! უსაშინელესი უბედურება სამშობლოსი! „და დაჯდა იერემია მტირალი, და გოდებდა გოდებასა ამას იერუსალიმსა ზედა: დაჯდა მარტოი ქალაქი... იქმნა ვითარცა ქვრივი... მტირალი ტიროდა ღამე... და არა იყო ნუგე-

შინის მცემელი მისსა... გზანი სიონისანი იგლოვენ... ბჳენი მისნი უჩინო ქმნილან... ქალწულნი მისნი წარუვანებულან... ჩჩვილნი მისნი წარვიდეს ტყეობასა... და წარვიდა ასულისაგან სიონისა ყოველი შუენიერება მისი... დაანთქნა უფალმან არ მრიდებელმან ყოველნი შუენიერნი იაკობისნი, დაამხვნა გულის-წყრომისა მიერ მისისა სიმაგრენი ასულისა იუდასნი... შემუსრა გულის წყრომითა რისხვითა მისისათა ყოველი რ[illegible] ისრაილისა... იქმნა უფალი, ვითარცა მტერი, დაანთქა ისრაილი, დააქცია ყოველი ტაძრები მისი, განხრწნა ყოველნი სიმაგრენი მისნი, და გაამრავლა ასულისა იუდაის დამდაბლებელი. და დაამდაბლა. აღფხვრა ვითარცა ვენახი კარავი მისი, განხრწნა დღესასწაული მისი... წარწყმიდნა და შემუსრნა მოქლონნი მისნი... რაი გიწამო შენ, ანუ რასა გამსგავსო შენ ასულო იერუსალიმისაო, ვინ გაცხოვნოს შენ ქალწულო ასულო სიონისაო, რამეთუ განდიდნა სასუმელი შემუსვრისა შენისა, ვინ განგკურნოს შენ... შეასრულა უფალმან გულის წყრომა მისი და აღაგზნა ცეცხლი სიონსა შინა, შეჰამნა საფუძველნი მისნი... მოიხსენე უფალო რაი გვეყო ჩვენ, მოიხილე ყუედრება ჩუენი. სამკვიდრებელი ჩვენი გარდაიქცა სხვათად, სახლნი ჩვენნი უცხოთად. ობოლ ვიქმნენით ვითარცა არ მქონებელი მამასა, დედანი ჩვენნი ვითარცა ქვრივნი... მონანი გვეუფლნენ ჩვენ, დახსნა არა არს სულისაგან მათისა. დაირღვა სიხარული გულისა ჩვენისა, გარდაიქცა გლოვად გალობა ჩვენი. იგლოვა გვირგვინმან თავისა ჩვენისამან. ვაი ჩვენ, ვაი, რამეთუ...“

ფიქრი მოიცვალა გიორგიმ: „და სწორედ ნაბუქოდონოსორისაგან იერუსალიმის წარტყვევნის ჟამს მოხდა, რომ ჰაბირუელთა ერთმა ჯგუფმა სიკვდილს, ანუ ტყეობას გამოასწრო, ჩრდილოეთით წამოემართა, რის ვაივაგლახით საქართველოში შემოაღწია და თავშესაფარი ითხოვა. ქართველებიც რაღა ქართველები იქნებოდნენ ლტოლვილთა და მიუსაფართა თუკი არ შეიფარებდნენ, მშიერთ არ დააპურებდნენ, მცივანთ არ გაათბობდნენ და უსახლკაროთ არ დაასახლებდნენ! და დაასახლეს და დაამკვიდრეს ლტოლვილი ჰაბირუელნი ქართველებმა ქართულ მიწაზე, მცხეთის ახლოს, სოფელსი ზანავს, ანუ ხერკსა. და ათას შვიდას წელზე მეტი გასულა მას შემდგომ...

მაგრამ ხიზნობას და სტუმრობას ხომ თავისი საზღვარი აქვს, და თუ „საზღვარი ესე“ მასპინძელმა არ შეახსენა, აკი

ხშირად ხდება, რომ ხიზანი ხიზნობას დაივიწყებს, მასპინძლის მადლსაც ხსოვნიდან ამოირეცხავს და სხვის სახლში ალალი მასპინძლობით (თანაც „ქართული მასპინძლობით"!) მიღებული, იმავე სახლის მაჭასახლისობას დაიჩემებს... დიახ, დიახ, ასე იცის ხშირად „ნამეტანი მოფერებულმა" ხიზანმა. თუმცაღა სწორედ ჰაბირუელნი არ აღმოჩდნენ ასეთნი, ღორისსულოვნად უმადურნი. მათ სცოდნიათ ფასი მადლისა: ისინი, „ქართველ ჰაბირუელებად" წოდებულნი, ქართველებს საქართველოში პირველობას არ ეცილებიან! არამედ მათ კვალს მიჰყვებიან, მათ გვერდში დგანან, მათთვის გულწრფელად თავს გამოიდებენ. და სწორედ ამიტომ არის, რომ არავინ წააყვედრის ჰაბირუს საქართველოში — შენ ქართულ მიწაზე ცხოვრობო, შენ ქართულ პურს სჭამო, შენ სხვა ჯიშისა ხარო, შენ სხვა სჯული გაქვს და სხვა ღმერთი გწამსო..."

ისე კი საქართველოს ფასი და მადლი, მგონი, მოსულმა უკეთ იცის, ვიდრე დამხვდურმა...

ისევ მოინაცვლა ფიქრი გიორგიმ.

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა „ბაბილონური ტყვეობა", მანამ, სანამ სპარსეთის სახელმწიფოს დამაარსებელმა, დიდმა კიროსმა არ დაამხო ბატონობა ბაბილონისა: და დაბრუნდნენ ჰაბირუელნი იერუსალიმს, კვლავ აღაშენეს და ააღორძინეს სალოცავი ქალაქი თვისი.

განვლო ორასმა წელიწადმა და ალექსანდრე მაკედონელი მოვიდა იერუსალიმს.

კიდევ ორას სამოცდაათი წელიწადი და — გნეუს პომპეუსმა შეიყვანა რომაული ლეგიონები იერუსალიმში.

კიდევ სამოცდაათი და — ქრისტე დაიბადა.

კიდევ სამოცდაათი და — ისევ რომაელებმა, ტიტეს სარდლობით, აიღეს და დაანგრიეს აჯანყებული იუდეიის წმინდა სატახტო.

კიდევ სამოცი წელიწადი და — ადრიანე იმპერატორმა ისევ სძლია აჯანყებულ იუდეველებს და იერუსალიმის ადგილზე რომაული კოლონია დააარსა — ელია კაპიტოლინა.

კიდევ ორასი წელიწადი და — ქრისტიანობის გზაზე შემდგარმა კონსტანტინე იმპერატორმა სწორედ ქრისტიანობის „წმინდა ქალაქად" გამოაცხადა იერუსალიმი.

კიდევ სამასი წელიწადი და — არაბებმა აიღეს იერუსალიმი და მათმა ხალიფამ ომარმა, ქრისტიანთა წმინდა ქალაქი ახლა მუსლიმანთა „მეორე წმინდა“ (მექას შემდგომ) ქალაქად ამცნო ქვეყნიერებას.

მას შემდგომ გავიდა ოთხასი წელიწადი და, ჯერ ისევ არაბები ბატონობენ იერუსალიმში.

ჯერ ისევ...

ჯერჯერობით...

და ყოველივე ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ არის ამქვეყნად.

და გაახსენდა გიორგის: ოთხასწლოვანი „ჯერჯერობითი ბატონობა“ არაბებისა საქართველოში.

ყოველივე „ჯერჯერობით“ სუნთქავს ამ ქვეყნად...

...იერუსალიმსა და ელეონს შუა გეთსამანიის ბაღი იდგა, ნატერის თვალივით.

გეთსამანია, სადაც უკანასკნელად ილოცა ქრისტემ!

და მივიდა გიორგი გეთსამანიას. უამრავი მლოცველი დამუხლულიყო უფლის უკანასკნელ ნამუხლარზე. გიორგი მუხლის ჩასაბჯენ ადგილს ეძებდა ამაოდ.

და მოეცვა გეთსამანია სურნელს ღვთაებისას და სუნს კაცობრიობისას.

— მოდი, ძმაო, და აგერ ჩემს მკერდზე დამაბჯინე ეგ შენი მუხლი! — მოესმა გიორგის მიწიდან ამდგარი სიტყვა.

მთქმელი გულალმა იწვა, მკლავები თავქვეშ სასთუმლად ელაგა და იღიმებოდა ღიმილითა მარიხიანითა.

— ქართული გცოდნია, — უთხრა გიორგიმ.

— მცოდნია რა, — იქნებ ქართველიც ვიყო.

— არა, არ იქნები შენ ქართველი.

— მაშ ვინ ვიქნები შენის ფიქრითა?

— შენ სომეხი უნდა იყო.

— მერე რა გენაღვლება, რომ სომეხი ვიყო?

— მენაღვლებაო? რაისთვის მკადრებ?

— მაშ, მოდი და ერთად ვილოცოთ!

— ერთად ვილოცოთ? შენ მონოფიზიტმა და მე დიოფიზიტმა?

— არა, შენ ქართველმა და მე სომეხმა.

და წამოიწია მუხლზე სომეხი.

და დაეშვა მუხლზე ქართველი.

და ილოცეს ერთად, მაგრამ ჩუმად, თავისთვის, უერთმანეთოდ.

იყვნენ ერთად და იყვნენ ცალ-ცალკე.

და იცინოდა ქართველ-სომეხთა ბედისწერა გეთსამანიის ბაღსა ზედა!

წავიდეთ და ერთად შევიდეთ იერუსალიმშიო, უთხრა ქართველმა, თავთავისი ლოცვა რომ მოითავეს.

— ერთად შევიდეთ, ჰო, ერთად! — გაეხარდა სომეხს.

— წმიდა სტეფანეს და ცხვრების კარებით შევიდეთ, — თქვა ქართველმა.

— არა, ოქროს კარებით შევიდეთ, — თქვა სომეხმა.

— არა, ცხვრის კარებით!

— არა, ოქროს კარებით!

— ცხვრის კარებით შევიდა პირველი ტარიგი საუფლოი იერუსალიმში. ამიტომ ჩვენც იქედან უნდა შევიდეთ! — დაბეჭდა ქართველმა.

— თვითონ ქრისტე პირველად ოქროს კარებით შევიდა იერუსალიმში და ჩვენც იქედან უნდა შევიდეთ! — არ იშლიდა თავისას სომეხი.

— მაგრამ ოქროს კარები ხომ ამოქოლილია ომარ ხალიფას ბრძანების შემდგომ?

— ომარმა ამოქოლა, მაგრამ ჯვაროსნებმა აკი გახსნეს.

— ჯვაროსნებმა გახსნეს, მაგრამ აკი ისევ ჯვაროსნებმავე დაკეტეს!

— როგორაც არ უნდა დაკეტონ, გასაძრომს მაინც მოვიძიებ, — სთქვა სომეხმა და გაიცინა.

— მაშ, მე წავედი!

— მეც წავედი!

და ქართველი წავიდა „ცხვრისკენ".

და სომეხი წავიდა „ოქროსკენ".

ცალ-ცალკე მიდიოდნენ, ბედისწერა კი ერთი ჰყავდათ — ბედისწერა, ახლა რომ სიცილით კვდებოდა...

და შედიოდნენ განუწყვეტელ მდინარებად იერუსალიმს მლოცველნი ქრისტიანენი, მოდენილნი ქვეყნიერების ყოველი კუთხით. შედიოდნენ ფეხით, ცხენით, სახედრით, საბიდრით.

ოღონდ ქალურად ამხედრებულნი უნდა მსხდარიყვნენ ცხენზე, მარცხნივ ორივე ფერხით გადალაგებულნი. ბრძანება

იყო არაბთა მბრძანებლისა: მამაკაცურად ცხენზე შეჯდომის უფლება არ მიეცათ ქალაქს შემავალ ქრისტიანთათვის. ეგენი ხომ დიაცები არიან და უნაგირებზეც ეგრე უნდა ისხდნენ, დიაცურებ ფეხებმირქმულნი და აშავერმიტყუპულნიო. სიკვდილი არ აცდებოდა ქრისტიანს, ვინც ამ ბრძანების გაცუდებას შეეცდებოდა.

და შიშობდა გიორგი, — ვითომ ცხენზე ქალურად გადართხმული ქართველი ვიხილო ამ უცხო მიწაზეო. იქნებ ფეხით შესვლა ამჯობინონ იერუსალიმში ქართველებმა, როგორც მრავალი სხვა ქრისტიანი ამჯობინებსო. ისედაც რა საკადრისია უფლის წმინდა ნაკვალევზე ცხენით ჯირითიო, — ფიქრობდა გიორგი.

ქალაქს ჩვიდმეტი კარები ჰქონდა: იაფა, ნეხვი, წყაროს, ცხენები, დილეგი, ოქრო, წმიდა სტეფანე, ჰეროდე, დამასკო, შალეკეტი, შუათანა, ეფრაიმი, სიონი, ცხვრები, თევზი, ძველთაძველი, გენათი.

მლოცველობა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იწყებოდა, წმინდა სტეფანესა და ცხვრების კარებიდან (ასე დარქმეოდა, რადგან ამ გზით და კარით ერეკებოდნენ ქალაქში სამსხვერპლო ბატკნებს), რომლისთვისაც შემდგომ წმინდა სტეფანეს კარებიც დაერქმიათ.

შედიოდა გიორგი იერუსალიმში და მისი გონება მოეცვა სრულად ქრისტეს პირველი შესვლის სურათს, ათასი წლის ნათევს: შედის ღვთის ქალაქს თვითონ ღვთაება, სახედარზე ამხედრებული (შეგცოდე, ღმერთო — რომელი კუდაბახალა ქართველი იჯდრებს გირზე შემჯდარი სატახტოს შესვლას!), და ეგებება ერი ალტკინებით ატაცებული და აბღავლებული, ეგებებიან, მირტის და ზეთისხილის რტოებს მიუფენენ, ტანსაცმელსაც იძრობენ და იმასაც ფეხქვეშ მიუგებენ, და მიუგალობენ: „ოსანა ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“

და შევიდა გიორგი იერუსალიმის იმ ნაწილში, რომელიც რომაელთა მბრძანებლობის ჟამს განეკუთვნებოდა და სახელად ერქვა „ახალი ქალაქი“.

იარა და უფრო ძველ კედლებს მიადგა, ეზეკიას და მანასეს კედელ-გალავანს. გაიარა „ცხვრები“ და მიუახლოვდა მთასა მორიასა, რომელზეც სამ ტერასად დამყარებული აღმა-

რთულიყო მთავარი ტაძარი, „რაითაც იმზირებოდა მთელი სამყარო“.

პირველი ტერასა ეზო იყო, შემდგომში „წარმართთა ავლინად“ წოდებული, სადაც შესვლა შეეძლო ყველას, მართლმორწმუნე ჰაბირუსაც, ქრისტიანსაც და ყოველ სხვა სჯულის ჭაფარ-წარმართსაც. აქ იდგა სავაჭრო ციებ-ცხელება, ფულების გაცვლა-გახურდავება, ყოველნაირი საქონლისა და პირუტყვის ყიდვა-გაყიდვა, მსხვილი სანივთო მიმოქცევა და წვრილი ფერეზიკობა. ერთი სიტყვით, სწორედ აქ სდუღდა სახარების მამხილებელი და მგმობარი სიტყვით მონათლული „ქვაბი ავაზაკთა“.

ზედა ტერასა ქვედასგან ქვის კედლით იყო გაყოფილი და იქ მხოლოდ იაღვეს თაყვანისმცემლებს შეეძლოთ შესვლა. იქვე გადასაზღვრული იყო მესამე ეზო მხოლოდ ჰაბირუელ ქურუმთა და რაბინთათვის, ხოლო რაბინთა ეზოში იყო აღმართული თვითონ ტაძარი — დრვიმოთალიკონოს.

ტაძარი ნაგები იყო თეთრი, ქათქათა მარმარილოთი. კედლები მისი — ოქროთი მოჭედილი.

და ვითარცა ცეცხლი განუკვეთელი და ფერუცვალებელი — ისე ვარვარებდა ტაძარი იგი ცისა და მიწის შესაყარში.

თვითონ ტაძარი სამად განიყოფებოდა — კარიბჭე, წმიდა სალოცავი და წმიდათაწმიდა. კარიბჭეში შესვლა შეეძლო ყველა მორწმუნე ჰაბირუს, მხოლოდ მამაკაცს და სხეულით უნაკლულოს. ოქროს კარები და უძვირფასესი კრეტსაბმელი ფარავდა წმიდა სალოცავს, ტაძრის ყველაზე დაბლობ და მცირე ნაწილს, სადაც შესვლა შეეძლოთ მხოლოდ ქურუმებს. აქ ენთო შვიდლამპოვანი სანთებელი, ვითარცა შვიდი პლანეტა; ტაბლა თორმეტი პურით და მათზე გამოსახული ამდენივე ზოდიაქოთი. და კიდევ აქვე— სამსხვერპლო, სადაც იწირვოდა საწირავნი, მოყვანილნი ქვეყნის ყოველი კუთხიდან. მესამე ნაწილი ტაძრისა იყო წმიდათაწმიდა, კაცთაგან ცარიელი, რამეთუ იქ ცხოვრობდა თვით იაღვე, ღმერთი უზენაესი, ელოი, ადონაი, საბაოთ... მხოლოდ მღვდელმთავარს ჰქონდა წმიდათაწმიდაში შესვლის ნება და ისიც წელიწადში ერთხელ...

შედიოდა ქართველი ბერი ტაძრად და გულში ფსალმუნობდა: „ვიხარე, რომელთა მრქვეს მე — სახლსა უფლისასა

შევიდეთ. დადგრომილ იყვნეს ფერხნი ჩვენი ეზოთა შენთა, იერუსალიმ!“

და შევიდა იქ, სადაც ათასი წლის წინ მისულიყო იესო მაცხოვარი და გაეწმინდა იგი ვაჭართაგან, თაღლითთაგან და ფერეზიკთაგან. და მას შემდეგ, რაც ქრისტემ იაღვეს „სახლი სალოცველი“ გაწმინდა „ავაზაკთა ქვაბისაგან“, დაბრუნდა ისევ ელეონზე და ბეთანიას. და მეორე დღეს კვლავ შევიდა იგი იერუსალიმს.

გიორგიც მიბრუნდა და ის ღამე ბეთანიას გაათენა. ხოლო დილით კვლავ გაჰყვა უფლის ნაკვალევს. ისევ შევიდა იერუსალიმს, ოღონდ მეორედ აღარ შეჰყოლია ქრისტეს ნაკვალევს მთავარ ტაძარში: ეშინოდა, ღმერთის სურნელი კაცთა სუნს არ გადაეჭარა უფლის სახლში. ტაძარში აღარ შესულა, მაგრამ ტაძართან იესოს ნათქვამი უწვავდა წყაროს სმენისას:

„ამინ გეტყვი თქუენ: არა დაშთეს აქა ქვაი ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს“.

და მიჰყვებოდა და მოჰყვებოდა გიორგი უფლის ნაკვალევს იერუსალიმსა და ელეონს შორის.

ეფრაიმის კარებით დავით-სოლომონის გალავანი გაიარა, ზედა ქალაქში შევიდა, მერე სიონის კარებით სიონის მთაზე ავიდა. იქ დიდხანს იდგა. გონებაში ისევ ფურცლავდა ქრისტეს ცხოვრების წიგნს, გონებით ფურცლავდა და თვალით ნახილველს უდარებდა.

აი, იქ, სიონიდან სამხრეთით, იოსებ კაიაფას სახლი იდგა — კაიაფა ჰაბირუელთა მღვდელთმთავრისა. მანდ შეიყარა სინედრიონი რაბინებისა და ზრახვა-ჰყვეს ქრისტეს შეპყრობისა და სიკვდილისა. მანდ მივიდა იუდა „და ჰრქუა: რაი გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი? ხოლო მათ მიუწონეს მას ოც და ათი ვერცხლი“. აქ გაისმა პირველად საღალატო ვერცხლის ჩხრიალი.

მერე — საიდუმლო სერობა, 13 ნისანი (2 აპრილი), ხუთშაბათი, წინარე დღე პასექისა, და უსაშინელესი სიტყვა უფლისა:

„ამინ გეტყვი თქუენ, ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე“!

და ამ სიტყვით შერყეულ მოწაფეებს, თვინიერ იუდა ისკარიოტელისა (რომელიც უკვე წასულიყო ღალატის ხორც-

სხმად), — ქრისტემ პურით და ღვინით მისცა ზიარება საკუთარი ხორცისა და სისხლისა.

ზიარება ქრისტეს ზესთასოფლური ღვაწლმოსილების უკანასკნელი ნაქმნევი იყო დედამიწაზე.

იღვაწა სამი წელიწადი, დაიწყო ნათლით და დაასრულა ზიარებით...

გიორგი მივიდა გეთსამანიას, სადაც, საიდუმლო სერობის შემდგომ, მობრუნდა ქრისტე მოწაფეებით (ისევ თვინიერ იუდა ისკარიოტელისა).

ზეთისხილის ხეივანი იყო. ხეთა შორის რვა გამორჩეული სიდიდის, ათასწლოვანი ხენი.

და აქ, ბაღსა გეთსამანიისასა, იმ ღამით უკანასკნელად ილოცა ქრისტემ, სამჯერ ილოცა უმძიმესი სულის ტკივილით. ილოცა, „ვიდრე ოფლი მისი იქმნა, ვითარცა სისხლი“.

და აქვე — მდევართაგან კოცნით ამოცნობა, იუდას კოცნით

და შეპყრობა ქრისტესი.

(აი, ის ხე, რომლის ქვეშაც იუდამ აკოცა ქრისტეს.)

და აქედანვე — წაყვანება ქრისტესი იოსებ კაიაფასთან, სინედრიონის სამსჯავროს წინაშე... და იქედან — პილატესთან...

და იყო გაჭედილი პერეგრინუსებით გეთსამანია. იდგა სურნელი ღვთაებისა და სუნი კაცობრიობისა, ურთიერთშენაზავი. ლოცულობდა, ქვითინებდა, გმინავდა, ჰგოდებდა, ზმუოდა გეთსამანია, აღუთვალავი ხმითა და ენით ნაზავი ზუნით ზმუოდა.

და გაეცალა გიორგი გეთსამანიას, გაეცალა და გაექცა გაუგემურებული. იგი ახლა მიდიოდა იქით, საითაც ათასი წლის წინ მიჰყავდათ შეპყრობილი ქრისტე ჰაბირუელ სინოდრიარებს და უგულო რომაელ ლეგიონერებს.

აი, ის ადგილიც, სადაც ათასი წლის წინ იდგა სასახლე რომის პროკურატორისა. და იდგა პილატე პონტოელი — ხარბი მოხელე და გულქვა ჯარისკაცი, სხეულით და სისხლით ბოროტი კაციშვილი.

(ხოლო, „ბოროტ სხეულში სული მკვდარია“ — გაახსენდა გიორგის ორიგენედან ამოკითხული).

განთიადი იდგა 14 ნისანისა, პარასკევისა, პასექის დღე-

სასწაულისა, ოდეს მხარგაკრული ქრისტე მიიყვანეს პრეტორიუმში, პილატე პონტოელთან.

ჯაბირუელმა სოფლიმებმა რომაელი მაგისტრატის საღგომში შესვლა არ ინდომეს — ამ დღესასწაულის დღეს არ შეეიბილწოთო, და პილატე გარეთ გამოიხმეს.

რას უჩივით და რა ბრალს დებთ ამ კაცსო, — იკითხა პილატემ უგულო ხმორვით.

საჩივარი და საბრალობელი რომ არ იყოს, არც მოვიყვანდითო, უპასუხეს ჰაბირუელთა.

მაინც რას უჩივითო?

მოსეს კანონებს ებრძვისო, იერუსალიმის ტაძრის დანგრევას აპირებსო.

მერე, ეგ ხომ თქვენებურად ღვთის გმობაა და სხვა არაფერი, ამიტომ თქვენც ადექით და თქვენი სჯულის კანონებით განიკითხეთ და გაასამართლეთო, ხელი აიქნია პილატემ.

მარტო ღვთის გმობა კი არა, ეგ კაცი თავს იუდეიის მეფედ აცხადებს, ხალხს აჯანყებს და ამით რომის კეისარს ემეტოქება. ამისთვის ხომ სიკვდილი ეკუთვნის, ჩვენ კი სიკვდილის განაჩენის უფლება არა გვაქვსო, შენ კი უფლება გაქვს და კიდევაც გევალება სიკვდილით დასჯოო, — ყარყაშებდნენ რაბინები.

კეისრის მეტოქეობაო? ხალხის აჯანყებაო? — ახლა კი დაფრთხა პილატე პონტოელი.

მაშინვე შეიყვანა სასახლეში იესო მარტოდმარტო სიტყვა-საქცევად.

შენ მართლა იჩემებ იუდეიის მეფობასო, ჰკითხა პილატემ.

შენ თვითონ მიიჩნევ მაგას ჩემ ნათქვამად, თუ სხვები რომ მაბრალებენ, იმას უგდებ ყურსო, თავისად ჰკითხა იესომ.

განა, მეც ჰაბირუელი ვარ, რომ შენი ხალხისგან მეფეს ველოდეო, — ზიზღით თქვა პილატემ — შენიანები გდებენ შენ ბრალს იუდეიის მეფობის აჩემებაში, და ისეთი რა ჰქენ, რომ გაბრალებენო?

ისინი არა სტყუიან, რომ მეფობას ჩემსას ვამბობო. მაგრამ ჩემი მეუფება სულ სხვაა, ვიდრე მათ ესმითო, — ამბობდა ქრისტე — ჩემი მეუფება არ ა ამქვეყნიური არისო, და ასე რომ არ იყოს და მეც ჩვეულებრივ მეფობას ვგულის-

ხმობდე, მაშინ მე, ვითარცა მეფეს ა მ ქ ვ ე უ ნ ი უ რ ს, უნდა ძყოლოდა პასუხაკნი, ჩემდა მოსამსახურენი, მებრძოლნი ჩემდა მბრძოლნი და მე აღარ ვიქნებოდი პყრობილი მპყრობელთაგან ჩემთა. ამიტომ ვამბობ, რომ მეუფება ჩემი არა არს ამიერ მიწა-სოფლისაო, — მ შვიდად დაასრულა იესომ.

— მაგრამ რაკი შენ შენს მეუფებაზე ლაპარაკობ, მაინც ხომ მეფედ აცხადებ თავს? — ჩასდია პილატემ.

— რაკი შენ ასე ამბობ, დე იყოს ასე: მე დაბადებული და ძოვლინებული ვარ ჭეშმარიტებისათვის, ჭეშმარიტების სასწაულებლად და ვინც ჭეშმარიტება შეიცნო და შეიყვარა, იგი აჰყვა ხმასა ჩემსა და გზასა ჩემსა, — მხურვალედ თქვა მეუფემან ჭეშმარიტებისამან.

ჭეშმარიტებაო?!

— რაი არს ჭეშმარიტებაი?

და უშვერმა, უგვანმა ხარხარმა შეარყია სასახლე.

იცინოდა პილატე, მას რომ შვენოდა ისე იცინოდა.

— ჭეშმარიტებაი, ჰა, ჰა, ჰა, ჰე, ჰე, ჰე!

და ასეთი სიტყვადი რომ შვილისათვის მოითხოვენ ეს ჭკუაშერყეული ჰაბირუელნი თავისი თვისტომის სიკვდილს!

(ისეთი იყო გონი პილატესი, მის გლემურძოვან გარსში ვერ შეაღწია სიცხოველემ და სინათლემ ლოგოსისა: „ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა"!).

„რაი არს ჭეშმარიტებაი?!"

(გონებაბრჯგუ პილატე კი არა, — ერთიც ვიკითხოთ, დღემდე რომელმა ბრძენთაბრძენმა გასცა სრულქმნილი პასუხი ამ მარადიულ საკითხავს?!).

და გამოვიდა, და გამოუცხადა პილატე პონტოელმა ჰაბირუელ სოფერიმებს: მე ამ კაცში საბრალობელს ვერაფერს ვხედავ!

ვერაფერს ვხედავო?!

— ჯუარს აცუ, ჯუარს აცუ, ჯუარს აცუ ეგე! — იბღავლეს რაბინებმა.

ხელი აღმართა პილატემ და გახაგრძო: ეს კაცი არ იმსახურებს-მეთქი სიკვდილს, მაგრამ კიდევაც რომ იმსახურებდეს, აკი ყოველ თქვენს დღესასწაულ პასექზე ჩვენ რომაელნი ვათავისუფლებთ ერთ დამნაშავეს, სიკვდილისჯილს, და მოდით, ეს იყოს იესო.

— იესო?! — დაიგმინა სოფერიმთა კორომმა.

— ჰო, იესო! — იყვირა პილატემ.

წამიერი გარინდება და ისევ იგრიალეს ჰაბირუელთა:

— დე იყოს აგრე, და გაათავისუფლე იგი, ვისაც სახელად ჰქვია იესო, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— გაათავისუფლე იესო ბარ-აბბა!

?!

კიდევ ჰყოლია ერთი იესო შეპყრობილი პილატე პონტოელს — იესო ბარ-აბბა, სიკვდილმისჯილი მკვლელობისათვის.

და გაათავისუფლე იესო, ბარ-აბბად წოდებულიო, ღრიალებდნენ ჰაბირუელნი.

— მაშინ, რაი ვუყოთ იესოს, ქრისტედ წოდებულს? — იკითხა პილატემ.

— ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე! — იყო პასუხი.

— მაგრამ რა ბოროტებისთვის?

— ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე!

ერთხანს უცქირა გულდრკუ და გონებაბრჯგუ რომაელმა პროკურატორმა ცოფით ატანილ რაბინთა ლოშქრიან პირებს, ჩასისხლულ თვალებს, ყიყვიან კისრებს და გადაწყვიტა: ეს ვიღაც ქრისტეა, განა ჰღირს მაგისთვის ახალი შფოთის ატეხვაო, და... წყალი მომიტანეთო, ბრძანა.

და მოართვეს წყალი.

და დაიბანა ხელები პილატემ, დაიბანა და თქვა სიტყვები კაცურკაცობის მარადიულად შემარცხვენელი:

„უბრალოი ვარ მე სისხლისაგან მაგისისა. თქუენ იხილეთ!"

შენ არხეინად იყავიო — იბღავლეს ჰაბირუელთა — „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა იყოს!"

მთავარია, ეგ მოკვდესო! — ასეთი იყო ფიქრი ჰაბირუელთა.

მთავარია, მე ხელები დავიბანოო! — ასეთი იყო ფიქრი პილატე პონტოელისა.

(პონტოელი, პონტოელები, ქართველები...; ნუთუ პილატე პონტოელიც ქართველი იყო?!... სული შეუძრწუნდა გიორგის).

და იტანჯა იესო პილატე პონტოელის „დაბანილი ხელებით“.

სცეს შოლტით.

გააშიშვლეს და, „ვითარცა მეფეს“ წამოასხეს ძოწის ქლამინდი.

შეთხზეს გვირგვინი ეკალთაგან და, „ვითარცა მეფეს“ დაადგეს თავზე.

მარჯვენა ხელში მისცეს არგანი, ვითარცა „კვერთხი მეფისა“,

მუხლი მოიყარეს მის წინაშე, ვითარცა „მეფის წინაშე“, და მიუმღერდნენ სიცილით, ღმეჭვით: „გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათა!“

და ნერწყვაევდნენ, აფურთხებდნენ სახეში და ჯობებით სცემდნენ.

და როცა ყველამ — ჰიბირუელთა და რომაელთა — ცემით, ფურთხებით, კიცხევით გული იჯერეს, ძოწეული მოჰხადეს და ისევ მისივე სამოსელით შემოსეს.

და უტვირთეს ჯვარი უმძიმესი და, რომაული კენტურიის თანხლებით, დაძრეს ჯვარცმად გოლგოთისაკენ.

გოლგოთა!

(გაელინურებული ებრაული სიტყვისაგან — „გულგოლეთ“, რაიც ნიშნავს — „თავის ქალას“).

პრეტორიუმიდან გოლგოთამდე ორი ათასი ნაბიჯია.

გზა, რომელსაც სამარადჟამოდ დაერქვა — „ვია დოლოროზა“ — „გზაი მწუხარებისა“, გინა „ვნებისა“.

თოთხმეტჯერ დაეცა ამ გზაზე უფალი მაშინ.

მჯიღი აძგერეს ტანზე 122-ჯერ, სახეზე 30-ჯერ, ყვრიმალზე 27-ჯერ.

კვერთხი შემოჰკრეს თავსა და მკერდზე 205-ჯერ.

ისევ მჯიღი კისერსა და წელსა — 22-ჯერ.

ისევ მჯიღი კისერსა და წელსა 28-ჯერ.

თოკით თრევა 11-ჯერ.

გმინვა მისიკვდილებისა 35-ჯერ.

ცემა შოლტით 6666-ჯერ.

ცემა ნაწყლულევზე ლერწმით 1-ჯერ.

ცემა ეკლის ხურთით 22-ჯერ.

შენერწყვება პირსა 22-ჯერ.

სისხლი აქცევინეს მიწამდე 1125-ჯერ.

მიერეკებოდნენ: რომაელი ლეგიონერი 508, პასუხისმგებელი 103, შეშთოკველნი და შემკვრელნი 5, დახარჩენნი (მოსეირენი, მოშტერენი, მოსარჩლენი) — ურიცხვნი.

მხოლოდ „ვინმე სვიმონ კვირინელმა, ველით მომავალმა“, შეაშველა ბერე ხნით ხელი უფლის ტვირთსა უმძიმესსა...

და იდგა გიორგი გოლგოთაზე, უძრავი, მდუმარი.

მის გარშემო უთვალავი ადამიანი ირეოდა და მაინც იყო მარტო — „თვითონ“, „თავისთვის“.

და გარშემო მოზიმზიმე კაცთა მოდგმისგან მხოლოდ კაცობრიობის სუნს შეიგრძნობდა.

უფლის სურნელი თითქოს კაცობრიობის სუნს გადაეფარა...

უცხო ფიქრებმა დაფლითეს და დაინაწილეს მისი გონება.

მაშ, გოლგოთა!

აქ იდგა სამი ჯვარი, ანაგებით სამი.

შუათანაზე თვითონ გალურსმეს მაცხოვარი.

აქეთ-იქით — ავაზაკნი, „ძვირის მოქმედნი“.

„ჰამაო, ხელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა!“ — ეს მისი უკანასკნელი სიტყვა იყო მიწაზე თქმული.

შემდგომად მაცხოვრის აღსასრულისა, „განიგდეს წილი და განიყვეს სამოსელი მისი“.

და კვართი მაცხოვრისა წილად ხვდათ ქართველებს, ელიოზ მცხეთელს და ლონგინოზ კარსნელს!

მაშ, ქართველები ესწრებოდნენ უფლის ჯვარცმას.

და ერგოთ და წამოიღეს კვართი უფლისა!

და დაემარხა კვართი უფლისა მცხეთას!..

უბეში ჩაიდო ხელი გიორგიმ.

თბილი იყო ჯვარი ნინოსი.

და თბილი იყო გული გიორგისი.

მაგრამ — ჯვარს გაეთბო გული, თუ გულს — ჯვარი?

ღვთის სურნელს მოეცვა არსება გოლგოთას მდგარი ქართველი მწირისა.

კვართი უფლისა ქართულ მიწაში!

მაგრამ მარტო ჩვენ ვიცით და ჩვენ ვიწამეთ, თუ...

ისევ გაუგრილდა გული.

ისევ ამძლავრა კაცობრივმა სუნმა ღვთაებრივ სურნელზე...

აქ ახლა დიდი ტაძარი იდგა, უფლის საფლავის სახელობისა.

მთელი გოლგოთა მოეცვა ამ ტაძარს, სრული ირგვლივით.

ტაძარი ესე გაცხადებული იყო მსოფლიო საქრისტიანოს საკუთრებად, ყველა ქრისტიანი ხალხის ერთუფლებიანობით და სწორპატიობით. ყოველ ქრისტიან ქვეყანას და სათეისტომოს თავისი სალოცავ-საწირავი და სასანთლე-სანათებელი ედგა ამ ტაძარში.

შევიდა გიორგი გაჭირაღებულ ტაძარში. უამრავი სანთელი ენთო, ჯგუფად და ჯუჩად, უამრავ კაცთა ხელით ნანთები, უამრავ ენითა ნალოცავ-ნაგალობევი.

ძლივს მოიძია გიორგიმ ქართველთა სალოცავი. ნიშის თავზე ქართულმა წარწერამ მიანიშნებინა და მიაკვლევინა:

„უფალო, ადიდენ საქართველო, წილხვდომილი შენის ღვთაებრივის დედამშობლის მარიამისა“.

წარწერას ნათლით ძლივს აპურებდა უნიათოდ მოლიცლიცე მცირე სანთელი.

ვინ იყო და ვინ აანთო იგი?

თვალი მიმოატარა გიორგიმ.

ხალხისგან ტევა არ იყო.

ქართველი კი არავინ იყო.

არავინ!

უბიდან დიდი კერეონი ამოიღო, სანთლის ნაბეჭუტავზე აანთო და სასანთლეზე დაამყარა მყარი მარჯვენით.

„იქმენინ ნათელი!“ — წაიჩურჩულა.

„იქმენინ ქართველი!“ — უფრო ხმამაღლა თქვა.

„იქმენინ საქართველო!“ — უფრო ხმამაღლა.

ვიღაცეებმა მოჰხედეს მის უცხო ხმას. მხოლოდ წამით მოჰხედეს.

ლოცულობდა ქართველი პერეგრინუსი.

„უფალო, უფალო, დიდსულოვნებითა შენითა შეუნდე ქართველს ქართველობა, რომელი შენვე უძღვენ, ვითარცა არზანიგი ღვთაებრივი. მძიმეა ტვირთი ადამიანისა, უმძიმესია ქართველისა. შენ აავსე კაცთა სიყვარულით გული ქართველისა და ვინძლო, მეოხებითა შენითა, ზოგად კაცთა სიყვა-

რულმა არა დააკნინოს ქართველთ სიყვარული ქართველის გულში“.

დიდხანს ლოცულობდა.

მუხლები სტკენოდა, მაგრამ მხოლოდ მუხლებს სტკიოდა მათი სატკივარი, ვინათგან სულს არ ესმოდა სხეულის სატკივარი.

ადგა გიორგი და შეუდგა ტაძარში მოქცეული გოლგოთის ყოველი წმიდა ადგილის მოხილვასა და მოლოცვას.

აი, ყველაზე მაღალი ადგილი, სადაც რომაელები ჩვეულებრივ ჯვარზე ლურსმავდნენ და ჯვარიანად კლდეზე ჰყრიდნენ ასეულობით სიკვდილმისჯილებს. და ქრისტეც მათთვის, რომაელებისთვის, ერთი „ჩვეულებრივი იმათგანი“ იყო, რომელიც „ჩვეულებრივი ჯვარცმით“ უნდა მოეკლათ და სხვა არაფერი. აქ კლდე ამოხვრეტილია ერთი წყრთის სიღრმეზე, სადაც ჩარჭობილი ყოფილა ჯვარი, უფლის მაწამებელი.

„ელი, ელი, ლამა საბაქთანი? ღმერთო, ღმერთო, რაისათვის დამიტევებ მე?“ — გახმიანდა გიორგის სულში ქრისტეს ძახილი ჯვარცმიდან.

აი, „ქვა მირონცხებისა“, რომელზეც პირველად დააწვინეს და მირონი სცხეს ჯვარიდან გარდამოხსნილ იესო მაცხოვარს.

აჰა, ის მრგვალი ქვაც, ქრისტეს ჯვარცმის გამო ორმოცი ქალწულის ცრემლთაგან დასვრეტილი.

ჯვარცმის ადგილიდან ხელმარჯვნივ, კლდეში ღრმა ნაპრალია — სრულიად კაცთა მოდგმის მამამთავრის, ადამის საფლავად სახელდებული. როცა ჯვარზე გაკრულ უფალს რომაელმა ლეგიონერმა შუბით ფერდი განუპო, კლდე შეირყა, ნაპრალად გასკდა, უფლის ფერდიდან გადმონადენი სისხლი ადამის თავს ესხურა და ადამის მოდგმაც, სრულიად კაცობრიობა, განიბანა და განიწმინდა ცოდვებისაგან.

ჯვარცმიდან დასავლით კი ის ადგილია, სადაც განიყვეს ქრისტეს სამოსელნი და... კვართი უფლისა წილად ხვდათ ქართველებს.

(მხოლოდ ჩვენ ვამბობთ და მხოლოდ ჩვენ გვწამს?!).

ტაძრის ღია გუმბათი, მისი შუაგული ჯერაკუმია, პირდაპირ დასცქერის ყველა წმიდა ადგილზე ყოველად უწმიდესს — თვითონ საფლავსა უფლისასა.

ეს არის მღვიმე, ქარანძავი, ქვაში ნაკვეთი. ქარანძავის შესასვლელამდე სამი ტერფის დაშორებით სწორკუთხა რუჟანი ქვა აგდია. სწორედ ამ ქვით იყო ამოქოლილი დაკრძალული ქრისტე მღვიმეში, ხოლო ოდეს აღდგა, ეს ქვაც ზეციური ხელის კვრით გადმოვარდა და გზა მისცა უფალს, აღმდგარსა და აღორძინებულს. ქვა იგი ახლა „სამყაროს ქვად" იწოდებოდა.

ქარანძავის მცირე კარში, — რომელიც სიგრძე-სიგანით ოთხ წყართას არ აღემატება — ადამიანი დაჩოქილი თუ შეეტევა.

გიორგი ოდრიკალად მოიდრიკა და ძლივს შევიდა.

შევიდა კი არა, ხალხის მდინარებამ შეიტანა ქრისტეს საფლავში.

ქრისტეს საფლავი!..

ხელმარჯვნივ კლდე გამოკვეთილი იყო, ვითარცა საწოლი.

და ეს იყო სასვენებელი, გინა სარეცელი, გინა „კუბო" უფლისა, — სიგრძით ოთხი წყართა, სიგანით ორი, სიმაღლით ნახევარი.

ხუთი დიდა კანდელი ანათებდა უფლის სამარეს.

საკმევლის სუნით გაჟღენთილიყო იქაურობა.

თუ — ღვთაების სურნელით?!.

მიჯრით, მიტმასნით მიდიოდნენ მლოცველნი ქრისტეს სარეცელზე, ჰკოცნიდნენ, ლოშნიდნენ, ცრემლავდნენ, თავს ახლიდნენ, ხელით ელაციცებოდნენ, ფრჩხილებით და კბილებით ეჭიდებოდნენ — იქნებ უმცირესი ნამკესი რამ მაინც აეგლიჯათ და წაეღოთ მარად სახსოვარ და საბედნიერო ღვთაებრივ ევლოგიად.

თავისთვის რომ წაეღოთ, თავისთვის.

(რადგან, ყველას ცალკეულად ყველაფერი თ ა ვ ი ს თ ვ ი ს უნდა და ესურვილება — საკუთრად, თავის ევლოგიად).

ლამის ჩაენთქათ სულშერყეულ ადამიანებს უფლის ნარეცალი.

ლამის კაცობრიობის ს უ ნ ს სრულად ჩაენთქა ს უ რ წ ე ლ ი ღვთაებისა.

და სწორედ ამას შეუშინდა გიორგი — ვაითუ კაცთა უთვალავი ნატუჩარისა და ნოფლარის ქვეშ უფლის სურნელი

ველარ ამოვიცნოო, და ამბორით აღარ შეაწუხა უფლის წმინდა ნაწოლი.

მხოლოდ, შუათანა საუფლო კახდელს მარჯვენა ხელით სანთელი მიუშვირა, სინათლე გადაიხთო, მარცხენა ხელით დაიფარა (ხალხის ოხშივარს რომ არ ჩაექრო) და გარეთ გამოვიდა.

გამოსვლისთანავე ანაზდად წინ ვიღაც გადაუდგა, ხელში მჭრალი სახთლით და მავედრებელი ხმით:

— ჯვარშუბლიანო, გადმომინთე სანთელი შენი!

მარცხენა ხელი გაექცა შუბლისკენ გიორგის, მარჯვენათი სანთელი სანთელს გადაუკიდა და სინათლის მავედრებელს სწრაფად გაშორდა.

მაგრამ უცებ გაჩნდა მეორე, კიდევ მესამე, მეოთხე, კიდევ, კიდევ...

— მეც გადმომინთე, ჯვაო შუბლიახო!

— მეც მომიკიდე!..

— მეც...

— მეც მომხედე, ჯვარშუბლიანო!..

და მოაწყდა ხალხი.

და უკიდებდა და უნთებდა სანთელს ყველას, უნთებდა უფლის სანთლიდან, ქართველი მწირი, ჯვარშუბლოვანი.

ხალხი კი თვალებით ნთქავდა მის შუბლს.

და უცებ გაუქრა ჯვარი შუბლიდან გიორგის.

სახე ისე დაეძაბა და გადაეტკიცა, ყოველი მცირე ნაოჭიც გადაეწმინდა სახისა და შუბლის კანიდან. მაგრამ ისე გაუჭირდა, ღამის გახეთქოდა საფეთქელზე ძარღვი კათოლიკე.

და სანამ შუბლზე ჯვარი ისევ გამოისახეოდა, გიორგიმ თავი დაიქნია, უკანნაქცევი თმანი წინ გადმოიყარა და შუბლი სრულიად უჩინარჰყო.

და ვიდრე გაოგნებული ადამიანები გონს მოეგებოდნენ, გიორგი თითქმის სირბილით გაშორებოდა იქაურობას.

გარბოდა ადამიანთა ზღვაში — ადამიანთა, რომელნიც ვიდოდნენ: თუ ფეხით, თუ ცხენით, თუ კარაულით, თუ ვირით, თუ კერძოვირით, თუ საზიდარით. და მათ შორის ქრისტიანნი დიაცურად ცხენის თუ კარაულის ცალგვერდზე ორივე ფეხგადაწყობილნი.

გარბოდა და ეშინოდა გიორგის: დიაცურად ამხედრებულთა შორის ქართველი ვინმე არ გადაჰყროდა.

უკვე ღამდებოდა, ელეონის მთაზე რომ ავიდა.

მიწაზე დაეშვა.

ახლაღა მიხვდა, რომ უსარველოდ დაქანცულიყო.

მიწას იქაური მძვინვარე მზის მხურვალება არ გამოჰყროდა და მასზე მწოლარე ადამიანს საძილე მოთენთილობით ავსებდა.

და ის იყო, გიორგის კიდევაც ეწვია ძილი (ძმაი სიკვდილისა), რომ უცებ სიმღერა შეიოესმა. ხმა ქვემოდან მოდიოდა, კედრონის მხრიდან.

ქართველები მღეროდნენ:

„საქართველოში, საქართველოში,
სადაც ქართველნი არიან თვით ქრისტე".

მსწრაფლ გაეყარა ძილი გიორგის — ძმაი სიკვდილისა.

სული დაუფეთა ქართულმა სიმღერამ.

თვითონაც მოსწყურდა ქართველს ქართველებთან სიმღერა.

როგორც სჩვეოდათ ქართველებს: მკლავი-მკლავს გადაჭდობა და სიმღერა ტანის ტორტმანით.

მაგრამ რა სიმღერა იყო ეს, — „საქართველოში ქართველი არის თვითონ ქრისტე?!"

ეს კი მართალია, რომ ღმერთი უსრულესად და ყოვლისმომცველად სწორედ სამშობლოში განიცდება, მაგრამ...

ღმერთო დიდებულო, ისევ ყველაფერი თავისი და თავისთვის უნდათ, — ყოველი სიდიდე ქართული ჯიშისად ესურვილებათ, ელანდებათ, ეჩვენებათ და ბოლოს ეჰეშმარიტებათ კიდეც.

თვით უზენაესი ღმერთიც „თავის სისხლ-ხორცად" ენატრებათ და ეოცნებებათ ქართველებს.

ღმერთი უეჭველად ქრთველი იქნება!

— ღმერთის „ჭშობლიური ენა" უეჭველად ქართული ენა უნდა იყოს!

საკუთარი ღმერთი უყვართ ქართველებს.

მაგრამ საკუთარი ღმერთის მოკვლაც უყვართ ქართველებს.

თუმცაღა მარტო ქართველებს?

და ისევ გაჰხედა გიორგიმ გოლგოთას, მორიონს, ადგილსა სიმწარისასა.

და წამსვე გაუელვა:

„მშვიდობით, მეფობაო ისრაელისაო, რამეთუ უგუნურებით მოჰკალით, უბადრუკნო და წარწყმედილნო, უფალი და მაცხოვარი ყოველთა, და იქმენით ბოროტად მკელელნი შემოქმედისა თქუენისა, ვაი თქუენდა უბადრუკნო!"

(ეს ელიოზ მცხეთელის დედის სიტყვები იყო, როცა მან მცხეთაში მყოფმა, ქრისტეს აღსასრული გრძნებითა უცნაურითა იმ წამსვე იგრძნო, რა წამსაც მას იერუსალიმში სული აღმოხდა ჯვარზე გალურსმულს).

ჰაბირუელთა თვითონ მოჰკლეს თავისი ღმერთიო!

ხოლო ქართველებს კიდევ უფრო ეწადნიერებათ და ეხერხებათ მოკვლა საკუთარი ღმერთისა.

ჰაბირუელებზე მეტად ქართველები ვერ იტანენ ცოცხალ ღმერთს.

სამაგიეროდ, ქართველებს მკვდარი ღმერთი უყვართ — თვითონვე რომ მოჰკლავენ (ან იაროლით, ან ავი სიტყვით) და თვითონვე გააღმერთებენ.

აგერ, ათას წელზე მეტია, რაც ჰაბირუელებმა მოჰკლეს ღმერთი, ტომით თავისი სისხლხორცი, მაგრამ ცოცხლად გამეტებული, ამდენ ხანს აღარც მკვდარი იწამეს ღმერთად.

ქართველები კი — თავისივე ხელით მოკლულს იმ დღესვე გააღმერთებენ.

ასე მოსდგამთ...

ასეთები არიან...

ასეთები...

არა და... მსოფლიო კაცობრიობის წინაშე სრულიად ცალკე ერსაც ისეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც ცალკე კაცს მისი ერის წინაშე.

ცალკე ერს არა აქვს უფლება ღმერთი მოუკლას კაცობრიობას.

ვითარცა — ცალკე კაცს უფლება არა აქვს ღმერთი მოუკლას საკუთარ ერს.

...ერი, რომელმაც ხელი შეიგინა ღვთაების სისხლით...

...კაცი რომელმაც... ასევე სისხლით...

ჩაეძინა.

სულ იმას ნატრობდა, ყოველ ძილის წინ, ღმერთო საქართველო დამასიზმრეო, ამ ღამით მაინც.

და ესიზმრა: თეთრ ცხენზე იჯდა თეთრი ქალი, რეცა, ირმის რძეში ნავლევი, მოღიმარი, კბილებალმასა.

ჰაერეთს იდგა, უხილავსა ჰაერწნულზე დამყარებული.

„ვინ ხარ შენ?“ — უნდოდა ეკითხა მძინარე მწირს, მაგრამ ვერც ბაგე შეატოკა, ვერცა სიტყვა დასძრა, სიტყვა სულში უტყვად მდებარე, ვინათგან სიტყვას ფუძე მოშლოდა.

„შენ გინდა მკითხო, ვინა ვარ მე?“ — გადიკისკისა ქალმა, მზის სხივთა წკარუნით და შეატოკა შიშველი მკერდი, ორივე ნუკრით.

„ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი მარჩბიენი ქურციკისანი“, — უნდოდა ეთქვა გიორგის, მაგრამ ვერა თქვა, რადგან ფუძე დასწვოდა სიტყვას.

„მე რომ მოგიკვდი, რატომ მაშინვე არ წამომყევი?“ — ჰკითხა ქალმა.

და უცებ ქალი აღარ იყო შიშველი, არამედ ემოსა კვართი თეთრი, ქათქათა, მონაქსოვი და უკერველი, გულზე ჯვარით ამონაქარგი.

„დედა! ანამაისა!“ — აღმოხდა გიორგის.

„და მიმიღო დედამან შენმან და შემიყვარა, ვითარცა სასძლო მისი“, — სთქვა ქალმა მზის სხივთა წკარუნით.

„ანამაისა, ჩემო უმანკოებავ, ჩემო...“

„სსსუუ, ნუ იტყვი, რადგან არ არსებობს უმანკოება, არცა უცოდველობა, რადგან მეც, ვითარცა ყოველმა სულდგმულმა განვცლე ჭუჭყიანი გზა ქმნადობისა და დაბადებისა. ხოლო, უმანკო და უცოდველი მხოლოდ ჯ ე რ უ ქ მ ნ ა დ ი ა.“

„მაგრამ შენი მშვენიერება?“

„მშვენიერება უმანკოების გამორიცხვაა, რადგან ყოველი მშვენიერი მხოლოდ უმანკოების რღვევის შვილია. მეც ასე გავჩნდი — უმანკო ბუნების მანკიერი და მშვენიერი გამონაყოფი და გამონაშთი. ხოლო, რაკიღა ვ ი ქ მ ე ნ, უცილობელ იყო უ კ უ ქ მ ნ ა ც. და მას შემდგომ, რაც მე შენთან ვიყავ ზედნიერ, მე იმ დღესვე უ კ უ ვ ი ქ მ ე ნ და მიწიერი ყ ო ფ ნ ი ს ა გ ა ნ დავუბრუნდი ა რ ყ ო ფ ნ ა ს, ანუ მარადიულ ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა ს“.

„ანამაისა, ეს შენა ხარ?“

„მე ვარ, სწორედ მე, ხოლო შენ როდისღა დაადგები გზასა უკუქმნადობისასა? როდისღა იხსნი სულს სხეულისგან? თუ შენს მძლავრ სულსაც თავზარს სცემს სიტყვა „სიკვდილი“? გახსოვდეს, ჩემო, სიკვდილი სხეულისგან სულის დაბადებაა, სხვა არაფერი“.

„ანამაისა, ანამაისა, როგორ გაზრდილხარ?“

„მე არ გავზრდილვარ, მე ისევ ის ვარ, ისევ ის პატარა გოგო, ყაყაჩოების ყანაში რომ შეგხვდა ერთხელ, მხოლოდ ერთხელ და მეტჯერ არასდროს. ხოლო, ის რაც ახლა ჩემს გახრდად და ჩემს სიმწიფედ მიგიჩნევია, იგი მე არ ვარ, არამედ იგი შენა ხარ, შენ რომ ჩემში ხარ, შენი სული ჩემში გაზრდილი და დამწიფებულ-დამწვისებული, შენი ფიქრი ჩემში დაწმენდილი და დაბრძენებული“.

„მეც მალე სრულად წამოვალ შენთან და მარადისად ვიქნებით ერთად. წამოვალ, რადგან მე არ მაშინებს სიკვდილი, ანუ სულის დაბადება სხეულისაგან“.

„მალე წამოხვალ? „მალე!“ როდის არს „მალე“?

„მაშინვე როცა მოვიძიებ, რასაც ვეძიებ“.

„რას ეძიებ?“

„ჰეშმარიტებას“.

ამის თქმა და, დაიწკრიალეს მზის სხივებმა:

„რაი არს ჰეშმარიტებაი?“

დიდხანს იცინოდა ქალი, თეთრი და თეთრტაიჭოსანი.

(„რაი არს ჰეშმარიტებაო“, და სადღაც შორს პილატე პონტოელის უშვერი და უგვანი ხარხარიც გაისმა, თითქოს).

„ჰეშმარიტებას ვეძებო? მაშ, შენ შავ კატას ეძებ შავ ღამეში“, დაასრულა ქალმა ნიშნგებით.

„მე მხოლოდ ის ჰეშმარიტება ვიგულისხმე, რაისთვისაც ღმერთმა აზრი მისცა ჩემს ცხოვრებას დედამიწაზე“, — წყენით თქვა გიორგიმ.

„და რაი არს სახელი მაგ შენი მიწიერი ჰეშმარიტებისა?“ — არ მოეშვა ქალი.

„სახელი მისი — საქართველო!“ — მხურვალედ შესძახა გიორგიმ.

„საქართველო?!“ — აღმოხდა ქალს. აღმოხდა და დადუმდა. ასე იდგა უტყვად და უძრავად ერთ ხანს. მერე ცხენი დასძრა, ახლოს მოვიდა და დააშტერდა გიორგის სახეს.

„ჰო, შენ ხომ შუბლი ხარ საქართველოსი, ისე ვითარცა — კავკასიონი შუბლი სრულიად დედამიწისა!“

„შენ ეგ ვინ გითხრა?“

„ვინც შენ გითხრა“.

„წმინდამან ნინო!“

„სწორედ“.

„შენ ის იხილე?“

„ვიხილე და ვისმინე მისგან: შუბლი საქართველოსი — გიორგი ათონელი; მკლავი საქართველოსი — არსუკისძე თვალშვენიერი“.

გაოგნდა გიორგი.

„თვალშვენიერ არსუკისძე, აღმშენებელი სვეტიცხოველისა — მკლავი საქართველოსი! დიდებულია, დიდებული... მაგრამ მე „ათონელი“? ალბათ, სიზმარში უნდა ვიყო, თორემ მე „ათონელი“, როგორ? როცა ათონს ჯერ ჩემი არც ფეხი შეჰხებია და არც თვალი.“

„მალე იქნები, ძალიან მალე!“ — ჩაურთო ქალმა.

„ათონელი?“

„ათონელი და მთაწმიდელი“.

„მთაწმიდელი?!“

„სწორედ, სწორედ, შუბლო საქართველოსა!“

„ღმერთო, ღმერთო, დამიხსენ და მეოხ მეყავ! დამარწმუნე, რომ სიზმარია ყოველივე, ძილისშორისი და სხვა არაფერი...“

„არა, არ არის სიზმარი და ყოველივე არის სიცხადე — ამბობდა ქალი — ცხადია არს, რომ მე შენგან წავედი და შენ მე არ გამომყევი, ვინათგან ჩემთან ყოფნას საქართველოსთან ყოფნა არჩიე. მე ვერ შევძელი დამეძლია შუბლი საქართველოსა, მაგრამ ევნიკია უეჭველ დასძლევს მკლავსა საქართველოისასა“.

„?!“

„ამინ, გეტყვი შენ: ევნიკია მოინელებს საქართველოს მკლავს“ — გაიმეორა ქალმა.

„ვინაი არს ევნიკია?“ — ალმურ წვავდა გიორგის.

„ევნიკია ბელზებულია, დედალი ეშმაკი“.

„ღმერთო, სახიეროს!“

„ევნიკია ცხრა წლისა იყო, როცა პირველად გაუღვივდა ძვერცხი მძუნაობისა და სისხლი წიდოვანებისა, და პირვე-

ლად რომ ძუძუ ამოეწვერა. ხოლო, თორმეტი წლიდან ევნიკიას ოცდათორძეტივე ჩაღრმავებულში ბელსებული ჩაუსახლდა. მაგრამ ყველაზე მძლავრი ძუ ეშმაკი მაინც მარცხენა ძუძუში ჰყავს — ორგზის ძ უ, ძ უ — ძ უ."

„და ის ძუ-ძუ..." ბოდავდა გიორგი.

„და ის ძუძუ შეიწირავს არსუკისძის მკლავს".

„ანუ?"

„ანუ საქართველოს მკლავს", — დაასრულა ქალმა.

„ღმერთო, ღმერთო, უკეთუ სიზმარია, გამაღვიძე, ღმერთო, ხოლო უკეთუ სიცხადე, ეს სიცხადე სიზმრად მიქციე!"

შფოთავდა, იძეროდა, იბრძოდა გიორგი, ლამის საგულედან ამოვარდნოდა გული, ლამის სისხლის ცემისგან გასკდომოდა ძარღვი კათოლიკე.

ქალს თვალი მოსწყვიტა, იქნებ გამეღვიძოსო — და ცას აჰხედა.

და მოეჩვენა: ცას უთვალავი ცეცხლოვასი ძუძუ აესხა, მაგრამ ვინ გაარჩიოს ძუძუ ანამაისასი, თუ ევნიკიასი?!

ალბათ — ალაგ ანამაისასი, ალაგ ევნიკიასი!

და უცებ, თითქოს ვარსკვლავები გაუშავდა ცას.

და ცვივოდნენ შავი ვარსკვლავნი, ხმელნი და მსხვრეულადნი, ვითარცა კეცნი.

ცას შეუშინდა და ისევ ანამაისას ჰკიდა თვალი — ქალსა თეთრსა და თეთროსან-ტაიჭოსანსა.

„ანამაისა, ანამაისა, სულო ჩემო!"

„რაი გსურს, სურვილო ჩემო?"

„მწყურია და მარწყულე, ჩემო!"

„რაითა გარწყულო, ჩემო?"

„ცრემლითა ნამტირალევითა ქართულისა ვაზისათა".

„აჰა ესერა, იგემე და იღმერთე იგი ცრემლი ნაჟური ქართული ვაზისა!"

და მოიღო ქალმა თეთროსანმა, თეთრი ხელით, თეთრი ვერცხლის კუმკუმა, და ტუჩი მისი ირმისტუჩა დაუსისწორა ტუჩსა სატრფოსასა, და გადმოუშვა წვრილად, წვრილად, ვერცხლის აშკივით, მოკამკამე სითხე, ფერად ვაზის ცრემლის ფერისა, მაგრამ სითხე იგი ოდენ ხელის მტევნის დადებაზე ეშვებოდა და უმალვე ცხელი ქარისძვრა მიაქანებდა სადღაც შორს, შორს, სივრცესა უსივრცოსა, უზღვროსა და უნივთო-

სა. ხოლო გიორგი ამაოდ ელოდა, პირით გვემული, ცხოველმყოფელ ცრემლსა მერწყულსა, თავისი ფერი რომ ჰქონდა, ფერი მხოლოდშობილი — ფერი ვაზის ცრემლისა და თავისი გემო რომ ჰქონდა. გემოც მხოლოდშობილი — გემო ვაზის ცრემლისა, — მაგრამ ამაოდ წვალობდა, ამაოდ ჯახირობდა, რადგან სითხე იგი მიჰქონდა ქარს, — ქარსა უხილავსა და უძვრელსა.

და მხოლოდ აალა შეხიძნა უცნაური ძილის შორისით ბორგნეულმა კაცმა, რომ ქალი ცხენზე ვაჟურად იჯდა, ჩვეულებრივ, ვაჟივით გადალაჯული.

„ანამაისა, ცხენზე როგორ შემჯდარხარ, ანამაისა?“

— მაშ, როგორ ვიჯდე?“

„ქალი ხარ და ქალურად, — მარცხნივ ორივე ფეხის გადმორთხმით“.

„ბავშვობისას ცისარტყელაზე გადახტომას მივესწრაფოდი, — იქნება ბიჭად გადვიქცე-მეთქი, და გავრბოდი თავდავიწყებით ცისარტყელასკენ. მაგრამ მუდამ ამაოდ — რადგან თვითონ მზით და წვიმით აწყობილი ცის მშვილდი უფრო სწრაფად გარბოდა ჩემგან. და მეტი რაღა დამრჩენია — ცხენზედ მაინც ვიჯდე ვაჟურად“.

„არა, არა, ნება არა გაქვს, ქრისტიანი ხარ, ქრისტიანი!“ — ახრიალდა გიორგი.

„?!“

„აკი ქრისტიანებს სარკინოზთა ხელმწიფისაგან აკრძალული აქვთ იერუსალიმს გაიარონ მამაკაცურ მხედრულად ამხედრებულთა?“

„მაგრამ მე ქრისტიანს გარდა ვარ ქართველი!“

და უცებ ქალმა ცხენს ჭუსლი ჰკრა, გაატრიალა, გაფრინდა და შეერია სივრცესა უსივრცოსა.

მაგრამ გიორგიმ მაინც მოასწრო თვალის მიწვდენა: თეთროსან მხედარს ზურგიდან სისხლი მოსჩქეფდა.

ბეჭს და ბეჭს შუა, სახამხამეში დაეკრათ შუბი...

და გიორგიმ იგრძნო, ვიღაც ანჯღრევდა.

ვედრება მეორმოცე

— გაიღვიძე, ქართველო, გაიღვიძე-მეთქი!

— ჰაა?! — თვალი გაახილა გიორგიმ.

— ქართველი მოჰკლეს!

წამოიჭრა გიორგი ფეხზე.

ცივ ეკალს მოეცვა სხეული მისი.

— რაო?!

— ქართველი მოჰკლეს-მეთქი, ქართველი კაცო!

— შენ ვინ ხარ? — ისევ სიზმარში ეგონა თავი გიორგის.

— აღარ გახსოვარ?

— ჰო, როგორ არა!

და უკვე ჩამომდგარი ცისკრის ნაშუქზე, გიორგიმ იცნო ის სომეხი, გეთსამანიის ბაღში რომ შეხვდა პირველ მოსვლის ჟამს.

— ჰოო, ძმობილო! — გაეხარდა გიორგის და გული შეიჯერა, იქნებ აქამდე ყველაფერი სიზმარი იყოს და მათ შორის ის საშინელი ნათქვამიც — „ქართველი მოკლესო".

მაგრამ ეს კი აღარ ყოფილა სიზმარი.

— ქართველი მოკლეს, ძმაო, ვაი რომ მოკლეს! — გაიმეორა სომეხმა, უსაზღვრო წუხილით მოცულმა და დაქანცულმა.

— კარგად გამაგებინე, რა მოხდა, ძმაო? — იკითხა გიორგიმ, თვითონ შეძრულმა, შეძრწუნებულმა და გატეხილმა.

— ნულარ ვაყოვნებთ, მკვდარი მაინც არ შეგვიგინონ და გზაზე გიამბობ ყოველივეს! — მიაყარა სომეხმა ქართველს, მკლავში ხელი მოავლო, გაიქცა და გაიყოლია.

გარბოდნენ და უამბობდა სომეხი გულამომჯდარი: თურმე ცხენზე ვაჟურად გადამჯდარი შედიოდა ახალგაზრდა ქართველი კაცი იერუსალიმში, ოქროს კარებით. მაგრამ სარკინოზ მცველებს არ შეუშვიათ — ან ცხენიდან დაქვეითდი, ან ცხენზე დიაცურად შეჯექ და მას უკან შეგიშვებთ ქალაქშიო. ეს იუკადრისა თურმე ქართველმა, დიაცები თქვენში მოიკითხეთო და გულდაგულ მიუშვია სადავე და მიუძგერებია ცხენი სარკინოზთა კორომისათვის. შემოხვევიან სარკინოზნი ხმლითა და ლახვრით. ქართველმაც წამსვე იწვადა ხმალი, გადაჰკრა და მხარიღლივ გადაჰკვეთა მეწინავე არაბი, გადაჰკვეთა და ის იყო მომდევნოს მისწვდა, რომ უკნიდან ბეჭსა და ბეჭს შუა აძგერა იდუმალ მოვარდნილმა არაბმა ლახვარი. მეც სწორედ მაშინ აღმოვჩნდი იქ, „ვაი, დედა" რომ შემომესმა, და მივხვდი, ქართველი იყო ის უბედური. სისხლი შეაფურთხა მკვლელებს. თვითონ ცხენიდან გადმოეშვა. ხელები შეაშველე. მკვლელე-

ბი მოკლული ქრისტიანის სისხლში ჩალმების ამოვლებას აპირებდნენ, მაგრამ მივაყვირე — მალე ქართველები აქ გაჩნდებიან-მეთქი; ამის გაგონება და უმალვე გაიფანტნენ მკვლელნი ქართველისა. ხალხიც, აქამდე თვალსასეიროდ შემდგარი და შედედებული, ისევ თავის გზით დაძრულიყო, უფლის ადგილთა სახილველად, სალოცავად და გულის საოხრად ღრონდ ამხაირ გასიტყვებას მოვკარი ყური: „ვინ არის ეს კაცი, ასე სულელურად რომ კვდება?", — „ვინ იქნება ქართველის მეტი!" მე კი მიცვალებული ვიტვირთე და როგორც იქნა გზას მოკაცრლე, მლოცველებს რომ არ გადეთქერათ.

მდუმარედ მისდევდა ქართველი სომეხს. გულში ამას ნატრობდა, ნეტავ ესეც სიზმარი აღმოჩნდებოდესო. მაგრამ არ აღმოჩნდა სიზმარი.

ქალაქის შესასვლელიდან ხელმარცხნივ ორასი ნაბიჯის დაშორებით, განკერძოებით მდგარი ზეთისხილის ხის ქვეშ ესვენა მკვდარი ქართველი.

ჯვარად გაშლილი იწვა, მხრებდახრილი, ქართული ჯვარივით.

პირველი, რაითაც მისი ქართველობა მტკიცდებოდა, იყო ქართული „ვაი, დედა!"

მეორეც — მისი „სულელური სიკვდილი": როცა გეუბნებიან, ცხენის ზურგზე მარჯვენა ფეხს თუ მარცხნივ გადაალაჯებ, უბატონოდ ხმასაც არავინ გაგცემს და ბუზსაც არავინ აგიფრენს, ხოლო თუ იგივე ფეხს მარჯვნივ დაიჭერ, სიკვდილი არ აგცდებაო, — რა ახირებაა, ეს უმარტივესი შესასმინარი არ შეისმინო და ისე გაჯიუტდე და „გასულელდე", რომ ის მარჯვენა ფეხი, სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე მაინცა და მაინც სიკვდილის პინაზე დააბჯინო?!

და ვის ესმის, ქართველო კაცო, შენი ღვთაებრივი სიამაყისა დედამიწაზე — სამყაროს ამ, ქვეშის, შლამის და თვითგანავალის შლეგიან ნამცეცზე?! ანუ მკვლელობის ამ ბოროტ სარეწაოზე?!

ო, წმიდათაწმიდა სიამაყევ ქართველი კაცისა!

— შეხედე, შეხედე, რა დიდებული სახე აქვს, ადამიანო, ამ ადამიანს! — შესძახა სომეხმა და ხელი მიუშვირა მიცვალებულის სახეს.

გამოერკვა გიორგი მძიმე ფიქრთაგან.

მართლაც რა სიდიადე აღბეჭდოდა სახეზე ამ კაცს, სხეულებრივი ანაგებით საარაკოდ სრულქმნილს. არავითარი ნატამალი სიკვდილის შიშისა, ანუ საამქვეყნიო სიცოცხლისთვის გულისწყვეტისა. ნუთუ სიცოცხლეშიც ასეთი სიამაყე, ვაჟკაცური გზნება და ჭაბუკური გაზაფხულობა ეფინა ამ კაცისშვილის სახეზე?

— ჰო, რა დედამ ჰზრობაო, იტყვიან ჩვენში ასეთ შობილზე, — სთქვა გიორგიმ და მადლიერი მზერით შეხედა სომეხს.

და ისევ დადუმდნენ უცხო კაცის უცხო ჭირისუფალნი, ქართველი და სომეხი, ახლა ჭირისუფლობით ერთად მყოფელნი.

ვინ იყო ეს ახალგაზრდა კაცი, თვინიერ მისი ქართველობისა? რისთვის მოსულიყო საქართველოდან პალესტინას? იძულება იყო საქართველოდან მისი წამოსვლა? („იძულებას" რა გამოლევს საქართველოში!). თუ პირადი წადნიერება? („წადნიერებასაც" რა გამოლევს საქართველოში!). თუ სამოგაულო იღბლის ძიება? (რა მოკლე ყოფილა მისი იღბალი!). თუ ისიც შავ კატას ეძებდა შავსა ღამეში? (და ნასიზმრევი ანამაისას ნათქვამი გაახსენდა გიორგის).

სახიდან მარჯვენა ხელზე ჩამოუტარა მზერა მიცვალებულს გიორგიმ.

კვლავ ხელთ ეპყრა ხმალი მკვდარ ქართველს, თითქოს რაღაც გამორჩეული სიმკვრივით და სიკერპით ჩაებღუჯა ჯვარედი ვადა.

სისხლი სინგურისფრად შეშრობოდა ფოლადს.

სომეხმა ქართველის მზერას თვითონაც თვალი გაადევნა და თქვა:

— ვერასდიდებით ხმალი ხელიდან ვერ გამოვართვი.

ისევ სდუმდა გიორგი.

მზე ამოვიდა და დააცქერდა მკვდარსა და ცოცხლებს.

მკვდრის სახეზე სხივი შეუჩერდა ახალნაშობ მზეს, თითქოს იქ სანათესაო სხივი ეპოვნოს.

ხმალმაც გაიზმორა, ზმორვითა ლაჟვარდოვანითა.

— წავიდეთ, ძმაო! — თქვა სომეხმა.

— ჰო... საით? — გამოერკვა ქართველი.

— მიწას მივაბაროთ ეს უბედური.

— სწორედ, უნდა მივაბაროთ... მაგრამ სად?

— იქ, სადაც ასაფლავებეს ქართველებს.

— მერე, სად ასაფლავებენ ქართველებს, მე რომ არ ვიცი? — უმწეოდ თქვა ქართველმა.

— სამაგიეროდ მე ვიცი, — მხნედ უთხრა სომეხმა და მიცვალებულთან მივიდა, თავი წამოუწია, იღლიებიდან ხელები შეუყარა, წამოუბიძგა, და... მოდი, მომეშველეო — ანიშნა სომეხმა გიორგის.

მივიდა გიორგი, ხელები გულზე დაუკრიფა, ხმალიც გაუსწორა და მერე ფერხთით ჩაუდგა თვისტომს.

და ასწიეს.

და წაიყვანეს (თუ წაასვენეს).

ერთად, ერთძალოვნებით და ერთგულოვნებით, ვითარცა ხარნი ყევარნი, შებმოდნენ ქართველი და სომეხი მკვდარი ქართველის ვეება ცხედარს.

ფეხაწყობილნი ვიდოდნენ.

და ცოცხალთა ფეხანაწყობზე თანაირწეოდა მკვდარი.

მდუმარედ ვიდოდნენ სამივენი.

უმძიმდათ ცოცხლებს, მძიმე ტვირთით დამაშვრალთ.

ხოლო მკვდარი — უტვირთოდ, უშფოთველად, ტანმსუბუქად მიირწეოდა.

მზე გახელდა და გამძვინვარდა.

და ცოცხლებს მზე ყელში ამოსვლოდათ.

ხოლო მკვდარი — თავდავიწყებულ მწყურვალებით ისრუტავდა უკანასკნელ მზიურ საგზალს და საგზნებელს.

მიაღწიეს. მივიდნენ. შევიდნენ.

ნაწყვეტი მიწისა, რომელსაც ედგა სურნელი სიკვდილისა და სახელად ერქვა ქართველთა სამარტვილე-საგოდებელი.

ცოცხლებმა მკვდარი მიწაზე დაასვენეს და საფლავად მოსათხრელი ადგილის ძებნას შეუდგნენ.

დადიოდნენ და ეძებდნენ კიდევ ერთი ქართველის სამუდამო სამკვიდრებელს ქართული ჯვრების, ქართულად ნაჩუქურთმევ და ქართული ეპიტაფიებით აჭრელებულ ქვათა ტყე-მაღნარში.

და მოიძიეს ადგილი იგი, ორი ქართველის საწოლთა შორის: მარჯვნივ ჯიშო ჯომარდისძე იწვა, მარცხნივ ქუაფქუა შეჩვენებული.

„ვაი შენ ჩემო საქართველო, ქართველმა მომკლა შენს ნა-

ტვრასა შინა. წამკითხველო გთხოვ შენდობასა" — ეწერა ჯიშოს ქვასა ზედა.

„აღვესრულე ქრისტესთვის და საქართველოსთვის. ოხრად დამრჩა სახლი მუხისაი, ბეღელი ხერხული, ჭური ნავარძული, ჩაბალახი გუდამაყრული, ხმალი გველისპირული. ჩემსა გახსენებაზედა შესანდობელად სულისა ჩემისა დიდროანი მოხეული ჰიქაი ჩაივლებოდეს" — ეწერა ქუაფქუას ქვასა ზედა.

და მოასვენეს ქართველმა და სომეხმა უცნობი ქართველი უკვე „ნაცნობ ქართველთა" შორის დასაბინავებლად.

საფლავი იყო, მაგრამ მესაფლავე არ იყო და თვითონ უნდა ყოფილიყვნენ მესაფლავენი.

საფლავის გასაჭრელი იარაღი არ იყო, და ახლა მკვდარი უნდა მიშველებოდა ცოცხლებს: მას ხომ ხმალი ეჭირა ხელში.

და ცოცხლებმა მკვდარს ძლივს გაუმართეს ხელის მტევანი და გამოართვეს ხმალი.

და გიორგიმ ჯერ მიცვალებული გაზომა მისივე ხმლით, მასუკან მისი ზომით მოთარგა და მოხაზა საფლავი და ხმალიც პირველმა აძგერა მიწას.

მიწა ფიცხი და ფხვიერი აღმოჩნდა.

ჭრიდა და თხრიდა ქართველი ქართველის საფლავს. შუა წვივამდე რომ დავიდა, სომეხი შეენაცვლა.

თითქოს უფრო სწრაფად და ხერხიანად თხრიდა სომეხი.

და უცდიდა მკვდარი ცოცხლებს, როგორ ენაცვლებოდნენ ისინი ერთმანეთს, როგორ ჭრიდნენ, ასუფთავებდნენ და აკოხტავებდნენ მისთვის მარადიულ საცხოვრისსა და სამკვიდრებელს.

და ის იყო, ცოცხალი კაცის წელამდე დავიდა საფლავი, როცა სომეხი ქართველს შეენაცვლა, ხმალი გამოართვა, თხრა განაგრძო და უცებ... ხმალი შუა გადატყდა კაცის თვალისგან შეუმჩნეველად ხმალი უჩინარ ქვათა შორის მოქცეულიყო, კაცმა, აქამდე ფხვიერ მიწას მინდობილმა, ხმალი გულდანდობილად გადასწია და... გადაიმსხვრა, ავი ზრიალით.

მკვდარზე უფრო მკვდრის ფერი დაედო სახეზე სომეხს.

არაფერიაო, მაშინვე ანუგეშა გიორგიმ, ისედაც უკვე საკმარისად მოიჭრა მიწაო. მაგრამ გიორგიმ რა იცოდა, რა ცეცხლი დაუტრიალდა გულში ამ საოცარ მოყვასს: რაღა მე, სომეხს, გამიტყდა ხელში ქართველის ხმალიო...

საფლავი კი უკვე მზად იყო.

ძლივსღა იდგვენ ფეხზე „ნესაფლაკები".

მიდი და აუგე წესი თქვენებურადო, როგორც იქნა უთხრა სომეხმა ქართველს და თვითონ განაპირდა.

მიეიდა გიორგი, ამოიღო უბიდან ჯვარი ნაძღვნევი არსუკისძისა, მიცვალებულს ჯვარი გარდასახა და მიუფინა ლოცვა აღსრულებულისა:

„მოიხსენე, უფალო, სული გარდაცვალებულისა (სახელი არ იცოდა და) ქართველისა მონისა შენისა და მკვდრეთით აღდგომასა და საუკუნოსა ცხოვრებასა ზედა მიუტევე მას ყოველივე შეცოდებანი მისნი, და მიეც მას საუკუნო ხსენება"...

წესის აგება დაასრულა გიორგიმ.

და ცოცხლები მიცვალებულისადმი უკანასკნელი სამსახურის მიგებას შეუდგნენ.

საფლავში ჩაასვენეს.

გიორგიმ ხმლის ნამსხვრევები ერთმანეთს მიატყუპა და ხმალი, თითქოს ისე გამთლიანდა, გადანატეხი უწვრილეს ბეწვადაც აღარ ეტყობოდა.

და დაადო ხმალი გულზე გიორგიმ მიცვალებულს, მაგრამ ხელი უშვა თუ რა, უმალვე ისევ განცალკევებული ხმლის ნამსხვრევნი უსულოდ მწოლარე პატრონის მკერდიდან ცალ-ცალკე დაცურდნენ და დაცივდნენ მიწაზე.

და მაშინ ჩასძახა მუდარის ხმით სომეხმა ქართველს: ნუ ჩააყოლებ საფლავში ჩემის ხელით გატეხილ ხმალსო.

გიორგიმ ხმლის ორივე ნატეხი ზემოთ ამოაწყო და მარჯვენა ხელიც ამოიწვდინა. სომეხი მარჯვენითვე ჩაეშიდა და სრულის ძალით ამოიქნია და ამოიყვანა ქართველი.

მკვდარი მარტო დარჩა.

ცოცხლებმა ჯერ თითო მუჭა მიწა მიაყარეს, მიწა ხარ და მიწად იქეციო, — წაიჩურჩულეს და მერე აყარეს და აყარეს მიწა...

მიწა მიწას აყარეს.

და ამოიზარდა კაცის სიგრძეზე კაცზედა მიწა.

(თითქოს კაცის ცხოვრების აზრიც მხოლოდ ეს იყოს: მიწიდან მიწის ამოყრა, მიწაში მიწის ჩაყრა).

ბოლოს, ჯვარი უნდა აღმართულიყო ქრისტიანის საფლავზე.

მაგრამ ხის ნატამალიც არსად ჩანდა თვალის საწვდომზე.

მაშინ მოიღო ქართველმა ჭაჩაბური თვისი და დასდო მაღლივად.

მაშინ მოიღო სომეხმა არგანი თვისი და დასდო განივად.

და შეკრეს ჯვარი ქართველმა და სომეხმა მაღლივ-განივით, ვითარცა ზენიშანი ზენასოფლურისა და ქვენასოფლურისა, ანუ ღვთაებრივისა და ადამიანურის მთლიანობისა.

და დაასვეს ჯვარი იგი ახალთახალ საფლავის თავთით.

პირჯვარი ისახეს და გამოტრიალდნენ.

გიორგიმ ხმლის ნამსხვრევები აიღო ხელში.

— აჰა, ძმაო, ხმალი ესე მე და შენ მისგან ნახსოვარ ხმლად ავიღოთ და შუა გავიყოთ, — ჯერ საფლავისკენ იქცია პირი გიორგიმ და მერე გადანატეხი ხმლის პირი გაუწოდა სომეხს.

სახე გადაედარბაზა სომეხს. ჩამოართვა, ეამბორა და ბურნუსის შიგნით, საკუთრხელში ჩაიტნია ნაამბორევი ხმლის ნატეხი.

ხოლო, ხმლის ნატეხი ჯვარსახოვანი ვადით გიორგიმ თვითონ დაინარჩუნა.

— ქართველები და სომხები ოდესღაც ამ ხმალივით მთლიანი და განუყოფელი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ სადღაც, მიმორხევადი დროისა და სივრცის რომელიღაც ნაკვეთში, ავ ბედისწერას მათი მთლიანობა ამ ხმალივით გადუმსხვრევია, — ამბობდა ქართველი.

— და მას შემდგომ, ამ ხმლის ნატეხებივით, მტერთა ჩვენთა სასიხარულოდ, ცალ-ცალკე დარჩენილან სომხები და ქართველები, — ჩამოართვა სომეხმა.

ჩქარი ნაბიჯით მოდიოდნენ.

სასაფლაო უკვე შორს ჩამოეტოვებინათ.

— და, შეიძლება, ოდესმე ამ ხმლის ნატეხებმა ისევ მოიყარონ თავი, — ღიმილით ამბობდა გიორგი.

— და ჩვენც თავი მოვიყაროთ უკვე არა საგლოვრად, არამედ სალხინოდ, საძმოდ, სამოყვაროდ, — სიტყვა გადაუბა სომეხმა ქართველს.

— და ვინ იცის, ქ ა რ თ ვ ე ლ-სომეხთა მთლიანობაც ოდესმე აღსდგეს, — თქვა ქართველმა.

— ჰო, ს ო მ ე ხ-ქართველთა მთლიანობა, — დააზუსტა სომეხმა.

იერუსალიმს მიუახლოვდნენ.

— დღეს მაინც შევიდეთ ერთად ქალაქში, — თქვა ქართველმა.

— შევიდეთ, ერთად შევიდეთ! — გაიხარა სომეხმა.

— ოქროს კარებით შევიდეთ, — თქვა ქართველმა.

— არა, ცხვრის კარით, — დაიჩემა სომეხმა.

(და არც ერთს არ გაუგონია, როგორ გადიხარხარა მაშინ მათმა მდევარმა ბედისწერამ — ბედისწერამ, თუ ბედისწყევლამ).

— რა გქვია, ძმაო შენ! — უცებ ჰკითხა ქართველმა.

— რაიც შენ გქვია, ძმაო, — უცებვე უპასუხა სომეხმა.

— მე გიორგი მქვია.

— მეც — გევორქი მქვია.

— მაშ, გამარჯვება, ძმაო გევორქ!

— მაშ, გამარჯვება, გიორგი!

და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— მაშ, ერთად შევდივართ იერუსალიმში, ძმაო ჩემო!

— ერთად, ერთად, ძმაო!

— მაშ, ოქროს კარებით!

— არა, ცხვრების კარებით!

და მიდიოდნენ ისევ ცალ-ცალკე.

თავ-თავისთვის მიდიოდნენ.

თავ-თავისთვის ფიქრობდნენ.

„მოიყრიან თავს ოდესმე ხშლის ნატეხები?“

„გამთლიანდება ოდესმე ხმალი ესე?“

„უკეთუ ოდესმე მოგვესწრება ქ ა რ თ ვ ე ლ-სომეხთა ერთიანობა...“

„უკეთუ ოდესმე მოგვესწრება ს ო მ ე ხ-ქართველთა ერთიანობა...“

და სიცილით კვდებოდა ბედისწერა (თუ ბედისწყევლა), რადგან ნანატრი და ნოცნებარი „ერთიანობის“ წარმოსახვის ჟამს ქართველი ასე ფიქრობდა — „ქ ა რ თ ვ ე ლ-სომეხთაო“, ხოლო სომეხი — „ს ო მ ე ხ-ქართველთაო“.

და, ამ შემთხვევაში, „პირველობას“, არამცთუ სომეხი, არამედ ქართველიც კი აღარ ცვლიდა ოსპის ნახარშში...

ოქროს კარებში რომ შედიოდა, გიორგიმ იქ მოკლული თანასისხლიერის დაქცეული და დამიწებული სისხლის სუნი შეიგრძნო. შეიგრძნო და ისე მოუნდა ბღავილი, როგორც ხარი აბღავლდება ამაზრზენი ხმით ხარის ნასისხლარზე.

და ძლივს გადაასწრო აუბღავლებლად იმ ნაკვდავ ადგილს. გადაასწრო და თამამი ნაბიჯით გაერია მლოცველთა ლაშქარს.

უკვე აღარ ეშინოდა და აღარ ეფიქრებოდა გიორგის, ვაითუ დიაცურად ამხედრებული ქართველი შემომხვდესო. ამიტომ თამამი იყო და ამაყი იგი.

უთვალავი ხალხით გაჭედილიყო იერუსალიმი.

მსოფლიოთა ხრწნადი ოხშივარი ასდიოდა მსოფლიოს სამლოცველო ქალაქს.

ისევ მივიდა გოლგოთაზე, მორიონზე — ადგილსა სიძწარისასა. ისევ შევიდა ქართულ სალოცავში და ისევ მოიბრუნა სული საქართველოს სურნელით.

მომდევნო დღეს ჯვრის მონასტერში მივიდა გიორგი — ქართველთა მთავარ ლავრას და სავანეს.

გიორგის მისელამდე, შვიდასი წლის ქართული სუნთქვით სუნთქავდა ეს ადგილი.

ახლად გაქრისტიანებული ქართლის ხელმწიფეს, თვითონ ახლად მონათლულ მირიან მეფეს ძღვნად მიუღია ეს ადგილი მისი „ძმისა და მეგობრის“, კონსტანტინე კეისრისაგან.

და აღეშენა ეკლესია ხეივანში, სადაც სამასი წლით ადრე მოიპრა ის ხე, რომლისგანაც შეიქრა ჯვარი ქრისტეს ვნებისა.

მირიანის შემდგომ ასი წლის თავზე მოვიდა დიდი ქართველი ხელმწიფე ვახტანგ გორგასალი და ახალი სივრცით, ახალი ბრწყინვალებით აღაშენა ჯვარი.

ვახტანგ გორგასლიდან გავიდა კიდევ ხუთასი წელიწადი და ახლა სრულიად საქართველოს დიდებულმა გვირგვინოსანმა ბაგრატ მესამემ ითავა ჯვრის მონასტრის მესამე ფერისცვალება — ხელახალი, კვლავ უფრო სრულქმნილი და აღზევებული აღმშენებლობა.

ჯვრის მესამე განახლების მოთავეობა ბაგრატ მეფემ მიანდო შავშეთელ პროხორეს, ერისკაცობაში გიორგი-ყოფილს.

მესამედ შენდებოდა ჯვრის მონასტერი. ვერც ბაგრატ მესამე

და კერც გიორგი პირველი ვერ მოესწრნენ მის დასრულებას, ახლა ბაგრატ მეოთხე და დედამისი მარიამი ზრუნავდნენ, ფრიადი ზრუნვით, რათა სრულად და დროისად დასრულებულიყო მშენებლობა და მორთვა-მოკაზმვა ახალი ჯვრისა.

და იღვწოდა თავგამოდებით პროხორე.

იგი სიხარულითა და სიყვარულით შეხვდა გიორგი მწირს.

შენი წმინდა ცხოვრების ამბავმა ჩემ ბებერ ყურამდეც მოაღწია და გამახარა სიხარულითა ფრიადითაო — უთხრა მან ბერსა შუბლჯვაროსანსა.

ოთხმოცამდე ქართველი მოწესე, მწიგნობარი, გადამწერი და მთარგმნელი შემოეკრიბა თავის გარშემო პროხორეს. ყველანი შეახვედრა და გააცნო გიორგის. ყველა დიდის წადნიერებით შეხვდა „დიდი საქართველოდან" ჩამოსულ თანამემამულეს. ყველა ისწრაფოდა მის ახლოს ყოფნას, იქნებ მცირედი ზიარებით ზიარებულიყო საქართველოდან მოყოლილ სურნელს.

(ნეტავ ასეთი სიყვარული საქართველოს წიაღში შერჩენოდეთ ქართველებსო — უკორტნიდა ფიქრი გონებას).

ყოველივე მოიხილა და მოილოცა გიორგიმ.

წამოსვლის წინ მონასტერს თავისი ხელით გადაწერილი სახარება შესწირა, ყველას დაემშვიდობა და წამოვიდა.

მერე საბაწმიდის ლავრის საწევად წარემართა გიორგი. სავანე იგი, გიორგის მისვლამდე, ხუთასი წლის წინათ დაეარსებინა საბა განწმენდილს, კაპადოკიელ ქართველს, უფრო მართებულად — გაბერძნებულ ქართველყოფილს, იერუსალიმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ნახევარი დღის სავალზე, იოსაფატის ხევში. ხოლო ხევი იოსაფატისა ორივე მხრივ მაღალ, ფრიალო კლდეთა შორის მიიკლაკნება. კლდეთა უბეებიდან ერთიმეორეზე მიჯრილი ნაპრალნი, მღვიმენი და ქარანძაკნი იმზირებიან. აქ, ერთ მღვიმეში მარტოსულად იდგა საბა, რომელმაც აქედანვე იხილა უფლისგან ჩამოშვებული ცეცხლის სვეტი. და სწორედ ამ ღვთისგან მინიშნებულ ადგილზე ააშენა საბამ მთავარი ლავრა. ხოლო, შემდგომად კათოლიკე ლავრისა, აღმშენებლობის საღვთო შურით აღვსილ მოღვაწეს აუშენებია სხვა ეკლესიანი, საყდარნი, სენაკნი, ნიშნი, სალოცავნი, სამწერლობონი, ქსენოდუქსნი და სასნეულონი.

სულ მუდამ მრავალეროვანი იყო სავანე საბაწმიდისა.

იყვნენ ბერძენნი, იყვნენ სომეხნი, იყვნენ ასურნი, იყვნენ ქარ-
თველნი.

ქართველებს აქ ცალკე ეკლესია და ცალკე სალოცავი გა-
ჩენებულიც ჰქონდათ.

ქართველებისა თავიდანვე ეფიქრებოდათ საბაწმიდელებს,
ქართველების სიმძლავრის იმედი ჰქონდათ და ქართველე-
ბის გამძლავრებისა ეშინოდათ.

დასაწყისშივე, — როცა ორიგენეს მიმდევრები საბაწმიდას
მიუბტნენ და იქაური ბერმონაზონნი ააწიოკეს, კათოლიკე
ლავრას სარკმელ-სასინათლონი ქვებით დაულეწეს და შიგ
ჩაკეტილი სამღვდელონიც ლამის ქვით განტვინეს — ბეწვზე
მოუსწრეს ქართველებმა და დაიფრინეს მომხდურნი. სწორედ
მაშინ იყო, რომ ერთმა ქართველმა ბერმა, თეოდულომ, ოდენ
ხის ნიჩაბით სამასი ორიგენელი ისე გააქცია, არც ერთისთვის
სისხლი არ გაუდენია, სამაგიეროდ კი შორიდან ნატყორცნი
ქვა საფეთქელში მოხვედრია თეოდულოს და სულიც დაულე-
ვია კათოლიკე ძარღვ-შემუსერილს.

ქართველებს ბედად მოსდგამდათ: მადლისთვის მუდამ უმა-
დურობით უხდიდნენ.

მტერი საერთო გვყავს და მტერთან საბრძოლველად ქარ-
თულ ძალას რაღა სჯობსო, მაგრამ ვაითუ „ამ ძალამ" ბოლოს
და ბოლოს ჩვენზედვე „იძალოსო" — ეს ეფიქრებოდათ და,
ალბათ ამიტომ იყო, რომ ქართველთა მადლს მატლის ტოლა-
დაც ძლივს მიიჩნევდნენ არაქართველნი.

უაღრეს ყოველთა, ქართული ენის გამძლავრებისა და გა-
ბატონებისა ეშინოდათ საბაწმიდელებს. ქართველები თავიანთ
სალოცავებში ქართულად წირავდნენ, ქართულად კითხულობ-
დნენ, ქართულად ლოცულობდნენ, ქართულად გალობდნენ.

ქართული ენის ცხოველმყოფელობას თვითონ საბა გან-
წმენდილიც გვარიანად შეურჯევია და შეუშინებია. ვაითუ
ქართული ენა ქართული ეკლესიიდან კათოლიკე ლავრაშიც
შეძოიჭრას, იქედან ბურძნული ენა განდევნოს და მისი ადგი-
ლი თვითონ დაიჭიროსო — შფოთავდა მოძღვარი ქართველყო-
ფილი. ამიტომ სიკვდილის წინ ეს ანდერძი დაუტოვებია საბა
გახწმენდილს: ქართველებს ნება მიეცეთ თავის სალოცავებში
მხოლოდ ჟამნი და სამხრისაი წარსთქვან, სამოციქულო და სა-
ხარებაც ქართულად იკითხონ, მაგრამ ჟამის წირვას აუცილებ-

ლად კათოლიკე ეკლესიაში უნდა ისმენდნენ, დანარჩენ „ძმებთან ერთად“, ბერძნულ ენაზეო.

მას შემდგომ მრავალმა ქართველმა იღვაწა საბაწმიდის სავანეში. გიორგის მისვლამდე ორასი წლით ადრე, საქართველოდან — დავითგარეჯის სავანიდან აქ, საბაწმიდას მოვიდა დიდი საეკლესიო მოღვაწე ილარიონ ქართველი. იგი შვიდი წელიწადი დარჩა საბაწმიდაში. მერე ისევ დავითგარეჯას გაბრუნდა და კიდევ ცხრა წელიწადი იმოღვაწა იქ. ხელახლა აღაშენა დავითის ეკლესია ფერისცვალებისა, ხელახლა აკურთხა და დავითის ნეშთი ახალ, საგანგებოდ გაწყობილ ლუსკუმაში ჩაასვენა. მას შემდეგ გარეჯის სამივე მთავარი ეკლესია მოახატვინა — დავითის ლავრა, დოდოსრქა და ნათლისმცემელი. ამის შემდგომ ისევ წამოვიდა საქართველოდან ილარიონი. ამჯერად იგი ბითვინიის ულუმბოს მთაზე მოვიდა, ქართული მონასტერი ააშენა და იქვე დარჩა სიცოცხლის აღსასრულამდე. ბიზანტიის მაშინდელმა იმპერატორმა ბასილი პირველმა ილარიონსა და მის მოწაფეებს საგანგებო საძვალე აღუშენა კონსტანტინოპოლში — ჰრომანას მონასტერი — და აქვე გადმოასვენა მან ნეშთი წმიდა მამისა, ილარიონ ქართველისა. ხოლო უკანასკნელი სიტყვები ეს ყოფილა უცხო მიწაზე აღსრულებული ქართველი კაცისა:

„გრწმენინ ქრისტე!

„გრწმენინ ადამიანი!

„გრწმენინ ერი და სამშობლო შენი, ვინათგან მათში არს ღმერთი!..“

და მივიდა გიორგი საბაწმიდას.

შეხვდა იქაურ ქართველობას.

ერთად მოიხილეს და მოილოცეს იქაურობა.

იყვნენ კათოლიკე ტაძარში. იხილეს და თაყვანი სცეს თვითონ საბა განწმენდილის საფლავს, იქვე — სხვა წმიდა წინამძღვართა სამარტვილეებს.

ყველაზე დიდხანს იოანე დამასკელის საფლავთან დადგა გიორგი.

საკმევლის სუნს მოეცვა ირგვლივეთი.

„ესე არს სურნელება სიბრძნისაი“ — გაუელვა გიორგის.

ათ ნაბიჯზე წყარო იყო, ერთადერთი წყარო მთელს იმ ხეობაში, და სახელი მისი — საბას წყარო. გარეულმა ვირმა მი-

ასწავლა თურმე საბას ეს წყარო (გარეული ვირებითა და ჯიქებით იყო ავსებული იოსაფატის ხევი).

წყალი დალია გიორგიმ, ცივი და საოცრად გემრიელი. მერე იოანე დამასკელის საცხოვრისის მონახულება მოიწადინა გიორგიძ და ძიიყვახეს კიდეც კლდეში ნაკვეთ ერთ ვიწრო ქაოსძავში.

აი ხატი, რომლის წინაშეც ლოცულობდა თურმე დიდი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი ამა სამყაროს წინათ. აი, ალაოლი, ოომელიც ესხა ზეთი და მასზე მთხებარე პატრუქის ქვეშ იყურებოდა სახელგანთქმული „წყარო ცოდნისა", „კანონი", „დიალექტიკა".

„აოაფერი ჩემი არ მიყვაოს" — გაასხენდა გიორგის დამასკელის ეს ნათქვამი.

აეტაოძი, საქაოთველოში თუ გაუგიათ რაიმე იოანე დამასკელისო, — გაუელვა გიორგის და უძალვე თვითონვე შეცქერა თავისი ხაფიეალის. გაკა, თვითოხაც რა იცოდა — ან დამასკელისა, ან ორიგენისა, ან პლატონისა და სხვათა მრავალთა, ვიდრე ბერძნული არ ესწავლა და ბერძნულად არ წაეკითხა ყოველივე საღვთისმეტყველო და საფილოსოფოსო, თვინიერ ძველი აღთქმის, სახაოეიის და სამოციქულო ეიგნებისა...

საბაწმიდის საძონასტრო წიგნთსაცავებში სამი მსგეფსი დღეღამსწორებით იმაშვრალა გიორგიძ და განცვიფრდა, როცა უმრავლეს ქართულ ხელნაწერებში „ხანმეტურობა" აღარსად დახვდა.

და იყო საბაწმიდელ მოღვაწეთა შორის ბერი-გადამწერი, სახელად იოანე დვალი, რომელმაც წამოსვლის წინ გიორგის უძღვნა თავისი ხელით გადაწერილი სახარებანი, „ხანმეტობისგან" სრულიად განწმენდილნი.

და გიორგიმ ამ სახარებას დაარქვა — „სახარება საბაწმიდისაი".

საბაწმიდიდან ბეთლემს წავიდა გიორგი.

და მივიდა მღვიმეს, რომელშიც იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მღვიმის თავზე ქრისტეშობის ეკლესია იდგა, მარმარილოს რვა სვეტზე შეყუნებული, მარმარილოს ფილეებით მოგებული და მოზაიკით მოქრელებული. დიდი საკურთხევლის ქვეშ, შვიდსაფეხურიანი ჩასასვლელით, გიორგი ჩავიდა

თვითონ მღვიმის პირველ კართან, კიდევ შვიდი საფეხური და იგი მიადგა მეორე კარს. ის კარიც გაიარა და... აი, ხელმარცხნივ ადგილი, სადაც დაიბადა უფალი და მაცხოვარი კაცობრიობისა, იესო ქრისტე. ხოლო, ხელმარჯვნივ, შობის ადგილიდან შვიდ ნაბიჯზე, არის ბაგა, რომელშიც ჩაწვინეს ახალშობი ჩჩვილი მაცხოვარი. და აქ ეთაყვანენ პირველი მოთაყვანენი ახალშობ ღმერთს — აღმოსავლეთიდან წამოსული და ვარსკვლავს გამოყოლილი მოგვები.

ათოვდა ფიქრი ფიქრს გიორგის სულში.

მაშ, იშვა აქ:

ი გ ი,

ყოვლისმპყრობელი,

შემოქმედი ცათა და ქვეყნისა,

შემოქმედი ხილულთა ყოველთა და არახილულთა,

ძე ღვთისა,

მხოლოდ შობილი,

მამისაგან შობილი,

შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა,

ნათელი ნათლისაგან,

ღმერთი ჭეშმარიტი,

ღვთისაგან ჭეშმარიტისა,

შობილი და არა ქმნილი,

ერთარსი მამისა,

რომლისაგან ყოველი შეიქმნა...

აქ, ქრისტეშობის ეკლესიაშიც იპოვა გიორგიმ ქართველი ბერ-მონაზონნი.

აქაც იგივე ამცნეს ქართველებმა: ქართველობისთვის ძალიან ანგარიშს გვიწევენო, ყველას, ერთიმეორის წინააღმდეგ ჰიდილსა და ჰინჭყლში, ჩვენი იმედი აქვთო, მერე, ჩვენგან გადარჩენილებს და გამაგრებულებს ჩვენვე ვეეჭვებით და ვეწუნებითო; ორმა ქართველმა რომ ერთად ქართულად დავილაპარაკოთ, მოგვახტებიან და ბერძნულად მოგვაყვირებენ— რაღაცას ჩვენზე ამბობთ სააუგოსო, ანდა, ქართველებმა რომ ცალკე გავიცინოთ, ახლა იმაზე აგვიტყდებიან — რაღაცას, აღბათ, ჩვენ დაგვცინითო. არა, ღმერთი, რჯული-თქო, მაგრამ ვის ესმის შენი ქართული!

ერთხელ ამაზე შეუჩნდნენ თურმე ქართველებს: სათვა-

ლავით რომ აგრე მცირენი ხართ, ეგზომ მრავლის მომთხოვნი რად იქსებითო?! მაშინ კი ვეღარ მოუთმენია ერთ ახალგაზრდა ქართველ ბერს და შეუძახნია:

„ხორცს ნუ ითვლით, სული ასწონეთ!“...

შემდგომად ბეთლემისა, კიდევ ოცზე მეტი ქართული სათვისტომო მოიხილა პალესტინის სავანეებსა და სალოცავებში გიორგიმ.

და წარემართა ყველაზე სამხრეთული ქართული ნაკვალევით — სინას მთისაკენ.

სინას მთა!

მთა, რომელზეც მოსე შეხვდა ღმერთს.

შეხვდა და მიიღო მისგან ათი მცნება.

მცნებანი, რომელთა მეოხებით ბრბოისაგან უნდა შეიქმნას ხალხი.

უნდა შეიქმნას!

იქმნებინ ხალხი!

და იქმნა ხალხი...

(ფიქრობდა გიორგი, სიტყვითა შინაგანმდებარითა, სიტყვითა უხმოითა).

ქართველთა „ხალხი“, ბერძენთა „დემოს“, ლათინთა „პოპულუს“.

ქართველთა „ბრბო“, ბერძენთა „ოხლოს“, ლათინთა „ვულგუს“.

„ხალხი“ და „ბრბო“ ერთი მასალაა, ერთი სისხლი და ერთი ხორცი.

რა ადვილია „ხალხის“ გადაქცევა „ბრბოდ“!

რა ძნელია „ბრბოს“ გადაქცევა „ხალხად“!

„ხალხის“ ქცევა „ბრბოდ“ ძალუძს ყოველ ვიგინდარას.

„ბრბოის“ ქცევა „ხალხად“ — ყოველად შეუძლებელია ღვთაებრივი ხელის გარეშე.

დიადმა მოსემაც ვერ შეძლო იეღოვას დახმარების გარეშე „ჯოგიდან“ ხალხის გამოყვანა.

და სწორედ აქ, სინას მთიდან და სინას მთასთან, ღვთაებრივ სულთან მიმთხვევით და ზიარებით, ჯოგისგან იშვა ხალხი... მხოლოდ ღვთაებასთან მიმთხვევით... მხოლოდ...

სინას მთაზე პირველი ქრისტიანნი გიორგის მისვლამდე რვაასი წლით ადრე მივიდნენ და დასახლდნენ. პირველმა ქრი-

სტიანებმა მიიტანეს იქ წმიდა ეკატერინეს ნაწილები და ადგილსაც, სადაც ეს სალოცავი ნაშთები დაასვენეს, უწოდეს ეკატერინეს მთა. მერე წმიდა ელენემ, კეისარ კონსტანტინე დიდის მშობელმა დედამ ააგებინა აქ მცირე ტაძარი. მას უკან იუსტინიანე კეისარმა ახალი დიდი ტაძარი ააშენა და მანვე აქ საეპისკოპოსო შექმნა, სრულიად დამოუკიდებელი, რომლის ეპისკოპოსი არც ერთ პატრიარქს არ ექვემდებარებოდა. მრავალჯერ ააწიოკეს და სისხლი აქცევინეს მუსლიმანებმა სინას მთის ქრისტიანებს, მაგრამ მაინც განუწყვეტლივ და განიადაგებით იზრდებოდა და ფართოვდებოდა აქაური საქრისტიანო საცხოვრისნი, სავანენი და საწირავ-სამლოცველონი. იყვნენ ბერძენნი, იყვნენ ასურელნი, იყვნენ ქრისტიანი არაბნი, იყვნენ სომეხნი...

და იყვნენ ქართველნი — ბესნი, ანუ ლაზნი, და იბერნი.

და, ოდეს სინელ საქრისტიანო საცხოვრისებს უსჯულო მტერი შემოესეოდა, არაქაროველ ქრისტიანებს აქაც „ქართველ ქრისტესმიერ ძმათა" იმედი ჰქონდათ — იმედი ქართული მკლავის მკლავღონივრობისა, ქართული გულის გულუშიშრობისა, ქართული ჯკუის ჯკუაგამჭრიახობისა.

და სინას მთაზეც ისე იყო, ვითარცა პალესტინას, და ყველგან, და ყოველთვის, სადაც და როცა სხვასთან ერთად იყო ქართველიც:

ქართველების სიმძლავრის იმედი ჰქონდათ, ქართველების გამძლავრებისა ეშინოდათ.

იყო სინას მთაზე ადგილი, სახელად — არსელაი, სადაც ყველაზე მრავლად ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ ქართველნი. აქ, გიორგის მოსვლამდე ხუთასი წლის წინ, სახელი გაეთქვათ ქართველ ბერებს — მიქაელსა და ევსტათის. იზრდებოდა და მტკიცდებოდა სინას ქართველთა სათვისტომო. გიორგის მისვლამდე ასი წლის წინ უკვე პირველობდნენ ქართული ეკლესიები სინას მთაზე. მეწინავეობდნენ ეკლესიანი — წმიდა გიორგისა, იოანე ღვთისმეტყველისა, ღვთისმშობლისა, ილიასი, პეტრე-პავლესი და სევასტიელ მოწამეთა სახელობისა.

იდგნენ ქართველნი სინას მთაზე, მედგრად და მღვიძარედ, იღვწოდნენ, წერდნენ, აზროვნებდნენ და ლოცულობდნენ „ქართლის მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემიქცევისა, ტყუეთა

მოქცევისა, ჟამთა დაწყნარებისა და ქრისტიანობისა განმტკიცებისათვის".

მას ჟამსა სინაწმინდას მოღვაწეობდნენ — იოანე კუმურდოელი, თეოდორე წყუდელელი, გრიგოლ მომგებელი, მიქაელ კათამონელი, კვირიკე მინძაძორელი, ეზრა ქობულეანისძე, მიქაელ ფანასკერტელი, იოანე მინჩხი.

და მათ შორის — იოანე-ზოსიმე, რომელმან შექმნა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი".

და, აჰა, ესერა:

„დამარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენისა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა.

„და ესე ენაი მძინარე არს დღესაძომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან.

„და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა.

„და მეგობრობაი ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს.

„და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინაისწარმეტყუელმან, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღეი", —

„და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისსა წილი ზის, რომელ ასოი არს იტყვის ყოვლად ოთხ-ათასსა მარაგსა — და ესე არს ოთხი დღეი, და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მამისაითა.

„და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეის სხუათა ენათა ქრისტეის მოსლვითგან დღესამომდე.

„და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაი".

და იქვე ანდერძი-მინაწერი:

„ქრისტე, შეიწყალე ყოველნი ქრისტიანენი და უფროის ყოველთასა ყოველნი ქართუელნი!"

და მისულიყო გიორგი სინას მთაზე.

და ათოვდა ფიქრი ფიქრს მის გონებაში.

სინას მთა, მშობელი მსოფლიო კაცობრიობისთვის — მოსეს „ათი მცნებისა".

სინას მთა, მშობელი ქართველთათვის იოანე-ზოსიმეს „ქებაისა".

იდგა სინას მთაზე გიორგი, ქართველი მწირი, მლოცველი და გზათამლეწველი, გასცქეროდა სამყაროს და ათოვდა ფიქრი ფიქრს მის გონებაში.

შორს, სადღაც აღმოსავლეთით დგას იხდოეთი — მარადისად მშვრეტელობაში გარინდებული, ხოლო დასავლეთით, უფრო ახლოს, აფრიკა ვარვარებს, უწინარესად ეგვიპტე, პირველი სხოლა სრულიად მსოფლიოისა.

მაგრამ ეგვიპტე ყოველთვის მხოლოდ თავისთვის იყო და დანარჩენი მსოფლიოს სამოძღვროდ არც უფიქრია.

არც საბერძნეთს, სულით უაღრესად ამაღლებულსა და აღზევებულს, არ განეცდებოდა მსოფლიო სული. ისიც თავისთვის იყო ძლიერიც და ამაღლებულიც, მისსავე სულსა და სხეულში ჩაკეტილი და ჩარაზული. და მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელმა გააბსოფლიოვა ბერძნული სული. ხმალზე დაილაგა ალექსანდრემ ჰომეროსი, ესქილე, სოკრატე, დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე და განაფინა მთელს მსოფლიოში — საბერძნეთიდან ინდოეთამდე.

მთელი მსოფლიო?!

„მთელი მსოფლიოს" გააზრება მაშინ მხოლოდ აზიის სამანებში ეტეოდა სრულად.

და სწორედ აზიამ მისცა მსოფლიოს ყველა „მსოფლიო" მოძღვარი და ზესთასოფლური სინათლის მოციქული დედამიწაზე:

მოსე,
ზარათუშტრა,
ბუდდა,
ლაო-ძი,
კუნ-ძი,
ქრისტე,
მანი,
მაზდაკი,
მუჰამედი.

უველაზე დიდი წინასწარმეტყველებიც თვითონ წარმოშვა და უველაზე დიდი ღმერთებიც თვითონ გაიაზრა აზიამ.

აზია... აზია... ცხელი და ცხოველმყოფელი აზია!

მარად ცხოველმყოფელ ვულკანთა ფეხმძიმობით ტვირთული აზია!

ევროპა... გრილი, უნდილი და სიგრილით თვისით ამპარტავანი.

იქნებ ევროპის სიგრილემ და სიცვედნემ ერთ დღეს კიდეც დაჰღუპოს კონსტანტინოპოლი და სრულიად საქრისტიანო!

დაღუპავს და დაიღუპება, უკეთუ ევროპამ არ შეიცნო არსი მარად მღვიძარე ვულკანებზე ფეხმძიმე აზიისა.

აზია!..

და ახლა, თითქოს პირველად გაიხსნა გიორგის სულში, რომ თვითონაც აზიელი იყო.

აზიელი!

და იგრძნო სიამაყე... სწორედ სიამაყე.

მაგრამ...

მაგრამ ქართველები ის აზიელები არიან — ე რ თ ა დ ე რთ ნ ი ა ზ ი ე ლ თ ა გ ა ნ, ვინც ე ვ რ ო პ ე ლ ო ბ ე ნ თავგამოდებით.

ევროპელობენ-მეთქი!

მერე, რა დღიდან და რაი!-თვის ევროპელობენ ეს აზიელნი?

იმ დღიდან, რა დღიდანაც ქრისტეს რჯულს ეზიარნენ.

ქრისტიანობა კი ევროპელობაა.

ასე მოხდა: ქრისტიანობა ყოველი ზესთასოფლურის დამბადებელმა, მარად მღვიძარე ვულკანებით მოთიმთიმე აზიამ დაჰბადა, ხოლო ევროპამ კი იშვილა.

ღვიძლ შვილად იშვილა!

და ქართველებიც გაჰყვნენ ევროპისკენ მიმავალ ზესთასოფლურ ძეს, თანააზიელს.

და ევროპელობენ მას შემდგომ ქართველნი, ეს აზიელნი... ევროპელობენ..

სული ევროპაში უდგათ ქართველებს, ტანი კი აზიაში — სულით და ტანით განწვალებულებს...

(ფიქრი ფიქრს ათოვდა, განუწყვეტლივ და განიადაგებით, მშრალი სიჩუმით)...

და წამოვიდა გიორგი სინას მთიდან.

წამოვიდა და იქაურ ქართველთა სიხარულის და წუხილის ცრემლი საგზლად მოჰქონდა უკან მობრუნებულს.

მოდიოდა და ევლოგიად მოჰქონდა ნამსხვრევი ხმლისა.

ანტიოქიის გზას შემოუდგა, ისევ შავ მთაზე მოსაბრუნებლად.

ვედრება ორმოცდამეორე

და, აჰა მოატანა მთასა შავსა, საკვირველსა.

და დახვდა მოძღვარი მისი გიორგი შეყენებული.

დიდი სიხარულით და სიყვარულით შეეგებნენ ერთმანეთს.

თეთრი, ქათქათა წვერი დაუამბორა მოწაფემ მოძღვარს და ერთხელ კიდევ ინატრა ასეთი ფერი თმა-წვერისა, ვითარცა ზენიშანი სიბრძნისა ზენაარის.

— რაიც იხილე ყოველივე, ვითარ იხილე? — უცებისად ჰკითხა მოძღვარმა, როგორც კი დასხდნენ სასაუბროდ.

— რაიც ვიხილე ყოველივე, ვიხილე სულისა სურვილითა და გონებისა სიმხურვალითა, — უცებითვე მიუგო მოწაფემ.

— ხოლო, რაი იხილე ყოველივეში უწინარესად?

— ყოველივეში უწინარესად მე ვიხილე თავადი იგი, უფალი და მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე.

და შემდგომად ამა კითხვა-პასუხთა, მოძღვარმა გულდასმით ისმინა ყოველივე, რაიც მის მოწაფეს თავს გარდახდომოდა მგზაურობისას, მიისობას და მოისობას.

უფრორე, დაწვრილებით, ქართულ სათვისტომოებზე აჟამიერეს სიტყვა.

ქართული სათვისტომოები უცხოეთში პატარა საქართველოებსავით ყოფილა მიმობნეული და ქართველებს ძალიან მისჭირვებიათ მათი მოვლა და შენარჩუნებაო — წუხილით ამბობდა მოწაფე.

ვაი, რომ მარტო უცხო მიწაზე კი არა, საქართველოს შეხახვა თვითონ საქართველოს შიგნითაც, საკუთარ მიწაზეც მისჭირდებათ ხოლმე ქართველებსო — ამოიგმინა მოძღვარმა.

მერე, ქართველები თვითონ საქართველოში ერთიმეორის მტრობით ისე გაერთობიან ხოლმე, ნამდვილი, შიგნით შემო-

პარული უცხო მტრის შეგრძნებისა და შეცნობის ალღო და გერში ეკარგებათ სრულიად.

და სანამ ქართველები ერთმანეთს სჭამენ, მანამ საქართველოს არხეინად სჭამენ არაქაოველნი.

ასე მცირე ერს ამდენი დიდი შვილი ჰყოლოდეს — ასეთი მადლი მხოლოდ ჰელადას მოსწრებია. მაგრამ საქართველოს დიდმა შვილებმა სიდიდე თვისი, შინაურ წვრილმან ქიშპობასა და ჭინჭყლს შეალიეს, ბერძნებმა კი ბერძნული სული ბერძნული ენით ქვეყნიერებას მიმოფინეს.

და, აჰა ესერა, იბადებიან და იმუსრებიან საუკუნენი, და ყოველივე ფასეული ამ ქვეყანაზე იწერება და ვრცელდება მაინც ბერძნულ ენაზე.

ვინც თავისი ქვეყნიდან გავიდა, ყველა ბერძნულ ენას შეერთო, ვისაც რაიმეს დაწერა შეეძლო, ყველა წერს ოდენ ბერძნულ ენაზე.

ქართველად შობილმა და ქართულად ენაამოდგმულმა ბევრმა ტალანტმა ქართული დაიწუნა და ბერძნულად დაწერა ყოველივე.

სრულიად საქრისტიანო სამყაროს ყველაზე დიდი მამანი, მოძღვარნი და მოაზროვნენი — ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანზელი, ევაგრე პონტოელი და პეტრე იბერი — ყველანი ქართველნი, ყველანი მხოლოდ ბერძნულად წერდნენ.

ქართული ენა ბერძნულის სწორფერიაო, უფლისგან კურთხეული და შემკულიაო, ყოველი საიდუმლო მასში დამარხულიაო, თუმცაღა ახლა ლაზარესავით მკვდარია, მაგრამ დადგება ჟამი და ლაზარესავით აღდგება, ხოლო ჟამი იგი იქნება მეორედ მოსვლა, როცა თვითონ უფალიც ქართულ ენაზე ალაპარაკდება და ქვეყანასაც ქართულად აალაპარაკებსო, — ამბობს ამას სულკურთხეული იოანე-ზოსიმე და შენც გჯერა ესე, შვილო ჩემო, მაგრამ ჩვენ ხომ არ შეგვიძლია გულხელი დავიკრიფოთ და მეორედ მოსვლას დაველოდოთ?! ჩვენ ახლა გვმართებს დღენიადაგ იმაზე ვიზრუნოთ, ყოველივე სულით საფასე ბერძნულიდან ქართულს ენაზე გადმოვიღოთ და მივცეთ ქართველ ერს, ვითარცა საზრდელი სულისა და სამკვიდრებელი არსებისა.

ბევრი თაფლ'ა სჭამს, დაღაცათუ სასა სიტკბოსა ვერა

უგრძნობს, მაგრამ ჩვენ თაფლის მიცემას მაინც ნუ დავიშლით, ვინათგან უგრძნობელ-უცნობელსაც და მგრძნობიარემცნობიარესაც, ბოლოს და ბოლოს, თაფლი მაინც თაფლად უნდა შეერგოს.

— სულკურთხეულმა ეფთვიმე ათონელმა იცოდა ეს.

— ეფთვიმე? — უცებ აღმოხდა გიორგი-მოწაფეს.

— სწორედ ეფთვიმე, რომელიც ყოველივეს, სულის მარგებელს, ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმოიღებდა და თავის უსუსურ და უმწეო ერს ისე აძლევდა, ვითარცა რძეს მაცოცხლებელს, ანუ — მაგარ ღვინოს წყლით უმსუბუქებდა, ომბალოთი უზავებდა და ისე ასმევდა.

წუთით შედგა და მტკიცედ ნაკვეთი სიტყვით მიმართა მოძღვარმა მოწაფეს:

— ხოლო ახლა ერი შენი, უფრო სულმტკიცე და სხეულმაგარი, შენგან უფრო ძლიერ საკვებს ელოდება.

— ჩემგან?! — წამოდგა მოწაფე გაოცებული.

— სწორედ შენგან, ვითარცა ღვთისგან ბოძებული ტალანტით აღსავსე შუბლი.

შუბლიო?!

ისევ გაიელვა ორმა ნასიზმრევმა გიორგის გონებაში.

— ნუღარ აყოვნებ, შენთან არს ღმერთი, რომელიც შენ შეიყვარე და რომელმან შეგიყვარა შენ! — გააწყვეტინა ფიქრი მოძღვარმა მოწაფეს.

— და, რაი არს ტვირთი ჩემი? — იკითხა მოწაფემ მკრთალი ხმით.

— რაიც იყო სულკურთხეული ეფთვიმე მთაწმიდელი.

— არა ღირს ვარ და არა ძალმიძს! — შეჰყვირა მოწაფემ.

— ძალგიძს, რამეთუ შენთან არს ღმერთი! — მკახედ შეუტრიალა მოძღვარმა.

— წმიდაო სახიერო — ხმა დაითვინიერა მოწაფემ — დიდი ეფთვიმე, ვითარცა მნათობი, ნათლად და სიხარულად ამოუბრწყინა ღმერთმა ნათესავსა ყოველსა ჩვენსა — აღმოუბნწყინდა დიდებად, გვირგვინად, გონიერმყოფელად და განმაბრძნობელად. მან უმეცრების საბურველი მოსძარცვა გონებასა ჩვენსას. მისი სივრცითა და სიმაღლით ღმრთივთარგმნილმა წმიდა წიგნებმა განაგდო და განწმინდა ნაკლულოვანებანი ენისა ჩვენისა. ეფთვიმემდე ჰელინნი ბარბაროსებად

გვიხმობდნენ ჩვენ, უმეცართა, ხოლო ეფთვიმეს ღვთაებრიემა მოვლინებამ იგივე ჰელინნი აიძულა ქართველი კაცი სიბრძნეთა თვისთა თანასწორად წარმოესახათ, ხოლო მე...

— ხოლო შენ — შეაწყვეტინა მოძღვარმა — საქართველოს მწყალობელმა ღმერთმა შენი ერის განმანათლებლად მოგავლინა, ნაცვლად ეფთვიმესი.

— შეუძლებელ არს ჩემგან, მამაო სახიერო, ნაცვალყოფნა სამგზის სანატრელი ეფთვიმე მთაწმიდელისა, რომელმან განანათლა ქართველთა ენაი და ქვეყანაი და რომლისა-იგი ნამუშაკევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, — თავისას კერპობდა მოწაფე.

— შვილო ჩემო, ღმერთი იგი, რომელმან სანატრელსა ეფთვიმეს ქართული ენაი განუმარტა, იგივე შეგეწევა შენც, რადგან მას, უფალს და მაცხოვარს, დიდად ეწყალის და უყვარს ნათესავი ჩვენი ქართველი. და ვევედროთ თვითონ მამასა ეფთვიმეს, რათა შეგეწიოს და მისგან დაშთომილი საქმენი შენ სრულჰყო მადლითავე მისითა, ვითარცა პავლემ განაგრძო საქმენი ქრისტესი.

კიდევ დააპირა რაღაცის თქმა გიორგი-მოწაფემ, მაგრამ აღარ დაანება გიორგი-მოძღვარმა:

— შენ, შვილო ჩემო, ისეთივე გაგრძელება ხარ ეფთვიმესი, ვითარცა: იესუ — მოსესი, ელიაზარი — აჰრონისი, ელისე — ელიასი, პავლე — ქრისტესი და ტიტე — პავლესი.

— და წარვედ ათონს, მთასა წმიდასა, სადაც წინამორბედი შენი, ბრძმედსა გონებისასა ახურვებდა და აწრთობდა სისიტყვათა ღვთაებრივთა!..

გადაწყდა.

გიორგი გაეშურა შავი მთიდან ათონის მთაზე.

ვედრება ორმოცდამესამე

და ათონისკენ მიმავალ გიორგის მაინც ეს სიტყვა უჭამდა ტკინს:

„სანამ ქართველები ერთმანეთს სჭამენ, მანამ საქართველოს არხეინად სჭამენ არაქართველნი“...



ველრება პირველი

გიორგის მისვლამდე კი — ათონის თავზე უკვე გადაევლო მის წილ თავგადასავალს.

ეგეოსის ზღვის ჩრდილო კერძოთ, ნახევარკუნძული ქალკიდიკისა, სამთითად რომ შეჰრილა წყლის სამყაროში. ხოლო, ამა სამთაგან, აღმოსავლეთ შეერილის ძველთაძველი სახელი — აკტე.

ხოლო, აკტეს უკიდურესი სამხრეთი გამონაშვერი — მთა ათონისა.

აქაური მიწა, ზღვა, ცა და ჰაერსაბრუნავი — მშვენიერი, მაამებელი და მარგებელი ყოველი სულდგმულის სულისა და სხეულისა.

აკტე და ათონი ჰელინთა უძველეს მითოსურ სამყაროშია თავდაპირველად გააზრებული. რეცა, ამ ადგილზე ეხეთქებოდნენ ერთმანეთს საომრად აღძრული გიგანტები და ღმერთები. რეცა, აქ შეებნენ ერთმანეთს გიგანტი ათოს და ღმერთი პოსეიდონი. და აახეთქა დედამიწას ათოსმა უზარმაზარი კლდე,

ესროლა ზღვაში ამომართულ პოსეიდონს და ჩადგა ზღვაში ხმელეთი, ვითარცა საზღვარი გიგანტთა და ღმერთთა საბრძანებელთა. და იმ გიგანტის სახელი შერჩა მისგან ნატყორცნ მთას — ა თ ო ს, და აქედან ა თ ო ნ ი.

მერე, გიორგის მისვლამდე ათას ხუთასი წლის წინათ დაარისხა და დაამახსოვრა ქვეყიერებას თავისი სახელი წყალისა და ხმელის ამ „ზღვარდამდებმა“: სპარსეთის დიდი ხელმწიფის, დარიოს პირველის მიერ საბერძნეთის წასახდენად გაგზავნილი დიდი საომარი ძალები, სამასი გემი და ოცი ათასი მეომარი, სწორედ აქ, ათონის მთასთან შეეწირა ზღვაზე ამოვარდნილ გრიგალს და ქარიშხალს.

მას შემდგომ, ჰელინურ მითოსს ქრისტიანობაც შემოერია და ეს თქმულებაც შემოუმატა: მარიამ ღვთისმშობელი და იოანე მახარებელი ხომალდით კვიპროსისკენ მიემართებოდნენ. უცებ ზღვა აიშალა, აზვავდა, ხომალდი გაიტაცა და მანამ ატარა, სანამ ათონის კლდოვან ნაპირებზე არ გარიყა. დაისვენა ღვთისმშობელმა, იქაურობა მიმოიხილა, ბუნების სიმშვენიერით დიდად მოიხიბლა და შესთხოვა თავის ღვთაებრივ ძეს, იესო ქრისტეს, ებოძებინა მისთვის ათონის მთა.

დედის თხოვნა და — წამსვე ჩამოესმა ცაზედეთიდან ხმა შვილისა: „ამინ, ადგილი ესე საცხოვრისი შენი, წალკოტი შენი, სამოთხე და სალხინებელი!“

და ამიერიდან ეწოდა ათონის მთას — „აიოს ოროს“, „წმიდა მთა“.

და დაიწყო სამონასტრო ცხოვრება ათონის მთაზე.

დაიწყო გიორგის მისვლამდე შვიდასი წლით ადრე. პირველი მონასტრის დამაარსებელი კეისარი კონსტანტინე დიდი, ძე პირველი ქრისტიანი ქალისა, ელენესი.

პირველმა ქრისტიანულმა ტაძარმა ათონზე ოცდაათი წელიწადი ძლივს მოათია: მოვიდა ანტიქრისტე კეისარი, იულიანე განდგომილი და ძირიანად მოთხარა იგი.

მერე, იულიანეს გადავლენიდან ოთხმოცი წლის შემდეგ, ღრმად მორწმუნე და მოღვაწე ქრისტიანმა ბასილევს-ბასილისამ, თეოდოსი მეორემ და პულხერიამ ააშენეს ახალი მონასტერი.

სწრაფად იზრდებოდა სამონასტრო და საასკეტო ცხოვრე-

ბა ათონის მთაზე. შემდგომ — აზიაში არაბთა გამძლავრებამ და იქაურ ქრისტიანთა სამოღვაწეო-საცხოვრისებზე მათმა მომძლავრებამ უფრო აღამაღლა ათონის სახელი, ვითარცა ურწმუნოთაგან დევნილი ქრისტიანების მხსნელისა, შემფარველისა და გადამრჩენელისა.

გამორჩეული ცხოველმყოფელობით ათონის სამონასტრო ცხოვრება აღზევებას იწყებს მაინც მას შემდგომ, რაც აქ სამოღვაწეოდ მოვიდა ათანასე დიდი.

ხოლო, ათანასეს მოღვაწეობა ათონის მთაზე იწყება გიორგის მისვლამდე ოთხმოცი წლით ადრე.

მოვიდა ათანასე წმიდა მთაზე და დააარსა დიდი ლავრა, რომელსაც საისტორიოდ შერჩა მისივე დამაარსებლის სახელი — ათანასე დიდის ლავრა.

ათანასე მამით ბერძენი იყო, დედით ქართველი, ლაზი. და ალბათ, ამიტომ ქართველები უყვარდა ძალიან, გარდა-რეულად.

(ორივე მშობლით რომ ყოფილიყო ქართველი, ალბათ, მაშინ ასე აღარ ეყვარებოდა ქართველები).

დიდი მეგობრობა ჰქონდა ათანასეს ბიზანტიის ახლო მხედრობათა მთავარსარდალთან, ნიკიფორე ფოკასთან.

ნიკიფორე ფოკაც წარმომავლობით ქართველი უნდა იყოს, ფიქრობდა ათანასე, ვინათგან ნიკიფორე კაპადოკიის ძველფესვოვანი მკვიდრი იყო. თვითონ ნიკიფორე სასტიკად იკრძალავდა ქართველობის გამხელას, ვაითუ ქართველობამ ხელი შემიშალოს საომარი და საპოლიტიკო კიბის ზიალსვლაშიო.

აბა, რა მიგავს ქართველსო — თვითონვე მშვარედ გაიცინებდა ნიკიფორე — პატრონსა ამნაირი ტანისაო (ტანად ჯუჯა იყო), ამნაირი თავისაო (ძალიან დიდი თავი ჰქონდა), ამნაირი სახისაო (უამური სახე ჰქონდა), ამნაირი ფერისაო (შავ-ყვითელი ფერისა იყო), ამნაირი ენისაო (სიტყვის წარმოთქმის თავი არ ჰქონდა, ოდენ საომარ ბრძანებათა გაცემის დიდოსტატს).

მაგრამ ქართველობის გარეშეც ძლიერი პიროვნება იყო ნიკიფორე ფოკა — ნიჭიერი, მამაცი, გულურყეველი, აზიის ჯარების დომესტიკოსი, ჯარისკაცთა სათაყვანო კერპი, რომელსაც არაბებისთვის წაერთმია და ბიზანტიის სამანებისთვის დაებრუნებია კრეტა, კილიკია და ალეპო.

და გასაოცარი ის იყო, რომ მონაზვნური სულიც უხვად ერია ბიზანტიის პირველი მხედართმთავრის ჯარისკაცურ სულს.

და ჰქონდათ დიდი სულიერი სიახლოვე ნიკიფორე სტრატეგოსს და ათანასე ბერს.

ორივე აზიაში იყვნენ იმ ჟამად. ნიკიფორე, ვითარცა ითქვა, აზიაში მდგარ ბიზანტიურ ჯარებს სარდლობდა, ათანასე კი აზიური ოლიმპის (ულუმბოს) მთაზე მისგანვე აშენებულ დიდ მონასტერში მოღვაწეობდა.

მერე, დროის ბორბალმა ერთიმეორის მიყოლებით დაატრიალა ეს ამბები: მოულოდნელად მოკვდა სრულიად ჯანმრთელი და საღსალამათი იმპერატორი რომანოს მეორე. ნიკიფორე ფოკასაც ცოლი მოკვდომოდა. ერთადერთი ვაჟიშვილიც ბრძოლაში დაღუპვოდა მთავარსარდალს. უკვე აღარაფერი ახარებდა ისედაც მარად შავნაღველიანს და სახემწუხარეს. სახსნილო სრულიად აიკრძალა. ათანასეს შავი კვართი გამოართვა, ჩაიცვა და აღარასოდეს გაუხდია გარესამოსელს შიგნით (ეს კვართი ულუმბოს სულიერ მამას, მიქაელ მალეინს ეჩუქნა ათანასესთვის). აღარც ლოგინად დაწოლილა ნიკიფორე ამიერიდან, მხოლოდ მიწაზე, ან შიშველ ფიცარზე თუ დანებდებოდა ძილს, ყოველ ძილის წინ სიკვდილს ნატრული. ათანასეს ათონზე, დიდი ლავრის გვერდით, ცალკე სენაკი ააშენებინა, ჩიბეს მინამსგავსი, სადაც მალე თვითონვე უნდა შემძვრალიყო ბერად აღკვეცილი დომესტიკოსი.

მაგრამ იმძლავრა ჭალმა ძლიერმა, სხეულით ლამაზმა და ჭკუით სატანისმიერმა ქვრივმა დედოფალმა თეოფანომ, ანგარიშიანი ბერძენი მედუქნის ასულმა, და იმდენი მოახერხა, მონაზვნობის გზაზე შემდგარი მთავარსარდალი საიმპერატორო ტახტამდე მიითრია და რაკი ტახტზედაც დასვა, რაღა მნიშვნელობა ჰქონდა ღამით სად დაუწვებოდა ამ სისხლგამშრალსა და გულგაყინულ კაცს — ღრუბელივით ფუმფულა სადედოფლო სარეცელზე, თუ ქვასავით ცივსა და მკვრივ იატაკზე.

ჩავიდა ათანასე ბერი ათონიდან კონსტანტინოპოლს, ჩავიდა და მიუხტა იმპერატორს. მიუხტა და აყვედრა სასტიკითა ყვედრებითა: შენგან რას ველოდი და რა გამოხვედიო, როგორ თუ წმიდა ბერობას ბილწი კეისრობა ამჯობინეო!

ძლივს დაამშვიდა ნიკიფორემ გაწიწმატებული მეგობარი: მე მაინც ბერულად ვცხოვრობ, თეოფანოსთანაც ისე ვარ ვითარცა ძმა დასთანო; საქმეებს რომ მივალაგ-მოვალაგებ და სახელმწიფოს დაწყნარებულად დავიგულებ, მაშინვე უეჭველად წამოვალ და შენთან ერთად გავწევ მონაზვნობასო.

და მთავარი „დამამშვიდებელი“ მაინც ის უნდა ყოფილიყო, რომ ახალი იმპერატორი ათანასეს დაჰპირდა ათონზე ახალი დიდი ლავრის აგებაში სრულ დახმარებას. და იგი კიდევაც შეასრულებს ამ დაპირებას.

გვირგვინოსანი მეგობრის ასეთი აღთქმით და მდიდარი საჩუქრებით დატვირთული დაბრუნდა ათანასე ათონს.

და სწორედ ნიკიფორე ფოკას საიმპერატორო ზეობის ჟამს ჰვიდა ათონის წმინდა მთაზე ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა გუნდი, უკვე ფრიად სახელმოხვეჭილი იოვანე ბერის მეთაურობით.

ახლა ისევ უნდა მოვინაცვლოთ ფიქრი, იოვანეს ადრინდელი ცხოვრებისათვის, რადგან ყოველივე იოვანესა და მისი ძის ეფთვიმეს გარშემო აღწერილია თვითონ ჩვენი მთავარი გმირის, გიორგის კალმით.

ვედრება მეორე

იყო მეფე დავით კურაპალატის კარზე ვარაზვაჩე ჩორდვანელი, ნათესავით ქართველი, დაბადებით ტაოელი, მამაპაპობით დიდებული და წარჩინებული.

იყო იგი საომარ ველზე მხნე და ახოვანი, სპასპეტი ვამორჩეული, სახით სახიერი და ტანით ტანოვანი, გონებით ბრძენი და სულით ღვთისნიერი.

ერთ დღეს ვარაზვაჩე ჩორდვანელმა ხელი აიღო საერისკაცო ცხოვრებაზე, ვინათგან ჰქონებოდა „ცეცხლი იგი ქრისტეს სიყვარულისაი გულსა მისსა მძაფრიად აღტყინებული“; სასულიერო სახელად დაირქვა ი ო ვ ა ნ ე, ქონება ყოველივე, რაიც გააჩნდა, ღარიბებს და უპოვართ დაურიგა, ცოლ-შვილი მიატოვა, სქემა შეიმოსა და სადღაც გადაიკარგა. ნაცნობებთან შეხვედრას გაურბოდა და ეკლესიიდან ეკლესიაში ადგილს ინაცვლებდა. ყველაზე დიდხანს „ლავრასა დიდებულსა

ოთხსა ეკლესიათასა“ მოათია. იქ მხოლოდ წმიდა მამათა, მოსეს და გელასის გაუმხილა თავისი ვინაობა და მათგანვე მიიღო კურთხევა ბერობისა.

ბოლოს ადგა და სულ წავიდა საქართველოდან. მივიდა მცირე აზიის დასავლეთ კიდურს, ბითვინიას, ულუმბოს მთაზე აღმართულ დიდ მონასტერში, რომელსაც მწყემსმთავრობდა მიქაელ მალეინი.

და დადგა აქ იოვანე ბერი ჯორთა და კარაულთა პომელელ მეჯინიბედ.

და გაიცნო აქ, დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ათანასე ბერს თავის კბილასა და თანაწოსაკეს, მამით ბერძენს, დედით ქართველ-ლაზს.

სწორედ იმჟამად ბიზანტიის კეისარმა რომანოს მეორემ დავით კურაპალატს მოსცა „ზემონი ქუეყანანი“ და სამაგიეროდ საქართველოდან კონსტანტინოპოლს მძევლებად წაიყვანა წარჩინებულ ოჯახთა ძენი.

და მძევალთა შორის აღმოჩნდა ძე იოვანესი ეფთვიმე, ყრმაი ხუთისა წლისა.

იოვანეს სიმამრს, აბუჰარბის, და ცოლისძმებს, თავისი შვილები საქართველოში დაეტოვებინათ, ხოლო უდედმამოდ დაგდებული ეფთვიმე უცხო მძევლობისა და ტყვეობისათვის გაემეტებინათ.

იოვანემ ორი წლის შემდგომ სცნო თავისი შვილის ამბავი და მაშინვე ულუმბოდან კონსტანტინოპოლს გაეშურა. ჩასვლისთანავე სიმამრი და ცოლისძმები იხმო და მწარე საყვედური აღუვლინა:

— რაი არს ესე, განა შვილები თქვენი არა გყავთ? გარნა, ცხადია, საკუთარი არ გაიმეტეთ და მძევლად ჩემი ობოლი გასწირეთ. რა გაეწყობა, — უფალმან შეგინდოთ შეცოდებანი თქვენნი!

უთხრა და ისე, რომ დატუქსულთა პასუხისთვისაც არ დაუცდია, კეისრის სასახლეს მიაშურა. მისი სახელი უკვე სცნობოდათ სასახლის კარზე. ამიტომ კეთილად მიიღეს, თხოვნა მოუსმინეს და შვილი დაუბრუნეს.

ძამამ შვილი ულუმბოს მონასტერში მიიყვანა.

ეფთვიმეს იმ ორი წლის მძევლობის ხანაში ქართული ენა სულ დავიწყნოდა და მხოლოდ ბერძნულად ლაპარაკობდა.

უსაზღვროდ შეწუხებული და შეძრული იოვანე ღღე და ღამ იმის ცდაში იყო, როგორმე ისევ აღოდგინებია ქართული მეტყველება შვილისთვის.

ათანასე ათონზე წასასვლელად აემზადა და იოვანეს ეზრახა, შენც შენის ძით ჩემთან წამოდიო.

სანამ შვილს ქართულს არ დავუბრუნებ, ცოცხალის თავით აქიდან გამსვლელი არა ვარო, თქვა და გაათავა იოვანემ.

ათანასე ათონს წავიდა, მაინც იმ იმედით, რომ ერთხელაც იქნებოდა ქართველი მამა-შვილი მის გზას გაჰყვებოდა.

მცირე ხანიც გამოხდა და ყრმა ეფთვიმე მოულოდნელად რაღაც „მძაფრითა სენითა“ ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. დღე და ღამე ოფლში ცურავდა, სიცხისგან იწვოდა, უსაშველო ალმურისაგან სუნთქვა უწყდებოდა. რა ბალახები არ უხარშეს, რა საფენები არ აფინეს, რა სალოცავნი არ ულოცეს აქიმობასა და ჯანაოზობაში გაწაფულმა ულუმბოელმა ბერ-მონაზვნებმა, მაგრამ არაფერმა გაჭრა.

და, როცა შვილი „სიკვდილსა მიეახლა“, სასოწარკვეთილი მამა ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, წავიდა ტაძრად, ერთხელ კიდევ დაემხო ღვთისმშობლის ხატის წინაშე და შეჰღაღადა ცრემლითა უმწარესითა:

— ღვთისმშობელო ქალწულო, კურთხეულო, სძალო უსძლოო, მეოხ ეყავ შვილსა ჩემსა, ნუ ინებებ მომიკვდეს იგი ეგზომ ენადავიწყებული; ნუ ჩაუქრობ კიდევ ერთ სანთელს შენს წილხვდომილ საქართველოს, დედაო სახიერო, დედაო ღვთისაო, სძალო უსძლოო!..

ტაძრიდან გამოვიდა მაინც უსახსრო სულით და მღვდელს შეუთვალა, მოდი და სიკვდილის პირს მიმდგარი შვილი მიზიარეო. შეუთვალა და აღარ დაუცდია, ისე გაქცა მომაკვდავი შვილისკენ.

კარი შეაღო და გაქვავდა კაცი.

ეფთვიმე ლოგინზე იჯდა, მშვიდი, მწყაზარი, რეცა ღრმა ძილისგან ახლახან გაყრილი და გამორჩეული.

— შვილო!

— რა იყო, მამა? — ეს ქართულად თქვა უმაწვილმა.

ქართულად!

— მითხარი, შვილო! — ლამის შეიშალა იოვანე.

— რა გითხრა, მამა? — გაკვირვებით იკითხა ყრმამ, ისევ სრული ქართულით.

— შვილო, არაფერი არ გტკივა, არ გელმის, შვილო?

— არა, არაფერი არ მელმის.

— ხოლო, ეს ქართული?...

— იცი, მამა, — რაღაც არაამქვეყნიური ღიმილით დაიწყო ყრმამ — ის იყო სადღაც ტკბილ ბურანში ვიძირებოდი, ვიღაცამ ხელი მომკიდა, გამომაბრუნა და გამომაღვიძა. და მე ვიხილე დედოფალი, ცისკროვან სახით, რომელმან მითხრა ქართულითა ენითა: — რაი არს, რაი გელმის, ეფთვიმე? — არ ვიცი, რაი მელმის, ოღონდ მე ვკვდები, დედოფალო, ვუთხარი მე. — ნუ გეშინინ, რამეთუ ლმობა შენი არს დავიწყება ქართულისა ენისაი; ხოლო ამიერიდან არარაი არს ვნებაი შენთა-ხა და აღდეგ, ვითარცა ქართველი ქართულითა ენითაი! — მითხრა და გაუჩინარდა დედოფალი იგი, — დაასრულა ეფთვიმემ და წამოდგა ფეხზე.

დაეცა და მუხლებზე მოეხვია მამა შვილს.

დიდხანს სიზმარში ეგონა თავი.

ისევ შვილმა წამოაყენა ფეხზე.

ერთად შევიდნენ ტაძარში და ერთად დადგნენ ლოცვად ღვთისმშობლისა წინაშე...

ამიერიდან ორივე ენაში დაუცხრომლად სწაფავდა მამა შვილს.

და „აღმოუდიოდა პირთაგან ვითარცა წყაროი" ეფთვიმეს ყმაწვილობითვე ქართული „უწმინდეს ყოველთა ქართველთა-სა", და ეგრევეთ — ენა ბერძნული.

და ეუბნებოდა მამა შვილს, ვითარმედ:

— შვილო ჩემო, ქართველთა ქვეყანა ფრიად ნაკლულოვან არს წიგნთაგან. და მრავალნი წიგნნი აკლიან, და ვხედავ რა ნიჭიც მოუმადლებია შენთვის ღმერთსა მაღალსა. და აწ იღვაწე, რაითა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან და შეუვსო დანაკლისი იგი ერსა შენსა მშობელსა.

ამასობაში დიდად განითქვა სახელი თვითონ იოვანესი, რომელსაც, ვითარცა ღვთივშემოსილ ბრძენსა და წმინდანს დიდ პატივს მიუგებდნენ ბერძნებიც, ქართველებიც და სხვანი ყოველნი.

მაგრამ სწორედ სახელოვნებასა და პატივისგებას გაურბო-

და იოვანე. და რაკი სწორედ ეგზომი ყურადღებისაგან ულუმბოში უკვე აღარ დაედგომებოდა, ერთ დღეს მან დაავლო ხელი თავის შვილს, კიდევ რამდენიმე მოწაფეც გაიყოლია და მათთან ერთად ულუმბოდან ვაუჩინარდა.

ვედრება მესამე

და მივიდნენ ათონს, მთასა წმიდასა.

და შეხვდა სიხარულით ათანასე დიდი „ქართველთა საყვარელთა". შეხვდა, შეიწყნარა და დაამკვიდრა დიდ ლავრაში, რომელიც მას ახლახან დაესრულებინა მისივე მეგობრის, კეისარ ნიკიფორე ფოკას ცხოველი დახმარებით. და იყვნენ მთაწმიდაზე ქართველი მთაწმიდელნი.

ვიდოდა ჟამი.

და ჟამს ემალვოდა იოვანე მთაწმიდელი.

ხოლო, იმავე ჟამის გმირი საქართველოში იყო უფროსი ძმა იოვანესი თორნიკე ჩორდვანელი ერისთავი, სახელოვანი მხედარი და მხედართმთავარი.

და თორნიკეც შესდგომია ძმის გზას. საერო სამოსელი გაუხდია და სამონაზვნო სქემით შემოსილა. შემოსილა და წამოსულა იოვანესთან შესახვედრად და მასთან დასამკვიდრებლად ულომბოს მთაზე. მაგრამ რაკიღა ვისაც ეძებდა, იქ აღარ დახვდა, გამოიკითხა და შეიტყო სადაც წასულიყო ძმაც და ძმისწულიც.

და ერთ დღეს თორნიკეც მივიდა ათონს.

მივიდა და, „ვინათგან დაფარვაი არღარა ეგებოდა", ძმები „ურთიერთას გამოეცხადნეს და სიყვარულითა შეიტკბნეს".

მთელი ტაძარი სიხარულმა მოიცვა.

ძალიან გაიხარა ათანასემაც, რომელსაც ადრევე სცნობოდა თორნიკე ერისთავის „საქმენი, წარჩინებულობა და ახოვნება".

და მონაზონება ძმისა აკურთხა ძმამ.

და ახალ სახელად იმასაც დაერქვა იოვანე.

კიდევ „სვინგელოზი" დაარქვა იოვანემ უფროს ძმას.

და ამიერიდან იყვნენ მთაწმიდაზე ძმანი მთაწმიდელნი, ორი იოვანე — იოვანე-ვარაზვაჩე და იოვანე-თორნიკე.

და ორივენი გაურბოდნენ სახელს და პატივს, მაგრამ ვერა-

რა გაეწყოთ: დიდის პატივით ეგებოდნენ ძმათა წმინდანთა ყოველბი, ბერძენნი თუ ქართველნი.

რა გაეწყობოდა, — აკი „ღირსთა თვისთა ღმერთი გამოაცხადებს და ადიდებს“.

და დაიწყო დენა ქართველ საეკლესიოთა და სასულიეროთა ნაკადისა ათონისაკენ.

და გამრავლდნენ ქართველი „მთაწმიდელნი“ მთასა წმიდასა.

გამრავლდნენ და ზრახვა ჰყვეს ორივე იოვანეთა: უკვე არა ჯერ არს ჩვენი ყოფნა ისევ ათანასე დიდის ტაძარში, აღარც მასპინძელს ეკადრება ჩვენგან შეწუხება, აღარც ჩვენ გვეკადრება სხვის ხიზნად ყოფნა. ამიტომ დრო დადგა თვითონ ავაშენოთ ქართველებმა ჩვენი ეკლესია, სადგომი და სალოცავიო.

და აღაშენეს ქართველებმა მთასა წმიდასა, ათანასეს ლავრისგან დაშორებით, „უდაბნოსა შვენიერსა“ ეკლესია წმიდა იოანე მახარებლის სახელობისა. ეკლესიასთან სხვა სალოცავნი, სენაკნი და სადგომნი გამართეს და დაბინავდნენ იქ ქართველნი და მათი მოძღვარნი — „ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი“.

ვედრება მეოთხე

დრო კი მიჰქროდა, ფრთათა ქნევით, ძველთა ცვენით და ახალთა აღმოცენებით.

დროს მოჰყავდა და მიჰყავდა მიწის მკერძავნი და მიწის კერძნი.

დედამიწა ისევ ბოროტად დაქცეული სისხლით იბანდა ჭიპს: დედოფალმა თეოფანომ კიდევ ორი ქმარი მოიწელა. ჯერ ნიკიფორე ფოკა შეიძულა, მისი ძმისწული, იოანე ციმისხი შეიყვარა და კუროდ დაისვა.

იოანე ციმისხი ტომით სომეხი იყო, იმპერატორის ძმისწული (ახლა გაირკვა, რომ ნიკიფორე ქართველი კი არა, სომეხი ყოფილა), ბიძასავით ტანმორჩილი, მაგრამ ლამაზი, მოჭიბლავი, თეთრი პირისკანით, ცისფერი თვალებით და ალისფერი თმაწვერით.

და შეითქვნენ საყვარელნი, თეოფანო და ციმისხი, იმპერატორის მოსანელებლად.

და იყო ღამე ზამთრისა. თოვდა. ბოსფორი მღელვარებდა. ქალაქს ეძინა. ეძინა ბუკოლეონის სასახლეში ბასილევს ნიკიფორე ფოკას. არ ეძინა სადედოფლო გინეკეაში ბასილისა თეოფანოს და მასთან ქალის სამოსელში გადაცმულ მკვლელებს. ელოდნენ მხოლოდ მთავარ გმირს. და შეუმჩნეველად მოადგა კიდეც მცირე ნავი ზღვიდან ბუკოლეონის ზღისპირა კედელს. ნავიდან ტანმორჩილი კაცი გადმოხტა კატის სიმსუბუქით. კედელზე გოდორი ჩამოეშვა, თოკზე ჩამობმული. ციმისხი ჩახტა გოდორში და შეარხია თოკი. ეს ნიშანი იყო და მაშინვე აზიდეს. კიდევ წუთი და იგი უკვე გინეკეაში იყო.

და შეუშვა დედოფალმა მეფის საძინებელში მკვლელები. ციმისხი ჯერ შეჩქვიფდა, როცა სარეცელი ცარიელი დახვდა, მაგრამ ერთმა შეთქმულმა, შინაურმა ყვერულმა, აჩვენა იატაკზე, ჯიქის ტყავზე მწოლარე იმპერატორი.

და მიესივნენ შიშველი მახვილებით.

გაღვიძება მოასწრო ნიკიფორემ.

რომელიღაცამ დაასწრო ციმისხის და თავში უკრა ძახვილი ფეხზე სანახევროდ წამოვარდნილ კეისარს. უკრა და კინკრიხოდან წარბებამდე ჩაუკრა ქალა.

— დედაო ღვთისავ, დამახსენი! — იბღავლა განწირულმა.

უფრო მჭიდროდ მიეხვიენენ მკვლელნი. მომაკედავი ციმისხისთან მიათრიეს და წინ ფეხებთან დაუგდეს.

დაიხარა ციმისხი, წვერში ხელი ჩააყლო ბიძას და ამოჰგლიჯა ბღუჯად. და მასვე წამს მახვილი ხელმეორედ შემოკრა თავში. სხვებმაც მოუნაცელეს და უკვე ცალ-ცალკე ცურავდა სისხლში ნიკიფორე ფოკას თავი და ტანი.

იმპერატორის მცველთა რაზმი მოიკრა ხმაურზე. მაგრამ იმპერატორის მოკვეთილი თავი რომ დაანახვეს, „დასაცავიც“ რაღა უნდა ჰქონოდათ! მეორე დღეს კი ხალხიც „ჰკუით მოიქცა“, როცა მკვდარს ისევ ცოცხალი ამჯობინა და აღტაცებული ბღავილით სცნო ახალი კეისარი.

ხოლო კეისრის ტახტზე ახლა იჯდა იოანე ციმისხი. და ძის თანაგვირგვინოსნად და თანამეცხედრე დედოფლად — ისევ თეოფანო.

(ამ ადგილს რომ წერდა, უკვირდა გიორგის, ძმისწულმა

ბიძა ასე როგორ გაიმეტაო, ეინ სომეხმა სომეხიო. საკუთარი სისხლის გამეტება ქართველს კიდევ ჰო, მაგრამ სომხისთვის სწორედ უცნაურიაო).

მაგრამ ხალხი ხალხია, პატრიარქმა პოლიევქტმა კი, არამცთუ არ აკურთხა ახალი იმპერატორი, არამედ საერთოდ არ შეუშვა აია სოფიაში — ხელები სისხლით, და თანაც მირონცხებული ნათესავისა და მეუფის სისხლით გაქვს გასვრილიო.

მაშინ ყველასთვის მოულოდნელად იოანე ციმისხიმ სულაც უარყო ნიკიფორე ფოკას მკვლელობაში თავისი მონაწილეობა. მე არც მომიკლავს და საერთოდ არც რამ გამიგია ბიძაჩემის მკვლელობის განზრახვისაო, — დაიჩემა ციმისხიმ. მაშ, ვინ მოჰკლა იმპერატორიო, იყვირა პოლიევქტმა. ვინ მოკლა და დედოფალმაო, მშვიდად უპასუხა მკვლელმა.

უსირცხვილობა კონსტანტინოპოლში ვის გააკვირვებდა, მაგრამ ციმისხის ურცხვობამ და უტიფრობამ სწორედ გააოცა ოქროსპიპელნი.

თუმცა უტიფრობას რა ტახტის წაქცევა ან წამოყენება შეეძლო, ნიკიფორეს მკვლელობა მთლიანად თეოფანოს დააბრალეს და კუნძულ პროტიზე გადაასახლეს.

„სუფთა ხელებიანი" იოანე ციმისხი კი, პატრიარქმა პოლიევქტმა აია სოფიას ტაძარში დიდის ამბით აკურთხა ახალ კეისარ-ბასილევს-ავგუსტუს-ავტოკრატორ-იმპერატორად.

მაგრამ თავისი კეისრული ზეობის მეშვიდე წელს „უცნაური სენი" შეეყარა იოანე ციმისხის. უცებ ჩამოხმა და... ჩაქრა.

ისევ ასისინდნენ ავი ენები: თეოფანომ მაინც იმდენი ჰქნა, საწამლავი შეაყოლებინა უმადური კაცის საჭმელ-სასმელშიო. იყო თუ არა ეს მართალი, აღარც ამას მისცემია რაიმე აზრი. მთავარი ის იყო, რომ ციმისხიც მოკვდა და დედოფლის ტახტზე ისევ მობრუნდა თეოფანო. მობრუნდა და იმპერატორის ტახტზე დასვა ორივე შვილი პირველი ქმრისგან, რომანოს მეორისგან — ბასილი და კონსტანტინე. მაგრამ რაკი ორივე ძმა მცირეწლოვანი იყო, ქვეყნის მმართველობა მაინც თეოფანოს ეპყრა ხელთ.

და სწორედ მას ჟამსა მოხდა, რაიც ადრევე ითქვა ამ წიგნში: ბარდა სკლიაროსი რომ განუდგა და აუჯანყდა ყრმა იმპერატორებს. აზიური მიწები სრულიად მოიწყვიტა კონს-ტან-

ტინოპოლისგან და დღე-დღეზე აჯანყებული სარდლის კონსტანტინოპოლზე თავდასხმასაც ელოდა ძიძით აცილებული საიმპერატორო სასახლის კარი.

და ითქვა მაშინ მსოფლიოს ჭიპზე, ითქვა ხმამაღლა და გადაწყვეტილად, ვითარმედ:

— ჩვენი შემწე დავით კურაპალატის გარდა არავინაა ამ ქვეყანაზე!

— სწორედ, ოდენ ქართულ ხმალს შეუძლია ჩვენი დახსნა.

და დაისაჭიროვეს კაცი, საქართველოში დავით კურაპალატთან გასაგზავნად, — ისეთი კაცი, აჯანყებული სკლიაროსისგან შეკრულ გზებზე რომ გააღწევდა.

და შეიტყვეს, ასეთი კაცი არის ათონზე — იოვანე თორნიკ-ყოფილი.

გაგზავნეს სასწრაფოდ სევასტოფორი ათონის მთაზე. ძიძვიდა იგი და სამივეს — ათანასეს, იოვანე-ვარაზვაჩეს და იოვანე-თორნიკეს გადასცა მან მეფეთა წერილები, აქვე სამივეს სახელზე დაწერილნი. და სამივეში ეწერა ვითარმედ:

„ულმერთოი სკლიაროსი გაგვიდგა და ხმელით კერძი ყოველი დაიპყრა. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქვენსა, რათა თვინიერ ყოვლისა მიზეზისა, იოვანე-თორნიკ მოვიდეს წინაშე მეფობისა ჩვენისაო".

და თხოვნა ესე გამაგრებული იყო მრავალი მუდარით, ქენებით, ხვეწნით.

სამივე მამა ჩავარდა საგონებელს. აკი აღთქმა ჰქონდათ დადებული, არა სახის საერო საქმეს აღარ მიქცეოდნენ სიკვდილის კარამდე.

მაგრამ ბოლოს მაინც გატყდნენ ათანასე და იოვანე და დაუწყეს ვედრება თორნიკეს, უნდა წახვიდე შენ მეფეთა წინაშე კონსტანტინოპოლსო.

შეწუხდა თორნიკე.

— წმინდანო მამანო — მიმართა მან ათანასეს და იოვანეს — მე ჩემი ცოდვების გამო მოვსულვარ ამ წმიდა ადგილს და მეფეთა წინაშე წასვლა ხომ ისევ ცოდვათა გზაზე მიქცევა იქნება ჩემი, რამეთუ ხომ იცით, რაისათვის მიხმობენ მეფენი. მე, რაკიღა ღმერთმა ღირსმყო და მონაზვნის სახედ შემმოსა, -ამიერითგან აღარც შეხვედრის ნება აღარა მაქვს აღარც მეფეებთან და აღარც სხვა ვინმე ამქვეყნიურ ადამიანთან. ამიტომ

ვევედრები სიწმიდესა თქვენსა, ღმრთის სიყვარულისთვის შემინდვეთ და ნუ მაიძულებთ სასახლეს წასვლად, რაშეთუ უკეთუ წავიდე, ვიცი ისინი ამა ქვეყნის შფოთში ჩამაგდებენ.

მაგრამ არ ეშვებოდნენ ათანასე და იოვანე: უკეთუ ვეურჩეთ და არ წახველ მეფეებთან, უეჭველად დიდ რისხვას მოვაწევთ ჩვენს თავსაც და ჩვენს ტაძრებსაცო. შენ ოღონდ წადი და მაგის ცოდვა იქნება თუ ბრალი, ყველაფერი ჩვენ კისრად აგვიღიაო.

შვიდი დღე ეხვეწნენ, ემუდარნენ ასე და ბოლოს დაიყოლიეს.

და მივიდა იოვანე-თორნიკე კონსტანტინეპოლს.

და მისვლისთანავე საღვთო კონსისტორიონს შეიყვანა იგი პარაკიმენონმა ბასილიმ.

შემოეგებნენ ბასილისა თეოფანო და ძენი მისნი, ყრმა მეფენი — ბასილი და კონსტანტინე.

ორივე შვილი დააჩოქა თორნიკეს წინაშე თეოფანომ. დააჩოქა და შეჰღაღადა:

— წმიდაო მამაო, რაიცა ამ ობოლთა მიმართ წყალობა ჰქმნა, სამაგიერო ღმერთმა მოაგოს სულსა შენსა!

ისევ სცადა წინააღმდეგობის გაწევა თორნიკემ, მაგრამ სული აღარ მოათქმევინა დედოფალმა:

— წმიდაო მამაო, რაიცა მიბრძანოს მეფობამან თქვენმან, თქვენსა ბრძანებასა როგორღა გარდავხდები. ოღონდ ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომა თავს იდევ და, რა გზითაც გნებავს, წადი დავით კურაპალატთან, წარუდექ და აუწყე ჭირი ჩვენი ყოველივე. და ევედრები ღმერთს, შენ და შენმა მეფემ ის უღმერთო სკლიაროსი დაამარცხოთ და ჩვენ მაგ ჭირისგან გადაგვარჩინოთ.

კიდევ იბრძოლა თორნიკემ, მაგრამ ამაოდ. ბოლოს გატყდა და უთხრა ავგუსტა-დედოფალს: მე ჩემი ცოდვებისთვის შევიმოსე სახე ესე და ამიტომ სიკვდილზეც უმძიმესია კვლავ საერო საქმისადმი ჩემი მიქცევა, მაგრამ რაი ვყო არ ვიცი. ალბათ, თქვენს წმიდა მეფობას უარს ვეღარ შევბედავო.

გაიხარეს დედოფალმა და პარაკიმენონმა და ერთხმად შესძახეს: ოღონდ შენ ამ ობლებს უშველე და, რაიცა ბრალი და ცოდვა იყოს, ღმერთმა ჩვენს კისერზე იძიოსო.

და, ვითარცა უკვე ითქვა ზემორეთ, წავიდა თორნიკე

საქართველოში, მისცა დავით კურაპალატმა თორმეტი ათასი ქართველი მეომარი, სარდლად უჩინა თვითონვე, და გაანადგურეს ქართველებმა სკლიაროსი ჰალისის პირას, და იხსნეს უეპველი დაღუპვისაგან ბიზანტიის ყრმა კეისარნი.

შემდეგ, მოწიფულობისას, კარგად კი გადაუხადა ბასილი კეისარმა საქართველოს ყრმობისას ჩადენილი მადლი. ამის თაობაზეც ითქვა ზემორეთ, და კიდევ აღარ გავიმეორებთ.

ხოლო თორნიკემ ჰალისის ველზე აღებული ალაფი და იარაღი ნაწილი თავის მეომრებს დაურიგა, ნაწილიც ათონის მთაზე მიიტანა.

დიდი სიხარულით და ამბორისყოფით შეეგებნენ ძლევამოსილად დაბრუნებულ ძმას იოვანე, ათანასე და ყოველი ძმანი მთაწმიდელნი.

კვლავ უფრო იმით გაიხარეს, რომ თორნიკეს ათონზე თან ჩამოჰყვა „მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანი მონაზონნი“.

და, რაკი ახლა ჰქონდათ სახსარი ახალი ტაძრის მშენებლობისა, ერთხელ კიდევ იზრახეს და გადაწყვიტეს, ვითარმედ:

„ვინათგან ვართ ქართველნი, კაცნი სახელოვანნი, და კვლავ გვერთვიან ქართველნი და იზრდება სიმრავლე ჩვენი, უკვე აღარც იოანე მახარებლის ეკლესიაა საკმარისი და უნდა ავაშენოთ ახალი დიდი ლავრა ქართული.“

და აღაშენეს ქართველმა ათონელებმა დიდი ქართული ლავრა ღვთისმშობლის სახელობისა მთაწმიდის უმშვენიერეს ადგილზე, თვალისა და სულის მარგებელ გარემოში.

აშენდა დიდი ქართული ტაძარი და ისტორიაში დაივანა მისმა სახელმა — „ივერი“, „ივერონ“, „ივერონ“, ანუ „ქართველთა“.

და აღმართეს ივერონის კარიბჭის თავზე სასწაულმოქმედი ხატი ღვთისმშობელი მარიამისა, საკვირველი ხელოვნებით მოხვეული და ცხოველმოსილი. მერე ითქმება, ვითარმედ: ხატთა ჯალათის, თეოფილე კეისრის ჟამს ეს ხატი ნიკეაში ერთი ქრისტიანე დედაკაცის სახლში ესვენა თურმე. ერთხელ მეფის შიკრიკი მისულა იმ სახლში ღამის გასათევად და ის ხატი რომ დაუნახავს, ხატმებრძოლი მეფის კაცს მაშინვე უძგერებია მახვილი. ხატიდან სისხლმა იფეთქა და მის დამჭრელს შეექცა. თავზარდაცემული შიკრიკი გადაიხვეწა, ხოლო

დაჭრილი ხატი იმ დედაკაცმა ზღვაში ჩაასვენა. და ასორმოც-
დაათი წელიწადი ატარა ზღვამ ხატი იგი. ატარა და, ბოლოს
ათონზე რომ ივერონი აშენდა, ათონის მთასთან მოცურდა იგი
და ხედავდნენ ათონელები, დღისით როგორ ბრწყინავდა და
ღამით როგორ ანათებდა ზღვაზე მოვარვარე ხატი. რამდენ-
ჯერ სცადეს მიახლოება და ამოსვენება, მაგრამ არავინ არ
მიიახლოვა და არავის არ დანებდა იგი. მერე გაბრიელ ხუცესს
შეეეედრნენ, შენებრ წმინდანი ცხოვრებით ათონზე არავინ
ცხოვრობს და იქნებ შენ სცადო ბედიო. გაბრიელ ხუცესი
კლდის ნაპრალში იყო დაყუდებული, მხოლოდ წყალს თუ
დალევდა და ბალახს მოსძოვდა, სხვა რამ საზრდელს პირს
არ დააკარებდა. კიდევ, მისი პირიდან ერთი საერო სიტყვაც
არ დაიძვროდა, არამედ ყოველივე მხოლოდ საღმრთოი და
სასულიერო ითქმოდა მისგან. და ჩაუშვეს ზღვაში გაბრიელი,
მიეახლა ხატს და ხატიც მოეახლა მას. და ამობრძანდა ხატი
იგი ზღვიდან ხმელეთზე. ამობრძანდა მთაწმიდელ ქართველთა
სამფარველოდ. და აღმართეს იგი და დააბრძანეს ქართვე-
ლმა მამებმა ახალი ლავრის შესავლის თავზე და ეწოდა ამიე-
რიდან — კარის ღვთისმშობელი...

ივერონის ახლოს აშენდა კიდევ სხვა ეკლესია, იოანე ნა-
თლისმცემლის სახელობისა. და ამათ გარდა, ქართველებმა
შეიძინეს „ადგილნი მრავალნი, მონასტერნი და სადაყუდებუ-
ლონი გარემოის დიდისა მონასტრისა ვიდრე იმიერ ზღვად-
მდე, რომელნი-იგი შვენიერ არიან და საწადელ და მომჯავე-
ბელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად“.

ათანასე დიდი ისევ დიდი სიყვარულით სწყალობდა ქარ-
თველებს. იოვანე ახალი ტაძრის მწყემსმთავარი რომ გახდა,
მაინც არ მოიშორა იგი ათანასემ. მოიშორა კი არა, „ივერო-
ნი“ რომ დამთავრდა, მისი წარმძღვარი ათანასემ საქვეყნოდ
თავისი ლავრის „სულიერ ეპიტროპად“ გამოაცხადა!

ხოლო, ოდეს აღარც მე და აღარც იოვანე ამ ქვეყნად აღარ
ვიქნებით, ორივე ლავრის — ქართულისაც და ბერძნული-
საც — სულიერი ეპიტროპი ეფთვიმე უნდა იქნესო! — ანდერ-
ძით აცხადებდა ათანასე.

„ივერის“ დასრულებიდან ორი წლის თავზე ათანასე გარ-
დაიცვალა.

ხოლო, ყოველი სიმდიდრე, რაიც თორნიკე ერისთავს მთა-

წმიდაზე ჩამოეტანა, ყოველივე საამშენებლო და საარსებო სახარჯოდ, მთლიანად გადაეცა იოვანესთვის.

თვითონაც, „ეგევითარმან განთქმულმან და საჩინოსმან კაცმან ყოველივე ხებაი თვისი მოიკვეთა და სრულებით შეუდგა მორჩილებასა მისსა". არაფრის უფლებას აღარ აძლევდა თავს იოვანეს დაუკითხავად. იოვანეს დაუკითხავად ლამის წყალსაც გემოს არ გაუსინჯავდა, მის უნებართვოდ ერთ ფოლსაც თითს არ დააკარებდა.

და ეუბნებოდა იოვანე-თორნიკე იოვანე-ვარაზვაჩეს, ვითარმედ:

— მამაო, თვით იცი, დიდად ცოდვილ ვარ და სიკვდილი ჩემი მოახლოებულ არს და შენს უნებური არარაი მსურს, არამედ ნებაი ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია; ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი!

დიდ ტვირთად აწვა იოვანეს უფროსი ძმის ეგზომი ქვევრდომილება და მარად იმას მიესწრაფოდა, არაფერი დაჰკლებოდა, მარად მყუდროებასა, პატივსა და კრძალულებაში ჰყოლოდა.

მაინც ვერ იქნა და ვერ ჩაიკლა მეომრული სული დიდმა ზორავარმა წმინდა ბერობით დაშრეტილ სხეულში. უძლური აღმოჩნდა უსასტიკესი ასკეზისი სამშობლოს სამსახურად აღმოხდენილ ხმალთან ბრძოლაში. ვერ იქნა და ვერ მოიშორა ზმანებანი გარდახდილი საომარი თალპიონებისა, მეომართა ყიჟინისა, საჭურვლის ზრიალისა, დაჭრილთა რღოლვისა, მომაკვდავთა გმინვისა, ისართა წივილისა, ცხენთა ჭიხვინისა და თქარათქურისა.

ვერა და ვერ მოეწყლა ბერობას თორნიკეობა თორნიკე ჯრისთავში. ვერა და ვერ მოიშალა თხრობა გარდასული ბრძოლებისა. შემოეხვეოდნენ სმენად ქცეული მოწესენი და ისიც, ქარიშხლით შტოებდალეწილი მუხასავით შუაჩამდგარი, ჰყვებოდა თავდავიწყებით, ლეწავდა სიტყვას თვითტკბობით და სხეათა დატკბობით.

ქართველ კაცს, სხვა ყოველ კაცთაგან გამორჩევით, ათგზის უმეტესი დატვირთვით უხდება შრომის ოფლის ღვრაც და საომარი სისხლის დაქცევაცო. ასეა, ვინათგან ყოველი მტერი სწორედ ათგზისი ძალით ერკინება და ემტერება ქართველსო. ქართველებთან საომრად გასელამდე ყოველმა მტერმა ჯერ

თავის თავს უნდა სძლიოს, თავის თავსვე აჯობოს და ქართველთა დასამხობად და დასამწებლად ისეთი რამ ისიბრძნოს და იხერხოს, რაიც მანამდე სულსა მისსა ლანდადაც არ მოლანდებია.

და მოუთხრობდა იგი ერეოლამორეულ, ენაჩავარდნილ მსმენელებს, როგორ შეიპყრეს სარკინოზებმა ქართველი მეომარი, როგორ განუპეს ცოცხალს მკერდი, გული ამოართვეს, შუბზე წამოაგეს, ცეცხლზე შესწვეს და მწვადივით დათალეს გული ქართველისა.

და კიდევ — როგორ დაჭრეს ცოცხლად ქართველი, საშურდულე ნაწილაკებად როგორ დაკუწეს და შურდულებით ნიშანს ესროდნენ ქართველი კაცის ხორცის ნაჭრევებს.

და ერთხელ, უცებ, ანაზდეითად იკითხა ერთმა ყმაწვილმა ბერმა:

— მაინც რაისთვის, რა ცოდვისთვის სჯის ღმერთი საქართველოს?

— შინამტრობა არის ცოდვა საქართველოსი, — მაშინვე მიუგო თორნიკემ.

სთქვა და ნათქვამი მისი შეერხა სივრცეს, რხევით, რხევით...

თავს წამოადგა იოვანე-ვარაზვაჩე ძმას, იოვანე-თორნიკეს და უთხრა წყნარად, კრძალვით და რეცა წყრომით:

— საყვარელო ძმაო, ვხედავ, ღვთის მადლით, კეთილად წარემართები ყოველთა ცნებათა ღმრთისათა და არც მინდა წყენა რაიმე მივაყენო შენს წმიდა სულსა. მაგრამ განა შენსავ სულს არ ავნებს იგი, რასაც ახლა და ამდენ ხანს მოუთხრობ ამ ხალხს? გთხოვ და გემუდარები, საყვარელო ძმაო, ეგ საერო ნათხრობნი საეროთა და სოფლიოთა დააცადე, ხოლო შენ, უკეთუ ვერ დაიშლი, უამბე მხოლოდ ერთს — გაბრიელ ხუცესს.

გაბრიელ ხუცესსო?!

ეს რომ ისმინა, მაშინვე დაემხო თორნიკე იოვანეს ფეხებთან, დაემხო და შეჰღაღადა ცრემლების თხევით:

— რად სდუმდი აქამომდე და არ მამხილე, წმიდაო ღმერთშემოსილო მამაო?

მაშინვე წამოაყენა იგი ფეხზე იოვანემ, მოეხვია და უთხრა კეთილად:

— რაც იყო იგი ღმერთმა გაპატიოს, ხოლო ამიერიდან **მკრძალე!**

და ეკრძალა ისიც — სამუდამოდ ეკრძალა თორნიკე თორნიკობას.

იგი მიიცვალა და... „ღმრთისა მივიდა“.

— ღმერთმან შეუნდვნა ცოდვანი მისნი და საუკუნესა ცხორებასა ღირს ყო, — თქვა იოვანემ.

ვედრება მეხუთე

როცა თორნიკეს დასაფლავებისა და მისი „სულის შეძინების“ საქმეებს მორჩა, იოვანემ მოულოდნელად გაამეღავნა განზრახვა, რომელიც ადრიდანვე ჰქონია გულს დაკრძალული და ამდენ ხანს თურმე თორნიკეს გამო არ გაუმხელია.

ხოლო განზრახვა ესე ყოფილა: მისი ძის ეფთვიმესა და კიდევ რამდენიმე მოწაფის თანხლებით, წასვლა სპანიად.

სპანიად?!

სპანიაში მრავლად ყოფილან ნათესავნი ქართველნი, დიდი ხნის მკვიდრნი და შვილნი იქაური მიწა-წყლისა.

და გულს ამოეჭრა იოვანე ათონელს წასვლა სპანიად, იქაურ ქართველებთან, ვინათგან თურმე თავიდანვე უფრთხოდა იგი აქაურ ქართველობაში შუღლსა და შფოთს.

(ხეტავ სპანიის ქართველობაშიც თუ სუფევს ისეთივე შუღლი და შური როგორც საქართველოს ქართველობაში?!).

(მარადიულად და დაუცხრომლად რომ ნათესავ ქართველს ეძებს ქართველი, განა იმიტომ ხომ არ ეძებს, რამეთუ გააფართოვოს სამყარო შინასისხლიერი შურისა და შუღლისა?!).

და „იერლტოდის სპანიად“ იოვანე მთაწმიდელი ძითა მისითა ეფთვიმეთი და კიდევ „რავდენიმე მოწაფითა“.

ჯერ აბიდოსს მივიდნენ, რათა იქ სპანიისკენ მიმავალი ხომალდი დაეგულებინათ და კიდეც გაჰყოლოდნენ მას. სწორედ ამის შესატყობად მივიდა იოვანე აბიდოსის მმართველთან, ძველ ნაცნობთან და მოკეთე მეგობართან. ძალიან გახარა აბიდოსელმა სახელოვანი ქართველის ეგზომ მოულოდნელი წვევით, მაგრამ იქვე უაღრესად გაუკვირდა და განაწყენდა, როცა მან სტუმრის განზრახვა შეიტყო.

არასგზით მე შენი გაშვება არ შემიძლიაო, მტკიცედ და გადაჭრით განუცხადა ბერძენმა ქართველს. შენ, წმიდაო მამაო, ძალიან კარგად იცი, როგორი პატივისცემა და სიყვარუ-

ლი აქვთ ჩვენს კეისრებს შენი მაღალი ღირსებისა და ღვაწლმოსილებისაო. ამიტომ, თვითონ განსაჯე, რა სასჯელს დამატეხენ ისინი თავზე, უკეთუ მათ დაუკითხავად გაგიშვებ შენ ჩვენი ქვეყნიდან იმ ქვეყნის დასალიერ სპანიაშიო. მე მხოლოდ ის შემიძლია მეფეებს მივწერო შენი განზრახვა და, რასაც მიბრძანებენ, მეც იმას ავასრულებო.

სთქვა და ქმნა აბიდოსელმა. სასწრაფოდ წერილი აფრინა კონსტანტინოპოლს. პასუხიც ნასწრაფევად მობრუნდა. ახლავე ჩვენთან წარმოგზავნე იოვანე და მისი მხლებლებიო — ბრძანებდნენ ძმანი კეისარნი.

და მიიყვანეს საღეთო კონსისტორიონს იოვანე და იოვანესნი.

პატივით შეხვდნენ კეისრები, მოიკითხეს, მოუალერსეს და მერე, კრძალულად, საყვედურიც აკადრეს:

— წმინდანო მამანო, ჩვენ დიდი სიყვარული გვაქვს თქვენი სიწმიდისა და სისპეტაკისა, მაგრამ ეს რატომ ხდება, რომ ჩვენგან გარბიხართ და უცხო ქვეყანაში წასვლა და ცხოვრება აგირჩევიათ?!

მაშინ წამოდგა და სთქვა იოვანემ პასუხად, ვითარმედ:

— ღმრთისმსახურნო და თვითმპყრობელნო მეფენო! მე ადრე ერთი გლახაკი, ცოდვებით დამძიმებული ერისკაცი ვიყავი და გადავწყვიტე უცხოობაში გადავხვეწილიყავი, ნაცნობს არსად გადავყროდი და სამუდამოდ ყველასათვის ხორცით დაკარგულს, სული ჩემი მეცხონებინა. მაგრამ ეს ვერ შევძელ იმის გამო, რომ მოულოდნელად მოვიდა ჩემთან თორნიკე, ვეღარ მივატოვე იგი და ჩავვარდი მისი გულისთვის ისევ ბოფოთითა და შუღლით აღსავსე ერისკრებაში. ხოლო ახლა მაინც, როცა თორნიკე ამა ქვეყნიდან განსრულ არს, მინდა ვიყო ყოველისგან თავისუფალი, წავიდე შორს და ვიზრუნო ოდენ სულისათვის.

კეისრებმა სიტყვა ესე მოისმინეს, მაგრამ არ შეისმინეს: ჯერ კარგა ხანს თვითონ კონსტანტინოპოლს დაიტოვეს და არ გამოუშვეს, ვითარცა „კეთილი სტუმარნი“. მერე, ბევრი არწმუნეს და ბოლოს დაარწმუნეს, უკანვე, ათონზე დაბრუნებულიყვნენ და სპანიაში წასვლაზე ფიქრი საფიქრალიდან სამუდამოდ ამოეკვეთათ.

და დაბრუნდნენ ისევ მთაწმიდას მთაწმიდელნი, ხელმწიფეთაგან ნაალერსალნი და ნასაჩუქრალნი.

და დაკნინდა, და დაჭლექდა ფიქრი ერთმანეთისთვის დაკარგული „ორი საქართველოს“ კვლავ-ხილვისა და კვლავ-შეხვედრისა.

ვედრება მეექვსე

ვიდოდა ჟამი.

წავიდა თორნიკე.

მიდიოდა იოვანე.

მოდიოდა ეფთვიმე.

ნიკრისის სენმა შეიპყრო და შეხუთა იოვანე და სამუდამოდ დასცა სარეცელზე.

საშინელი ტკივილები უჭამდა სახსრებს.

და იყო სულით მხიარული და მადლობდა უფალს, ეგზომ უსაშველო ტკივილები და ლმობანი რომ არგუნა ხორცსა მისსი.

არ არსებობს ჩემთვის უფრო ძვირფასი საფასე, ვიდრე ეს ხორციელი ტკივილებიო, ამბობდა იგი. გულწრფელად ამბობდა, სულის ზეიმით და მხიარულებით.

მაგრამ სასტიკი სენით სხეულგანკაფულს და მარად დარეცილს აღარ შეეძლო სატაძრო სამწყსოსა და სათვისტომოს მწყემსმთავრობა.

და ევედრებოდა იოვანე ეფთვიმეს, ძესა თვისსა, დრო დადგა და მიითვალე „ივერონის“ მეთაურობა და მზრუნველობაო. ერთხანს უარობდა ეფთვიმე, უარისთვის შენდობას ითხოვდა და „ამქვეყნიურ შფოთთაგან“ განრინებას იმიზეზებდა. მაგრამ ბოლოს მიხრწნილი და სხეულდაშრეტილი მამის ვედრება მაინც უნდა შეეწყნარებინა და შეიწყნარა კიდეც. მან იკისრა „ივერონის“ მზრუნველობა, ეკონომოსობა, მაგრამ მამის დაუკითხავად მაინც არაფერს წყვეტდა, არცა დიდსა და არცა მცირე გადასაწყვეტს.

ვედრება მეშვიდე

მიდიოდა იოვანე მთაწმიდელი.

მოდიოდა ეფთვიმე მთაწმიდელი.

უკვე მოსულიც იყო.

იმ დღიდან, რა დღიდანაც უთხრა მამამ შვილს: ქართველთა ქვეყანა წიგნთაგან ნაკლულია და ეს სინაკლულე შენ უნდა შეუვსოო — მას შემდეგ გასულიყო ოცდახუთი წელიწადი. და ეს მეოთხედი საუკუნე უკვე გამხდარიყო საუკუნედ „ეფთვიმე ათონელისა", რადგან აქამდე ქართველთა შორის არავინ გამოჩენილა ეგზომ მძლავრი მეუფე ქართული სიტყვისა და აზრისა. თარგმნიდა და წერდა დაუცხრომლად. თარგმნიდა უმეტესწილ ბერძნულიდან ქართულად, უფრო იშვიათად — ქართულიდან ბერძნულად. უკვე ეთარგმნა ქართულიდან ბერძნულად „ბალაჰვარი" და „აბუკურაი", მაგრამ მთავარი სწორედ ეს იყო: როგორმე, რაც შეიძლება მალე შევსებულიყო აქამდე ღარიბი და ნაკლულოვანი ქართული საწიგნობელი. წერდა, თარგმნიდა და პირველი უთმინარი წამკითხველი და მკაცრი განმსჯელი იყო მამამისი იოვანე. მას უკან გადამწერლები გადაწერდნენ, გადანუსხავდნენ და გზავნიდნენ ქართულ მონასტრებსა და სავანეებში.

რაღა თქმა უნდა, ყოველი წიგნის პირველ ნუსხებს ეფთვიმე გზავნიდა საქართველოში, მეფე დავით კურაპალატის მისართმეველად და მისი შეხედულებისამებრ დასაბინავებლად.

— მადლი ღმერთსა, რომელმაც ჟამთა ჩვენთა ახალი ოქროპირი გამოგვიჩინა! — აღტაცებით იძახდა დავით მეფეთა-მეფე.

ეფთვიმეს თარგმანება არ იყო ოდენ ბერძნულიდან ქართულად გადმოღება თხზულებისა. არამედ იგი იყო დამოუკიდებელი ქართული გააზრება ქართველისთვის უცხო ტექსტისა, გააზრება უმაღლესი სიტყვათხელოვნებით, თავისუფალი მიმოქცევით, როცა თარგმნილის ენა და გააზრება უფრო შთამბეჭდავი და შთამაგონებელია, ვიდრე ენა სათარგმნისა.

წესი მისმიერი თარგმანისა იყო წესი „შემატებისა და დაკლებისა" (ვითარცა იტყვის შემდგომში დიდი ეფრემ მცირე), ქართული სიტყვიერებით გამდიდრება ან გამარტივება სათარგმნელის აზრისა.

და ასე — ამძლავრებდა თარგმნილს სათარგმნზე ეფთვიმე ათონელი.

იმავ ჟამს ათონელებმა შეიტყვეს, რომ „ოთხთა ეკლესიათა ლავრასა შინა“ დაყუდებულა ორი სახელგანსმენილი საეკლესიო მამა — იოვანე გრძელისძე და არსენი ნინოწმიდელი. და მისწერეს წერილები მათ იოვანე და ეფთვიმე ათონელებმა, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, გვეუწყა თქვენი სიწმიდე და მანდყოფნა თქვენი. ვართ გულკლებული, რომ არ ინებეთ მოსვლა და თქვენი წმიდა ლოცვის მოღება ჩვენს წმიდა და სახელოვან მთაზე, ათონზე. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქვენსა, რაითა მოხვიდეთ და ვიყოთ ერთად, ვინათგან უწყით, ჩვენც თქვენებრ უცხოებასა ვართ“.

და მოვიდნენ ათონის მთაზე იოვანე გრძელისძე და არსენი ნინოწმიდელი.

და იყო სიხარული დიდი მომსვლელთა და დამხვედრთა შორის. ეფთვიმემ ცალკე სენაკნი აუშენა მოსულ მამებს მათდა სადგომად და საცხოვრისად.

მალე ამის შემდგომ იოვანემ სიკვდილის მომთხვევა იგრძნო, შვილი წინ დაიყენა და ათონის სავანეთა წინამძღვრობა გადაულოცა. იყავ მამა და მამასახლისი და როცა გადადგე, მამასახლისობა გიორგის გადაეცით (ეს გიორგიც ყოფილა „თვისივე მათი, კაცი სახელოვანი და ფრთხილი ხორციელთა საქმეთა ზედა“). მერე, გიორგიმაც თავისი წინამძღვრობა იმას გადასცეს, ვინც ძმათა შორის სიტყვით და საქმით სხვათა უმჯობესი იპოვნოსო. და ასე მარადჟამს: ყოველმა წამავალმა მამასახლისმა ახალი ღირსეული დატოვოს თავის ადგილსაო. ახლა კი ეფთვიმე იქნება თქვენი წინამძღვარი, ხოლო უკეთუ თქვენს შორის გამოჩნდება მშლელი ვინმე მამა ეფთვიმეს განგებულობისა და მაშფოთებელი საძმოთა თქვენთა, იყოს კრული, შეჩვენებული, განკანონებული და გაძევებული დაუყოვნებლივ, რათა იმ ერთი ვინმეს გამრყვნელი და მაკვდინებელი სენი არ გადაედოს სრულიად გვამსა საკრებულოსასა.

და უთხრა უკანასკნელი სიტყვა იოვანე ვარაზვაჩე-ყოფილმა ქართველთა სამწყსოს:

— სასურველნო და საყვარელნო შვილნო ჩემნო, უკეთუ ღვთის მცნებებით იღვაწებთ, საღმრთო წესითა და სჯულით იცხოვრებთ, წინამძღვართა თქვენთა უზაკველად დაემორჩი-

ლებით და ერთმანეთშიც მშვიდობით და ერთობით იქნებით, ღრმად მწამს ღმერთისა, არარაი სიკეთე არ მოგაკლდებათ. მაშ, იყოს თქვენს შორის სიყვარული ღმრთისა, მორჩილება მამასახლისისა, სიყვარული ერთმანეთისა, განუკეთელი ერთიანობა სათვისტომოისა თქვენისა.

თქვა და ერთხელ კიდევ დალოცა ყველა, დალოცა ძე თვისი ეფთვიმე და მიესვენა მის მკლავებს. მიესვენა და დაიძინა ძილითა მარადიულითა.

და დაკრძალა ეფთვიმემ მამა ხორციელი და მამა სულიერი ლუსკუმასა, რომელშიც ესვენა უფროსი ძმა აღსრულებულისა, იოვანე-თორნიკე სვინგელოზი.

და ათონის სათვისტომოთა და სავანეთა დამაარსებელი ძმების სამარტვილეზე ეფთვიმემ აღაშენა ეკლესია წმიდა მთავარანგელოზთა სახელობისა.

ვედრება მეცხრე

და იდგა ათონის მთაზე წმიდა ჟამი ეფთვიმე ათონელისა.

განათლებული, დაწმენდილი, დამწვისებული და დაჭიშებული სული ქართული.

დღე და ღამე განიადაგებით ენთო, იწვოდა, ანათებდა და იხარჯებოდა ღმრთისგან „რწმუნებული იგი ტალანტი“.

იოვანეს აღსრულებიდან თოთხმეტი წელიწადი წინამძღვრობდა ეფთვიმე ქართველთა სათვისტომოს, სამას სულ ქართველს (სამასივეში რომ „თვითონ წინამძღვარი“ ზის!).

ამას გარდა, ათანასე დიდის ანდერძით ეფთვიმე იმავე დროს იყო „სულიერი ეპიტროპი“ ბერძენთა სავანისა.

და ყოველნივე საურავნი, ქართველთა და ბერძენთა, მის მიერ იურვებოდეს.

და ყოველივე ამასთან, ეთავარი, რაისთვისაც მოწოდებული იყო ტალანტი მისი, ღვთისგან რწმუნებული — თარგმნა, წერა, განუწყვეტლივ და განუცადებლად, ღამისთევით, „რამეთუ უფროსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან“.

უმაღლეს გოდოლზე იყო სამყოფელი მისი და მთელი ღამენი სანთელი კრთოდა იმა გოდოლიდან.

ღამენათევზეც დილით ადგომას ვერავინ დაასწრებდა: ვერც ცისკრის ლოცვაზე მიასწრებდა ვინმე. პირველი შევი-

დოდა და პირველი დადგებოდა, ხელში უკვერთხოდ და კედელზე ხელმიუბჯენლად, და ვერც ვერავინ იკადრებდა კედელზე მიყუდებას ეკლესიაში წირვა-ლოცვისას, დაჩურჩულებასაც ვერავინ გაბედავდა. თუ რაიმე სათქმელი იყო, თვითონ გაიწვევდა უხმოდ, ოდენ ხელის შეხებით, და განცალკევებულს ეტყოდა სათქმელს, სხვისგან იდუმალ.

მოხუცებაში დაღრმავებულსაც არ უკადრებია სალოცავში არგანით შესვლა. ვერც ვერავინ შევიდოდა. ოღონდ დაუძლურებულ ძმათათვის დაეწესებინა ეკლესიის ერთ შტოზე კვერთხებით დგომა, ხოლო სრულიად უძლურთათვის ცალკე სკამებზე ჯდომის უფლება დაერთო მოძღვარს.

ცისკარზე დაგვიანებულს ან სულაც თავარიდებულს დაუსჯელს არ დატოვებდა. მათგან ახალგაზრდებს საკურთხევლის წინ ასჯერ მუხლს მოაყრევინებდა, უფრო ხანდაზმულთ უღვინობას და უსაჭმელობას განუწესებდა.

უაღრეს ყოვლისა ძმათა შორის შფოთსა და მტრობას ებრძოდა თავგამოდებით ეფთვიმე. უკეთუ ქართველები ერთმანეთს მიეტევებოდნენ წვერთა გლეჯით, ხელის შემოკვრით, ან ფეხის მიწოხვლით — მწარე იყო კიცხევა მისი, მწარეზე მწარე. რას სჩადიხართ, ქართველნო, რად უჭამთ ერთმანეთს გულსა და სულსა? შეხედეთ ბერძენთ, როგორ უდგანან მხარში ერთმანეთს; შეხედეთ ლათინთა, როგორ უალერსებენ სულსა ერთმანეთისასა (ეს ლათინნი, ჰრომიდან მოსულნი, იოვანეს შემოესახლებინა ათონზე თავის სიცოცხლეშივე — ჩვენცა უცხონი ვართ, თქვენცა უცხონი, მოდით დასახლდითო, მისძალებია უცხოს ქართველი, და დაუსახლებია და დაუსაძოვრებია კიდეც. მას მერე იყვნენ ლათინნი მთაწმიდაზე, იყვნენ და მრავლობდნენ...); ასე რად გემართებათ, ქართველნო, ყოველივე უცხო რომ მობაძვად აგიჩემებიათ, ხოლო საკუთარი სისხლისა და ნათესავის სიყვარული მათგანვე რად აღარ მოგიბაძავთ?

ეგზომ დიდნი, ეგზომ მცირენი რად ხართ ქართველნო?!

ჩვევად ჰქონდა შვიდეულის სამ დღეს — ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს — თავის სენაკსა იჯდა წერად და ლოცვად, სრულად მარხული და მზის ჩასვლისას მიიღებდა ოდენ ბურს და წყალს. დანარჩენ დღეებს კი საძმო ტრაპეზზე მიდიოდა. თვინიერ ჟამის წირვის, ანუ რომელიმე დიდი დღესასწაულისა, ღვინოს არ დალევდა. ოღონდ ძმათათვის ტრა-

პეზზე ჩამოდგმულ თასთაგან ღვინოს პირის დადებით გასინჯავდა და უკეთუ ღვინისა და წყლის ნაზავი მოეწონებოდა, არაფერს იტყოდა, თასს უხმოდ დადგამდა, მაგრამ თუ წყალი მეტი მოეჩვენებოდა, ან ძმრის გემო მოერთვებოდა, ტრაპეზის შემდგომ მევაჟინეს გაინაპირებდა და ჩუმად ეტყოდა:

— ძმაო, ამათ ძმათა საგემოვნოდ ტრაპეზის გარდა რა დარჩენიათ და შენ კიდევ ღვინოს რაღად გაურყვნი? უკეთუ ღვინო მსუბუქია, წყალს რაღად ურევ, ან ძმარს რად ჰკადრებ ძმათა შენთა?

არც კიდევ თვითონ თავისას მანამ არ მიიღებდა, სანამ საძმო კერძს არ გაუსინჯავდა გემოს. გაუსინჯავდა და უკეთუ ზეთი აკლდა, კელარს დაუძახებდა და დაამატებინებდა ზეთს, ანთუ კერძი უმგბარი იყო, ან უმარილო, ან ზედმეტ მარილიახი, ტრაპეზის ბოლოს მზარეულს დაიუბნებდა და ეტყოდა, ვითარმედ:

—სამსახურს შენსას ღვთის შიშით უნდა იქმოდე, ძმაო, და ნუ იტყვი, რომ ოდენ კაცთა ემსახურები, არამედ ისე მიიჩსიე, ვითარცა ღვთის ანგელოზებს ემსახურებოდე!

და ისხდნენ ტრაპეზსა ზედა „ღვთის ანგელოზნი“, ჭამდნენ და სვამდნენ უხმოდ, უბრად, ვინათგან ესეც წესად ჰქონდა მოძღვარს, — მათ შორის რომ ქრისტესავით ჩამჯდარიყო; იშვიათად ვინმე თუ სიტყვას ჩურჩულით წაიცთუნებდა, წყალს ან ევლოგიას როცა გადააწოდებდნენ ერთურთს. თუ რამ საჭირო გახდებოდა, თვითონ მოიხმობდა წამისყოფით მოძღვარი მოწაფეს, ჩუმად ეტყოდა და გაუშვებდა ეგრევე უხმოდ აღსასრულებლად.

მეტრაპეზესთვის საგანგებოდ დაეწესებინა წმიდა მამას:

— უკეთუ ვინმე იხილო ლაპარაკად, სიცილად, გინა ლაღობად ტრაპეზსა ზედა, უთხარი ჩუმად: მაგას ნუღარ იქმ, თუ არა, მამას გაუწესებია რომ გარეთ გაგიყვანო!

თუ სიტყვით, თუ კალმით, თუ საქმით დაუცხრომელი — „ყოველ საქმესა მეცნიერ იყო სამგზის სანატრელი მამაი ეფთვიმე“. იყო მშენებლებთან, გალატოზებთან და თვითონაც აშენებდა და გალატოზობდა; იყო მიწის მკერძველ-მთერძველებთან და თვითონაც ხნავდა და თესავდა; იყო მევენახეებთან და თვითონაც მეზვრეობდა; იყო მჭედლებთან და თვითონაც სჭედდა და ჰკვერავდა. ყოველი დიდი და მცირე მოსაქმეობის მცოდნე, მოსაქმე და უტყუარი განმსჯელი იყო.

სიცრუის, დასმენის, ნატყუარი ამბის დაუძინარი მტერი იყო. მოხსენებად არავინ მკადროს, უკეთუ მოსახსენებელი ზედმიწევნითი სინამდვილით არა იცოდნენო. მძიმე განკანონებას და საძმოდან გაძევებას ვერ გადურჩებოდა სიცრუისად ენის მრხეველი, ვერცა მაბეზღარი, ვერცა ცილისმაწამებელი.

ყოველ ძმაზე ყოველივეს თვითონ ზრუნავდა და იურვებდა ნეშსიდან ძაფამდე. არც-რა ყიდვა-გაყიდვა, არც-რა რეწვა-მორეწვა, არც-რა მოგება-წაგება მოძღვრის უნებურად და დაუკითხავად არ დაიშვებოდა. ხოლო, უკეთუ ამ მცნებას ვინმე გადაუხვევდა — ვინმე მისგან ნამალევად რაიმეს მოიპაკუთრებდა, ან რაიმე საფასეს, ან რაიმე სამოსელს იყიდდა— ამნაირ სულმოკლეს ფიცხლავ ამხელდა, განაკანონებდა, ხოლო მის მონაგებს საგანგებოდ დანთებულ კოცონზე დასწვავდა.

იყო ერთი მთავარდიაკონი, ღირსეული კაცი, წარჩინებული გვარისაგანი, რომელსაც მრავალი საფასე შეეწირა მონასტრისათვის, მაგრამ ერთი კვართიც თავის შესამოსლად დაედო ეკლესიას და მკაცრად აეკრძალა კიდევ ვისმეს ეხმარა კვართი იგი წირვა-ლოცვისას.

შეიტყო ეს მამა ეფთვიმემ, გაიხმო ცალკე მთავარდიაკონი იგი და ჰკითხა:

— მითხარ ჭეშმარიტი, რაი დაგიტევებიეს სოფელსა შინა?

— წმიდაო მამაო, კარგად მოეხსენება შენსა ღირსებასა, რამეთუ მშობელნი და ძმანი და საფასენი და მონაგებნი არამცირენდნი დამიტევებიან. და ამას გარდა, რაც კი შენს წმიდათა ხელთა მომიცია, თვითონვე უწყი, — მიუგო მთავარდიაკონმა მშვიდად და დინჯად.

— მერე, შვილო ჩემო, გნებავს რომ მაგოდენი მადლი და სასყიდელი ამ ერთი კვართისთვის წარიწყმიდო? — ჰკითხა ეფთვიმემ და მიუთითა იმ კვართისაკენ.

ამის მოსმენა და — „ნუ იყოფინ, მამაო!“ — იბღავლა მთავარდიაკონმა, მაშინვე უბრძანა მორჩილს ცეცხლის მოღება, ის კვართი ცეცხლზე დააგდო და თვითონ ეფთვიმეს მუხლებში ჩაუვარდა დ შენდობა სთხოვა.

და ასევე იწვოდა ყოველი შესამოსელი და სხვაი კერძო რამ სახმარი, რომელსაც პატრონი თავისი ძმისთვის არ გაიმეტებდა.

— აკი ბრძანებულ არს სულთა ჩვენთა დადება ძმათა ჩვენ-

თათვის, ხოლო შენ შენს ძმას განხრწნად რაიმე საქონელს არჩევ და ღვთის გმობისა არ გეშინია? — ეტყოდა შენდობის წინ ცოდვილს რისხვეული სიწყნარით წმიდა მოძღვარი.

თვეში ორჯერ ან სამჯერ, კვირაობით, სულის მარგებელ სწავლად შემოიყრიდა სრულიად სამწყსოს მწყემსი კეთილი. და სიტყვა მისი, და თხრობა მისი, და ქადაგება მისი — იყო, ვითარცა სიტყვანი და სწავლანი ქრისტესი მთასა თაბორისასა, ანდა მთასა ელეონისასა.

და ასწავლიდა მწყემსი იგი სამწყსოსა თვისას — სიყვარულისთვის და სიმდაბლისა, მორჩილებისთვის და კრძალულებისა, სიმშვიდისთვის და უშფოთველობისა, მოთმინებისთვის და მსახურებისა და მოსწრაფედ მოსვლისათვის ეკლესიად, და სხვა ყოველთა წესთა მხურვალედ აღსრულებისთვის. და იტყოდა ბოლოს:

— ესრეთ ვიხარკოთ, ძმანო ჩემნო, რათა შეკრება ჩვენი ამა წმიდასა ადგილსა არ იყოს ფუჩი, ამაო და არცა ამაოდ ყოფილიყოს განსვლა ჩვენი ამა სოფლიდან.

და ისევ მიმართავდა სულთა მკურნალი ხორცისაგან სულდაკნინებულთ, ვითარმედ:

— ჯერ იყო და, ტრაპეზის გარდა არარას ვეძიებდით, ვინათგან უწყით როგორი ვიწროობით განველეს თავიანთი ცხოვრება ყოველთა წმიდათა კაცთა, რომელთაც წყლით განძღომაც არ უკადრებიათ სულთა თვისთათვის. ხოლო ჩვენ, სავსენი ყოვლითა ცოდვითა, აღარც ტრაპეზს ვკმარისობთ, დღეში ორგზის, საკვებს ღვინით და საჭმლით. კმა არს ჭეშმარიტად, და ნამეტნავ!

და აკრძალული იყო ტრაპეზის გარდა შეძენა ღვინისა, ან თევზისა, მით უფრო სხვა სახსნილო საჭმლისა. შემოტანა შეიძლებოდა ოდენ სასინათლე ზეთისა და ისიც მხოლოდ მწერალთათვის და მკითხველთათვის. სხვას კი არც კანდელის უფლება ჰქონდა, არც ხატთა და ჯვართა ცალკე საკუთრად დასვენებისა. ხოლო, უკეთუ ვისმეს მოახელებდნენ ღვინისა და ზეთის მყიდველს, თვინიერ წმიდა მამის ნებართვისა, მაშინვე იმ ღვინოსაც და ზეთსაც წაართმევდნენ და ავლინში გადაუთხევდნენ.

თვინიერ უკიდურესი უძლურების მქონისა, ვერც ვერავინ ზედმეტ საჭმელს მოიმზადებდა. შედიოდა სამზარეულოში

წმიდა ეფთვიმე და უკეთუ ცეცხლის განაკიდეს მდგარ რაიმე კოჭობს იხილავდა, მზარეულს ჰკითხავდა, ვისი რა იხარჯებაო; უკეთუ უძლური ვისმესი აღმოჩნდებოდა, თავს დაანებებდა, ხოლო თუ ნატრაპეზევისა და ნაყროვანისა, უბრძანებდა და იმ „დამატებით შეჭამადს“ ან გარეთ გადააქცევინებდა, ან საერო მუშაკთა ქვაბში ჩაასხმევინებდა.

და უდგნენ გვერდში წმიდა ეფთვიმეს წმიდა კაცნი, მწერალნი, გადამწერნი, ეკონომოსნი, ღვთისმეტყველნი, რჩევისმეტყველნი, მამასახლისნი: ილარიონ კანანახი, აღდგომისა დიაკოხი, გაბრიელ ხუცესი, მამა გიორგი, იოანე გრძელისძე, არსენი ნინოწმიდელი, ათანასე პერითურელი, იოანე ბერი მართომყოფი და თეოფანე ხუცესი.

იჯდა — წერდა ეფთვიმე, ან ეკლესიათა თხუთმეტ მამასახლისს ეთათბირებოდა, იდგა — უქმად დგომა წუთითაც ვერ წარმოედგინა. წერისაგან დროს დაიცემდა და სამეურნეო საქმეებს პირადად გაუხდებოდა: „გინა თუ ნავის გამოზიდვას, გინა თუ ნავი მოვიდის ხვარბლითა, გინა თუ ვენახთა ასარვასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინა თუ სთვლობასა. რამეთუ ახალნერგ იყვნეს წუთლა ვენახნი, ყოველთა სარითა განგებაი უნდა, და უფროისნი დღენი ვენახთა შრომასა შინა დაყვნიან. და ყოველადვე მამაი ეფთვიმე მათთანვე იყვის, თვინიერ დიდისა მიზეზისა“.

ვედრება მეათე

მაგრამ კაცთა ცხოვრების ფრიად მოშურნე იყო ბელიარ ეშმაკი;

(ისეთი მოშურნე, ქართველს რომ ქართველისა მოეშურვება).

ეფთვიმე რომ საღმრთო წიგნებს თარგმნიდა და წერდა, ამას ვეღარ შერიგებოდა ბელიარ ეშმაკი, ამისთვის იჭმებოდა ტანში, ამისთვის „ელმოდა და განილეოდა შურითა“.

„და უნდა მოისრას დაუნდობლად და დაუყოვნებლივ მონა ღვთისა ეფთვიმე ქართველი!“ — ჩაითქვა გულში ბელიარმა და იქვე დასძინა სიტყვითა დაუბადებელითა:

„უნდა მოისრას ისევ ქართველის ხელით!“

„სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველიო, — უყვართ ქართველებს ეს სიმღერა.“

„მე კი ვიტყვი: ქართველითა ქართველისა დამთრგუნველი!“

და შეეზრახა ბელიარ ეშმაკი ქართველსა ერთსა ვისმესა, სულით საწყალობელსა, სახითა მონაზონსა:

„წადი, მოჰკალი მბრძოლი ჩემი ეფთვიმე, და ფრიადითა სიკეთითა აგავსებ შენ!“ — უთხრა, მისცა ხელთ მახვილი და გაუშვა.

ღამე იყო შავი, ბერბეცი, ვითარცა გული მოშურნე ქართველისა ქართველთა მიმართ.

წმიდა ეფთვიმე თავის გოდოლში ახალი ასული იყო.

მოწაფე ერთი აჰყოლოდა, უკანვე გამობრუნებულიყო, კარიც გამოეხშო და უკვე კიბეზეც ეშვებოდა, როცა ქვემოდან ამობაყალი ის მონაზონიც შემოეყარა.

რომელი ხარ და სად მიდიხარო, ამის კითხვა უნდოდა მოწაფეს, მაგრამ მონაზონმა დაასწრო და ჩურჩულით უთხრა — წმიდა მამასთან მივდივარ და ნება მომეც შევიდეო.

ასეთ უკომო ჟამს წმიდა მამასთან შესვლა არ ეგებისო, ჩურჩულითვე თუმცა გადაჭრით უთხრა მოწაფემ. მაგრამ სათქმელი ძლივს მოითავა, რომ მოსულმა ბურნუსის შიგნითგან უეცრად მახვილი იწვადა და სრულის ძალით შემოჰკრა შიგ ყურიმალში.

დაჭრილი ძნიმედ დაირეცა. მკვლელი დაიბნა და, ზეალსვლის ნაცვლად, ანგარიშმიუცემლად ქვემოთ დაეშვა.

კიბის ბოლოს კიდევ ერთი მოწაფე შემოეფეთა, მახვილი იმასაც შეუჰკრა და უკვე ავლინშიც გააღწია, მაგრამ სწორედ ამ დროს ზემოდან სიტყვა ჩამოერისხა:

— დადექ!

გარნა — სიტყვა იყო, თუ მესის წიწილა?!

მკვლელი წამსვე გაქვავდა.

კიბეზე მამა ეფთვიმე ჩამოდიოდა სანთლით ხელში.

რეცა წუვდიადში მოცურავდა თვითონ ნათელმოსილი მაცხოვარი.

ავლინი ერთბაშად გაივსო ანთებული კერეონებით.

მკვლელს შემოეხვივნენ.

— მომეშველეთ! — გაისმა ისევ ხმა მოძღვრისა.

ყველანი კიბეს მიეხვივნენ.

დაჭრილები ტაძრად მიასვენეს.

სასწრაფოდ სქემით შემოსა და წმიდა საიდუმლოთ აზიო-

რა ისინი ეფთვიმემ. „და ჵსრეთ გვირგვინითა წამებისათა შემკულნი მიიცვალნენ წინაშე ღმრთისა“,

დაკრძალეს.

და მკვლელს მიუბრუნდნენ.

ვერ გაუძლო ეფთვიმეს თვალებს მკვლელმა და უთხრა უნიათო ხმით:

— მე შენი მოკვლა დამავალეს, წმიდა მამაო.

— ვიცი, საცოდავო! — უსაზღვრო სიბრალულით აღმოხდა ეფთვიმეს.

— ვინ? — იღრიალა რომელიღაცამ და მკვლელზე მიიწია გააფთრებით.

— არ გაბედო! — რისხვეულად მოკვეთა მოძღვარმა.

— რაისთვის? — ახლა ეფთვიმეს მიმართა დატუქსულმა ადამიანმა.

— ერთი ქართველი მკვლელის მბილებაც გვეყოფა ჩვენ,— თქვა და ისევ მკვლელს მიუბრუნდა:

— შენ კი, უბედურო ადამის ძეო, მე არ გაზღვევინებ, ვეღარც ისინი გაზღვევინებენ (ახალი საფლავებისკენ ხელი გაიშვირა) და შენმა საკუთარმა სულმა გაზღვევინოს, უკეთუ იგი სრულად არ დაგეშრიტა!

სამარისებური დუმილი ჩამოწვა, გახანიერდა.

ჭოტის ხმა გაისმა.

ქამი ითვლიდა ჭოტის კივილს.

ასერგასი გადათვალა.

და მკვლელი მკვდარი დაეცა.

— სული სრულად არ დაშრეტია, — თქვა მამა ეფთვიმემ. ?!

— სულის შეგუბებით მოიკლა თავი...

...გამოხდა კიდევ მცირე ქამი და მაინც არ დაიშალა თავისი ბელიარ ეშმაკმა.

ახლა მან მონასტრის მებოსტნე მოიარშიყა და იმას აზრახა მოკვლა წმიდანისა.

და ერთ დღეს, საღამო ხანს, როცა მამა ეფთვიმე ვენახიდან დამაშვრალი და დაფიქრებული მოაბიჯებდა, ჰაერის წამიერი რხევა იგრძნო ზურგიდან, გაფიქრებაზე უმალესად შემოტრიალდა და... ახლა მებოსტნემ იგრძნო, როგორ გაუჩ-

ხიბა და გაუქვავა კეტ-შემართული ხელი წმინდანის თვალმა, ღვთაებრივი გრძნებით აელვებულმა.

— შემინდვე, ღვთაებრივო! — იბღაელა ხელშემხმარმა.

— შემინდვია, შე უბედურო! — და გადასწერა ჯვარი ეფთვიმემ.

წამსვე კეტი დაუვარდა ისევ სიცოცხლეჩამდგარ მარჯვენს ცოდვილისას.

— ახლა კი მომკალ, ღვთაებრივო! — ისევ იზმუვლა მებოსტნემ.

— ჩუმად იყავ და ჩუმადვე წადი, რათა არვინ შეიტყოს რაიც გადაგხდა სულდაკნინებულს!

ბრძანა, გამობრუნდა და წამოვიდა ღმერთშემოსილი.

ტანში ამაოდ იქმებოდა ბელიარ ეშმაკი.

ვედრება მეთერთმეტე

სახით მყუდრო და წყნარი იყო მამა ეფთვიმე:

გულით — წრფელი.

გონებით — განათლებული.

გვამით — მძლავრი.

ეკლესიასა დგომასა — მხნე, რამეთუ (ვითარცა ითქვა) იდგა იგი ყოველთვის თვინიერ კვერთხისა, ვითარცა სვეტი შეურყეველი.

თვალები — მუდამ მაღლივ მხედველნი.

თვინიერ ღმერთისა, არავინ უწყის ყოველივე, რასაც იგი აღასრულებდა სენაკს მდგომარე; არავინ უწყის, ვინათგან ყოველივეს იგი აღასრულებდა ფარულად და მხოლოდ საკუთარ სულთან განბჭობით.

სამოსელი მისი — ძაძაი შავი, ხოლო ძაძასა ზედა — ჯაჭვი მძიმე, სხვათათვის აღუზიდავი.

სიწმიდე მისი სხეულისა — უბიწოება ქალწულობისა, ვითარცა ცათა შინა ანგელოზისა.

მარად საშური მისი სულისა — თარგმანება „ტკბილისა მის თაფლისა — წიგნთა საღმრთოითა“, და მათი მეოხებით ცოდნათა და სათნოებათა დანერგვა ქართველთა შორის.

თოთხმეტი წელიწადი იწინამძღვრა მამა ეფთვიმემ ათონის წმიდა სავანეებზე. მასუკან მიადგნენ წმიდა ბერნი — არსენი

ნინოწმინდელი და იოვანე გრძელისძე — და ურჩიეს გადამდგარიყო წინამძღვრობიდან. ურჩიეს, რადგან ხედავდნენ ისინიც და სხვანიც ყოველნი, უამრავი სამეურნეო საზრუნავი მას ძალიან უშლიდა ხელს სამწერლობო საქმიანობაში.

და გადაულოცა ეფთვიმემ წინამძღვრობა ათონის სავანებისა გიორგი ხუცესს — იმ გიორგის, რომლის აღზევებასაც იოვანე თვითონ უბარებდა ანდერძად თავის ძეს.

თვითონ კი, ეფთვიმე დაჯდა ისევ თაეის სენაკში და უმეტესი გაცხოველებით განაგრძო წერა და თარგმანება ყოველთა წიგნთა საღმრთოთა და საეროთა.

წინამძღვრობიდან ეფთვიმეს გადადგომა სასიკეთო აღმოჩნდა ქართული საწიგნობელის გაზრდისა და განვრცობისათვის, მაგრამ ფრიად საზიანო თვითონ სატაძრო და სათვისტომო ცხოვრებისათვის.

ერთბაშად მოიშალა წმიდა მთაზე იოვანესა და ეფთვიმეს კეთილგანგებულება. ქართველებმაც და ბერძნებმაც, ეფთვიმეს მტკიცე ხელთაგან თავდახსნილებმა, ათონის მთაზე ისევე აიწყვიტეს, ვითარცა სინას მთასთან მოსესგან დროებით თვალმიფარებულმა ჰაბირუელებმა.

და „იწყეს თავხედობად და ამბოხებად და წინამძღვართა ზედაისზედა ცვალებად. და უმეტეს და უმეტეს აღორძინდებოდა ამბოხებაი მათი“.

ყოველივე აცნობეს მაშინდელ კეისარს, კონსტანტინე მერვეს.

ვითარცა ზემორეთ ითქვა, კონსტანტინე კეისარს ქართველები მაინცა და მაინც გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ ეფთვიმე ათონელისადმი კი „დიდი სარწმუნოებაი და სიყუარული“ ჰქონდა. მარტო ამ ერთი ქართველისთვის შესაძლებელ არს შეყვარება სრულიად ქართველობისაო, ამბობდა იგი.

და მიიწვია კონსტანტინე კეისარმა კონსტანტინოპოლს ეფთვიმე ათონელი.

აემზადა წასასვლელად ეფთვიმე. „შეკრიბნა ძმანი ყოველნი და ნუგეშინი სცა და ტაბლაი კეთილი განუმზადა და ლოცვასა დაეგედრა“. ტაბლას რომ მორჩა და მეტაბლენი გაისტუმრა, იგი წაიდა თეოფანე ხუცესთან.

ძალიან უყვარდა მას თეოფანე ხუცესი, ვინათგან თეოფანე სიყრმითგან აქა აღზრდილ იყო და ყოვლითა სათნოებითა

განშვენებული იყო. და იყო იგი მღვდელი სათნოი უფლისაი და სწავლული ფრიად და ხელოვნებით მწერალი წიგნთა". ამისათვის უყვარდა ეს სათნო ბერი ეფთვიმეს და, იოანე გრძელისძისა და არსენი ნინოწმიდელის აღსრულებათა შემდგომ, თეოფანეს ეთათბირებოდა ყოველ დიდ საქმეზე ეფთვიმე.

და ახლაც შეხვდა, კონსტანტინოპოლს გამგზავრების წინ.

და იყვნენ ერთად, ჯერ სიტყვითა ოდენ შინაგანმდებარითა, უხმოითა, ანუ მდუმარე სულის მიმოქცევითა.

ხოლო, დამშვიდობების დრო რომ დადგა, მოეხვია თეოფანე ეფთვიმეს, ცრემლი აღუტეხა და უთხრა:

— ვაიმე უბადრუკსა, რამეთუ აღარაოდეს გიხილო შენ ხორციელად, ჰოი წმიდაო მამაო!

— ჰეშმარიტ არს! — კვერი დაუკრა ეფთვიმემ და წამოვიდა.

ის კი არცერთს აღარ უთქვამს, უადრეს რომლის ხორციელი აღსასრული იგულისხმებოდა იმათ ნათქვამში...

...და მივიდა ღმერთშემოსილი ეფთვიმე ქართველი კონსტანტინოპოლს. როგორც კი ეს შეიტყო, დიდად გაიხარა კონსტანტინე კეისარმა. მაშინვე მიიწვია და შეხვდა საღვთო კონსისტორიონს, „დიდითა პატივითა მოიკითხა იგი და გამოჰკითხა საქმე ლავრისაი".

ლავრა ბერძნული და ლავრა ქართული ერთნაირად ქრისტესმიერ ძმათა საკრებულოაო, დაიწყო ეფთვიმემ.

მაგრამ ძმებში ყოველთვის რომელიმე უფროსია და რომელიმე უმცროსიო, სიტყვა წაართვა კეისარმა.

ძმობაში უფროს-უმცროსობის ხშირი გახსენება იმას ნიშნავს, რომ ძმობას რაღაც გასჭირვებიაო, — მაშინვე უკუიჭირა სიტყვა ქართველმა.

ქართველები მაინც ბირველობას ხართ დახარბებული, თქვენსაში ვერ ეტევით და სხვისაში მიძვრებითო, — ვითომ სიცილით მოიქცია სახე კონსტანტინემ.

უხერხულად შეიშმუშნა ეფთვიმე. მის ძმაზე, ბასილი კეისარზე ნაკლები უხამსი არც კონსტანტინე ყოფილაო, ან რად უნდა ყოფილიყო ნაკლები, როცა ორივე კეისარი ერთი მიკიტნის ნაშიერიაო. მაგრამ ბასილის უხამსი სიტყვა თითქოს კიდევაც უხდებოდა, ამას კი...

და ისევ ფიქრი გაუწყვიტა კონსტანტინემ:

ჰო და, ასე ხართ ქართველებიო, თქვენზე მაღლა ღმერთებს გარდა აღარავინ გეგულებათო, ხოლო ყველა სხვა ნასხურად მიგიჩნევიათო.

ნასხურადო?!

იტკიცა ეფთვიმემ. მაგრამ წყენა უმალვე დაითრგუნა და უთხრა კეისარს: ქართველი კაცი არაქართველს, უფრო ბერძენს, ნასხურობას როგორ აკადრებსო.

ერთხანს დაიდუმა სიტყვა კეისარმა. მერე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ უეცრად სიტყვას, თითქოს ყელიდან ნერწყვმა ამოასწრო, თუ ნერწყვი იგი სასულეში გადაენთხია — უეცრად ჩაბჟირდა და სახეზე სულ გასივდა და გალურჯდა. დიდხანს იწვალა და აგერ როდის ძლივს მოიბრუნა სული. მაგრამ ისე გასავათდა, რომ მიხრწნილ კეისარს აღარც ლაპარაკი შეეძლო და აღარც ტახტზე ჯდომა.

აღარც საუბარი გაგრძელებულა და აღარც შეხვედრა განმეორებულა...

იოანე ღვთისმეტყველის დღესასწაული ჩამომდგარიყო. ეფთვიმემ ეს დღეც გარდაიხადა, მრავალი გლახაკი და უპოვარი განაძღო. თანამსლებ მონაზვნებს და მოწაფეებს ევლოგია ჩამოურიგა და ერთი მათგანი იოანე მახარებლის ხატის მოსაკითხად გაგზავნა. ეს ხატი კონსტანტინოპოლს ჩამოსელისთანავე მიებარებინა მხატვრისათვის, ასაღორძინებლად და მოსაკაზმავად.

მოწაფე რომ წარგზავნა, მერე იფიქრა მაინც ისა სჯობს ჩემის თვალით ვიხილო ჯვარიც და მხატვარიცო და მორჩილს უბრძანა, ჯორი გამიმზადე, შვილო, სამგზაუროდო.

ჯორი იგი ახალი ნასყიდი ყოფილიყო და მისი ზნისა თუ უზნეობისა არავის სცოდნოდა რამე. როცა შეკაზმეს და წმიდა მამა ზედ შესვეს, მაშინვე გაფიცხდა და გაოჩნდა ჯორი. მაგრამ ეს არავინ ჩააგდო რამედ, რადგან მხედარმა მაშინ იოლად დაიურვა და დასძრა პირუტყვი. მოწაფეებიც ამხედრდნენ და გაჰყვნენ მოძღვარს.

ერთხანს მშვიდად ვიდოდნენ.

წმიდა ეფთვიმე რაღაც მძიმე ფიქრებში ჩაძირულიყო და მოშლილად იჯდა უნაგირზე.

ხანდახან, გზაზე, აქა-იქ ჩასაფრებულ მათხოვართა შეძახილი თუ გამოაფხიზლებდა — მოიღეთ მოწყალებაო — და ისიც

წამიერად ფიქრთაგან გაყრილი წყალობას გასცემდა და ისევ ფიქრთა საუფლოში იძირებოდა.

გზამ მოუხვია.

მოსახვევში შაოსანი მათხოვარი ჩამჯდარიყო.

ღვთის გულისათვის, მოიღეთ მოწყალებაო, და წამოიწია მათხოვარმა.

ხელი მოიმართა ეფთვიმემ მორიგი წყალობის მოსაძიებლად, და მათხოვარიც გამოექანა, შავი ძონძებით აკინძული.

და აიწყვიტა ჯორმა, მოვარდნილი შავი სხეულისგან დამფრთხალმა და გაგიჟებულმა. წამით ყალყზე შედგა, წამსვე დაბტა და განზე გავარდა.

მხედარი მოწყდა და გადმოეშვა.

მონაზონნი და მოწაფენი დაქვეითებულიყვნენ და საშველად მოილტვოდნენ.

გავეშებულ ადამიანთა წრეში მოქცეულმა პირუტყვმა გასაქცევი გზა ვეღარ იპოვა და წრეშივე მიმოქცევით და ფერხთა გახლეჩილი ცემით რამდენჯერმე დაწიხლა ძირს დაცემული ადამიანი.

ეფთვიმე უკვე მკვდარი იყო.

საფეთქელდაწიხლული...

წუხელი იყო საყოველთაო.

სიკვდილი კი, უფრო ზრდის ცოცხალყოფილს.

ხოლო, ეფთვიმე ქართველი, სიცოცხლეში დიდი, სიკვდილის შემდგომ გამხდარიყო უდიადესი.

აუარებელი ხალხი მივიდა იოანე მახარებლის ეკლესიას, სადაც ესვენა ეფთვიმეს ცხედარი.

კეისარი კონსტანტინე მერვე ფრიად შეეწუხებინა წმიდა ეფთვიმეს დაღუპვას.

(„სახელმწიფო წესიც" მოითხოვდა, უნდა შეწუხებულიყო!).

და, ვინათგან თვითონ ავადმყოფობის გამო ლოგინად იყო, მოსამძიმრეთა გუნდი გამოეგზავნა კეისარს, უმაღლესი პრიმიკიოსის წინამძღოლობით.

გამოსათხოვარი პანაშვიდი თვითონ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ევსტათიოსმა გადაუხადა წმიდა ეფთვიმეს.

და წაასვენეს ათონის მთაზე წმინდანი იგი.

და დაკრძალეს „სამარხოსა ლუსკუმასა, ტაძარსა შინა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა“.

დაიტირეს და დაკრძალეს.

სხეული დაკრძალეს.

სული კი, თვითონ ეფთვიმე, წასულიყო ცაზედეთსა, ანუ სივრცესა უსივრცოსა.

— თრეხოს, დატირება, დიდებული რამ სანახაობაა ქართველთა შორის! — ერთხელ კიდევ თქვეს ბერძნებმა იმ დღეს.

— დიდებულნი არიან და ყოველივე იციან დიდებულნი, მაგრამ თრენოს, დატირება, დამარხვა — უდიადესი!..

ვედრება მეთორმეტე

ეფთვიმეს შემცვლელი წინამძღვარი ივერონისა, გიორგი, იყო „კაცი სახელოვანი“, „დიდად წარჩინებული, დიდად საკუთარი და პატივცემული რომანოს მეფისაგან“ (სწორედ იმ ჟამს მიიცვალა კონსტანტინე მერვე და კეისრის ტახტი დაიჭირა რომანოს არგიროსმა).

ივერონის ახალმა წინამძღვარმა ჯერ კიდევ ეფთვიმეს სიცოცხლეშივე ბევრი რამ მანამდე არსებული, იოვანე-ეფთვიმეს დროინდელი, საწინამძღვრო წესთაგანნი შეცვალა, ან გადააკეთა.

ეფთვიმეს ძალიანაც აწუხებდა მისი მემკვიდრის ეგზომი „ახირებულობა“, მაგრამ „ვინაითგან მშვიდობის მოყვარე იყო და სავსე სიყვარულითა“, არას ამბობდა და თითქოს საამქვეყნიო დავიდარაბისთვისაც აღარ სცალოდა, რადგან „განკრძალულ იყო და წიგნთა საღმრთოთა თარგმანსა შექცეულ“.

ხოლო, როცა ეფთვიმე ამ მიწიერი საცხოვრისიდან სრულიად განეცლტო და მიეფარა, გიორგი წინამძღვარი კიდევ უფრო „თავისნება“ და „თვითბუნება“ შეიქნა.

მას ჟამსა ბერძნებიც ქართველებზე მეტად გამძლავრდნენ ათონის მთაზე.

და ამის მიზეზი იყო გიორგი ივერონის წინამძღვარიც, რომელმაც „ბერძენნი ფრიად რაიმე შეიყვარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რაიმე და უხდონი, უგულებელს ყვნა და შეამცირნა“.

მაშ, იერონის ახალმა წინამძღვარმა ათონზე ქართველები შეამცირა და, ვინც დარჩა, იმათზეც ბერძნები გააბატონა. თანაც ისე გააბატონა, რომ ქართველები ბერძნების ნასხურხი — სახოცი ჩვრები, და არაკეთილსაიმედონი შექნილან!

მერედა, ვისი ბრალი იყო ეს?

არავისი, თვინიერ ქართველებისა.

მოგვდგამს ჩვენ ასე ქართველებს: უცებ რაღაც რყევა შეგვიდგება, ადგილზე დგომის ღერძი მოგვეშლება და ქვეყნად აღმა-დაღმა მიმოქცევა და მიმო-დაქცევა მოგვინდება. ხოლო, ამით ენებას ვაყენებთ საკუთარ თავსაც და სალოცავ ტაძარსავანესაც.

(ასე მოსდგამდა ქართველობას — მაგარი თავი და ფოლხვე დუნდულნი).

ხოლო, გიორგის რა უნდა ექნა?

იგი იყო „ფრთხილი და მძიმე კაცი“, მოხათრება და მოფერება მაინცა და მაინც არ ეხერხებოდა. და როცა დაინახა, რომ იერონს, ამოდენა სავანეს მოწესედ და მოსამსახურედ ბევრი ხალხი სჭირდებოდა, ხოლო ქართველები ადგილზე აღარ კავდებოდნენ, ადგა და უფრო მდგრადი და ძლიერ დუნდულებიანი ბერძნები გაამრავლა ქართულ ლავრაში.

მარტო ის კი არა, რაც აშენებული ჩაიბარა, არამედ ახალ ეკლესიებსაც აშენებდა გიორგი, მაგრამ რაკი ქართველები აღარ ყოფნიდა, ბერძენ მოწესეებს ღებულობდა და „განამრავლებდა“.

მაგრამ, „ვინაითგან ჭეშმარიტისა ჯერ არს თქმაი“, უკეთუ ვინმე ქართველთაგანი მოვიდოდა და ათონელთა საძმო საკრებულოში დარჩენას მოისურვებდა, გიორგი წინამძღვარი მას ეგებებოდა ხელგაშლით, სიხარულით, სიყვარულით და ქართველს იგი „ყოველითავე ფერითა აღაშენის“.

ხოლო, თუ ქართველს საძმო საკრებულოში ყოფნა არ უნდოდა და ცალკე სოხასტერში დაყუდება მოესურვებოდა, გიორგის ბრძანებით, არც დაყუდებულს დააკლდებოდა სადაყუდებულო პური და წყალი. სწორედ ასეთ მოსაბაძავ პატივში ჰყავდა „თვითბუნება მამასახლისს“ დაყუდებულნი — შავი გრიგოლ, ზაქარია მირდატის ძე და არსენი.

მცირე ჟამი კიდევ გამოხდა.

კონსტანტინოპოლს შეთქმულება გაიხსნა: რომანოს არგი-

როსი უნდა დაემხოთ და მის ნაცვლად კეისრის ტახტზე დიოგენე დაეყვანათ.

დიოგენეს მომხრეთა შორის ამხილეს ათონის ქართველთა ლავრის წინამძღვარიც.

და შეიპყრეს გიორგი და გადაასახლეს კუნძულ მინოვატს. იქვე აღესრულა.

ქართველებმა გადმოასვენეს ათონზე, დაასვენეს საგანგებოდ აგებულ მარმარილოს ლუსკუმაში და უწოდეს „დიდი“ და „მაშენებელი“.

ათონის ქართული სავანისა და სათვისტომოს წინამძღვარი შეიქნა გრიგოლი, რომელსაც ქართველებმა უწოდეს „ნავთსაყუდელი და ნუგეშინისმცემელი ქართველთა ნათესავისა.“

და იყო კიდევაც ქართველობის გადასარჩენად და ასამაღლებლად თავგანწირული და დაუცხრომელი მამა გრიგოლი.

სწორედ გრიგოლის დროს ბერძნებმა აშკარა ბრძოლა აუტეხეს ქართველებს ათონის სავანეების ხელში ჩასაგდებად და ყოველი დიდი და მცირე სალოცავებიდან ქართული ჯიშის აღმოსაფხვრელად.

უკვე მცირენი იყვნენ ქართველნი — უფრო მცირენი, ვიდრე მარადიული სიმცირე მათი.

და ვეღარ გაუძლეს ათჯერ უმეტეს ბერძენთა შემოტევას და დაჰკარგეს ქართველებმა სალოცავნი ნათლისმცემლისა, ლეონდარისა, მელინძისა, სტილახისა, დომროვიისა და ერისოსი.

სამჯერ ჩაიგდეს ხელში ქართველთა თავადი ლავრა ბერძნებმა და გაიტაცეს ყოველივე, „რაიცა დრისტი ტურფაი იყო მამათა ჩვენთა მოგებული, ყოველი იავარიქმნა და ეგრეთვე განძი და კუმაში“.

ენა ვერ იტყოდა ყოველივეს, რასაც ბერძენნი იქმოდნენ ქართველთა მიმართ. იყო ცემა, გვემა, ქურდობა, წაგლეჯა, მოტაცება, მზაკვრობა, ცილდაწამება და გახელებით მიელტოდნენ ბერძენნი, რათა ქართველ აღმშენებელთა სახელებიც წარეხოცათ მთაწმიდის ქართულ სავანეთაგან.

ღამით, ქურდულად ფხეკდნენ ქართულ წარწერებს და ბერძნულად აწერდნენ, იპარავდნენ და ამსხვრევდნენ ქართულ წარწერიან ქვებს და მათ ადგილზე ბერძნულენოვანს ასადაგებდნენ.

და ყოველივე ამას დღეს სჩადიოდნენ ისინი, გუშინ რომ თხოვნით, ქენებით, ლამუნით მოხოხაედნენ, შევრდომებას და შემოხიზვნას იხვეწებოდნენ და ქართველებიც რომ გულქართლად ღებულობდნენ — მშიერს აპურებდნენ, მწყურვალს არწყულებდნენ, მცივანს ათბუნებდნენ და უბინაოს აბინავებდნენ.

და გულქართლობა ისევ გულსატკივრად ქცეოდათ ქართველებს.

ვერ იქნა და ვერ დაისწავლა ქართველმა ამოცნობა თეთრკბილიანი შემოხიზნულის შავი გულისა.

და იბრძოდნენ ქართველნი, მხნედ და თავგანწირვით, მაგრამ იყვნენ ნაგვიანევნი და უფრო მცირენი, ვიდრე მარადიული სიმცირე ქართველებისა.

დღეღამ-სწორებით იბრძოდა მამა გრიგოლი:

იბრძოდა ლოცვით,

იბრძოდა წყევლით,

იბრძოდა ლოგოსით,

იბრძოდა ბოლმით,

იბრძოდა მკლავით.

იბრძოდა მისი თანაშემწე — ნეტარი არსენი, რომელიც მრავალჯერ „იგვემაცა და მრავალი შრომაი დაითმინა და საპყრობილედ შეწყუდევაი და კიცხევაი და ბასრობაი".

იბრძოდნენ სხვანი — მამანი, ძმანნი, ყოველნი, დიდნი და მცირენი.

რამდენჯერ — ზღვითა თუ ხმელით, ხამთარს თუ ზაფხულს, ყინვას თუ სიცხეს, უსაგზლონი და უხამურნი — მიმოდიოდნენ საქართველოს და ბიზანტიის მაერთებელ გზებზე, რათა აღეძრათ ქუთათისის სამეფო კარი კონსტანტინოპოლის საიმპერიო ტახტის წინაშე, — ხელყოფისა და იავარქმნისგან დაცულიყო ათონის მთის ქართული სავანენი და სათვისტომონი.

ვედრება მეცამეტე

ხოლო, კეისარ რომანოს მესამეს ქართველთა მონასტრებისთვის არ სცხელოდა იმჟამად.

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ბასილისა ზოიამ ბასი-

ლევს რომანოსს ტახტის მეშკვიდრე ვერ აჩუქა. ახგარიშში არცერთმა არ ჩააგდო, რომ საქორწინო შეყრისას ქალი ორმოცდაათ წელიწადს იყო გადამცდარი, კაცი — სამოცს.

და კაცმა ქალზე გული აიყარა.

და ქალმაც საყვარლები გაიჩინა.

კურო პირველი: კონსტანტინე, საიმპერატორო სასახლის პრეპოზიტოსი.

კურო მეორე: კონსტანტინე მონომახოსი, თვითონ კეისარ რომანოს არგიროსის შორი ნათესავი.

კურო მესამე: მიქაელ პაფლაგონელი, სასახლის უმაღლესი ხაზინადარისა და ყველრულის, იოანეს უმცროსი ძმა.

ბოლოს და ბოლოს მიქაელი ყველას ამჯობინა ზოიამ, რადგან ეს ახალგაზრდა ლამაზი კაცი, ძალიან, ძალიან მაგარი აღმოჩნდა, ვითარცა კაცი.

ადრე ზოიას უსაზღვროდ სძულდა იოანე ყველრული, რადგან იგი მის ქმარს, რომანოს კეისარს უყვარდა ძალიან. მაგრამ ახლა, როცა იოანემ თავისი ძმა სასახლის კარზე გამოაჩინა, ბასილისა ზოიამაც იხილა, იხილა და შეიშალა — იოანე ყველრული კიდევ უფრო ამაღლდა და განმტკიცდა სასახლეში, ორივე მხრიდან — ბასილევსისგანაც და ბასილისასგანაც მოფერებული და გათამამებული.

მიქაელი შვილად შეეფერებოდა ზოიას. მაგრამ გაცილებით სჯობია სატრფო შვილად შემეფერებოდეს, ვიდრე მამადო, — ფიქრობდა ქალი საშოგახელებული.

ერთხელ ვიღაცამ, იმპერატორის კარზე გაშინაურებულმა კაცმა ამნაირ სურათს შეუსწრო საღვთო Ლატახტოში: ზოიას იმპერატორის ტანსაცმელში მოერთო მიქაელი, მხრებზე წითელი, ოქრომკედით ნაქარგი წამოსასხამი წამოესხა, თავზე თვალმარგალიტით მოჭედილი გვირგვინი დაედგა და მსოფლიოში უძვირფასეს ტახტზე დაესკუპებინა. თან ეხვეოდა, ეგლასუნებოდა, ეწმასნებოდა და ეუბნებოდა ქალი ნეტარებით გამოლენჩებულ კუროს: „ჩემო ღვთაებავ, ჩემო კერპო, მშვენიერო ჩემო ყვავილო, ჩემო თვალისჩინო, ჩემო სულის სამოთხევ!" და ახლა ეს კაცი რომ შემობლატუნდა მოულოდნელად, ეტაკა ზოია განცვიფრებით ენაჩავარდნილსა და გამოშტერებულს, ეტაკა და უყვირა: ახლავე დაიჩოქე და ეთაყვანე იმპე-

რატორსო, პირი ნუ დაგიღია, დღეს თუ არა ხვალ მაინც იმპერატორი იქნებაო...

ის კაციც ეთაყვანა „ხვალინდელ იმპერატორს" და გარეთაც ცოცხალმა გააღწია, მაგრამ არავინ იცის ვინმეს გაანდო თუ არა თავის თვალით ნანახი. ან რა საჭირო იყო კიდევ ერთი მოწმე, როცა თვითონ იმპერატორმა დიდი ხანია ყველაფერი კარგად იცოდა.

ერთხელ მაინც გამოიძახა რომანოს კეისარმა მიქაელ პაფლაგონელი და ჰკითხა: რას იტყვი, მართალია თუ არა, რასაც შენზე და ჩემს ცოლზე ამბობენო?

რას ამბობენო, ესეც არ უკითხავს მიქაელს, არამედ კითხვას პირდაპირ უპასუხა — არა, არ არის მართალიო.

ჰოდა, რაკი ამ ბიჭმა თქვა, მართალი არ არისო, არც ყოფილა მართალიო — თქვა და გაიცინა კეისარმა.

სხვათა შორის, მიქაელ პაფლაგონელი რომანოს კეისარს ფეხების მფხანელად ჰყავდა აყვანილი და ნუთუ არასდროს უფიქრია, როცა მას, საძილედ წაწოლილს „ეს ბიჭი" ფეხებს ფხანდა, ნებით თუ უნებლიედ, მისი ხელები იქვე მწოლარე დედოფლის ფეხებსაც მოჰხვედროდა?!

მაგრამ ამაზე არ ფიქრობდა კეისარი. ან თუ ფიქრობდა, ფიქრის ღირსად არ ანგარიშობდა.

კეისარმა ისიც იცოდა, რომ მისი ფეხის მფხანელი ავი ზნით იყო შეპყრობილი და ორ-სამჯერ თავისი თვალითაც უნახავს როგორ დაცემულა იგი ძირს, კრუნჩხვებით ატანილი, თვალებგადმოცვენილი და პირზე დუჟმორეული.

— ჰეშმარიტად, ასეთ კაცს არც შეყვარება შეუძლია და არც მისი შეყვარება არის შესაძლებელი, — ინუგეშა მაშინ თავი ფილოსოფოსმა იმპერატორმა.

და იყო ასე: იმპერატორს რჩები ესხა და რჩებს ვერა გრძნობდა, რადგან რჩის ძირებსაც როდი უფხანდა ვინმე...

ერთხელ ისეც მოხდა, რომ ქრიზოტრიკლინიუმიდან გამოშავალ ზოიას და მიქაელს წინ ვაჩე კარიჭისძე შემოეყარათ.

ფიცხლავ გაბრუნება დააპირა ქართველმა, მაგრამ შესდექიო, შესძახა დედოფალმა და შედგა კარიჭისძეც.

განგებამ არ ინება ამ ქართველის ცოლი გავმხდარიყავიო, გაუელვა ზოიას და უცებ, რაღაცნაირი მთრთოლვარე სიანჩხლით მიაძახა:

— ახლავე დაიჩოქე!

— უკეთუ ცალკე გიხილავ, ან კეისრის გვერდით, დიახაც დაიჩოქებ და გეთაყვანები, დედოფალო, — მაშინვე შეაგება კარიჭისძემ.

— განა, კეისარს ვერა ჰხედავ? — დაისისინა ქალმა და გვერდით მდგარ მიქაელზე ანიშნა.

შეხედა ვაჩემ მიქაელს, შეხედა, მის სახეზე თავხედობა ამოიკითხა და თქვა ბოლმიანი სიცილით:

— კეისარიო?! ეს ტილიანი ფერეზიკი?!

(მიქაელი და მისი უფროსი ძმა იოანე ყვერული მართლაც პეფლაგონელი მეწვრილმანე ფერეზიკის შვილები იყვნენ).

— ვის უბედავ? — იკივლა ზოიამ.

— ამ ფერეზიკ ვიგინდარას ვუბედავ, დედოფალო! — მშვიდად მიუგო ქართველმა და სანამ დაასრულებდა, თვალი ჰკიდა, როგორ მიწვდა მახვილს მიქაელი.

დაასწრო კარიჭისძემ და სილა შემოჰკრა სახეში მახვილზე ჩაფრენილს.

მოწყვეტით დაენარცხა ძირს მიქაელი, ცხვირიდან სისხლწავარდნილი.

ისევ გატრიალდა და გავიდა კარიჭისძე, აღარ დაუნახავს, როგორ დაემხო დედოფალი დარეცილ სატრფოს.

ეს ამბავი არავის გაუგია, რადგან სამთაგან არცერთ მონაწილეს არ გაუმხელია.

იმავე დღეებში რომანოს კეისარი, რაღაც გამოიცვალა. მადა დაჰკარგა. ჭამის გახსენებაზე გული ერეოდა. ძილითაც მთელი ღამეები აღარ ეძინებოდა. ხასიათი სულ გაუფუჭდა. ადრე მშვიდი, წყნარი და დიდსულოვანი, ახლა ნერვიული, ანჩხლი და სასტიკი გახდა. აღარ იცინოდა, ღიმილიც კი დაივიწყა და დაიშრო, ზეზეურად ჩამოხმა, თმები ბღუჯებად უცვივოდა, სუნთქვა უფრო და უფრო უჭირდა.

იგი დინჯი საწამლავით მოეწამლათ ცოლსა და მის კუროს.

დიდ ხუთშაბათ დღეს იმპერატორი აბაზანის მისაღებად შევიდა თერმაში. შევიდა და ჩაწვა. ჩაწვა და დააწვნენ პანესიკნი, ზოიასგან მოსყიდულნი. დააწვნენ, წყალში ჩაძირეს და ჩაძირული იმდენხანს ამყოფეს, რამდენიც კაცის დახრჩობისთვის კმა იქნებოდა.

ასე აღესრულა კეისარი რომანოს მესამე არგიროსი.

პატრიარქი ალექსი სტუდიტი რომ მოვიდა და მიცვალებული გასინჯა, მიხვდა, რომ იგი თავისი სიკვდილით არ იყო მკვდარი. უფრო კიდევ იმან გააოცა და გააჯავრა პატრიარქი, რომ დედოფალ ზოიას გვერდით ახალი მეუღლე — იმპერატორი დაეყენებია, სწორედ საიმპერატორო ინსიგნიებით მორთულ-მოკაზმული. და ეს „ახალი იმპერატორი“ იყო არა სხვა ვინმე, არამედ პაფლაგონიიდან მოსული ვიგინდარა, სახელად მიქაელ.

მაგ კაცს მე კეისარ-იმპერატორად არ ვაკურთხებო, გადაწყვეტით თქვა ალექსიმ, მაგრამ მაშინვე გადაწყვეტითვე დათანხმდა, როცა მას ახალმა მეფე-დედოფალმა ასი გირვანქა ოქრო ჩაუჯიბა.

ვედრება მეთოთხმეტე

მაშ, ბიზანტიის კეისრის ტახტზე იჯდა იმპერატორი მიქაელ მეოთხე პაფლაგონელი, წარმომავლობით მდაბიო, ფერეზიკი და წინარე საქმიანობით — ფეხრხთა მფხანელი.

ტახტზე დაჯდომისთანავე პირველ საქმედ ახალმა ხელმწიფემ ვაჩე კარიპისძე მოიკითხა. შეიპყარით და მომგვარეთო — ბრძანა, მაგრამ მალე აცნობეს და გუნება გაუფუჭეს: ვაჩე კარიპისძე მოუკლავთო!

ვის მოუკლავთო? — შეხტა იმპერატორი.

ქართველებსო, — იყო პასუხი.

ქართველებს რად უნდა მოეკლათ თავისი თვისტომიო, — განცვიფრდა კეისარი.

სწორედ მაგიტომო, თვისტომობისთვისო და სამშობლოს ღალატისთვისო, — მიუგეს პასუხად.

გული დაწყდა კეისარს შურს რომ ვეღარ იძიებდა შეურაცხყოფელზე.

მერე ისევ იმას ჩაუფიქრდა, სამშობლოს ღალატისთვის რომ გაუმეტებიათ ქართველებს ქართველი.

მაინც რა ხალხია ეს ქართველებიო, შეუჩნდა ეს საფიქრალი კეისარ მიქაელს.

ანგარიშგასაწევი ხალხიაო, აუხსნა ძმამ, იოანემ.

იოანე კი ბიზანტიის ახალი ხელისუფლების სული და გული იყო. ეს ყოვლისმცოდნე ყვერული საოცარი გერშით

ადგნებდა ყოველი ავისა თუ კარგის მომასწავებელ მიმორხევას მუდამ შფოთიანი ჯანღით მოცულ მსოფლიო ჰიპზე. არავის ისე არ ეხერხებოდა მტრისა და მოყვრის ამოცნობა, როგორც იოანეს.

ხოლო, თვითონ კეისარი მიქაელი უნიჭო იყო, უნიჭო, მაგრამ ჭკვიანი კი აღმოჩნდა, როცა უფროსი ძმის ნიჭიერებასა და ხერხიანობას მიენდო და მიჰყვა სრულიად.

და როცა კონსტანტინოპოლის სასახლეს ათონელი ქართველები მოადგნენ და ქართველი მეფის, ბაგრატ მეოთხის წერილებიც მოიტანეს, ურჩია მაშინ ქართველის ხელით გალახულ კეისარს: თუ რამ წყენა გაქვს, დაივიწყე და ქართველთა სათხოვარი სრული შემწყნარებლობით განიკითხეო.

და მიიღო პატივით ქართველები კეისარმა მიქაელ მეოთხემ. ბაგრატ მეფის პატრუცაგიც წაიკითხა გულდასმით. ქართველთა წინამძღვრის, მამა გრიგოლის მოსახსენებელიც მოისმინა სრული ყურადღებით.

და დასხდნენ ბჭობად ქართველნი და ბერძენნი — „პირველ ბჭობად".

და გამოსცა კეისარმა მიქაელ მეოთხემ ბრძანებულება, რათა ამიერიდან აღარ შეეწუხებინათ ქართული სავანეები ათონის წმიდა მთაზე და კვლავ აღდგენილიყო ადრინდელი ძმობა-სიყვარული ბერძენთა და ქართველთა შორის. ამავე ბრძანებულებით ქართველებს ისევ დაუბრუნდათ ლეონდარი, ერისო, ნათლისმცემელი, დომეროვია, მელინძა და სტილახი.

ვედრება მეთხუთმეტე

აღესრულა მამაი გრიგოლ და ათონის ქართველთა სავანის საჭეთმპყრობელობა ეტვირთა არსენის. იგი იყო „კაცი მარჯუე და სავსე გონიერებითა, რომელმან არა შეიწყალა თავი თვისი, არამედ ყოველივე მოსწრაფებაი აჩუენა დამტკიცებისა ჩუენისათვის".

და არსენის წინამძღვრად კურთხევის ჟამს ათონის საუანეს მიევიდა გიორგი ჯვარშუბლოვანი.

თაყვანი სცა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს.

და გავიდა წმიდა ეფთვიმეს სამარტვილეს.

და ფერხთა კერძოით ეამბორა ლუსკუმას, რომელშიც განისვენებდა ნაშთი დიდი ქართველი განმანათლებლისა.

უცებისად გავარდა ხმა ათონის ქართულ სავანეში ახალი თვისტომის ჩამოსვლისა.

და შეხვდნენ ბერძნებთან ნაომარი ქართველები უკვე სახელგანსმენილ თანამოძმეს. შეხვდნენ, „სიხარულით შეიწყნარეს და განუსვენეს და დიდად პატივ უპყრეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელიც მიუძღვნა მუნ“...

და დადგა გიორგი „მონასტერსა მას შინა მოღვაწებითა ბუნებათა უაღრესითა, მარხვითა და ლოცვითა, სიმდაბლითა და სიმშვიდითა, მორჩილებითა და მოთმინებითა“...

ბერძნებმა კი თავისი არ დაიშალეს.

არსენის დროს კვლავ განაახლეს შემოტევა ბერძნებმა ქართველებზე. მთავარი ლავრა მაინც იქნებ წავართვათ ქართველებსო, — აჭრემებიათ ბერძნებს.

და ისევ აღავლინეს საჩივარი ქართველებმა კონსტანტინოპოლის საკეისრო კარზე.

მაგრამ ახლა კეისარ მიქაელ მეოთხეს აღარ სცხელოდა ქართველებისთვის.

მიქაელს, იოანე ყველრულის რჩევით, ცოლი, დედოფალი ზოია შეევიწროებინა და მარტო სახელმწიფოებრივი საქმეებიდან კი არა, სასახლიდანაც სრულად მოეკვეთა და ლამის შინაპყრობილებაშიც ჩაეყენებინა.

ზოია ყველაფერს იოანე ყველრულს აბრალებდა და მისი მოწამვლა სცადა კიდეც, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, გარდა იმისა, რომ თავისი მდგომარეობა კიდევ მეტად გაიუარესა.

კეისარი მიქაელი კი მძიმედ დაეგდო ავ ზნეს. ერთ დროს მშვენიერ სახეზე ახლა ვამპირის საშინელება აღბეჭდვოდა. ბოლოს, სულით და სხეულით ჯანგატეხილი იმპერატორი სახლიდან ეკლესიაში გაიქცა და სქემა შეიმოსა. შეიმოსა და ბერის სამოსელშივე მოკვდა.

იოანე ყველრული კი ადრევე შესდგომოდა თადარიგს. ავადმყოფი ძმა ადრევე დაურწმუნებია, თანამოსაყდრე დაენიშნა და თვითონვე დაუნიშნა, სახელად ისიც მიქაელი, მათი დისწული, რომელიც მამამისს — სტეფანეს ზღვის პირას ნავების ჭუჭრუტანების დაგმანვასა და დაჩურთვაში ეხმარებოდა. ამიტომ მამასაც და შვილსაც — სტეფანესაც და მიქაელსაც —

უკანსაყივარ სახელად დარქმეოდათ „კალაფატოს“, ანუ „დამგძანველი“, ანუ „დამჩურთველი“.

და იმდენი ჰქნა იოანე ყველრულმა, ზოიაც კი დაიყოლია, ელახერნის ღვთისმშობლის ტაძარში, ხალხისა და წმიდა საკურთხეველის წინაშე, მიქაელ კალიფატოსი შვილად გამოეცხადებინა.

ხოლო ახლა, როცა კეისარი მიქაელ მეოთხე უკვე „წმინდანთა შორის“ განისვენებდა, ბიზანტიის საიმპერიო ტახტზე დაბრძანებულიყო მიქაელ მეხუთე კალაფატოსი.

(თუმცაღა, კაცმა რომ სთქვას, რატომ არ შეიძლებოდა „დამჩურთველი“ მჯდარიყო იმ „წმინდა ტახტზე“, რომელსაც მასზედვე მჯდომარედ ახსოვდა „კუანა“, ან „მეშაკე“?!).

ტახტზე ასვლის წელსვე კეისარი მიქაელ მეხუთე თესალონიკეს გაემგზავრა.

ქართველებმა შეიტყვეს და თვითონაც თესალონიკეს წარემართნენ, იმპერატორთან შესახვედრად.

მიქაელ მეხუთესაც სცოდნია, რომ ქართველები „ანგარიშგასაწევი ხალხი“ ყოფილა. სცოდნია და მიიღო კიდეც დიდის პატივით ქართველ სამღვდელოთა ელჩობა.

და დასხდნენ ბჭობად ქართველნი და ბერძენნი — „მეორე ბჭობად“.

იმ დღეს ყველა, ბერძენიც და ქართველიც, გააკვირვა სიტყვამ ღვთითშემოსილმა.

ხოლო, სიტყვა იგი საკვირველი წარმოეთქვა შავი მთიდან ათონის მთაზე ახლად მოსულ ახალგაზრდა ბერს, სახელად რომ გიორგი ერქვა და შუბლზე ჯვარი, თითქოს ღვთის ხელით გამოესახა.

და კვლავ სცნეს ბერძნებმა სიმართლე ქართველებისა.

და ისევ დადგინდა ხელშეუხებლობა ათონის მთაზე ქართული სავანეებისა.

და ისევ გამოცხადდა ქრისტეს მიერი ძმობა და სიყვარული ბერძენთა და ქართველთა შორის.

მაგრამ იყვნენ კია სანდონი ბერძენნი, წინარედ ხშირად ფიცისა და სიტყვის გამტეხნი?

იმ წელს კი მამა არსენი მიიცვალა.

და წინამძღვრობა გიორგის შესთხოვეს.

ცივად იუარა გიორგიმ, — მე საწინამძღვროდ კი არა, სა-

გლახაკო ცხოვრებად მოვსულვარ ამ ქვეყნადო. გამოაცხადა ისეთი სიმკაცრით, სიტყვის შებრუნება რომ ვეღარავინ შეუბედა.

და ათონის ქართველთა წინამძღვარი შეიქნა მამა სვიმეონი.

ვედრება მეთექვსმეტე

სწორედ სვიმეონის წინამძღვრობის ჟამს გიორგი ეხრახა თვითონ წინამძღვარს და მის თანამოღვაწე მამებს: რაკი ბერძნებს ქართველებისადმი ათონის მთაზე ამდენი ბოროტება ჩაუდენიათ და სიკეთე უმადურობით გადაუხდიათ, უნდა დაიწეროს ყოველივე და, ვითარცა მოსახსენებელი და სახსოვარი წერილი, დარჩეს ჩვენი მომავალი თაობებისთვისო.

და მოწონება ამა აზრისა იყო ერთხმივი, და დაიწერა თვითონ გიორგის ხელით, ვითარმედ:

„ვინათგან ღმერთის მადლითა და წყალობით, აღიძრნეს ჩვენი წმიდა მამანი — იოვანე (ვარაზვაჩე), იოვანე (თორნიკე) და ეფთვიმე, ამა წმიდასა მთასა მოვიდნენ სულთა ნავთსაყუდელად, თავი მოუყარეს და განამრავლეს ნათესავნი ჩვენნი, ქართველნი, დიდი ღვაწლით, შრომით და ფრიადითა წარსაგებელითა აღაშენეს დიდებული ესე ლავრაი ქართველთა საჭირდრებლად, მერმე ღმრთის მსახურ ბერძენ მეფეთა მსახურებით და მომადლებით, — მას შემდგომ რაც მათდა შემწედ ქართველებმა გაანადგურეს განდგომილი სკლიაროსი — კიდევ უფრო განაერცეს და გაამდიდრეს ლავრაი ესე, შესძინეს ღაბანი და მონასტერნი და ოქრობეჭედნი, და ყოველივე ამის შემდგომ წმიდა მამათა, იოვანემ და თორნიკემ, კეთილითა აღსასრულითა დაიძინეს და წარემართნენ საუკუნო ცხოვრებად.

„და მემკვიდრედ და გამგებლად დატოვეს ნეტარი ეფთვიმე, რომელმან ყოველთა წესითა კეთილითა განაშვენა წმიდაი ესე ადგილი და თარგმანებითა წმიდათა წერილთაითა განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაი ჩვენი ქართული და ჟამთა მრავალთა კეთილად დამწყსო სამწყსოი ესე მისდა რწმუნებული.

„და მცირე ჟამის შემდგომ განვიდა ეფთვიმე წინამძღვრობისაგან და თავის ადგილზე მამად დაადგინა გიორგი, ნათესავი

თვისი. ხოლო თვითონ მყუდროებით ცხოვრობდა და სახელი მისი, სათნოება და ღირსებანი მთელ საქართველოს განეფინა, მაგრამ არა თუ მხოლოდ საქართველოს, არამედ სრულიად საბერძნეთსა და ბიზანტიას. და მისი სახელის მასმინარნი, მრავალნი ღირსნი და წმინდანი კაცნი მოდიოდნენ მთაწმიდას, მოდიოდნენ ნეტარ ეფთვიმეს სახილველად, მისი ხილვით სულის გასანათლებლად. ასე მოვიდნენ მასთან: იოანე გრძელისძე, არსენი ნინოწმიდელი, იოვანე ხახულელი, ოქროპირი, და სხვანი მობაძავნი მათნი. და მერე — ნეტარი ბერი გრიგოლ, ახალი აბრაჰამ სტუმრისმოყვარე, და ზაქარია მირდატის ძე, და არსენი, და სხვანი მობაძავნი მათნი. და ყველანი ვითარცა სახიერმან მამამან, ისე შეიტკბო ეფთვიმემ, ყველას განუსვენა ყოვლითა განსვენებითა. და ასე, საღვთო და სათნო მოქალაქეობაში, უფლისა მიმართ მიიცვალა ეფთვიმე, ხოლო მიცვალების წინ ძმანი ქართველნი მამა გიორგის და მამა გრიგოლს შეაეედრა სულკურთხეულმა.

„და არ გაუელია ჟამსა მრავალსა, რომ გიორგი წინამძღვარმა ეფთვიმეს მცნებანი დაივიწყა და ქართველთა აღორძინების ზრუნვაზე ხელი აიღო და ქართველთა სანაცვლოდ ბერძნებს მიეჭცა და ქართულ სავანეებში ბერძენნი განამრავლა. მერე გიორგი ექსორიაში მიიცვალა, ხოლო ჩვენ, ქართველნი მისგან დავრჩით ფრიად შემცირებულნი.

„და ჰპოვეს ჟამი ბერძენთა, ჩვენი სიმცირისა და მათი სიმრავლისა, და ვითარცა ცეცხლნი აღეგზნეს ჩვენზედ, რამეთუ ენებათ ჩვენი სრულად აღმოფხვრა და ჩვენთა სამკვიდრებელთა სრული დაპყრობა.

„და ამის მიზეზით დიდ ჭირში ჩავცვივდით, ბერძენთაგან საწუნელნი, საძულველნი და სამტერებელნი. შეუძლებელია ყოველივე ჩამოთვალო სათითეულოდ: რამდენი გინებანი, რამდენი შეურაცხებანი და უკედრებანი მოიწეოდეს მათ მიერ ჩვენზედ, ყოველ დღე. თუ ცემით, თუ გვემით, თუ მწვალებლობის ცილდაწამებით შევიწროებულნი ვიყვენით დიდსა ურვასა შინა, და ესეც კი ენებათ და ცდილობდნენ თავგამოდებით — ჩვენი ტაძრების მაშენებელთა სახელიც წარეხოცათ სავსებით.

„ნეტარი მამაი გრიგოლ, ამას რომ ჰხედავდა, ელმოდა გული და იწვოდა ცოდვითა ჩვენითა. ევედრებოდა ღმერთსა,

რათა უკეთესი დღე დაგვდგომოდეს. და მისცა გრიგოლს ღმ
რთმა კაცი მარჯვეი და სავსე გონიერებითა — ნეტარი არსენ
რომელმაც არა შეიწყალა თავი თვისი, არამედ თავგამოდები
ისწრაფოდა ჩვენი განმტკიცებისათვის, სხვა რამდენიმე ჭრის
ტესმოყვარე ძმათა გვერდით. საუკუნომცა არს სახსენებელ
და კურთხევაი მათი!

„ვის შეუძლია მოთვალოს, რამდენი ღვაწლი მოითმინეს
მიმოსვლაი ზღვითა და ხმელით საქართველოში, ბერძენთა მე
ფეთა წინაშე სავედრებელ წერილთა ჩამოსატანად. რამდენ
ჯერ ჩამოვიტანეთ წერილნი თვითმპყრობელთა და ჩამოვე
დით, რამდენჯერ გინებით და შეურაცხებით გვდევნიდიან უსა
გზლოთა და უხამურთა, ჟამსა ღელვათა ტეხისა და ზამთრისა
სა, და ისევ სვლა თხოვნის კიბეზედ, მეფეთ წინაშე, ხა
ღვთისმოყვარე კაცთა წყალობით, ხან ტირილით და ხვეწნა
მუდარით. ხან აქ და ხან იქ მოურნენი და მზრდელნი გვიჩი
ნა — როგორც ჩორჩანელი და ფარსმანი — რომელთაც დიდა
აღგვიპყრეს ხელი წყალობისაი. ათას წილად მიაგოს მა
უფალმან მწყალობელმან!

„და ამა ჰირთა შინა ვიყვენით ჟამსა არსენის წინამძღვრო
ბისასა...

„და ჟამსა გრიგოლის წინამძღვრობისასა...

„და მოვაღწიეთ მეფეთა ორივე მიქაელისსა, ბჭობად პირ
ველად კონსტანტინოპოლსა... და ბჭობად მეორედ თესალონი
კესსა...

„და აჰა, ესერა, კვლავ ჩვენს ხელთაა მონასტერნი ჩვენნი
აღმატებულნი ჰაეროვნებითა და მშვენიერებითა, რომელთ
მსგავსნი არა იპოვებიან მონასტერნი არა მხოლოდ მთას
ათონისასა, არამედ არცა სხვათა ადგილთა მრავალთა...

„და ვინაითგან ესე ყოველი და ამისა უმრავლესი მოიწი
ჩვენზედა, და მრავალი ჩვენი ძმათაგანი გაიყიდა და ჩვენ მტე
რთა მიექცა, ყოველივე ამისგან შეგვეშინა და აღვწერეთ მო
სახსენებელი ესე და დავდევით აქ, შემდგომად ჩვენსა მომა
ვალთა ნათესავთათვის, რათა არ იქნას დავიწყებული ესევითა
რი მრავალფერი ღელვაი.

„და ერთითა ერთობითა ამას კი ვიტყვით, ვითარცა ერთი
პირითა ყოველი ქართველისა, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი —
აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, შავ მთაზე თუ იერუსა

ლიძ'ში, ყველგან, ყველგან სადაც არიან ძმანნი ჩვენნი:

„უკეთუ ვინმე გამოჩნდეს ნათესავისა ჩვენისაგან კაცი — გინა მამასახლისი, გინა იკონომოსი, გინა სხვაი ვინმე — და თუ რაიმე ღონით ან მანქანებით, ან საფასის სიხარბით, ან ბერძენთა სიყვარულით, ან ვისმე კაცის ხათრით და მორიდებით, ან სხვა რაიმე ზაკვით ამ წმიდა ადგილს ეორგულოს და გასცეს მიწა ამა მთასა, ან მის გარეთ, ან ქართველთა შინაგამცემელ ექმნეს, ესე ადგილნი ქართველთა დაუკარგოს, ქართველი აღმოფხვრას, ქართველი გააქციოს, ქართველი ასწყვიდოს — ყოველთა წმიდათა ჯვარითა და მადლითა კრულმცა არს და წყეულ და შეჩვენებულ და განკვეთილ წესისაგან ქრისტიანეთაისა და მათ თანამცა შერაცხილ არს, რომელნი-იგი შინაგამცემელ ექმნეს უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა, და ა-მცაბოცილ არს იგი ნაწილისაგან ქრისტიანეთაისა!

„და აგრეთვე ჩვენთა ძმაოგანნი, ქართველნიცა მიემხრონ და შეეწამონ ესევითარს მტერსა მზაკვარსა, იგინიცა წყეულ არიან და შეჩვენებულ!

„და რომელთაც ქართველთა გამრავლება იღვაწონ და ესე წმიდაი ადგილი ნათესავსა ჩვენსა დაუმტკიცონ, საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაი მათი!

„და რომელიცა ძმანიც ამ დიდებული ლავრის სამართლობასა და დამტკიცებას თანამოღვაწედ ექმნნეს, ანუ მოღვაწე ექმნენ, საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაი მათი წმიდათა მამათა ჩვენთა და მაშენებელთა და ყოველთა მათ პირველ-მოხსენებულთა ღირსთა და სათნოთა ძმათა ჩვენთა, რომელნი წმიდასა ამას ადგილსა შინა გამოჩნდეს, გინა გამოჩდენ!

„მადლითა და ლოცვითა გვაკურთხენ და აღგვაორძინენ უფალმან და საუკუნეთა მათ სატანჯველთაგან გვიხსენ და სასუფეველთა ცათასა მკვიდრ გვიჩინენ მეოხებითა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ეფთვიმესითა და ყოველთა წმიდათაითა, რომელნი საუკუნითგახ სათნო ეყვნეს ღმერთსა, რომლისაი არს დიდებაი, სიმტკიცეი და სუფევაი აწ და მარადის და უკუნითა უკუნისამდე, ამინ“.

(ეს „მოსახსენებელი“ გიორგი მთაწმიდელმა შემდგომ მისგანვე დაწერილ „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებას“ დაურთო).

მამა სვიმეონი თავისი წინამძღვრობის მეორე წელს მიიცვალა.

და ისევ შესთხოვეს საპეთმპყრობელობა სავანისა გიორგის, ისევ სთქვა უარი, ლიტყვითა შეუქცეველითა.

და მთაწმიდის ქართველთა საძმოს წინამძღვარი შეიქნა სტეფანე ხარტულარი.

ამ ორ წელიწადში კონსტანტინოპოლს ისევ დატრიალდა ჯარა ბოროტებისა, ორგულობისა და მზაკვრობისა.

ისევ ღამენი — შიშით და ძრწოლით ფეხმძიმენი.

ახალმა იმპერატორმა მიქაელ მეხუთემ ათონელ ქართველთა საქმე სამართლიანად განიკითხა, მაგრამ თესალონიკედან რომ დაბრუნდა, სასახლის კარზე თავის კეთილისმყოფლებს მისდგა და მადლი ყველას მატლად უქცია. ჯერ ბიძამისი გადააყენა და განაშორა სასახლეს, იოანე ყვერული, კაცი, რომელმაც ნავის ჰუპრუტანების მჩურთველისგან იმპერატორი გააკეთა! და იოანეს ნაცვლად მეორე ბიძა (იოანეს მომდევნო ძმა) კონსტანტინე დააწინაურა კეისარმა.

ერთხანზე ზოიას ემლიქვნელებოდა კეისარი მიქაელი, სახალხოდ ეუბნებოდა: შენ ხარ ჩემი მბრძანებელიო, ჩემი დედიკო, ჩემი დედოფალი, ყველაფრით შენი ვარ მე, შენი ფერხთა მტვერიო. მაგრამ სულ მალე დედოფალსაც მისდგა, ჯერ სასახლიდან გააძევა და ოდენ გინეკეიის ტყვედ ჰქცია, ბოლოს მოწამვლის განზრახვა დააბრალა, შეიპყრო და კუნძულ პრინკიპოზე გადაასახლა, იქ მონაზვნად აღაკვეცინა და მონასტერში გამოჰკეტა. მისი ბრძანების აღსრულების დასტურად იმპერატორს დედობილის ანაკვეცი ჰაღარა თმები მოართვეს. იმ თმებს იმპერატორმა დააფურთხა და ცეცხლში შეჰყარა.

მაგრამ უმადურ კეისარსაც ზეიმი დაუმოკლდა.

ათუხთუხდა, აიშალა და აზვავდა ჭიპი დედამიწისა.

ხალხს უსაზღვროდ სძულებია კეისარი კალაფატოსი.

ხოლო, ზოია ძოწითშობილს ისევ ჰქონია აღიარება და პატივისცემა ოქროს ჭიპელთა წიაღსა შინა.

— ძირს კალაფატოსი!

— გაუმარჯოს ჩვენს დედოფალს და დედას, ზოია ძოწით-შობილს!

— და გაუმარჯოს თეოდორას!

თეოდორაც გაიხსენეს, ზოიას უმცროსი დაი, თვითონ ზოიას სადედოფლო ზეობის ჟამს მონაზვნად აღკვეცილი.

თუმცა ახლა ორივე მონაზონი იყო, მაგრამ, რაც მთავარია, ორივე საიმპერატორო ტახტის კანონიერი მემკვიდრენი.

გაშმაგებული ხალხი სასახლეში შეიჭრა. მიქაელ კეისარი და მისი ბიძა კონსტანტინე გაიქცნენ და სტუდიის მონასტერში გადაასწრეს. მაგრამ იქაც მისწვდნენ, გამოათრიეს და ორივეს თვალები დაუშრიტეს.

იმპერიის საჭეთმპყრობელობა აღმოჩნდა ბებერი დების ხელში — დედოფალი ზოია და დედოფალი თეოდორა.

მაგრამ ერთ ტახტზე ორი ქალი როგორ დაიჯდომების? ორი ქალი და თანაც ორი მძულვარე!

ზოიას ერჩივნა მეჯინიბე, გინა მეჩეჩმე სჯდომოდა გვერდით იმ ერთადერთ საჯდომზე, ვიდრე საძულველი დის გვერდით მჯდარიყო.

და თეოდორასაც ასევე ერჩივნა.

და ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

იმპერიის საჭე მამაკაცის მტკიცე ხელს ითხოვდა.

სახელმწიფო მამაკაცის შოვნა ისევ ზოიას შეეძლო: იგი ლამაზი იყო, თეოდორა — მახინჯი.

და სამოცდაოთხი წლის ზოიამ გადაწყვიტა მესამედ გათხოვილიყო.

ამჯერად მისი არჩევანი დაეცა კონსტანტინე მონომახოსს, ადრე დედოფლობისას ერთ-ერთ კუროდ რომ ჰყავდა.

კონსტანტინე მონომახოსი იყო გვარით წარჩინებული, ძალიან ლამაზი და მოხდენილი კაცი, ენამჭევრი და გონგამჭრიახი, შესანიშნავი მხედარი, მორბენალი და მოკრივე. უყვარდა ხუმრობა, ხანდახან ხელის ჩამორთმევაც ისეთი „ხუმრობით“ იცოდა, მისგან ჩამონართმევი ხელი რომ თვეობით სტკიოდა კაცს.

ნამდვილად აქილევსს ჰგავსო, ამბობდა მიქელ პსელლოსი კონსტანტინე მონომახოსზე.

გიორგი ქართველის შემდგომ, მე ასეთი მომხიბლავი კაცის

მხილველი არ გავმხდარვარო, ამასაც იტყოდა ხოლმე პსელლოსი.

და აუხდა მისი პირმშვენიერი საყვარლის, სკლირენას ნაწინასწარმეტყველევი კონსტანტინეს — შენ იმპერატორი შეიქნებიო, და იქმნა იმპერატორი: კონსტანტინე მეცხრე მონომახოსი.

ორიენსთვის, ზოიასთვისაც და კონსტანტინესათვის, ეს მესამე ქორწინება იყო (უანგარიშებლად კუროებისა და საყვარლებისა). მართლმადიდებლური საეკლესიო კანონიკით, მესამე ქორწინება არ დაიშვებოდა, მაგრამ აკი ოქროთი ყველაფერიც „დაიშვებოდა“ და პატრიარქმა ალექსი სტუდიტმა ისევ დაუშვა დაუშვებელი.

ახალი იმპერატორი ძველ საყვარელზე და ახალ მეუღლეზე ათი წლით უმცროსი იყო.

ისედაც გასცივებოდა ერთ დროს მხურვალებით განთქმული სხეული ზოია ძოწითშობილს.

და თვითონ მოიხმო და მოუყვანა სასახლეში ზოიამ კონსტანტინეს მისი უსაყვარლესი სკლირენა.

მართლა რა ლამაზი ყოფილა ეს დასამიწებელი და დასაქვესკნელებელიო, გაიფიქრა დედოფალმა, როცა მისმა ახალგაზრდა მეტოქემ სასახლეში შემოდგა ფეხი.

მაგრამ რა გაეწყობოდა! პრინკიპოს პირქუშ საპატიმრო ჯურღმულებში გდებას ისევ იმპერიის დედოფლისა და იმპერატორის თანამესაწოლის სახელი სჯობდა, თუნდაც მხოლოდ სახელი და აღარ სახრავი.

და იყო სკლირენა სასახლეში, როგორც ნებადართული თანამწოლი იმპერატორისა, სებასტას ტიტულით, ცალკე სასახლით, ბუდუარებით, მცველი რაზმებით და პასენიკებით.

მერე ესეც გამოიგონეს სასახლის კარის გამომგონებლებმა: მეფე-დედოფლის სანთიობური განსასვენებელი, ქრიზოტრიკლინიუმი, სამ ნაწილად გაჰყვეს — შუაზე იმპერატორი იწვა, მარჯვნივ ზოია და მარცხნივ სკლირენა.

ყოველივე თავისი სულისა და სხეულის სასიამოვნოდ და სახალისოდ ესურვილებოდა კონსტანტინე მონომახოსს. საიმპერიო ტახტიც და გვირგვინიც გართობისა და დროსტარების საშუალებებად მიაჩნდა და უკეთუ საამისოდ ვერ მოიხმარდა, ერთსაც და მეორესაც იოლად შეელეოდა.

პირველი, ვინც საღვთო კონსისტორიონს მოიწვია ახალმა იმპერატორმა, იყო საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე.

მაგრამ პირველი გაწბილებაც მაშინ მიიღო კონსტანტინე მონომახოსმა: ბაგრატ მეფემ უარი შემოთვალა.

მიზეზთა ⁞ხვათა და სხვათა, ვერ გეახლებითო, ითვლევინებოდა ქართველთა მეფე, მაგრამ რა იყო ეს „სხვათა და სხვათა", სახელდებით არ ასახელებდა იგი.

აბა, როგორ იფიქრებდა კონსტანტინე მონომახოსი, ქართველთა მეფეს ესირცხვილებოდა მიზეზის პირდაპირ დასახელება — მიზეზისა, რაიც ქართველთა შორის ქიშპი, ჴინჭყლი და მესისხლეობა იყო და სწორედ ამ შინააშლილობით თავწართმეული მეფე ვერ ახერხებდა კონსტანტინოპოლს წასვლას, ჯერჯერობით ვერ ახერხებდა.

ამიტომ, ცუდად ჩაიდო გულში ქართველი ხელმწიფის ეს „ქადნიერება" ბიზანტიის ახალმა გვირგვინოსანმა..:

...სწავლა-განათლების, მწიგნობრობისა და ხელოვნების მოყვარული, პატივისმცემელი და მფარველი იყო კონსტანტინე მონომახოსი. მისი ბრძანებით ისევ გაცოცხლდა და აღზევდა უნივერსიტეტი მაგნავრის სასახლეში. დაარსდა ორი ახალი ფაკულტეტი — იურიდიული და ფილოსოფიური. იურიდიული ფაკულტეტი მოთავსდა ქანგანის წმიდა გიორგის მონასტერში.

ფილოსოფიური ფაკულტეტის მეთაურად, ანუ „ფილოსოფიის ჰიპატოსად" იმპერატორმა დანიშნა მიქელ პსელლოსი, ხოლო იურიდიული ფაკულტეტის „ნომოფილაქსად" — იოანე ქსიფილინოსი. აქვე, იურიდიულ ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდა კიდევ ერთი დიდი სწავლული და იმპერატორის მეგობარი კონსტანტინე ლიხუდი.

სამივე უახლოეს მეგობრად და მრჩეველად დაისვა კეისარმა.

ყველაზე მეტად მაინც მიქელ პსელლოსი მოსწონდა — უკვე სახელგანსმენილი ფილოსოფოსი, მწერალი, ქრონოგრაფოსი, რიტორი, გრამატიკოსი და მათემატიკოსი. მარტო ფილოსოფიის ჰიპატოსობა კი არა, პროტოასიკრიტოსის თანამდებობა და უმაღლეს საიმპერიო მიმოწერათა მმართველობაც პსელლოსისათვის ჩაებარებინა კეისარ მონომახოსს.

და უხაროდა შეხვედრა, და უყვარდა სიტყვათმიმოქცევა კეისარს მიქელ პსელლოსთან.

— ძლიერ ხარ წიგნთაგან, მიქელ პსელლოს! — ეტყოდა ხოლმე გვირგვინოსანი.

— მაინც ყველაზე ძლიერ არს გიორგი მთაწმიდელი, — უთხრა ერთხელ პსელოსმა.

— გიორგი მთაწმიდელი?

— დიახ, გიორგი ქართველი, ათონის წმიდა მთიდან.

— ქართველიო? — ჩაფიქრდა კეისარი.

— ქართველი, — დაუდასტურა ისევ პსელლოსმა.

— რა ასაკისა იქნება იგი?

— ხუთი წლით ჩემზე უფროსი და ოცი წლით შენზე უმცროსი, ავტოკრატორო, — მიუგო მიქელმა.

— მაშ, ოცდაათი წლისა ყოფილა.

— ასე იქნება.

— მაშინ სახიფათო იქნება მისი მოწვევა.

— რატომ, ღვთაებრივო ავტოკრატორო? — გაუკვირდა პსელლოსს.

— სასახლეში, სადაც ამდენი ძუკნაა, ქართველი ხვადის შემოშვება სახიფათო არ არის, განა? — თქვა და აიტეხა სიცილი კონსტანტინემ.

— წმიდა კაცია გიორგი ქართველი, ავტოკრატორო.

— წმიდაო?.. მე და შენ კი არა ვართ წმიდა, მიქელ პსელლოს? — კვლავ იცინოდა საოცრად მშვენიერი სიცილით კონსტანტინე. მერე, როცა სიცილი დაიცხრო, თქვა, წყნარად და გულდინჯად:

— წმიდა კაცი ქართველთაგან იყო ეფთვიმე.

— არა უმცირეს არს გიორგი, — პასუხი გადაუბა მიქელმა.

— მაშინ, მოვიწვიოთ გიორგი ქართველი კონსტანტინოპოლს.

ვედრება მეთვრამეტე

ხოლო, მას ჟამსა წმიდა მთაზე გიორგის მესამედ გაეწბილებინა წინამძღვარი სტეფანე ხარტულარი, რამეთუ ისევ უარი ეთქვა მღვდლობაზე.

და იმ დღესვე მის მოძღვარს, გიორგი შეყენებულს, იოანე

მოწაფის პირით მკაცრი სამღურავი გამოეგზავნა შავი მთიდან — როგორ თუ ამდენ ხანს მღვდლობაზეც უარს ამბობ და წიგნთა წერასა და თარგმანებსაც არ შესდგომიხარ და ჩემდამი მოცემული აღთქმა ესრეთ არ აღგისრულებიაო.

და იყო ფრიად შეურვებული გიორგი.

არარაი ამაღლება არ მსურსო, ვინათგან თქმულ არს: „რომელმან აღამაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს“, და კიდევ — ცუდი დიდება დედაა ყოველი ვნებისაო.

და გაურბოდა გიორგი ისეთად ყოფნას, გრიგოლ ღვთისმეტყველი რომ იტყოდა: ბევრი ისეთია, სანამ თვითონ განიწმინდებოდეს, სხვის განწმენდას დაიჩემებენ და, ნიკაპზე ღინღლის ამოსვლისთანავე მღვდლობას და მხცოვანთა დამოძღვრას მიანდობენო.

და მიელტვოდა გიორგი მსახურებასა უბრალოსა, მდაბალსა და შეურაცხებსა: ჯერ ეზოებს ჰგვიდა, მერე სვეტებსა და სვეტის თავებს წმენდდა, კიბეთა ხარისხებს ასუფთავებდა, ძემდეგ პალოებს, სარებს თლიდა, არჩობდა, თოკებს გრეხდა და ჭიმავდა; კიდევ — სამღვდელოთა ჭურჭლეულს რეცხდა და ამშრალებდა, ბოლოს კიდობანთა მტვირთველი იქმნა.

მაგრამ ახლა, გიორგი შეყენებულის შემონათვალიც რომ ისმინა, ისევ მიეძალა და აღარ მოეშვა მამა სტეფანე გიორგის მღვდლად კურთხევას.

და „მაშინ მრავლითა ცრემლითა და სულთქმითა მოწიწებით და შიშით ციიღო პატივი მღვდლობისა“.

კიდევ გამოხდა მცირე ჟამი და გიორგის მიენდო მღვდელთა და მგალობელთა წინამძღოლობა, ანუ დეკანოზობა.

გონებას კი განუცადებლად უფორიაქებდა გიორგი შეყენებულის რისხვეული შემონათვალი:

„ვინ მოგცა ნება ღვთისგან შენდამი რწმუნებული ტალანტის დამარხვისა?!“

და დაჯდა გიორგი წერად.

ჯერ იქედანვე, როცა წმიდა მთას ფეხი შემოსდგა, წმიდა ეფთვიმესა და მამამისის წუთისოფელთა შესწავლა იწყო „ყოვლითა მოსწრაფებითა და წადიერებითა“. გამოწველილვით ეკითხებოდა ყველას, დიდსა და მცირეს, ახლობელთა და შორიელთა, თვალით მხილველთა და ყურით მსმენელთა, როგორი იყო ცხოვრება იოვანესი, თორნიკესი, ეფთვიმესი და ყოველ-

თა ძმათა ათონელთა, როგორ იღვწოდნენ, როგორ აშენებდნენ, როგორ იბრძოდნენ, როგორი იყო მათი ბუნებაი ღვთაებრივი და ბუნებაი კაცობრივი. ყოველ ცნობას სინჯავდა, ერთმანეთს უდარებდა და უჯერებდა, უეჭველს საეჭვოსგან ასუფთავებდა და აქეშმარიტებდა.

და დაიწერა წიგნი პირველი გიორგი მთაწმიდელის კალმითა გრძნეულითა — „ცხორებაი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქეობისა მათისაი".

და უმთავრესი მიზანი ამა წიგნისა იყო, არა მხოლოდ არდავიწუება წინაპართა ღვაწლთა და საქმეთა, არამედ წრთვნა და აღზრდა მომავალი სათვისტომო თაობებისა.

და წიგნი ესე მოევლინა მომავალ ქართველობას, ეითარცა „ხატი ცხოველი და ძეგლი პირმეტყველი", მასწავლებელი, სულით და ხორცით განმანათლებელი.

შემდგომად „იოვანე-ეფთვიმეს ცხოვრების" დაწერისა, გიორგიმ თარგმნა სვინაქსარი, „საფუძველი ეკლესიათა, რომლისა თვინიერ შეუძლებელ არს წარმართება ეკლესიისა. რამეთუ რომელ ეკლესიას სვინაქსარი არა აქვს, სხვა ყოველი წიგნიც რომ ჰქონდეს, იგი თაფლსა ჰამს და სასა მისი სიტკბოს ვერა გრძნობს".

„სვინაქსარს" მოჰყვა:

„სახარებაი გამოკრებული საწელიწდოი",

„პავლე გამოკრებული საწელიწდოი",

„დიდნი კურთხევანი",

„დაბადება",

„პავლე სრული",

„კათოლიკენი წმიდათა მოციქულთანი".

და როცა გიორგის ხელით ეს ცხრა წიგნი დაიწერა და დაინუსხა, მას ჟამსა გარდაიცვალა მამა სტეფანე ხარტულარი.

ათონის მთის მთელმა სათვისტომომ, „ყოველთა ძმათა ერთითა ნებითა და განზრახვითა", წინამძღვრობა შესთხოვეს გიორგის.

მაგრამ ისევ ცივ უარზე დადგა გიორგი.

არ მოეშვნენ.

მაშინ მხოლოდღა წილის გდებას დავთანხმდებიო, სთქვა და შეურყეველად დაადგა ამ გადაწყვეტილებას.

და გამოარჩიეს კიდევ ორი საწინამძღვრო ძმა.

და სამგზის განიგდეს წილი სამთა.

და სამგზისვე წილი წინამძღვრობისა ერგო გიორგის.

მართლა ღვთის ნება ყოფილაო, დარწმუნდა გიორგი და უკვე გულდამშვიდებულმა მიიღო კვერთხი ათონელ ქართველთა მწყემსმთავრობისა.

და მისცა თავი თვისი გიორგი წინამძღვარმა „ფიცხელსა მოღვაწებასა", უფრო ფიცხელსა, ვიდრე „დაიტევს კაცობრივი ბუნებაი".

არ იცოდა არცა დასვენება, არცა დაღლა.

უკეთუ იჯდა — წერდა.

უკეთუ იდგა — ფიქრობდა.

უკეთუ იძვროდა — იქმოდა.

და არ იცოდა, რა იყო უქმობა დროისა.

უკეთუ არ წერდა — მიწას კერძავდა, თერძავდა, მკიდა, თიბავდა, აშენებდა, სჭედდა, საწისქვილე ქვას ჰკოდავდა.

და ყოველივეს მაინც სხვლა ერჩივნა.

ხოლო, ნასხლევზე — ტირილი და ცრემლვა ვაზისა.

მისი ანარჩევი გემო ხომ ყრმობითვე ვაზის ცრემლის ვემო იყო.

ამიტომ ისევ გაზაფხულის მალე დადგომას შენატროდა ყოველთვის — ჟამსა ვაზის მტირალობისასა.

ზამთარ-ზაფხულ, გაუხდელად, შიგნით არსუკისძის ნაჩუქარი კვართი ემოსა, ან ძაძა ბეწვიანი თხის ტყავისა, გარედან მუდამ შავი ჩოხა ბერისა.

ვედრება მეცხრამეტე

და წერდა გიორგი.

წერდა და წერის ჟამს ზოგჯერ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რეცა, თვითონ იშლებოდა და ნაწილაკდებოდა სულით და აზრით დაჯიშებულ სტრიქონებად და მთლიანობა მისი მხოლოდ ამ წიგნის დასვინტაქსებული მთლიანობაღა იყო და სხვა აღარაფერი.

უმეტეს წილ წერდა ღამით.

და ფიქრი მისი, ღვთის ანაბეჭდი, იყო სიმღერა სინათლისა ღამესა შინა.

და ებრძოდა სიტყვას, ორივე სიტყვას — სიტყვას ღვიძლსა და სიტყვას უცხოსა.

ჩხიბავდა სიტყვას, აკოპიტებდა, თლიდა, რანდავდა, აწვალებდა.

აწვალებდა, თუ აბედნიერებდა?

კიდევაც აწვალებდა, კიდევაც აბედნიერებდა.

აწვალებდა და აბედნიერებდა ბერი იგი სიტყვას, ვითარცა ქვას აწვალებდა და აბედნიერებდა სვეტიცხოვლის ხელნაწაფი ხუროთმოძღვარი.

ვითარცა ქალწულის ჯერაც განუცადებელ სხეულს აწვალებს და აბედნიერებს ხელნაწაფი ვაჟკაცის ხელი.

ასე — აწამებდა და აბედნიერებდა სიტყვას, თვითონ ნაწამები და ნაბედნიერევი, ანუ — წამებაში ნაბედნიერევი და ბედნიერებაში ნაწამები.

და იყო გარდასიტყვება სიტყვისა.

ვითარცა — გარდასპეკალება ქვისა სპეკალისა.

ვითარცა — გარდაქალწულება ქალისა ქალწულისა.

და იყო სიმღერა სინათლისა ღამესა შინა.

ვედრება მეოცე

და ასწავლიდა ყოველთა მოწაფეთა და ძმათა თვისთა, არა ოდენ სიტყვითა ოქრონექტარითა, არამედ საქმითა ნივთად განწიაღებულითა.

არა მხოლოდ ლოგოს — სიტყვა, არამედ ერგოს — საქმე!

და ამინ გეტყვით თქვენ: ვითარ გამოაჩინოს ხელოვანმან ბრწყინვალება მისი აზრისა, უკეთუ არ შექმნა ნივთი შემსგავსებული თვისისა სახელოვნებო ნააზრევისა?

ანუ — ვითარ საცნაურ იქმნას მენავეთმოძღვარი, უკეთუ ღელვათა შინა ზღვისათა არა გამოიცადოს?

ანუ — ვინ დაიჯეროს და ადიდოს შემმართებლობა მხედრისა, უკეთუ იგი საომარ ველზე მტერთა მრავალთა მრავალგზისად არა ეკვეთოს?

„ენ არქე ენ ჰო ლოგოს, კაი ჰო ლოგოს ენ პროს ტონ თეონ, კაი თეოს ენ ჰო ლოგოს“;

„ინ პრინციპიო ერატ ვერბუმ, ეტ ვერბუმ ერატ აპუდ დეუმ, ეტ დეუს ერატ ვერბუმ“;

„პირველითგან იყო სიტყუაი, და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“.

ჰეშმარიტადღ

მაგრამ, ოდეს იყო სიტყვაი — ლოგოს, ვერბუმ — იქვე იყო საქმე — ერგოს, რეს.

და იყო მუდამ ერთობილი და განუყოფელი სიტყვა მისი და საქმე მისი.

და იძვროდნენ სიტყვანი მისნი, ვითარცა ლამპარნი მგზნებარენი.

და იქმოდნენ საქმენი მისნი, ვითარცა ნაქმნარნი ხელითა ზენაარითა.

გააზრებასა და ნააზრევის განსრულებაში მანათობელ ლამპრად ისევ წმიდა ეფთვიმე უძღოდა გიორგის. ეფთვიმეს „ყოველნი წესნი და კანონნი და განწესებანი ესრეთ შეიტკბნა, ვითარცა პირისაგან ღმრთისა გამოსულნი და წმიდათა მოციქულთა მიერ დამტკიცებულნი“.

მაგრამ ერთხელაც ისე მოხდა, რომ ეფთვიმე მთაწმიდელის წესსა თარგმანისასა გიორგიმ ეჭვის თვალით შეხედა.

ხოლო წესი იგი, ვითარცა ზემორეთ ითქვა, იყო შემატებისა და დაკლებისა, ანუ ქართული სიტყვიერებით გამდიდრება ან გამარტივება სათარგმნელისა.

გრიგოლ ღვთისმეტყველს „ბასილი დიდის ცხოვრებაში“ სომეხთა შესახებ ასეთი რამ ჰქონია ნათქვამი:

„არა მარტივ ნათესავ ვჰპოებ სომეხთა, არამედ ფრიად დაფარულ რაიმე და ზღვისკლდე“.

ხოლო, ეს ადგილი ეფთვიმეს, მისი „შემატების წესით“ ასე ეთარგმნა:

„ვითარცა არს იგი ნათესავი სომეხთაი არა წრფელ, არამედ მზაკუარი და გულარძნილი და ბოროტი, მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი არიან დაფარულ ზღუასა შინა, და ვერ იხილვენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ, ესრეთ სხუასა იტყვიან იგინი და სხუაი უც გულსა მარადის და სარწმუნოებაი მათთანა არა არს, და რაი საკვირველ არს, უკუეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინაითგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუარ და ბოროტად აღმსაარებელ“.

ეს რომ წაიკითხა, გეევორჭი გაახსენდა გიორგის და მაშინვე

იერუსალიმიდან ეკლოგიად წამოღებულ ხმლის ნატეხს გაჰხედა.

„არა — უკეთუ ჩვენ, ქართველებმა და სომხებმა ერთმანეთის მიმართ ასე ვწერეთ და ასე ვისიტყვეთ, ხმალი იგი — ხმალი ქართველ-სომეხთა მთლიანობისა — არასოდეს თავს არ მოიყრის, არ შეიკვრის, არ გამთელდება!“

და ამის შემდგომად გიორგი ერიდებოდა სათარგმნი ტექსტიდან ძირეულ გადახვევას, გაზვიადებას ან გამარტივებას. იგი ცდილობდა თარგმნის ჟამს არც ქართული ენა დამდაბლებულიყო და არც სათარგმნი თხზულების აზრი დაზიანებულიყო...

...როგორც კი წინამძღვრობის კვერთხი აიღო, მაშინვე ღვთისმშობლის მთავარ ტაძარში ბრწყინვალე სამარტვილე ლარნაკი აღაშენა გიორგიმ. აღაშენა წმიდა ეფთვიმეს სამარხად.

და „დიდითა პატივითა, ფსალმუნითა და გალობითა, საკმეველთა სურნელებითა და კერეონთა ბრწყინვალებითა“ გადმოასვენეს ქართველებმა ეფთვიმეს სხეულებრივი ნაშთები ნათლისმცემლის ეკლესიიდან ღვთისმშობლის მთავარ ლავრაში.

კუბოს თვითონ შესდგომოდა მეწინავე მტვირთველად გიორგი.

და თავისი ხელით ჩაასვენა თავისი წმიდა წინამორბედის კიდობანი მისგანვე აგებულ სამკვიდრებელში.

მერე ეფთვიმეს მამა და ათონის სავანის დამაარსებელი წმიდა იოვანე გადმოასვენა გიორგიმ მთავარანგელოზთა ეკლესიიდან და შვილს მარჯვენა გვერდით ჩაუსვენა.

ბოლოს არსენი ნინოწმიდელისა და იოანე გრძელისძის ნაშთებიც მოიძია, ცალკე გვადრუცში მოათავსა და ისინიც ეფთვიმეს ფერხთა კერძოით ჩაასვენა სამარტვილეში.

დიდის ზარ-ზეიმით შეკრეს და აკურთხეს სამარტვილე იგი ქართველებმა, „შეამკეს ყოვლითა სამკაულითა, ხატითა და ჯვარითა, ქორაკანდლითა, სასანთლითა და ეზოითა და სხვითა ყოვლითა ბრწყინვალებითა, ვითარცა შვენოდა წმიდათა მათ“.

ამიერიდან სამი კანდელი ჩაუქრობლად და მარად მნთებარედ უნდა ნთებოდა წმიდა ეფთვიმეს...

და სწორედ მას ჟამსა მიიღო გიორგიმ მიწვევა კონსტანტინოპოლიდან.

— რაისთვის? — იკითხა მან.

— კეისარ-იმპერატორს სურს ხილვა შენი.

— უარს-ვყოფ.

— ?!

— მე ჩემი მეფეც არ მინახავს, რამდენი წელია...

ეს უპასუხა გიორგიმ და უმძიმესმა საფიქრალმა შეიპყრო უმალვე. არ იქნება და არ დაისვენებენ საერონი — კეისარი თუ მეფე, ერისმთავარი თუ ზორავარი, დიდებული თუ მცირებული, აზნაური თუ უაზნო — და თავიანთი წვევითა და მიწვევითა ჩამითრევენ სამიწიერო ამაოების მშფოთვარე ქვაბშიო. სავანის წინამძღვრობაც ფრიად ხელს მიშლის ღმრთივსულიერ წიგნთა წერაშიო.

და იმ დღესვე, რა დღესაც კეისრის წვევა მიიღო, შეჰყარა ძმანი ყოველნი, ითხოვა შენდობა და გამოაცხადა გადადგომა წინამძღვრობიდან.

იბღავლა სამწყსომ. შეუვარდნენ ფერხთა და მუხლთა მისთა, ევედრნენ, ემუდარნენ, რათა არა იჯმნას მამობისაგან მათისა, მაგრამ არ შეისმინა და გავიდა სავანიდან. გავიდა ისე, ერთი ქრთილის ოდენაც არა გაუტანია რა. ყოველი წიგნიც, რაიც ეთარგმნა, დაეწერა და შეეკაზმა — გინა სვინაქსარი დიდი, გინა სახარებაი გამოკრებული, გინა პავლე გამოკრებული, გინა კურთხევანი, გინა სტუდიელი და სხვანი მრავალნი — ყველანი ხელუხლებლად დაუტევა სავანეს.

ოღონდ ეს დაიბარა, ამ წიგნებს, როცა ეკლესიაში იხმართ, ყდისაგან ნურც მაშინ გააშიშვლებთ, რათა საკმევლის კვამლმა არ შეაწუხოსო, რამეთუ ეს წიგნები არა უდარეს სულიერნი არიან, ვიდრე ძენი კაცთანიო.

და ამბორჰყო ყოველი წიგნი, ყოველს ხელით გადაუალერსა და წავიდა.

წავიდა ისევ შავ მთას.

და მივიდა ისევ გიორგი შეყენებულთან.

განკვირდა და განცვიფრდა მოძღვარი მოწაფის უეცარი გამოცხადებით. უმალვე განცვიფრება გარისხებად ექცა — როგორ თუ სამწყსო აგრე გულარძნილად დააგდე და წამოხვედიო!

მძიმეა ჩემთვის მწყემსობა ცხვართა პირმეტყველთაო, აი-ჩემა ნამწყემსარმა, მაგრამ სიტყვა აღუკვეთა მოძღვარმა.

მძიმეაო? — აღშფოთდა შეყენებული — მაშ, რაღაისთვის თქმულა: „რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს"?

უთხრა ეს მოძღვარმა, მაგრამ მოწაფეს თითქოს აღარც გაუგონია, ისე დაძირულიყო რაღაც უძირო საფიქრალში.

გული მოულბა შეყენებულს. მივიდა და ხელი მხარზე უწვდინა ახოვან მოწაფეს, თვითონ დროისგან დაჭმულმა და დაჩიავებულმა. და შეჰღაღადა:

— ვითარცა მაცხოვარი ჩვენი ეტყოდა მოციქულსა პეტრეს, ეგრეთვე გეტყოდე შენ: „უკეთუ გიყვარვარ მე, დამწყსენ ცხოარნი ჩემნი!"

ამის თქმა და, უცებ მოირთხა მუხლი მოწაფემ მოძღვრის წინაშე.

და... წამოვიდა გიორგი ისევ შავი მთიდან ათონის მთაზე, საათონელოდ, საწინამძღვროდ.

და შეხვდნენ ისევ ცხოვარნი მისნი, სამწყსონი მისნი, მის მობრუნებამდე უმწყემსონი და უპატრონონი.

და ისევ შეუდგა ძალუმი მხრებით და ძალუმი გონებით უღელსა უმძიმესსა, რომელი იყო „ტკბილ და სუბუქ".

ვედრება ოცდამეერთე

ხოლო მეფე, რომელსაც გიორგი იტყოდა, ანუ მეფე საქართველოსი, ბაგრატ მეოთხე, ჩვენ იქ დავტოვეთ — ლიპარიტ ბალვაშისა და იოანე აბაზაისძისგან შეპყრობილი ჯაფარ ამირა რომ გაათავისუფლა.

იტკიცეს ბალვაშმა და აბაზაისძემ — როგორ თუ მეფემ ჩვენგან შეპყრობილი მტერი ჩვენს უკითხავად განუტევაო! გიორგი მეფე ამიტომ მოინელეს დიდაზნაურებმა, არავის რომ არაფერს ეკითხებოდა და ყველაფერს თავის ჭკუისად განასრულებდა. ხოლო, ბაგრატი, გვეგონა, ყრმობითვე ჩვენს ჭკუაზე გაიზრდებოდა და ჩვენის ნების თვინიერ წყალსაც არ გადაღვრიდაო, მაგრამ როგორც ეტყობა კვიცი მაინც არ იშლის თავის გვარზე ხტომასო, და ავად აიშალეს ბალანი კლდეკარისა და შიდა ქართლის მბრძანებლებმა.

მაგრამ მალე თვითონ მოინანია მეფემ, თავპატივა და მოშურნე დიდებულებმა შემაცდინესო, თორემ ტფილისის ამირა ხელიდან როგორ უნდა გამეშვაო. თუმცა ამ დაგვიანებულ სინანულსაც რაღა მადლი აქვსო და ისევ მოიხმო ტფილისზე საიერიშოდ ლიპარიტ ლიპარიტის ძე და იოანე აბაზაისძე.

აბაზაისძემ უქეიფობა მოიმიზეზა და არ გამოცხადდა, არც ლაშქარი გამოუშვა. ლიპარიტ ბაღვაში კი მოვიდა კლდეკარის ლაშქრით.

იმერეთიდანაც მოვიდა მხედრობა.

კახეთიდანაც იხმო ჯარები ბაგრატ მეფემ.

კახეთში მაშინ მეფედ იყო გაგი, კვირიკეს დისწული. თვითონ კვირიკე უკვე ცოცხალი აღარ იყო (ცოტა ადრე, ფადლონ განძელის განადგურების შემდგომ, კვირიკეს პირისპირ შეტაკებაში მოუკლავს ოვსთა მეფე ურდურე, ბაგრატ მეფის სიმამრი. სამაგიეროდ რომელიღაც „ოვს მონას“ ნადირობის დროს ზურგიდან მიპარვით მოუკლავს მეფე კვირიკე).

და ბაგრატის მოწოდებაზე გაგიმაც გამოიყვანა კახთა და ჰერთა ლაშქარი.

და მიადგნენ ქართველები ქართულ სატახტოს, საქართველოში გამოსახსნელად!

მტკვრის მარჯვენა მხრიდან კლდეკარისა და იმერეთის ჯარები შემოადგნენ ტფილისს, ისნის მხრიდან კი — კახეთ-ჰერეთის მხედრობა.

ალყა გაგრძელდა ორ წელიწადს.

კლდეკარელებმა და იმერლებმა ზედიზედ აიღეს ორბეთის და ფარცხისის ციხენი. ტფილისი გარეციხეთაგან გაშიშვლდა. სალტე მის გარშემო კვლავ უფრორე შეევიწროვდა და შემტკიცდა.

ქალაქი შიმშილმა მოიცვა.

ერთი ლიტრა ვირის ხორცი ხუთასი დრაჰკანი ღირდა.

ამირა ჯაფარ ალის ძეს უკვე გაემზადებინა ნავები და ტიები, იდუმალ მტკვარს უნდა გაჰყოლოდა და განძას მისულიყო ფადლონ ამირასთან თავშესაფარებლად.

წუთი-წუთ ქართული სატახტო ქართველებს უნდა ჩაჰბარებოდა.

მაინც და მაინც მას ჟამსა, საქართველოში სამხრეთიდან მოიჭრა ცნობა ახალ მრისხანე დამპყრობელთა შემოსევისა.

მათი სახელი — თურქ-სელჩუკიანნი.

თურქ-ოგუზნი, ანუ თურქმანნი, ადრე კასპიის ზღვის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ, უმკვიდრო, მოხეტიალე, ქოჩად მავალი მომთაბარე-მესაქონლე ცხოვრებით. მთელ სიცოცხლეს უსახლკაროდ ატარებდნენ, ცხენზე ამხედრებულნი, აგორებულ ხარდახებსა და ალაჩოყებში შეხიზნულნი. სოფელი არ ჰქონდათ და ქალაქი, მტრის შემოსევისა და დანგრევისა რომ ჰშინებოდათ. იყვნენ საუკეთესო მხედრები და თავზეხელაღებული მეომრები. და აღმოსავლურ მსოფლიოს მაშინ დაეძგერნენ, როცა არაბთა ხალიფატი დაძაბუნებულიყო და დაშლილიყო. მეათე საუკუნის მიწურულს მათმა ბელადმა, სახელად სელჩუკმა, სპარსეთი დაიპყრო და თავისი სახელმწიფო შექმნა. აქედანვე დაიწყო მისი მოდგმის და ჯიშის — თურქ-სელჩუკიანთა გავრცელება და განტბორვა ქვეყანასა ზედა.

მიიღეს მაჰმადის რჯული, დიდ სპარსულ და არაბულ კულტურასაც გემო გაუსინჯეს და „გასინჯვა" იკმარეს.

მთავარ საზრუნავად და არსებობის არსად ომი, დაპყრობა, ძარცვა-რბევა, აოხრება და მცოცავი მომთაბარული მეურნეობის განვრცობა გაიხადეს.

და იმ წელს, რა წელსაც ბაგრატ მეფე ტფილისს ალყად შემოსდგომოდა, თურქთა სულტანი შეჭნილიყო თოღრულ-ბეგი, შვილისშვილი სელჩუკისა.

ძლიერი პიროვნება ყოფილა თოღრული, ძლიერი მორწმუნეც. ყოველდღე უნაკლულოდ აღასრულებდა ყურანის ხუთივე ლოცვას. კვირაში ორ დღეს მარხულობდა. ყოველ ქალაქში და დაბაში მეჩეთს აშენებდა თავის ფეხთაზე.

და დაძრულა თოღრულ-ბეგი, დაძრულა, ხორასანი დაუპყრია ერთის ამოხვნეშით, მერე ირანი გადმოუთქერავს და სომხეთში შემოჰკრილა ცეცხლით და რკინით.

სადაც იყო, საქართველოს სამანებსაც უნდა მოსწყდომოდნენ თურქ-სელჩუკნი.

და ქართველ დიდებულებს დიდი შრომა აღარ დასჭირვებიათ, რომ ბაგრატ მეფე ამირასთან დაზავებაზე დაეყოლიებინათ.

ამირა ჯაფარ ალის ძე ისევ დარჩა ტფილისის ამირად.

თითქმის გამოხსნილი სატახტო ქალაქი ისევ არაბებს შეატოვა ხელში ბაგრატმა.

და ყველაზე უარესი ის აღმოჩნდა, რომ მეფემ ზავი ჯაფართან ისევ ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბაღვაშის დაუკითხავად შეკრა.

— ეგეც შენ, ეგეც შენო, ნიშნი მიუგო იოანე აბაზაისძემ ლიპარიტს; ახლაც აღარ ირწმუნო, გველის კვერცხიდან რომ მტრედი არ გამოიჩეკებაო.

ლიპარიტს გახელება რაღად უნდოდა, ისედაც ცოფებს ჰყრიდა ბაგრატ მეფის თვითნებობით ადუღებული (იგი მეფის დამოუკიდებლობას „თვითნებობას“ ეძახდა).

და ავიდა იმ დღეს ლიპარიტი კლდეკარის უმაღლეს გოდოლზე, მიმოატრიალა თვალი ქვეყნის ყოველი კუთხით და ამოანთხია ბოღმით ატანილმა სიტყვანი ნაბოღმარნი:

— მე აქ ვდგავარ, ყველაზე მაღლა, ყველაზე ახლოს უზენაესთან, აქედან ვხედავ საქართველოს უმეტეს სივრცეს როგორც ხელისგულს, და კლდეკარი ქუთათისს რაისთვის უნდა ემონებოდეს? იდგნენ და მეფობდნენ საქართველოში: ქართლოსიანნი, ფარნავაზიანნი, ხოსროიანნი, ბაგრატონიანნი და... იქნებ არც ბაღვაშიანებს აწყენოს ქართულმა ტახტმა და გვირგვინმა?..

და წარემართა ლიპარიტ ბაღვაში კოსტანტინოპოლს. იქ იოანე ბანელი ეგულებოდა, ადრე ბაგრატ მეფისგან განრისხებული და ვაჩე კარიჭისძესთან ერთად ბიზანტიონს შეხიზნული.

არ გაჰკვირვებია იოანე ბანელს კლდეკარის ერისთავის მისვლა.

მოლალატეს ღალატი როგორ გაუკვირდება!

ან გასაკვირვალი რა უნდა იყოს, როცა კაცმა ისიც არ იცის, რას შეიძლება ერქვას „ღალატი“! თუ საქართველოს ღალატზე ვამბობთ, ჩვენ საქართველოს ხომ არ ვღალატობთ, ჩვენ მხოლოდ ვებრძვით ბაგრატ მეფეს.

და, რაკი ვებრძვით ბაგრატ მეფეს, ჩვენ ვიბრძვით სწორედ საქართველოს საკეთილდღეოდ!

და თუ დავამხობთ ბაგრატ მეფეს...

— მის მაგივრად ვის აყვანას აპირებთ ტახტზე? — უცებ იკითხა იოანე ბანელ-ყოფილმა.

ენა ჩაიქვავა ლიპარიტ ბაღვაშმა.

— ალბათ, გიორგი, ყრმა უფლისწული, — თვითონვე თქვა იოანემ.

— გიორგი? — იყმუვლა ერისთავმა.

— მაშ, ვინ, თუ არა ისევ იამავარი ძე ბაგრატისა?

— მერე რა მოგვცა მამისგან შვილზე მაგნაირმა მონაცვლეობამ. გვეგონა, გიორგი პირველს თუ მოვიშორებდით, ბაგრატ გიორგის ძეს ჩვენს ჭკუაზე გამოვზრდიდით, მაგრამ ბაგრატი გიორგიზე უარესად გადაგვემტერა. ახლა ბაგრატი დავამხოთ და მისი ძე დავსვათ, გიორგი მეორე — ვინ იცის, რომ ეს ბიჭიც მამაზე და პაპაზე უარესი ძაღლთაპირი არ აღმოჩნდება? — უეფდა ერისთავთერისთავი.

— მაშინ შენი განაზრახი წარმოგვიჩინე, — უთხრა იოანემ.

— ბაგრატიონთაგანი სხვა აღარავინ მეგულება, და... თქვა ვითომ სინანულით ლიპარიტმა და სიტყვა უმალვე წაიწყვიტა.

იოანე მიხვდა, რა შემპარავად იწყებდა სათქმელს კლდეკარელი და თითქოს დამფრთხალმა მაშინვე სიტყვა გადაუბა:

— ბაგრატიონთაგან აღარავინ მეგულებაო? აბა, დემეტრე ვინღა ყოფილა?

— დემეტრე? ეს, რომელი? — შეხტა ლიპარიტი.

— დემეტრე, ოვსის ქალისგან რომ დარჩა გიორგი მეფეს.

— ჰოოო, დემეტრე... დემეტრე... — აღმოხდა ერისთავთერისთავს.

— სწორედ, დემეტრე, ძე გიორგი მეფისა, მამით ძმაი ბაგრატ მეფისა, — გაიმეორა იოანე ბანელმა.

— ჰოოო, გავიგე, გავიგე... და სად არის ახლა დემეტრე უფლისწული? — იკითხა ბოლოს ლიპარიტმა.

მე შეგახვედრებო, უთხრა იოანემ.

და შეხვდნენ ერთმანეთს: დემეტრე გიორგის ძე, დედამისი ალდე, ლიპარიტ ბაღვაში, იოანე ბანელი და კიდევ სხვანი ქართველნი, სამშობლოდან განრინებულნი.

და ხანგრძლივი ბჭობის შემდგომ, ყველანი ერთად წარემართნენ კეისარ კონსტანტინე მონომახოსთან შესახვედრად...

...თურქ-სელჩუკები კი ამჯგრად საქართველოსკენ არ წამოსულან და ბაგრატ მეფემ მამამისის დროს განდგომილი კახეთ-ჰერეთის შემოერთება გადაწყვიტა.

მან წინასწარ გადმოიბირა კვირიკე მეფის სიძე, დის ქმარი,

აშოტ მარიელი, და ხახვილა ჯვარისციხელი. მას უკან საომრად შეუხდა კახეთს, მიქელ-გაბრიელის მთასთან დაამარცხა მეფე გაგი და ტყვედ წამოიყვანა სამი ერისთავი — სტეფანოზ ვარჯანისძე პანკისელი, ვაჩე გურგენისძე ხორნაბუჯელი და ჯედი შტორელი.

იქიდან თიანეთს გადავიდა ბაგრატი და დაწვა კვირიკე მეფის დიდებული სასახლე ბოდოჯისა.

კახეთის შემოერთების საქმე თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ლიპარიტ კლდეკარელის გამოსვლის ამბავი შეიტყო მეფემ.

ბაგრატზე გადამტერებულ ერისთავთერისთავს ბიზანტიიდან დემეტრე გიორგის ძე ჩამოუყვანია ბიზანტიური ლეგიონებით, სხვა დიდაზნაურებიც მიმხრობიან საქართველოს ტახტის მაძიებელს. ბიზანტიელები შემოსევიან ქართლს და მოსდგომიან ატენს.

კახელებიც შეუერთდნენ აჯანყებულ კლდეკარელს და მისგან ანარჩევ ხვალინდელ მეფეს.

ატენის კედლებთან მძიმე ბრძოლა გაჩაღდა.

აქ კიდევ ორმა ერისთავმა უღალატა ბაგრატ მეფეს — ფარსმან თმოგველმა და ბეშქენ ჯაყელმა თუხარისელმა.

მაგრამ მაინც მტკიცედ იდგნენ და თავგამოდებით ერთგულობდნენ ბაგრატ მეფეს ატენის დამცველნი. ბიზანტიელები ვერაფერს გახდნენ და ნაადრევი ზამთრის მომიზეზებით, კონსტანტინოპოლს გაბრუნდნენ.

დემეტრე გიორგის ძეც თან გაჰყვა უკუქცეულებს.

ლიპარიტ კლდეკარელი ფრიად შეაფიქრიანა მოკავშირეთა წასვლამ და დემეტრეს გაქცევამ.

და ითხოვა შერიგება ბაგრატ მეფესთან.

ბაგრატმა შეირიგა და კლდეკარის ერისთავადაც დატოვა იგი, ოღონდ სამაგიეროდ ერთი ძე, ივანე, მძევლად ჩამოართვა მეფემ ლიპარიტს.

იმავე წელს ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე მონომახოსმა კონსტანტინოპოლს მიიწვია და დაატყვევა სომხეთის ახალგაზრდა მეფე გაგიკ მეორე. ანისის წმიდა მამებმა და ბერებმა, სომხეთის დედაქალაქის იმჟამინდელმა მესვეურებმა, ანისი მფარველობისთვის ქუთათისის სასახლეს შეავედრეს. ბაგრატმაც ანისში ქართული ციხიონი ჩააყენა, აბუსერ არტანუჯის ერისთავის მოთავეობით.

მას უკან ბაგრატ მეფე აფხაზეთს გადავიდა და მიადგა ქალაქ ანაკოფიას, რომელიც ადრე მისმა მეტოქე ნახევარძმამ, დემეტრემ, ბიზანტიელებს გადასცა.

ის იყო, მეფემ ანაკოფია უკვე „მისწურა წასაღებად“, რომ ტფილისიდან იქაური ბერები ეწვივნენ, ამირა ჯაფარ ალის ძის სიკვდილი აუწყეს და სასწრაფოდ ტფილისის დაბერა შესთხოვეს.

ბაგრატმა ანაკოფიის აღება ერთგულ სარდალს, ოთაღო ჯაჯას ძეს ქვაბულელს მიანდო. თვითონ სასწრაფოდ ქუთათისს გაჩნდა და ახალი ლაშქარი შემოიყარა.

კვლავ ეწვივნენ ტფილისელები და კვლავ აწვიეს ხელმწიფე ტფილისს.

დიღმის ველზე გამოეგება ხალხი ბაგრატ მეფეს.

მოედინებოდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი, „ერი ყოველი“, დიდებულნი და მდაბიონი, დარბაზის ერნი და ბერფიჩოსანნი, „და იყო ხმა ბუკთა და დუმბულთა ორკერძოვე საშინელი, რომლისა ხმითა იძრვოდა ქუეყანა; და იყო სიხარული ორკერძოვე გასაკვირველი“.

ფიანდაზად ნაფენი გზით მიიყვანეს ბაგრატ მეფე ტფილისის კარიბჭესთან.

და მოართვეს კლიტენი ქალაქისანი.

და შევიდა საქართველოს სატახტოში ქართველი მეფე.

და შებრძანდა სასახლეში, სადაც ოთხასი წელიწადი ისხდნენ მუსლიმი დამპყრობელნი.

და არ შორდებოდა თვალთაგან ბაგრატს ლანდი მოძღვრისა, გიორგი ათონელისა. არც მისი გრძნეული ხმა სტოვებდა ყურთასმენას:

„მუდამ გახსოვდეს, ტფილისი თავი არს საქართველოსი — თავი, გინა აზრი, ისე ვითარცა გული — ქუთათისი, საფეთქელი — მცხეთა“.

„და არა ვიწამო, ვიდრე თვალითა არა ვიხილო“.

„და აწღა ვიწამე, რამეთუ ვიხილე — საქართველოს დაუბრუნდა თავი მისი, აზრი მისი — ტფილისი“.

„და, გიხაროდეს, მოძღვარო ჩემო!“...

ტფილისის ციხის ყოველი კოშკი და გოდოლი პირადად ჩაიბარა და შიგ ციხიონები ჩააყენა მეფემ.

მხოლოდ ისანი გაუძალიანდა ბაგრატს.

ხიდი ჩაანგრიეს მტკვარზე ისნელებმა.

ბაგრატმა საიერიშო ტარანნი და ფილაკავანნი მიაყენა ისანს და ისრის მერეხი დაუშინა, ვითარცა მეხის წიწილა.

ბრძოლა გაჭიანურდა.

მაშინ ისნის ველზე ბაგრატ მეფეს ეწვია და ეთაყვანა კახეთის ბატონი გაგი, გოდერძის ერისთავთერისთავისა და წარჩინებულ კახთა ამალით.

მაშ, ბაგრატმა კახელებთან მტრობა თავიდან მოიშორა, მაგრამ ზაფხულის მიწურულს, ისანზე იერიშების დროს, მაინც მოხდა ის, რაის ფიქრიც განუშორებლად აწვალებდა მეფის გონებას.

თურმე ისევ ამხედრებულა ლიპარიტ ერისთავთერისთავი, ანისს მოსულა ქვეგამხედვარად, ვითომ სათათბიროდ მიუწვევია ბაგრატისგან იქ დადგენილი აბუსერ არტანუჯელი და მასთან სხვა დიდგვაროვანი წარჩინებულნი — ივანე ერისთავი, ივანე დადიანი, ბეჭის-ციხის პატრონი გვარამ გოდერძის ძე — და უეცარი ტყვედ აუყვანია მუხანათური დაცემით.

ქართველთა ამჯერადი ურთიერთმტრობით უსარგებლია სომეხთა კათალიკოსს, პეტროსს, და ანისი ბიზანტიისთვის მიუყიდნია.

საშინლად გულშეძრულმა ბაგრატ მეფემ ისანსაც თავი მიანება, სრულიად ტფილისიც მიატოვა და თავისი მხედრობით სასწრაფოდ ჯავახეთისკენ წარემართა.

დარჩა საქართველო ისევ „უთავოდ", ოდენ „გულისა" და „საფეთქელის" ამარად.

„ნუღარ გიხაროდენ, მოძღვარო ჩემო!"

„ღალატი ჰყვავის საქართველოში, ღალატი ბარტყობს ღალატის საბარტყეში".

„ემღერებათ და მღერიან, ეღალატებათ და ღალატობენ".

„ნუ გიხაროდეს, ნუ გიხაროდენ!"..

...ღრტილას დაიბანაკა ბაგრატ მეფემ.

მაწყვერელმა მესხთა ლაშქარი აახლა.

ლიპარიტიც გამოჩნდა თავის მხედრობით.

ლიპარიტი გამოჩნდაო?!

მაშინვე მაწყვერელმა მესხთა ჯარით მიატოვა მეფის ბანაკი და შეუერთდა კლდეკარის ერისთავს.

საქართველოში ღალატი ვის გააკვირვებდა, მაგრამ აწყუ-

რის ეპისკოპოსის საქციელმა სწორედ განაცვიფრა ბაგრატი, ან მოსულა რა იყო, ან წასულაო, — ეცინებოდა ცოფიანად.

კლდეკარის ერისთავს კახელები და სომხები მოსდევდნენ მაშველ ძალებად.

გუშინ ჩემი მოყვრები იყვნენ, დღეს — მომტერენი. ჰაი გიდი!..

საომარი დღეც მოინიშნა, მაგრამ წინ ღამით ცამ ნაადრევი თოვლი ჩამოჰყარა, თოვლს საშინელი ქარბუქი მოჰყვა და ძმათაშორისი სისხლისღვრა აღარ შესდგა.

მეფე გამოსაზამთრებლად შიდა ქართლს შევიდა.

ლიპარიტი კლდეკარს შებრუნდა.

მოიწია არე გაზაფხულისა.

კვლავ განიგდო ბუნებამ პერანგ-როპანაგი ნაზამთრალი სიკვდილის სუნიანი.

ლიპარიტ ბაღვაშს კი კვლავ გამოეხმო ბიზანტიიდან დემეტრე გიორგის ძე, რომელსაც დიდძალი მხედრობა და მდიდარი განძეულიც ჩამოჰყოლოდა.

დედაც მოსდევდა დემეტრეს, ახალნაშობი ვაჟიშვილიც, სახელად დავითი, რომლის დედაც მისსავე მშობიარობას გადაჰყოლოდა.

(ერთ სახელგანსმენილ ღაზარინელს ეწინასწარმეტყველებინა ახალშობილისთვის — შენს გვარში, შენი თესლის და შენი სახელისა, მესამე დავითი, მიემთხვევა ყველაზე მაღალსა და ბედნიერ საწუთისოფლოსო).

ისევ შეერთებოდნენ კახელები და სომხები ლიპარიტს.

ქართველი დიდებულებიც ორად გათიშულიყვნენ: ერთნი მეფეს მხარს უდგნენ და ჯერჯერობით არ ღალატობდნენ, მეორენი — კლდეკარის ერისთავსა და ტახტისმაძიებელ უფლისწულს შერთვოდნენ.

იოანე აბაზაისძე ყველაზე მტკიცედ დამდგარიყო მეფის მომტერეთა ბანაკში.

ისევ აჯობა ცბიერებით ქვეშევრდომმა თავის მეუფეს. რაკი ლიპარიტის მცირეწლოვანი ვაჟი, ივანე, მეფეს მძევლად ჰყავდა, წინასწარი მოლაპარაკებით და შეთანხმებით, ლიპარიტმა მისგან დატყვევებული აბუსერ ერისთავი ბაგრატს გაუგზავნა და მის სანაცვლოდ შვილი მძევლობიდან გამოიხსნა.

ისე გამოდიოდა, ჯერჯერობით მეფე ქვეშევრდომის ნებასურვილს მისდევდა, განუსჯელად და უანგარიშოდ.

ბრძოლის დღეც მოახლოვდა.

მეფეს გულით არ ეწადა ბრძოლა. არ ეწადა არა იმიტომ, რომ ეშინოდა, არამედ სისხლი ეცოდებოდა — მოძმეთა ხელით დაქცეული მოძმეთა სისხლი.

ისევ შერიგება უნდოდა მეფეს.

მე გამიშვი, ერთსაც მე ვცდიო, უთხრა ქირქიშ აბულახტარმა, ერთგულმა მეხმლემ.

(საწმართულოში რომ მორიელები უშმაშურებდნენ).

მეფეს ურწმუნოდ გაეცინა, მაგრამ მაინც უთხრა წადიო. და წავიდა ქირქიშ.

დემეტრე უფლისწულის კარავში შეყრილიყვნენ ბაგრატ მეფის მომტერენი.

იოანე აბაზაისძე გამოიხმო ქირქიშმა და იმას შეჰყვა კარავში.

შუაღამისას მობრუნდა მეფის ბანაკში ქირქიშ აბულახტარი.

ბრძოლის თავიდან აშორება აღარ მოხერხდებაო, მოახსენა მეფეს. ნანობდა, რომ ვერაფერს გახდა და სათაყვანო მეუფე ვერ გაახარა.

მაგრამ ვინ იცის, მაინც რა მოხდება ამაღამ, რადგან წუთისოფელი ეგზომ აღსავსეა მოულოდნელობითო, ამასაც ამბობდა აბულახტარი.

გათენდა.

და, უფლისწული, საქართველოს ტახტის მაძიებელი დემეტრე გიორგის ძე, მისსავე კარავში მკვდარი იპოვნეს.

მორიელს დაეკბინა:

მარცხენა საფეთქელზე,

მარჯვენა ყელზე,

მარცხენა ძუძუზე,

მარჯვენა თეძოზე,

მარცხენა საურველზე,

მარჯვენა ბარძაყზე,

მარცხენა კოჭის კვირისტავზე.

(დემეტრეს დედა ალდე და ყრმა უფლისწული დავით დემეტრეს ძე კლდეკარს იყვნენ მაშინ).

მკვდარი იყო დემეტრე გიორგის ძე.

მაგრამ ტახტის უიღბლო მაძიებლის მოულოდნელმა სიკვდილმა ვერ შეაყენა ბრძოლის ველზე საჭირითოდ აღმართული სიკვდილის ცელი.

ლიპარიტმა მიცვალებული ბანაკს იდუმალ. განაშორა და საომარი განგაში ბრძანა.

და მოხდა ბრძოლა — მოხდა „თავსა სასირეთის ჭალისასა".

და ბაგრატ მეფის ბანაკი დამარცხდა.

ბევრი მისი თანამებრძოლი ტყვედ წაიყვანა გამარჯვებულმა კლდეკარელმა, მათ შორის ისევ აბუსერ ერისთავი.

მეფე დანარჩენ ქვეშევრდომთა განდგომას შეუშინდა და ლიპარიტთან კვლავ შერიგება გადაწყვიტა.

იგი ცხენოსანთა მცირე რაზმით გაეშურა ხოლეს, სადაც მაშინ იდგა ლიპარიტი.

მაგრამ გამარჯვებით გაკადნიერებულმა ერისთავმა არ ინება მეფესთან შეხვედრა. არ ინება, ცხენს მოახტა და ხოკლედან კლდეკარისკენ გაჭუსლა.

ბაგრატსაც ისღა დარჩენოდა ქუთათისს გაბრუნებულიყო.

იმავე წელს სულა კალმახის ერისთავმა, გრიგოლ აბუსერისძე არტანუჯის ერისთავმა და სხვა მესხმა აზნაურებმა მეფე ისევ შეაგულიანეს და ლიპარიტის წინააღმდეგ ხელახლა აღეგბინეს ხელში მახვილი.

ბაგრატი ქუთათისიდან წარემართა, რკინისჯვარი გაიარა და ერთგულ აზნაურებს არყის ციხესთან შეხვდა.

მერე რა გამოვიდა!

ლიპარიტ ბაღვაშს ყოველივე წინასწარ კარგად სცოდნია მოპირდაპირეთა განაზრახისა.

და უგრძნეულად დაეცა იგი არყის ციხეს.

დაეცა და ისევ მოიგო ბრძოლა კლდეკარის ერისთავმა.

მოიგო და ბევრი ტყვეც წაიყვანა, მათ შორის ორივე ერისთავი — სულა კალმახელი და გრიგოლ არტანუჯელი.

სულას ლიპარიტმა კალმახის საერისთავოს წართმევა დაუპირა, მაგრამ ვერც თხოვნით, ვერც მუქარით და ვერც ტანჯვით თანხმობა ვერ დააცდენინა.

სამაგიეროდ გრიგოლ აბუსერისძე აღმოჩნდა სულმოკლე: სიკვდილის მუქარით დაშინებულმა დათმო არტანუჯი.

მიიწევდა მაღლა და მაღლა ლიპარიტ ერისთავი.

ბიზანტიის სასახლის კარი ზურგს უმაგრებდა, კეისარი თავის მოკავშირედ და მეგობრად თვლიდა.

(თითქოს ბაგრატ მეფე აღარც არსებობდა ამ ქვეყანაზე).

იმავე წელს ლიპარიტმა კეისრის საამებლად, დვინი დალაშქრა, მეზობელი სომხები ააწიოკა და თანამემამულეთა სისხლისღვრასაც არ მოერიდა.

მომდევნო წელს თურქ-სელჩუკთა სარდალი იბრაჰიმ ალიმი წამოემართა დიდის მხედრობით. სრულიად დაიპყრო და ააოხრა სომხეთი. ბასიანში შეეტაკნენ მას კეისრის ლეგიონები. ლიპარიტ ლიპარიტის ძე აწვია ლაშქრად იმპერატორმა.

(თითქოს, ბაგრატ მეფე აღარც არსებობდა ამ ქვეყანაზე).

ბრძოლა შაბათ დღეს მოხდა. შაბათი ლიპარიტს ცუდად ჰქონდა დაცდილი, შავსა და კვიმატ დღედ მიიჩნევდა და ბრძოლის გადადებას ითხოვდა. მაგრამ ბიზანტიელთა მთავარსარდალმა, კევკამენოსმა, არ დაუჯერა და ბრძოლა მაინცა და მაინც იმ დღეს გაუმართა სელჩუკებს.

სელჩუკებმა გაიმარჯვეს, კეისრისა და ლიპარიტის ჯარები გააქციეს.

თვითონ ლიპარიტს, ცხარე ხმალთაკვეთების ჟამს, ლაჯებში ცხენი გამოუკლეს, ძირს დაცემულს თურქი მეომრები წამოესივნენ, შეიპყრეს, აიტაცეს და გაიტაცეს.

ბორკილგაყრილი ერისთავი ხორასნის გზას გაუყენეს, სულტან თოღრულ-ბეგის ძღვნად.

ბაგრატ მეფეს კი ლიპარიტ ბაღვაშის ტყვეობით დიდი სიხარული ეწვია.

განდგომილმა აზნაურებმა, სანამ გვიან არ არისო და, სასწრაფოდ ისევ მეფესთან ყმობასა და მორჩილებას შემოუბრუნდნენ.

დაასწრეს და მეფის მფარველობა ითხოვეს თვითონ ლიპარიტ ერისთავის ვაჟებმა, ივანემ და ნიანიამ, რომლებიც მაშინ უფლისციხეში მდგარიყვნენ.

ბაგრატმა უფლისციხე აიღო, ივანე გაათავისუფლა, ხოლო ნიანია მძევლად დაინარჩუნა.

თურქ-სელჩუკთა მოწოლა კი არა წყდებოდა. კონსტანტინე მონომახოსმა აღმოსავლეთში ახალი ლეგიონები გამოგზავნა თურქთა ახალი იერიშების აღსაკვეთად.

ახლა, როცა ბაღვაში აღარ იყო, ბიზანტიის კეისარმა თანადგომა ბაგრატ მეფეს თხოვა.

გულქართლმა მეფემ წყენა ისევ არ გაიხსენა და ჯარები შემოიყარა ბიზანტიელთა მისაშველებლად.

ბიზანტიელთა და ქართველთა ერთიანმა მხედრობამ ბეწვზე მიუსწრო თურქთა ალყისგან დაძაბუნებულ და დაცემის პირზე მიმდგარ განძას.

თურქები ამჯერად უკუიქცნენ.

იმავე წელს ისევ მიიწვიეს ტფილისელებმა ბაგრატ მეფე ქალაქის დასაკავებლად.

ისევ შევიდა ქართველი ხელმწიფე საოცნებო სატახტოში.

„და იყო სიხარული და მშვიდობა დიდი!"

„გიხაროდენ, მოძღვარო ჩემო, გიხაროდენ, ვინათგან ისევ დაუბრუნდა საქართველოს თავი მისი და აზრი მისი!"

მაგრამ უდღეური გამოდგა „სიხარული ესე" და „მშვიდობა ესე".

არ იქნა და არ დაისვენა ბიზანტიის კეისარმა, სანამ ლიპარიტ ბაღვაში ტყვეობიდან არ გამოიხსნა.

და სამწლიანი ტყვეობიდან ბრუნდებოდა ლიპარიტ კლდეკარის ერისთავი საქართველოში.

და ის იყო ანისს მოატანა ლიპარიტმა, რომ ბაგრატ მეფე ტფილისიდან სასწრაფოდ გავიდა, ქართლის გზა გაიარა და ჯავახეთს დადგა.

დადგა და დაელოდა თავის ქვეშევრდომს მეფე.

ქვეშევრდომი კი მეუფესთან არ გამოცხადდა.

იგი პირდაპირ კონსტანტინოპოლს ჩავიდა, კეისარ კონსტანტინე მონომახოსს ეახლა, ტყვეობიდან გამოხსნისთვის მუხლები დაუკოცნა და, ბოლოს, ახალი საომარი ძალები გამოსთხოვა ბაგრატ მეფის დასაკნინებლად და დასამცირებლად.

დიდი საფრთხე შეექმნა ბაგრატ მეოთხის გვირგვინოსნობას. ნახევარი საქართველო წაერთმია მისთვის ლიპარიტ ბაღვაშს. თითქოს აღარავითარი საშველი აღარ უჩანდა ბაგრატს.

და სწორედ ახლა ერთადერთ საშველად ქართველთა გვირგვინოსანმა თვითონაც კონსტანტინოპოლს წასვლა და ადრე მისგანვე გაწბილებული კეისრის წინაშე ქედის დადრეკა მიიჩნია.

/ ტრაპეზუნდს ჩავიდა ბაგრატი და იქიდან შეუთვალა კონსტანტინე მონომახოსს, შენთან შეხვედრა მწადიაო.

მობრძანდით, ძალიან სწრაფად მოვიდა პასუხი.

წასასვლელად აემზადა მეფე. ქუთათისს, ტახტზე, მცირეწლოვანი ძე დატოვა — გიორგი უფლისწული. პატრონად და მზრუნველად — ცოლი, დედოფალი ბორენა, და უფროსი ასული გურანდუხტი დაუყენა. ხოლო დედა — მარიამ დედოფალი და ასული — მართა თან წაიყვანა კონსტანტინოპოლს.

მართა მისი უმცროსი ასული იყო, საკვირველად ლამაზი ბავშვი. გამორჩევით უყვარდა იგი მამას. სახელიც დისა დაერქმია ბაგრატს, მისგანვე გაუბედურებული დისა — კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანილმა კუბკუმამ რომ დაჰლუპა საცოდავი მართა. მას შემდგომ დამნაშავედ მიაჩნდა თავი ბაგრატს. ამიტომ შვილს რომ მართა დაარქვა, ეგონა მცირედად მაინც გამოისყიდა ის უნებლიე დანაშაული, ვერაგთა ქვეყნიდან ჩამოტანილი საჩუქარი სიკვდილად რომ გადექცა მის საყვარელ დას.

და წავიდა ბაგრატ მეფე კონსტანტინოპოლს, დედით, ასულით, ამალით.

ვედრება ოცდამეორე

მსოფლიოს ჭიპი ფეხზე დააყენა ქართველი მეფის ჩამოსვლამ. მთელი ქალაქი გამოეფინა მის სახილველად. მთავარი ქუჩა წმიდა ბარბარეს კარებიდან საღვთო კონსისტორიონამდე ხალხით გაივსო და გაიჭედა.

მართლა რა დიდებული ვაჟკაცი ყოფილა ბაგრატ მეფე!

რა ღვთაებრივად ლამაზი!

რა უღვთოდ ლამაზი!

უფრო მშვენიერი კაციშვილი შეუძლებელია დააბიჯებდეს დედამიწაზე!

არამცთუ სხვა კაციშვილი, უფრო მშვენიერი ქართველიც კი აღარ იქნება ქვეყნიერებაზე.

ანთრაკა გაეხსნა და გაუხელდა ქართველი მეფის მხილველ როსკიპთა სამყაროს.

ვინძლო ერთი ღამე მაინც იყოს ის ჩემი!..

ვინძლო ერთი წუთი...

ვინძლო ძილში ძილისშორისად მაინც ჩამყვებოდეს!..

ზარ-ზეიმით მიეგება ქართველებს თვითონ საიმპერატორო კარი.

და — შეხვედრა საღვთო კონსისტორიონში.

კეისარი ბიზანტიისა კონსტანტინე მეცხრე მონომახოსი და მეფე საქართველოსი ბაგრატ მეოთხე.

წინასწრობილი გაელვება ბიზანტიელის გონებაში: მართლა რა მშვენიერი ვაჟკაცი ყოფილა მეფე ქართველთა!

წინასწრობილი გაელვება ქართველის გონებაში: მართლა რა მშვენიერი ვაჟკაცი ყოფილა კეისარი მონომახოსი.

ტახტიდან წამოიწია და ისე მიეგება კეისარი მეფეს.

საოცრად დაშვენდნენ ერთმანეთს.

თვალი რომ თვალში გაუყარეს, კონსტანტინეს გაუელვა: მართლა ალექსანდრე მაკედონელის თვალები ჰქონია, თვალი შავი და თვალი ლურჯი. ალექსანდრე მაკედონელი ტანმორჩილი იყო, ეს კი ტანად ჩემზე უმაღლეს უნდა იყოსო.

ხელი რომ ხელს მისცეს, ბაგრატს გაუელვა: მართლა ძლიერი ხელი ჰქონია კეისარსო.

ხელის მოჭერას დაჩვეული იყო კეისარი, მაგრამ ქართველ მეფეს მაინც ვერ აკადრა ჩვეული „ხუმრობა“:

საყვედური მაქვს სათქმელიო, დაიწყო კონსტანტინემ, დასაწყისშივე რომ უგულებელჰყავ ჩემი თხოვნა და არ მეწვიე სტუმრად კონსტანტინოპოლსო.

იღიმებოდა მშვენიერი ღიმილით კეისარი და რეცა საყვედური მისი იყო საყვედური ძმისა, ანუ მეგობრისა დიდი ხნის მეგობრისადმი.

მეკუთვნის ეგ საყვედურიო, მაგრამ ნება მომეცი მეც კრძალული საყვედურითვე გიპასუხოო, შეაგება ბაგრატმა — შენ, ეგზომ დიდმა ხელმწიფემ, მეც, ხელმწიფეს, ჩემივე ყმა და მონა ისე გამითამამე, აღარც ჩემს მეუფებას ცნობს და, უკეთუ შეიძლო, სასიკვდილოდაც აღარ დამინდობსო.

ქვეშევრდომთა ურჩობა მეფის სიმაღლის ჩრდილიაო, სთქვა კონსტანტინემ.

ჩრდილი კი არა, სისუსტეაო, ჩამოართვა ისევ ბაგრატმა, განა თავს ვიმართლებ, მაგრამ მე მხოლოდ ის უნდა გავიმეორო, რომ შენი დახმარების გარეშე ლიპარიტ ბაღვაში თავის

ბოლმაში ჩაიხრჩობოდა და ჩემს წინააღმდეგ ხელის გამოღებას თავის დღეშიც ვერ გაბედავდა.

ქვეშევრდომის ურჩობა მაინც მის მბრძანებელს უნდა დაბრალდესო, ისევ გაიმეორა კეისარმა, ისევ პირღიმილიანმა.

უკეთუ აგრე განვსაჯეთ, მაშინ მბრძანებლის საბრალობელი ყოფილა აჯანყებანი იტალიის კატეპანის, მანიაკისა, მას უკან თვითონ მანიაკის მძლეველის სტეფანე ბიტორიტისა, მერე — სერბიის ყოფილი კატეპანის ლეონ თორნიკესი, — ჩამოთვალა ბაგრატმა.

ეს რომ მოისმინა, ღიმილი გაუშრა სახეზე კონსტანტინე კეისარს. ერთხანს სდუმდა და ფიქრობდა, მერე უთხრა სტუმარს: აი, ხომ ჰხედავ, შენ ერთი ლიპარიტ ბაღვაში აგიჩემებია, მე კი რამდენი ლიპარიტზე უარესი მოსისხლე გადამკიდებია დანასისხლადო.

მაგრამ ღვთის მადლით შენ ყველა სძლიე და საკადრისიც შიუხლე, მე კი ის ერთი ლიპარიტი ამდენ ხანს ვერ მოვითვინიერე და ვერ მოვიარშიე, რადგან...

კარგი, ვიკმაროთ საყვედურებიო — გააწყვეტინა კონსტანტინემ ბაგრატს — ახლა შერიგებაზე ვიფიქროთო.

და შემოიყვანეს კეისრის ბრძანებით ლიპარიტი.

შემოვიდა იგი, ისევ ამაყი და მზერაგაუტეხელი.

ბაგრატისკენ ერთიც არ გაუხედავს, ისე პირდაპირ წარემართა კეისრისაკენ.

მაგრამ კონსტანტინემ დაასწრო, სანამ მის წინ დაემხობოდა ერისთავი, და ანიშნა, შენს მეუფეს ეახელ და ეთაყვანეო.

შემოტრიალდა ლიპარიტი, წამით ესროლა მზერა ბაგრატ მეფეს, და რადგან მის სახეზე უძრავი სიცივის მეტი ვერაფერი ამოიკითხა, უეცრად ღაწვებზე სისხლმა გადაუარა.

„ესე არს ცოფი“, გაუელვა მეფეს.

„საკოცნელად ხელსაც არ მაძლევს“, გაუელვა ერისთავს.

ხოლო ბაგრატმა მკერდზე მჭიდროდ დაჭდობილი ხელები არ დაშალა და ქვეშევრდომის სანიშნოდ, მარჯვენა ფეხი წინ გაუცურა.

მძიმედ მოიყარა მუხლი ლიპარიტ ბაღვაშმა, ხელებზეც დაეცა და დაოთხილმა წამით ამბორჰყო ფეხი ბაგრატ მეფისა.

და წამითვე წამოიჭრა ფეხზე.

სისხლის წვეთი ჩამოჟონვოდა ქვედა ტუჩზე ერისთავს.

მისცდა ბაგრატი: ფეხზე რომ კოცნა ვერც ვიგრძენი, ტუჩზე სისხლს მისივე კბილების მეტი რა დაადენდაო! და, თითქოს შეეცოდა უსაზღვრო სიცოფით ტუჩდაკბენილი ქვეშევრდომი.

და შეარიგა ბიზანტიის კეისარმა ქართველი მეფე და მისი ყმა.

ლიპარიტ ბაღვაშში ამიერიდან „კუბოს ფიცრამდე" აღიარებდა ბაგრატ მეფის სრულ მეუფებას და პატრონობას. სამაგიეროდ ბაგრატ მეფე თავის ქვეშევრდომს საბატონოდ აძლევდა მთელს მესხეთს და მძევლობიდან ათავისუფლებდა ლიპარიტის უმცროს ძეს, ნიანიას.

შერიგდნენ, შეიფიცნენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

იგრძნო ლიპარიტმა: ტუჩები ცხელი ჰქონდა მეფეს.

იგრძნო ბაგრატმა: ტუჩები ცივი ჰქონდა ყმას.

სასახლიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე საქართველოსკენ გასწია ლიპარიტ ბაღვაშმა.

ბაგრატ მეფე კი კეისართან დარჩა.

ვედრება ოცდამესამე

კიდევ ხომ აღარაფერი დაგრჩენია სასაყვედუროო, ჰკითხა სიცილით კონსტანტინემ.

საყვედურად არა, მაგრამ ერთი გულსატკივარი კი უნდა გაგიმხილოო— უთხრა ბაგრატმა და მაშინვე დასძინა: წმიდა მთის, ათონის ქართული სავანე, კარგად მოგეხსენება, რამდენჯერ აიკლეს და იავარჰყვეს ბერძნებმა, ხოლო შენი ღვთაებრივი ზეობის ჟამს შეწყდა ქართველთა დევნა ათონზე და ამ მადლისთვის ღმერთი მოგაგებს მაგიერ მადლს, მაგრამ ჩვენ მაინც სულ იმას ვნატრობთ, თქვენი ღვთაებრივი გვირგვინოსნობის მეოხებით უფრო მოღონიერდეს და გამძლავრდეს წმიდის ქართული სავანენი, რამეთუ ჩვენ, ყველანი, ქართველებიც და ბერძნებიც, ერთი ზნით, სულით და საღვთისმოსაო სიმბოლოებით ვცხოვრობთ ამ დედამიწასეო.

გულისყურით უსმინა კონსტანტინემ ბაგრატს და როცა ქართველმა დაასრულა თავისი „გულსატკივარი", მაშინვე მიუ-

გო: ჩვენ ფრიად ნაწყენი ვართ მთაწმიდის ქართველი მოძღვრისადმიო.

— გიორგისადმი? — გაოცდა ბაგრატი.

— სწორედ, წმიდა მამა გიორგისადმი, — დაუბეჭდა კონსტანტინემ.

— რაისთვის?

— იმისთვის, რაისთვისაც შენ გემდუროდი.

— ?!

— ჩვენ მოვიწვიეთ ათონელ ქართველთა მოძღვარი აქ, სატახტოში, მაგრამ არ ინება და არ მობრძანდა.

მაინც რაისთვის უნდა ეთქვა უარიო, გაუკვირდა ბაგრატს, ვგონებ შენს ჩამოსვლას უცდიდაო, სთქვა კონსტანტინემ.

— და ახლა, მოდი, ერთად მოვიწვიოთ ორივემ, შენ და მე, მე და შენ! — თქვა სიცილით კეისარმა.

და, მიიღო გიორგი მთაწმიდელმა წერილი, რომელსაც ორივე გვირგვინოსნის ხელრთვა ერთვოდა. და იწვევდნენ ჭალაქსა სამეუფოსა იმპერატორი ბიზანტიისა და მეფე საქართველოსი.

გზად ლივიზდია უნდა გაევლო, წარმართი სკლავების საცხოვრისი სოფელი.

სმენოდა გიორგის, ლივიზდიის მთაზე, ტყესა ულრან-მაღნარსა, ერთი კერპი მდგარა, სალოცავი და საზორველი სკლავებისა. ყოველივე მისგან მოგვეცემისო — მზეცა და წვიმაც, სიხარულიც და წუხილიც, საზრდელიც და საბადებელიც, სიცოცხლეცა და სიკვდილიცო, — ამბობდნენ სკლავები.

ამიტომ, უკეთუ გნებავს ყოველი შენი საქმენი კონსტანტინოპოლს მიმავალმა განმარჯვებულად წარმართო, ჩვენს ღმერთს ევედრე, რათა შეგეწიოსო, ეჩიჩინებოდნენ სკლავები გიორგის.

კეთილი, კეთილიო — უპასუხა გიორგიმ — მადლიერი ვარ თქვენი ეგზომ ღვთაებრივი რჩევისთვისო, ოღონდ ჯერ მჭედელთან მიმიყვანეთო.

მჭედელთან რისთვისო?

უკითხავად მიმიყვანეთო, ბრძანა გიორგიმ და კითხვის შებრუნება ვეღარავინ შეუბედა, ისე მიიყვანეს იგი მჭედელთან.

გამოართვა მჭედელს ურო, გაიდო მხარზე და ანიშნა სკლავებს, აბა გამიძეხითო.

გაუძღვნენ სკლავები და აიყვანეს გიორგი იმ მთაზე, სადაც იდგა ღვთაება მათი.

მივიდა და მიაჩერდა გიორგი.

კერპი იგი იყო შავი დრუნგილისა, შიშველი ქალის სახებად ნაკოპიტევი, სახით დუხჭირი, ყბამოქცეული, უკისრო, ზორზოხა მკერდით, ჩავარდნილი ჩუბუტოთი და გავარდნილი თეძოებით.

შეჰზარა გიორგი მისმა ხილვამ.

მარცხენათი ურო დაიყრდნო, მარჯვენათი პირჯვარი ისახა.

— მოგკლავს! — მოესმა ზურგიდან.

გიორგის, თითქოს არც გაუგონია, ისე დაიწყო წყნარად და მშვიდად სახარება იოანესი:

„პირველითგან იყო სიტყუაი, და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“.

— მოგკლავს, მოგკლავს, მოგკლავს! — აღრიალდნენ სკლავნი.

და მაშინ გაიცინა გიორგიმ უცნაური სიცილით, უეცრად ურო აღმართა ორივე ხელით, მოიქნია, უხეთქნა თავში კერპს, უმალვე მოუნაცვლა და... ისე დალეწა და დარეცა კერპი იგი, რომ ნამუსრევნი მისნი „წუთ იხილვებოდა და წუთ აღარ“.

გაქვავებულნი იდგნენ სკლავები.

გიორგის კი უკან აღარ მოუხედნია. აჩქარებული ეშვებოდა მთიდან...

და შემდგომად ამისა წარემართა იგი კონსტანტინოპოლს.

და იქით გამოეფინა დიდიან-პატარიანად და ქალიან-კაციანად ქვეყნის ჭიპი ქართველი ბერის შესახვედრად.

ბერი ვის უკვირდა, მაგრამ უკვე ღმრთივშემოსილი წმიდანის სახელი დაეგდო ათონელ ქართველთა მამასახლისს.

ჯვარშუბლოვანი!

ტარიგი ღვთისა!

ნათლული უფლისა!

ნათელმხილველი მზის სინათლეზე უსინათლოესისა!

ანუ — მხილველი ნათლისა ზესთასოფლურისა!

გიორგი კი უქმურშეყრილობით მოაბიჯებდა, შუბლზე თმა-

ჩამოშლილი. არც ელოდა და არც ეწადა ასე ხმაურიანი შეხვედრა სატახტო ქალაქისა, ამ — „ბაბილონელი მეძავისა“.

მაინც საიდან შეიტყვეს მისი მოსვლა, როცა თვითონ არავისთვის არ უცხობებია, არცა ბერძნისთვის, არცა ქართველისთვის, არცა ერისთვის, არცა ბერისთვის.

არც პატრიარქი მიქაელ კირულარიოსი გაიხარებს მაინცა და მაინც „ბარბაროსი ქართველისადმი“ ასეთი პატივგებით.

მიდიოდა, გზას ძლივს მიიკვლევდა და არავის უცქერდა. ფეხებში უცვივოდნენ და ევედრებოდნენ: კურთხევას, დალოცვას, გაძხნევებას, განკურნებას.

და ისიც არიგებდა კურთხევას, ლოცვას, სასოებასა და სიტყვასა განსაკურნებელსა.

არიგებდა და არავის უცქერდა.

როგორც იქნა, მიაღწია საღვთო კონსისტორიონს,

და შეიყვანეს საიმპერიო სატახტოში,

და შემოეგებნენ გვირგვინოსანნი,

ხელზე ამბორჰყვეს და კურთხევა სთხოვეს.

ჯერ კეისარი აკურთხა.

მერე ბაგრატს ძოეხვია.

— რაისთვის არა გვიკადრე აქომამდე, კაცო ღვთისაო? — ღიმილით ჰკითხა კეისარმა, როცა მეფე და მოძღვარი გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ.

— გიხაროდენ ქრისტეს მიერ თვითმპყრობელთ შორის უბრწყინვალესო! — დაიწყო გიორგიმ — დიდი ღვთისწყალობა იყო შენეული წვევა ჩემებრ უღირსი და უნარჩევესი ბერ-ფიჩოსანისა. მაგრამ შეუძლებელი შეიქნა მოსვლა ჩემი, ვინათგან სავანე და სათვისტომო ჩვენი კვლავაც დღეღამსწორებით შრომასა და ურვას მოითხოვს და ერთი დღით მიტოვებასაც ვერ დაითმენს. რა დაგიფიცო, ბრწყინვალეო ავტოკრატორო, თვითონვე უწყი რა ჭირიც დაატყდა თავს ჩვენს სათვისტომოს (ვინც დაატეხა, ეს აღარ უთქვამს). დავრჩით ვნებული, გვემულნი, დამცირებულნი, განძთა და ფასეულთაგან განძარცვულნი, ეკლესიით და სალოცავით იავარქმნილნი და უნასეულნი. მაშინ იყო, რომ მძარცველებმა (ვინ იყო ეს მძარცველები, აღარ უთქვამს) მთავარ ტაძარს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობისას, ტყვიის საბურველი გადაჰხადეს და გაიტაცეს. მას შემდგომ ვერ იქნა და ვეღარ მოვიპოვეთ ტყვია თავსაბურ-

ველად თავადისა ლავრისა და ჩამოდის წყალი უბურველსა ტაძარსა შინა, ჩამოდის და ირღვნება და ირყვნება კედელნი, ხატნი, ჯვარნი, სამკაულნი ყოველნი.

— მადლობელი ვარ ტყვიის საბურველის გამტაცებელთა, რამეთუ მათის მეოხებით მე შემიძლია სიხარული მივანიჭო შენებრ ღვთაებრივს! — სიცილით შესძახა კეისარმა და მაშინვე პრიმიკირიოსი გამოიძახა და უბრძანა: ახლავე მოიღეთ ტყვია ორგზის მეტი, ვიდრე დასჭირდეს ათონის ქართველთა წმიდა სავანეებს, დაიბუროს, მოირთოს და მოიკაზმოს ისე ღირსებით, რომ ჩვენ ორ გვირგვინოსანს, ბერძენს და ქართველს, გვეკადრებოდეს კურთხევა და ჟამის წირვა ამ წმიდა კაცის ხელით და სიტყვითო, და გიორგიზე ანიშნა კეისარმა.

და დაიწერა ბრძანება ეს, დაიწერა და დაიბეჭდა იმპერატორის ოქრობეჭდითა და ხელდართვით.

და კიდევ, გარდა მონასტრის თავსარქმელისა, კონსტანტინე კეისარმა ცალკე ბრძანებანი გამოსცა ათონის ქართველთა სავანეების პრასტინთა (ნავსადგურთა) გაზრდისა და მათზე დიმოსის (ხარკის) გაუქმებისა.

გაიხარა გიორგიმ.

გაიხარეს გვირგვინოსნებმა გიორგის სიხარულით.

და ასეთი სიხარულისა და სიმხიარულის ვითარებაში კეისარმა შესაძლებლად ჩათვალა გახუმრებოდა ათონელ ბერს „თავისი ხუმრობით". გამომშვიდობებისას ხელი ჩამოართვა და მოუჭირა სრულის სიმძლავრით.

და წამსვე საშინელი ტკივილი იგრძნო თვითონ კეისარმა ხელის მტევნის ყოველ სახსარში.

ძლივს დაიხსნა ხელი, ძლივს დაიწყნარა სახე და გაოცებით შეხედა გიორგის.

გიორგი სადღაც სხვაგან იცქირებოდა, თითქოს ხელის ჩამორთმევის განცდა არცა ჰქონოდეს.

— წმიდა მამაო, კეისრის ხელს იმისთვის მაინც უნდა გაუფრთხილდე, ათონის საკეთილდღეოდ ბრძანებულებას რომ ხელრთვა დაურთოს, — სთქვა, კონსტანტინემ ღიმილით და მარჯვენა ხელის ტკივნეული ზელვით.

— ძლიერი ხელიც გქონია, კეისარო, და ძლიერი ხელრთვაც, — სთქვა გიორგიმ წუნარად, კვლავ სადღაც შორს მზერაგანპყრობით.

და როცა გიორგი გარეთ გამოვიდა და გვირგვინოსნები მარტო დარჩნენ, კოსტანტინემ უთხრა ბაგრატს: თუ დაუკვირდი, ბერი იგი მუდამ ჩვენი მზერის მიღმა იმზირებოდა და ჩვენი სახის სახილველად თვალი ერთხელაც არ გაუძეტებიაო.

ეგ მე ჩემის ყრმობითვე კიცი, გიორგი მარადქამეულად ევაგრე პოხტოელის ნამოძღვრალს მისდევს: წარბითა დამართ, ხოლო სულითა ზემართ ხედვიდეო — უპასუხა ბაგრატმა კონსტანტინეს.

ვედრება ოცდამეოთხე

ხოლო მას ჟამსა დედოფალი მარიამი და მეფის ასული მართა ხალკის სასახლეში დედოფლებთან იყვნეს — ზოიასთან და თეოდორასთან.

ნუთუ შეიძლება ასეთი ლამაზი გაჩნდეს ადამიანის ნაშიერიო, — გაოცებული იყვნენ მართას სიმშვენიერით ზოია და თეოდორა. გაძორჩევით, თეოდორა იშლებოდა ჭკუაზე: უეჭველად უფალმა იწადხიერა შეექმნა დედაწიწაზე ყოველთა ზედა ლამაზი ადამიანი და შექმნა კიდევაც მართა, — გაიძახდა და მკერდიდან აღარ იშორებდა ბავშვს.

მერე ყველამ ერთად მოიყარა თავი — მეფეებმაც, დედოფლებმაც, ეომაც და ბერმაც.

ქართველ სტუმრებთან მოვიდნენ პატრიარქი მიქაელ კირულარიოსი, ფილოსოფიის ჰიპატოსი მიქელ პსელლოსი, ნომოფილაქსი იოანე ქსიფილინოსი, კონსტაატინე ლიხუდი და იოანე შავროპოდი,

და იყვნეს ერთად — აია სოფიას, შაგსავრას, მანგანას, ყოველ ტაძრად, ყოველ ეკლესიად, ყოველ სასახლედ.

ბოლოს, როგორც იქნა, ქართველები მარტო დარჩნენ.

მარიამ დედოფალი გიორგი მთაწმიდელს დაეწაფა და მისგანვე იკუოთხა და შეიმოსა სქემით.

ერთი ლიტრა ოქრო კონსტანტინე კეისრის სახელით ძღვნად მიართვეს მარიამ დედოფალს.

მარიამმა ეს განძი როქად მიართვა გიორგის, მთაწმიდის სავანის შესაწირად. მიართვა და შეჰღაღადა: „რამეთუ წმიდასა მას ეკლესიასა შენმა ღვთაებრივმა სიტყვამ ულხინოს სულსა ჩემსა ცოდვილსა“,

იმ დღეს ერთად იყვნენ ქართველები, ერთად და მარტონი.

გიორგი საქართველოს ამბებს მოიკითხავდა, დაწვრილებით და თავშეკავებული მღელვარებით.

ლიპარიტ ბალვაშს და იოანე აბაზაისძეს ბაგრატ მეფე ისე შეევიწროებინათ, მარტო დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალი შემორჩენოდა სამეუფოდ.

ღვთის მადლით, ახლა მაინც ჩაეტეოდა თავის კახ'ბი კლდეკარის ერისთავთერისთავი, კეისრის წინაშე დადებულ ფიცს ვერსად წაუვიდოდა, მესხეთის ბატონობას იკმარებდა და მეფის წინაშე ყმობასაც ვეღარ გაექცეოდა.

იოანე აბაზაისძეს და მის სახლიკაცებს კი უფრო იოლად მოევლებაო, ამბობდა მეფე თვითდაჯერებით.

ძნელია, ფრიად ძნელი ქართველისგან ქართველის მოვლა.

კლდეკარის ერისთავთერისთავი კი არა, ყოველი გეგეჩო, — კაცმა რომ არ იცის რაზეა შემომწყრალი — ქუთათისს გვერდს უქცევს და კონსტანტინოპოლს გამორბის საჩივლელად.

საერთოდ უყვართ ქართველებს სამართლის საძებრად საქართველოდან გაქცევა. მათ საერთოდ ჰგონიათ ასე: ყველგან უკეთესი, უმჯობესი და უმოლხინესია, სადაც თვითონ არ არიან. ყოველი „საუკეთესო“ და „საუცხოო“ უცხოეთშია, საქართველოს გარეთ, და გარბიან „საუცხოოსთვის“ უცხოეთში.

ბევრი სულაც აღარ ბრუნდება საქართველოში, — საქართველოს დედაქალაქს, ან ქართულ სოფელს, მსოფლიოს ჭიპზე ცხოვრებას ამჯობინებს.

და რჩება ასე უცხო მიწაზე ქართველი კაცი — თავისი ფესვის მოძულე და სხვისი თესლის ამყვავებელი.

მიაჩნია, რომ იქ უფრო უკეთ იციან მისი ფასი, ვიდრე იცოდნენ და აფასებდნენ საქართველოში.

ასე მიაჩნია რადგან მას მართლაც ძალიან აფასებენ... ლოგინში.

აფასებენ სიძაბუნეთა ასოსა.

(სიცვეღნე მასპინძლისა ამედგრებს სტუმარსა).

და იბადებიან ბიზანტიაში ქართველთაგანნი, რომელთა ქართველობა არც თვითონ იციან და არც არავინ იცის, თვინიერ მშობელი დედისა და ღმერთისა.

არ იციან, რადგან დედა არ ამხელს და ღმერთისა არავის ესმის.

და იბადებიან ბიზანტიელი მდედრისა და ქართველი მამრის ნაშიერნი, იბადებიან მხოლოდ ვითარცა ბიზანტიელნი, სულით და ხორცით მუდამაც მძლავრნი.

და სიმძლავრე მათი იხარჯება საზიანოდ საქართველოსი.

და მათ შორის, უკეთუ რომელიმემ შეიტყო თავისი ქართველობა, იგი ყველაზე უფრო გამეტებით მტრობს საქართველოს, რადგან შიშობს, ვაითუ მე ქართველობა დამაბრალონო...

ვედრება ოცდამეხუთე

„რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემაძრწუნებ მე?..

„და შემიძრწუნდეს მე ძვალნი ჩემნი...

„და სული ჩემი შეძრწუნდა ფრიად...

„და შენ, უფალო, ვიდრემდის?..

„რაისთვის ერმან ჩემმან იზრახა ცუდი?..

„რაისთვის შესჭამენ გოგი და მაგოგ ერსა ჩემსა საჭმელებრ, პურებრ?

„ვიდრემდის, უფალო, დაგვივიწყებ ჩვენ სრულიად?..

„ვიდრემდის გარემიიქცევ პირსა შენსა ჩვენგან?..

„ვიდრემდის ამაღლდების მტერი ჩვენი, გოგი და მაგოგ, ჩვენ ზედა?..

„განიღვიძე, რად გძინავს, უფალო?..“

ათოვდა ფიქრი ფიქრს გიორგის სულში.

და უჭკნებოდა, თუ უდნებოდა... სული.

...და უცებ საოცარმა სიცილმა გაჰყარა ფიქრსა განუყრელსა.

მართა იცინოდა.

გიორგის უცქერდა და იცინოდა.

იცინოდა, თუ... მზის სხივებს აწკარუნებდა?!

რა სიცხოველე იყო ამ ხმაში!

სიცხოველე...

ცხოველ...

სვეტი-ცხოველი გაახსენდა და იკითხა გიორგიმ ამბავი სვეტიცხოველის აღმშენებლობისა.

— გუმბათის ყელამდე ასულია სვეტიცხოველი, ოღონდ გუმბათი... — თქვა და სიტყვა გაუწყდა ბაგრატს.

და მეტი აღარაფერი უთქვამს — არცა სვეტიცხოველზე, არცა მის აღმშენებელზე.

აღარც გიორგის უკითხავს რამე. ალბათ, რაღაც მომხდარა მცხეთაშიო, მხოლოდ ეს გაიფიქრა.

და ისევ გაისმა მზის სხივთა წკარუნი;

და შეხედა მართას გიორგიმ.

და უცებ შეწყდა წკარუნი მზისა.

— წმიდაო მამაო! — შესძახა გოგონამ გაოცებით.

— მიბრძანე, ბატონიშვილო!

— შენ მე შემხედე?

— ჰო.

— აკი არავის არ უცქერისო?

— შენ კი შეგხედე მე! — უთხრა გიორგიმ, უჩვეულოდ აღელვებულმა.

— და განიცადე ხატი ჩემი?

— და განვიცადე ხატი შენი, — გაიმეორა ბერმა.

(ყველა დანარჩენნი გაოცებულნი და განლიგებულნი უსმენდნენ ამ უცნაურ გასიტყვებას).

— აკი არავის თვალს არ ათხოვებსო? — გაიმეორა მართამ.

— შენ სულ სხვა ხარ და ერთადერთი, დედოფალო!

— დედოფალოო?!

ეს სიტყვა კი ყველას ერთად აღმოხდა.

— მე, დედოფალი? — იკითხა მართამ.

— სწორედ შენ, დედოფალი, — გაიმეორა გიორგიმ მშვიდად.

— მაშ, დედოფალი საქართველოსი!

— არა, დედოფალი ბიზანტიისა.

— ბიზანტიისა?! — ისევ ერთად აღმოხდა ყველას.

— სწორედ! — მოკვეთა გიორგიმ.

— მაშ, დაიხარე და მე ვემთხვევი ჯვარსა შენსა! — უთხრა მართამ.

დაიხარა გიორგი, გულზე დაკიდებულ ჯვარზე ხელი მოისვა და საამბოროდ გაუგება.

— უფრო დაიხარე, წმიდაო, რამეთუ ვერ შეევწვდები!

სულ მოიკეცა ოდრიკალად გიორგი.

და უცებ აკოცა მართამ, მაგრამ აკოცა ჯვარსა შუბლისასა.

— დედოფალო! — აიმღვრა გიორგი.

— კურთხევას გთხოვ, წმიდა მამაო!

და აკურთხა გიორგიმ მართა.

— კურთხეულ იყოს დედოფლობა შენი!

და უკვირდა ყველას, რომ გიორგის სახე კვლავ იყო მშვიდი, წყობილი და „ამ ხუმრობით“ აღურეველი.

ვეღარ მოითმინა დედოფალმა მარიამმა და კრძალვით მიუგო წმიდა ბერს:

— მადლობას გიძღვნით, ღვთის ნათლულო, მაგ კურთხეული ხუმრობის გამო!

გიორგის თითქოს არ გაუგონია.

ენა მისი იყო უძვრელი და სახე მისი — შეუღწეველი,

ეს კაცი ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც აღარ არის ამქვეყნიური, ფიქრობდა ბაგრატ მეფე. რაღაც მიღმიერ ძალით მან უეჭველად იცის ყოველივე, რაც მოელის თვითონ მას, მოგველის ჩვენ და უნდა ელოდეს სხვა დანარჩენთა ყოველთა.

რა ბედნიერება იქნება, რომ საქართველოში გვყავდეს ეს წმიდა მამა, ეს წმიდა გიორგი, და იყოს ჩემთან ახლოს, ჩემი მოძღვარი და ჩემი მრჩეველიო.

ფიქრობდა ბაგრატი და ბოლოს ფიქრი სიტყვად გადაქცა.

და შეუჩნდა გიორგის, საქართველოში წამოდი და იქ დაემკვიდრეო.

ჭყონდიდს რომ დიდი ეკლესიაა,—სადაც წმინდანნი მარხიან და მეც იქ უნდა დავემარხოო — იმ ეკლესიის წინამძღვრობა შენთვის მიბოძებია, ოღონდ კი წამოდი საქართველოშიო, არ ეშვებოდა ბაგრატი.

უარს ვამბობო, მოჭრა და გაათავა გიორგიმ.

რატომო, — ამ კითხვის დასმა აღარ ეგებოდა, რადგან საოცრად მიუკარებელი და შეუღწეველი სახე ჰქონდა ბერს.

რა იცოდა ბაგრატ მეფემ, რომ მისი მოძღვრის ფიქრთმეტყველება სვეტიცხოვლის აღმშენებელს დასტრიალებდა — თვალშვენიერ არსუკისძეს, ტყუბსა მისი სულისასა.

ახსენდებოდა გიორგის, ერთი წლის წინათ კიდევ რომ უთხრა სიზმრად მოსულმა ანამაისამ: შენი სულის მარჩბივს

ქალი დაჰღუპავსო. იმ ქალს მარცხენა ძუძუში ორკეცი ძუ უდგასო, ანუ ბელზებული, ჰაკი სატანაო.

რაღაც უნდა მომხდარიყო საქართველოში, არსუკისძის თავს, მაშინ...

ვედრება ოცდამეექვსე

მაშინ თვალშვენიერი და ევნიკია ერთად იყვნენ.

ზედაზნის მთაზე, ზედაზნელი წმინდანის სენაკიდან ნახევარი ეჯის დამანძილებით, ტყეში გულის სახედ ამოჭრილ მწვანე მინდორზე იწვნენ.

(იწვნენ — ტაძარი ღვთისა და ტაძარი ეშმაკისა).

ყვავილები ახარებდა ევნიკიას, ისე ახარებდა, როგორც გოგოს ახარებს ახლადამოჩეკილ ძუძუთა პირველი ხილვა.

მოშორებით ქალის იისფერი პერანგი და როპანაგი ეწყო, სირცხვილთან ერთად.

მამაკაცის ტანსაცმელიც იქვე ეყარა, საკვერთხელიც (გიორგისგან რომ ჰქონდა ნაძღვნევი).

ორივე იყო შიშველი და, თითქოს, სირცხვილს ჯერაც უზიარებელი, ვითარცა ადამ და ევა ღვთისგან ნაკრძალავ ხილის შეჭმამდე.

ქალის სხეული მოთელილ-ნოჭყლეტილი ბალახისა და ყვავილის სურნელს გამოსცემდა.

— ესე არს მზის სხივი, — წაიჩურჩულა ვაჟმა და თითი გააყოლა ქალის ძუძუზე გაკლაკნილ წვრილ, ცისფერ აშკს.

ნეტარებით ცნობაწართმეულმა ქალმა ისევ სასთუმლად დაიდო ვაჟის მკლავი. და ევგონა თავქვეშ მზის კონა ედო.

ხოლო, თვითონ მზე, ჯერ ისევ ცხელ ჯიქნიანი, ნელიად ეშვებოდა დასავლეთისკენ.

იწვნენ გამტკნარებულნი, მათგანვე დარბეული მოლიდან ნადენ მწვანე რძეში.

და უცებ უცხო ხმამ წამოაგდო ფეხზე თვალშვენიერი.

მხოლოდ მას, ერთადერთს ესმოდა ხოლმე ეს ხმა, რაიც იყო ძახილი ქვისა.

ქვის ძახილი!

და ჯვრის მონასტერს დააცხრა მზერა ხუროთმოძღვრისა, და თითქოს შურით აღეგსო გული.

„შური, შური, სამსჭვალი გულსა ჩვენსა!“

ჯვრიდან სვეტიცხოველზე ჩაცურდა თვალი ხუროთმოძღვრისა. და შეეცოდა სვეტიცხოველი, უგუმბათოდ გარდაკვეთილი, გამთლიანების და განსრულების მავედრებელი.

„სვეტი ცხოველი — სვეტი ერისა, სული ერისა!..

„სვეტო ცხოველო, სვეტო ერისაო, სულო ერისაო, ჰქმენ თავი შენი!

„ჰქმენ თავი შენი!

„იქმენინ თავითა შენითა!..

„გიორგი... გიორგი... მდელო სიბრძნისა... მარჩიელი სულისა ჩემისა... სად არის ახლა იგი?“

და უცებ ისევ ქალის ძახილმა გამოარკვია.

— მოდი, მოდი, მახარებელო გულისა! მოდი თვალო შვენიერო, თვალო ნატვრისა!

და ისევ მოსხლიტა სახელოვნებო ფიქრისაგან ხელოვანი ქალის ძახილმა.

ქალის ძახილი!

ასე მოექცეოდა და მოემწყვდეოდა ხოლმე სვეტიცხოველის აღმშენებელი ქვისა და ქალის ძახილთა შორის.

და ჯერ კიდევ არ იცოდა, როდის უფრო ბედნიერი იყო იგი — ქვასთან ბრძოლისა, თუ ქალთან ტრფიალების ჟამს?!

ახლა კი ისევ ქალს დასცხრომოდა მისი მზერა.

ისევ შიმშილი იწვა ქალის სიმშვენიერეში, გაავებული შიმშილი მარადიული ტრფიალებისა.

ჯოჯოხეთი, ქალი, მიწა და ცეცხლი — არასოდეს იტყვიან: კმა არს!

დასცქეროდა ქალს და უკვირდა, რა დიდხანს უყვარდა იგი!

მაგრამ იყო კი იგი სიყვარული ჭეშმარიტი, უქცეველი და უცვალებელი, უთუმცო და დროდაუდებელი, ყოვლისა ხლათისა და ილათისაგან უმიზეზოი?!

თუ იყო ოდენ ნაცილი სიყვარული ჟამნათევ და მოწყვეტილ ფოთლებზე სიბილას ხელით დაწერილი და ქარს გაყოლილი?

თუ იყო ოდენ სურვილი სხეულებრივი ჩაძირვისა?

ეს კი უეჭველ იყო.

ადამიანი ნაერთია სამი ნიშატისა — ყოფნა, ცოდნა და სუ-

რვილი, ანუ: მე ვარ, მე ვიცი, მე მსურს. და ეს ბოლო ნიშა-
ტი — სურვილი, მარად დაუმცხარალი და დაუშრეტელი სურ-
ვილი სხეულებრივი ჩაძირვისა — ეზიდებოდა თვალშვენიერს
ევნიკიასკენ.

(სურვილი — პირველი თესლი არსებობის დაბადებისა).

არც ის ავიწყდებოდა თვალშვენიერს, რომ „ჟამი არს შე-
ტკბობისაი და ჟამი არს განშორებისაი შეტკბობისაგან“ და
ზოგჯერ ეუგემურებოდა კიდეც ყოფნა ევნიკიასთან.

ეუგემურებოდა!

ევნიკიაც გრძნობდა ვაჟის კოცნა რომ ყოველთვის არ იყო
ანაბეჭდი სიყვარულისა და ეჭვიანობდა იგი, განუწყვეტლივ
ეჭვიანობდა, და რეცა ეჭვი მისი იყო იმდენი ხნისა, რამდენი
ხნისაც იყო ფიქრი მისი.

აღარ ვუყვარვარ ისე გარდარეულად, აღარ ვუყვარვარო,
ფიქრობდა და ტანში იჭმებოდა ქალი ამ ფიქრით.

და რამდენჯერაც თვალშვენიერის გულარძნილობაზე ეჭვი
აღეძვროდა, იმდენჯერვე ევნიკიას ქირქიშ აბულახტარი ახსენ-
დებოდა. იმას კი სწორედ გარდარეულად ვუყვარვარო, იმ ჯო-
ჯოსა და ჯარბსო, გაიფიქრებდა ცოფში ნავლევი ფიქრით. ცივ-
სისხლიანი უნდა იყოს აბულახტარი, გამორჩეული შხამისა და
გესლისაო.

გამორჩეული შხამისა და გესლისა... მაგრამ გამორჩეული
შხამიც შეიძლება წამლად დაგჭირდეს და დაჯიშდეს, ერთხე-
ლაც არის...

თვალშვენიერმა კი ქალის ფიქრისა არაფერი იცოდა. იგი
ისევ ფეხზე იდგა და ზემოდან ხედავდა გულაღმა მწოლარე
ევნიკიას გაავდრებულ თვალებს.

და ისევ მიუწვა და მიესხეულა ქალის საოცარ სხეულს,
ირმის რძეში ნავლევს.

მზე კი ჩასულიყო, გადამწვარი და ჯიქანდამშრალი.

ხმა აღარ ისმოდა არსაიდან არარაისა. მხოლოდ სიჩუმე
ცოხნიდა გარემოს.

და კიდევ — მძლავრი ძგერა ორი გულისა.

ღამე შემოვიდა.

ცამ მეუთვალაჯერ გამოიფინა კაბა წითელბატონებისა.

უკვე სიგრილე სიცივედ იქცა, მაგრამ ქალ-ვაჟის ნარეცალ-
ზე ისევ თბილი ოხშივარი სძლევდა ნოტიოს.

ქალი განიადაგებით კოცნიდა ვაჟს.

ვაჟს უგვიანდებოდა. ზოგჯერ კიდეეაც ავიწყდებოდა კოცნა.

— ჩემი კოცნა დედოფლას გვირგვინის საფასედ ფასობდა ყოველთვის! — უცებ ისროლა ევნიკიამ.

ყური აუწიელდა თვალშვენიერს. „საფასე", „ფასობს" — ეს ვაჭრულ-ფერეზიკული სიტყვები შხამად დაეწვეთა ტრფიალებით გამტკბარ გარემოს.

— ღმერთია მხედვარ: მე შენმა ტრფიალებამ ამაღებინა ხელი სამუდამოდ სადედოფლო ქორწინებაზე. არად ჩავაგდე არცა თხოვნა, არცა ბრძანება არც ერთი მეფის — არცა ძმისა და არცა ძმისწულისა — და ცოლად არ გავჰყევ არც ერთ უფლისწულს — არცა ბერძენს, არცა ოვსსა და არცა სომეხს.

უარესად დაებალთა გული არსუკისძეს, ქალის ეგზომ მოულოდნელი ყვედრება რომ მოისმინა.

არა, აშკარა იყო, რაღაც ანგარიშს ადგენდა ევნიკია.

ანგარიშით?!

მაშასადამე, სიყვარული სიკვდილის კბილზე დაკიდულიყო!

ვაჟს ეჩვენებოდა, რომ ახლა ქალის სხეული, ბალახთა და ყვავილთა ნაცვლად, რეცა რაღაცნაირ, ძველი, დამწვარი ვერცხლის სუნს გამოსცემდა.

ქალსა და ვაჟს, თითქოს, კუგემურებოდათ ერთმანეთი.

ეუგემურებოდათ!

სიტყვის ძებნას შეუდგა ოვალშვენიერი, ისეთი სიტყვისას, სიყვარულს რომ ჩამოხსნიდა სიკვდილის ეშვიდან.

მაგრამ სიტყვა გაუჯიქდა და გაუქვავდა ქვის ოსტატს.

გულს ბრაზი წაეკიდა და თავი მიანება სიტყვების ძებნას — სიტყვებისას, ღამეში ღამისფერი კატებივით რომ ჩანთქმულიყვნენ და ჩაკარგულიყვნენ.

წითელბატონა ცაც გამქრალიყო.

თითქოს ღამეს ღამეში ახალი ღამე ჩამოეფინა.

და იყო ღამე ღამეში. შესაძლოა, იმდენი ღამეც, რამდენი ადამიანიც იწვა ღამეში, ღამის საწოლზე, ღამის ფიქრით, ღამის კვნესით, ღამის ოხვრით, ღამის წუხილით, ღამის სიხარულით, ღამის ცრემლით, ღამის გოდებით...

და იყო ფიქრი ღამეში, ოდენ ფიქრი.

ღამის ფიქრი კი ჯიშით დღის ფიქრს არ უტოლდება.

შესცივდათ — რაკი ერთმანეთი ეუგემურებოდათ.

მაგრამ მაინც უფრო მჭიდრო ჯუმლად შეერივნენ ერთურთს შემცივნებულნი.

— რაზე ფიქრობ შენ? — ჰკითხა ევნიკიამ.

(შუალამე კარგა ხნის გადასული უნდა ყოფილიყო მაშინ).

— აკი რამდენჯერ მითქვამს შენთვის: როცა შენთან ვარ, ფიქრის უნარიც მეკარგება და მიქრება-მეთქი! — უთხრა თვალშვენიერმა.

ქალმა თითქოს იკმარა ეს პასუხი და გაჩუმდა.

და კარგა ხანს კვლავ მდუმარედ იწვნენ, ღამის ძუძუებში შემხობილნი.

იწვნენ: ვაჟი — ტაძარი ღმრთისა და ქალი — ტაძარი ეშმაკისა.

— სიკვდილი მინდა! — თქვა მერე ქალმა.

— რაისად? — შეშფოთდა ვაჟი.

— გული რომ გატკინე უგულო სიტყვით.

— რომელი სიტყვით?

— სიყვარული რომ წაგაყვედრე.

— არც გაიფიქრო! — დაამშვიდა და ისევ აკოცა ვაჟმა ქალს.

— მაინც მგონია გამიუცხოვდი, — წუხილით თქვა ევნიკიამ.

— უნიადაგო არის ეგ სიტყვაც, რადგან იცი, მე მთლიანად გეკუთვნი შენ, მხოლოოსა და ერთადერთს, — მიუგო თვალშვენიერმა და ისევ დაადო ხელი მუდამ დაუსვენარ მარცხენა ძუძუზე (დაუსვენარ, — ვინათგან გულის ძგერა არ ასვენებს მარცხენა ძუძუს), სადაც ბუდობდა ორკეცი ძუ.

— მთლიანად გეკუთვნიო? — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა ქალმა.

— მთლიანად, სრულად, განუყოფლად! — ნასწრაფევად მიაგება ვაჟმა.

— ყური დამიგდე, თვალშვენიერო! ქალი მარად ურწყული უდაბნოა, იტყვიან ასე. იტყვიან და სხეულის დაურწყულებელ მწყურვალებას გულისხმობენ ყოველთვის. მეც ქალი ვარ, მაგრამ ოდენ სხეულის წყურვილი როდია ჩემი წყურვილი: დიდ, ყოვლისმომცველ სიყვარულს თავმიცემული ქალი სხე-

ულზე მეტად სატრფოს სულის დასაუფლებლად მიელტვის თავდავიწყებით და თავგანწირვით. და მეც ვარ ის ქალი, რომელიც დღე და ღამ დაუცხრომლად ეძიებს მისი სატრფოს სულს.

გაკვირვებული შესცქეროდა ვაჟი ქალს.

ღამეც გატეხილიყო.

ცისკარი შემოსულიყო, ჩვილი და გათოშილი,

სინათლის ნიჭი უბრუნდებოდა ქვეყნიერებას.

— შენ კი რად არ ეძიებ ჩემ სულს? — ახალი კითხვა აფთარივით მიუსია ქალმა ვაჟს.

გონება აემღვრა არსუკისძეს. ვერ გაეგო რა სურდა და რას მოითხოვდა ქალი მისგან. არც ის იცოდა, რა ეპასუხნა, მაგრამ მაინც აღმოხდა უანგარიშოდ:

— შენი სული მე კიდევაც მოვიძიე და კიდევაც მოვიწიე, დასაბამითგან ჩვენი პირველი შეხვედრისა.

— არა, არა, მე სხვას ვამბობ და შენ უნდა მიხვდე, სად ბუდობს იგი, ჩემი სული, ჩემი სხეულის რომელ ნაწილში, რომელ ასონასხამში! — გაჰკივლა ქალი.

— აი, აქ! — უცებ თქვა თვალშვენიერმა ისევ ანგარიშმიუცემლად და ხელი დაადო ისევ მარცხენა ძუძუზე, იქ, სადაც მას ეგულებოდა ორკეცი ძუ (ღრონდ ის კი არ იცოდა, რომ ორკეცი ძუ იგივე იყო, რაიც ბელზებული, ჭაკი სატანა).

— ვაშა შენს სულსა, გამოიცანი! — შესძახა ქალმა და თავდავიწყებით მოეხვია ვაჟს.

მზის ამოსვლამდე იყვნენ უსიტყვოდ, კვლავ სიყვარულით აღვსებულნი.

და ქალმა, რომელიც ისევ გამოსცემდა ბალახთა და ყვავილთა სურნელს, უცებ ჰკითხა ვაჟს:

— ახლა შენ მითხარ, საყვარელო, სად არის შენი სული?

თვალშვენიერმა პასუხად რაღაცის თქმა დააპირა, რომ ციდან ორბის ყივილი გაისმა.

— არიელ! — აღმოხდა და ზეცად აიჭრა მზერა მისი.

ქალმაც ააყოლა თვალი ვაჟის თვალს.

ორბი ჯვარსახოვნად გაშლილი, საისრე დამანძილებით, ქალ-ვაჟის დასწვრივ ბრუნავდა ცაში.

— იმ ორბში ხომ არ არის სული შენი, თვალშვენიერო? — უეცრად ჰკითხა ქალმა.

ორბში?!

— ჰო, იმ ფრინველში, თუ არიელში, ვითარცა მისძახი შენ მას.

— არასოდეს არ მიფიქრია, — ჩაილაპარაკა არსუკისძემ ისე, რომ ცისთვის თვალი არ მოუწყვეტია.

— ან იქნებ იმ ჯვარში, ჩემი თმის ანაკვეცით შეკრულ ჯვარში, რომელიც შენ დაგიკარგია? — არ ეშვებოდა ქალი, ბელზებულით ძუძუატანილი.

— არც ეგ მიფიქრია.

— მერე, რად ფიქრობ ასე მცირედ, ასე ღარიბად? მითხარი, მითხარი-მეთქი, სად არის შენი სული, თვალშვენიერო, — აირია და ატირდა ქალი.

ახლა ისევ დაძველებული და დამწვარი ვერცხლის სურნელს გამოსცემდა მისი სხეული.

— მითხარი, მითხარი-მეთქი, თორემ იცოდე... იცოდე, მე მოვკვდები! — აჯანჯღარებდა ქალი ვაჟს და ტიროდა, ტიროდა.

ის იყო, გაპასუხება დააპირა თვალშვენიერმა, რომ საოცარი, თითქოს, მშფოთვარებით აღსავსე ხმით იყივლა ორბმა.

და მაშინვე ქვის ძახილიც მოესმა ქვემოდან.

სვეტიცხოველს გადახედა.

გადახედა და შეეცოდა, უგუმბათო, გამთლიანების სურვილით ატანილი ტაძარი.

ქალმა ვაჟის მზერას მზერა დაადევნა და თვითონაც დააშტერდა სვეტიცხოველს.

— იქნებ, იმ ქვებში ჩააქვავე სული შენი?!

სთქვა ეს ქალმა, მაგრამ ვაჟს ქალისად კი არა, სატანისად მოესმა იგი.

და, რაღაც წყალდასხმული, მხრჩოლავი მუგუზლის სუნთქვა შემოაწვა, იმ სატანისგან წარმომდინარე.

— რაო, ქვებიო?! — ძლივს ამოიგდო სიტყვა ყელიდან თვალშვენიერმა.

ფეხისგულები გაუხურდა (უამური განცდის ჟამს რომ სჩვეოდა).

ქალი შეჰზარა კაცის მძვინვარე ხმამ და სახემ.

— თვალშვენიერო, მე იმ სულის საბუდარს ვეძებ, სვე-

ტიცხოველს რომ უდგამს სულს, — შეჰღაღადა გამღნარი ხმით.

— რაისთვის ეძებ?

— რათა ყოველდღე ვილოცო მისთვის, ვეთაყვანო მას განუცადებლად და განიადაგებით, შევეწირო მას, სულის და ხორცის სრული შეწირვით.

მაინც რა აიკვიატაო, ფიქრობდა არსუკისძე, თან ეს ზღაპარში გაგონილი შეგონება ახსენდებოდა — უკეთუ არ შეგიძლია პირი დაიმაგრო და საიდუმლო გულს დაიმარხო, მაშინ საიდუმლო იგი გაუმხილე ყველას და ყველაფერს, თვინიერ ქალისაო. გაეღიმა ამის გახსენებაზე, ღიმილი ისევ მოიშორა და ჰკითხა ქალს:

— მაინც ვერაფრით ვერ მივმხვდარვარ, რისთვის მიელტვი ჩემი სულის დასაუფლებლად?

— არა დაუფლება, არამედ მხოლოდ თვითდამონებაა მე მხოლოდ ის მსურს, ვიცოდე ადგილის დედა შენი სულისა, რათა ვიქნე მლოცველი მასზე, მზრუნველი მისთვის, მონა-მსახური მისი!

ისევ დააპირა რაღაცის თქმა თვალშვენიერმა, მაგრამ ისევ ჩაუჭრა და ჩაუთრგუნა სათქმელი ორბის ყივილმა.

ქალი კი განაგრძობდა:

— აი, შენ უკვე იცი, სადაც ბუდობს სული ჩემი — და მარცხენა ძუძუზე მიიდო ხელი ვაჟისა — ახლა ვინძლო შენი სულის სადგურიც მითხრა! — დაიჩოქა და მუხლებზე მოეხვია არსუკისძეს.

ქალი საწყალობლად ტიროდა.

ორბი მშფოთვარედ ყიოდა.

არსუკისძე ქალის ტირილსა და ორბის ყივილს შუა იხერხებოდა.

ქალმა დასძლია, ჰაკი სატანისგან ძუძუატანილმა ქალმა.

ვაჟმა ქალს მარჯვენა გაუწოდა და უთხრა დაქანცული ხმით:

— აი, აქა დგას სული ჩემი.

საშინელი ხმით იწივლა ორბმა, იწივლა, კამარა შეჰკრა და ცის პირიდან გადაიკარგა.

არც ვაჟს და არც ქალს არც მისი შეწივლება გაუგიათ, არც გაუჩინარება შეუმჩნევიათ. ისინი ჩახვეულნი და თავდაკარგულნი გორავდნენ მიწაზე.

— აჰა, ხომ მოგეც და მოგიბედნიერე სული ჩემი! — ბოდავდა ვაჟი.

— ჩემო ღმერთო, უფალო ჩემო უფალო!.. — ბოდავდა ქალიც (გარნა, ბოდავდა?!)...

...გულისხმა სვეტიცხოველის აღმშენებლისა ბრმისაგან უბრმესი იყო მაშინ.

ქალის ჭირვეულობაში გაცვალა სული ღმერთთან ნაზიარევი, ისე იოლად გაცვალა, როგორც ცსავმა თავისი პირველშობილება ოსპის ნახარშში.

მაშინ ვერ იგრძნო (მერე კი იგრძნობს) როგორ დაუბოშდა რვალის მარჯვენა, როგორ დაურბილდა, ვითარცა ჯირი, როგორ დაუმკრთალდა ძარღვი კათოლიკე მკლავისა.

მაშინ ვერც იმას მიხვდა (მერე კი მიხვდება), როგორ დაუმოკლდა სწორედ მარჯვენა ხელისგულზე ზოლი სიცოცხლისა.

მაშინ ვერც ის დაინახა (მერე კი დაინახავს), როგორ დაიმგუნა და დაივიწყა მკლავი მისი — ადგილის დედა მისი სულისა — ორბმა რახსმა და ბოლოთეთროსანმა, იგივე არიელმან, ძემან ჰაერეთისამან.

მაშინ ვერც იმას მიხვდა (მერე კი მიხვდება), როგორ დაჰკარგვოდა გულისხმა ქვის ძახილის შეგრძნობისა და შეცნობისა...

ხოლო სვეტიცხოველი, გამთლიანების სურვილით ატანილი, იდგა მშფოთვარედ და ელოდა ხუროთმოძღვარს.

ხუროთმოძღვარი კი უკვე იყო სულდაკოდილი.

ვედრება ოცდაეშვიდე

და არავინ არაფერი იცოდა, რაც მომხდარიყო იმ ღამით ზედაზნის მთაზე, ტყეში გულის სახედ ამოჭრილ მწვანე მინდორზე.

არც ბაგრატ მეფემ იცოდა რამე, არც მელქისედეკ კათალიკოსმა.

არც ჭირქიშ აბულახტარმა იცოდა რამე, სატანისგან აკვანწარწეცმი, კაცთმაწყინარმა და კაცთმავნეობაზე ჯიშად ნაგერშმა.

თუ გისმეს არსუკისძისა რაიმე უნდა შეეტყო, ისევ იქნებ

გიორგი ყოფილიყო შემტყობარი მისი სულის მენახევრის სახედისწერო თავგადასავლისა, მაგრამ განგებას აკი იმით დაეხსნა სულის მარჩხიენი, ყოველთვის ვერ შეეტყოთ სულისძერანი ერთმანეთისა.

და არავინ იცოდა ქვეყანაზე რაც გარდახდომოდა არსუკისძეს ზედაზნის მთაზე.

ოღონდ, საცნაური ყველასათვის ის შეიქნა, რომ იმ დღიდან არსუკისძე გამოიცვალა, არსუკისძეობიდან გარდაისახა, ხუროთმოძღვრული გრძნეულება დაჰკარგა, ქვის სულის ძერა აღარ ესმოდა, ქვა შესძულდა თვითონ გულგაქვავებულს.

და სვეტიცხოველი აღარ შენდებოდა.

და იდგა სვეტიცხოველი, გამთლიანების სურვილით ატანილი, იდგა და ამაოდ ელოდა სადღაც ზედეთში გადაკარგულ უსხეულო თანასხეულს.

იდგა და არავის ესმოდა მისი ბღავილი.

ვედრება ოცდამერვე

მეორე დღეს ისევ ისტუმრა ბიზანტიის კეისარმა ქართველები.

და საზეიმო ინახის შემდგომ ბაგრატ მეფემ საქართველოში დაბრუნებაზე წაიცდუნა სიტყვა.

საქართველოში უნდა დავბრუნდეო?!

უთუოდ რაღაც გეწყინაო, იყვირა კეისარმა.

ასეთი წყენა ღმერთმა ნუ მომიშალოსო, შეაგება ბაგრატმა.

აბა, წასვლა ჯერ არ მიხსენოო — გადაწურა და გადაწყვიტა კონსტანტინემ — ხვალ კიდევ სანადიროდ უნდა წაგიყვანოო.

ეს კი ძალიან გაუხარდა ნადირობის მოყვარულ მეფეს.

და ერთი თვე ნადირობად გადაიკარგნენ.

მობრუნდნენ და ისევ ნადიმობას მისცეს თავი გვირგვინოსნებმა.

ღამი კი ვიდოდა. ბაგრატი საქართველოში დაბრუნებაზე კრინტს დაძრავდა და კეისარი მაშინვე კრინტშივე უვარდებოდა — არ მითხრა, არ გამაგონოო; გინდა სიყვარულს დააბრალე, გინდა მტრობას, ჯერ ვერასგზით ვერ შეგელევიო, —

თუ სიცილით, თუ წყრომით, თუ ალერსით და თუ მუქარით ჩაუქრიდა სათხოვარს კეისარი.

და იყვნენ ერთად.

ერთად ნადირობდნენ, ერთად ნადიმობდნენ.

ერთად ბუღრაობდნენ და... ერთად ბუღაობდნენ.

იცოდა კეისარმა მონომახოსმა, კონსტანტინოპოლელ ქალებს რომ ქართველი მეფის გახსენებაზეც კი ასოთმღერა აუტყდებოდათ.

თვითონაც დიდი ქალთამოლალე იყო კონსტანტინე მონომახოსი.

და მწუხრისვარსკვლავიდან ცისკრისვარსკვლავამდე ეძლეოდნენ მეფე და კეისარი ქალებთან თავდავიწყებით ტრფიალებას.

— კურთხეულ არს სიმხნე ასოისა შენისაა — ამხნევებდნენ და აქეზებდნენ ერთმანეთს ისინი და ერთის წუთითაც არ გახსენებოდათ, რომ „ჟამი არს შეტკბობისა და ჟამი არს განშორებისა შეტკბობისაგან“;

ხოლო დრო ტრფიალების ჟამსაც ისევე გულგრილად ვიდოდა, როგორც სხვა რაიმე წუხილისა და ურვის ჟამს;

ხოლო ბაგრატ მეფის დაყოვნება საქართველოს გარეთ, შესაძლოა, თვითონ საქართველოს დასჯდომოდა ძვირად;

აკი იქ, საქართველოში, ლიპარიტ ბაღვაში იყო, ბაგრატ მეფე კი — არ იყო...

კეისარი კი არ უშვებდა ქართველ მეფეს საქართველოში — ისე მიყვარხარ, არ შემიძლია ასე იოლად შეგელიოო!

ვედრება ოცდამეცხრე

სანამ გვირგვინოსნები ნადირობდნენ, ნადიმობდნენ და ბუღრაობდნენ, მანამ გიორგი მთაწმიდელი და მიქელ პსელლოსი საღვთისმეტყველო და საბრძნისმეტყველო საუბრებს ეძლეოდნენ თავდავიწყებით.

მაშინ ჩვენ ვამბობდითო — ასე იწყებდნენ ყოველდღე სიტყვადმიმოქცევას და ეს „მაშინ“ იყო ოცი წლის წინანდელი შეხვედრები მოძღვარსა და მოწაფეს შორის იოანე მავროპოდის სხოლაში.

და ამბობდა მიქელ პსელლოსი:

— ქრისტეს მოძღვრება იყო საგანი ჩვენი სიტყვაობისა და ვთქვი მაშინ მე — ქრისტეს მოძღვრების თავი და თავადი ნამოძღვრები ქრისტეს მოვლინებამდე ითქვა-მეთქი.

— მაშ, „არა კაც კლა“ მოსემ დაასწრო იესო ქრისტესო, ამბობ შენ, არა?

— დიახ, ვამბობ — სხეული ამა ლოგოსისა ეკუთვნის მოსეს.

— მაგრამ სული ამა ლოგოსისა ეკუთვნის ქრისტეს, — მოუჭრა უცებ გიორგიმ.

პასუხი დაუგვიანდა პსელლოსს.

და განაგრძო გიორგიმ:

— ჰეშმარიტს ამბობ შენ, კეთილო ძმაო, თავი და თავი ნამოძღვრევნი ქრისტიანობისა ქრისტემდეც რომ მრავალგზის ითქვა, მაგრამ თუ გიფიქრია, მაინც რაი არს უმთავრესი და თ ა ვ ა დ ი ა ზ რ ი სრულიად ს[illegible]აქრისტიანო მოძღვრებაში?

— თავადი აზრი?

— დიახ და სწორედ, ამინ გეტყვი შენ: თავადი აზრი, გინა ა ნ ი და ჰ ო ე სრულიად ქრისტიანობისა არის პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა თვითონ ქრისტესი.

— პიროვნება?!

— სწორედ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა და ძ ე ღ ვ თ ი ს ა ო ბ ა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა.

— ძეღვთისაობა...

— და ოდეს ამბობ შენ, მიქელ პსელლოს, ყოველი ქრისტიანული მოძღვრება იყო ქრისტემდე — იყო ინდურში, იყო ჩინურში, იყო ეგვიპტურში, იყო შუამდინარულში, იყო ჰაბირუში, იყო სპარსულში, იყო ჰელლინურში — ამინ გეტყვი შენ: იყო ყოველივე, მაგრამ არ იყო ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ს ი. და მოვიდა იგი, თვითონ ქრისტე, თავადი აზრი, გინა ანი და ჰოე ყოველივესი, გინა ყოველივე ყოველივესი-მეთქი! — კვლავ გამორჩეული სიმძაფრით აღმოიხდინა ბოლო სიტყვა გიორგიმ.

— ხოლო, თავადი აზრი თვითონ ყოველივეისა ყოველივესი? — იკითხა პსელლოსმა.

— თავადი აზრი ყოველივეისა ყოველივესი, ანუ თვითონ იესო ქრისტესი, ძეღვთისაობა მისი პიროვნებისა, ძეღვთისაო-

ბა- მეთქი! — ისევ აღუტევა ხმა გიორგიმ — ათასეული წლები ელოდა კაცობრიობა, საკუთარი თვალით ეხილა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა თ ვ ი თ ო ნ ღ მ ე რ თ ი ს ა, ეხილა, ესმინა და ხელით შეხებოდა სხეულსა მისსა. და აჰა, პ ი რ ვ ე ლ ა დ, ნ ა რ უ ქ ა დ მოვიდა იგი ძე ღვთისა, თვითონ ღმერთი, მოვიდა განკაცებული, ღმერთი კაცთა შორის კაცად განსხეულებული. პირველი მოვლინება, პირველი ნარუქი, ოდეს მარად საოცნებო შერწყმა განესრულა— შერწყმა ღვთაებრივისა და კაცობრივისა. მანამდე რომ ოდენ იშვიათად, ვითარცა მარცვალი ქვიშისაი ოკეანეში, ვინმე რჩეული კაცთაგანი თუ მოისმენდა ხმას ღვთაებისას, ახლა პირველად, პირველად-მეთქი, სრულიად ხალხს, სრულიად ერსა ყოველსა, ყოველსა მიწიერსა, ყოველსა ძესა ადამისასა შეეძლო ხილვა მისი, სმენა მისი, შეხება მისი. პირველად და მხოლოდ ქრისტეს პიროვნებით შეიგრძნო და შეიცნო ადამიანმა ღმერთი, უშუალოდ, განსხეულებით. პირველად იხილეს ადამიანებმა იგი, მსოფლიო ღმერთი და მსოფლიო კაცი, იხილეს მისი ხორციელი ანაგება, ჰხედავდნენ, ისმენდნენ, ხელით ეხებოდნენ...

და შეუჩერდა სიტყვა გიორგის.

და მაინც დაასრულა:

— და ადამიანებმა მას კიდევაც სცემეს, კიდევაც ჰგვემეს, ჯვარიც ათრევინეს და ჯვარზედაც განმსჭვალეს.

მიქელ პსელლოსი სდუმდა და უსმენდა მოძღვარს ყრმობისას. გიორგი კი განაგრძობდა:

— ქრისტემ, ვითარცა ღმერთმა და კაცმა, თვითონ მიუშვა ადამიანები მის სხეულამდე, თვითონ დაუშვა კაცთა ხელით მისი დამცირებაც, მისი გვემაც, მისი წამებაც, მისი ჯვარცმაც. და ცოდვილმა კაცთა სამყარომ აწამა ცოდვილი სამყაროს დახსნად მოსული, აკი უთხრა მან პეტრეს, მახვილი რომ აღმოიხდინა მის დასაცავად: „მიაქციე მახვილი ეგე ადგილსავე თვისსა, რამეთუ ყოველთა, რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ. ანუ ჰგონებთ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე აწ აქა უმრავლესი ათორმეტთა გუნდათა ანგელოზთაი? და ვითარ-მე აღესრულნენ წერილნი, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს ყოფად?“ მაშ, თვითონ დაუშვა ღვთაებრივმა თვისი ვნება, ვინათგან ოდენ ღვთაებრი-

ვი სისხლის დათხევას ძალუძდა უკიდეგანო ცოდვათა ზღვიდან კაცობრიობის გამოყვანა და გადარჩენა.

— და ეწამა, და აღესრულა, და აღსდგა! — დაურთო მიქელ პსელლოსმა.

— ჰეშმარიტად!

— ყოველივე არის სარწმუნო, ცნობიერი და დასაჯერისი, გარდა ერთისა, — უცებ აღმოხდა მიქელს.

— რომელ ერთისა?

— აღდგომისა.

აღდგომა მარტო ცნობიერებით არ აღიქმება, რადგან იგი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ყოველი ცნობიერი და ყოფიერი. ცნობიერებით შენ მხოლოდ ცოდნას ღებულობ, ცოდნას ყოველივე ყოფიერისას. მაგრამ სამყაროს წიაღსა შინა ყოფიერის მიღმა და აღმა არიან ს ა ს წ ა ულ ნ ი, რომელნიც მხოლოდ რ წ მ ე ნ ი თ აღიქვებიან, — რწმენით, რომელიც ცნობიერის მიღმიერი და მასზე უზღვრო დამანძილებით უმაღლესია. და ამინ გეტყვი შენ: ქრისტეს ჯვარცმა მხოლოდ ც ო დ ნ ა ი ყოფიერისა, ხოლო ქრისტეს აღდგომა — ს ა ს წ ა ულ ი, რაის დაჯერებას და დაჯერებისგან ნეტარებას მხოლოდ ისინი ეზიარებიან, ვისაც აღმოაჩნდება უნარი რ წ მ ე ნ ი ს ა, ვისაც ქრისტე სწამს და უყვარს, ცნობიერებაზე უზენაესი სიწრფოებით, მოწამებრიობით, სიყვარულით.

იდგა და ისმენდა მიქელ პსელლოსი უცნაური მოძღვარის სიტყვას, ისეთივე გატაცებით ისმენდა, როგორც ოცი წლის წინათ იოანე მავროპოდის სხოლაში.

მივიდა გიორგი, მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა საოცარი და იშვიათი ღიმილით:

— კიდევ რას მეტყვი, კეთილო ძმაო უმრწემესო და უკეთესო?

— კვლავ იმას ვიტყვი, სანატრელსა, რაც ადრევე ვთქვი და ვინატრე ოცი წლის წინათ: ანუ მე ვიყო ქართველი, ანუ შენ ბერძენი, ღვთაებრივო განმაბრძნობელო!

ამასობაში კონსტანტინე კეისარს დიდი მწუხარება დაატყდა თავს: უეცრად მოუკვდა მისი უსაყვარლესი საყვარელი სკლირენა: იტირა, იბღავლა, ითავცემა, არ ჭამა, არ სვა, არავის ნუგეში არ ინუგეშა და, თვინიერ ქართველი მეფისა, არავინ ახლოს არ გაიკარა.

ბრწყინვალე სამარტვილე აუშენა კეისარმა სკლირენას და დიდის ზარზეიმით ჩაასვენა შიგ მისი ცხედარი:

ახლა კეისრის მგლოვიარობამ დააბა ბაგრატ მეფე კონსტანტინოპოლში.

თუ შენ წადი და მიმატოვე, უეჭველად მოვკვდებიო, შეჰღაღადებდა კონსტანტინე ბაგრატს.

მართლაც, წუხილმა დიდად დაიბრიყვა კეისარი. ერთბაშად მოშლილიყო და დაშრეტილიყო მისი განთქმული სიხალისე და სილაღე. ერთბაშად მოტყდა და დაბერდა.

და მას ჟამს მიიცვალა ზოია ძოწითშობილი.

კონსტანტინეს დიდი ხანია ცოლის ჯავრი საერთოდ აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც დიდის პატივით დაკრძალა და წმინდანად გამოაცხადა.

თვითონ კი ვერ იქნა და ვერარ გამობრუნდა კონსტანტინე მონომახოსი. იგი შეიპყრო რაღაც მძიმე სალმობამ, გულგვამი ეწვოდა. ფეხები დაუსივდა და დაუწყლულდა.

და მიიცვალა მისგანვე დაარსებულ მანგანის მონასტერს. დაკრძალეს იქვე.

იმპერიის ერთპიროვნული მბრძანებელი შეიქნა დედოფალი თეოდორა, მონაზონყოფილი დედაბერი, სამოცდაათი წლისა.

და შეუჩნდა დედოფალი თეოდორა ბაგრატ მეფეს და მარიამ დედოფალს, თქვენი მართა შვილად მომეცითო.

მე მინდა ნათესავობა და მოყვრობა ქართველთა, მე მინდა ქართული სიმშვენიერე დამკვიდრდესო საღვთო სახლსა კონსტანტინოპოლისასაო — აეჩემებინა თეოდორას.

როგორ მივიქცეთო, ჰკითხეს გიორგი ათონელს ბაგრატმა და მარიამმა.

მართას ბედი თვითონ გიკარნახებთ, რომ უნდა დათანხმდეთო, ისევ სრული სიმშვიდით უპასუხათ გიორგიმ.

და აიყვანა ბიზანტიის იმპერიის დედოფალმა-ავგუსტამ ქართველთა მეფის ასული შვილად.

ამ ამბიდან კი არ გასულა ერთი თვეც და მიიცვალა თვითონ თეოდორა დედოფალი,

სახელმწიფო გლოვის დღეებში პირისუფალთა შორის იყვნენ ქართველებიც.

ის იყო, კუბო მიცვალებული დედოფლის ნეშთით ასწიეს და სასახლიდან გასატანად დასძრეს, რომ მეყვსეულად დარბაზში შემოიყვანეს თეთრად ღორთულ-მოკაზმული მართა ბატონიშვილი.

და მეყვსეულადვე ყველას საგლოველი დააყიწყდა.

ყველას მზერა ქართველ გოგონას შეეცვა და შეეყინა.

ცითმოვლენილ სულიწმიდას ჰგავდა მართა ბატონიშვილი.

და უცებ ცითმოვლენილი ღაღადისივით გაისმა:

— შეხედეთ და უწყოდეთ ყველამ, ვითარმედ დღეს ამ სასახლიდან დედოფალი განვიდა, მაგრამ მასვე ჟამს დედოფალი შემოვიდა!

და სიტყვა იგი იყო გიორგი ათონელისა.

ქართველი ბატონიშვილის სიმშვენიერეს და ქართველი ბერის სიტყვას ჯადოკრულად შეეპყრო ჰიპი დედამიწისა.

და იდგა ჩურჩული, ოდეს მიასვენებდნენ აღსრულებული დედოფლის ცხედარს:

— მაშ, დედოფალი განვიდა — იგულისხმება თეოდორა, ხოლო დედოფალი შემოვიდა — იგულისხმება მართა.

— ჰო, ასე სთქვა.

— ქართველმა ბერმა?

— სწორედ ქართველმა.

— ხოლო, რაკი სთქვა, აღესრულება?

— ჰო, აღესრულება, ვინათგან ამასაც ამბობენ დაბეჯითებით: წინასწარმეტყველების მადლი ჰქონია იმ ქართველ ბერს.

ვედრება ოცდამეთერთმეტე

თეოდორას სიკვდილის შემდგომ, გავლენიანმა ყვერულებმა საიმპერიო გვირგვინი თავზე დაადგეს და კეისრის წითელი წაღები ფეხზე ჩააცვეს ასაკით მიხრწნილსა და გონებით ბეჩარა მიქაელ მეექვსე სტრატიოტიკოსს.

ბაგრატ მეფე კი უკვე საქართველოს გზას ადგა.

მართა ბატონიშვილიც თან მიჰყავდა.

— ახლა უნდა წაიყვანოთ მართა საქართველოში, და მოვა დრო, როცა უკანვე მობრუნდება კონსტანტინოპოლს, — მხოლოდ ამის თქმა ინება და იკმარა გიორგი ათონელმა.

ვედრება ოცდამეთორმეტე

ხოლო, დედა მეფისა, მარიამ დედოფალი, ანტიოქიის გზას დასდგომოდა, რათა შავ მთასა და ანტიოქიას მცირე შეყოვნების შემდეგ იერუსალიმს ჩასულიყო, წმიდა ადგილნი მოელოცნა და თანხლებული განძი გლახაკთა და უპოვართათვის დაერიგებინა.

კონსტანტინოპოლიდან, საკეისროდან და საპატრიარქოდან, საგანგებო ბრძანებულებაც მისვლოდათ ანტიოქიის მმართველსა და სულიერ მოძღვარსაც, საგანგებო ღირსებით მიეღოთ ქართველთა დედოფალი და საკადრისი პატივითაც დაეყენებინათ იერუსალიმის გზაზე.

მაგრამ მიუსწრო გიორგი ათონელმა, ათონის მთიდან სასწრაფოდ წასულმა, ჯერ დედოფალი ინახულა, მერე ანტიოქიის პატრიარქი, მასთან სირიის გამგებელი და სამივეს ეს გადაწყვეტილება მიაღებინა: ახლა, ჩვენთა და ყოველთა ქრისტიანთა ცოდვათა გმო, იერუსალიმი ტყვეა ურჯულო სარკინოზებისა. ამიტომ არა კეთილ არს დედა ქრისტიან ქართველთა სარკინოზეთს წავიდეს!

და ააღებინეს ხელი იერუსალიმს წასვლაზე მარიამ დედოფალს.

ააღებინეს, მაგრამ ახლა გიორგის შეუჩნდა მარიამი: მე, შენგან დამოძღვრილსა და დამოწაფებულს, ბოლომდე მეყავ მეოხად, შეიწყალე სული ჩემი, ვითარცა გეწყალოდა მოჲქმამადე, და ვინათგან მე აღარ მეღირსება ჩემის ფეხით მოვიარო წმიდა ადგილნი წმიდა ქალაქის — შენ იტვირთე იერუსალიმს წასვლა ჩემდა წილხვედრად, წაიღე ყოველი საფასე ჩემი და დაურიგე გლახაკთა და დავრდომილთა წმიდა ქალაქის ტაძრებსა და სალოცავებშიო.

ეძნელა გიორგის „საქმე ესე, ვინათგან წმიდათა წიგნთა თარგმანისაგან დაეხრწეოდა“, მაგრამ ვერ წინააღუდგა დედო-

ფლისა და მოწაფის ვედრებას, აიღო ყოველი საწირველი საფასე და საგანძური მისი და წარემართა იერუსალიმს. ისევ მოიარა, მოიხილა, მოილოცა, განუყო ყოველივე გლახაკთა, დავრდომილთა და უპოვართა ყოველივე წამოღებული, სახელითა ქართველთა დედოფლისა მარიამისა.

ჯვრის მონასტერი ახალი აღმშენებლობით შენდებოდა და მაშენებელი მისი, ნეტარი მამა პროხორე, დიდის სიხარულით, ლოცვით და კურთხევით შემოეგება გიორგის.

დიდი წილი განძისა გიორგიმ ჯვარის აღმშენებლობას შესწირა.

დიდი არს საუფლო ესე შესაწირავი, რომელიც მოგვიგე შენ — ეუბნებოდა პროხორე გიორგის — მაგრამ უფრო დიდ და აღმატებულ ღვთაებრივ შეწირულებად ჩავითვლით, უკეთუ შენის ღმრთივმოსილი ხელით დაწერილ წმიდა წიგნებს მოანიჭებ ჯვარსა ჩვენსა ცხოველმყოფელსაო.

აღუთქვა გიორგიმ, ყოველი წიგნი, რომელიც ათონის მთაზე დაიბადება, ჯვარის მონასტერსაც მოერთმევაო.

და წამოვიდა პალესტინიდან.

მოდიოდა და შუაგულ სირიას რომ მოატანა, გზამ ერთ ტაფობში გადაუხვია, და ფეხის შედგმისთანავე მიხვდა, რომ რომელიღაც მძიმე ომით ნატვირთევ მიწაზე მოსულიყო.

დახრულ ადამიანთა ძვლებსა და დალეწილი საჭურვლის ხვიქირს აევსო სრულიად ჩუბუტო იგი დედამიწისა.

კარგა ხანს უცქირა გიორგიმ მზისგან ფერამოჭმულ ჩონჩხებს, ერთმანეთში ჩახლართულებს და ურთიერთგადაჭდობილებს.

სიკვდილს სიმშვიდით შეერიგებინა ურთიერთმტრობით დაუმცხრალი წუთისოფლელნი.

ეყარა ძვალთა ხორომნი მიწადქცეულ მათსავე ხორცზე.

ეყარნენ ერთ დროს ადამიანნი, ყველანი თავისთავადნი და სხვადასხვანაირნი, ახლა ნაადამიანარნი და სიკვდილისგან გაერთნაირებულნი.

ეანგი, გესლი რკინისა, მოსდებოდა დაფშვნილ საჭურველს.

დალეწილ ხმლებზე გაექცა თვალი გიორგის. აუარება ეყარა ხმლის ნატეხი — თუ წყება-წყებად, თუ გაფანტულად.

მარცხენა გვერდმა გაახსენა თავი, ვინათგან იქ ხმლის ნატეხი ეკიდა, ბურნუსში შემალული.

გეორქი გაახსენდა, ამ ხმლის მენახევრე.

საკიდარი აშკი შეიხსნა გიორგიმ და გამოიღო ნატეხი ხმლისა.

და თვითონაც არ იცოდა, რაის კარნახით, — დაიხარა და აიღო მიწიდან ხმლის გადანატეხი. აიღო და მიუსადაგა თავის ნატეხ ხმალს.

მიუსადაგა, მაგრამ არ მიესადაგა ნატეხი ნატეხს.

დაწვდა მეორეს, აიღო, მაგრამ არც ის მიესადაგა.

ხმლის გამთელების ჟინს აეტანა გიორგი.

აიღო მესამე... არც ეს მიესადაგა...

მეოთხე... არც ეს...

მეხუთე... არც ეს...

კიდევ... კიდევ... მეათე... მეოცე... მეასე...

არცერთი!

ყველა ხმალი თავისი, სხვანაირი, საკუთარი სიკვდილით გამტყდარიყო.

ისე ვითარცა ყველა ადამიანი სხვანაირია, თავისთავადი და თავისი, საკუთრად გამორჩეული სიკვდილით კვდება.

ხოლო, ეს განახევრებული ხმალი მანამ ასე ნაკლული და განახევრებული იქნება, სანამ იგი კვლავ არ იპოვის თავისი სხეულის თანაზიარს, ახლა რომ სადღაც ცალკე ნამსხვრევად და ნასხეულარად უსვენია ძმადნაკურთხ სომეხს.

და მოდიოდა გიორგი,

და ათოვდა ფიქრი ფიქრს, მძიმედ, მძიმედ.

და მოატანა კვლავაც შავ მთას,

და შემოეგებნენ ყოველნი ქართველნი შავმთელნი,

უზომოდ გაიხარა დედოფალმა მარიამმა, მუხლებში შეუვარდა წმიდა მამას და მოძღვარს, მადლი მიუგო მისგან ეგზომ პატივგებულმა და ამაღლებულმა.

მეორე დღეს მარიამ დედოფალი კვლავ ეზრახა გიორგის, იქნებ ინებო, პატივი დაგვდო და მცირე ხნით მაინც ჩამობრძანდე საქართველოშიო,

გიორგიმ არა უპასუხა რა. ოღონდ აკურთხა და გზა დაულოცა დედოფალს.

მარიამი საქართველოსკენ წავიდა.

გიორგი ათონელი კი, გიორგი შეყენებულის თხოვნით, ერთ ხანად შავ მთაზე უხდა დარჩენილიყო, კვლავ საღმრთო წიგნთა სათარგმნ-საწერად.

ვედრება ოცდამეცამეტე

და იყო შავსა მთაზედაც — თუ სვიმეონწმიდას, თუ კალიპოსს — დღეღამ-სწორებით დაუცხრომელი, ვითარცა მოძღვარი ქრისტესმიერ და ქართლოსისმიერ საძმოისა, მწყემსი სამწყოისა და მწერალი საღმრთოისა და საადამიანოისა.

თარგმნიდა და „ეგეგითარი თარგმანი, თვინიერ წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვიმესსა, სხვაი არა გამოჩენილა ენასა ჩვენსა და ვგონებ, თუ არც გამოჩინებად არს!"

წერდა გიორგი. უმეტეს წილად ღამე წერდა. დღისით საწესოს და საკანონოს აღასრულებდა, მიწას კერძავდა და თერძავდა, მჭედლობდა, იკონომოსობდა. „არა სცეშდა განსვენებასა თავსა თვისსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლს წიგნთა საღმრთოთასა შვრებოდა, რომელთა მიერ დაატკბო ენაი ჩვენი და წმიდანი ეკლესიანი განაშვენნა და წერილთა თვისთა ოქროითა განამდიდრნა უხვად და გარდარეულად".

და ისევ ერკინებოდა გიორგი ორიენ სიტყვას — სიტყვას ღვიძლსა და სიტყვას უცხოსა.

და იყო გარდასიტყვება სიტყვისა.

ვითა — გარდასპეკალება ქვისა სპეკალისა.

ვითა — გარდაქალწულება ქალისა ქალწულისა.

და იყო სიმღერა სინათლისა ღამესა შინა.

და განაკვირვა გიორგიმ ყოველნი.

განაკვირვა არა მხოლოდ ქართველნი.

არამედ — ბერძენნიცა.

არამედ — ასურნიცა.

არამედ — სომეხნიცა.

და ყოველნი, ყოველნი განაკვირვა, ვისაც კი ჰქონდა უნარი გაკვირვებისა.

და ყოველსა მის დროინდელსა ერქვა „გიორგის დროინდელი".

იმ ჟამსა შინა, ანტიოქიას, საღმრთო ქალაქს პატრიარქი აღსრულებულიყო და მის ადგილზე ახალი მწყემსმთავარი ეკურთხებინათ.

სახელი ანტიოქიის ახალი პატრიარქისა იყო იოანე, რომელსაც მანამდეც მისწვდომოდა ათონელი ქართველი ბერის საკვირველი სიბრძნისა, მწერლობისა და მოქალაქეობის ამბავი.

იმ ქართველ ბერთან სიტყვისქცევა მწადიაო, უბრძანებია იოანეს და მიუწვევია კიდეც გიორგი ანტიოქიას.

და მივიდა გიორგი ანტიოქიაში.

და შეხვდნენ ერთურთს, წმიდა პეტრეს დიდსა ტაძარსა.

და გააჩაღეს საღვთისმეტყველო აზრთა მიმოქცევა, რაიც გაგრძელდა სრული მსგეფსი — შვიდი დღე, შვიდეულითა საკითხავითა:

მართლისა სარწმუნოებისათვის,
საეკლესიოთა კანონთათვის,
სულისა სარგებელისათვის,
სათნოებათათვის,
ვნებათათვის,
მარხვათათვის,
შურისათვის.

— ჰეშმარიტად საკვირველი ყოფილა, ძმაო ჩემო, სიბრძნე და სიწმიდე შენი! — შეჰღაღადა იოანემ მსგეფსისა ბოლოს და შეუვარდა მუხლებში გიორგის:

— ნუ იყოფინ, ნუ იყოფინ, მამაო ღმრთითშემოსილო! — თვითონაც მუხლებზე დაეცა ათონელი და წამოაყენა ფეხზე ანტიოქელი.

ამიერიდან ყოველი ჩემი ცხოვრება შენთვის შემომიევედრებიაო, დაასრულა იოანემ, და მართლაც, ამის შემდგომ იგი ყოველთვის გიორგის ეკითხებოდა „გულისსიტყვათა თვისთა და ყოველთავე საეკლესიოთა საქმეთა“.

გამოხდა ჟამი და გიორგი ათონელმა ათონზე საშინელი ამბავი შეიტყო. ანტიოქიის წმიდა პეტრეს დიდებულ ლავრას, „შურითა მტრისაითა“, ცეცხლი გასჩენოდა და დამწვარიყო სრულიად.

მაშინვე გაეშურა გიორგი ანტიოქიას. მივიდა და იხილა ტაძარი დამწვარი, იოანე პატრიარქი კი მწუხარებით დაცემული და სიკვდილის პირს მიმხობილი.

მიუდგა გიორგი სულით დალეწილს და, „სიტყვითა ნუგეშინისცემისაითა და სწავლითა სულიერითა ყოველი მწუხარებაი და გლოვაი განაქარვა“.

და ეუბნებოდა გიორგის, ცრემლთა თხევით, მისგან სულით და სხეულით აღორძინებული ანტიოქელი:

— ჰოი, წმიდაო მამაო, უკეთუ შენი სიწმიდე არ მომშველებოდა მე, მწუხარებითა სული ჩემი ახლა ჯოჯოხეთს იქნებოდა შთასრულ.

ახლა მთავარი არის სწრაფი დაწყება ლავრის აღდგენისა და ახალი აღმშენებლობისაო, უპასუხებდა გიორგი გულაჩვილებულ პატრიარქს.

და დაიწყო წმიდა პეტრე მოციქულის ლავრის ხელახალი აღმშენებლობა.

გიორგი დაესწრო საძირკვლის გასკვნას, კურთხევას და ისევ დაბრუნდა ათონს.

ანტიოქიის ახალი ტაძარი ის იყო სრულდებოდა, როცა პატრიარქი იოანე მიიცვალა უფლისა მიმართ.

და მოვიდა მის ნაცვლად ახალი პატრიარქი, სახელად თევდოსი სამეუფლოელი, კაცი ფილოსოფოსი და სრულად განათლებული.

თევდოსი სამეუფოელს კი არ სცნობოდა გიორგი ათონელი.

ვედრება ოცდამეთხუთმეტე

ქართველები და ბერძნები კი ისევ ჭიშპობდნენ და ბრძოდნენ ერთურთში, არა მხოლოდ ათონზე, არამედ შაეი მთის სავანეებშიც.

იმჟამად, გამორჩევით, სვიმეონწმიდას სავანეში გადაეტერნენ ერთმანეთს ბერძენი და ქართველი მოწესენი.

— ჩვენ ბერძნები ვართ! — ყოყლოჩინობდნენ ბერძენნი (და ისინი მართლა იყვნენ ბერძენნი!)

— ჩვენ ქართველები ვართ! — იქაჩებოდნენ ქართველები (და ისინი მართლა იყვნენ ქართველნი!).

— ჩვენ უფრო მეტნი ვართ! — იმუქრებოდნენ ბერძენნი და ისევ მართალნი იყვნენ, რადგან იყვნენ 260.

— ჩვენ უფრო ძლიერნი ვართ! — იღრინებოდნენ ქართველები და ისიხიც ისევ მართალნი იყვნენ, რადგან იყვნენ 60.

— ჩვენ აქ მოვედით და დავემკვიდრეთ ამა მონასტრის აღშენების დღიდან, — გაიძახდნენ ბერძენნი.

— ჩვენ აქ მოვედით და დავემკვიდრეთ ამა მონასტრის დაარსებამდე, — გაიძახოდნენ ქართველნი.

— ჩვენნი წინაპრები პირადად იცნობდნენ სვიმეონ-მესვეტე უმცროსს და დედამისს, წმიდა მართას, — ბღაოდნენ ბერძენნი.

— ჩვენნი წინაპრები პირადად იცნობდნენ ორივე სვიმეონ-მესვეტეს, უფროსსაც, უმცროსსაც, და ქართველი იყო და არა ბერძენი წმიდა ანტონი, რომელმაც სვიმეონ-მესვეტე უმცროსს იერუსალიმიდან ევლოგიად ჩამოუტანა წმიდა ნამკესი ძელისა ქრისტეს ჯვარცმისა, — ღმუოდნენ ქართველნი.

და ჰქონდათ ქართველებს უპირატესობა ყოველი, თვინიერ „შურისა საეშმაკოისა".

და აღიძრნენ ბერძენნი უპირატესობითა თვისითა — „შურითა საეშმაკოითა", ქართველთა ზედა, რათა ძირითურთ აღმოეფხვრათ ნათესავი ქართველი სავანითგან სვიმეონწმიდისა.

და ეახლნენ ისინი თევდოსი სამეუფოელს, ეახლნენ, მუხლად შეუვარდნენ და მოახსენეს:

— შეგვეწიე წმიდაო მეუფეო, და გვიხსენ დიდისა ჭირისაგან და განგვათავისუფლე კაცთაგან, რომელნიც არიან ამაონი და უცხოთესლთანი, ჩვენს მონასტერში დამკვიდრებულნი, სამოცამდე კაცი, იწოდებიან ქართველებად და არავინ იცის ვინ არიან, რას იზრახავენ, რაი არს მათი სარწმუნოება და რაისთვის დაუპყრიათ მონასტერნი მთისა საკვირველისანი.

გაჰკვირდა თევდოსი პატრიარქი.

— საწუხად ჩემდა, მე კარგად არ ვიცნობ ქართველებს, მაგრამ განა ისინიც ჩვენებრ მართლმადიდებელნი არ არიან?— იკითხა გაოცებით.

— ჩვენთან მათი შედარება ვითარ ეგების, მეუფეო! რაღა ქართველები და რაღა სომხები. მათი ხუცესი ჟამსაც ვერ წირავს ჩვენს მონასტერში, — აყარყაშდნენ მომჩივანნი.

ჟამს ვერ წირავსო? ეს კი მართალი თქვეს ქართველების მომტერეებმა. უკვე კარგა ხანი იყო ქართველ ხუცესს ჟამის წირვის უფლება აღარ ჰქონდა, სვიმეონწმიდის ლავრაში. ამის მიზეზი ერთ დროს ქართველი ხუცესის „უცნაური ერესი“ გამხდარა: იგი სვეტზე ასულა და იქიდან სწირავდა ჟამს არა სამღვდელო სამოსელით, არამედ მხოლოდ ქალამნებით და ერთი საბეჭურით. და ამის შემდგომ ბერძნებს აუკრძალავთ ქართველი ხუცესისგან ჟამის წირვა მონასტერს. ქართველს მხოლოდ ზიარების უფლება დარჩენოდა მთავარ ტაძარში.

და ეს მიზეზი მოიმიზეზეს ახლა „უკეთურებისა საფარველად“ ქართველებზე შხამის საქცევად მოსულმა ბერძნებმა.

ჩაფიქრდა პატრიარქი ანტიოქიისა. ჩაფიქრდა, იფიქრა და ალმოიხდინა ბოლოს ეს სიტყვა:

— არავინაა ნათესავთა ქართველთა შორის მცოდნე ბერძნულისა ენისა და განსწავლული საღმრთო წერილთა შინა?

არის ასეთი კაციო, გამოუვარდა პირიდან ერთ მომჩივანთაგანს.

დაასახელეო, ბრძანა თევდოსიმ.

— არის მონაზონი ქართველი, ღრამატიკოსი და ბერძნულ წიგნთა ქართულად მთარგმნელი, სახელად გიორგი.

— მომიყვანეთ მე იგი! — ბრძანა ბრძანებითა შეუვალითა პატრიარქმა.

და მიიყვანეს გიორგი ათონელი ანტიოქიის მწყემსმთავართან.

მარტო არ იყო თევდოსი. ქართველთან შესახვედრად მოეწვია მიტროპოლიტნი, ეპისკოპოსნი, სწავლულნი, წარჩინებული ანტიოქელნი, ერნი და ბერნი.

და შევიდა გიორგი ქართველი ბერძნულ სულიერ კორომსა შინა.

მიეგება თევდოსი პატრიარქი. ჯვარი გარდასახა, კურთხევა მისცა და მოიკითხა კეთილად.

მადლი მიუგო ქართველმა.

დაბრძანდიო, შესთხოვა თევდოსიმ და დაისვა პირდაპირ, ახლოს. ლამის მუხლებით წვდებოდნენ ერთურთს.

— მითხარი, მამაო პატიოსანო, რაი არს და სადა არს ქვეყანა იგი, საიდანაც შენ და შენი თვისტომნი მოსულხართ აქა? — დაიწყო კითხვისმიგება თევდოსიმ.

— ქვეყანას ჩემსას ჰქვია საქართველო და არის იგი იქ, სადაც არის შუბლი და საფეთქელი დედამიწისა — კავკასია და კავკასიონი, — მიუგო გიორგიმ.

შუბლი და საფეთქელი დედამიწისა?!

კავკასია, კავკასიონი, საქართველო?!

გაიკვირვა და გაიოცა ბერძენთა საკრებულომ.

— უამი რა ენაზე შეიწირვის საქართველოში? — ჰკითხავდა ისევ პატრიარქი.

— ქართულს ენაზედ, — იყო პასუხი.

— რაისთვის იტყვიან, სარწმუნოება ქართველთა და სომეხთა ერთი არს?

— ვინც მაგას იტყვიან, უვიცად იტყვიან — უპასუხა გიორგიმ და განაგრძო — დასაბამითგან ქრისტიანობა სომეხთა და ქართველთა, იყო ისეთივე, როგორიც თქვენი, ბერძენთა ქრისტიანობა. მაგრამ სპარსთაგან მიმძლავრებამ აიძულა სომეხნი მართლმადიდებლობა უარეყოთ და მონოფიზიტობას შესდგომოდნენ.

— და ოდენ ესე არს განყოფა სომეხთა და ქართველთა?

— ოდენ, — მოჭრა გიორგიმ.

— მაინც რაის მომტანი გამხდარა თქვენთვის, ორივე ერისთვის, განყოფა ესე — სარგებელი თუ სავნებელი?

— ორივე ორივესთვის, — ისევ მოკვეთა ქართველმა.

— ?!

— სარგებელი ის არის, რომ სომეხი სომხად გამოიკვეთა და გაიზარდა, ქართველი ქართველად, ხოლო სავნებელი ესე არს — გატყდა ოდინდელი ერთძალოვნება სომეხ-ქართველთა, — სთქვა გიორგიმ და ფიქრად იმ გატეხილმა ხმალმა გაუელვა, რომლის ნახევარი ახლაც იღლიის ქვეშ ესხეულებოდა.

და ისევ დაათოვა ფიქრს ფიქრმა: სად არის ახლა ის სომეხი ამ ხმლის გადანატეხით... ანუ ოდესმე გამთელდება ხმალი ესე, ჩვენის ხელითვე გადამსხვრეული?!...

— მაშ, თქვენ, ქართველები ისეთივე დიოფიზიტები ხართ, როგორც ჩვენ ბერძენნი? — გამოარკვია გიორგი ვილაცის ხმამ.

— სწორედ, — მოკვეთა ქართველმა ისე, რომ იმ ხმის პატრონი თვალითაც არ მოუძებნია.

— ნამდვილად? — არ მოეშვა „ის ხმა“.

სული აუჯანყდა გიორგის.

— თუ ნამდვილზე მიდგება საქმე, ქართველები უფრო ნამდვილი დიოფიზიტები უნდა იყვნენ, ვიდრე ბერძენნი, ან სხვა ვინმე ტომისანნი!

— ეგ როგორღა უნდა გაიგოთ?

— ისე უნდა გაიგოთ, რომ ქართველი კაცი ჯიშითაც დიოფიზიტია — ღვთაებრივიც და კაცობრივიც!

ეს უკვე მკაცრად და მღელვარედ იყო ნათქვამი, გიორგისთვის უწვეულო მღელვარებით.

უხერხული მდუმარება ჩამოვარდა.

ისევ პატრიარქის სიტყვამ გამოაფხიზლა ყველა.

— დედამიწის შუბლიდან მოვლენილო!

იღიმებოდა თევდოსი.

— მაინც რაისად განასხვავებენ სვინდისსა ბერძენთა და სვინდისსა ქართველთა მომტერენი და მომჩივანნი თქვენნი?

— მანდაც ცდებიან, ვინათგან ქართველებიც ახლა სვინდისს ისევე განიხილავენ, როგორც ბერძენნი დასაბამითგან.

— ?!

— საქმე ისაა, უნეტარესო, სიტყვა „სვინდისი" ქართულმა სიტყვიერებამ დასაბამითგან არც კი იცოდა.

— ?!

— არ იცოდა, ვინათგან არ სჭირდებოდა.

— ?!

— არ სჭირდებოდა, ვინათგან ქართველ კაცს დასაბამითგან გააზრება თქვენებური „სვინდისისა" საკუთრივ გონებაში ეგულისხმებოდა; გონება და სვინდისი, ანუ შ ე დ ა ზ ნ ე ო ბ ა, ანუ შ ე დ ა პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა ქართველი კაცის ცნობიერებაში ერთ მთლიან სხეულად — გ ო ნ ე ბ ა დ მოისაზრებოდა, გონებად-მეთქი! თქვენ რომ ამბობთ ახლა ბერძენნი: სვინდისი ამხელსო, სვინდისი კარნახობსო, სვინდისი აწუხებსო, სვინდისი ქენჯნისო, — ქართველი კაცი კი ასე იტყოდა: გონება ამხელსო, გონება კარნახობსო, გონება აწუხებსო, გონება ქენჯნისო. ასე იყო, ვინათგან ქართველი კაცი, დასაბამითგან მისი ქართველობისა, გულისხმობდა ამასაც: გონება არის ადამიანი და რაკი შექმნილხარ ადამიანად, გონება არის შენი ზნეობაც, პატიოსნებაც. ხოლო შემდგომ, ვინ იცის რა კაცობრიულმა წვა-დაგვამ გახლიჩა ქართველი კაცის აზროვნებაში გონება

იგი — ცალკე წმინდა გონებად და ცალკე კიდევ შიდაზნეობრივ, ანუ თქვენებურ „სვინდისებრივ" მი-და-მო-ქცევად. და ახლა ქართველებსაც, საუბედუროდ მათდა, სჭირდებათ ცალკე ხმარება სიტყვა „სვინდისისა".

— საუბედუროდ?!

— სწორედ, სწორედ — საუბედუროდ ჩვენდა, მაგრამ არა მხოლოდ ჩვენდა, ქართველთა, არამედ თქვენდა, ბერძენთა, და ყოველთა კაცთა მოდგმათა საუბედუროდ დედამიწაზე.

—?!

— საუბედუროდ-მეთქი, ვინათგან ადამიანის გონება რომ არ გახლეჩილიყო, ადამიანებს ქრისტეს სჯულის აღქმა, ათვისება, შეთვისება და ქრისტიანად, ანუ ნამდვილ ადამიანად გარდასახვა, ეგზომ აღარ გაუჭირდებოდა.

— ?!

— აგრე გახლავთ, ძმანო. და მამანო! მოსემ რომ ათი მცნება ადამიანებს კანონის შიშის ქვეშ დაუდგინა, უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ ადამიანებს შიში მოუხსნა და ათივე მცნება სვინდისებრივ სიყვარულზე გადაუდგინა. მაგრამ ქრისტეს შემდგომ განვლილმა ათასმა წელიწადმა უფრო ის გვაჩვენა, რომ მარტო სინდისმა, გონებისგან მოხლეჩილმა, სიყვარულის ტვირთი ვერ ასწია და ადამიანებს დღემდე ისევ უფრო სძულთ ერთმანეთი, ვიდრე უყვართ.

— მაშ, ისე გამოდის, მოყვასისადმი მოყვასის სიყვარული, ოდენ ლიტონი სიტყვა ყოფილა! — გაისმა ხმა ბერძენთა საკრებულოდან.

გიორგის მისკენ არც გაუხედავს ისე განაგრძო:

— და სიძულვილი მოყვასისა მოყვასისადმი ისევ სუფევს მოყვასთა შორის.

— სიცრუეა!

— ჰი, დღესაც, ჩვენი შეყრის მიზეზი სიძულვილი არ არის, განა? — კვლავ ისე უპასუხა გიორგიმ, იმ ხმის პატრონი თვალით ახლაც არ მოუკითხავს.

— სიძულვილიო? ვისი ვისადმი?

— სიძულვილი ბერძნისა ქართველისადმი.

— იქნებ, ბერძნის სიძულვილი ქართველისადმი არის პასუხი სიძულვილისა ქართველისა ბერძენისადმი?

— ნურას უკაცრავად! — პირველად აღუტევა მაღლა ხმა

გიორგიმ — ქართველს უცხო თქ̇ლის, მით უფრო ბერძნის სიძულვილს ვერვინ დასწამებს. უცხოთმოყვარეობა ქართველი კაცის ბედისწერა თუ ბედისწყევლააა და ასედაც რომ არ იყოს — უკეთუ მართლა ქართველმა ბერძენი შეიძულა — შენ, ქრისტიანო, სიძულვილს სიძულვილით რატომ პასუხობ, ქრისტიანო-მეთქი!

და უპასუხოდ მიწყდა რისხვეული კითხვა გიორგი ათონელისა.

და იდგა ერთხანს სიჩუმე, დროისა და სივრცის მცოხნელი, ვითარცა ყაჟი ჭიქნაურისა.

მერე ისევ თევდოსი ანტიოქელმა მიმართა გიორგის:

— პატიოსანო მამაო, ჭეშმარიტს ბრძანებ — სიძულვილს სიძულვილით არ ეპასუხების, არც ბოროტებას ბოროტებით, და მხოლოდ სიყვარული უნდა სუფევდეს საზოგადოდ მოყვასთა შორის.

რამდენჯერ თქმულა სიტყვა ესე ქრისტეს შემდგომად! მაგრამ... გულის სიღრმეში გაუელვა გიორგის, ხოლო ხმამაღლა ეს უპასუხა თევდოსის:

— საზოგადო მოყვასთა შორისო, ბრძანებ შენ, მეუფეო, მაგრამ საზოგადო მოყვასობამდე ბერძენ-ქართველთა სიძულვილზე და სიყვარულზე განეფინებოდა სიტყვიერება ჩვენი.

— მაგრამ ქრისტესთვის არ არსებობდა არც ბერძენი, არცა ქართველი, არცა ჰაბირუ, არცა არამეველი, არცა ეგვიპტელი, არცა რომაელი, არამედ მისთვის იყო ოდენ ზოგად-ადამიანი, ზოგად-მოყვასი — ნასწრაფევად თქვა თევდოსიმ.

— მაგრამ ჩვენთვის რომ ზოგად-მოყვასამდე სწორედ ეს არსებობს: ბერძნისთვის — „ჯერ ბერძენი“, ქართველისათვის — „ჯერ ქართველი“? — ნასწრაფევადვე მიაგება გიორგიმ.

— არსებობს, არსებობს, — ჩაილაპარაკა და ჩაჰყვა ფიქრს თევდოსი სამეუფოელი.

— და იარსებებს, — მოულოდნელად სცა სიტყვა ქართველმა.

— იარსებებს?

— იარსებებს სამარადჟამოდ, ანუ მანამ, სანამ იარსებებს კაცობრიობა.

— მერე, ქრისტე?!

— ჯერ კიდევ კაცობრიობა მოსეს კანონის შიშისმიერს

უფრო ემორჩილება, ვიდრე ქრისტეს სვინდისისმიერ სიყვარულს ეთვისებოდეს.

— სრულმან სიყვარულმან შიში განდევნოს, აკი თქმულ არს?

— მაგრამ ვაი, თუ ადამიანი ბუნებითვე იმდენად ნაკლულია, სრული სიყვარული არ ძალუძს და სრულქმნილ ქრისტიანად გარდასახვაც შინაგანად ბუნებითვე არ შეუძლია?!

— სრულქმნილი ქრისტიანი, რომელსაც არ სძულდა და ოდენ უყვარდა, იყო მხოლოდ თვითონ უფალი იესო ქრისტე.

— ოოო, ხოლო ჩვენ, ადამიანნი?!...

...ეჰვის წვეთი ჩამოეშვა ცაზედეთიდან და მეხის წიწილასავით დაეცა მიწას.

„მე ვარ ეჰვი, მარად უწყვეტელი და უშრეტელი, მარად უჩინარი და მარად მაგრძნობელ-მაწვალებელი, მე უხილავად ვეწვეთები შენს ტვინს, შენ და ყოველი ხართ მონანი ჩემი წვეთისა, მე ვარ მეფე შენი და ყოველთა“...

. .

— გვიამბე, მაინც, რა გზა გაუვლია ერსა შენსა, დასაბამითგან მოაქჟამამდე, — უთხრა ბოლოს ქართველს პატრიარქმა.

და უამბო გიორგიმ ბერძენთა საკრებულოს, რა გზა გაევლო და რა გარდახდომოდა თავს ნათესავ ქართველს ორი ათასი წლის სარბიელზე, ქართლოსიდან ბაგრატ მეოთხემდე.

უამბობდა ქართველი და ისმენდნენ ბერძენნი, გაოცებულნი და განლიგებულნი.

და გაკვირვებული იყო თვითონ გიორგი, გაკვირვებული სწორედ იმით, რომ მისი ნაამბობით ეგრერიგად გაოცებულიყვნენ მსმენელნი მისნი.

აგერ, შვიდასი წელიწადი იქნება, ერთად, ერთი უფლის მეუფების ქვეშ ვიმყოფებით ქართველნი და ბერძენნი და ქართველთა თავგადასავალზე მოსაუბრეს ისეთი გაოცებით მიცქერიან, თითქოს ქართველის სახელი მართლა პირველად ესმოდეთ ამ ცისქვეშეთში.

ვაი შენ, უბედურო ერო მცირეო!

და უამბობდა გიორგი გულითა ამღვრეულითა და სახითა აუმღვრეველითა, რანი იყვნენ ნათესავნი ქართველნი საუკუნეთა გასწვრივ, როგორ შრომობდნენ, როგორ აშენებდნენ, რო-

გორ იღვწოდნენ, როგორ იბრძოდნენ — თავისი მშვენიერი ქვეყნის, მშვენიერი სულისა და მშვენიერი სხეულის გადასარჩენად.

დაასრულა და დადგა გიორგი.

სიჩუმეც დადგა და იცოხნა ერთხანს. მერე ისევ თევდოსი პატრიარქმა სთქვა, წრფელად: დიდი და მასთან ფრიად ვნებული ერი ყოფილა ნათესავი ქართველიო.

— მაინც აზიელნი არიან ქართველნი, — უცებ ისევ გაისმა ხმა საკრებულოდან.

ყველამ იმ ხმისკენ მიიხედა მეყსეულად.

გიორგი კი არ განძრეულა, თითქოს არც გაუგონია ხმა იგი.

— ჰო, საცხოვრისი მათი ჯიშისაც არის აზია, — გაიმეორა იმ ხმამ.

— აზიაო? — ვეღარ მოითმინა გიორგიმ — დიახ, აზია არის საცხოვრისი ქართველებისა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ აზია არის კვარცხლბეკი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

— არა ოდენ აზია, არამედ, ვითარცა იტყვის განშვენებულად მათე მახარებელი — სრულიად ქვეყანა არს კვარცხლბეკი ფერხთა ქვეშე უფლისა, — არ მოეშვა ის ხმა.

— უფალი და მაცხოვარი კაცობრიობისა დაიბადა აზიის მიწაზე, მეტყველებდა აზიურ ენაზე, იცხოვრა და იღვაწა აზიაში და ბოლოს ჯვარს აცვეს... ევროპელებმა, — თქვა გიორგიმ.

— ევროპელებმა?! — აღმოხდა ყველას.

— დიახ, ევროპელებმა, ანუ რომაელებმა — არ ჰკარგავდა სიმშვიდეს გიორგი.

— არა, აზიელებმა, ანუ ჰაბირუელებმა გააკრეს ჯვარზე მაცხოვარი!

— ჰაბირუელნი თუკი დასჯიდნენ, დასჯიდნენ წესითა ჰაბირუსი — ქვით დაკრებით, ანუ ჩაქვავებით, ხოლო ჯვარზე გალურსმვა იცოდნენ რომაელებმა და აკი გალურსმნეს კიდეც, და შუბიც რომაელმა ლეგიონერმა, ანუ ევროპელმა ჩასცა ფერდში იესო მაცხოვარს.

— ნუღარ ინებებ, პატიოსანო მამაო, — შეაჩერა გიორგი თევდოსიმ — კმა არს სათქმელად: აზიელებმა, ანუ ჰაბირუელებმა აიჩემეს იესოს სიკვდილი და ევროპელებს, ანუ რომა-

ელებს მოაკვლევინეს. ხოლო ახლა ვისიტყვოთ არსისათვის ძველი აღთქმისა და არსისათვის ახალი აღთქმისა.

და ისიტყვა გიორგი ათონელმა საკვირველი სიღრმით, სიცრცით და სიორძილით.

და მიიწურა შეუმჩნეველად დღე, ზენაარი სიტყვით დამთვრალი.

წამოიმართა ფეხზე თევდოსი პატრიარქი და შეჰღაღადა გიორგის:

— პატიოსანო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მე მახილვინა სიწმიდე შენი. და აჰა, ესერა, ღვთისწყალობით გზედავ, დაღაცათუ ნათესავით ქართველ ხარ, დანარჩენითა ყოვლითა სწავლულებითა ბერძენი ყოფილხარ. მადლი ღვთისა შენთან არს დამკვიდრებული, ქართველო, და, რეცა, სული წმიდა ამბობდეს სიტყვას პირითა შენითა!

უთხრა და მოეხვია გიორგის თევდოსი.

დანარჩენებიც წამოიშალნენ, ადიდეს ღმერთი და შეასხეს ქება და ნეტარება ქართველს — ღვთის ნათლულს.

მობრუნდა თევდოსი სამეუფოელი, მოაყვანინა ქართველების მაბეზღარნი და ცუდის მზრახველნი, ფრიად შეჰრისხნა, აძაგა, აგინა და ბრძანა მათი განკანონება ეკლესიისგან.

მაგრამ ისევ გიორგი გამოესარჩლა ქართველთა მომტერეებს. გევედრები, ნუ დასჯი, მე მაპატიე მათი ცთომილობანი და შეცოდებანიო, — ევედრა პატრიარქს.

ისევ განკვირდნენ ყველანი, სამღვდელონი და საერონი, ქართველთა მოყვარენი და მომტერენი.

შეიწყნარა პატრიარქმა გიორგის თხოვნა და განუტევა ცილისმწამებელნი.

ბოლოს, ბრძანა პატრიარქმა თევდოსი სამეუფოელმა: ამიერიდან ქართველებმა ჟამიც მათი ნებისად სწირონ სვიმეონწმიდის მთავარ ლავრაშიო.

და იქმნა ასე.

ვედრება ოცდამეთექვსმეტე

და კვლავაც გამოხდა ჟამი, თვინიერ ნებისად ადამიანისა.

და არ დაისვენეს ქართველთა მომტერეებმა.

ისევ ეახლნენ პატრიარქ თევდოსი სამეუფოელს მის წინაშე ქართველებზე გესლის საქცევად და აუწყეს:

— რა უფლებით ხდება, მეუფეო, ეგზომი კადნიერება ქართველებისა, რომ მათი ეკლესიანი და მღვდელთმოძღვარნი არც ერთი პატრიარქის ხელმწიფებას არ ექვემდებარებიან, ყოველ საეკლესიო წესებს თვითონ განაგებენ და განასრულებენ, კათალიკოსსაც და ეპისკოპოსებსაც თვითონ დაისვამენ. და როგორ ბედავენ ეგზომ თვითნებურ ყოფას, როცა მათი ქვეყნის მიწაზე ფეხი არ დაუდგამს არც ერთ ათორმეტ მოციქულთაგანს. ამიტომ ჯერ არს ქართველები ემორჩილებოდნენ ანტიოქიას, ამა ღმრთის ქალაქს, და ამა მოციქულთა საყდარს. რამეთუ ერი ქართველთა არის უმეცარი, სამწყსოი მათი მცირე და არიან ჩვენდა მახლობლად, ჯერ არს იმწყემსებოდნენ ისინი პატრიარქ ანტიოქელისაგან, მისგანვე იკურთხებოდეს და ხელდაისხმოდეს კათალიკოსი ქართველთა და ვიყვნეთ ასე ჩვენც და ისინიც — ერთი სამწყსო, ერთი მწყემსის ქვეშ.

მოისმინა ქართველთა სავნებელი ეს ნაბეზღარიც თევდოსი სამეუფოელმა, მოისმინა, ჩაუფიქრდა და ბოლოს ნაბეზღარადაც აღარ მოეჩვენა. ნაბეზღარი კი არა, უფრო სამართლიანობადაც კი მიიჩნია, ქართველთა სამწყსო ანტიოქიის სამწყსოს შეერთებოდა, უკეთუ მართლა ქრისტეს ათორმეტ მოციქულთაგან საქართველოში არც ერთი არ ყოფილა, და უკეთუ...

და იხმო ისევ გიორგი ათონელი თევდოსიმ.

კვლავ ტკბილად მოიკითხა, კვლავ უწოდა კეთილი ღიმილით „დედამიწის შუბლიდან მოვლენილი". და როცა დარწმუნდა, რომ „ეს უცნაური ქართველი" თავისდა სასიკეთო საუბრად განაწყო, უთხრა:

— ჰოი შენ, ნეტარო მამაო, თუმცა ნათესავით ქართველ ხარ, ხოლო სწავლულობითა და მეცნიერებით ჩემივე, ბერძენთა სწორი ბრძანდები...

ისევ გაჰკრა გიორგის გულს გრძნობამ უამურმა, მაგრამ ისევ დაითმინა და აღარ შეაწყვეტინა სიტყვა პატრიარქს, რომელიც განაგრძობდა:

— და იმედი მაქვს, რასაც გეტყვი, ყოველივეს ჯეროვანი სისწორით გაიაზრებ. ჩემის ღრმა რწმენით, ჯერ არს, რათა თქვენი, ქართველთა ეკლესიანი და მღვდელთმოძღვარნი ჩვენი, ანტიოქიის სამოციქულო საყდრის ხელქვეშ იმწყემსებოდ-

ნენ. და შენ შეგიძლია ამ საქმის გაკეთება, რადგან მე ვიცი როგორ ისმენს თქვენი მეფე შენს სიტყვას, როგორ შეუვალად უგდებს იგი ყურს ყოველ შენს რჩევას. და ამიტომ გთხოვ მე, მისწერო საქართველოს მეფეს და აუწყო უმჯობესობა ქართველი ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიასთან შეერთებისა.

მცირე ხნით შედგა თევდოსი, მაგრამ როცა გიორგის სახეზე იოტის ტოლი ცვლილებაც ვერ შენიშნა, ისევ განაგრძო, ახლა უკვე უფრო მკაცრად და უფრო ხმამაღლად:

— ხოლო, უკეთუ თქვენმა მეფემ ჩემი სიტყვისა არაფერი შეიწყნარა, მაშინ, მე მივსწერ ჩემი საყდრის თანამოდგამ ოთხივე პატრიარქს — კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ალექსანდრიისა და კართაგენის პატრიარქებს — რომ ქართველები სამოციქულო კანონმდებლობას არაფრად აგდებენ და, მიუხედავად იმისა რომ მათ მიწაზე არც ერთ მოციქულს ფეხიც არ დაუდგამას, თვითონ იმწყემსებიან, თვითრჯულობენ და კადნიერად ქედფიცხელობენ. და ესრეთ შეგამთხვევთ უამრავ საზრუნავსა და საწვალებელს, ვიდრე თქვენი მეფე ჩვენს წინაშე თავის ფეხით მოვიდოდეს და მორჩილებასაც თავის პირით მოგვახსენებდეს!

დაასრულა თევდოსი სამეუფოელმა და დააშტერდა გიორგის. გიორგი კი ისევ მშვიდად დახვდა ანტიოქელის დაჟინებულ მზერას. მერე, მხოლოდ ბაგენი შეარხია და თქვა სახეწყნარმა და სიტყვამყარმა:

— ჰოი, წმიდაო მეფეო, ასე ადვილად რად წამოგიკრავს ხელი ეგზომ დიდისა და მაღლისა საქმის გააზრებად და გასაჩრულებლად? ვინ არიან ეგზომ უგუნურნი განმზრახნი და მრჩეველნი შენნი? ანდა, რად ინებებ ესრეთ უგუნურად მოიხსენიო ქართველობა, სინამდვილეში ერი ბრძენი, წრფელი და უმანკოი? აჰა, ესერა, შემხედე მე და დამაკვირდი, რამეთუ მე ვარ ქართველთა შორის ყველაზე უმდაბლესი და უნარჩევესი და სწორედ მე უნარჩევესმა ქართველთაგანმა მოგცე პასუხი ყოველთა ქართველთა წილად, ოღონდ ჯერ მოაღებინე წიგნი, „მიმოსვლაი ანდრია მოციქულისაი“ და იქიდან გეუწყოთ საძიებელი თქვენი.

— „მიმოსვლაი ანდრია მოციქულისაი“? — იკითხა პატრიარქმა რაღაც მშრალი ხმით.

/ — სწორედ. და კიდევ მასთან, მოიხმეთ ვინმე, მცოდნე, განსწავლული და მართლის მდევარი.

— თეოფილე ქართველი რომ მოვიყვანო? — თითქოს წა-ცდა, ისე წამოიყვირა თევდოსიმ.

— ტარსუსის მიტროპოლიტი? — იკითხა გიორგიმ.

— სწორედ.

— მერე, ქართველს ენდობი და ისიც ქართველის წინა-აღმდეგ? — ყრუდ გაეცინა გიორგის.

— რატომ, — წიგნსა და ქართველს ერთად ვენდობი, — გაიცინა პატრიარქმაც.

— არა, არ ეგების მარტო ქართველი, ანუ ორი ქართველი და ერთი ბერძენი. ამიტომ, იმ ქართველს გარდა, უხმე ბერ-ძენ ეპისკოპოსებს და სხვათა სწავლულთ, სამღვდელოთა თუ საეროთა, — მტკიცედ მოითხოვა გიორგიმ.

და უხმო თევდოსი პატრიარქმა თეოფილე ქართველს, და კიდევ სხვათა სწავლულთა ბერსა და ერსა.

და მოაღებინა წიგნი — „მიმოსვლაი ანდრია მოციქულისა".

მოაღებინა ბერძნულს ენაზე.

(თუმცაღა ეფთვიმეს ჰქონდა ქართულად ნათარგმნი ეს წიგნი, მაგრამ ბერძენს ქართული რად უნდოდა!).

და მოიმარჯვა წიგნი იგი გიორგიმ და უთხრა ანტიოქიის პატრიარქს:

— შენ განგაზრახეს და გათქმევინეს, წმიდაო მეუფეო, ქართულ მიწაზე ათორმეტთაგან არც ერთ მოციქულს ფეხი არ დაუდგამსო. მე კი მოგახსენებ, რომ საქართველო თავის ფეხით მოიარა და ქრისტიანობა იქადაგა არამცთუ ერთმა, არამედ ორ-მა მოციქულმა — ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კა-ნანელმა და სვიმონ კანანელმა თავისი წუთისოფელიც საქარ-თველოში დაასრულა და იქვე დაეფლა ქართულ მიწაში, აფხა-ზეთში, ქალაქ ნიკოფსიას. აჰა, ესერა, იხილე თავად, წმიდაო მეუფეო!

და გადაუშალა წიგნი იგი ქართველმა ბერძენს და საკუთა-რი თვალით წააკითხვინა ბერძნულს ენაზე მოგზაურობა და ღვაწლი ქრისტეს ორი მოწაფისა საქართველოში.

წაიკითხა თევდოსიმ ყოველივე და თქვა ბოლოს, დათრგუ-ნვილი ხმით:

— ჰეშმარიტ არს!

— ახლა, შენ თვითონ, წმიდაო მეუფეო, აკი ამბობ, რომ

ჩემი საყდარი, ანტიოქიისა, მოციქულ პეტრეს განეკუთვნებაო? — განაგრძობდა გიორგი.

— სწორედ ასეა: მე ვზი პატრიარქად საყდარსა მოციქულ პეტრეს სახელობისასა! — ამაყად სთქვა თევდოსიმ.

— ხოლო, პეტრეს პეტრემდე აკი სვიმონი ერქვა?

— ჰო, მაგრამ მერე რაო?

— მერე ის, რომ — სვიმონს პეტრე ვინ უწოდა?

— უწოდა მისმა ძმამ ანდრიამ, — მორჩილად მიჰყვებოდა ბერძენი ქართველს.

— მაშ, ანდრია მწოდებელია, ხოლო პეტრე — წოდებული, არა?

— ჰო, ასე გამოდის, მერე?

— მერე, ისიც ხომ მართლად გამოდის, რომ ძმათაგან მწოდებელს საქართველო გაუნათლებია, ხოლო წოდებულს — ანტიოქია?

— გამოდის, ჰეშმარიტად გამოდის.

— და უკეთუ ყოველივე ასე გამოდის და ანტიოქიისა და საქართველოს სამწყსოთა შეერთებაც აუცილებელია, მაშინ რომელი რომელს უნდა დაემორჩილოს — მწოდებელი წოდებულს, თუ პირიქით, წოდებული მწოდებელს? ანუ რომელი უფრო უპრიანი ყოფილა, უფროსი ძმისა და მწოდებლის სამწყსო საქართველო უნდა ემორჩილებოდეს უმცროსი ძმისა და უფროსისგან სახელდებულ სამწყსო ანტიოქიას, თუ პირიქით?

— ჰო, უცნაურია, თან მართალია, თან კიდევ... — უკვე ტვინი ასტკივებოდა თევდოსის.

ხოლო, გიორგი უკვე სიცილით განაგრძობდა:

— ასე გამოდის, სრულის უეჭველობით, მეუფეო, რაკი შეერთებაა, ანტიოქია და შავი მთა უნდა შეუერთდეს საქართველოს:

უხერხულად იღიმებოდა პატრიარქი ანტიოქიისა.

გიორგიმ ღიმილი მოიშალა და დინჯად განაგრძო:

— ქართველებს, მეუფეო, თქვენ რომ უმეცარ და მსუბუქ ხალხად მიგიჩნევიათ, — სწორედ იმ ანდრია პირველწოდებულის და სვიმონ კანანელის საგანმანათლებლო მოგზაურობის დროიდან ქრისტეს სჯულისთვის აღარასოდეს უღალატნიათ. წოლო თქვენ, ბერძენნი, თქვენივე მტკიცებით მარად ბრძენნი

და მარად მძიმენი, რამდენჯერ მიდრეკილხართ ღალატად მართლმადიდებლობისა? გადმოიღეთ და წაიკითხეთ, მეუფეო, დიდი სვინაქსარი, რომელიც გვაუწყებს: იყო დრო-ჟამი, როცა მთელს საბერძნეთსა მართლმადიდებლობა აღარ იპოვებოდა და სწორედ ამის გამო იოანე გუთელი მცხეთას ჩავიდა და ქართლის კათალიკოსის ხელით ეკურთხა კათალიკოსად.

დაასრულა და დადუმდა გიორგი.

მშვიდი, დაწუნარებული, მაგრამ ზეიმური იყო დუმილი მისი.

ხოლო, დუმილი მის მოპაექრეთა — პანაშვიდური.

მაინც დიდსულოვნება მართებდა თევდოსი სამეუფოელს და იდიდსულოვნა კიდეც. სახეზე ღიმილი დაიფინა და მიმართა საკრებულოს მღვდელთა და ერთა:

— ხედავთ ბერსა ამასა, ვითარ მარტომან გვძლია და დაგვიბრიყვა ესოდენი სიმრავლე ღმრთისმეტყველთა და სწავლულთა? ვითარცა მდინარე, დაუწუყვედლად მოედინება წმიდა სიტყვანი და ჭეშმარიტებანი პირითა მისითა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია მოვერიდოთ და ვეკრძალოთ, რათა უარესი არ დაგვმართოს და, არამცთუ ოდენ სიტყვით, არამედ საქმითაც არ გვამხილოს მარცხი ჩვენი, კვლავ უფრორე არ დაგვამციროს და არ დაგვიმონოს!

და რაკიღა იცინოდა მწყემსი, იცინოდნენ ცხვრებიც მისგან ნამწყემსნი.

ის დღეც დრომ წაიყვანა.

და იმ დღიდან კვლავ უფრო გახმიანდა და განიფინა სახელი გიორგი ქართველისა, მთაწმიდელისა, ათონელისა.

იმ დღიდან „შეიყვარა იგი პატრიარქმან და ყოველთა ანტიოქელთა, ვითარცა მამაი და მოძღვარი სულიერი“.

იმ დღიდან თევდოსი სამეუფოელი, — ვითარცა მის წინარე პატრიარქი იოანე — აღარაფერ მნიშვნელოვან საქმეს გიორგის დაუკითხავად და მასთან განუსჯელად აღარც განიკითხავდა, აღარც განასრულებდა.

სახედარზე შეჯდომას არ იკადრებდა გიორგი. ამიტომ პატრიარქი, როცა ამ „უცნაური ქართველის“ მიწვევა დასჭირდებოდა, ჯორს უგზავნიდა ყოველთვის, ჯორსა ლურჯასა.

ახლა ისევ ვიცვალოთ ფიქრი და ვეახლოთ საქართველოს, რადგან გიორგი ისევ მხოლოდ საქართველოზე ფიქრობდა, ღმერთზე და საქართველოზე.

და ჩვენც გავყვეთ მისი ფიქრის გზას საქართველოსკენ.

და, აჰა ესერა, საქართველო — ღვთაებრივი ნაშობი ზეცისა და დედამიწისა.

და — შუბლი დედამიწისა...

სანამ ბაგრატ მეფე კონსტანტინოპოლს იყო, ლიპარიტ ბაღვაში ახალ ხვანჯებს ხვანჯავდა საქართველოში.

მან იცოდა, რომ მეფის გვირგვინს დანარჩენი დიდებულები მას, „როგორც თვისსწორს“, არ დაანებებდნენ, ამიტომ მოსისხლე და დაუთმობელი ბაგრატის ნაცვლად, სამეფო ტახტზე ისევ მცირეწლოვანი გიორგი ბაგრატის ძე არჩია.

არჩია, ისურვა და სურვილიც აღისრულა: შეუჩნდა ბორენა დედოფალს, სანამ მეფე დაბრუნდებოდეს, მანამ უფლისწული გიორგი მეფობას შევაჩვიოთო და კიდევაც დაითანხმა, მისი შვილი „მამის დაბრუნებამდე“ მეფედ ეკურთხებინა.

გიორგის მირონცხება ქუთათისში მოხდა.

მერე, მირონცხებული უფლისწული გადაიყვანეს რუისს და იქვე, რუისის ტაძარში, მროველის ხელით, სრულიად საქართველოს მეფედ აკურთხეს.

მცირეწლოვან მეფეს, ხალისიან, უდარდელ და ნებაზე თოლად დამყოლ ყრმას „მზრდელად“ თვითონ ლიპარიტ კლდეკარელი დაენიშნა, ხოლო „პატრონად“ — ბაგრატის დაი გურანდუხტ.

საეჭვოდ აღარავისთვის დარჩენილა, რომ ლიპარიტ ბაღვაში საქართველოს ნამდვილ გამგებლად იქცა.

აზვავდა ბაგრატიონთა სასახლის კარი.

აზვავდნენ „თვისსწორი“ აზნაურის აღზევებით აღშფოთებული დიდებულები.

და ჩაუდგა სათავეში თავგასული კლდეკარელის ალაგმვას გურანდუხტი, ქალი „სრული და უნაკლო სახითა, სიბრძნითა, სიუხვითა, ღმრთისმსახურობითა და ყოვლითა სიკეთითა“.

გურნდუხტის მოთავებით, ქუთაითისის სასახლის კარმა

კეისარ მიქაელ მეექვსეს დაჟინებით გამოსთხოვა ბაგრატის გამოშვება.

მიქაელმაც აღარ დააყოვნა და გამოისტუმრა ბაგრატი „დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძითა მიუწვდომელითა“.

საგანგებოდ აღჭურვილი ლაშქრით გაეგება ქუთათისის სასახლის საკრებულო ქართულ მიწაზე ფეხშემოდგმულ მეფეს — „ზღვის პირსა ხუფათს“.

მტკიცე ფეხით და შეურყეველი ნებით მოვიდა ბაგრატ მეფე „სახლად თვისად ქუთათისს“.

ამჯერად კი ვეღარ უშველა ლიპარიტ ერისთავთერისთავს ვეღარც ბიზანტიის კეისარმა და ვეღარც სულტანმა თოღრულ-ბეგმა, რომელთან დამეგობრება ტყვეობის ჟამსვე მოუხერხებია ხერხიან ერისთავს.

ბაგრატის მობრუნებიდან დიდი დრო არ გასულა, რომ მისი ერთგული ერისთავი სულა კალმახელი, მისებრ ერთგული მესხი აზნაურების თანხლებით და თანადგომით, თავს დაეცა დლივში მყოფ ლიპარიტსა და მის ვაჟებს. ლიპარიტი და ივანე შეიპყრეს, ნიანია გაექცათ. კლდეკარს მივარდა ნიანია, მაგრამ იქ მეციხოვნეებმა არ შეუშვეს და ანისს გადაიხვეწა, იქ მდგარ ბიზანტიელებთან თავშესაფარებლად.

სულა კალმახელმა ბორკილგაყრილი ლიპარიტი და ივანე კალმახის ციხეში მიიყვანა და სასწრაფოდ ბაგრატს აცნობა მომხდარი ამბავი.

ბაგრატი ახალქალაქს მივიდა, სადაც მას გიორგი და გურანდუხტიც ელოდებოდნენ.

აქვე, ახალქალაქს მოჰგვარა კალმახის ერისთავმა მეფეს ძვირფასი პყრობილნი.

მადლიერმა მეფემ უხვად დააჯილდოვა ერთგული ერისთავი: „უბოძა სულას მამულობით ციხისჯუარი და ოძრხე ბოდო-კლდითა, და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღვდელთ-მოძღვრონი, და რაცა უნდოდა“.

სულა კალმახელმა მეფეს მოართვა ლიპარიტისგან ჩამორთმეული კლიტენი არტანუჯისა, ყველის-ციხისა, უფლისციხისა და ბირთვისისა, ხოლო კლდეკარს მაინც უარი ეთქვა დანებებაზე.

კლდეკარის დაცვას სათავეში ედგა ლიპარიტის მწიგნობართუხუცესი, მამაცი მხედარი ანამორი.

რაკი ანამორმა დანებებაზე მტკიცე უარი შემოთვალა, მაშინ მეფის ბრძანებით, კლდეკარელთა თვალსახილველად, მათი ბატონი ლიპარიტი და ძე მისი ივანე ძელებზე გაჰკიდეს და „განწირეს სასიკვდილოდ“.

მაშინ ანამორმა განწირულთა სიცოცხლის დანარჩუნება ითხოვა და სანაცვლოდ ციხესიმაგრის ჩაბარების პირობა დადო.

დასძლია ბაგრატ მეფეს მისმა დიდსულოვნებამ და დათანხმდა.

ლიპარიტი და ივანე ძელებიდან ჩამოხსნეს.

ანამორმა კლდეკარის კლიტენი მოართვა მეფეს.

დაიჩოქა ბაგრატის წინაშე ლიპარიტ ბაღვაშმა, დაიჩოქა და დაიფიცა, რომ ამიერიდან სიკვდილამდე მისი უერთგულესი ყმა იქნებოდა. თან შეჰვედრა ძე თვისი ივანე. მეფემაც არგვეთი უბოძა ივანე ლიპარიტის ძეს, ბაღვაშთა ადრინდელი საგვარეულო მამული.

შენ კი ბერად უნდა შედვეო, უთხრა მშვიდად მეფემ ლიპარიტს.

— ბერად?! — გაშრა ლიპარიტი.

— ჰო, უნდა შემონაზვანდე, რამეთუ ოდენ მონაზვნობა დაამშვიდებს სულსა შენსა, რომელმაც ამდენი ვნება არგუნა ერსა და ქვეყანას.

თვალები გაუმხეცდა ლიპარიტ ბაღვაშს.

მეხმლე მეახლოსო, ბრძანა მეფემ.

ფიცხლავ შემოვიდა ქირქიშ აბულახტარი.

შემოვიდა და ხელის დადებაზე ამოზიდა ხმალი ქარქაშიდან.

სახე ჩამოეშეწყრა ლიპარიტს.

— იქნებ, მართლა სჯობდეს ბერობა ერობას, — ამოიხრიალა მან.

— სჯობია, ახლა მაინც სჯობია, — ღიმილით დაუდასტურა მეფემ.

— და შევდგები მე ბერად კლდეკარს, ჩემსავე მონასტერს.

— არა, არ აჯობებს — სთქვა ბაგრატმა უკვე დამშრალი ღიმილით.

— მაშინ სხვაგან იყოს, მეფეთმეფეო, გინა ოძრხეს, გინა ხახულს, გინა ხანძთას, გიწა...

— გინა შავ მთას, გინა ულუმბოს, გინა ათონს, გინა იერუსალიმს, გინა სინას, — გადაუბა ბაგრატმა რომელსაც ერთ წამში სახე ღიმილის სანაცვლოდ სისასტიკით შეჰკვროდა.

წამითვე ისევ გაუმხეცდა თვალები ლიპარიტს.

— მაშ, საქართველოდან უნდა წავიდე?

— სწორედ! — მოჭრა ხელმწიფემ.

კვლავ დააპირა რაღაცის თქმა გამგელებულმა ერისთავმა, მაგრამ უცებ ოლეკრისეული ჟღრიალი მოესმა და თვალიც იქითკენ გაექცა.

ქირქიშ აბულახტარს ხმალი ქარქაშიდან შუამდე აღმოეხდინა და მეფეს დაჟინებით შესციცინებდა, უცებისი ბრძანებისა მომლოდინე.

— დე, იყოს ესრეთ, უკეთუ ჩემს ქვეყანას ემძიმება ჩემი ტარება... ამოიგმინა და გმინვა შუაზე გაუწყვიტა ყელს მოწოლილმა ბოღმამ ლიპარიტს.

და იქმნა ასე. ისევ მეფის დიდსულოვანი ნებით, ლიპარიტ ბაღვაშმა კლდეკარის საჭურჭლეთაგან გამოიღო თავისი წილი საფასენი, ჩაიცვა შავი ბურნუსი და ვითარცა მონაზონ-ფიჩორსანი, სამუდამოდ გაშორდა მისგანვე აშლილდაშლილ საასპარეზოს.

— უკეთუ ინებოს და მიგიღოს, გიორგი ათონელი ინახულე და ვინძლო მან იხსნას სული შენი ლეშად ქცევისაგან, — საგზლად გააყოლა მეფემ ყმას ეს უკანასკნელი შეგონება.

— გიორგი ათონელი?!

— ანუ — მზისთვალი სიმართლისაი.

ვედრება ოცდამეთვრამეტე

საქართველოდან ათონის მთამდე კი ოთხმოცდათექვსმეტი დღის სავალი გზა იყო მარჯვედ მოარული გზის მლეწველისთვის.

და იარა ლიპარიტ ბაღვაშმა ოთხმოცდათექვსმეტი დღე, იარა და მივიდა ათონის მთაზე.

ათონზე კი ათონელი ბერებისაგან შეიტყო, რომ გიორგი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო შავი მთიდან.

ვერც ის უთხრეს ათონელებმა როდის მობრუნდებოდა მათი წმიდა მოძღვარი ათონზე.

ამიტომ ათონის მთიდან შავ მთას გაეშურა ლიპარიტ ბაღვაში.

ამასობაში ანტიოქიის პატრიარქი თევდოსი სამეუფოელი ერთ დღესაც ვეღარ ძლებდა გიორგისთან შეხვედრის გარეშე. და იყო მათ შორის სიტყვათგება განუწყვეტლივ და განიადაგებით — თუ ღვთისმეტყველებით, თუ ორივე, ძველი და ახალი პლატონეთის განსჯითა და ურთიერთ შედარება-შეჯერებით.

იმ დღესაც გვიან დაბრუნდა გიორგი, პატრიარქთან ნამსჯელარი და ნასაუბრალი.

დაბრუნდა და სენაკში შესვლისთანავე მოახსენა გიომ, ლიპარიტ ბაღვაში ელოდება შენს ხილვასო.

შემოვიდესო, სთქვა გიორგიმ ისე უბრალოდ და უკვირველად, თითქოს ყოველდღე ხვდებოდა იგი კლდეკარის ერისთავს.

და შემოვიდა ლიპარიტი.

აწამდე ეს კაცი თვალით არ ენახა გიორგის. არ ენახა, მაგრამ რაც რამ მის შესახებ სმენოდა, სწორედ ასეთად წარმოედგინა — ტანად დეიკაცი, სახით მზვაობარი და მზერით უტიფარი.

მუხლის მოყრა დააპირა შემოსვლისთანავე ლიპარიტმა, მაგრამ არ დაანება გიორგიმ, არც ხელზე სამთხვევად მიუშვა, რადგან გრძნობდა, არც ერთი და არც მეორე არ იქნებოდა წრფელი ნაქმნარი მუდამ არაწრფელი და გულმრუდე დიდკაცისაგან.

მიხვდა ლიპარიტი და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სიტყვის ნაცვლად მხოლოდ ყრუ ხველება აღმოხდა ბოლმით დაჩიხული ყელიდან.

— რაი არს მიზეზი მოსვლისა და მოშრომისა შენისა, ერისთავთერისთავო? — კითხვა შეაშველა გიორგიმ.

— მოველ ბრძანებითა მეფისათა, რამეთუ მისაჯო მე, გლახას — ამოიხრიალა ლიპარიტმა.

— გჯერა, თუ არა, რომ საგლახობელი იყო ყოველი შენი საწუთისოფლო ნამოქმედარი?

— მეფემან ჩვენმან მტკრად და ქარდამუსრად აქცია ყოველი ჩემი ნამოღვაწევი.

— მე მეფეს როდი გეკითხები, ერისთავო, არამედ, შენ თუ

გჯერა და გწამს-მეთქი, თვითონ შენ, შენი სულისა და გონების ყოველ ნაკვეთში — რომ შენი ნამოღვაწევი ოდენ სავაგლახო და სავნებელი იყო შენი ქვეყნისთვის?

— ჩემი ქვეყნისთვის? — იფეთქა ლიპარიტმა.

— სწორედ ქვეყნისთვის, სამშობლოსთვის და საგამზრდელოსთვის — დაუბეჭდა გიორგიმ.

— სამშობლოსთვის, საგამზრდელოსთვის..: — გაიმეორა ნახატურივით გაშტერებულმა ბაღვაშმა.

— თუ სამშობლოობის უნარიც დაჰკარგე, ერისთავთერისთაო?

— არა, არა! — იყვირა ლიპარიტმა.

— ნუ აჩქარდები, დაფიქრდი და სანამ იტყოდე, ჯერ შენსავე სულში შენი თავი გამოიძიე!

— გამოვიძიე, გამოვიძიე, არა ერთგზის, ასგზის, ათასგზის! — შეჰღაღადა ლიპარიტმა.

— მერე, არც ერთხელ არ გიგრძვნია, რომ ყოველ შენს მოქმედებაში ჯოჯოხეთი ორთქლავდა სულსა შენსა?

— მე ყოველთვის განსჯით ვიცოდი, რასაც განსჯით საქმედ ვაქცევდი.

— განსჯით ცოდნა მხოლოდ ცოდნაა, ხოლო რწმენა?

— რწმენა? — ტუჩები გაუყვითლდა ლიპარიტს.

— სწორედ, და ამინ გეტყვი შენ, ერისთავო: რწმენა მხოლოდ სიყვარულის ტყუპის ცალია და არა ცოდნისა. შენ კი გულში სიყვარულის ნაცვლად სიძულვილის ჩირჩი და შალალი გიდგას.

სისხლი და სიტყვა გაუშრა ლიპარიტ ბაღვაშს.

— ყური მიგდე, ერისთავთერისთავო, ქართველი კაცი ხარ, ქართული ნიჭიც უხვად გაქვს, ქართული ახოვნებაც, ქართული სიმამაცეც, მაგრამ ყველა ეს სიკეთე ნათესავ-ქართველისადმი მოშურნეობას, მოსისხლეობას და მოღალატეობას შეალიე. და ვაი, რომ ერთი ლიპარიტ ბაღვაშით არ იწყება და არ თავდება საქართველოში ღალატი და სიძულვილი ქართველისა ქართველისადმი. მზეს მიბნელებსო, მეზობლის სახლზე იტყვის ქართველი და არა უთვალავი მტრის ხელთაგან ტყორცებული ისრის ღრუბელზე. საქართველო გვიყვარსო, იძახიან ასეთი ქართველნი და სიყვარული ისა ჰგონიათ, ფუფუნეული ცხოვრებისთვის რომ მოივარგებენ საქართველოს — ფუფუნებისა,

რომელ არს მახე ცოდვისა, წარწყმედა სულისა, სამკედური სიკვდილისა.

— ნუთუ ე. ომად საძულველი ვარ! — აღმოხდა ბაღვაშს.

— არა საძულველ, არამედ საწყალობელ, რამეთუ ხარ ოდენ კაცი, ერისშვილობის უნარდაკარგული — ჩაუჭრა გიორგიმ.

— ვაი შენ, ჩემო თავო! — იყვირა და ცრემლები იყარა თვალებიდან ლიპარიტმა.

— ეგ ღატაკი ცრემლი ვერ განაჭარვებს შენს უზღვავ ცოდვებს, ლიპარიტ ბაღვაშ, და ყველაზე დიდი ცოდვა ის გაძევს, რომ გულში საქართველო მოგკვდომია.

— მთელი ჩემი ცოდვა მხოლოდ მეფის წინააღმდეგ ბრძოლა იყო და სხვა არაფერი.

— და ეგ „არაფერი" იყო ყველაფერი, ლიპარიტ ბაღვაშო. დიახ, ვინც ისეთ მეფეს ებრძვის, როგორიც ბაგრატ მეფეა, იგი სრულიად საქართველოს ებრძვის, ხოლო საქართველოსთან ბრძოლა ყველაზე დიდი ცოდვაა ქართველი კაცისთვის.

პასუხი აღარ უცდია, ისე დადუმდა ლიპარიტი, გიორგიმ კი ისევ განაგრძო:

— შთამომავლობით დიდაზნაური ქართველი კაცი სულითაც და გონებითაც დიდაზნაური უნდა იყოს. შენ კი შენმა გულზვაობამ და პატივმოყვარეობამ სულიც დაგიმოკლა და გონებაც დაგიკნინა.

ისევ აცალა გიორგიმ პასუხი, მაგრამ ლიპარიტი კვლავ სდუმდა, რეცა სიტყვის ფუძე სულაც მოშლოდა.

— ჰა, რას იტყვი ერისთავო, გამოიძიე და მიაგენ თავსა შენსა?

— გამოვიძიე, გამოვიძიე... და, მგონი, მივაგენ, — ამოიგმინა ერისთავმა.

— ვთქვათ ვირწმუნეთ და, რა გადაწყვიტე?

— ეგ შენ მასწავლე, სახიერო და სიმართლის მზისთვალო, სწორედ ამისთვის მოვედი შენთან.

— ყური მიგდე, ლიპარიტ, ალი კვამლით დაიშთვების და დაიშრიტების, უკეთუ კვამლს გასადინარი არ აღმოაჩნდა. აგრევე კაცის სულს ცოდვა მოაშთობს, უკეთუ ცოდვამ ცოდვილის სულიდან გასადინარი ვერ მოიძია.

— მერე, მასწავლე, უნეტარესო, სწორედ ეგ გზა და გასა-

დინარი ცოდვებისა ჩემი უძლური სულისაგან! — შეჰბღავლა და მუხლებზე დაეცა ბაღვაში.

ისევ ფეხზე წამოაყენა გიორგიმ მუხლმოყრილი და ატირებული კაცი, წამოაყენა და უთხრა:

— ვინათგან მოვუძლურდით ცოდვისა მიერ, აწ განვიკურნნეთ სინანულისა მიერ.

— სინანული?!

— ოდენ სინანულითა წრფელითა მიენდე ღმერთს, უკეთუ გწამდა და გწამს იგი ჰეშმარიტითა წამებითა, — მკაცრად თქვა გიორგიმ.

— მწამდა, მწამს და მეწამება! — მტკიცედ შეაგება ლიპარიტმა.

— მაშ, გამომყე! — უთხრა უცებ გიორგიმ, არგანი აიღო და სენაკიდან გავიდა სწრაფი ნაბიჯით.

მიჰყვა ლიპარიტი.

ოც ნაბიჯზე შედგა გიორგი, ხელმარჯვნივ შეტრიალდა და ჩრდილოს მხრიდან წამომართული მთისკენ აღმართა არგანი.

— იმ მთას ჰხედავ?

— ვხედავ, — მიუგო შეცბუნებულმა ბაღვაშმა.

— მთის წვერზე გამოქვაბულს თუ ჰხედავ, ქარანძავს?

— ვხედავ, ქარანძავსაც ვხედავ, — აღმოიხდინა ჩამქრალი ხმით ბაღვაშმა.

— მაღალზეა? — ჰკითხა გიორგიმ მკრთალი ღიმილით.

— ჰო, მაღალზეა, — ძლივს თქვა ბაღვაშმა მოღნაშული ხმით.

— მაგრამ შენს კლდეკარზე მაღალი მაინც არ უნდა იყოს.

— არა, ჩემი კლდეკარი უფრო მაღალია, გაცილებით მაღალი, — სიამაყემ იფეთქა კლდეკარის ერისთავის სიტყვაში.

— ოჰდა, მე კი გეტყვი შენ, კლდეკარელო: მამა ანტონი იმ გამოქვაბულს უფრო მაღლა აზიდავს ზეცად, ვიდრე არს სიმაღლე შენი კლდეკარისა, — თქვა გიორგიმ უცებ, რაღაც უცხო, არამიწიერი ხმით.

თავგზა სულ დაებნა ლიპარიტ ბაღვაშს. ვეღარ გაეგო, ვინ ანტონიზე აგდებდა სიტყვას ეს საოცარი მწირი, თუ ბაგრატ მეფისგან დანარქმევით — „მზისთვალი სიმართლისაი". ან ის გამოქვაბული როგორ უნდა აეზიდა კლდეკარზე მაღლა იმ ვიღაც „მამა ანტონის"?!

და ისევ გიორგის ხმამ გამოარკვია, უფრო მკაცრმა ხმამ:

— ლიპარიტო, ხარ თუ არა მზად იმისათვის, რომ სამუდამოდ დააგდო და დაივიწყო ლიპარიტობა?

— ლიპარიტობა დავივიწყო?! — დაიხრიალა ერისთავმა.

— მე გითხარ და შენ გაიმეორე, — ისევ მკაცრობდა გიორგის ხმა.

— მერე, მე ვინ უნდა ვიყო, სანაცვლოდ ლიპარიტისა? — შიშრეულად აღმოხდა ბაღვაშს.

— მამა ანტონი.

— მამა ანტონი?!

— სწორედ, და აი, სამკვიდრებელი სავანე მამა ანტონისა! და ისევ იმ გამოქვაბულისკენ აღმართა არგანი გიორგიმ.

გაშრა ერისთავი.

იგი ახლა აღარც ლიპარიტი იყო, აღარც ანტონი.

იგი თითქოს არავინ აღარ იყო. არამედ, იყო ოდენ დანაშთი კაცისა.

და ისევ გაისმა ხმა გიორგი მთაწმიდელისა, ხმა ვითარცა ძისა ქუხილისა:

— ჰო, თუ არა?

— სახიერო, ნება მომეცი! — აღმოხდა ბაღვაშს განწირული ხმით.

— რის ნებას ითხოვ, ლიპარიტყოფილო?

— ნება მომეცი, ჯერ აღვიწონო გონება ჩემი, რამეთუ...

— რამეთუ რაისთვის?

— რამეთუ მოვიფიქრო!

— მოვიფიქროო?

— ჰო, მზისთვალო სიმართლისა, უნდა მოვიფიქრო და მერე ვთქვა პასუხი, თუნდაც ხვალ...

მაშინ გიორგიმ არგანით ფეხებთან გარშემო შემოუხაზა მიწაზე ბაღვაშს და უბრძანა:

— აი, ამ წრეში მოიფიქრე!

თავზარი დაეცა ლიპარიტყოფილს, ლამის დაცემულიყო; უცებ გაქცევის ფიქრმაც გაუელვა, მაგრამ მოკვეთილმა მუხლებმა და მიწურულმა გულმა აღარ გაუშვეს.

— გევიწროვა ეგ წრეწირი, ერისთავყოფილო? მაგრამ განა უფრო მცირე ქვეყნის ნატეხზე არ გაატარა სვიმეონ მესვეტემ ფეხგაუდგმელად ორმოცდასამი წელიწადი?

— მაგრამ ის სვიმეონ მესვეტე იყო, მე კი... წაცდა ბაღვაშს.

— დიახ, დიახ, — მიაძახა გიორგიმ — იგი სვიმეონ მესვეტე იყო, შენ კი ლიპარიტ ბაღვაშის ეს კი სწორედ გულწრფელად სთქვი. შენს ხარბ გულს მაგ წრეწირში მოქცეული მიწა კი არა, უკეთუ მისცე, მთელი დედამიწაც ვერ გააძღებს. მაგრამ მერწმუნე, ლიპარიტყოფილო, სიხარბის სენს მაინც მიწა მოარჩენს და უფრო მცირეც, ვიდრე მაგ ფერხთა ქვეშე მონახაზი მიწის ნაფლეთი.

შეჩერდა გიორგი.

საოცრად დაპატარავებული ეჩვენა ლიპარიტ ბაღვაში, წრეში მდუმარედ მდგარი და გაქვავებული, ერთიცვარა კაცის დანაშთი.

— დადგა დრო, ლიპარიტ ერისთავო, შენი უშრეტელი ძალ-ღონე სხეულისგან, ანუ მიწისა და ნაცრისგან, სულის სამსახურში გადაიტანო და იქ დაამკვიდრო.

კვლავ სდუმდა ლიპარიტი.

— ჰო, თუ არა? — ისევ გაისმა ხმა ძისა ქუხილისა.

ლიპარიტს თითქოს სამუდამოდ მოშლოდა ფუძე სიტყვისა.

— უკეთუ არა, მაშინ კრულმცა იქნება ძილი და ღვიძილი შენი, საფლავი და სახსენებელი შენი, და შემოგედების ძრწოლა კაენისი, კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი! — მძვინვარებდა ხმა გიორგისი.

— ჰო! — აღმოხდა ბაღვაშს, რაღაც გონებისგან განრინებულად.

— მაშ, გაიმეორე: „რამეთუ ამიერიდან ჩემგან თქმული „ჰო" — ჰო არს, და „არა" — არა!

— რამეთუ ამიერიდან ჩემგან თქმული „ჰო" — ჰო არს და „არა" — არა! — გაიმეორა ლიპარიტმა.

— მაშ გაეშურე, მამაო ანტონ! — ბრძანა გიორგიმ და კვლავ აღმართა არგანი ჭარანძავისკენ.

— გავეშურო მე, მამა ანტონი, იქ... აღმოხდა ლიპარიტყოფილს, თვალები გამოქვაბულისკენ ზეაღაპყრო და დაასრულა დაზაფრული ხმით:

— და მე იქ ვიქნები მარტო...

— ადამიანი არასოდეს არ არის მარტო, რამეთუ მუდამ მასთან არს ღმერთი, ოღონდ ღმერთის მიგნება და მასთან მი-

სვლა თვით შენს ხელთაა, ადამიანო, უკეთუ კიდევ დარჩენილხარ ადამიანად.

— მაგრამ გზა მიგნებისა და მისვლისა?

— ლოცვა, მარხულობა და ცრემლი სინანულისა — მოუწყინარად დღე და ღამე და ამით შენ შეძლებ უკუქმნას შენსას.

— უკუქმნას?!

— სწორედ უკუქმნას — ბოროტიდან ისევ სიკეთისაკენ, ცოდვიდან ისევ უცოდველობისაკენ.

— მაგრამ მიგნებამდე და მასთან მისვლამდე მე იქ ვიქნები მაინც მარტო! — სასოწარკვეთილის მზერა მიეპყრო ბაღვაშს იმ ქარანძავზე.

— მარტო რად იქნები, როცა შენთან იქნება შენივე თავი, შენივე „მე“. მარტო შენ მაშინ იყავი, როცა სხვებთან იყავი.

— უცხოვრია ვისმეს ჩემამდე იმ ქარანძავში?

— მე მიცხოვრია.

— შენ, სახიერო?!

— მე, უბედურო.

— მაშ, მე მივდივარ, მივეშურები!

— გაეშურე და მე ვილოცებ შენთვის.

— ლოცვა შენი იქნება ღვთაებრივი საგზალი ჩემი.

— გაეშურე, რამეთუ საქართველოს უარესი დაჰკლდეს და უმჯობესი შეემატოს!

— ?!

— ლიპარიტ ბაღვაში დააკლდეს და მამა ანტონი შეემატოს!

ვედრება ოცდამეცხრამეტე

ერთი მსგეფსი რომ განესრულა, გიო აგზავნა გიორგიმ მამა ანტონთან, შეიტყვე რასა იქმს, ჰეშმარიტად შეუდგა გზასა სინანულისასა ლიპარიტყოფილი, თუ კვლავ ხორცმა სძლია სულსა ისედაც დაკნინებულსაო.

გაგზავნა და „დიდი კურთხევანი“ გაატანა, თავისგან ნათარგმნი და გიოს ხელით გადაწერილი.

ავიდა გიო, ავიდა და მთელი დღე დაჰყო ქარანძავსა შინა. ჩამოვიდა და ჩამოუტანა ამბავი მოძღვარს. დღეღამ-სწორებით

ლოცულობს, მარხულობს და ინანიებს ანტონი. და ლოცვაც და სინანულიც მისი არის რწმენისა და სიწრფოებისაო. ვარდიც დასჭკნობია ლოყებზე ლიპარიტყოფილს და სანაცვლოდ სიყვითლე დასდებია, შვენიერი ფერი მმარხველთა.


ლამის შეშლილა სიხარულით მამა ანტონი, „კურთხევანი“ რომ გადაუცია გიოს. მუხლებზე დაცემულა და სამჯერ ლიტანიით შემოუტარებია წიგნი სენაკში. აი, იგი, არზანიგი ღვთაებრივი, რომელმან უნდა ულხინოს სულსა ჩემსა ცოდვილსა, რომელმან უნდა მაზიაროს მე უღირსი და უნარჩევესი ღვთაებრივ სულსო; მზისთვალმან სიმართლისამან გამომიგზავნა მე იგი, მზისთვალმან და ძემან ქუხილისამან, — ბღაოდა თურმე მამა ანტონი.

ჩაფიქრდა გიორგი და სთქვა შემდგომ:

— მხეცშიც სულს სძინავს, უკეთუ გააღვიძებს.

კვლავ შედგა და ბოლოს ეს უთხრა ერთგულ თანაშემწესა:

— ერთი ღალატი მაინც მოვუშალეთ ჩვენს ბედკრულ სამშობლოს და საგამზრდელოს, თანასისხლიერის შურისა და სიძულვილის საძირეზე დამყნილი ღალატი.



ვედრება პირველი

ხოლო ჟამი კვლავაც ვიდოდა, თვინიერ ნებისად ადამიანისა. წერდა და იღვწოდა გიორგი მთაწმიდელი და „მოირწყნეს ეკლესიანი შავისა მთისანი წიგნთა მისთა მდინარითა სულთა განმანათლებელითა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს. და უფროის ყოველთაისა დიდად იღვაწა სულით კურთხეულმან ანტონი, ლიპარიტყოფილმან“...

(გიორგის წიგნთა „გარდაწერას“ შესდგომოდა კაცი, რომელსაც ერთ დროს ერქვა ლიპარიტ ბაღვაში, კლდეკარის ერისთავთერისთავი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის დაუძინებელი მტერი და საქართველოს სისხლისდამაქცევარი)...

საქართველოდან კი ზედიზედ მოსდიოდა წერილები გიორგის — მეფისა, უფლისწულისა და ორივე დედოფლისა. იხმობდნენ, ეაჯებოდნენ, საქართველოში გვეწვიეო, შენს სათაყვანო სამშობლოშიო, აქაც გვაკურთხე, გაგვანათლე და გაგვახარეო.

„წმიდაო მამაო, მანდა, შავსა მთასა, მცირედნი არიან მო-

ნასტერნი ჩვენნი, რამეთუ ქვეყანაი არს უცხოი. ხოლო ჩემი სამეფოი ვრცელ არს და დიდ ფრიად და მაღალ, და ეკლესიანი და სამღვდელთმოძღვრონი და მონასტერნი ფრიად მრავალ და დიდებულ. აწ არწმუნოს ღმერთმან სიწმიდესა თქვენსა, რათა ჰბრძანო და მოშვრე. და ჩვენ ვიკურთხნეთ თქვენ მიერ და განვნათლდეთ და კვალად ეკლესიანი ჩვენნი აღივსნენ მდინარეთა მაგათგან სულთა განმაცხოველებელთა წიგნთა თქვენთა ღმრთივსულიერთა". ამას ბაგრატ მეფე სწერდა გიორგის.

არ უპასუხა ამ წერილს გიორგიმ, „რამეთუ ყოვლითა ძოსსწრაფებითა ევლტოდა დიდებათა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა". ამასთან იმისიც ეშინოდა, ბაგრატ მეფემ საქართველოს მწყემსთმთავრობა არ გადამკიდოსო.

მცირე ჟამი კიდევ გამოხდა და ისევ მოვიდა წერილი ბაგრატ მეფისგან:

„წმიდაო მამაო, არათუ ოდენ წიგნთათვის ვარ, რათა განათლდენ ეკლესიანი ჩვენნი, არამედ რათა თვით მე განვნათლდე ხილვითა თქვენითა და სული ჩემი ხელთა თქვენთა შევჰვედრო და ძე ჩემი და ყოველნი თვისნი ჩემნი სიწმიდისა თქვენისა მიერ იმწყსებოდინ და განისწავლებოდინ, და რათა ღმერთსა ნიჭად მიუპყრნე სულნი ჩვენნი".

ეს წერილიც წაიკითხა და უცებ უსაშველოდ მოსწყურდა გიორგის საქართველოში წასვლა. მოსწყურდა, მაგრამ, გულსავსედ რომ დარჩენილიყო, მაინც ღვთის დაუკითხავად ვერ გადაწყვიტა გადასაწყვეტი. საერთოდ სჩვეოდა ასე გიორგის, ყოველი დიდი საქმის გადაწყვეტისას წილის ჩაგდება, წმიდა მოციქულთა მიბაძვით. იმ დღესაც ისე მოიქცა, საქართველოში წასვლას რომ წყვეტდა: ეტრატის ერთ ნაჭერზე „წასვლა" დაწერა, მეორეზე „არწასვლა", ორივე საკურთხეველის ქვეშ ამოსდო, მერე გიო შემოიყვანა, ჟამი აწირვინა და არჩევანი ამოაღებინა.

და ამოჰყვა გიოს ხელს „წასვლა".

— ღმერთმა გულსგვიდგინა და დაგვაჯერა! — თქვა გიორგიმ და მაშინვე საქართველოში ააგრატ მეფეს გამგზავრების თანხმობა მისწერა ღვთისგან გულსავსემ.

და იმ წერილის ძიღებისთანავე ბაგრატ მეფემაც სასწრაფოდ წარმოგზავნა ჯორნი და განძი, სამგზაუროდ სამყოფინარი.

მეფე წერილებს უგზავნიდა ანტიოქიის პატრიარქსაც და დუკასაც, რათა არ დაებრკოლებინათ და ხელი შეეწყოთ გიორგისა და მის მხლებელთა, ანუ მოწაფეთა გამგზავრებისთვის საქართველოში.

და წამოემართა გიორგი ათონელი ანტიოქიიდან, გიოს, და კიდევ სამი ბერის თანხლებით. ევფრატამდე უხიფათოდ იარეს. ევფრატზე მისვლისას კი შეიტყვეს, რომ თურქებს დაეპყროთ მთელი შუამდინარეთი. მაშინვე ევფრატიდან სევასტიისკენ იქციეს გეზი. მაგრამ აქაც არ გაუმართლდათ. თურმე სევასტიაც აეღოთ თურქებს, აეღოთ და დაეწვათ. ქართველი ბერები კი უცოდნელად ვიდოდნენ და თურქთა ხელში ჩავარდნაც არ აცდებოდათ, რომ უცებ მაღლიდან ძახილი არ შემოსმოდათ: არ წახვიდეთ, უკან დაბრუნდითო.

ხმა გაიგონეს და ხმის პატრონი თვალითაც ვერ მოიხილეს. უეჭველად, ანგელოზი იქნებოდაო, ბრძანა გიორგიმ და სევასტიის გზიდან კესარიისკენ გადაუხვიეს სასწრაფოდ. კესარია მშვიდობით განვლეს და სამისონს მივიდნენ. აქ საქართველოში მიმავალ ხომალდში ჩასხდნენ და, „კეთილითა და ჰამოითა ნიავითა ფოთს მიიწივნეს“. ხომალდიდან გარდახდნენ, მიწას დაემხნენ და კარგა ხანს ჰკოცნეს და ცრემლით ალტვეს ქართული მიწა.

„რა ძნელი და აუტანელია უშენობა, საქართველო ჩემო!“ ამ ფიქრმა შებოჭა გიორგის სული.

„როცა შენთან ვართ, თითქოს ვერა ვგრძნობთ შენთან ყოფნას. გაგექცევით და, ლამის სული ხორცს გაეცალოს.

„რამდენი ერის შვილი მიდის თავისი სამშობლოდან უკეთესი სამშობლოს მოსაძიებლად. ქართველისთვის კი, უცხოეთში საქართველოზე ფიქრიც სამშობლო საქართველოა და არც ერთ სხვა ქვეყნის სანაცვლოდ ამ ფიქრსაც კი არ გაიმეტებს.

„სამი დროიდან მხოლოდ აწმყო აქვს უცხოეთში მცხოვრებ ქართველ კაცს. წარსული ხომ სამშობლოში დარჩენია და მომავალიც იქ უცდის, სამშობლო საქართველოში“.

ფიქრობდა და ტანი დედის რძის სითბოთი ევსებოდა გიორგის.

ისევ შესხდნენ ჯორებზე და ქუთათისისკენ გაეშურნენ, რიონის ასწვრივ.

იდგა ჟამი სთვლობისა, ქუთათისს რომ მიატანეს.

დიდის ზარ-ზეიმით გამოეგება საქართველოს დედაქალაქი წმიდა მამას და სიმართლის მზისთვალს.

ილარიონ ქუთათელმა ბაგრატის ტაძარში საზეიმო პარაკლისი გადაიხადა ღვთაებრივი სტუმრის სადიდებლად.

იმ დღეს კიდევაც დაემოწაფა ილარიონი გიორგის.

თვითონ მეფე ბაგრატ მეოთხე ქუთათისს არ ბრძანდებოდა მაშინ. იგი უფლისციხეს გადასულიყო, სრულის სახლეულით და მსახურეულით. სასწრაფოდ აუწყეს მეფეს გიორგის მობრძანება. გაიხარა სიხარულითა დიდითა მეფემ. სასწრაფოდ თავისი მწიგნობარი აფრინა ქუთათისს, რათა პატივით გადაეყვანა მას ძვირფასი სტუმრები იმერეთიდან ქართლს.

გამგზავრებამდე ორი დღე კიდევ დარჩა გიორგი ქუთათისს.

დარჩა და იჯერა გული აქაურობის ხილვით, ხიბლით, სიხარულით და სიყვარულით.

სრული ერთი დღე არ მოშორებია ბაგრატის ტაძარს, უქცერდა, ნეტარებდა და სვეტიცხოვლის ხილვა ესწრაფებოდა. სვეტიცხოველი ხომ მხოლოდ შუამდე მოყრილი დატოვა გიორგიმ. და ახლა ორივე ტაძრის ქვედა ტანს აღარებდა და ჰკვირობდა, ისე როგორ გარდაესახა სული და ხელი ორივე ტაძრის ერთ ამშენებელს, რომ იოტისოდენა დამთხვევა არსად იძებნებოდა ქუთათისის და მცხეთის საუფლოს სახლთა შორის.

„მართლა ასეთი ხარ შენ, მარად ახალი ღმერთის მაძიებელი?“ — ფიქრით გაუწყრა გიორგი თვალშვენიერ არსუკისძეს, თავისი სულის მენახევრეს, და მაშინვე ფიქრი მოიცვალა:

„მაგრამ რომელი ხარ შენ, ჩემი სულის მარჩბივი, რომელი ამშენებელი ქუთათისის ბაგრატეულისა, თუ მცხეთის სვეტიცხოვლისა?..“

კიდევ დიდხანს უცქირა ტაძარს, ციური ებგურივით რომ გაჰყურებდა ჩამავალი მზით გაზაფრანებულ კოლხეთის ველს.

ისევ ქალაქს გადახედა, რიონზე ამხედრებულს.

რიონი — ვერცხლის ზოსტერი ქართული ქვეყნისა.

მარად უღალატო თავისი სულისა და თავისი სახიერებისა, მარად ქართული და მარად გადაურჯულებელი. ქართულ მიწაზე შობილი და ქართულ მიწაზედვე განსრულებული.

სუფევდა ქუთათისი, ვითარცა ოქროს ბალთა ვერცხლის ქამარზე.

ქუთათისი — დედა საქართველოს დედაქალაქობისა.

ოხვამერეს მთაზე იდგა გიორგი.

„ოხვამერე“ — „უხეიმერიონ“, — გაუელვა ქართულ-ბერძნულმა გადაძახილმა.

უკვე ღამე იყო.

ზემოთ ბულბული სტვენდა.

ქვემოთ მყვარი ყიყინებდა.

აწამდე არც ბულბულის ხმა სმენოდა ასეთი გიორგის და არც მყვარისა.

ორივე იყო უცხო და უცნაური: არაც ერთს დაერქმეოდა ოდენ „სტვენა“ და არც მეორეს ოდენ „ყიყინი“.

ბულბული ისე გალობდა, თითქოს სევდაზე უფრო ელხინებოდა კიდეც. მარტო ელხინებოდა კი არა, თითქოს კიდეც ეცინებოდა ბულბულს. ხოლო ეცინებოდა, რადგან, მყვარი მისგან თითქოს გალობას სწავლობდა, მის ჰანგს ჰბაძავდა და დამსესხებელი დასესხებულს ეპაექრებოდა.

ერთმანეთს უსმენდნენ, ერთმანეთს ხმას უნაცვლებდნენ, დათმენით და სწორპატიობით.

ჯერ ბულბული იგალობდა ნაკვეთს თავის საგალობლისას, დადუმდებოდა და უმალვე მყვარი აყეფდებოდა „ბულბულის ყეფით“.

ისმენდა გიორგი.

და იწვა ქალაქი, ვითარცა ოქროს ბალთა ვერცხლის სარტყელზე.

იყო ღამე და ისევ ესმოდა გიორგი ათონელს სიმღერა სინათლისა ღამესა შინა...

„მე ვარ ღამე, უნათლესი დღის სინათლისა და ნათლისა ყოვლისა.

„მე ვარ ღამე და ჩემი საშოდან იშვებიან და ჩემი მკერდიდან იწოვებიან ნათელნი ყოველნი, სათვალავით და საზღვრისით მიუწვდომელნი.

„მე ვარ ღამე, უშურველად გამცემელი ნათლისა ყოვლისა, მარად მშობიარე სინათლისა და მარად დამშრალი სინათლისაგან.

„მე ვარ ღამე და ვარ მარტოსული, რადგან არც ერთ ჩემ-

გან შობილს და ჩემგან ძუძუნაწოვარს არ ესმის ჩემი. ჯერ არშობილს, ჯერ ჩემ ტანში მწოლარესაც არ სტკივა ჩემი. და ყოველი შობილი ჩემი, ნათელნი შვილნი ჩემი ტანისა და სისხლიერნი ჩემი სისხლისა, მიჰქრიან ჩემგან, ჩემი სისხლით გახელებულნი და ჩემის სახიერებით შეძრწუნებულნი. და მე მათთვის, შვილთა ჩემთათვის, ვარ მხოლოდ ღამე, მხოლოდ წყვდიადი მათგანვე დაწუნებული, მათგანვე შერისხული, მათგანვე დაწყეველილი.

„და არასოდეს ჩემს უთვალავ შვილთ ჩემთვის არ უთქვამთ — „დედა!"

— „და ვტირი მარტო, ტირილითა უჩინოითა, და არავინ უწყის, რომ ცვარი ესე, და ნამი ესე, და ზრიმლი ესე, მაცოცხლებელნი და მასაზრდოებელნი ქვეყნიერებისა — არიან ცრემლნი, ნადინარნი ღამის თვალთაგან..."

მუხლი მოეყარა გიორგის და ხელების მთრთოლვარე რონინით ეფერებოდა ცვარით და ზრიმლით დალტობილ (თუ დატირებულ?!) მიწას...

სიმშვენიერეს ქართულ მიწაზე ერთი მტკაველიც არ დარჩენია თვისი ჯადოით დაღდაუსმელი.

სიმშვენიერევ, ცაზედეთიდან მოფრენილო, მარად მიჯნურო ქართულ მიწისა!

მე ჩემი საწუთისოფლო ცხოვრებიდან დაუნანებლად შევლევი ყოველ ჟამს და წუთს, როცა საქართველოზე არ მიფიქრია, რადგან საქართველოზე არაფიქრი უდრის ჩემსავე არარსებობას...

ვედრება მეორე

მეორე დღეს ქუთათისიდან ქართლს გაემგზავრნენ.

ილარიონ ქუთათელიც თან გაჰყვა მოძღვარს.

ქართლი მგლოვიარედ შემოეგება ათონელ მამას. წინა წელს შიმშილი და შავი სნება ერთად დასტყდომოდა ქვეყანას. მრუმე კაეშანი იმზირებოდა ყოველი სახლიდან. სიცოცხლის მაუწყებელი ყველაზე დიდი ნიშატი — ბავშვთა ხალისიანი ჟრიამული აღარ ისმოდა აღარსაიდან. ოღონდ ძაღლები ღავღავებდნენ აქა-იქ, უნიათო, შიშრეული ხმით.

სისხლი გაუცივა გიორგი ათონელს ნამშიერევი, ნააედმყოფარი და ნასიკვდილარი ქვეყნის ხილვამ.

ჰოი, შენ, უბედურო ჩემო ქვეყანავ, რამდენი დაგაკლდა მკერძველი და მთერძველი მიწისა შენისა, რამდენი აღმშენებელი, რამდენი დედა დაგეკარგა, რამდენი სძალი, რამდენი ბავშვი დაგიობლდა, მამაკაცობის თმის მომლოდინე!

გული უგმინავდა გიორგის.

„ჰოი მე, რაისათვის მოვიწიე ამას ქვეყანასა ხილვად ესევითართა უბედურებათა!"...

უფლისციხიდან სამი ჟამის სავალზე, მეფემ სტუმრებს კათალიკოსი მელქისედეკი შემოაგებება, მაღალ სამღვდელოთა ამალით.

უფლისციხეც გამოჩნდა.

მეფის კარავიც.

მეფეც.

მოისწრაფოდა ლიბანის ნაძვივით ახოვანი და ღვთაებრივ სახემშვენიერი.

— კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან შენის ხილვით სიხარულით აავსო გული ჩემი და სრულიად სამეუფო ჩემი!

შესძახა და გადაეხვია მოწაფე მოძღვარს.

იგრძნო გიორგიმ: უსაზღვროდ თბილი ჰქონდა გული ბაგრატს.

იგრძნო ბაგრატმა: უსაზღვროდ გრილი ჰქონდა გული გიორგის.

განა, რაიმე სწყენიაო, — გაუელვა მეფეს, მაგრამ უმალვე ეჭვი გადაუქარდა, როგორც კი სტუმრის სახიდან ზეციური მადლის შუქმა გამოანათა.

— კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მაჩვენა სახიერება თქვენი, მეფისა მირონცხებულისა, უფლისწულისა, უნეტარესი კათალიკოსისა და ყოველთა საეროთა და სასულიეროთა! — სთქვა გიორგიმ და ჯვარი გარდასახა მეფეს და მის საკრებულოს.

— კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მოგვივლინა ნათლული ღვთისა და ახალი ოქროპირი მაცხოვრად სულთა ჩვენთა! — შესძახა ისევ მეფემ.

— ამინ, ამინ, კურთხეულ არს, კურთხეულ არს! — გაისმა ჯგროდ, თქმული ჯგროისად.

და შეიყვანა სანატრელი სტუმარი მეფემ კარავში.
ყველანი შეჰყვნენ.
ინახად დასხდნენ, ჯვარი ისახეს და პირი იხსნეს.

ვედრება მესამე

ხოლო, ინახი აღმოჩნდა ფრიად უგემური.

უგემური, რადგან თვითონ იყვნენ უგემურად მეინახენი.

გიორგისთვის კი სულ ერთი იყო. ხორცეულს არაფერს ჰამდა. არც ვენახისგან გამომავალს ღებულობდა რაიმეს (თვინიერ ვაზის ნაცრემლევისა.)

ოღონდ იმას კი უტყუვრად შეიგრძნობდა გიორგი, რატომ ვერ ატანდნენ გემოს სამეფო სუფრას საქართველოს დიდებულები, სამღვდელონი და საერონი.

რას მოასწავებს ამ გადაკარგული ბერის გამოცხადება საქართველოში? რაისთვის მოიწვია იგი მეფემ? რაისთვის? ემზადებიან მოწაფე და მოძღვარი, რა სიახლისთვის, რაის დასამხობად და რაის ასამაღლებლად?!

და რა ვიქნები მე (!) შემდგომად ამ გაუცხოებული ბერის გამოცხადებისა?! — ამ ფიქრს იცოხნიდა ყველა ცალკეულად.

(აკი ასე ხდება ყოველთვის: ვინმე „სხვანაირის" გამოჩენა ერთბაშად აშლის და ააფორიაქებს მანამდე მშვიდად და უდრტვინველად მობალახე „ერთნაირთა" ჯოგს).

უხმო შრიალით შრიალებდა ეკვი.

ყველა იქ დამსწრე საეროთა და სამღვდელოთა, დიდთა წარჩინებულთა და ზეპურთა, კიდევ უფრო ის აშეთებდა, რომ ათონელის თვალები არც ერთი მათგანის მზერას არ იკარებდა. იგი იქ მყოფთაგან, თითქოს, ვერც ვერავის ჰხედავდა და ვერც ვერავის ყოფნას შეიგრძნობდა.

აგერ როდის მიაქცია მზერა სტუმარმა ტრაპეზსა ზედა.

და ყველას მდუმარე, თითქოს შიშით გამტკნარებულ სახეებზე, ეს ერთადერთი კითხვა ამოიკითხა:

„რაისთვის მოხველ?"

„აღვსებად სულთა მშიერთასა!" — შესძახა ათონელმა, წამოდგა და გაეყარა ტაბლას.

ყველანი წამოიშალნენ.

მეფე და კათალიკოსი მაშინვე გაჰყვნენ ეზოში ნასწრაფევად გასულ სტუმარს.

სვეტიცხოველის ნახვა მწადიაო, სთქვა ათონელმა.

და წავიდნენ მცხეთას.

და შემოეგებათ სვეტიცხოველი, ოდენ ბეჭებამდე მოყრილი, უგუმბათო, გამთლიანების წყურვილით ატანილი.

უცქერდა გიორგი ტაძარს, მდუმარედ, ფიქრებში ჩაძირული. მცხეთას მოსვლა გასცოცხლებოდა, არსუკისძესთან პირველი შეხვედრა, პირველი გახსნა მათ სულთა მარჩბივობისა, პირველივე ღამისთევა სვეტიცხოველზე. აი, იმ საკვერთხელზე ისხდნენ მაშინ გიორგი და თვალშევნიერი, ღვთაების არსზე რომ მსჯელობდნენ... ზედაზნის მთიდან კი ფურირმის ძეობის ხმა მოდიოდა... ისხდნენ და ისუნთქავდნენ ნადირის ძუძუდან ნადინარ ლორთქო რძის სურნელს... ისხდნენ და ისუნთქავდნენ მაშინ ერთმანეთის აზრს ხურო ქვისაი და ხურო სიტყვისაი... აი, ის ჯვარიც, ვაზის მტევნებით რქანაყარი, ერთად რომ აზიდეს და ტაძარს ტანში ჩაუდგეს გიორგიმ და თვალშვენიერმა... და ნინოს გზაზე უმანკო ყრმისგან ნაჩუქარი ყვავილი რომ ჩაატანეს იმ ჯვარს.: „ბედნიერი ხარ, ქვაო შენ, ბედნიერი, ვინათგან ღვთაებრივმა დიდოსტატმა უაზრო და უჯმაჯური ქვაობისგან დაგიხსნა და ვაზის სიცოცხლე მოგანიჭა!“ „...სახელი მისი — ვაზიცხოველი!“ (მოესმა ხმა არსუკისძისა)... „სვეტო ცხოველო, სვეტო ერისაო, ჰქმენ თავი შენი!“... მაგრამ რად ვერ ჰქმენ თავი შენი?!.

— რა ემართება სვეტიცხოველს? — უცებ მობრუნდა და იკითხა გიორგიმ.

— სვეტიცხოველს ის დაემართა, რომ დაეკარგა ხუროთმოძღვარი, — მოღნაშული ხმით შეაგება ბაგრატმა.

— რაღაც სატანისმიერი დაეუფლა არსუკისძეს, — დაურთო მელქისედეკმა.

— ახლა სად არის იგი? — იკითხა გიორგიმ.

— არავინ იცის, — ერთად შესძახეს მეფემ და კათალიკოსმა.

— ეძიებდით და ვერა ჰპოვებდით?

— ვეძიებდით და ვერა ვჰპოვებდით.

— მერე, მოძღვარნო და პატრონნო ერისანო, ეგზომ პატარა, თავსაფრის ყურივით მცირე მიწაზე, — რასაც ჰქვია სა-

ქართველო — ეგზომ დიდი ადამიანი ვეღარც ცოცხალი და ვეღარც მკვდარი ვერ გიპოვნიათ?

— ?!

და მარტო წავიდა გიორგი ათონელი თვალშვენიერ არსუკისძის საძებრად.

ვედრება მეოთხე

გერშით ვიდოდა, უცნობიეროდ, ოდენ გერშით.

(გონება, თითქოს ბლაგვია გერშთან შედარებით).

ხეკორძულას ხევს მიჰყვებოდა ხეკორძელი კაცის საძებრად.

„ასეთ პატარა ქვეყანაში, სადაც ამდენი დიდგონებიანი და დიდთვალებიანი ხალხი ცხოვრობს, რა საიდუმლო უნდა დაიმალოს?!“

ფიქრობდა გიორგი და წიხ მიიწევდა შეუჩერებლივ.

გზა დაიკარგა, ნაგზაურიც გაქრა, თანითანებიც, საცანდალო ბილიკებიც დაილია, და ვიორგი უკვე პიტალოს მიჰყვებოდა, მდინარის დავიწროებული კალაპოტის ასწვრივ.

სანიშნედ, სულ ზემოთ დიდგორის მთა ჰქონდა, უფრო ქვემოთ კი — უზარმაზარი რუჟანი ქვა. იმ ქვასთან რომ აღალ, მაშინ შეეისვენებო, იფიქრა, და მიიწევდა იმ ქვისკენ შეუჩერებლივ.

მზეც დიდგორისკენ მიიწევდა, — თითქოს, იქითკენ მიმავალ კაცს ეჯიბრებოდა.

და იყო მზე მიწევნულ საშუალსა ქონქსა, ოდეს გიორგიმ ააღწია ნანიშნევ ადგილს.

ავიდა, იმ რუჟან ქვა-კლდეზე ჩამოჯდა, თვალი ავლილ გზას ჩამოუბრუნა და ახლაღა შენიშნა, რომ მის ნაჯალს ვიღაც კაცი მოჰყვებოდა გამალებული.

ოჰო, ამას კი ვინღა მოელოდა?!

და ამოვიდა კაცი იგი, მანამდე გელიქაშად მოდევნებული, ზუნებით მწითური და დაღლილობით, თუ მძვინვარე ბზით ცეცხლწაკიდებული.

ამოვიდა, ლაჯზე გალაჯულად დადგა და მიაშტერდა გიორგის, ძაღლივით მოწადნიერე ზერით.

გიორგის, ქვეყანაზე ლამის ყოველგვარი სახის მხილველს, ასეთი ძრწოლისმომგვრელი სახე ჯერ არ ენახა.

წითელი თმა ჰქონდა, მეჩხერი წითელი ბუწუწით შემოსილი ქოსა ლოყანი, ვიწრო შუბლი, უძვრელი და უხამხამო ჯარბის თვალები, უჩვეულოდ გრძელი ყურის ბიბილოები, ეგზომ გრძელი, ნიკაპზე რომ ხელის დადება აპეურით შეეკვრებოდა; რაღაც ზინზლიან სუნს გამოსცემდა ახალმოსული, ჯარაოტის სუნის მინამსგავსს.

დიდხანს უცქერდნენ ერთმანეთს, უძრავად, მდუმარედ. თითქოს, ჯიბრში შედიოდნენ, რომელს უმალ გაუწყდებოდა მდუმარების სიმძიმისაგან ძაფი მოთმინებისა.

— მე ვიცი, ვინა ხარ შენ, — ვეღარ გაუძლო და თქვა მოსულმა.

— მე კი არ ვიცი, ვინა ხარ შენ, — მშვიდად მიუგო გიორგიმ.

(და არც ის იცოდა, რომ ახალმოსულს საწმართულოს ორივე ჯიბეში ღრიანკალნი უშმაშურებდნენ).

— მე ვარ ქირქიშ აბულახტარი, — თქვა წითელმა.

— კეთილი, — გულგარეშედ თქვა გიორგიმ.

— მე ისიც ვიცი, სად მიდიხარ შენ.

გიორგის ამაზე აღარ უპასუხნია და ისევ სთქვა აბულახტარმა:

— შენ არსუკისძის საძებრად მიდიხარ.

ეს კი გაუკვირდა აქამდე გულგრილ გიორგის, მაგრამ არც ახლა უთქვამს არაფერი, და ისევ განაგრძო წითელმა:

— მე ეს იქიდან გავიგე, როცა შენ უთხარ მეფესა და კათალიკოსს — ეგზომ მცირე ქვეყანაში ეგზომ დიდი ადამიანი ვერ გიპოვნიათო.

ალბათ მეფის ამალაში იდგა მაშინ ეს კაცი და იქიდან მოისმინა ჩემი ნათქვამიო, გაივლო გიორგიმ და კვლავ დუმილი არჩია უსაგნო გასიტყვებას.

— და მართლა ასე დიდია არსუკისძე?! — იკითხა და მოექცა სახე აბულახტარს.

— მხოლოდ ჩიორებს არ შეუძლიათ დიდის დანახვა, — ახლა კი ამოიღო ხმა გიორგიმ.

— მე — ჩიორა? — გადიხარხარა ქირქიშ აბულახტარმა.

და სიცილი იგი ნასაუკუნევ ძვალთა ჩხარუნად ჩაესმა გიორგის.

სიცილი მოითავა აბულახტარმა, აწლილი სახე დაილაგა და დაიმშვიდა. მერე გულდაგულ იმ რუქან ქვას მიადგა, ზედ რომ გიორგი ისკუპებდა ამოსულისას.

— აბა, მიყურე მე, ჩიორას! — შესძახა მუქარით და დასწვდა ორივე ხელით წითელი კაცი იმ უზარმაზარ ლოდს, ათი კაციც რომ ადგილიდან დაძვრასაც ვერ შეუბედავდა.

მხოლოდ ამის გააზრება-ღა მოასწრო გიორგიმ — რა საკვირველად მოკლე თითები ჰქონია ამ კაცსო — და ციმციმ ასწია ქირქიშ აბულახტარმა ლოდი, ასწია, წუთით თავს ზემოთ გაალოდინა („ლოდი გაა-ლ ო დ-ინა" — ეს გიორგის ფიქრის გაელვება იყო) და გადასტყორცნა წითელმა კაცმა ხევში ლოდი იგი, ათ კაცსედაც მძიმედ სატვირთო.

დაიგრიალა ხევმა, დაგორებული ქვა-გოლიათით შეძრულმა და შეძრწუნებულმა. ხოლო, როცა ხევიდან ამომავალი ხმიანიც სადღაც შორს ჩაიკარგა და ჩაიწრიტა, ქირქიშ აბულახტარმა გამარჯვებულის იერით დოინჯი შემოიყარა და გიორგის გამომწვევი ხმით შესძახა:

— აი, ჩიორა!

— მე სულით ჩიორა გავიგულისხმე: ჩიორა სულის ადამიანებს არ ძალუძთ სულდიდთა ხილვა-მეთქი, — თქვა გიორგიმ და დამცინავი ღიმილი გაუკრთა სახეზე.

— სულით ჩიორა? მაშ, მე სულით კნინი?! — დოინჯ-დან ხელები ძირს ჩამოუცვივდა ქირქიშს.

— შენი სულისა მე არარა ვიცი, ღონე კი სწორედ სატანისა გქონია, — შეაშველა გიორგიმ.

— სატანისა?.. სატანა?

— რა გაეწყობა — ყოველი ძალა ოდენ ორად განიყოფებისა: ძალა ღვთაებრივი და ძალა სატანური. პირველი სულს განეკუთვნება, მეორე — სხეულს.

გიორგი შეჩერდა, მაგრამ რაკი „სატანური ძალის მქონეს" ბასუხი აღარ უცდია, ისევ განაგრძო:

— ძალა სატანისა და ძალა ღვთისა ცოდვა-მადლზეა ჰიპით მიბმული. უკეთუ კაცში ცოდვა მადლს სჭარბობს, სატანური ღონეც, რომ ჰქონდეს და იმ ღონით ათი კაცის სატვირთო ეულური, უქმი და უმადლო ლოდიც აზიდოს, იგივე ღონით იგი

მადლიანი კაცის ერთ ხელის მტევანსაც კი ადგილიდანაც ვერ დასძრავს, — დაიმახსოვრე ეს კარგად, ქირქიშ აბულახტარო!

თქვა, გატრიალდა და ისევ შეუდგა გზასა უგზოსა გიორგი ათონელი, და...

— შესდექ! — ამ ძახილმა უკანვე შემოატრიალა.

წითელი კაცი ისევ მოისწრაფოდა მისკენ.

— მეც მოვდივარ! — ამოიძახა ქვემოდან, ნაბიჯშეუჩერებლივ.

— სად? — ჩასძახა გიორგიმ.

— სადაც შენ.

— შენ რა იცი, მე სად მივდივარ?

— არსუკისძესთან მიდიხარ-მეთქი, აკი გითხარი.

— აგრეც რომ იყოს, შენ იცი, სად არის არსუკისძე?

— არა, მე არ ვიცი და ვაი, რომ არ ვიცი!

— მერე, შენ რა იცი, რომ მე ვიცი?

— არც შენ იცი, მაგრამ შენ მაინც მიაგნებ მას.

— ეგ საიდანღა იცი, რომ მე უეჭველად მივაგნებ?

— ეგ შენგანვე ვიცი.

— ?!

— აკი შენვე თქვი, ეგზომ პატარა ქვეყანაში ეგზომ დიდი კაცის პოვნა ადვილიაო!

— გამიგონე, ადამიანო! იქნებ ცოცხალიც აღარ არის არსუკისძე?

— არა, ცოცხალია, უეჭველად ცოცხალი! — დაბეჯითებით შესძახა ქირქიშმა.

— საიდან იცი, რომ ცოცხალია? — იმედი გამოუკრთა ხმაში გიორგის.

— არსუკისძე რომ მომკვდარიყო, ევნიკია ხომ დაბრუნდებოდა!

— ევნიკია?!

შეირყა გიორგი. ელეონის მთაზე ნასიზმრევი გაახსენდა, ანამაისამ რომ უთხრა, არსუკისძეს ევნიკია დაჰლუპავსო, ევნიკია — ძუძუში რომ ჭაკი სატანა უდგასო.

— ერთად წავიდნენ? — იკითხა ბოლოს, ისე რომ პასუხისთვის არც შეუხედავს.

— ჰო, ერთად გადაიკარგნენ, — მიაშველა ქირქიშ აბულახტარმა და სახე სულ დაემეწყრა რაღაც სიმწრისგან.

მიხვდა გიორგი, რა სიმწარეც იყო ეს, და რის გამოც ასდევნებოდა მას „იმ სიმწრისგან“ გამწარებული წითელი კაცი.

— აბულახტარო, შეგიძლია გულწრფელი იყო?

— ღმერთს მოვიხმობ და ღმერთს დავიფიცავ; სამწუხაროდ, ფარისეველობის უნარს სრულად მოკლებული ვარ.

— ღმერთს ეძიებს და ეძახის ყველა, და ვისაც ღმერთისა არაფერი სწამს, იგი უფრო გახელებით მოუხმობს ღმერთს.

— მაშ, მითხარი, როგორ მოვიქცე?

— ისევ ღმერთის შეუწუხებლად მითხარ: რას მიჰყავხარ შენ არსუკისძესთან?

— სიძულვილს, — წამსვე მიუგო ქირქიშმა.

მართლა გულწრფელი ყოფილაო, გაიფიქრა გიორგიმ და ნაფიქრალს კითხვა გადააბა:

— და სიძულვილისთვის დაცოცავ შენ ამ მიწამყარზე?

— სიძულვილისთვის.

— რაისთვის გძულს?

— არ ვიცი.

— ალბათ, ქალისთვის.

— ქალისთვისაც, მაგრამ მანამდეც მძულდა იგი.

— მაინც რაისთვის გძულდა და გძულს? — გაუმეორა ჩაციებით კითხვა ათონელმა და დააცქერდა თვალის სიფთრით.

— მეძულების და მძულს! — უცებ იყვირა ქირქიშ აბულახტარმა.

და ჩავარდა საგონებელს გიორგი ათონელი. კვლავ გაახსენდა ბუნება ქართველი კაცისა:

მემღერების და ვმღერი,
მეღალატების და ვღალატობ,
მეშურვების და მშურს,
მეძულების და მძულს.

ასეთია ქართველის მტრობით ნერწყვმორეული ქართველი კაცი.

და როდის არ იყო საქართველო შურიან-მტრიან-ღალატიანი?

ალბათ არც მაშინ, როცა საქართველოს ბუნებაც კი, მისი ზღვა-ყანა და მისი ზე-ყანა, ძალიან, ძალიან ახალგაზრდა იყო.

და მოდის მას შემდგომ ასე საქართველო: ქართველს ქართველის სიყვარული არ მოენატრება, ქართველს უცხოს სიყვარული არ მოსწყინდება...

— გამიგონე, აბულახტარო, შენ ახლავე უნდა გაბრუნდე უკან!

— გავბრუნდე?

— სწორედ.

— არა, შენ უნდა მიმიყვანო არსუკისძესთან! — ჟინიანად თქვა აბულახტარმა.

— როგორ, მე ბოროტება სიკეთეს შევყარო?

— სულ ერთია, ვერა კეთილი ბოროტებას ბოლომდე მაინც ვერ დაემალვის.

— ამაო არს შენი დევნა კეთილისადმი.

— იყოს ამაო. ბოროტი მაინც არ დაიშლის კეთილის დევნას, რადგან ბოროტების არსებობას მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე განაპირობებს.

— ჰო, თუმცაღა ბოროტება აკი სიკეთის ნასუფრალით საზრდოობს.

— ნასუფრალი კი არა, შენ გინდოდა გეთქვა — განავალი, სიკეთის განავალით იკვებება ბოროტება, არა?

— გაბრუნდი-მეთქი! — მღელვარედ აღმოხდა გიორგის.

— ეგ არ მოხდება!

— ეგ უკვე მოხდა.

— უსიკვდილოდ არ მოხდება-მეთქი!

წამით დრო გაჩერდა.

სადღაც, სულ ახლოს გველის წივილი გაისმა — გველისგან თავნაპარსი გველის წივილი.

გიორგიმ წამით ძირს დაიხედა და გველების ნაცვლად ღრიანკალნი დაინახა. სამი იყო და სამივენი მისი შიშველი ფეხებისკენ მოისწრაფოდნენ.

სამივე შიშველ მარჯვენა ფეხისგულქვეშ მოიქცია წამისად და წამისადვე მიწას დააჭყლიტა გულაზრზენილმა.

— მაშ, აი! — დაიხრიალა მაშინ ჭირქიშ აბულახტარმა და ხმალმაც გაიბრჭიალა.

მერე ვერასგზით ვერ გაიხსენებს აბულახტარი, როგორ მოახერხა ამ „უცხო ბერმა“ დარტყმამდე მოესწრო მისი ხმლიანი მაჯის საკუთარ ხელში მოქცევა. ტკივილი კი დიდხანს მო-

ურჩენელი და დაუვიწყარი აღმოჩნდა. ლამის გადაუწყდა მაჯა, თითები წამისად გაეჩაჩხა და გაუშეშდა. სახე დაეღრიცა. პირიდან მწვანე ლორწკი წამოუვიდა. წამიც და გული უნდა შეჰლონებოდა, რომ ბერმა მაჯიდან ხელი შეუშვა, მიწაზე დავარდნილ ხმალს დასწვდა, წვერით აიღო, მოიქნია და სივრცეს შესტყორცნა. შესტყორცნა და დაცემის ხმამ უკანვე ვეღარ მოაღწია, ისე შორს დაცემულიყო ხმალი მეხმლესი.

— ახლა კი განვედ ჩემგან, იქედნეს ნაშობო! — დაარისხა გიორგიმ და ამ დარისხებამ მოიყვანა გონს აბულახტარი.

— განვედ-მეთქი, სატანის კერძო! — გაიმეორა ბერმა, კვლავ რისხვეულად.

— სატანაო?! შენც სატანა ყოფილხარ ასეთი ძალ-ღონის პატრონი, ჩემზე დიდი სატანა! — უცებ შესძახა ქირქირმ აბულახტარმა, ადგილიდან მოწყდა და დაეშვა თავქვე.

მდინარის ჩასწვრივ ჩარბოდა და ყამჟამად ამოსძახოდა ქვემოდან ზემოთ:

— სატანა!

— ნამდვილი სატანა!

— სატანა, სატანა!

და როგორც იქნა, დასუსტდა, დაკნინდა და დაიკარგა ხმა „სატანის" მაძახური სატანისა.

გიორგის გაეღიმა და გამოერკვა. მარჯვენა ხელზე დაიხედა, წეღან რომ „იქედნის ნაშობის" მაჯა ეჭირა. დაყნოსა. ჯარაოტის სიმყრალე ასდიოდა ხელს.

წყალთან მივიდა. ხელები ამოიბანა ცივსა და წმინდა მთის წყალში. ისევ დაყნოსა ხელს. ისევ ასდიოდა ჯარაოტის სუნი. მიწა ამოპოტნა მდინარის კალაპოტიდან და დიდხანს იზილა ხელები. ისევ ამოიბანა. უკვე დახსნოდა სიმყრალე, ყოვლის დამხსნელი მიწისაგან.

და ისევ შეუდგა ათონელი გზასა უგზოსა, აღმართ და აღმართ.

ვედრება მეხუთე

და მიაღწია გიორგი ათონელმა კლდეში გამოკაფულ ქარანდავს, საითაც აქამდე მოჰყავდა იგი გერშს მისი სულის მენახევრისას.

ქარანძავი სიშავეს მოეცვა, ხორკლიან სიშავეს (შავი ფერი ხორკლიანია, თეთრი — სწორი, გლუვი და სუფთაო, — რატომღაც ეს გაახსენდა, ვიღაცის ნათქვამად გიორგის, იქნებ დემოკრიტეს უნდა ეთქვასო...).

და ჩაჰხედა პირში ბერბეცით ამოვსებულ კლდისა დანახეთქსა, ჩაჰხედა და უმალ წყვილმა ცეცხლოვანმა თვალმა აღოჰხედა წყვდიადის ფსკერიდან.

„თვალნი სატანისაა“ — გაუელვა გიორგის და საკუთარი თვალებისკენ გაექცა მარჯვენა ხელი.

— განვედ! — წასცდა და უმალვე აღუტევა ხმითა მაღლითა:

— არსუკისძევ, გამოდ, გამოდ, დღისა ნათელსაა!

„...ნათელსა...“ — გახმიანდა ექო ქარანძავისა.

და ამოჰყვა კაცი ათონელის ნაგრგვინავ ეჭოს ქვაბულიდან.

იგი ერთბაშად გამოერჩა წყვდიადს, წყვდიადისფერი თმა წვერით შემოსილი და დღის სინათლით თვალებშემდრკალი.

გამოვიდა და მაშინვე უთხრა კაცმა ნაწყვდიადარმა კაცსა ნათელიერსა:

— ბე გელოდი, ვინათგან ვიცოდი მოხვიდოდი შენ!

თან ისე უბრალოდ და უშფოთველად უთხრა, თითქოს ამ ბოლო დღემდე ერთად ყოფილიყვნენ განუყრელად და განუშორებლად, და ოდენ ნაგუშინდლევ სიტყვას აგრძელებდა, ძმობილთან მცირე ხნით გაწყვეტილს.

გიორგის კი ისევ წაართვა მზერა არსუკისძის ზურგს მოდევნებულმა წყვილმა თვალმა ცეცხლოვანმა.

— განვედ! — ახლა თვითონ არსუკისძემ ჩასძახა ქვაბულს და წყვდიადმაც ჩაიქრო თვალნი ცეცხლის მკრთომელნი.

— მომიახლოვდი! — უთხრა გიორგიმ.

— აჰა, მოვედი, რამეთუ შენმა უხრწნელმა სიტყვამ ამოწვას წყლული ჩემი ხრწნადი სულისა, — უთხრა და მიეახლა თვალშვენიერი.

და მოეხვივნენ ერთმანეთს.

და იდგნენ ასე მდუმარედ, ოდენ სულთა შინაგან მიმოქცევით.

და მათი მდუმარება სიტყვადმიმოქცევაზე უფრო მეტყველი იყო.

— დიდზე დიდი სიგრილე შეიგრძნობის ჩვენს სულთა შორის, — თქვა ბოლოს სიმწრით გიორგიმ და განიყარა მკერდისაგან თვალშვენიერი.

უკუდგა თვალშვენიერი, სახეზე მეწყერი დასცურებოდა. თითქოს, რაღაცის გახსენება ეწადა და ვერ გაეხსენებინა, ვინათგან რაღაც მძიმე საფიქრალს გაელახა მისი მეხსიერება.

დიდხანს უცქერდა გიორგი თავის სულის-მტეს. მერე მივიდა და ხელები გამოართვა ორივე ხელით. ჯერ ხელის ზურგები უსინჯა, მას უკან ხელისგულები. თეთრი, ფაფუკი, თონთლო ხელის მტევნები ეკიდა ახლა უძარღვო მაჯებზე ბაგრატისა და სვეტიცხოვლის ტაძართა აღმშენებელს. მკლავებიც მოუსინჯა და მოუჩხრიკა, აღარც მკლავებს შემორჩენოდა საარაკო სიმტკიცე რვალისა და სიმკვრივე ურთხველისა. აღარსად იყო ხელ-მკლავნი ქვა-ჩუქურთმათა გრძნეული ოსტატისა. არამედ დარჩენილიყო ოდენ დიაცის საფერებელი ნაზი, ახალი ხელები.

ოდენ ქალწულის გარდაქალწულება თუ შეეძლო ასეთ ხელებს, და არაის ძალით გარდასახვა ქვისა და გარდასპეკლება სპეკალისა.

იდგა თვალშვენიერ არსუკისძე და მხოლოდ სახის წმახნით და წარბების ტეხვით ითმენდა გიორგის მტკიცე თითებით მკლავებზე აღძრულ უსიამო ცივ ტკივილებს.

უკუდგა გიორგი და ახლა არსუკისძის თვალებს მიაჩერდა.

თვალებშიც სრული სიცარიელე უდგა ერთ დროს სხივმოსილ თვალების პატრონს. თითქოს, არც ჰხედავდა და არც არაფრის ხილვა ეწადნიერებოდა გარშემო თვალმისაწვდომზე.

თითქოს, მისთვის მთელი გარემყარი იყო რაღაც უნათო და უგვამო.

შეძრწუნდა გიორგი, და უთხრა მისთვისვე უცხო, შიშისგან შეპმული ხმით:

— რად არას მეტყვი, ძმაო თვალშვენიერ?

— რა უნდა გითხრა, როცა მე არ ვიცი ვინა ვარ თვითონ მე?

— მერე, განა ვინმემ კი იცის, ვინ არის თვითონ?

— განა, არც შენ იცი, უფლის ნათლულო, ვინ ხარ შენ თვითონ? — გამოცოცხლდა თვალშვენიერი.

— არც მე, — მოკვეთა გიორგიმ.

— ნუთუ ცოდნა ჩვენი ისე მცირეა, ისიც არ ვიცით, ვინ ვართ ჩვენ თვითონ?

— ჩვენ უფრო მეტი ვიცით ყოველივე ჩვენს გარეთ, ვიდრე ჩვენს შიგნით.

— მაშ, ადამიანი ამოვარდნილა და გაქცეულა თავის თავიდან! — სთქვა და სიცილი აუტყდა არსუკისძეს, და იცინა მანამ, ასე უაზროდ, სანამ ათონელის რისხვიანმა ხმამ არ შეაყენა:

— გონს მოუხმე, უბედურო, და მოიძიე სული შენი, რომელიც შენგან არ განლტოლვილა და არის კვლავ შენში, მხოლოდ შენში!

— მე კი მგონია სული ჩემი განვიდა ჩემგან, და ერთ დროს მთლიანი, უთვალავ ნაწილაკებად დანაწილაკდა და ჩაიკარგა ჩემს მიღმიერ არსთა თუ არარსთა სიმრავლეში.

— გარეგანზე ფიქრი მოიშორე-მეთქი და მიექეც მხოლოდ შინაგანს და იქ იპოვნი სულსა შენსა! — ისევ უბრძანებდა ათონელი.

— მე უსულო ვარ და უნიადაგო, სრულიად უნიადაგო! — უმწეოდ, ტანის რყევით შეჰბღავლა თვალშვენიერმა.

— ნიადაგი შენი ნიადაგქვეშაა დაძირული და ისევ შენ უნდა ამოზიდო ისევ შენდა სანიადაგოდ!

— ჩემი ხსნა ალბათ მხოლოდ სიკვდილს თუ შეუძლია, — თავისას არ იშლიდა თვალშვენიერი.

— სიკვდილი სრულებითაც არ მოასწავებს დასასრულს — გინა ტანჯვისას, გინა სიამოვნებისას, — შეაგება გიორგიმ.

— მაშ, როგორ მოვიქცე მე? — ისევ იბღავლა უმწეოდ თვალშვენიერმა.

— გაიხსენე, რომ სულის-მტენი ვიყავით ჩვენ, — უცებ უთხრა გიორგიმ ზეგარდმო სითბოთი აღსავსე სიტყვით.

— სულის-მტენი?! — და გიორგის სიტყვისგან მონადენი სითბოთი აევსო თვალები თვალშვენიერს.

— სწორედ, და ამინ გეტყვი შენ: ჩემს სულს მე შენში უფრო ძლიერად ვგრძნობდი, ვიდრე ჩემშივე ჩემს საკუთარ სულს.

ამ ნათქვამს მცირე ხნით უტრიალა ფიქრით არსუკისძემ,

მერე მიხვედრამ სახე გაუცისკროვნა და უთხრა გიორგის, აღტკინებით:

— ჩვენ ვიყავით სულის-მტენი. შენ იყავ ჩემში და მე ვიყავ შენ'ში. და შენ იყავ ჩემი მე, ანუ ჩემი მეს მე, არა?!

— სწორედ, სწორედ! — გაიხარა გიორგიმ და უმალვე გაანაგრძო, უკვე ისევ მკაცრი ხმით:

— ამიტომ მე ნებას არ გაძლევ ჰლექს მისცე სული იგი, რომელიც შენ მარტოდმარტოს როდი გეკუთვნის!

— მაშ, სული, რომელიც ორივეს გვეკუთვნის!

— არა მარტო ჩვენ, — ეცება ჩაუჭრა გიორგიმ.

— აბა კიდევ ვის? — გაიკვირვა არსუკისძემ.

— სრულიად ერს, ქართველობას!

— ქართველობას?!

— ყური მიგდე, თვალშვენიერო! ჩვენს საწუთისოფლო დროებაში, საქართველოს მფარველმა და მწყალობელმა ღმერთმა შენ ერთადერთს ჩაგისახა თავისი ნაწილადეები მარადიული, უკვდავი სული, მაგრამ ჩაგისახლა საქართველოსთვის დასახარჯავად, ქართული ჯიშის სანიჭვარად და ასამაღლებლად და არა სატანის საკერძად და საძიძგნარად. სწორედ მაგნაირმა ღვთაებრივმა სულმა უნდა გამოარჩიოს და გამოაბრწყინოს ქართული მოდგმა ყოველ სხვა კაცობრიულ მოდგმათა შორის, რათა ქართველი ერი არ დარჩეს ოდენ პოპლიკად ჩაღვრილი და ჩათესლილი სხვა რომელიმე დიდ ბალხთა წიაღთა შინა. მცირე ერს მხოლოდ ღვთაებრივი სული გამოარჩენს. სხვა არაფერი. შენც ამიტომ დაბადებულხარ, რამეთუ შენი ღვთის ანაბეჭდი სულის ნაშობმა მარადიულად ათქმევინოს ყოველ ქართველ კაცს: ვარ ბედნიერი, რომ ვარ ქართველი!

დაასრულა გიორგიმ და დაელოდა თვალშვენიერის შესტყვებას.

თვალშვენიერი კი იდგა ფიქრებით ატანილი, ხელებმოკუნჭული, სახედაძაბული და თვალებანთებული.

— ჰა, რა ჰქენ, გეგრძნო რაიმე? — ჰკითხა ისევ გიორგიმ.

— ჰო, ჰო, მეგრძნო და მეგზნო! — შესძახა თვალშვენიერმა.

— მაშ, შენ აღარ ხარ იგი რაიც იყავ ამ წუთის წინათ.

— აღარ ვარ, აღარ...

— სვეტიცხოველზე ჩვენი პირველი შეხვედრა თუ გახსენდება?

— მახსენდება, მახსენდება... ხმები ირემთა ძეობისა. სურნელი ირმის ჩვილი რძისა... სვეტი-ცხოველი, სული-ცხოველი, სული ერისა... სვეტი ცხოველო, სვეტო ერისავ, ჰქმენ თავი შენი!..

— და ახლა თვითონ ჰქმენ თავი შენი! — უცებ ჩაუჭრა გიორგიმ.

— მერე მომეშველე, ღვთისნიერო სულისმტეო, და ერთად ვიხსნათ სული იგი ჩვენი, საერთო! — ძუძუს მახვეწარი ბალღივით შეეხვეწა თვალშვენიერი.

— მაშ, დაეხსენ ბოროტს და კვლავ უკუიქმენ ბოროტიდან სიკეთისაკენ! — ბრძანა ათონელმა.

— უკუვიქმნა... ბოროტიდან სიკეთისაკენ? — დამარცვლა გაოგნებულმა თვალშვენიერმა.

— უკუიქმენ ბოროტისაგან და კვლავ ჰქმენ თავი შენი, სიკეთეზე და სიქველეზე დამყარებული!

— აი, შემოდი შენ ჩემს სულში და დამიხსენი, უკეთუ შენს ღვთაებრივ სულს არ ევიწროოს სადგომი ჩემი დამცრობილი სულისა!

— სული ჩემი შემოვა შენში, უკეთუ სადგომი მისი დაიცლება სატანისაგან.

— შევძლებ კი მე განდევნას მისას?

— შეძლებ, რადგან ბოროტის ბატონობა წარმავალია და დროებითი, დროებით დაუძლურებულ სიკეთესა ზედა.

— მაშინ, მითხარი სახელი ჩემი მჯაბნელი სატანისა!

და, ეს რომ სთქვა არსუკისძემ, ისევ მოსტაცა გიორგის მზერა ცეცხლად მკვესავმა თვალებმა ქარანძავის ბნელი ფსკერიდან.

უცნაურად შეუდრკა გული ათონელს. გულში უთქმელად ჩაეხრჩო სიტყვა „ევნიკი“, ვინათგან ამ სახელს უმალვე მეორე სახელი ჩაეხლართა — „ანამაისა“.

ნეტავ, ანამაისასაც თუ ძალედვა თვალების აგრერიგად დაკვესება წუედიადსა შინა... ანამაისას ნაიდრევად ჩამჭრალ თვალებს...

მძიმე ფიქრი უცბადვე გამოიყარა გიორგიმ და თვალშვენიერს მიმართა განმტკიცებული ხმით:

— გამომყევ! — გაბრუნდა და მდინარის სათავისკენ გაემართა.

არსუკისძეც მიჰყვა, ძუძუნანატრი ბოჩოლასავით.

ხეკორძულას სათავეში მივიდნენ, ანუ დიდგორის ძირში.

მივიდნენ, დადგნენ და მაშინვე, ტანთ გაიხადეო, უბრძანა ათონელმა არსუკისძეს.

—?!

— გაიხადე! — გაკვირვებაც აღარ აცალა გიორგიმ.

და როგორც კი თვალშვენიერმა წელსაკრაულზე ხელი გაიკრა, ქარანძავში ცხოვრების ჟამიდან მას პირველად გაახსენდა, რომ საკვერთხელი იგი სწორედ გიორგის ნაჩუქარი იყო.

ხელები აუთრთოლდა და ძლივს შემოიხსნა წელიდან საკვერთხელი იგი.

შემოიხსნა და გიორგის ფერხთით დასდო.

სულ გაშიშვლდიო, ანიშნა გიორგიმ და ისიც გაშიშვლდა.

და ხელი ჩაავლო მაჯაში ათონელმა შიშველ სულის-მტეს, ჩაავლო და შეიყვანა მდინარეში.

და შეუდგა ნათვლას.

პირი აღმოსავლეთისკენ აქნევინა და სამჯერ ჩაყურყუმალავა მდინარეში.

„განეცხადე დღეს ყოველსა სოფელსა, და ნათელი შენი, უფალო, აწ გამოისახა ჩვენ ზედა, მეცნიერებით მცნობთა მათ შენთა მოხვედ და განეცხადენ, ნათელო შეუხებელო!"...

...ის იყო ნათვლა დასასრულს მიემთხვია, რომ უეცრად ორბის ყივილმა გასხიპა ზეცა.

— არიელ, არიელ! — აღმოხდა არსუკისძეს და სრულის ტანით აცახცახებულმა აჰხედა ზეცას.

— არიელ, ძე ჰაერეთისა! — და გიორგიმაც ალაპარაკა ზეცა.

ცაში ჯვარსახოვნად გაშლილი ბრუნავდა ორბი, რაჰხისფეროვანი და ბოლოთეთროვანი. ბრუნავდა და ყიოდა ხმაომახიანად და გულმარხიანად.

და უცებ მოწყდა ზეცას ორბი, პირდაპირ ჩამოიწრა ფრთებდაკეცილი და დააჯდა მარჯვენა ბეჭზე არსუკისძეს.

მკლავი გაწვართა თვალშვენიერმა და აუარ-ჩაუარა ორბმა მესვეტიცხოველის გაწვდილ მარჯვენას, ბეჭიდან მტევნამდე. აუარ-ჩაუარა ფრთების მძლავრი ბათქუნით, მხიარული კრიხვით და კმინვით დაუჭანგა, დაუკაწრა, დაუბუბნა და დაუბალთა.

გამორჩეულად ისევ კათოლიკე ძარღვს არყევდა და ჯგულაძის ფიცხველი ვაჟკაცის მკლავს.

მიმოდიოდა მკლავზე ბეჭიდან მტევნამდე ორბი რასისოვანი, გოინეული, და თან ნისკარტით უნერწყვავდა და ულოპრავდა ბროწეულისფრად აყვავებულ კუნთებს.

და ლოპი ივი გამოსცემდა სასწაულად უცნაურ სურნელს, უფრო ასლად ნაძუძური ბავშვის ხსენის მსვავსებულს.

— არიელ, არიელ, ღვთით მოვლენილო მხსნელო და მფარველო ჩემო! — ქვითინებდა თვალშეუნიერი.

და სანამ ივი მდინარეს სიხარულის ცრემლებს უხვაებდა, მხოლოდ ორბმა შენიშნა, როგორ გაიძრო გიორგი ათონელმა შავი ბურნუსი, მერე კვართი და მას უკან ხელახლა, მარტო ბურნუსი ჩაიცვა უკვართო ტანზე.

კვართი მიწაზე დასდო გიორგიმ, მერე მკერდიდან ჯვარი ჩამოიხსნა და კვართზეც დაასვენა.

და შეჰყურება ყოველივე ამის მხილველმა არიელმა, არსუკისძის მკლავიდან აფრინდა, სამჯერ კვართსა და თანარახსისფერ ჯვარს შემოუფრინა გარშემო, სამჯერ კიდევ გიორგი ათონელს შემოევლო თავს, მერე კამარა შეჰკრა, ზეცას აიჭრა და გაქრა სივრცეში. უსივრცოსსა.

ორივემ თვალი მოსწყვიტა ზეცას და ერთმანეთს შეხედეს.

და არსუკისძემ ახლაღა შეჩედა ათონელის წინ დალაგებულ კვართსა და ჯვარს.

და ისიც მხოლოდ ახლაღა გაახსენდა, რომ კვართი იგი — მარცხენა საძუძურზე რომ სვეტიცხოველის მსახვარი ეხატა — და ჯვარი იგი, წმიდა ნინოს ხელით ნაალერსევი ტაძრის ნაშთისაგანი — ერთ დროს ორივე მისი იყო, მისი ხელისგან გამოკვართულნი.

— ამოვედ! — გამოარკვია იგი ათონელის ხმამ.

და ამოვიდა მდინარიდან თვალშეუნიერი, ამოვიდა ახლად განათლული და გარდასახული, სულით განმტკიცული და სხეულით გასალკდეებული.

იგი აღარ იყო არსუკისძე წ ე ღ ა ნ დ ე ლ ი.

არამედ იყო არსუკისძე ო დ ი ნ დ ე ლ ი და ა ხ ა ლ თ ა ხ ა ლ ი.

ანუ — ახალი მესვეტიცხოველე-აღმშენებელი.

— მომიახლოვდი! — ისევ ბრძანებდა ათონელი.

და მიეახლა თვალშვენიერი, ძუძუნანატრი ბოჩოლასავით;

აიღო გიორგი ათონელმა კვართი და ჯვარი, აიღო და უთხრა თვალშვენიერ არსუკისძეს, ვითარმედ:

— ნათლა შენი დღევანდელი არის უდარესი ამა კვართისა და ჯვრის ნათლისა უაღრესისა, ვინათგან კვართი ესე და ჯვარი ესე — ორივე შენეულნი — მონათლულ არიან წყალსა იორდანესასა, ემბაზსა მაცხოვრისასა.

უთხრა და თავის ხელით ჩააცვა ტანზე კვართი იგი, თავის ხელით დაჰკიდა მკერდზე ჯვარი იგი და თავის ხელით შეარტყა წელზე საკვერთხელი იგი.

და როცა ათონელმა უფლის მადლით ნაკურთხი სანაწილეებით მორთო თვალშვენიერი, ღვთის ს უ რ ნ ე ლ ე ბ ა მ მოიცვა თვალხილული ნივთი ყოველი და თვალუხილავი ჰაერეთი სრული.

ღმერთის სურნელს დაეთრგუნა სხვა ყოველ სულიერთა ს უ ნ ი დედამიწაზე.

— ახლა შენში ღმერთი მეტია, ვიდრე შენ თვითონ. — უთხრა გიორგი ათონელმა თვალშვენიერ არსუკისძეს.

— და ღმერთი ჩემში შემოვიდა გზითა სულისა შენისათა! — შეჰღაღადა არსუკისძემ ათონელს და მუხლი მოიყარა მის წინაშე.

— აღსდექ! — წამოაყენა ფეხზე მუხლმოყრილი და უმალვე დაურთო გიორგიმ:

— და იგრძენ საგრძნობელი შენი და ისმინე სასმენარი შენი!

და გარდასახულ არსუკისძეს ჩაესმა ძახილი ქვისა, ჩუქურთმად გარდასახვის მოწყურებულისა.

ქვა ჭირვეულად მოითხოვდა გარდასპეკლებას, ვითარცა სიტყვა გარდასიტყვებას, ვითარცა ქალწული გარდაქალწულებას.

და ისევ მოესმა მესვეტიცხოველეს ბღავილი სვეტიცხოველისა, უგუმბათოდ პირდაღრენილისა და გამთლიანების წყურვილით გახელებულისა.

იდგნენ და ისმენდნენ — ხელოვანი ქვისა და ხელოვანი სიტყვისა, ნიშანსვეტნი საუკუნისა.

იდგნენ და ისმენდნენ ქვის ძახებას:

ქვის მოწოდებას,
ქვის გოდებას,
ქვის ყიჟინას,
ქვის მუქარას,
ქვის მუდარას,
ქვის ვედრებას...
. . . . . .
— ხოლო, მე???!!!

ვედრება მეექვსე

ამ მოულოდნელმა ხმამ — ხმამ თუ კივილმა — შემოაბრუნა ორივე, ხელოვანი ქვისა და ხელოვანი სიტყვისა.

ხოლო ხმა იგი ქალის ხმა იყო, ქალისა, რომელიც ორივეს დავიწყნოდა — ერსაც და ბერსაც.

ისიც დავიწყნოდათ, მკაზმავს ქვისას და მკაზმავს სიტყვისას, რომ ჯვარი, რომელიც დროის მონაცვლეობით მკერდზე ხან ერთს ეკიდა და ხან მეორეს (ხან ერს და ხან ბერს) — სწორედ ქალის თმით იყო შეკვერთხილი.

სწორედ ამ ქალის თმით.

და სახელი ამ ქალისა იყო ევნიკია.

იგი ქარანძავის პირას აღმოცენებულიყო, ხორკლიანი წყვდიადის ქსოვილზე კამკამა სითეთრით ამოქარგული.

იდგა ზეანდანი, ამაყად ყელაზიდული, თმაოქროვანი და სახიდან ოქროს სხივთა მფრქვეველი.

— ევნიკია! — წაცდა თვალშვენიერს.

ევნიკიაო?!

აი, როგორი ყოფილა იგი, გაივლო გიორგიმ და ანამაისა გაახსენდა.

ანამაისა...

და ევნიკია!

აი, ორი სიმშვენიერე!

და რომელია მათგან სიმშვენიერე უადრეს და სიმშვენიერე უდარეს?

არც ერთი... და ორივე.

ოღონდ, ევნიკია ქვე-ყანა იყო, ქვეყნიერ-მიწიერი სიმშვენიერე.

ანამაისა კი ზე-ყანა იყო, ზეყანიერ-ზენასოფლური სიმშვენიერე.

ამიტომ ორივე საოცარი იყო, ორივეს სიმშვენიერე წონასწორი და სწორფერი, ერთნაირად ზეალმტაცი და ერთნაირად თავზარდამცემი.

თუმცაღა ვითარცა ქალი, მაინც ევნიკია უნდა ყოფილიყო უძლიერესი ანამაისაზე...

და ახლა ეს „უძლიერესი" სუფევდა მათ წინაშე.

ამიტომ ღმერთის სურნელებას უკვე ვეღარ შეიგრძნობდა გიორგი ათონელი.

არამედ — ოდენ სატანის სუნი იდგა ირგვლივ...

ქალი კი ლაპარაკობდა — ქალი თეთრი და ალისფერი, ხორკლიანი წყვდიადის ფონზე:

— ვაი კაცთა მამაცთა, დიაცთა დამვიწყებელთა! დიაცი არის სურვილი და, ვაი სურვილის დამვიწყებელთა, ვინათგან სურვილის დავიწყებით დავიწყებას ეძლევა და წყდება დინება არსებობისა! ვაი მამაცთა, ნესტით მაკეთა, ვაი მამაცთა, ერსა თუ ბერსა, დიაცის დამვიწყებელთა, სურვილის დამვიწყებელთა, ცხოვრების დამვიწყებელთა, არსებობის დამვიწყებელთა! მამაცი საგზებელია დიაცისა, ვითარცა შეშა არს ლუკმა ცეცხლისა და ვაი ცეცხლთა დამშრეტელთა, ვაი მამაცთა სველთა და ნესტით მაკეთა!

არსუკისძეს არ ეტყობოდა, თუ იგი ისმენდა ქალისას. უფრო ის ეტყობოდა, რომ ისევ ქვისა და სვეტიცხოვლის ძახილი ესმოდა, ღვთით აღდგენილ და სულ-ხორციანად გაახლებულ მესვეტიცხოვლეს.

გიორგის კი ესმოდა ქალის გოდება. თითქოს ეშინოდა კიდეც, ყოვლის უშიშარს, ამ ქალისა, ჰაკი სატანით ძუძუღადაღულისა.

ისმენდა და ევაგრე პონტოელის ნათქვამი აგონდებოდა: პირი დედაკაცისაი არს ისარი წამლეული, რომელი განწონის სულსა კაცისასა და გესლი შინა დაუტევის...

და თითქოს უარესი „წამლეული ისრისა" და „გესლის" ძგერებას დაუშინდაო, თვალშვენიერს მკლავში ხელი ჩაავლო და ნასწრაფევად დასძრა ადგილიდან.

— წავიდეთ!

— წავიდეთო?! — იკივლა ქალმა.

შხამნაკრაევით შემობრუნდნენ გიორგი და თვალშევნიერი.

უცნაური თვალები ჰქონდა მაშინ ევნიკიას, ისეთი, რაიც მანამდე არ შეემჩნია გიორგის.

და უცნაურობა ევნიკიას მაშინდელი თვალებისა იყო სა-შინელება.

ასეთი თვალებით ღამეში დაკვესება აღარ გაჰკვირვებია გიორგის.

თვალები იყო ბელზებულისა, ანუ ძუ სატანისა.

და ასწია მაღლა ჯვარსახოვანი არგანი გიორგი ათონელმა, ასწია, წინ განაპყრო და დააცქერდა ქალის სახეს თვალებითა ურყეველითა და უცნაურად სხივმფინარითა.

წამით შეეცვნენ ერთურთს და შეეძგერნენ თვალნი ღვთი-სნიერნი და თვალნი სატანისნიერნი.

და ერთხელ კიდევ დაითრგუნა ეშმაკის თვალი ღვთის თვალისაგან.

ქალიც უკვე, თითქოს უფრო საწყალობელი იყო, ვიდრე საშიში.

და იკითხა ქალმა, მორჩილი, ურისხველი ხმით:

— წადით, მაგრამ მამაკაცთაგან მიტოვებულ უმწეო ქალს სანუგეშოდ რა უნდა დარჩეს?!

— მოთმინება, — უთხრა გიორგიმ.

— მოთმინებაო? — აღმოხდა ქალს და უცებ არსუკ-სძეს მიუტრიალდა:

— შენც ამას ამბობ, თვალშევნიერო?

მაგრამ თვალშევნიერს ქალის ხმა აკი აღარ ესმოდა და აღარც პასუხი გაუცია.

— აჰა, შენ ჩემი აღარ გესმის, ქვისა გესმის და ჩემი აღარა, შენი სული ისევ ქვაშია, ოდენ ქვაში ჩაქვავებული!

შესძახა ევნიკიამ წუხილით აღსავსე და თითქოს მუქარაგარეული ხმით. მას უკან ისევ გიორგის მიაპყრო განრღვეული მზერა და უთხრა ისევ თვინიერი, კრძალული სიტყვით:

— მაშ, მე ოდენ მოთმინება მრჩება ნუგეშად, მოთმინება და კვამლი ტანჯვისა, მზისთვალო სიმართლისა?

— ამინ, გეტყვი შენ, მოთმინებითა შენითა... დაიწყო გიორგიმ, მაგრამ უცებ ჩაუჭრა ქალმა, პირზე უცნაური ღიმილით გადაფენილმა:

— დიახ, დიახ — მოთმინებითა შენითაო?! თუ მოთმინებითა ზრობისათა?! — და აუვარდა სიცილი.

შეძრწუნდა გიორგი.

— ჰა, ჰა, ჰა! მოთმინებითა ზრობისათა!

და ერთბაშად ჩაინთქა ქარანძავსა შინა, კივილნაზავი სიცილ-კისკისით.

კიდევ რამდენჯერმე ამოიგალობა კლდის დანახეთქმა სიბნელიდან ქალის გულისშემძვრელი სმიანი და უცებ მოკვეთით დადუმდა.

სული გაცივდა გიორგის.

თითქოს, სადღაც იქვე, ახლოს, სიკვდილიც დაღრჭიალებდა წებოიანი ფეხებით.

— წავიდეთ! — ისევ ჩააყლო ხელი თვალშეუნერს და დასძრა ადგილიდან.

იგრძნო ქვის ოსტატმა, როგორ უთრთოდა სიტყვის ოსტატს გრძნეული ხელი.

ქვემოთ ეშვებოდნენ — ერთ-გულნი, ერთ-სულნი, ერთ-გონნი, ერთ-ნებანი, მაგრამ მაინც სხვადასხვა ხმებით ავსებულნი: არსუკისძეს ისევ უგუმბათო სვეტიცხოვლის ბღავილი ესმოდა, ხოლო ათონელს წყვდიადს დანთქმული ქალის კივილი.

ქვემოთ მოისწრაფოდნენ და არცერთ მათგანს, არც ერს და არც ბერს, არ გასსენებია, რომ ორივეს მკერდზე ნათევარი ქართული ჯვარი მაინც და მაინც იმ ქალის თმით იყო შეკვერთხილი.

(თუ ბელზებულის, ჰაკი სატანის თმით?!).

ვედრება მეშვიდე

და განახლდა ალმშენებლობა სვეტიცხოვლისა, განახლდა „შურითა ალმშენებლობისათა“, ალმშენებელთა ცხოველი წადნიერებითა და თავგამოდებით.

ყოველიე ისევ თვალშეუნიერ არსუკისძის ჯადოსხუო ხელსა და გონზე იყო ასხმული. კვლავ იგი იყო ტაძრის მთავარი მსახვარიც, ქვის მკაფავიც და მეჩუქურთმეც, ქვით ხუროც, ქვით მაშენებელიც და ქვათამტვირთველიც.

და ისევ ეჯიბრებოდა არსუკისძე არსუკისძეს — მცხეთის

სვეტიცხოვლის აღმშენებელი ქუთათისის ბაგრატეულის აღმშენებელს.

გაოცებულიც იყვნენ და გახარებულიც მეფე და კათალიკოსი. ასეთ პატარა ქვეყანაში ეგზომ დიდი ადამიანი ვერ გიპოვნიათო — მაშინ რომ უსაყვედურა გიორგი ათონელმა ორივე საჭეთმპყრობელს, გვირგვინოსანსაც და ხელარგოსანსაც — და ამათ რომ სვეტიცხოვლის აღმშენებელი ცოცხალიც აღარ ეგულებოდათ, ერთბაშად, მკვდრეთით აღმდგარივით მოაყენა მცხეთას გიორგიმ ამდენ ხანს გადაკარგული თვალშვენიერი.

და მიიწევდა სვეტიცხოველი მაღლა და მაღლა, ცაზედეთზე მოიერიშე.

ყოველ მესამე დღეს, გამთენიაზე, ისევ მიდიოდა შავრა ცხენზე ამხედრებული თვალშვენიერ არსუკისძე ხეკორძულაზე საბანაოდ. და ისევ, სად იყო და სად არა, მოფრინდებოდა ორბი იგი რახსოვანი და კვლავ გულმოდგინედ უწაფავდა მარჯვენა მკლავს მესვეტიცხოვლე ხუროთმოძღვარს.

ყოველთვის მარტო მოფრინავდა ორბი იგი, ყოველი სხვა თანაჯიშიერისგან დაწუნებული, თუ თვითონ დამწუნებელი.

მხოლოდ ერთხელ იყო, ერთადერთხელ, უმამაცესი ქორების, შაბარდუხების შავ გუნდს რომ მოუძღვა იგი. მოშორებით, ოდენ კაცის თვალსაწიერზე ჩამოიტოვა თავის მხლებელნი ჰაერში ორბმა და თვითონ ისევ მარტოდმარტო დააჯდა მკლავზე არსუკისძეს.

და მკლავის გაწაფვას რომ მორჩა, აფრინდა ორბი, ცაში ერთ ადგილზე მორიალე შაბარდუხების გუნდს შეუერთდა, წინ გაუძღვა და მათი თანხლებით ზედეთს შეერია.

გაჰკვირდა მაშინ არსუკისძე. ჩემი ორბი ჩემ თვისტომ ქართველს ჰგავსო. აკი ქართველსაც თავის თანასისხლიერთან ყოფნას ისევ უცხო ჯიშთან სიახლოვე ურჩევნიაო...

სვეტიცხოველი კი მიიწევდა ცაზედეთისკენ.

და ყველა, დიდი და მცირე, ერი და ბერი, გიორგი ათონელის ღვთაებრივ ღვაწლად მიიჩნევდა საუფლო სახლისა და მისი აღმშენებლის აღორძინებას.

იმ წელს კიდევ, გიორგი ათონელის მოსვლის წელს, მეფე ბაგრატ მეოთხემ კეთილმძლეობით სძლია ერისა და ქვეყნის საბოროტოდ გამძლავრებულ ხუთთა ძმათა აბაზაისძეთა. „ესე კაცნი ძლიერნი და ახოანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვი-

სისა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზვავებულნი, ხუთნი ერთობით", თვითონ ესწრაფოდნენ მეფის დამხობას, მზაკვრული ხვანჯებითა და ავი ღადრობით. ლიპარიტ კლდეკარის ერისთავის შემდგომ, არცერთი სხვა თავგამზადავი დიდაზნაური არ გამხდარა მეფისთვის ისე საშიში, როგორც იოანე აბაზაისძე და ძმანი მისნი.

და გიორგი ათონელის მოსვლიდან ერთი თვეც არ ვასულიყო, რომ ბაგრატ მეფემ ისე შეიპყრო ძმანი აბაზაისძენი, „ვითარცა უძლურნი რაიმე და ყრმანი ჩჩვილნი". შეიპყრო და ხუთივენი ერთგულ მეხმლესა და ქონდაქარს, ქირქიშ აბულახტარს მიუყარა მეფემ.

აბულახტარმა უწინარესად აბაზაისძეთა უფროსი ძმა იოანე დაიმარტოხელა, ვინათგან ენა ჰქონდა მისთვის საშიში იოანეს. ამ ენას შეეძლო გაეთქვა საიდუმლო ღრიანკალთა მწაფველისა და ღრიანკალთაგან გიორგი მეფის დაგესვლისა...

და შევიდა ქირქიშ აბულახტარი ხელებგაკრულ იოანე აბაზაისძესთან. შევიდა პირზე ნაყალბევი თანაგრძნობით და თვალთაგან ცრემლის მოჟურვით. ვაი ჩემს თავსო, და მოეხვია ორივე ხელით ბიძას დისწული, ღაწვები დაუკოცნა, ტუჩებსაც მიწვდა ტუჩებით და უცებ ხელები კისერზე შემოაჭდო, შემოუჭირა და შემოასალტა რკალის მარწუხებად.

უცნაური შუვილი აღმოხდა და შუვილთან ერთად ენაც გადმოუვარდა იოანეს.

უმალვე კბილებით დაეტანა აბულახტარი აბაზაისძის ენას, დაეტანა, მოუჭირა, მოსჭამა და გააფურთხა მოჭმული ენა.

სიამოვნებით ჩამოიწურა სისხლი ქოსა ნიკაპიდან აბულახტარმა, სიამოვნებით, რადგან ახლა აღარც ის ენა იყო საშიში, მიწაზე რომ ეგდო, აღარც მისი უენო პატრონი.

მერე ეკანძვალას ხისგან გათლილი ტოკეეცი [illegible] და გონს მოიყვანა პირიდან სისხლწამსკდარი და გონდაკარგული იოანე.

იოანესგან მის დანარჩენ ძმებთან შევიდა ქირქიში; ყველას სათითაოდ თითო წიხლი ჩუბუტოში ჩააზილა, მას უკან იმათაც ტოკეეცით სცემა და წენწურასავით აყეორა და არღოლა.

ბოლოს, ნაწამები აბაზაისძენი აბულახტარმა ბნელსა და ცივ დილეგში ჩაჰყარა, შიმშილისა და მკბენარის კერძად.

გიორგი ათონელმა მეფისგან აბაზაისძეთა ძლევის ამბავი შეიტყო, მხოლოდ მათი წამებისა და მაწამებლისა არაფერი გაუგია და გულდანდობილად მიულოცა ბაგრატს მტრის ძლევა.

და ეუბნებოდა ბაგრატ მეფე გიორგი ათონელს, ეს გამარჯვებაც შენი ლოცვისა და მადლის შედეგიაო, ვიხათგან შენს მოსვლამდეც მრავალგზის ხელვყავ აბაზაისძეთა დამხობად, მაგრამ ვერასოდეს ვერ გამემარჯვაო. ახლა ამ სასწაულს შენის წყალობით მივემთხვიე და ამიერითგან ჩემი მეფობა ოდენ შენის ლოცვითა და კურთხევით უნდა წარემართოსო.

და გიორგის მოსვლიდან პირველი ზამთარი რომ მოიწია, ბაგრატ მეფე, ვითარცა ჩვევა ჰქონდა, გამოსაზამთრებლად აფხაზეთს გაემგზავრა. გაემგზავრა და ათონელი მოძღვარიც თან წაიყვანა.

ჰყონდიდს რომ მიატანეს, ჰყონდიდის მთავარეპისკოპოსი შემოეგებათ და ევედრა მეფეს, იმ ზამთარს მასთან დაეტოვებინა დიდი სტუმარი, რადგან თვითონ ჰყონდიდელი დამოწაფებული ყოფილიყო ათონელი წმიდა მამისა და გარდარეული სიყვარულით ჰყვარებოდა მოწაფეს მოძღვარი თვისი.

შეიწუნარა მეფემ ჰყონდიდელის თხოვნა, რაკიღა შეატყო, გიორგისაც ესურვილებოდა ჰყონდიდს დარჩენა. და ასე, მეფე მარტო წავიდა აფხაზეთს, ანაკოფიას, ზამთრის სათევად და მანდაურ საქმეთა საურავად.

გიორგი ათონელი დიდად მოიხიბლა ჰყონდიდით და ჰყონდიდელებით. აღტაცებული იყო აქაური ქართველობით, ანუ მეგრის გვარტომობით. აოცებდა და ახარებდა მათი სიმშვენიერე სულისა, სიმკვირცხლე გონებისა და სინატიფე ტანის მიმოტანისა. გონებით ასეთ ცისკროვანთა და სწრაფმიმხვდომთა ხელეწიფებათ თვითონ ქმნან თავი თვისი და არ იყონ შემყურე სხვისი ხელისა და მომლოდინე სხვისი გონების ნაცოხნისა.

და იყო ჰყონდიდს მთელი ზამთარი გიორგი ათონელა ქვეყანასა ზედა შვენიერსა და ერსა შინა სანუკველსა და განუწყვეტლივ რეკავდა მის სულში ძახილი მისი საწუთისოფლო ცხოვრებისა:

„მადლობელი ვარ, უფალო, რამეთუ ქართველად დამბადე

მე, კაცთაგან გლახაკი, მწარედ ცოდვილი, უღირსი, უმდაბლესი და უნარჩევესი!"

ზამთარი რომ აიკრიფა, მეფე და მისი სტუმარი ისევ ქართლს დაბრუნდნენ.

უფლისციხეში დადგნენ და მეფემ გიორგი ათონელს „განსასვენებლად და საყოფელად" უბოძა „ადგილნი შევნიერნი" და „ლავრანი დიდებულნი", მათ შორის — ნეძვისა ქართლში და შატბერდისა — კლარჯეთში.

იუარა გიორგიმ და უთხრა მეფეს ღიმილით:

— რად განმიტევებ მე შენგან, მეფეო ჩემო, გინა ნეძვსა, გინა შატბერდსა? ანუ, განა განსასვენებლად და ხორცთა საფუვრად მოვსულვარ მე საქართველოში?!

— განგიტევებო?! — აყარდა მეფე — განგიტევებ კი არა, მე ერთი დღეც აღარ მინდა თაფლზე უტკბესი შენი სიტყვის თვინიერ დავრჩე! ოღონდ, რასაც მე შენი სახელი დავარქვი, გააჯები, შენადვე მიითვალე!

ეს სთქვა და გიორგის პასუხი აღარ დააცალა, ბრძანა, სასწრაფოდ გიორგი უფლისწული მომგვარეთო და იქვე, უფლისწულის შემოსვლამდე, ერთხელ კიდევ უთხრა ათონელს:

— წმიდაო მამაო, ჩვენ ამისთვის გავბედეთ მოშრომა და შეწუხება სიწმიდისა თქვენისა, რათა სრულიად აღმოვფხვრათ ჩვენი სულისაგან ყოველი ნაკლულოვანება და ცოომა უწესოჲ ამიტომ გთხოვ, დაფარული დაფარულად გვამხილე, ხოლო ცხადი თვალუხვევად განგვიმარტე. რამეთუ რაიცა მიბრძანოს მამობამან შენმან, ესრეთ შევიწყნარო და შევასრულო, ვითარცა ნაბრძანები წმინდა მოციქულთა პირისაგან.

გიორგი უფლისწულიც შემოვიდა, მკვირცხლი ნაბიჯით და ხალისიანი სახიერებით.

— მოდი! — უბრძანა მეფემ, მისი ხელი აიღო, ათონელს ხელში ჩაუდო და უთხრა მოწიწებით:

— აჰა, უნეტარესო, მოგცემ სულსა ამა ყრმისასა და წინაშე ღმრთისა გთხოვ!

პასუხად ათონელმა აკურთხა გიორგი უფლისწული, დალოცა და დაასრულა სიტყვითა ამითა:

— ღმერთმან ორთავე ცხოვრებითა ადიდენ შიშსა შინა თვისსა და დაუმორჩილენ ყოველნი მტერნი მისნი!

და დაიმოწაფა გიორგი ათონელმა გიორგი უფლისწული.

საგანგებო სწავლანი დაუწერა და მისცა, ღმრთივსულიერნი და მცნებანი საღმრთონი. მისცა და უბრძანა, რათა იკითხვიდეს და ისწავლიდეს გულსმოდგინებით და განიადაგებიო, რამეთუ მომავალი ხელმწიფე, პატრონი, გამზრდელი და განმსწავლელი ერისა, უწინარესად თვითონ ყოფილიყო განსწავლული, გაწურთვნილი და განსპეტაკებული ხელისუფალი.

ხოლო სწავლანი გიორგი ათონელისა არ იყო სასწავლონი ოდენ ერთი ტახტისმემკვიდრისა. არამედ დადიოდა ათონელი სოფლიდან სოფელს, დაბიდან დაბას, ქალაქიდან ქალაქს, სამწყსოდან სამწყსოს, და ასწავლიდა ყველგან და ყველას — დიდსა და მცირეს, სეფეწულსა და გლახაკს, აზნაურსა და უაზნოს, მქონებელსა და უპოვარს, ერსა და ბერს.

შენ ქართველი ხარ და —
შენში არს ნიჭი,
შენში არს სიმამაცე,
შენში არს სიქველე,
შენში არს სიყვარული ზოგად-მოყვასისა,
შენში არს სიყვარული მშობელ-ქვეყნისა,
შენში არს სიყვარული ოჯახისა,
შენში არს სიყვარული კერისა და საკურთხეველისა,
შენში არს დიდსულოვნება,
შენში არს გულმოწყალება,
შენში არს შემწყნარებლობა,
შენში არს სტუმართმოყვარეობა.

ხოლო, გაკლია და სხვისგან ისწავლე:
სიყვარული სიბრძნისა და სინატიფისა — ბერძენთაგან,
ფასი საკუთარი წარმომავლობისა — ჰაბირუელთაგან,
სიყვარული და თანადგომა თვისტომისადმი — სომეხთაგან,
ბეჯითი ჭვრეტა სამყაროისა — ინდოელთაგან,
მიზანსწრაფულობა — ჩინელთაგან,
მტრის მტრულად ცნობა — არაბთაგან,
მოთმინება და სიმტკიცე — რუსთაგან..

მისმინე, ქართველო, რამეთუ ამით გეტყვი შენ; სახიერ არს ღმერთი და სახიერებისა სახიერთა მიმნიჭებელი, ხოლო ბოროტი არს ეშმაკი და ყოვლისავე ბოროტისა მოქმედი; და ვითარცა სახიერისა ღმერთისა თვისებაი უშურველობა არს, ასევე ეშმაკსა ბოროტებას ალუძრავს შური, და მოგიწოდებთ,

ძმანო, შვილნო და მამანო, რამეთუ დავიცვათ თავი ჩვენი გნებისაგან შურისა, და ნუ ვიქნებით ზიარი ეშმაკისა. ვითარცა გესლი რკინასა, ასევე შური სჭამს და განლევს სულსა კაცისასა. შური მწუხარებაი არს მოყვასისა კეთილსა ზედა და ამისთვის მოშურნეს არასოდეს დააკლდების მწუხარებაი და ჭირი, — დიდი ბასილი კესარიელი გვასწავლის ჩვენ ამას განშვენებულად. ძაღლნი გამოზრდითა დასწყნარდებიან, ლომნი მოშინაურდებიან, ხოლო მოშურნენი მოყვასის კეთილთაგან განძვინდებიან და გაცოფდებიან. შური სახესაც საცნაურად უმახინჯებს ადამიანს. თვალი მეშურნისა ხმელია და უნათლო, ღაწვნი დაჭმუჭვნილ და დამდნარ, წარბნი ჩამოშვებულ და ჩამომტყდარ, სული მუდამ შემღვრეულ, მსჯავრი მისი ყალბია და არა ჭეშმარიტ. საქმე მისი არს უსათნოო, სიტყვა უმადლო და უპატიოსნო. როგორც ყორანნი მშვენიერებას და სურნელებას გვერდს აუქცევენ და სიმყრალეს მიეწაფებიან, ან ბუზნი საღსა და სურნელოვანს გაექცევიან და დამპალისა და წუთხის მიმართ მიექცევიან — ასევე მოშურნენი ქველსა და სათნო საქმეებს თვალით არ მიჰხედვენ და მხოლოდ ხენეშთა ნაკლთა და უამურთა დაესწრაფვიან. ვაი მეშურნეთა, რამეთუ ორითავე ცხოვრებით ტანჯულ არიან შურიანითა გულითა თვისითა!

და ნუ ინერწყვებით შურითა ერთმანეთზედა, ქართველნო! ისწავლეთ და იწამეთ ეს, ქართველებო, გეაჯებით, საქართველო ნუ მოგიკვდებათ!

ნურც მუცლის მონა შეიქნებით, თვისტომნო და თვითრჯულნო ჩემნო! ნუ გაასუქებთ ხორცსა თქვენსა, რამეთუ თქმულ არს — „ყოველივე ხორცი თივაი არს და ყოველივე დიდებაი კაცისაი—ვითარცა ყვავილი თივისაი; განხმის თივაი იგი და ყვავილი დასცვივის". და ისწავლეთ მადლი მარხვისა. სიმაძღრე სარგებელსა ოდენ მუცელს ანიჭებს, ხოლო მარხვა სულსა განასპეტაკებს და განაბრწყინებს. და განიბანე სული შენი ცოდვათაგან და იცხე თავსა შენსა საცხებელი სიწმიდისაი. მარხვა წარმოშობს წინასწარმეტყველთა, იგი განამხნობს ძლიერთა, იგი განაბრძნობს სჯულმდებელთა. მარხვა არს მცველი კეთილი სულისა და ზღუდე ხორცისა, უცთომელი და მტკიცე საშურველი მხედართა და გამომცდელი მოღვაწეთა. მარხვა წინამძღვარია განსვენების, დედაა სიმრთელისა, მასწავლებელია ჭაბუკთა, სამკაულია მოხუცებულთა, კეთილი თანამავალია მოგ-

ზაურთა, უცთომელი თანამკვიდრია მკვიდრთა. ვინ დააგლახა სახლი თვისი მარხვითა? აბა, აღრიცხე საუნჯენი შენი ჯერ მარხვამდე და შემდგომად მარხვისა, ვითარმედ მარხვისაგან არარაი მოაკლდეს სახლსა შენსა. მარხვისაგან არა პირუტყვი არ ჰგოდებს სიკვდილს, არა სახლი არ დაიქცევის, არც ბრძანება სჩანს მძლავრი მუცლისგან გამომავალი, და მზარეულთა მახვილებიც დამცხრალ არიან. მშვენიერია ფერი მმარხველისა, — არა გაწვიოებულ ურცხვინოდ, არამედ შემკობილი სიყვითლითა შვენიერითა და წმიდითა, თვალნი დაშნად უპყრია მმარხველს, სვლა მისი არის დაწუნარებული, სახე ხატი აქვს გონიერებისა და არა უხეირო სიცილით შეგინებული, საზომიც იცის სიტყვისა და სიწმიდეც ახლავს გულისა. ნუ იგლოვ ნაკლულოვანებას მუცლისას, არამედ იხარებდე სულითა ამაღლებულითა და განსპეტაკებულითა. და შეიწყნარეთ მარხვა: გლახაკნო — თანამკვიდრი და მეპურისმტე თქვენი; მონებო — განმსვენებელი თქვენი შრომის ტვირთისგან; მდიდარნო — მკურნალი თქვენი სიმაძღრისგან და მხსნელი სიმაძღრის შეურაცყოფისგან; უძლურნო — დედაი სიმრთელისა თქვენი; ჯანმრთელნო — მცველი სიმრთელისა თქვენი.

ისწავლე და იწამე ეს ქართველო კაცო, საქართველოს გაფიცებ შენ!

და, კიღამ დამავიწყდა — მარხულე არა მხოლოდ უზომო საშმელთაგან, არამედ აგრეთვე ვერცხლისმოყვარეობისა, ანგარებისა და ყოველივე უკეთურებისაგან.

მერე, მთვრალობისთვის რად იყენებ კეთილშობილი ვენახისგან გამომავალსა? ღვინომან რად მოგატყუა სულის ზღვევითა, ღვინომან, რომელიც ღმერთს მოუცემია სულის საწმენდად და სასპეტაკოდ? სულის სიხარული მთვრალობაში რად გარდასახე? მთვრალობაი ნებსითი ეშმაკეულობა არს, კაცთაგან ნებსით მოპოვნებული ეშმაკი, ნებსით სულსა შეყვანილი და ნებსით სულისა დამარღვეველი. მთვრალობა უკეთურების დედაი არს, სათნოებისა უარმყოფელი: მთვრალობა აბოვანსა აპატარავებს, პატიოსანს ურცხვინო ჰყოფს, წმიდასა ბილწ ჰყოფს, მართალსა უმართლოდ ჰყოფს; და ვითარცა წყალი ცეცხლსა, მთვრალობაი სიბრძნესა დაშრეტს. სიმთვრალეს მოჰყავს ძილი, ძმაი სიკვდილისა და მას უკან მღვიძარება, აე სიზმარსა მიმსგავსებული. დაეხსენ-მეთქი მთვრალობასა, სი-

ჭაბუკის და სივაჟკაცის მომაკვდინებელსა, გონების დამანგრეველსა და დამაქცეველსა, სულის გამხრწნელსა და გამნიავებელსა.

იწამე ეს, საქართველოს გაფიცებ შენ!

მერე — ნუ იქნები ანგარი და მომხვეჭელი, ნუ გნებავს ყოველივე დაიმარხო მუცლისათვის შენისა. რად დაგიმწყვდევია და დაგიკეტია, ანგარო, მოქლონითა და ბეჭედთა ქვეშე ქონება ულეველი და დაგიკარგავს ძილი და განუწყვეტლივ გაშფოთებს შიში, გაშფოთებს ურვა, გაშფოთებს კითხვა — „რაი ვყო?" იცოდე, უკეთუ ხარ მდიდარ ოქროითა დამარხულითა, ჰეშმარიტებით გლახაკ ხარ და ნაკლულევან ყოვლისა კეთილისაგან: გლახაკ — სიყვარულისაგან, გლახაკ — კაცთმოყვარეობისაგან, გლახაკ — სარწმუნოებისაგან, გლახაკ — სასოებისაგან. პური ეგე, რომელიც შენ ამაოდ შეგინახავს, მშიერისა არს და არა შენი; სამოსელი ეგე, რომელიც შენ უხმარ შეგინახავს, შიშველისა არს და არა შენი; ხამლი ეგე, რომელიც შენთან უხმარად ლპების, უხამურისაი არს და არა შენი; ოქროი ეგე, რომელიც შენ უქმად დაგიფლავს, ნაკლულევანისა არს და არა შენი.

ახლავე შედი სახლსა შენსა, განახვენ კარნი დაკლიტულისა და დამარხულისა საუნჯისანი, გამოიტანე ყოველივე დაუკლებელად და მიეც: პური — მშიერსა, სამოსელი — შიშველსა, ხამლი — უხამლოსა, ოქრო — ობოლსა.

იწამე ეს, ქართველო კაცო, გაფიცებ ღმერთს და საქართველოს!

რაისად მიელტვი შენ და რაისად სულმოკლეობ, ადამიანო? განა, იმისთვის, რომ არ გყავს ცხენები, ვერცხლით აღკაზმულნი? სამაგიეროდ შენა გაქვს ძსე. რომელიც ყოველ დღე ნათლითა ბრწყინვალებითა განაბრწყინებს გზასა შენსა ცხოვრებისასა. არა გაქვს ვერცხლისა და ოქროს ბრწყინვალებანი? სამაგიეროდ შენა გაქვს მთვარე. რომლის კეთილი სინათლითა ინათლებ გზასა ღამისასა. არა ზიხარ ეტლსა ოქროცურვილსა? სამაგიეროდ, ეტლად ღეთისაგან ბოძებული გაქვს ფერხნი შენნი, საღნი და ძლიერნი. არა წევხარ სპილოს ძვლის საწოლსა? სამაგიეროდ გაქვს დედამიწა, ყოველ სპილოს ძვალზე უპატიოსნესი, უმშვენიერესი და იძინე მასზე ძილითა უზრუნველითა და უშფოთველითა. არა გაქვს სართული ოქრო-

მოლესული? სამაგიეროდ გახურავს ცაი, რიცხვით მიუთხრობელი ვარსკვლაეებით დამშვენებული. ისწავლე და ირწმუნე ეს შეგონებანი, თქმულნი ბასილი კესარიელისაგან და გარდაქმულნი ქართულს ენაზე ნეტარ ეფთვიმე მთაწმიდელისგან.

ისწავლე და იწამე ეს, გაფიცებ ქრისტეს და საქართველოს!

ნუ იქნებით უმადლონი და ნუ შეურაცჰყოფთ მდგომარეობასა თქვენსა:

მცირეს მჭონეო, ნუ ხარ მწუხარე, ვინათგან არა ხარ მდიდარი;

უაზნოვ, ნუ ხარ მწუხარე, ვინათგან არა ხარ აზნაური;

აზნაურო, ნუ ხარ მწუხარე, ვინათგან არა ხარ ერისთავი;

ერისთავო, ნუ ხარ მწუხარე, ვინათგან არა ხარ მეფე;

მეფეო, ნუ ხარ მწუხარე, ვინათგან ვერ დაგიპყრია სამყარო სრული.

იკმარეთ და იმადლეთ იგი, რაიცა გაქვთ, ღვთის წყალობითა. იყავით მადლობელი და ისწავლეთ განცდა ბედნიერებისა, რამეთუ ღმერთმა შეგქმნათ არსი არარსისაგან, მოგცათ ძალი აზრისა და სიტყვისა, შეგმადლათ ხელოვნებანი ცხოვრებისანი, მიწისაგან აღმოგიცენათ საზრდელნი, თქვენთვის აწვიმებს წვიმათა, თქვენთვის ანათებს და ათბობს მზე, თქვენთვის არიან მთანი, ველნი და ტყენი, თქვენთვის დიან მდინარენი და აღმოცენდებიან წყარონი... და კიდევ გითხრათ, ანუ ძალმიძს კი-ა კიდევ ყოვლის თქმა, რაიც ღმერთმა დამბადებელმა დაჰბადა თქვენთვის? და რაისად ხართ უმადლონი და მწუხარენი ბედითა თქვენითა?..

ნუ მიიკუთვნებ შენთვის ნურაფერს, გამორჩეულად შენი „მესათვის", რამეთუ ჩვენ, ძენი ადამისანი, თვითონ დროის კუთვნილება ვართ, მსწრაფლმჭროლი დროის რომელიღაც წერტილთა ზედა ჩამოკიდულნი და დროისვე უსასრულობაში ყოველ წამს დასანთქავად გამზადებულნი.

შენი საკუთრება კი მხოლოდ შენი ქართველობაა და იცოდე ფასი და აზრი შენი ჯიშისა, შენი სისხლისა, შენი მიწის, შენი ცისა, შენი მზისა!

ეს აზრი დაიჯიშე შენსა ჯიშზედა!

იაზრე, იაზრე, და აზრი დაიჯიშე-მეთქი, რამეთუ აზრი არს ძირის-ძირი და ჭერის-ჭერი სამყაროისა, ანუ თვითონ ღმერთი დაუსაბამო და უსასრულო.

ესეც იწამე და ისისხლე, საქართველო ნუ მოგიკვდება!

მუდამ გახსოვდეთ, რომ ხართ მცირენი, ხართ ტანჯულნი, მაგრამ ძლიერნი და ნუ დაეცემით, რამეთუ თქმულ არს: „ძლიერნი ძლიერადცა იტანჯნენ".

მაგრამ რად გინდა სიძლიერე და ტანჯვა სიძლიერისათვის, უკეთუ შენი სამშობლოს ფასი უცხო თესლმა უკეთ იცის, ვიდრე შენ თვითონ?!

ნუ გულარძნილობ, ქართველო კაცო, და მოეგე შენსა გონებასა დიდსა, ვინძლო ერთ დღეს შენსავე კერაზე და შენსავე უბეში უცხო თესლი ისე არ გაგიმრავლდეს და გაგიმძლავრდეს, საკუთარი თესლისაგანი საძებრად და სანატრად გექცეს!

ნუ სჭამთ ერთმანეთს, ქართველებო და ურთიერთშეჭმით საქართველოს ნუ აჭმევთ მტერთა!

დიდი ხარ, მაგრამ მაინც მცირე ხარ. და სიდიდე შენი აშინებს მტერსა შენსა. აშინებს, მაგრამ ახელებს კიდეც და გახელებულ მტერს ისღა დარჩენია, იმრავლოს ვითარცა ქინქლა, და ქინქლას სიმრავლე არის მისი იმედი, მისი სასოება, რამეთუ ქინქლას უთვალავს დიახაც ძალუძს ლომსაც თვალები დაუყენოს ბ ო ლ ო ს დ ა ბ ო ლ ო ს. ასეა, ვინათგან ქინქლას სიდიდე არა აქვს და ლომი ვერც დაინახავს, ვერც მოახელებს და არ იცის სად დააცხრება მის დიდ სხეულს, დააცხრება და სასიკვდილოდ დაშხამავს, უჩინარი გამოჩინებულს. ამიტომ მართებს ლომს ქინქლას დანახვაც გაიწაფოს.

ამიტომ ნუ გულარძნილობთ-მეთქი, ქართველნო! იყავით მედგრად, იყავით მღვიძარედ, იყავით ერთმანეთის თანაჭირხარულნი სიხარულსა შინა და თანამწუხარენი მწუხარებასა შინა. და იგულსმოდგინეთ-მეთქი სიმრავლისათვის სიდიდისა თქვენისა!

იწამეთ ესეც, გაფიცებთ ღმერთს და საქართველოს!

იქმენით, ვითარცა გრდემლნი, რაითა იცემებოდეთ და არა დაეცემოდეთ, არცა გვემისა და ცემისა ტკივილსა გამოაჩინებდეთ, არცა სულმოკლეობას აჩვენებდეთ მტერთა თქვენსა.

იქმენით უმაღლეს ორბთანი და უძლიერეს ლომთანი!

...დადიოდა და ასწავლიდა ათონელი მამა ყველგან და ყველას — ასწავლიდა, ზრდიდა, ძოძღვრავდა, კურნავდა (ვინათგან „მადლი აქვნდა სულთა კურნებისაი") და იყო შუამდგომელი ღმერთსა და კაცს შორის.

ასწავლიდა და ამხელდა.

მოძღვრავდა და განაჩიქებდა.

აღსარებად და სინანულად იწვევდა ყველას, დიდით მცირემდის, უბალღსიდან უდარესამდის.

და წმინდანის წინაშე „იწყეს აღსარებად და სინანულად თვით მეფემან, კათალიკოზმან, მღდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა. ესრეთ მხურვალითა სარწმუნოებითა მოისწრაფდეს, ვიდრემდის საზრდელსაცა ძალით მივიღებდით“ (დაწერს ამას შემდგომ გიო, ანუ გიორგი მცირე).

ვედრება მერვე

მაგრამ გიორგი ათონელმა უცთომელად იცოდა, რომ მარტო სიტყვიერი აღსარება და სინანულის ცრემლთა ფრქვევა ვერ დაიხსნიდა სულით გატეხილ და სხეულით დავრდომილ ერს და ქვეყანას.

სიტყვა, სიტყვის დაბადებითვე საქმედ უნდა განიეთებულიყო.

და მიადგა მეფეს გიორგი ათონელი, მიადგა და გაასსენა ყრმობის ჟამითგან აყოლილი შეგონება: „არა ვიწამო, ვიდრე თვალითა არა ვიხილო“.

და მე ვიხილე თვალითა ჩემითა და მე ვიწამე წამებითა ჩემითა. რომ ქვეყანა შენი, სამეფო და საპატრონო შენი, დაწყლულებულ არს ბოროტებითა მრავლითა, ხოლო წყლულებანი ყოველნი დასაბამს ღებულობენ სწორედ აქედან, სამეფო სახლიდან...

სამეფო სახლიდანო?! წამოვარდა ფეხზე ბაგრატ მეფე გაფიცხებული.

დაჯექ და დაიმდოვრე გულისწყრომაი შენი, რამეთუ თქმულ არს: „კაცი მრისხანე არა შუენიერ არს“, და კიდევ — „ცოფად მავალი ვერ იქმნეს ბრძენ“, — წყნარად და თბილად უთხრა გიორგიმ მეფეს, სიწყნარითვე დასვა და სახეც დაუწყნარა სახემშვენიერს.

და განაგრძო ისევ მშვიდი, მამაშვილური სიყვარულით და სინანულით წმინდანმა: აკი შენ თვითონ მთხოვეო დაუფარავად მემხილებინა ყოველივე ნაკლოვანებანი შენი ქვეყნისა და

თვითონ შენი სახლისა, და უკეთუ ესეც არ გეთქვა, მე მაინც უთქმელად არ დავდგებოდიო. და გეუბნები ახლა, შვილო ჩემო და მეფეო ჩემო, უსამართლობა სუფევს შენს სამეფოში, სრული უსამართლობა. ძლიერი მეფე ხარ შენ, მაგრამ უძლიერესია ხალხი შენი, დიდი ხარ შენ, მაგრამ უდიდესია ხალხი შენი. ბევრი დიდი ხელმწიფე ჰყოლია ქართველ ხალხს შენამდე და შენის ჩათვლით, მაგრამ მისი სიდიდის შესაფერისი ხელმწიფე ჯერ კიდევ არ დაჰბადებია მას. ნუ მიწყენ ამას შვილო ჩემო, თავისუფალი აზრისა და სულის ხალხია ქართველი ხალხი, თავისუფალი და თავისუფლებით ამპარტავანი. და მზამზარეულად არავის უჩუქებია მისთვის სული იგი თავისუფალი. ათასეულ წლობით დაქცეული სისხლის ფასად დაინარჩუნა და დაიჭირა იგი ამ ხალხმა. და სჭირს ახლა ამნაირი ხალხის მოვლა, მასზე მეფობა, მასზე პატრონობა, ვინათგან ყოველ თავისუფალს — სიტყვასაც დაუკვირდი: თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ს-მეთქი, უ ფ ა ლ ს თ ა ვ ი ს ა ს — სწორედ „თავისი უფლებით" უნდა გაატაროს თავისი კუთვნილი, ღვთისგან ბოძებული ერთადერთი წუთისოფელი ამ ქვეყანაზე. ამიტომ სჭირს ასეთ ხალხში საყოველთაოდ ერთიანი წესრიგისა და სამართლის დამყარება. მორჩური ბუნების ხალხთან ადვილია ეს, თავისუფლების მქონე ჯიშთან კი — ძალიან ძნელი. და ყველაზე უფრო ძნელი და შეუძლებელიც მაშინ არის, როდესაც ასეთი თავისუფალი სულის ადამიანები ჰხედავენ, რომ მათ სამეფოში ყველაზე უსამართლო არის „ყველას უფალი", ანუ მეფე, ანუ ხელმწიფე, ანუ პატრონი, ანუ... შენ! ნუ, პასუხისთვის ნუ აჩქარდები, ჯერ ბოლომდე მოშიშმინე და მომითმინე, შვილო ჩემო! და ამ-ნ, გეტყვი შენ — დაუყოვნებლივ უნდა აღილესოს მახვილი მბილვებისა და მახვილი იგი პირველი უნდა ეკვეთოს წულულსა შენგან აღმონაცენსა. დიდი და ბრძენი დავით წინასწარმეტყველი ობლისა და ქვრივისაკენ მისდრეკდა მუდამ სამართლის სასწორს, მდაბალს და გლახაკს გაამართლებდა და დიდკაცს მდაბალთან დაამდაბლებდა. ხოლო შენი სამართალი და შენი მსჯავრი ქვრივობოლთა და მდაბიოთა მიმართ ყოვლად უსამართლო და უსათნოო არს, მეფეო ჩემო. ასე რომ შენ უფრო დიდკაცობის მეფედ გამოსჩანხარ, ვიდრე ხალხის მეფედ და პატრონად. მეორე — ვინღა არ იცის, რომ ქვეყნის პატრონობა ურთიერთგა-

დაჭდობილ ორ ხელს უჭირავს — მეფის სასახლეს და ეკლესიას. ხოლო, მე ვიხილე და ვისმინე ყოველი საეკლესიო მწყემსი შენი სამეფოს ყოველ ეპარქიაში, ყოველ ლავრაში, და მრავალი მათგანი არის უმეცარი საღვთო სჯულისა, უსწავლელი საეკლესიო კანონებისა, და რაი უნდა იყოს უფრო დიდი ბოროტება, ვიდრე ადამიანთა ბედი მიანდო უვიცსა, უბირსა, უგუნურსა და უსათნოოსა კაცსა?! მერე, როგორ მოხდა ეს, ვინ გაბედა უგუნურთა, უღირსთა და უსათნოოთა აღზევება შენს საპატრონო ქვეყანაში? და ვაი, რომ შენ თვითონ, ჩემო შვილო და ჩემო გაზრდილო!.. ხელს ნუ შემიშლი-მეთქი!.. და რისთვის ჩაგიდენია ასეთი ცოდვა? ჩაგიდენია ანგარებისთვის!.. სიტყვის ნებას არ გაძლევ-მეთქი!.. თურმე შენ ჰყიდი სახელოებს, ხარისხებს და თანამდებობებს. ასე გაგიყიდნია და მიგიყიდნია ეპისკოპოსობა მრავალ უვიცთა,უღირსთა და უგვანოთათვის. ვაი სირცხვილო!.. ჩუმად, დაივიწყე, რომ სიტყვის უნარს ფლობ და იყავ პირმაგრად!.. შენ სახელოებს და სახარისხოებს ანაწილებ არა ნიჭსა და სათნოებაზე, არამედ სიმდიდრეზე და უვიცობაზე. რა უნდა იყოს ამაზე დიდი უსამართლობა და ცოდვიანობა? უფრო მეტსაც გეტყვი მე შენ: არამცთუ სიმდიდრისთვის, გვაროვნებისთვისაც არ უნდა მიენიჭებოდეს თანამდებობა ერისა თუ ბერისა ადამიანს. არამედ მაინც და მაინც ნიჭი, განსწავლულობა, სათნოება და პატიოსნება უნდა განადიდებდეს ადამიანს და სხვა არაფერი. „უბიწოსა ეძიებს კათოლიკე ეკლესიაო“, სწერია ნიკეის საეკლესიო კრების კანონებში. შენ კი ბიწიერ ავაზაკთა ქვაბში ჩაგიგდია კეთილშობილი სამრევლო შენი. ესეც ნათქვამია: „ვერ მისცემს სხვას კურთხევას იგი, ვისაც საკუთარი წყლულები აქვს მოსარჩენიო“, ხოლო შენ ბოროტების წყლულთაგან შეჭმულ ცოდვილებს აკურთხებინებ ქვეყანას შენსას. და არიან ქართული ეკლესიის მესვეურნი, რომელთაც ნათლიღების შემდეგ ორჯერ და სამჯერ უქორწინებიათ, და არიან მათ შორის, რომელთაც მეძავნი უვისთ, არიან, რომელთაც მონაზონი ქალიც შეურთავთ; არიან, რომელნიც მევახშეობას და მომხვეჭელობას შესდგომიან; არიან, რომელნიც მარხვის ჟამს სახსნილოს და მემთვრალეობას შესდგომიან და ხორციელი პატივით სულიერი პატივი დაუთრგუნავთ. ქართულ ეკლესიაში კურთხევის გამო ქრთამი, საფასე და ძღვენი შემოპარულა და უსყიდელი მადლი სა-

ვაჭროდ და საფერეზიკოდ გადაქცეულა. ქრთამზე გამხეცებული სამღვდელონი ქრთამად მოტანილ საჩუქარს ევლოგიად იხსენიებენ, ეს კი უარესი ბოროტებაა, უკეთუ კიბრ ბოროტებას სიკეთედ ასაღებს, იგი ორმაგი ტანჯვის ღირსია, ვინათგან აკი ბოროტმოქმედი იგი ბოროტებას სიკეთის საფარველქვეშ განასრულებს. მაშ, ქართული ეკლესია ვერცხლის საფარდულედ გადაქცეულა. ზოგი სამღვდელო ასე თაღლითობს — ქრთამს კურთხევის დროს არ ღებულობს, არამედ შემდგომ კურთხევისა და ვითომ ცოდვასაც არა შვრებიან. მაგრამ განა სულ ერთი არა არს? ქრთამი ქრთამია, გინდა აქრე მიგიღია და გინდა გვიან. ქარ:ულ ეკლესიაში სრულიად დაეწყებულია ეს შეგონება: „ვერცხლისმოყვარება ძირი არს ყოველთა ბოროტთა". ქართულ ეკლესიაში ბიძა-ძმისწულობაც გაბატონებულა და ღვთის სახლი იგი ნათესავთა საჭმეკვიდრეოდ გადაქცეულა. ქალ-მონაზონთაც თავი აუშვიათ ფრიად და, ოდენ ძაძით მოსილნი, თავუპარსველად დადიან საერო ქალთა და კაცთა შორის. ესეც შევიტყვე, მემთვრალეობასთან ერთად, ბევრი სამღვდელო და მოწესე კოპის თამაშსა, ჭიმბაზობასა, როკვა-სიმღერასა და სხვათა სარეცლის შებილწვასაც არ ერიდება. მათ ან არ უსწავლიათ, ან დავიწყნიათ რაი თქვა პავლე მოციქულმა: „განვიშორნეთ საქმენი ბნელისანი და შევიმოსოთ საჭურველი ნათლისა და ვითარცა დღესა წინა, შევნიერად ვიდოდით, ნუ სიმღერითა და მთვრალობითა, ნუ საწოლისა ბილწებისათა". ბევრი სამღვდელო დაქვრივებული ნათლიდედის ცოლად შერთვასაც არ ერიდება. ზოგ მოწესეს აბანოში ქალთან ერთად სიარულიც არ ეჩოთირება. მაღალი სამღვდელონი, უღირსად ამაღლებულნი, თავგამოდებით ქრებენ ოქრო-ვერცხლს, ნაწილთა აუნჯებენ თავისთვის, კერძოისად, ნაწილით ამკობენ და ფარისეველური ბრწყინვალებით განაბრწყინვებენ ეკლესიებს, და იქვე მონასტრებში აღაპს იდებენ, ხოლო ფიქრადაც არვის მოაფიქრდება ზრუნვა გაჭირვებაში ჩავარდნილი მოყვასისათვის. არავის ესმის ხმაი შიმშილით დავრდომილისა, ქვეყნისთვის სისხლდაქცეული ხეიბარისა, უქონელისა, უპოვარისა, საპყარისა, სნებით ტანგანრღეულისა, ქვრივოხრისა და ობლობით ატირებულისა.

და იმასაც მოუთხრობდა გიორგი ათონელი ბაგრატ მეფეს, როგორ შედიოდა ეკლესიებში თვითონ, ხალხის სიბეჩავით

და სამღვდელოთა ანგარებით გულადუღებული, როგორ ჰგლეჯდა სამკაულთ ეკლესიის კედლებიდან, როგორ სხსნიდა დაუნჯებული ოქრო-ვერცხლით სავსე საეკლესიო სალაროებს, გარეთ გამოჰქონდა არმად ნაგროვი განძეულნი კალთა-კალთად და, ვითარცა ხელგაწაფული მოესველი ახლად გადახნულ თერძეულზე, პეშვა-პეშვად მიმოაპნევდა გაოცებით და აღტაცებით აბღავლებული ხალხის თავზე.

ძანაშდეც მოსცლოდა მეფეს ამბავი, როგორ სთესავდა ხალხში ეკლესია-მონასტრებიდან გამოტანილ საგანძურებს ათონელი მოძღვარი, როგორ აპურებდა დამშეულთა და დავრდომილთა და თან ამას ეუბნებოდა შეცბუნებულ და ცოფით ავსებულ ცრუ ღვთისმსახურთა: სად წაგიკითხავთ, უფალსა ჩვენსას, იესოს სალოცავ სახლთა ოქრო-ვერცხლით შემკობა და აღაპისათვის განძთა დაუნჯება ექადაგნოს და ამის მომიზეზებით ხალხი შიმშილით ამოეწყვიტოს? არამთუ ეკლესიების შემკობა არ უბრძანებია მაცხოვარს ჩვენსას, არამედ — „შიოდა და არა მეცით მე ჭამადი", ვითარცა იტყვის იოანე ოქროპირი. ეკლესიაც რა იყო იესო ქრისტესთვის, თვინიერ ხალხისა, თვითონ ცხოველი ტაძრისა?!

მეფე ტახტზე დაზაფრული იჯდა და ისე ისმენდა ათონელის რისხვეულ ბრალეულებას, ვითარცა ჰეროდე იოანე ნათლისმცემლისგან.

ბოლოს, როცა გიორგიმ სიტყვა მოითავა, ბაგრატმა თვალები ხელებთან ერთად ზეცისაკენ აღაპყრო და სთქვა გულამოხეთქილით:

— ღმერთო, არა არს კაცი, რომელმან არა გცოდოს შენ!

— ჰო, და კიდევ: მრავალსა ვცოდავთ ყოველნი, მაგრამ ეგ არ არის ნუგეში ახლა. შენ ის სთქვი, რას აპირებ?

— მარტო მე არ ვარ ცოდვილ, ჩრდილი და ბნელი ლაჭა სამყაროს ხატზე. ეტყობა, ჩრდილებსაც ღმერთი განალაგებს და ანაწილებს დედამიწაზე, — თავისას იძახდა მეფე.

— მე საქმეს გეუბნები და საქმეს ნუ გაურბიხარ-მეთქი!

მკაცრი იყო გიორგის ეს სიტყვა, ფრიად მკაცრი, უქცეველი და უწბილებელი.

— მაშინ, გამოიყვანე საპყრობილით სული ჩემი, ნათელფენილო, და მითხარ, რაი ვქნა მე? — უმწეოდ გაასავსავა მეფემ ხელები.

— რაიც უმაღლეს სახელოთა და ხარისხთათვის სასყიდლად აგიღია და დაგიუნჯებია, ყოველივე გამოიტანე და, ვითარცა მეფემან მწყალობელმან, შენის ხელითვე ხალხს დაურიგე, მიეც და მიუბედნიერე. ხოლო, ამის შემდეგ, ისევ ბრძანებითა შენითა აღიხოცოს ყოველი უღირსი, სასყიდლით, სიმდიდრით და გვარიშვილობით აღზევებული მესვეური საერო თუ საეკლესიო საჭეთმპყრობელობაში და მათ ადგილებზე ააღზევე ნიჭიერნი, მცოდნენი, განსწავლულნი, სათნონი, განურჩევლად მათი წოდებრიობისა და გვარიშვილობისა, — დაასრულა და დაბეჭდა გიორგიმ.

ნასატურივით გაშტერებული ისმენდა ბაგრატ მეფე. ბოლოს, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო, ძლივსღა თქვა:

— კარგი, ვთქვათ და მე დავურიგე ხალხს ყოველივე ქონება ჩემი. ეს უფრო იოლად გაკეთდება კიდეც. მაგრამ ძნელი იქნება, და ძნელზე ძნელიც, თანამდებობა წაართვა ამდენ გადიდკაცებულს, ერისას თუ ეკლესიისას. და ბოლოს, ძნელი კი არა, უცნაური და შეუძლებელი გამოსჩანს, აქამდე გაუგონარი წესით, აღზევება მდაბიოთა და უგვაროთა, რაგინდ ნიჭიერი, ქველი, განსწავლული და სათნოც არ უნდა იყვნენ ისინი.

— რაისად ჰკვირობ, შვილო ჩემო, და რაისად უარჰყოფ? განა, იოსები, მამამთავარი ჰაბირუელთა, მონაი არ იყო? ანუ, დავით და ამოს, მწყემსები არა იყვნენ, ერთი რომ დიდი ხელმწიფე გახდა და მეორე — წინასწარმეტყველი? ანუ ქრისტეს მოწაფეები მდაბიო მესათხევლენი არ იყვნენ? და კიდევ რამდენი ჩამოგითვალო, თუნდაც ბიზანტიის კეისართაგან რომელი ყოფილან გვარდიდნი და კეთილშობილი სისხლისანი, თვინიერ მეღორისა, მეჯოგისა, მენავისა, მიწის მთერძველისა, მიკიტნის ნაშიერისა, თუ ფეხის მფხანელისა?

გაჩერდა გიორგი, გაჩერდა და დაელოდა პასუხს.

მეფე კი ისევ სდუმდა, გაბტკნარებული და გასულფერებული. და აგერ როდის, ამოიღო ხმა:

— მაინც, როგორ შევძლებთ ამას?

— სიყვარულითა და შიშითა, — უთხრა გიორგიმ.

— ?!

— სიყვარულითა ხალხისა და შიშითა უღირსად აღზევებულთა, — განმარტა ათორყლმა და უმალვე ესეც დაუმატა:

— ესეც აქვს ნათქვამი პავლე მოციქულს: „უკეთუ ბოროტსა იქმოდენ, ეშინოდეთ, რამეთუ არა ცუდად აბიათ ხმალი მეფეთა“.

— ჰო, ხმალი და შიში, — თითქოს რაღაც გაახსენდა მეფეს და ისევ ჩაუყვა ფიქრს.

— დასაქცევი დაიქცეს შიშითა და ხმლითა, ასაშენებელი აშენდეს სიყვარულითა და მეცნიერებითა, — გამოარკვია იგი გიორგის ხმამ.

— ვნახოთ, რას იტყვის კათალიკოსი, — თქვა უცებ მეფემ.

— მელქისედეკს უკვე ვუთხარი მე ყოველივე, — ისევ სწრაფად მიურთო გიორგიმ.

— მერე?

— იმანაც ეგ თქვა — ვნახოთ, რას იტყვის მეფეო.

ბაგრატს გაეცინა და თქვა:

— არა ვიწამო, ვიდრე თვალითა არა ვიხილო.

— მაშინ, აწვიე მელქისედეკ კათალიკოსი, აწვიე, იხილე, ისმინე და იწამე.

და აწვია მეფემ კათალიკოსი.

და შეიყარა სამეული დიადი.

და შეუდგნენ საქმესა სადიადოსა.

შეუდგნენ, მაგრამ...

მაგრამ თურმე ძველი საქართველოს დანგრევას და ახალი საქართველოს აშენებას მოასწავებდა ყოველივე, რაის შესრულებაც გიორგი ათონელს ბაგრატ მეფისგან მოუთხოვია!

ხოლო ასეთი „ნგრევა-აშენების“ ჟამს განა სათუო არ ბდება ერთი რომელიმე მეფის მეფობა?!

და როცა მეფისთვის მეფობა ძველი წესწყობილებით სიკვდილამდე სრულიად უზრუნველყოფილია, ჰღირს კი, მან ძველის ნგრევით და ახლის შენებით თავისი მეფობაც და არსებობაც ყოფნა-არყოფნის სასწორზე შეაგდოს?!

ასეთია ფიქრი ისეთი მეფისა, როგორიც იყო მეფე ბაგრატ მეოთხე.

ძეფე დიდი, მაგრამ არა უდიდესი...

საქმე თითქოს მაინც ვიდოდა წინ. თითქოს.

მეფემ ყოველი ნივთი და ლარი, რაიც უმაღლეს სახელოთა გაყიდვით შემოენივთებინა და სალაროდ დაეუნჯებინა, საჭურჭლეთაგან გამოიტანა და ხალხს დაურიგა, — უქონელთა,

უპოვართა, დავრდომილთა და ქვრივ-ობოლთა მისცა და მიუბედნიერა.

ჯერჯერობით ეს იყო და ეს.

ჯერჯერობით!

დანარჩენი კი... ხვალემ იცოდეს ხვალისაო.

ხვალე! დიდებული დამხსნელი სიტყვა ყოველი მიუღწეველი და განუხორციელებელი განაზრახისგან...

ვედრება მეცხრე

გიორგი ათონელი კი კვლავ განაგრძობდა საქართველოში მი-და-მო-სვლას. ისევ შედიოდა ეკლესიებში და, სადაც მოახელებდა, ისევ გამოჰქონდა ფარისევლური სამკაულნი ოქრო-ვერცხლისა, საალაპედ ნაუნჯარი საუნჯენი, ეელოგიად ნაყალბარი საჩუქარნი, და ურიგებდა ხალხსა უქონელსა, უპოვარსა, და ტანგანრღვეულსა.

დადიოდა და ისევ — „მონაზონთა და მოწესეთა და ყოველსა ერსა შესატყვისი სწავლით განანათლებდა. უსწავლელთა ასწავლიდა, ხოლო სწავლულთა ნასწავლსა მათსა აღუხსენებდა და განუმტკიცებდა, მდიდრებს გლახაკთა წყალობას ასწავლიდა, ხოლო გლახაკთა — მოთმინებას და ქველთა საქმისთვის გარჯილობას, დაცემულთ აჰღმართებდა, ხოლო დაცემადთა განამტკიცებდა, მონყულულთა ისრითა უხილავთა მტერთაითა განჰკურნებდა, ხოლო მოწყლვადთა მათ მოწყლვისაგან უვნებლად დაიცვიდა, დანთქმულთა ღელვათა შინა ვნებათასა აღმოიყვანებდა, ხოლო დანთქმადთა დანთქმად არა უტევებდა, არამედ, ვითარცა ხელოვანი მენავეთმოძღვარი, ზღვისაგან ამის სოფლისა დაუთქმელად განარინებდა“.

და აჰა, ესერა, კვლავ უდიდესი საქმე, ღვთაებრივი მადლით მოსილი, რაიც იტვირთა ცაცარმა კაცმა ზესთასოფლურმა: ესე არს შეკრება ბავშვთა ობოლთა.

ხოლო, კრებდა ბავშვებს რაის მიზეზითა?

მიზეზითა სამითა:

ჯერ ერთი — მის გულმოწყალე ბუნებას სწყუროდა თავგამოდება უდედმამობით გულდალახერული ობლებისათვის: მთელი წუთისოფელი გულს უკლავდა გიორგის ყრმობისას გაგონილი ობლის სიმღერა.

სიკვდილმა ჩამოიარა,
ობოლი დახვდა წინაო, —
სიკვდილო, მე წამიყვანე,
ობლობა მომეწყინაო.

და მთელი წუთისოფელი მისი ოცნება იყო ზრუნვა ობოლთათვის — ზრუნვა პურით და ზრუნვა სულით.

მეორეც — ეს უდედმამო ბავშვები ქართველ სწავლულთა საკრებულოდ უნდა ექცია გიორგი ათონელს, და მთავარიც სწორედ ეს იყო. უკვე დამწყისებულ და ჰასაკმორეულ ადამიანებს უჭირთო სწავლა წიგნისა და ენისა უცხო თესლისა, ხოლო ბავშვობის ბუნება, გრძნობიერი, ლბილი და ჩვილი, ვითარცა ცვილი საბეჭდავსა, ეგრეთ მიიღებს და აღიბეჭდავს სწავლულებასო, ფიქრობდა გიორგი.

მესამეც — ათონის მთის ქართველთა სათვისტომოს გამძლავრება ჰქონდა გიორგის გულს ამოკრილი. ათონი შორს იყო საქართველოდან და განსწავლული ქართველი ძვირძვირაობით თუ გამოჩნდებოდა ათონზე, და ვინც მოვიდოდა, უმრავლესნი ჟამს დაყოფდნენ და ისევ ტოვებდნენ მთასა წმიდასა. ტოვებდნენ და ცარიელდებოდა ივერონის ბრწყინვალე ლავრა და კნინდებოდა სათვისტომო ქართული. ამიტომ, შეკრებილ ობოლთა უმრავლესობა მაინც სწორედ ათონის ქართულ სავანეთა გასამძლავრებლად უნდა გამოეზარდა გიორგის.

სულ 80 უდედმამო ბავშვის შეკრება და საბერძნეთს წაყვანა გადაეწყვიტა ათონელ წმინდანს.

ეძებდა და კრებდა თვითონ.

ეხმარებოდა ერთგული გიო.

მოჰყავდათ სხვებსაც — ობოლთა ნათესავებს, ახლობელთა და შორიელთა.

და კრიბებოდნენ ობოლნი, ვითარცა ცხოვარნი წინაშე მწყემსისა კეთილისა.

და ალაგებდა გიორგი ათონელი სასწავლოდ და სამოძღვროდ ობლების მწყობრთა და მწყობრთა, ჰასაკეულთა და ჰასაკეულთა.

ოცეული პირველი — ჩვილნი ხუთ წლამდე, რომელთაც დედის ძუძუ ჯერაც არ დავიწყნოდათ.

ოცეული მეორე — უსუარნი და ნინველნი ხუთიდან თორ-

მეტ წლამდე, რომელთაც მამაკაცობის თმა ჯერ არ ამოსვლოდათ.

ოცეული მესამე — ნინველნი და ყრმანი თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე, რომელთაც მამაკაცობის თმა ამოსვლოდათ.

ოცეული მეოთხე — თექვსმეტი წლიდან ოც წლამდე, რომლებიც მამაკაცობის თმასთან ერთად უკვე იყვნენ წვერულვაშდაწამებულნი.

ხოლო, სახელნი მათი...

— რა გქვია შენ, ყრმაო კეთილო?

— ეფრემი.

— შენ?

— იოანე.

— შენ?

— არსენი.

ხოლო, კიდევ, სხვანი სამოცდაჩვიდმეტი: ბიძინა, გვარამ, ვეფხია, მანუჩარ, ქაიხოსრო, აბდია, დავით, გიორგი, აბესალომ, დაჩი, გივი, იულონ, პაპუნა, კონსტანტინე, ოთარ, რაჟდენ, გოჩა, შალვა, ანდრია, ჯურხა, ძებისა, ბაქარ, ზაქარია, იესე, თომა, აბო, ბაკურ, მეთოდე, სვიმონ, უჩა, გაიოზ, ლომიკა, ზაზა, ღვთისია, ქრისტესია, პაპილა, სოლომონ, მიქაელ, არჩილ, ჯაბა, გორდა, ფოცხვერა, ფარსმან, თანინა, ნოდარ, დიმიტრი, აკაკი, ვახტანგ, გაბრიელ, ელგუჯა, შიო, ირაკლი, ჯიბო, ზეზვა, ჯუანშერ, აბელ, ალექსანდრე, ლევან, იოსებ, ლუკა, პეტრე, ილია, თალალე, საველე, როინ, მათე, ანანია, მგელიკა, ალათგან, უფლისა, საბა, მამია, ბაგრატ, ონისე, ლუარსაბ, პავლე, თორნიკე.

სულ იყო ოთხმოცი.

ოთხმოცდამეერთე აღარ უნდოდა გიორგის, რადგან ე შ ი ნ ო დ ა ო თ ხ მ ო ც დ ა მ ე ე რ თ ი ს ა.

ოთხმოცდამეორისა და შემოდგომისა კი აღარ ეშინოდა, მაგრამ ოთხმოცდამეერთეს თვლაში ხომ ვერ გამოტოვებდა! არადა, ეშინოდა ოთხმოცდაერთის.

დიახ, ეშინოდა.

ეშინოდა ყოვლის უშიშარს.

რატომ? თვითონაც არ იცოდა.

არ იცოდა ყოვლისმცოდნემ და ყოვლისმეცნავმა.

რაღაც ქვეცნობიერი გერში კარნახობდა, რომ ოთხმოცდა-მეერთე აღარ უნდა აეყვანა.

(ხოლო, გერშთან შედარებით გონება აკი ჩლუნგია).

ამიტომ აღარ ეძიებდა ოთხმოცდამეერთეს.

თვითონ აღარ ეძიებდა, მაგრამ იმის შიში კი ჰქონდა, ვინმეს არ მოეყვანა, ვინმეს არ ჩამოესვა მისი კარვის თეჯირის შიგნით.

არავინაც არ მოიყვანა, არავინაც არ ჩამოუსვა, არამედ...

თ ვ ი თ ო ნ მ ო ვ ი დ ა.

თეთრი, ოქროსფერთმიანი ბიჭი იყო.

ქერუბიმს ჰგავდა და ხელში თეთრი კუმკუმა ეჭირა, აი ისეთი, გიორგიმ რომ ელეონის მთაზე იხილა სიზმრად, ანამაისას ხელში.

გაშრა გიორგი.

პირი სულ გაუხმა, კეცივით.

ეს წყურვილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა მას წყურვილისთვის აღარ ეცალა, რადგან გულისყური მისი სისხლს წაეღო სავსებით, სისხლს, რომელიც უცივდებოდა, თუ უთხელდებოდა, თუ სულაც უშრებოდა.

— აჰა, დალიე! — უთხრა უცებ ბიჭმა უცნაური, ზენაარი ხმით და გაუწოდა კუმკუმა გიორგის.

გამოერკვა ათონელი, გამოერკვა და გაახსენდა, რომ მართლაც საშინლად სწყურებოდა და გამოართვა კუმკუმა ბიჭს, გამოართვა კი არა, გამოჰგლიჯა და უმალვე დაეწაფა ტუჩით სატუჩურს.

გაჰკვირდა გიორგი და წამსვე გაკვირვება უსაზღვრო ნეტარებამ გადალეკა: იგი ეაზის ნამტირალევს და ნაცრემლარს სვამდა.

სულმოუთქმელად გამოსცალა კუმკუმა, და...

— რა გქვია შენ, კეთილო ყრმაო?

— კახაი.

— კახაი?! — და გაოგნებულმა გიორგიმ საფეთქელზე მოისვა ხელი.

(აკი მისი საფეთქელიც ასე წაიკითხვოდა — „კახ").

— ჰო, კახაი, კახაი... კარგი სახელი გრქმევია — კახაი, — ამბობდა გიორგი და ცდილობდა, როგორმე დამშვიდებულიყო.

— იქნებ კარგია, მაგრამ მე მირჩევნოდა მზეჭაბუკი მრქმეოდა, — სთქვა ბიჭმა თითქოს სინანულით.

— ჰო, მზეჭაბუკიც კარგია, თუმცა კახაი კარგია... ორივე კარგია, ორივე..., — ვერ მშვიდდებოდა გიორგი.

ბიჭმა გაიცინა.

თითქოს მზის სხივებმა დაიწკარუნეს.

— რისთვის მოხველი შენ ჩემთან? — ჰკითხა გიორგიმ, მას შემდეგ, რაც თავს გაუწყრა და ოდნავ დამშვიდდა.

— ვიცოდი გწყუროდა, — უპასუხა ბიჭმა.

— საიდან იცოდი?

— თეთრმა ქალმა მითხრა მე ეს.

— რომელმა ქალმა?

— სახელი არ ვიცი, — სანანულით თქვა კახაიმ.

— სად ნახე შენ ის?

— სიზმარში.

— და იმან გამოგგზავნა შენ ჩემთან?

— ჰო.

— და მხოლოდ ამისთვის მოხველ შენ ჩემთან?

— არა.

— მაშ, კიდევ რისთვის?

— მე შენთან მინდა წამოვიდე.

— სად?

— სადაც წახვალ, იქ.

— მერე, შენ იცი, მე სად მივდივარ?

— ვიცი, მთაწმიდას, ობლებთან ერთად. აკი მეც ობოლი ვარ!

— მერე, შენ იცი, მერამდენე ხარ?

— ვიცი.

— სთქვი!

— ოთხმოცდამეერთე.

გიორგიმ ისევ იგრძნო სისხლის გაცივება (თუ გათხელება, თუ გაშრობა).

— რამდენი წლის ხარ შენ? — ჰკითხა გიორგიმ (ოღონდ კი რამე ეკითხა).

— ცხრა მაისს გავხდები ხუთი წლისა.

— კარგია, რომ მაისს ყოფილხარ დაბადებული, თვესა ულამაზესსა.

— არ ვარგა მაისს დაბადება.

— ?!

— მაისი ოდენ თავისი სილამაზის მოტრფიალეა, ოდენ თავის სილამაზეზე მზრუნველი, ხოლო მის წიაღში დაბადებულნი არც უყვარს და არც ენაღვლება. თვითონ ხარობს და სხვას არ ახარებს. ამიტომ არის, რომ მაისში დაბადებულნი მალე კვდებიან.

„ანამაისა!“ — გაუელვა გიორგის და უმალვე ბიჭს მიუბრუნდა:

— ეგ შენ ვინ გითხრა?

— დედამ მითხრა. სანამ ცოცხალი იყო, დედამ.

— დედა გახსოვს?

— მახსოვს. მამა არ მახსოვს.

— მახსოვრობა რაით გეწყება?

— აქვანში რომ ვიწექ, ის მახსოვს, ცისფერი არტახებით ვიყავი აქვანს ჩაკრული, და კიდევ, დედამ რომ მითხრა: შენ დღეს ერთი წლისა გახდიო.

— ერთი წლისას როგორ გახსოვს?

— ეგ აღარ ვიცი, როგორ მახსოვს და რატომ მახსოვს, მაგრამ რომ მახსოვს, ეს კარგად ვიცი.

თქვა და გაჩერდა ბიჭი.

მცირე ხნით მდუმარება დადგა.

— რა ერქვა შენს დედას? — უცებ ჰკითხა გიორგიმ.

— ანამაისა.

— ანამაისა?! — ამოიხრიალა გიორგიმ.

— ჰო.

გიორგი თითქოს აღარ იყო ამქვეყნად.

— კარგი, დარჩი ჩემთან.

თქვა და ხელში აიყვანა კახაი.

აიყვანა, მკერდზე მიირქვა, მიიკონა და იგრძნო, როგორ გაუთბა სისხლი.

უფრო მჭიდროდ მიირქვა და მიისხეულა ყრმაი იგი, მსგავსი ქერუბიმისა.

და გაახსენდა მირქმა სვიმეონ მართლისა, რომელსა ზედა იყო სული წმიდაი... („და იყო მისა უწყებულ სულისაგან წმიდისა არა ხილვად სიკუდილი, ვიდრემდე იხილოს ცხებული უფლისაი. და მოვიდა სულითა წმიდითა ტაძრად უფლისა და

შეყვანებასა მას მამა-დედისა მიერ ყრმისა მის იესოსისა ყოფად მათა მსგავსად ჩუეულებისა მისებრ სჯულისა მისა წარ-ვიდოდეს და მან მიირქუა მკლავთა თვისთა ზედა და აკურთხევდა ღმერთსა და თქუა: აწ განუტევე მონაი შენი, მეუფეო, სიტყუისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაი შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოველსა ერისასა...").

„აწ განმიტევე!"

ისევ დაიბადა ლოგოსი სვიმეონ მართლისა გიორგი ათონელის გონებაში, დაიბადა და გაირინდა.

და შემდგომად გარინდებისა, დახედა ყრმას, მის მკერდზე მირქმულს და მისხეულებულს.

ფართოდ, ვრცეულად მიძოფენილ წვერზე ესვენა ხატი ყმაწვილისა, მსგავსისა ქერუბიმისა.

თეთრი ხატი საფენელსა შავსა, მრუმესა ზედა.

გიორგი შეყუნებულის თეთრი, სპეტაკი წვერი გაახსენდა და ისევ შერცხვა და გული შეემგუნა ამდენი ხნის საკუთარი წვერის სიშავისა გამო...

— როგორი თეთრი ხარ შენ, კახაი!

— მე სისხლიც თეთრი მაქვს.

— ?!

— ჰო, თეთრი სისხლი.

— შენ გიხილავს სითეთრე შენი სისხლისა?

— განა, ყოველი საცოდნელი უეჭველად უნდა იხილო?

და კვლავ გაისმა წკარუნი მზის სხივებისა.

ვედრება მეათე

სვეტიცხოველის აღმშენებლობა კი დასასრულს უახლოვდებოდა. ჭაბუკური მოუღლელობით და ღმრთივშემოსილი ოსტატობით იღვწოდა არსუკაძე.

და იგი ბედნიერი იყო, რადგან ოდენ ქვის ხმა ესმოდა — ქვის წუხილი, ქვის სიხარული, ქვის ტირილი, ქვის სიმღერა, ქვის ცრემლისა და ქვის სისხლის მიმოქცევასაც ჰხედავდა ქვის სახეზე და ქვის ძარღვებში.

ხოლო, ღამღამობით, ხამუშ-ხამუშად, თითქოს ტაძრის კვნესაც ესმოდა. ეძებდა, ეძებდა და ვერ მიეგნო, რა ადგილი ასჩემე-

ბოდა ახალ ტაძარს სატკივრად და საკვნესებლად. ბოლოს ირწმუნა, გარდასულ ადამიანთა კვნესა უნდა ისმოდესო ტაძრის ამ უცნაურ გოდებაში. ალბათ, ეს აგური, ეს ალიზი, ეს კირლამი — ადამიანები იქნებოდნენ, ოდესღაც ადამიანად მავალი მიწა და თიხა, მერე ისევ მიწად და ალიზად დაბრუნებულნი...

მოსვენება კი დაუკარგა ტაძრის გოდებამ.

და მხოლოდ მაშინ დაისვენა, როცა ტაძარს თავსაბურავი დაჰბურა და აღმშენებლობა დაასრულა.

დაასრულა!

და, თითქოს, ტკივილები დაუამდა და დაუყუჩდა ტაძარს...

...ერთ დღეს გიორგი ათონელს ესტუმრა თვალშვენიერ არსუკისძე.

იღიმებოდა თავისი საარაკო ღიმილით თვალშვენიერი და ისე უამბობდა ამბავს სვეტიცხოვლისას თავის სულის მარჩბევს. უკვე დაესრულებინა ჩუროთმოძღვარს აღმშენებლობა სამეუფო ტაძრისა, ყელიც აღემართა ჩუქურთმოვანი, პერანგიც შეეკრა, თავსაბურავიც დაებურა, შინამხატვრობასაც შესდგომოდა, მაგრამ...

და რაღაც მოულოდნელმა საშფოთარმა ფიქრმა დაუბინა სახეზე თვალშვენიერს.

ისეთი რა მოხდა, ამდენი სიხარული რომ გულიდან ერთბაშად გადაგილეკაო, — გაიკვირვა გიორგიმ — დამშვიდდი და დაწყნარებით მიამბეო.

საამბობიც არაფერია, ერთი სიტყვითაც ითქმება ჩემი უბედურებაო, თქვა თვალშვენიერმა და დაასრულა მოძალებული ნაღვლით ატანილმა:

— ვერ იქნა და ვერ გავიხსენე სახე წმიდა ნინოსი!

— მაშ, ყველას სახე გახსოვს ნინოს დროინდელთა — მეფე ვირიანისაც, ნანა დედოფლისაც, სხვათა და სხვათა — და მაინც და მაინც ნინოს ხატი კი დაგავიწყდა? — გაუმეორა ათეულ წელთა წინათ ნაკითხი კითხვა ათონელმა დედამიწაზე მეორედ დაბადებულ კაცს.

— მხოლოდ იგი არ მახსენდება, აკი მაშინაც გითხარ.

— რაისთვის გწადია გაიხსენო?

— სვეტიცხოველში უნდა დავხატო იგი, პირველი სვეტიცხოვლის ამშენებელი და საქართველოს განმანათლებელი.

გაიხარა გიორგიმ და უფრო გულმოდგინედ ჩაუღრმავდა ფიქრს.

— ვინმე ქალიც არ შეგხვედრია, ვინაც თავისი სახიერებით მიგანიშნებდა და გაგახსენებდა ნინოს ხატებას? — ჰკითხა ბოლოს.

— არა, არავინ, — ხელი აიქნია არსუკისძემ, თუმცა მაშინვე დაუმატა:

— ერთ ხანს ევნიკიას ვფიქრობდი, ევნიკია მშვენიერია, მაგრამ მერე დავრწმუნდი, იგი მაინც ოდენ მიწაა, ხოლო მიწის დახატვა სახლსა საუფლოსა აკი შეცოდებაა მძიმეზე მძიმე.

— მაშ, შენ ეძიებ ქალსა მსახვარსა ჰაეროვნისასა, — სთქვა გიორგიმ, ფიქრს გაყოლილმა.

— სწორედ, სწორედ ჰაეროვნისასა.

ერთ ხანს კიდევ იფიქრა გიორგიმ და მერე უთხრა თვალშვენიერს სათნოებით აღსავსე სიტყვით:

— კარგი, მე შენ მოგიყვან მსახვარსა ჰაეროვნისასა.

და მეორე დღეს გიორგიმ სვეტიცხოველს მიიყვანა მართა, ასული ბაგრატ მეფისა.

და, რა წამს იხილა ქალი იგი თვალშვენიერმა, უმალვე გაეხსნა ხსოვნასა შინა სახიერება ნინო განმანათლებლისა.

— შენი ხილვით, სახიერო, ვიხილე იგი, შენებრ ზესთასოფლური, ადამიანის გონებით და სიტყვით ქებამიუმთხვეველი! — შეჰღაღადა სვეტიცხოვლის აღმშენებელმა, მუხლებზე დაეშვა და დაუამბორა ქალს კაბის კალთები.

ვედრება მეთერთმეტე

იდგა და უცქერდა გიორგი ათონელი იმჟამინდელი საქართველოს ორსავ მშვენებას: ქართველ კაცთაგან უნიჭიერეს კაცს და ქართველ ქალთაგან ულამაზეს ქალს.

მერე ორივე მიიყვანა სვეტთან ცხოველთან. მიიყვანა, გვერდი-გვერდ დააყენა, თავისკენ შემოაბრუნა, ჯვარი გარდასახა და თქვა:

ქალისა მიმართ — „შენ დედოფლობისთვის გაემზადე!“

კაცისა მიმართ — „შენ კი — უკვდავებისთვის!“

ვედრება მეთორმეტე

და შეუდგა არსუკისძე აღზევებული სულით ნინო განმანათლებლის დახატვას სვეტიცხოვლის ცხოველსა სვეტზე.

ამით უნდა დასრულებულიყო და კურთხევისთვის განმზადებულიყო სრულიად საქართველოს სამეუფო პასტოფორიონი.

და სანამ ასრუკისძის გრძნეული ხელი სვეტიცხოველს ასრულებდა, სასრულსვე უახლოვდებოდა საქმენი ათონელის გრძნეული გონებისა საქართველოში.

უკვე მეხუთე წელიწადი იდგა საქართველოში მისი მოსვლისა. და, თვინიერ იმისა, რაიც ამ წიგნში ეგზომ კნინად და კრძალულად უკვე აღიწერა, მისი სწავლანი, შეგონებანი და მოღვაწებანი — გიორგი ქართულ ეკლესია-მონასტრებში განაფენდა და აბინავებდა წიგნთა ყოველთა, რაიც მის კურთხეულ ხელს და გონებას ეთარგმნა, დაეწერა და დაესვინტაქსებინა ორივე წმიდა მთასა ზედა — ათონსა და შავმთას. ჯერ, რა წიგნებიც დახვდა საქართველოში, იმათ განიხილავდა გულდასმით, სწორის სისწორეს ამტკიცებდა, უსწოროს ასწორებდა და განმართავდა, ნაკლულოვანთა ავსებდა, განუმარტებელს განმარტავდა და კვამლოვანს განანათლებდა. ყველას და ყველგან წერილად და უწერელად უტოვებდა სწავლათა, მცნებათა, ცნებათა, წესთა და შეგონებათა.

ვედრება მეცამეტე

ახალი სვეტიცხოველი კურთხევას ელოდა.

და ჰგავდა იგი ქართულ სიმღერას, რამეთუ ყოველი მისი ჩუქურთმა, ყოველი თხზულხაზი, ყოველი ალაგრეკი, თუ მეანდრი — ყველა ცალკეულად თავისი, საკუთარი ხმით მღეროდა, თუმცაღა ყველა მაინც ერთი სიმღერის ყევარში იდგა.

იდგა ტაძარი, ღმრთივ-აღმართებული, ზვიადად მხრებგაშლილი და წარბაზიდული, ვრცეული და სივრცის შემავიწროებელი.

თითქოს, ქვას და ქვაობას არ იმჩნევდა სვეტიცხოველი, არამედ იდგა სწორედ როგორც „ცხოველი“, შეცოცხლებული, და ცხოველობით მზეკაობარი მიელტვოდა და მი-

ისუნთქავდა ცაზედეთისკენ, თვითონვე ცათაბუდარიც და ცათაებგურიც.

მხოლოდღა ასეთ ტაძარს შეეძლო შეერყია და მეექრა სული ყოველი ყოვლისმხილველი, ყოვლისმცოდნე და ყოვლისმოშურნე პამპლავაქისა, ხოლო მის აღმშენებელს უფლება ჰქონდა მარჯვენა აღემართა და შეეყივლა ცისთვის თანმამად:

— აჰა, ესერა, რამეთუ მივყო ცად ხელი ჩემი და ვფუცო მარჯუენესა ჩემსა, და ვთქუა: ცხოველ ვარ მე უკუნისამდე!

ზემოდან კი შურით იმზირებოდნენ — ჯვარი, ზეღაწენი.

სადღაც შურითვე ოხრავდნენ — სამთავისი, ბოჭორმა, ბედია, ალავერდი, ოპიზა, დოღისყანა, ბიჭვინტა, ნეკრესი. კუმურდო, ოშკი, ხახული...

მაგრამ შური მათი იყო შური არაქართული — მური სპეტაკი, შური უშურველი, შური შეხარებისა...

სვეტიცხოველის შიგნით, გუმბათიდან იატაკამდე, მძლავრი სინათლით ავსებული სივრცე ლავრისა, სრულად მოეცვა ჩუქურთმათა და ფერთა ნადიმს. და იგი იყო მრავალსახიერი, ვითარცა მრავალჟამიერი, ვინაოგან აქაც ყოველი ცალკე თხზულხაზი იყო ცალკე, თავისთვის მონადიმე, მაგრამ თავისი საკუთარი „სხვანაირობით" ერთიანი, მთლიანი „მრავალსახიერობის" (თუ „მრავალჟამიერობის") სისხლხორცეული შემწე, გამამძლავრებელი და გამამშვენიერებელი.

ერთი თხზულხაზიც, ერთი ასონასხამიც, ერთი ფერიც რომ გამოეშალათ, თითქოს, სვეტიცხოველს სისხლი ჩაექცეოდა, ანუ სხეული განერღვეოდა...

მელქისედეკ კათალიკოსს საზეიმო კურთხევის წინ ღიდის ბრწყინვალებით შეემკო სვეტიცხოველი.

წმიდა საკურთხეველი — შეჭედილი ოქროითა და ვერცხლითა, მოოქვილი თვალითა და მარგალიტითა. კანკელნი და კარნი საკურთხეველისა — კვლავ ოქრო-ვერცხლით მოჭედილნი. ძელნი ცხოვრებისანი, ორნი, ოქროითა, თვალითა და მარგალიტითა. სამარტვილო ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტითა. და ამა სამარტვილოსა შინა — წმიდათა ნაწილნი აურაცხელნი და ძელი ცხოვრებისა. და აქვე ხატი ოქროისა, კონსტანტინე კეისრისგან ბოძებული. და აქვე ხატი წმიდისა ღმრთისმშობლისა შემკობილი თვალ-მარგალიტითა, ბასილი კეისრისაგან ბოძებული. და ხატი დიდი მაცხოვრისა საროთითა და თვა-

ლითა შემკობილი. და სხვა ხატი მაცხოვრისა ვერცხლისა, ოქროით ცურვებული. და ხატი ნათლიმცემლისა ერთი, და თევდორესი ერთი, ორივენი ოქროითა და ვერცხლით შეჯედილნი. და სხვა ხატები საროთითა და ოქროფურცლითა დაწერილნი, რიცხვით ორმოცდათხუთმეტი. და ბარძიმ-ფეშხუმი ოქროისა, თვალ-მარგალიტითა და მინის ხატებით შემკობილი. კოვზნი ოქროისანი და ხვირნი ოქროისანი, თვალითა და მარგალიტითა შეკაზმულნი. და სამწერობელნი ოქროისანი და მარგალიტითა შემკობილნი, და საცეცხლურნი და სასაკმეველნი ოქროისანი. და სხვანი საცეცხლურნი ვერცხლისანი, სასაკმეველნი დიდნი ორნი, ორნივე ოქროითა ცურვებულნი. და სადაგნი საცეცხლურნი და სასაკმევლონი ვერცხლისანი დიდნი. და სათანაონი საცეცხლურნი და სასაკმეველნი ვერცხლისანი. და ჯვარი ვერცხლისა სათანაო ერთი. და ტაშტაბრაიგი დიდი წყვილი. და ბერძული ტაშტაბრაიგი ვერცხლისა, ოქროითა ცურვებული, ერთი.

და კიდევ, რაიც გიორგი ათონელს შეეწირა სვეტიცხოელისთვის — წიგნნი საღმრთონი, რომელთა სახელები ესე არს: სახარებისა თარგმანი დიდი, ერთი — მათესი, მარკოზისი და ლუკასი. და იოვანეს თავისა სახარებისა თარგმანი წიგნი ერთი. და სახარებანი ოთხთავნი, სამი. სათანაო ოთხთავი სახარება ერთი, გარე თვალითა და მარგალიტითა შემკობილი. და მოწამეთა წიგნნი დიდნი, ზამთარი და ზაფხული, გარე ვერცხლითა შეკაზმულნი, ღილოკილოითა ვერცხლისაითა, ორი. და მღვდელთმოძღვართა წიგნი დიდი საწელიწდოი ვერცხლითა შეკაზმული ერთი. იოვანეს გამოცხადება წიგნი ერთი. ანდრია სალოსის ცხოვრება წიგნი ერთი. დავითისა თარგმანი წიგნი ერთი. სათანაო მრავალთავი ერთი. საწელიწდოი იადგარი ახალი ერთი. და კურთხევანი, რომელსა შინა სწერია ეკლესიისა კურთხევაი, ხუცესდიაკონთა კურთხევაი, გარე ოქროისა ხატითა და ცვარითა მოჭედილნი. კურთხევანი სხვანი საწელიწდონი სრულნი ყოვლითა ფერითა, გარე ვერცხლისა ფერითა მოჭედილნი. შჯულის კანონი ახალი ერთი. მარხვანი, რომელ სამეფოს იტყვიან, ერთი. და სხვა წიგნები, თავი რვა. და ორად გაყოფილი იადგარი მეხუთრი, რომელსა შიგან განგებაი საწელიწდოი სწერია, ერთი. მატიანენი საშინაონი და სააღაპენი, ვერცხლითა მოჭედილნი, ერთი. და მატიანენი სათანაონი, ვერცხლითა მოცვარულნი,

ერთი. ჟამისწირვანი სათანაონი, ერთი. ესე წიგნები, რომელნიც გიორგი მთაწმიდელს დაუწერია, ჯუმლად არს თავი ოცდახუთი.

საწიგნენი ოქროითა და ვერცხლითა ცურვებულნი. საკელაპტრენი დიდნი სპილენძისანი. საკელაპტრენი ვერცხლითა ცურვებულნი, ორი. საკელაპტრენი რკინისანი დიდნი. და შესამოსელნი სამღვდელთმოძღვროი ოქსინო, ულითა ანაფორითა, სატოვანითა, ოქროვანითა და ყოველითავე სრული, ხუთი. სამკლავენი, მაზარაი ნივანდარი, მწვანე. და კვერცხის გული, ბერძული, ოქროსი, ერთი. და რომანოზ კეისრის ნაბოძვარი შესამოსელი ოქროქსოვილი ერთი. და მაზარაი ოქროქსოვილი ერთი. სანაწილე ოქსინოი, სამი. და ზეასაპყრობელი ხატოვანი ოქროითა, ერთი. სადაგნი სანაწილენი ორი.

და იყო სხვანი და სხვანი, რიცხვით მიუწვდომელნი ჩესაწირავნი, ოქროისა და ვერცხლისაი, თვალთა პატიოსანთა, მარგალიტთა, ლართა, დრაჰკანთა, თეთრთა და ნივთთა მრავალთა.

მაგრამ ყოველივე ეს სიმდიდრენი, გიორგი ათონელის თხოვნით, მელქისედეკ კათალიკოსმა ცალკე მოიხმშნა ხალხისათვის დასარიგებლად.

და დადგა ჟამი კურთხევისა.

აუარება ხალხი მოაწყდა იმ დღეს მცხეთას. ტევა აღარ იყო, არცა ტაძრის ეზოში, არც ქალაქში.

ტაძრის კურთხევა შენ უნდა იტვირთო, ღვთისგან უპირატესოო, შეუჩნდა მელქისედეკ კათალიკოსი გიორგი ათონელს. მეფეც ბევრი ეაჯა, დედოფალიც, მაგრამ არასგზით არ მიიღო აჯა იგი და მუდარა იგი გიორგიმ. ღვთისგან უპირატესობა კი არა, სრული პაპლავაკობა იქნება ახლა ჩემებრ უღირსისა და უნარჩევესისათვის ახალი ტაძრის ამბიონზე ასვლა, წინჩენა და პატივმითვისება, პატივისა, რომელიც სიტყვაშეუქცევლად და გარდუკვეთელად ეკუთვნის უნეტარეს მელქისედეკს. სრულიად საქართველოს სამეუფო ტაძარი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უნდა აკურთხოსო, დაბეჭდა ბოლოს ათონელმა მოძღვარმა.

და წარემართა კურთხევა ახალი სვეტიცხოველისა წინამძღოლობითა მელქისედეკ კათალიკოსისა.

და ჟამსა კურთხევისასა ბედნიერი იყო ყოველი ერი და ბერი საქართველოსი.

მაგრამ უბედნიერეს — არსუკისძე თვალშვენიერი.

და — გიორგი ათონელი.

ორი ნიშანსვეტი ქრისტეს აქეთ მეთერთმეტე ასწლეული საქართველოისა:

პკლავი საქართველოსი და ტვინი საქართველოსი.

ხელოვნება ხელთუქმნელისა და სიწმინდე ღმრთივქმნილისა;

გარდანივთება ნივთისა და გარდასიტყვება სიტყვისა.

და იყუნენ ბედნიერნი — ტაძარი საქართველოსი და წიგნი საქართველოსი.

და ბედნიერი იყო იმ ჟამს ყოველი ერი და ბერი.

და გალობდა ბედნიერებით აღსილი ერი და ბერი ღვთის მშობლისა და სვეტისა ცხოველისა მიმართ:

„გიხაროდენ შენ, ღმრთისმშობელო ქალწულო უბიწოო სვეტო სიმტკიცეო ჩვენო! ელვის სახედ განმანათლებელო და განმაბრწყინვებელო სულისა, გულისა და გონებისა ჩვენისა.

„მხსნელო ყოველთაო, ძლიერო ღმერთო! გაქებთ და გადიდებთ, რომელმან ღირს გეყვენ ამის წმიდასა დღესასწაულსა მოწევნად და მხიარულყოფად სულთა და გონებათა ჩვენთა.

„გიხაროდენ სვეტო, რამეთუ ხორცსა სცავ განსაცდელთაგან, ხოლო სულსა ნათელსა საცნაურ-ჰყოფ ემბაზისა და მიჰრონისა მიერ, და ჩვენ დაუცხრომლად თაყვანსგცემთ.

„ლოდი ნათლისა, უხელოდ დამოკიდებული ჰაერთა, უხილავად მდგომარე არს და ანგელოზნი კაცთა თანა უგალობენ დაუდუმებლად დიდებად სვეტსა, სასოსა ჩვენსა.

„საყოფელო სახლო წმიდაო დიდებისა ღმროისაო, ეჰე დიდად შვენიერებასა სიწმიდისა ზენისასა, რამეთუ სვეტი შენითურთ გეხარებს შვილთა თვისთა და გეფარავს.

„სვეტო ჩვენო და ნათელო, დედაო ძისა ღმრთისაო! რომელმან ძუძუთა თვისთა მიერ იესუ ღმერთი აგემე, ეგრე სახედვე სვეტისა მიერ მიჰრონსა ჩვენცა გვაგემე შენ!“

და წმიდისა ნინო განმანათლებლის მიმართ:

„სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანა-მოსაგრეო, და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო, და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის!“

ოსანას ციურ გალობას მოეცვა ყოველი სამცხეთოისა.

ქსიროზინი სუფევდა ყველგან.

სურნელსა ზესთასოფლურსა სრულად დაეცხრო და დაეფარა სუნი ქვენასოფლურისა.

და იყო ჟამი ბედნიერებისა, რამეთუ ბედნიერი იყო ყოველი ერი და ბერი ახალი სვეტიცხოველის ღმრთივ აღმართებისა გამო.

ვედრება მეთოთხმეტე

თუმცაღა... არა ყოველი ყოფილიყო ბედნიერ.

არამედ ზოგნი და ზოგნი ნათესავი ქართველი შურითა ქართულითა ყოფილიყო თურმე უბედურ.

და თვალავდა ქართული შურის თვალი ქართული ღვთაებრივი ნიჭისა და ხელის საოცარ ნაშობს — სვეტიცხოველს.

ვითარცა თვალნი ბიწიერნი შვიდ ძმათა აბულახტართა.

და კიდევ წყვილი თვალი გავეშებული ჩაციებით სჭამდა წმიდა სინოს ხატებას, არსუკისძის ჯადოსნური ხელით დახატულს.

ქალი ქალის სახეს ეძებდა, ქალურობის მიღმიერი, ზესთასოფლური ქალის სახეში.

მგლის (თუ სატანის) თვალებით ეძებდა.

ასეთ თვალებს ძალა შესწევთ დაორკეცებულ ქალს ნაყოფი მუცელშივე წყლად ჩაუქცონ, ან წყვდიადი განკვეთონ ელვიური მნთებარებით.

ისე კი, ერთ დროს ლამაზი, ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყვნენ თვალნი, ახლა სატანისგან დანაცოფარნი.

ვედრება მეთხუთმეტე

მივიდა ბაგრატ მეფე თვალშვენიერ არსუკისძესთან, ღიმილით სახედარბაზოვანი, და უთხრა:

— მომილოცნია, ხუროთმოძღვარო, მკლავის მოკვეთას რომ გადაურჩი!

ვედრება მეთექვსმეტე

სვეტიცხოველს კურთხევა ახალი განსრულებული იყო, კონსტანტინოპოლიდან [illegible] მცხეთას, სეანელონის მეთაურობით

ბიზანტიის კეისარ-იმპერატორი კონსტანტინე დუკა თავიხი უფროსი ძისა და ტახტის მემკვიდრის, უფლისწულ მიქაელისათვის ცოლად და ბიზანტიის მომავალ დედოფლად ითხოვდა ქართველთა მეფის ასულს, მართას.

ყველამ ისევ გიორგი ათონელს მიაპყრო მზერა.

— აჰა, მამაო, აღესრულა წინასწარმეტყველებაი შენი მართას ზედა! — შესძახა მარიამ დედოფალმა და ეამბორა ხელზე ღვთაებრივ მოძღვარს.

ყველანი მიესივნენ საამბოროდ და სამადლობლოდ — მეფე, უფლისწული და სეფეწულნი სამეფო სახლეულისა.

გიორგიმ ყველას მიულოცა ძუნწი მილოცვით... მერე მართასთან მივიდა, ჯვარი გარდასახა, ხელი თავზე დაადო და უთხრა, თითქოს, მღელვარე ხმით:

— იყავ ბედნიერ, დედუფალო საქრისტიანო მსოფლიოისა!

მუხლებზე დაეშვა მართა და მიეტანა მოძღვრის ხელს სამბორებლად.

არ დაანება გიორგიმ. უმალვე ფეხზე წამოაყენა და მკერდზე მიიყრდნო მშვენებით მოსილი თავი მეფის ასულისა.

და იგრძნო ათონელმა, როგორ დაეცა ცრემლი მკერდზე.

და ისიც იგრძნო, ის ნაცრემლარი თმის ძაფები როგორ გათეთრდა, აქამდე ფერუცვალებელ კუნაპეტ წვერზე.

ვედრება მეჩვიდმეტე

საქართველოში ყოფნის ჟამს, ყოველ ძილის წინ ამას ნატრობდა გიორგი ათონელი, იქნებ ანამაისა დამესიზმროსო, მაგრამ არ იქნა და ერთხელაც არ გაეკარა ძალისშორისად ანამაისა.

იმ ღამესაც, დაძინების წინა ლოცვის წართქმისთანავე ეს ინატრა.

ინატრა და დაესიზმრა... იუდა!

...მოდიოდა იუდა, დაბზარულ სჯულის ფიცრებზე მოაბიჯებდა, მოდიოდა და მოჩხარუნობდა და ჩხარუნი იგი იყო ნასისხლარი ვერცხლისაი. და უკვირდა გიორგის, ოდენ ოცდაათ ვერცხლს საიდან უნდა მოსცემოდა ხმა ასეთი ძალისხმევისა? ალბათ, ძელებიც ჩხარუნობდნენ, შემწედ ვერცხლის ჩხარუნისა?

და შეგიდა ჩხარაჩხურით გამცემელი უფლისაი ჰაბირუელ

მღვდელთმთავართა თანა და დადგა ტანითა უძვრელითა და თვალებითა უხამხამებელითა, პირისპირ მათდა.

შვიდი იჯდა სოფერიმი, შვიდნივ მწითურნი.

არა, შვიდნი ახლა გახდნენ, იუდა რომ შეემატა, ისიც მწითური.

— რაისთვის მოხველ? — ჰკითხა კაიაფამ, ამრეზით და ზიზღის ჩაყლაპვით.

— მოვედ, რამეთუ მეც თქვენი ვარ, თქვენი სისხლისა, — დაიხრიალა, თუ დაიჩხრიალა იუდამ.

— ჩვენი სისხლისა კი ხარ, მაგრამ ყურის ბიბილონი შენი არის თითქოს ბაბილონი; ხელის თითები შენი ისე მოკლე და დამცრობილ არიან, ერთ შაბარდუხსაც ვერ გააძლობს ხელის თითები შენი, ხოლო ფეხის თითები ისე გრძელი და ხორციანი გაქვს, ხუთ შაბარდუხსაც ამორწყევამდე განაძლებს ფეხის თითები შენი.

ეს რომ ისმინა, წყენა კი არა, თითქოს რაღაც სიხარულიც კი მოეფინა სახესა უფლის მოსისხლისასა.

გიორგი მიხვდა, რა გაჰხარებოდა კარიათელს: ოდენ ყურის ბიბილოებით და ხელ-ფეხის თითებით რომ განისხვაევენ თავისი მოძმე ჰაბირუელებმა, ხოლო მოღალატე გულზე და ღალატისთვის ვერცხლის მოხვეჭაზე არარა უთქვამთ.

მაგრამ უცებ, თითქოს ზღვარუჩინარმა სევდამ დაუმწყრა სახე იუდას, და მიაქროლა სიტყვა ესე სინედრიონებს:

— მოვედ, რათა გითხრათ ცოდვა ჩემი უმძიმესი, ცოდვა, ვინათგან მე თქვენ მოგყიდეთ სისხლი მართალი იესოსი.

— მერედა, ჩვენ რა? — იკითხა კაიაფამ და გადიხარხარა.

და ხარხარი აიტეხეს დაბარჩენთა მწითურთა.

— თქვენ რა, და აი! — იყვირა იუდამ, უცებ მკერდზე ხელი მოიფათურა, ჭისა ამოიღო, თავი მოხსნა, დააპირჭვავა და ქრისტეს ნასისხლარ-ნაღალატევი ვერცხლი იატაკზე დაჰყარა.

დაჰყარა, დააჩხრიალა და ისე, რომ თანამწითურთათვის აღარც შეუხედავს, გარეთ გაეარდა.

გიორგის გულისყური აღარ გაჰყოლია იუდას, რადგან ისედაც კარგად იცოდა, ამის შემდგომ იუდამ თავისივე ხელით სახრჩობელა გაიწყო და „შიშთვილ-იქმნა“.

გიორგის ახლა იატაკზე დანარცხებული იმ ოცდაათი ვერცხლის ბედი ეწადნიერებოდა.

და დააცქერდნენ ჰაბირუელი რაბინები იუდას უბეში ნათბილარ ფულს. დიდხანს უცქირეს მდუმარედ. მერე ერთი ადგა და ამრეზით სახეაშლილმა აკრიფა ოცდაათივე ვერცხლი, აკრიფა და იკითხა:

— რაი ვყოთ?

— რაიც არ უნდა ვყოთ, ამ ვერცხლთა დადება წმინდა ადგილზე გარდაკვეთილად შეუძლებელიაა — მკაცრად თქვა კაიაფამ.

— შეუძლებელია, შეუძლებელიაა — ერთხმად დაუკრეს კვერი დანარჩენებმა.

— მაშ, რაი ვყოთ?

და კიდევ დიდხანს იფიქრეს ჰაბირუელმა სოფერიმებმა.

და უცებ ისევ სთქვა რაბინთმთავარმა:

— ამ სისხლნაყიდარი ვერცხლით ვიყიდოთ ჩვენ აგარაკი სისხლისაი.

— აგარაკი სისხლისაი?!

— მერედა, ვისთვის?

— მერედა სად?

ყარყაშებდნენ რაბინნი.

— ვიყიდოთ უცხოელთა სადგომად და საფლავად, — დაბეჭდა კაიაფამ.

— ვიყიდოთ, ვიყიდოთ, უცხოთათვის ვიყიდოთ აგარაკი სისხლისაი ვერცხლითა ნასისხლარითაა

— მაგრამ სად ვიყიდოთ, რომელ ქვეყანაში?

— იმ ქვეყანაში, რომლის ფასი უცხოელებმა უკეთ იციან, ვიდრე მკვიდრმა შვილებმა იმავ ქვეყნისა.

— მერე, არის სადმე დედამიწაზე ასეთი უცნაური ქვეყანა? — ერთხმად გაიკვირვეს სოფერიმებმა.

— არის, არის, და ამ ქვეყანას ჰქვია საქართველო, — სთქვა ისევ კაიაფამ.

— არა, არაა — უნდოდა ეყვირა გიორგის, მაგრამ ყვირილი იგი უყვირლადვე ჩაექცა სულში.

— უცხოელთათვის ჭკუას ჰკარგავენ ერთიმეორის ჭიშპზე ნერწყვმორეული ქართველები, — ისევ კაიაფა იყო ამის მთქმელი.

— აარრრაააა! — იხრჩობოდა გიორგი.

— მაშ, ვიყიდოთ საქართველო ვერცხლითა ნაღალატევი-ო!

— ვიყიდოთ უცხოთათვის სადგომად და სამარხად!

— ვიყიდოთ, ვითარცა აგარაკი სისხლისაი, ვერცხლითა წასისხლარითა!

ყარყაშებდნენ ჰაბირუელნი.

— აარრრაააა! — ბღაოდა გიორგი, ისევ ოდენ შინაგან ხმავილით.

— მაშ, არის აგარაკი სისხლისაი ქუეყანასა ზედა!

— არის, არის აგარაკი სისხლისაი ქართლსა ზედა!

— და, აჰა, პირველი დაიმარხოს აგარაკსა სისხლისასა! — გაისმა საშინელი ხმა და ვიღაცამ ვიღაცის უზარმაზარი წარკვეთილი მკლავი შემოიტანა და რაბინთა წინაშე დაასვენა.

და, თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რატომ — საშინლად ბსტკივდა გიორგის ის წარკვეთილი მარჯვენა მკლავი.

— რაისად მოიტანე მკლავი ესე? — იკითხა კაიაფამ.

— რათა პირველი დაიმარხოს აგარაკსა სისხლისასა, — გაიმეორა მოსულმა.

და ახლა იცნო გიორგიმ წარკვეთილი მკლავის შემომტანი. იგი პილატე პონტოელი იყო, იუდეიის პროკურატორი.

„პონტოელი... პონტოელი... ვაითუ ქართველი იქნას იგი!" ძრწოლით იხრჩობოდა გიორგი ათონელი, რომელსაც კვლავ შეუწყვეტლად სტკიოდა რაბინთა წინაშე გაშოთილი მკლავი იგი წარკვეთილი.

და უცებ კიაფას სიტყვამ დაავიწყა გიორგის „სხვისი მკლავის" ტკივილი.

— მკლავი ესე სისხლის აგარაკზე, ანუ ქართულ მიწაზე არ დაიმარხვის.

— რად არ დაიმარხვის?

— იმად, რომ აგარაკი სისხლისაი არის უცხოელთათვის, მეთქი, ხოლო მკლავი ესე არის ქართული.

— ქართული?!

— სწორედ ქართული, და ქართველებისგან მოკვეთილი.

— მაინც ვისია მკლავი ესე, რომელ ქართველის?

— ამისუ[illegible]ს, სვეტიცხოველის აღმშენებლისა.

— აარრრაააა!!! — ღრიალით წამოიჭრა სარეცლიდან გიორგი ათონელი.

საშინლად სტეხდა და უჟრიალებდა მარჯვენა მკლავი მარჯვნივ ნაწოლს.

და გაიხარა, რომ ოდენ საკუთარი მკლავი სტკიოდა და არა მკლავი არსუკისძისა.

ვედრება მეთვრამეტე

ხოლო არსუკისძე სწორედ იმ ღამით უჩვეულო სიღრმით ჩაეთრია ძილს — ძილსა, ძმასა სიკვდილისასა.

მკვდრული ძილით ეძინა კაცს, მანამდე მრავალგზის უძილარსა და მრავალღამენატეხს, ეძინა სრული ნეტარებით, უშფოთველობით, უსიზმროობით.

და ამიტომ უნდა მომხდარიყო, რომ — ღამის იმ ნაკვეთში, როცა სულდგმულსა ყოველსა, როცა მკვდარი შვილის დედასაც კი მკვდრის ძილითვე ჩაეძინება — არსუკისძეს არ შეუტყვია ელვიური დაცემა შვიდი მწითური აბულახტარისა. და არც ის გაუგია, სიკვდილის ძმისგან სიკვდილს მიმთხვეულს, როგორ შეუკრეს ხელ-ფეხი, პირი როგორ დაუტენეს, ნაბადში გაჰხვიეს, აიტაცეს და გაიტაცეს.

და ოდენ სუნთქვის შეხუთვამ გამოაღვიძა და კიდევ, სურვილმა — ხელით მიშველებოდა ამოქოლილ პირს.

როგორც იქნა, გაერკვა მასში, რაიც დიდი სარკვევიც არ უნდა ყოფილიყო: ვიღაცანი რაღაცის გამო სადღაც მიაქანებდნენ ხელფეხშეკრულ კაცს.

ოღონდ ეს დაენანა თვალშვენიერს, ასე ხელგაუნძრეველად და ხელუქცეველად რომ მოებელთებინათ იგი ამ უცნაურ და უცნობელ მომტერეებს.

იგრძნო, სახლიდან რომ გასული იყვნენ და ბნელით მოცულ ქალაქში მიარბენინებდნენ უკვე.

სვეტიცხოვლის დანახვა მოენატრა, მაგრამ თვალებიც ბჟრული აღმოაჩნდა.

„ვაითუ ვეღარც ვერასოდეს ვიხილო იგი?!"

სული აუდუღდა და აენგრა თვალშვენიერს.

დიდხანს იარეს და ატარეს, უფრო აღმა და აღმა, ვიდრე დაღმა, ან გაღმა.

სწრაფად მსრბოლავი წყლის ხმა ესმოდა განუწყვეტლივ. აშკარად ეტყობოდა, მდინარას ასწვრივ მიდიოდნენ.

ალბათ, ხეკორძულა უნდა ყოფილიყო ეს მდინარე.

ამასაც გერშით გრძნობდა ხეკორძელი კაცი.

მდუმარედ ვიდოდნენ. ოღონდ დაღლილთა მძიმე სუნთქვა ესმოდა ხამუშ-ხამუშად (ერთადერთი — ყურები არ ამოეგმანათ მისთვის). იმასაც გრძნობდა, როგორ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს მისი მტვირთველნი.

სადღაც შეაყენეს და დაასვენეს.

შარდის, ადამიანის მუცლის ნაყენის, მძაღე სუნი მოსწვდა ცხვირის ნესტოებს (ცხვირიც არ ამოექოლათ მისთვის).

ისევ განახლდა აღმასვლა და აღმატარება.

გათენება იგრძნო მისმა სხეულმა (მტერთა თავდასხმის ვერმგრძნობელმა სხეულმა).

რაღაც შავი ფლასით მჭიდროდ აკრულმა თვალებმაც იგრძნეს, როგორ შემოსულიყო დილა — ვერცხლის მოზვერი, მაძგერებელი და მაშქერებელი შავი მოზვრისა.

მალე მზის სითბოც იგრძნო კაცთაგან შებოჭილი კაცის სხეულმა.

ისევ აღმოხდენილიყო მზე, ცხელი იალქნებით...

ვისთვის პირველად ამოდის მზე, ვისთვის პირველად ჩადის.

ვისთვის უკანასკნელად ჩადის მზე, ვისთვის უკანასკნელად ამოდის...

ფიქრის დრო ჰქონდა და ფიქრობდა თვალშეუნიერ არსუკისძე, არხეინად ფიქრობდა, მოსისხლეთა მხრებზე მხართეძოით წამოწოლილი.

ფიქრობდა, ვინათგან ფიქრის ამოქოლვა ვერ შესძლებიათ ადამიანებს.

ადამიანის ყოველი ასონასხამის ამოქოლვა და შებოჭვა შეიძლება, თვინიერ ფიქრისა.

ოდენ ფიქრი ჰქონია ადამიანს სრულქმნილად თავისუფალი.

თავისუფლების ერთადერთი და სრულქმნილი თავშესაფარი ყოფილა ფიქრი.

ოდენ სიკვდილს შეუძლია ფიქრის დაქოლვა, ფიქრის დაბორკვა.

თუმცაღა, იქნებ არც სიკვდილს შეუძლია?!

ფიქრობდა ახალი სვეტიცხოველის ამშენებელი,

მზე კი ამოდიოდა, ისიც აღმა და აღმა:

„და აღმოვალს მზე და დავალს მზე და ადგილსა თვისსა მივალს იგი"...

და, „ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო"...

და, „ვიხილენ ყოვლითურთ, რომელნი ქმნილ არიან მზისა ქვეშე და აჰა, ესერა, ყოველივე ამაო და გამორჩევა სულისა";

და, ნუთუ სვეტიცხოველიც?!

ააარრრააა! — იბღავლა უხმო და უჩინარი ბღავილით სულსა შიგან თვალშვენიერმა.

„და ვიხილე მე ყოველსა ზედა ნაქმარსა ჩემსა, რომელნი ქმნნეს ხელთა ჩემთა და რუდუნებულსა მას ჩემსა, რავდენი ვრუდუნე, ყოფა, და, აჰა, ესერა, ყოველივე ამაო და ხდომა სულისა და არა უმეტეს მზესა ქვეშე";

და, ნუთუ სვეტიცხოველიც ამაოა, ვითარცა ყოველივე ნაქმარი მზის ქვეშეთისა?!

ააარრრააა! — შინა ძახილი არსუკისძის სულისა.

„და მოვიძულე ყოვლითურთ ცხორება ჩემი და ბოროტ არს ჩემ ზედა ქმნილი იგი, რომელი იქმნების მზესა ქვეშე, რამეთუ ყოველივე ამაო და გამორჩევა სულის".

სვეტიცხოველიც, ცხოვრება ჩემი?!

ააარრრააა!!! — ფიქრის ბღავილი არსუკისძისა.

„და მოვიძულე ყოვლითურთ რუდუნებაი ჩემი, რომელსა ვრუდუნებდი მზესა ქვეშე, რამეთუ..."

სვეტიცხოველიც, რომელსაც მე ვრუდუნებდი რუდუნებითა უსაზღვროითა?!;

ააარრრააა!!!

და ათოვდა ფიქრი ფიქრს არსუკისძის სულში:

და მძიმდებოდა ფიქრი იგი, ეკლესიასტეს, ანუ კოჰელეთეს მძიმე პურით დანაპურალი.

მტვირთველებს კი უფრო და უფრო ემძიმებოდათ ფიქრით ნატვირთი კაცის ტარება.

მზე უფრო და უფრო ხელდებოდა აღმამავალი, მაგრამ ისინი ვიდოდნენ, მაღლა, მზის კვალდაკვალ, გახელებულნი.

გზა და გარემო თვალშვენიერს გერშით, თითქოს, ეცნობებოდა, მაგრამ ამას ვერ მიმხვდარიყო, ამ ქვეყნად მისი ორი მოვლინებიდან რომელი დროის ხსოვნიდან ურდა ხსოვნებოდა — ბისის დროიდან, თუ ათონელის დროიდან?!

და მივიდა მზე საშუალსა ქონქსა და ადამიანებმაც, თითქოს, მიატანეს დანიშნულ ადგილს.

თვალშვენიერი უფრო დაბეჯითებით შეიგრძნობდა ამა ადგილთა მცნობელობას.

დადგნენ.

ნაბადი შემოხსნეს.

ხელ-ფეხი, პირი და თვალები ისევ დაბორკილი და დაჭოლილი დაუტოვეს. მცირე მანძილზე კიდევ გაათრიეს, მერე ფეხზე წამოაყენეს და რაღაც მაღალზე და მკვრივზე მიაყუდეს. ეს ხე უნდა ყოფილიყო. უმალვე იღლიებში ხოკები გაუყარეს და იმ ხეზე ისე მჭიდროდ მიაკრეს, განძრევაზეც რომ ფიქრიც ამაო ყოფილიყო.

და ახლაღა აუხსნეს თვალებიც, პირიც.

და იხილა თვალშვენიერ არსუკისძემ სათავე ხეკორძულასი და მიმოსახედნი მისი, და ჭარანძავი, რომელშიც იგი ცხოვრობდა სამი წელიწადი, ევნიკიასთან ერთად. და იყო სამი წელიწადი აქ. იყო და აღარ ახსოვდა აღარც ქვეყანა, აღარც სვეტიცხოველი, არავინ და აღარაფერი აღარ ეხსოვდა, თვინიერ ევნიკიასი. და ასე იყო მანამ, სანამ ხეკორძულას სათავეში და დიდგორის ძირში არ მოვიდა გიორგი ათონელი, და სანამ არ იხსნა იგი ათონელმა ევნიკიას მხურვალე სხეულით შემოჩენილი ბელზებულისგან. იხსნა და წაიყვანა ათონელმა ახლად მონათლული, ანუ გარდანათლული და გარდასახული და მას შემდეგ ევნიკია დაიტირწყა სვეტიცხოველზე ფიქრით და ზრუნვით თავდაკარგულმა თვალშვენიერმა.

და ახლა, როგორც ჩანს, ისევ გაახსენა თაეი ევნიკიამ.

და აი, ევნიკიას ბრძანებით შეიპყრეს და მოიყვანეს თვალშვენიერი ძველი სიყვარულის ნათევარ ადგილზე.

თვითონ ევნიკია ჯერ არსად ჩანს.

ოდენ მისი ბრძანების ამსრულებელნი დგანან ახლა არსუკისძის წინ.

შვიდნი მწითურნი.

უეჭველად ძმები არიან — მათი ფერი, იერსახე, ჯარბის თვალები, ყურის ბიბილოთა ერთსახეობა მიანიშნებენ ერთძმობას, ერთსისხლიანობას.

წინ ქირქიშ აბულახტარი დგას, მეფის მეხმლე და ქონდაქარი. გაახსენდა მასთან პირველი შეხვედრა თვალშვენიერს,

მისი კადნიერი სიტყვათგდება. და იმ კოტიტა თითებით რომ ათი ეაჟკაცის სატვირთო ქვა ასწია ციმციმ.

მარჯვენა მხარზე მშვილდი ჩამოეკიდა, მარცხენა ხელში კი პირალმასი და ფრთაანაწყობი ქეიბური ეჭირა.

ძმებს ანიშნა და ისინიც უკუდგენენ დამანძილებით.

თვითონ ხეზე მიკრულ არსუკისძესთან მივიდა, შემოტრიალდა და ხის ძირიდან ორმოცდაათი ნაბიჯი გადათვალა, ჯოხი დაასო, გვრიტის ფეხებივით წითელი ხელისგულები მოიფშვნიტა და მშვილდ-ისარი გამართა.

და შიგ გულში დაუმიზნა ქირქიშ აბულახტარმა ისარი თვალშვენიერ არსუკისძეს.

დაუმიზნა და ესროლა გულში.

და კიდევაც შიგ გულში გაარტყა.

კარგი სროლა სცოდნიაო, გაიფიქრა თვალშვენიერმა და ოდენ მსუბუქად ჩაახველა.

უეჭველად ევნიკია უცქერის ყოველივე ამას სადღაციდანო — ესეც გაიფიქრა.

და სანამ თვალშვენიერი ფიქრობდა, აბულახტარნი გაოცებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს: არსუკისძე, ქეიბური რომ გულში დარჭმოდა, კვლავ ფეხზე იდგა და, ეტყობოდა, წაქცევას არც კი აპირებდა.

მივარდა მეორე აბულახტარი არსუკისძეს, ქირქიშის ნასროლი ქეიბური გულიდან გამოჰგლიჯა, იმანაც ის გადათვლილი ორმოცდაათი ნაბიჯი ხელახლა გადათვალა და იქიდან ახლა თვითონ ესროლა ქეიბური მძლავრად დაჭიმული მშვილდითგან. ესროლა და იმანაც გულში გაარტყა, შიგ გულში, ქირქიშის ნაისრალში.

ამასაც კარგი სროლა სცოდნიაო, — გაიმეორა ფიქრი არსუკისძემ და დაიხედა სისხლით დაცვარულ მარცხენა მკერდზე.

ლამის ჭკუიდან გადამცდარიყვნენ ძმანი აბულახტარნი.

მესამე ძმა მივარდა კვლავ გულდალახვრულ და კვლავ წაუქცეველ არსუკისძეს, ორი ძმისგან უმცდარად ნასროლი ისარი ამოჰგლიჯა და ახლა იმან ესროლა იგივე დამანძილებით.

იმანაც გაარტყა გულში, და მერე მეოთხე ძმამ გაიმეორა ძმათა ნაქმნარი.

მას უკან — მეხუთემ..

მეექვსემ...

მეშვიდემ...

და შვიდივემ რომ მოათავა სვეტიცხოელის აღმშენებლის გულის განგმირვა, იმან ხმამაღლა დაიძახა, თითქოს მოწონებით:

— შვიდივე ძმას დიდებული სროლა გცოდნიათ!

და უმალვე ესეც დასძინა, თითქოს, ნიშნისგებით:

— და ამიტომაც არც ერთ თქვენგანს ჩემი მოკვლა არ შეუძლია.

გადიხარხარა შვიდგზის გულდაისრულმა და ირგვლივ კლდეებმა ნიშნისგებითვე განავრცეს მისი სუფთა სიცილი.

(დიადი აჩილევსის მოკვლა სწორედ კარგად გაწაფულ მოისარ-შუბოსანს არ უნდა ხვდომოდა წილხვედრად, რადგან კარგი მსროლელი გულში დაუმიზნებდა, ადგილსა ყველაზე სასიკვდინესა, ხოლო აჩილევსის ადგილი სასიკვდინე იყო ქუსლი და არა გული. ამიტომ აჩილევსი ხელმოცარულისა და ჯაბანის კერძი უნდა გამხდარიყო — ისეთი ხელმოცარულისა, გულის და ქუსლის შორისი დამანძილებით რომ დააცდენს, ანუ გულში რომ დაუმიზნებს და ქუსლში კი გაარტყამს!).

და უცებ გარემონი ზედეთ-ქვედეთისა განაპო ქ-ლის კრჩხიალებამ:

— მკლავი უგუნურნო, მარჯვენა ბკლავი, და არა გული, რამეთუ მხოლოდ მკლავში დგას სული თვალშევნიერ არსუკისძისა!

„აჰ, ეს მე თვითონ გავუმხილე ქალს ადგილის ცდა ჩემი სულისა!“ — და ეშმწარა ფიქრი თვალშევნიერს.

წამსვე ხმალი ამოაგელა ქარქაშიდან მეხმლე ჭირქიშ აბულახტარმა, არსუკისძეს მივარდა და მარჯვენა ბეჭის ქვირისტავში უჭირა ხმალი.

სვეტიცხოველმა გაიელვა და უმალვე სხეულიდან აღმოხდენილ არსუკისძის სულთან ერთად გაფრინდა შორს, შორს — სივრცესა უსივრცოსა და დროჟამსა უჟამოსა.

ცალ-ცალკე დაეშვნენ დედამიწაზე მკლავი და ტანი სვეტიცხოვლის აღმშენებლისა.

მკლავის დაცემამ შეაძიგძ-გა დედამიწა, პირდაპირ მდგარ კლდეს წინ გამონასწრაფი შეცრილი მოერღვა და .გრიალით დაინთქა უფსკრულს.

ტანის დაცემა კი არც გაუგია დედამიწას.

და რომელს ერქვა ახლა თვალშვენიერ არსუკისძე — მკლავსა მიწის შემარყეველსა, თუ ტანსა ჩვარივით დარეცილსა?!

და ისევ გაჰკვეთა ზედეთ-ქვედეთი ბელზებულის ხმამ, ისევ ქალის პირით დანაძახურმა:

— მომეცით მკლავი, ანუ სული, სვეტიცხოვლის აღმშენებლისა!

და წამსვე მივარდა არსუკისძის მკლავს მისივე მკვეთელი, მეხმლე ქირქიშ აბულახტარი.

მივარდა და დააგლო ხელი, რათა აეღო და... მაგრამ...

მაგრამ ძვრითაც ვერ დაძრა მოკვეთილი მკლავი მიწიდან.

ორივე ხელით ჩააფრინდა აბულახტარი, დაეჭიდა, დაეძაბა და დაეძაბრა, მაგრამ ისევ ვერ ააცალა და ვერ ააცილა მიწას მარჯვენი არსუკისძისა.

უშვა ხელი, წამოიმართა, მკერდიდან სული ამოიქცია, ახალი ჩაიქცია და ისევ დასწვდა ხელებით, დასწვდა, და ისე დაიძაბა, ცხვირ-პირიდან სისხლი წასკდა, სისხლი მწვანე და ნაცარნარევი, მაგრამ ვერა და ვერ ასწია ათი კაცის ტვირთის მტვირთველმა ბოროტმა ხელებმა სიკეთით და მადლით ტვირთული მკლავი სვეტიცხოვლის აღმშენებლისა.

მაშინ მიცვივდნენ სხვანი მწითურნი და შვიდივე ძმამ, ერთბამად და ერთძალად შეკრულთა, გაიზრახეს დარეცილი მკლავის აზიდვა. მაგრამ ვერც შვიდთა თანაბორტეულმა, თოთხმეტი მკლავით, ვერცა აზიდა, ვერცა ძვრა უყო მკლავსა ერთსა, მადლით სავსესა, არამედ — ოდენ შვიდივეს ამაოდ წასკდა სისხლი მწვანე და მტუტენარევი.

კვლავ დაეტანენ, მაგრამ უეცრად დაარისხა რისხვეულმა ხმამ:

— შესდექით, ნაშობნო იქედნისანნო!

ვედრება მეცხრამეტე

მინდორზე გიორგი ათონელი შემოდიოდა ხმითა და სახითა, ვითარცა საბაოთ, დამრისხველი და დამთრგუნველი სატანური.

არსუკისძის მკლავს განერიდნენ ელდაცემული აბულახ-

ტარნი. უკუდგნენ და მახვილებს მიწვდნენ. მაგრამ უმალვე ვადაზე ხელი შეაცივდათ.

გამყინავმა ყივილმა განაპო ცაზედეთი.

ორბი არიელი მოჰქროდა და მოჰყიოდა, რახსოვანი და თეთროვანი.

მოჰქროდა და უკან გებელ ბაბარდუსთა შავი ლეგიონი მოსდევდა ავი ხმიანით და ფრთათა დგრიალით.

უეცრად ფრთები დაიკეცა არიელმა, ქვასავით დაეშვა, დაქვეყნიერდა, და ქირქიშ აბულახტარს რომ გაუსწორდა, უეცრადვე ფრთები ისევ გაშალა და სახეში დაჭდგერა არსუკისძის მკვლელს, დაეძგერა და ორივ თვალი თვალის უსწრაფეს ჩაულეწა და ჩაუშრიტა, ნისკარტის ზედიზედ დაცემით. და უმალვე ამოთხრილ თვალთა ბუდეებიდან ამოყოლილი ყლარტე სისხლი, თითქოს ზიზღიანი ყივილით ამოირწყია და ამოინერწყვა ორბმა პირიდან.

ეს ყოველივე მოხდა წამით.

ქირქიშ აბულახტარი, თვალდაშრეტილი და საბედაშლილი, უმეტყველო ზმუილით თუ ხავილით დაეცა მიწაზე.

შემოეხვივნენ და შეიკრნენ მის გარშემო ძმანი მისნი მწითურ კორომად.

ისევ იყივლა არსუკისძის ორბმა, არიელმა, ძემან ჰაერთა სამან.

და, თითქოს ამას უცდიდა გროი ჰაერში მორიალე შაბარდუხებისა. და მოსწყდა ზეცას სივსივით გროი იგი ქორთა მამაცთა და, ვითარცა ღრუბელი წყედიადეული, თავს დაეცა და დაეხურა მწითურთა კორომს.

ერთბაშად შაემა წითელი ვადაბნელა.

და ტორტმანებდა და მომოიქცეოდა მიწდორსა ზედა შავი კრეტსაბმელი, რომლის ქვეშე დამდგარიყო აპოკალიპსური ხმიანობა — ბღავილი განწირულ ადამიანთა და ყივილი აღტაცებულ და აღგზნებულ ფრინველთა.

უფრო და უფრო მძლავრდებოდა ყივილ-ყივილი ფრთოსანთა შემმართებელთა.

უფრო და უფრო კნინდებოდა ბღავილი სიკვდილთან წილნაყარი ადამიანებისა. ბღავილი გმინვად ეცემოდა, გმინვა — კვნესად, კვნესა — სულთქმად, სულთქმა — სულღაფვად, სულღაფვა — სულამოხდომად.

მერე, მხოლოდ ფრინველთა ნისკარტებით ადამიანთა ძვლებზე ატეხილი კაპუნი და რაკარუკი ისმოდა და სხვა აღარაფერი.

ბოლოს, აიშალნენ და აფრინდნენ შაბარდუხნი. აფრინდნენ და იქვე, ქარანძავის თავზე გადმომართულ კლდეზე დაეშვნენ ავი ყივილით.

დაეშვნენ და რწყევა აიტეხეს — ამორწყევა და ამონთხევა აპულახტართა შხამიანი ნასხეულარისა.

ბოლო, შაბარდუხთა ანაფრენ ადგილზე — იქ, სადაც წუთის წინ ფრინველთა და ადამიანთა ბრძოლა გათავდა — გიორგი ათონელმა იხილა ხორომი შავი ძვლებისა.

მწითურთა გესლიანი სხეულნი, თურმე, შავ ძვლებზე ყოფილა ანასხამ-ანაგები!...

ისევ ფრინველთა ყივილმა გამოაფხიზლა ზარდაცემული ათონელი. იმ კლდის თხემს ტოვებდნენ შაბარდუხნი, განწმენდილნი და გამსუბუქებულნი. ორბს ჩაუქროლებდნენ — თითქოს ემშვიდობებოდნენ — და გულმარხიანი ყივილით უჩინარდებოდნენ სივრცესა უსივრცოესსა.

ორბი კი ჯერ ისევ ბრუნავდა საირაოზე, ჯვარსახოვნად გაშლილი.

ისევ მიიტაცა გიორგის მზერა ადამიანთა შავმა ძვლებმა.

უსაზღვროდ აემღვრა სული და აენგრა გული. უცებ ზურგი აქცია შემაზრზენ ხორომს, აღმოსავლეთისკენ მიიქცია პირი, მუხლებზე დაეშვა და ცას შეჰღაღადა ხელაპყრობილმა:

— ღმერთო ძლიერო, გეყედრები, ადამიანობისგან განმკურნო მე!

დიდხანს დარჩა ასე დაჩოქილი, ცაზედეთიდან პასუხის მოლოდინში.

არავითარი ხმა აღარ ისმოდა ზედეთ-ქვედეთში, თვინიერ ხეკორძულას ხვივილისა.

არავითარი იძვრისი არ იძვროდა, თვინიერ...

და უცებ, ისევ ორბის ყივილმა გამოაფხიზლა.

არიელი გამალებით ბრუნავდა ცაზე, არსუკისძის მარჯვენის დასწვრივ. ადგა გიორგი, კვლავაც ადამიანობისაგან განუკურნებელი, დასწვდა და აიღო მკლავი თვალშვენიერ არსუკისძისა — ხელი ხელოვანი, ხელი აღმაშენებელი, მადლით დატვირთული და უცოდველობით განმსუბუქებული.

ისევ დაასვენა მიწაზე მკლავი იგი — მკლავი სვეტიცხოველის აღმშენებლისა, მკლავი, რომელიც მას, გიორგი ათონელს, სტკიოდა წუხელ ძილისშორისში (თუ ცხადში?!) — დაასვენა, პირჯვარი დასწერა მკლავსა ვნებულსა და წარსთქვა, ვითარცა ლოცვა:

„ხელი იგი მტკიცე და მკლავი მაღალი, რომელ ჰყო მოსემ წინაშე ყოვლისა ერისა“.

სთქვა ეს, მაგრამ მაინც არ დაუწყნარა გული ნათქვამმა: თითქოს ძალა წართმეოდა მის სიტყვას, მარად მძლესა და მარად გრძნეულს, თითქოს გემიც დაჰკარგვოდა, სხეულიც, ფერიც, მის სიტყვას — ღვთაების ნაჟურს და ნაწვეთს.

არასოდეს ასეთი მარტოობა არ უგრძვნია, მუდამ მარტოსულს და მარტოხელს.

არსუკისძის უღმერთო სიკვდილს გაენახევრებია მისი სული.

დასცქეროდა არსუკისძის მარჯვენას და აშკარად გრძნობდა, რომ სწორედ ეს მარჯვენა სტკიოდა უსაშველო ტკივილით, წარკვეთილი, სხვისი სხეულიდან წარკვეთილი... სხვისი...

— ღმერთო, ხომ არ შევიშალე? ან იქნებ ესაა შენი პასუხი, ადამიანობისგან განკურნება რომ გთხოვე მე?!

მკერდზე დაიხედა.

იქნებ ახლა მაინც გამთეთრებოდესო წვერი?!

არა.

წვერი ისევ შავი იყო, დაღაცათუ შვიდი ღერი მართას ნაცრემლით გათეთრებული.

სიტყვა კი გაუთეთრდა, თუ გაუშაღარავდა!

და შეაძრწუნა სიტყვის გაშაღარავებამ...

თითქოს შეშინდა კიდეც.

გიო ინატრა.

იმედიც მოეცა — გიო უეჭველად იგერშებს ჩემს წამოსვლას, გზასაც იგერშებს და მომაგნებსო.

იქნებ ობლებიც იახლოს თან... ოთხმოცი ობოლი... თუ ოთხმოცდაერთი.

კახაი გაახსენდა.

თეთრი და თეთრსისხლიანი.

ისევ შეშინდა და ისევ გიოსკენ იბრუნა ფიქრი.

გიო უეჭველად უნდა მოვიდეს, სანამ კიდევ უარესი მოხდებოდეს.

თუმცაღა რაღა უნდა მოხდეს, რაც მომხდარა, ამაზე უარესი?!

შესაძლოა მოხდეს, რადგან... აი, რამდენი რამ საშინელი და გონებიდან შემარყეველი დატრიალდა აგერ, ახლა, ამ წუთებში...

ხოლო, გიო უეჭველად უნდა მოვიდეს. მაშ, როგორ, ხუმრობა ხომ არ არის — ცოცხალთა შორის აღარ არის თვალშუენიერ არსუკისძე, უპირველესი ნიშანსვეტი ქართველი ერისა, მარილი ქართული მიწისა. მკვდარია იგი. მე კი ცოცხალი ვარ და მარტოდმარტო, მკვდარი არსუკისძის წინაშე მდგარი. ხოლო, მკვდარი ცოცხლისგან ელის ერთადერთს — მიწას მიბარებას, ხოლო, მე მარტოხელამ, უარსუკისძეოდ მარტოხელამ, როგორ უნდა მივაბარო მიწას მკვდარი არსუკისძე?

და ახლა გაახსენდა, რომ მკვდარი არსუკისძე ჯერ არც კი ენახა!

აწამდე იგი ოდენ არსუკისძის მკლავს ჰხედავდა და იგლოვდა, თვითონ არსუკისძე კი...

ან, იქნებ, ნამდვილი არსუკისძე მისი მკლავი იყო? ხოლო, „თვითონ არსუკისძე"... ნეტა, რა უნდა ყოფილიყო უმკლაოდ „თვითონ არსუკისძე"?

ან თითქოს არსუკისძისთვის კი არ მოეკვეთონ ეს მკლავი, არამედ ამ მკლავისთვის მოეკვეთოთ ის არსუკისძე!

ან — თითქოს ეს მკლავი კი არ იყოს არსუკისძის ასონასხამი, არამედ პირიქით, არსუკისძე იყოს ამ მარჯვენის ასონასხამი!..

არა, უეჭველად უნდა მოვიდეს გიო!

და წავიდა გიორგი ათონელი უმკლავო არსუკისძისკენ.

მივიდა, დახედა და გააოცა მისი სახის სიმშვიდემ და სიმშვენიერემ.

ისე წყნარი და მშვენიერი სახე ჰქონდა, თითქოს სულაც არ მოეკვეთოთ, ან სხვისი მკლავი მოეჭრათ მისთვის.

თვალებიც თვითონ დაეხუჭა ვითარ მძინარეს.

დაიჩოქა გიორგიმ და დალახვრული გული დაუამბორა, ჯვარი გარდასახა და...

* * *

— გიორგი!

ყოველგვარ მოულოდნელობას სჭარბობდა ეს დაძახილი, რამდენი ხანია, ეს სახელი აღარავის დაუძახნია მისთვის! ორმოცდაათი წელიწადი!

ანუ, ნახევარი საუკუნე გასულა მას შემდგომ, რაც მისთვის „გიორგი“ აღარ დაუძახნიათ.

„მამაო“, „წმიდა მამაო“, „ყოვლად ნეტარო“, „უნეტარესო“, „ნათელფენილო“, „ღვთის ნათლულო“, „ბერი“, „მწირი“ — ყველაფერი, „გიორგის“ მეტი.

მხოლოდ დედა თუ დაუძახებდა მას „გიორგის“ და ისიც სიზმარში.

და, თვინიერ დედისა, კიდევ თუ ვინმე დაუძახებდა, ისევ ქალი უნდა ყოფილიყო და, თანაც ისეთი ქალი, რომელსაც მისთვის, ვითარცა მამაკაცისთვის, ქალად გაცნობიერება და გაგრძნობიერება ეწადა...

მერე, ვინ შეხვედროდა ასეთი ქალი გიორგის მის წილხვედრ წუთისოფელში?

იქნებ, ანამაისა?

სწორედ ანამაისა იყო ქალთაგან, ვითარცა ქალი, რომელმაც პირველად დაუძახა მას „გიორგი“, და ამ დაძახილში თავისი ქალობაც ჩასდო სრულქმნილად. და ამის შემდგომაც კვლავ ანამაისა თუ ეძახის და ისიც ოდენ სიზმრად, ძილ-შორისად.

ხოლო, ახლა ისევ...

— გიორგი!

ქალის ხმა იყო.

შემოტრიალდა.

მის წინ ეენიკია იდგა.

— ნუ, ნუ შემაჩვენებ, ღვთაებრივო, მე არ მომიკლავს, ♦რა, ღმერთია მხედვარ, ღმერთი!!!

არ ყვიროდა, უფრო ხმადაბლა ლაპარაკობდა, თითქოს ცდილობდა მშვიდად ეთქვა ოავის სათქმელი, მშვიდად და, რაც შეიძლება, დამარწმუნებლად.

ოღონდ, სახე ჰქონდა შეშლილი.

და ლაპარაკობდა ვითომ მშვიდად სახეშეშლილი ქალი:

— იგი ბელზებულმა მოჰკლა. მე ძუძუ წამართვა და შიგ

ჩამისახლდა. ჩამისახლდა და შემომიჩნდა ბელზებული. და მე შევუჩნდი თვალშვენიერს. შევუჩნდი და ვათქმევინე სად იდგა მისი გრძნეული სული... მარჯვენა, ადგილის დედა მისი სულისა... ხოლო, შემდეგ, მერე...

და აუვარდა ქვითინი ქალს.

გიორგი კი მხოლოდ ისმენდა გაშეთებული. ისმენდა და ოდენ ანამაისაზე ფიქრობდა. ელეონის მთაზე, ძილისშორისად მოსული ანამაისა რომ ეუბნებოდა, არსუკისძეს ევნიკია დაჰღუპავსო, ბელზებულისგან ძუძუწართმეული ევნიკიაო.

ფიქრობდა გიორგი და თავი თვითონაც ძილისშორისად ეგონა, თუ ეწადნიერებოდა სიზმარი ყოფილიყო ყოველივე, რაიც ახლა მის გარშემო ხდებოდა.

ქალმა კი უცებ ტირილი მოიწყვიტა და გიორგის, თითქოს, საუკუდურის თვალით გაჰხედა. თუმცაღა ქალის თვალი, საუკუდურზე უფრო, თითქოს, აფრთხილებდა კაცს, ხელი არ შემიშალოო.

და საგულდაგულოდ განამტკიცი ნაბიჯით მიადგა არსუკისძის მარჯვენს.

— აი, სამკვიდრებელი ადგილის დედა შენი სულისაᲗ სულო ჩემო!

და დაემხო საამბორებლად, თუ ხელით საალერსოდ.

მაგრამ დაასწრო არიელმა, ციდან მოწყვეტილი და ჯავრიანად მაყივარი, გაფიქრებაზე უმალესად დაქვეყნიერდა და აიტაცა მკლავი არსუკისძისა. აიტაცა და აფრინდა, საისრე მანძილზე ნავარდი დაჰკრა, სამჯერ შემობრუნდა უმკლავოდ დარეცილი არსუკისძის დასწვრივ, მერე ისევ კამარა შეჰკრა და მზისკენ გაიჭრა ძვირფასი ტვირთით.

და უცქერდნენ მიწაზე დარჩენილნი, მდუმარენი და ახალი საოცრებით გაშეთებულნი. უცქერდნენ მანამ, სანამ მზის ჯიჭანმა სრულად არ მიირქვა და მიიხეულა გრძნეული ფრინველიც და გრძნეული მკლავიც სვეტიცხოვლის აღმშენებლისა.

— არ მაპატიან.. ერთი ამბორიც არ დამანებან — თქვა ქალმა და წავიდა.

გიორგის კი არც მისი ხმა გაუგონია, არც მისი წასელა გაუგია.

დიდხანს იდგა იგი მზისკენ უძრავად პირმიქცეული, თითქოს დროისგან და სივრცისგან გამოშლილი და განრინებული

იდგა და მის გონებაში განუწყვეტლივ ხმაურობდა არსუკისძის ორბის ყივილი, „აპოკალიპსის“ ღაღადებად გარდასახული:

„და ვიხილე და მესმა ერთისა ორბისა მფრინველისაი ჰაერთა შინა, რომელი იტყოდა ხმითა დიდითა: ვაი არს, ვაი არს მკვიდრთა ქუეყანისათა!“...

„ვაი არს, ვაი არს მკვიდრთა საქართველოსათა...“

მერე, როგორც იქნა ცას თვალი მოსწყვიტა, უმკლავო არსუკისძეს დააცქერდა და ჰკითხა, უცხო, ნასხვისარი ხმით:

— მითხარი მაინც, ამინ მითხარი — რომელი ხართ სვეტიცხოვლის ამშენებელი, შენ თუ აი, ის — ცას რომ გაფრინდა და მზეს შეერთო?

— ის, ცას რომ გაფრინდა და მზეს შეერთო! — ისევ ქალის ხმამ გამოშალა და გამოჰყარა გიორგი სულის რყევისგან.

ევნიკია ქარანძავის თავზე ასულიყო, იმ კლდის თხემზე, ადრე რომ მწითურებთან ნაომარი შაბარდუხების გუნდი ეფინა, განსაწმენდელად და განსასვენებლად.

ღმერთო დიდებულო!

წამიერმა გაელვებამ მოსჭრა თვალი გიორგის, — რაღაცამ რომ მზის სხივი აიცურა და აირეკლა.

რამ?!

ქალის შიშველმა მკერდმა?

თუ... ხმალმა, ქალის ხელითვე მოქნეულმა?

თუ... სისხლმა, მარცხენა მკერდზე მოკვეთილ ძუძუს რომ ბჟყოლოდა?

ქალს წარკვეთილი ძუძუ ძოწისფრად მოჩახჩახე მზის ჯიქანივით ეპირა ზეაპყრობილ მარცხენა ხელში.

— აი, იგი, სატანის კერძი, რომელმაც მე წამართვა თვალშვენიერი! შორს, შორს ჩემგან, საბუდარო ბელზებულიბა! — შეჰკივლა და გადასტყორცნა მზის ჯიქანი უძირო უფსკრულს.

— ახლა მე ისევ ქალი ვარ, ქალი უსატანოი. ისევ ის ევნიკია ვარ-მეთქი, თვალშვენიერ არსუკისძეს მე ერთადერთი რომ შევუყვარდი; სწორედ ის ქალი, საქართველოს თერძულები რომ ვიხსენი სნებისა და სიბერწისაგან!

და თვითონაც გაჰყვა მზის ჯიქანს, უფსკრულს დანთქმული, სატანამოკვეთილი ქალი.

და უეცრად გიორგის მოეჩვენა, რომ ქალი ქვემოთ კი არა, ზემოთ მიფრინავდა და უფსკრულიც თითქოს ქვემოდან კი

ნღარ იზიდავდა ქალს, არამედ თვითონაც ზედეთს იყო და ქალსაც ზედეთისკენ მიითრევდა. ხოლო, თვითონ ცა ქვემოთ მოქცეულიყო, დედამიწას და ცას ადგილები შესცვლოდათ და... მზეც, თითქოს ზემოდან ქვემოთ დაცურებულიყო...

იგი დაეცა, ახლოს თვალშვენიერ არსუკისძისა.

უსაზღვრო ნეტარებამ მოიცვა მისი სული და სხეული; უფრო და უფრო ღრმად იძირებოდა მანამდე განუცადებელ სალხინებელში და, ის იყო, იმ სალხინებლის ზღურბლიც უნდა გადაელახა, რომ ვიღაცებმა არ დაანებეს და კადნიერი ხელყოფით დაუპირეს უკანვე, ტანჯვათა და ტკივილთა სამყაროში შემობრუნება.

ვედრება ოცდამეერთე

თვალი გაახილა და იხილა გიო.

და იხილა ლაშქარი ყრმათა.

წამოიწია.

შეეშველნენ.

არ ინება. თვითონ დადგა ფეხზე.

თვალი მოავლო ობოლთა კრებულს.

იხილა კახაი. და გაიფლო: „ყველა მოსულა, უკლებლად...“

ისევ თვალშვენიერ არსუკისძისკენ მიიქცა და იმავ დაიჩოქა წინაშე მისსა.

გიოც მიჰყვა მუხლებზე ჩოქვით. ობლებმაც დაიმუხლისთავეს.

იყვნენ ასე, ერთხანზე, მდუმარე ლოცვით.

უცებ მზისკენ მიიქცია პირი გიორგიმ, წამით შეხედა და სასწრაფოდ წამოდგა.

— უნდა მოვასწროთ!

— რა, ყოვლად წმიდაო? — ჰკითხა გიომ და ისიც სწრაფადვე წამოდგა.

— მიწას უნდა მივაბაროთ მიწა არსუკისძისა.

— მიწა არსუკისძისა? — დაიბნა გიო.

— ჰო, ოდენ მიწა, ოდენ სხეული, ხოლო სული არსუკისძისა აკი ცაში გაფრინდა!

— მოვასწრებთ, მოვასწრებთ. აი, მიწასაც ახლავე გავ-

ჭრით, — სთქვა უარესად დამფრთხალმა გიომ და ობლებისკენ მიბრუნდა აწრიალებული და აფუსფუსებული.

— არა, გათხრა და გამზადება მისი სამარხავი სამარტვილისა უფრო დიდ დროს საჭიროებს, ვიდრე შენ ფიქრობ, ჩემო ერთგულო.

სთქვა და მდინარეს მიადგა გიორგი სწრაფი ნაბიჯით.

— აი, ხეკორძულა, გამნათლავი ემბაზი სვეტიცხოვლის ალმშენებლისა... და მის ფსკერზე უნდა დაიმარხოს მისგანვე განათლული ღმრთივამამაღლებელი საქართველოსი.

ბრძანა ათონელმა და მიიყვანა ყრმანი ობოლნი მდინარის სათავესთან. მიიყვანა, ადგილი მიუნიშნა და მიუსია წყალთან საბრძოლველად და კალაპოტიდან გადასაგდებად.

მზე კი მიილტვოდა დასავლისკენ ფეხნასწრაფევად.

შეშინდა გიორგი — ვაითუ მზის სხივებიც ვეღარ ჩავაყოლო საფლავში ჩემი სულის მენახევრესო და ისევ მზეს მიაშტერა ალმასის თვალნი.

და გაახსენდა, როგორ გააჩერა ღმერთმა მზე გაბაონის მთასა ზედა; მანამ გააჩერა, სანამ იესო ნავე მისი ხალხის მომტერეთა ლაშქარს მუსრს გაავლებდა.

ანამაისას დედის ტირილიც გაახსენდა და მისი სიტყვებით შეჰღაღადა ცას:

— მზეო, დადექ და დაგვიანდი!

და, თითქოს, დადგა მზე.

დადგა მთასა დიდგორისასა.

და თვალი ვეღარ მოსწყვიტა ათონელმა, ისე დაშვენდა მზე დიდგორის მთას.

და მან პირველად იხილა და იაზრა მაშინ სამსახოვნება მზისა:

დისკო — რომელ არს გონება,

შარავანდედი — რომელ არს სიბრძნე,

სინათლე — რომელ არს სიტყვა...

მაინც რაისთვის დაშვენდა ასე მზე იგი სამსახოვანი მთასა დიდგორისასა?!

რაის სამომავლოდ და სადიადოდ?!

ხოლო, სანამ მზეს დიდგორის მთაზე ცეცხლოვანი ეტლი დაედგა, მანამ ობლებს ხეკორძულა კალაპოტიდან გადაეგდოთ და სამარტვილეც ამოეთხარათ.

და მიაჩვენეს და დაასვენეს თვალშვენიერ არსუკისძე ახალ-თახალ სამარტვილესთან.

ახალთახალი მიწის სურნელი დამდგარიყო ზედეთ-ქვედეთში.

მზეც დიდგორიდან გაკვირვებული დასცქეროდა მისთვის მანამდე უხილავ მიწას.

გიორგი კი ცას გასცქეროდა წამდაუწუმ.

სამარტვილე კი, პირაშკმული, მოუთმენლად ელოდა უზენაესი ქართველის ცხედარს.

გიორგიმ ცას კიდევ აჰხედა და ისევ მიუბრუნდა მიცვალებულს.

— მოიხსენე, უფალო, სული შესვენებულისა მონისა შენისა თვალშვენიერ არსუკისძისა, და მიუტევე მას ყოველივე შეცოდებანი მისნი, ნებითნი და უნებლიეთნი, და მიანიჭე მას ზეცათა სასუფეველი და ზიარებაი საუკუნეთა შენთა ქეთილთა და მიეც მას საუკუნო ხსენება; ამინ!

დაასრულა გიორგიმ და უსაშველოდ გული დაწყდა, რომ სვეტიცხოვლის აღმშენებლის სულის სახსენებელი ლოცვაც ისე სთქვა, როგორც საერთო სჯულის კანონით ითქმოდა ყოველი ჩვეულებრივი მოკვდავის ცხედარსა ზედა.

და ისევ აჰხედა ცას, ახლა მზის გასწვრივ, რაღაცის მოლოდინით შეშფოთებულმა. რეცა, საყვედურის თვალით აჰხედა.

და ისევ დააცქერდა თვალშვენიერ არსუკისძის უმკლავო ნეშთს.

უმკლავო?!

და ერთხელ კიდევ გაისმა ორბის ყივილი.

დიდგორის მთიდან გამოიჭრა ხმა,

თითქოს მზისგან მოჰჭროდა, მზის წილნაყოფი, მზის სხივებზე ელვის უსწრაფეს დაცურებული,

და ზედ არსუკისძის თავთით, არსუკისძის მკლავთან ერთად დააწყდა მიწას.

მივიდა გიორგი, დაიხარა და აიყვანა ორბი რახსოვანი.

იგი მკვდარი იყო.

(ეს მეათე სიკვდილი იყო, ამდღევანდელი).

თვალები ღია დარჩენოდა არიელს.

მარჯვენა ცერა თითით დაუხუჭა თვალები გიორგიმ ფრინველსა გრძნეულსა.

მერე მკერდზე დაუსვენა ათონელმა მისი ორბი არსუკისძეს.

მერე მკლავს ჩაავლო ხელი მაჯაში და ასწია:

თითქოს ისევ უცემდა მაჯაზე ძარღვი კათოლიკე მკლავსა სვეტიცხოველის აღმშენებლისასა.

უეჭველად მომეჩვენაო, გაუელვა გიორგის, ღია უმალვე მკლავიც სამკლავეს მიუსვენა პატრონსა მისსა.

და დააცქერდა ათონელი ტანით და მკლავით თავმოყრილ არსუკისძეს და უცებ ოსირისი გაახსენდა, ეგვიპტის უხენაესი ღვთაება, ბოროტი ძმისგან, სეთისგან მოკვდინებული და დაწიწკნილი, და შემდგომ, ოსირისის ძე, ქველი ჰორუსი როგორ უყრის თავს მამის ტანს და მის ასონასხამთ...

სწრაფად გამოიყარა უცხო გახსენება გიორგიმ.

მზეც, მქვუნვარე და დაფიქრებული, უკვე ტოვებდა მთასა დიდგორისასა.

(თითქოს აქამდე შეეკავებინა იგი ორბსა არიელსა, ანუ ძესა ჰაერეთისასა, შესატყვისად ათონელი წმინდანის სიტყვისა და სურვილისა).

აბა, ვიჩქაროთო, მდუმარედ ანიშნა გიორგიმ და თაკთით დაუდგა არსუკისძეს. ფერხთით გიორგი მცირე შეუდგა. მიესივნენ ყრმანი ობოლნი.

და ჩაასვენეს თვალშვენიერ არსუკისძე ძისთვის გათხრილ სამუდამო სამკვიდრებელში და სამიწებელში.

— მიწა ხარ და მიწად მიიქეც! — და პეშვით პირველმა აიღო მიწა და ჩაჰყარა გიორგი ათონელმა.

— მიწა ხარ და მიწად მიიქეც!

ზოგი ჩუმად, ზოგი უფრო მომაღლო ხმაზე, იმეორებდნენ მშრალი პირით და მშრალი თვალებით, პეშვავდნენ მიწას და ჰყრიდნენ საფლავში.

თითქოს ადამიანის მთელი ცხოვრების არსიც ეს ყოფილიყოს — მიწიდან მიწის ამოყრა და მიწაში მიწის ჩაყრა.

დაასრულეს, მდუმარედ დადგნენ და განლიგებით უცქერდნენ ახლადაღმართულ ბორცვს, ახოვანი კაცის სიგრძეზე გაწვართულს.

მზე ჩადიოდა. მისი უკანასკნელი სხივები წითლად ეღამუნებოდნენ დიდგორის ყელს.

ახლა შენიშნა გიორგიმ, გიო და ყრმანი ყოველნი მის მკერდს უცქერდნენ დაჟინებით.

დაიხედა გიორგიმ და იხილა წვერი მისი შაღარა.

უცნაურად შეუტოკდა გული.

ვინძლო სიტყვაც არ გამიჭაღარავდესო, გაიცლო და დაიწყო სიტყვა ობოლთათვის.

— ამინ გეტყვით თქვენ, საქართველოს შვილნო ობოლნო! დღეს ჩვენ ვეთხოვებით ადამიანს, რომელსა შინა ღმერთი ათგზის უდიდეს იყო კაცსა ზედა. და ჩვენც ოდენ კაცი მივაბარეთ და მივუბედნიერეთ მიწას მშობელსა. ხოლო, სული მისი უკვდავი და მარადიული, ღმრთივ მოსილი ერისიონი, მარად ცხოვლად დაემკვიდრა ცასა ზედეთსა; იგი, მისი სვეტიცხოველით, ქართველთაგან ყველაზე ახლოს მივიდა ღმერთთან.

მცირე ხანს შეჩერდა გიორგი, ყრმათა აგზნებულ სახეებს თვალი ჩამოატარა, მას უკან არსუკისძის საფლავისკენ ხელი განართხა და დაასრულა:

— აი, მიწა, დიადი არსუკისძისა, მიწა მარადიულად ჩვენი თანამგზავრი და თანამკვიდრი უცხო გზაზე და უცხო მიწაზე.

სთქვა და აიღო პეშვით მიწა, არსუკისძის საფლავ-სამიწებლიდან ამონაყარი, აიღო და ჩაიყარა უბეში. მეორედ აიღო პეშვით და კახაის ჩაუყარა უბეში მიწა, მერე იოანეს, მერე არსენს, მას უკან ეფრემს.

— აჰა, მიდით და ერთმანეთს მიუძღვენით და მიუბედნიერეთ მიწა საუცხოო და სა-უცხო-ო! — ბრძანა მწარე ორაზროვნებით.

და მიეხვივნენ მიწას ობოლნი.

იღებდნენ მიწას, მთრთოლვარედ, გახელებით, პეშვებით იღებდნენ და უვსებდნენ უბეებს ერთმანეთს.

საფლავის ბორცვი სრულად მოიწმინდა. მიწა გასწორდა, თუმცაღა ნაჭრილობევი დარჩენოდა ნამდინარევ ქალაპოტს.

და ბრძანა ათონელმა, ისევ გადმოეშვათ მდინარე თავის ძველ გზაზე.

ისევ მიესივნენ სათავეს ობოლნი. სახელდახელოდ გამაგრებული საქოლარნი ხელადვე მოშალეს და წყალს ძველი გზა მისცეს.

პირი აიხსნა ხეკორძულამ, არსუკისძის საფლავზე მდუმარედ გადისრიალა, მერე ტალღები აისხა, აბუბუნდა და მალე გრიალით გადაეშვა ათასეული წლებით ნადინარ ხევზე.

ჩამოღამდა.

ეგზომ უსაზღვროდ შფოთიანი დღის უკანასკნელ სიტყვას ამბობდა გიორგი ათონელი, ისევ ობოლ ყრმათა მიმართ ამბობდა:

— მაშ, მშობლიური მიწისა და წყლის ქვეშ დაემკვიდრა ქართველ კაცთაგან უდიადესი. ჩვენ კი მისი ნაწილადევი მიწა უბით მივიღეთ და მივისხეულეთ. ამიერიდან ვიცმაროთ იგი, ვითარცა საქართველო, რამეთუ ჩვენ გავდივართ საქართველოდან.

ძლივს დაასრულა სიტყვა ათონელმა.

და წამით ჩამომდგარ მდუმარებაში მოესმა გმინვა.

ოღონდ ვერ გაარკვია, საიდან იყო გმინვა იგი — მდინარის ფსკერზე დამარხული სამარტვილედან, თუ საქართველოდან მიმავალი ობლის მკერდიდან?!

ვედრება ოცდამეორე

მოდიოდა გიორგი ათონელი, მოუძღოდა ობოლთა ლაშქარს და მოიგლოვდა სიტყვითა უტყვითა, მგლოვიარე სულში შინაგანმდებარითა:

„ასულნო ქართლოსისანო, იგლოვდეთ სულსა თვალშეუნიერ არსუკისძისასა!

იგლოვდეთ!

იგლოვდეთ!

იგლოვდეთ!“

ღამე იდგა, ბერბეცი, კუნაპეტი .



ვედრება პირველი

იდგა დღე გამგზავრებისა და უკანასკნელად ესიტყვებოდა გიორგი ათონელი ბაგრატ მეფეს:

— გიმეორებ, შვილო ჩემო, განუცადებლად გახსოვდეს, რომ დიდი ხალხის პატრონობა და მეურვეობა გატვირთა უღლად გამჩენმა ჩვენმა. მაგრამ პატრონის უპატრონობა ხალხს ბრბოდ გადააქცევს, ხოლო ბრბოის ისევ ხალხად შემობრუნება აუცილებლად ღვთის ხელს მოითხოვს. ასეა, ვინათგან ბრბოს სიბრძნისა ეშინია, სიბრიყვისა კი არ ეშინია, რამეთუ საკუთარი ბუნებისა არ ეშინია. მაშ შეეწირე და ხალხი ხალხად დაინარჩუნე. დაინარჩუნე და სვეტიცხოვლის მადლით აღსავსე იღლიებ ქვეშ აბედნიერე. და ასწავლე ხალხს, ნუ იქნება საკუთარი თესლით გულარძნილი და სხვისი, მომტერე თესლის ამყვავებელი. ნურც სხვისი შუბლის ფარეში გახდება ქართველი კაცი. უმადურობას გადააჩვიე ქართველი კაცი, და ჯერ შენ თვითონ გადაეჩვიე უმადურობას. სწორედ შენმა

უმადურობამ შეჰყარა სიკვდილს თვალშვენიერ არსუკისძე — ნუ მაწყვეტინებ! ვიცი, აიჩემებ, ევნიკია ჩემი ოჯახისგან მოკვეთილია და მე პასუხს არ ვაგებ მისგან ჩადენილი მკვლელობისთვისო. მაგრამ ევნიკია მაინც შენი სისხლია, ხოლო სისხლი დაშრების და სისხლობას მაინც არ შეელევა, ისე ვითარცა — ცეცხლი დაშრტების და ცეცხლობას მაინც არ შეელევა. ევნიკია კი არა, თვითონ შენ სვეტიცხოველის აღმშენებელს, ნაცვლად იმისა, სვეტიცხოველის აშენება მიგელოცა, აღექი და ის მიულოცე — მკლავი რომ შეგრჩა მოუკვეთელიო. მერე აღარც მკლავი შერჩა და აღარც სიცოცხლე სვეტიცხოველის ღვთაებრივ ამშენებელს, ყველასაგან დავიწყებულსა და მიტოვებულს. ღვთაებრივს-მეთქი, რომლის ღვთაებრიობა ბაიბურადაც არ გიფიქრიათ, არცა შენ, არცა მელქისედეკ კათალიკოსს, არცა სხვათა სახელოანთა და გამოჩინებულთა ქართველთა. მერე და, რაისთვის? იმისთვის, რომ თვალშვენიერ არსუკისძე ქართველი იყო. აბა, ერთი, ბერძენი ყოფილიყოს უპატრონოდ მიაგდებდით და მკლავს მოჰკვეთავდით კი არა, უმალვე ღმერთად დაიმკვიდრებდით, მონებად და ფარეშებად დაუდგებოდით, სულაც ჩუბუტოში ჩაუძვრებოდით. არც ერთმა დღევანდელმა ქართველმა, არცა სახელმწიფოს თავმა და არცა ეკლესიის მწყემსმთავარმა, არცა ერმა და არცა ბერმა, არ იცით, რომ თვალშვენიერ არსუკისძემ დროს გადაუსწრო, ანუ თავისი დროის საქართველოზე მაღლა ავიდა. ამინ გეტყვი შენ — სვეტიცხოველი შენი დროის ქართულ ზომებში არასდიდებით არ ჩაეტევა. იგი გაექცა საქართველოს, მაღლა ავიდა, ცასა ზედეთსა, და იქიდან ჩამოგვცქერის ჩვენ, თავის დროისად მაღლებს, მაგრამ ახლა მისი სიმაღლიდან უკვე დამცრობილებს. თქვენ ამას ვერ ჰხედავთ, და იმიტომ ვერ ჰხედავთ, რომ არ იცით როგორ უნდა დაინახოთ. მელქისედეკსაც და შენც ასე გგონიათ, სვეტიცხოველის სიმშვენიერეს ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტით აღკაზმულობა ჰმატებს რაიმეს. ასე გამოდის — რაღა ქალი და რაღა ტაძარი! ყოველ ქალს დიახაც ესურვილება დაჭერა სილამაზისა. რომელსაც ბუნებით დაჰყვა, დაიმჭიროს და არ გაუშვას, ხოლო რომელსაც ბუნებით არ დაჰყვა, მოიპოოს და დაიმჭიროს. მაგრამ რაი არს სამკაული ან ერთისათვის, ან მეორისათვის? ლამაზ ქალს დიდი საფასის სამკაული საკუთარ სილამაზეს უკნინებს, ულამა-

ზოს — ულამაზობას უარესად უაშკარავებს. კვლავ სვეტიცხოველს დავუბრუნდეთ, მაინც რა არის სვეტიცხოველი და რატომ არ არის იგი საქართველო ჩვენი დროისა? ამინ გეტყვი შენ — სვეტიცხოვლის ღვთაებრივი სრულქმნილობა წ ე სრ ი გ ო ვ ან ს ი მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ს ესაძირკვლება, წესრიგოვანს-მეთქი. ცალკე ნაწილთა წესრიგოვანი დალაგება ჰქმნის მთლიანი სხეულის ერთიან სიმშვენიერეს. ასეთი არის სვეტიცხოველი. ხოლო, რაი არს შენი სახელმწიფო, ჩემო ხელმწიფევ და ჩემო გაზრდილო? მოკლებული ერთსხეულიანობას, მოკლებული ერთსულოვნებას. ამიტომ აუფრინდა სვეტიცხოველი საქარველოს მასზე უმაღლეს. ამიტომ გამოსჩანს შენი დროჟამის საქართველო დამცრობილი სიმშვენიერით და მადლით აღსავსე სვეტიცხოველის იღლიებ ქვეშე. საქართველო ერთსხეულებრივ გამთლიანებად მანამ არასგზით არ ჩაითვლება, სანამ ტფილისში უცხო თესლი დგას და ბატონობს. ქუთათისს ნუ ჩასცივებიხარ; ქუთათისი დედა არს დედაქალაქობისა და არა თვითონ დედაქალაქი საქართველოსი. და გაქვს შენ სამეფო უდედაქალაქოდ. ძნელია-მეთქი შენი მეფობა, თითქოს მთელი ქვეყნიერება საქართველოს დაპყრობის ციებცხელებას შეუპყრია. სხვანი გმირობას სხვათა მიწების დაპყრობას ეძახიან. ჩვენი, ქართველთა გმირობა კი ერის გადარჩენის საზღვრებს არასოდეს გასცილებია. ყოველი ერი განმსოფლიოებას მიელტვის და ამას მხოლოდ ის ერები აღწევენ, რომელნიც საომარ უნაგირზე ამხედრებულნი თავის ქვეყნიდან გაიჯრებიან და სხვათა მიწებს და სხვათა სივრცეებს ნთქავენ. ჩვენ კი მუდამ ჩვენსავ მიწაზე ვბრუნავდით, ხოლო ადგილზე მბრუნავი ხმლით ერი ვერ გამსოფლიოვდება, არამედ ოდენ გონებით და სულით თუ გამსოფლიოვდება, რაიც ძნელზე უძნელესია და იგი დიდმა ბერძნებმაც ვერ მოახერხეს, სანამ მათი ღვთაებრივი გონების ნაყოფს, გ ა ნ მ ს ო ფ ლ ი ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, წინ ისევ ხმალი არ წარუძღვა — ხმალი ალექსანდრე მაკედონელისა. კარგად გამიგეთ, მე საყვედურად იმას კი არ გეუბნები, უცხო ქვეყნების დასაპყრობად რად არ წასულხარ-მეთქი ხმალაღმოხდენილი. არამედ ადგილზე მბრუნავ მეფეს ვალად გაძევს ქვეყნის შინაგან ტკივილებს უწამლო და უმკურნალო. მე შენ სიტყვითაც გითხარი, დაწერილობითაც დავწერე და მოგართვი და მოგიბედნიერე,

რაიც მძიმე წყლულებად და სნებოვანებად დასცემია შენს სახელმწიფოს. მაგრამ რა გამოვიდა? ისევ გრძელდება საქართველოში ამაღლება უღირსთა და დამდაბლება ღირსეულთა. ისევ მიიდრიკება სასწორი სამართლისა მდიდრის საკადნიეროდ და ღარიბის დასამდაბლებლად. ისევ დაკნინებულ არს შენს სამეფოში სიკეთე და სეფისპირობა. ასეთია-მეთქი სინამდვილე შენი დროის საქართველოსი და მას ვერ დაფარავს ვერცა შენი პორფიროვანი სკარამანგი, ვერცა მელქისედეკის ბისონის ვარემანდი, და ამიტომ ვამბობ მე: შენი სამეფო საქართველო წესრიგოვანი სიმშვენიერით ძალიან შორს დგას სვეტიცხოველისგან. შენი საქართველო ჯერ მხოლოდ მასალაა — თუნდაც მადლით აღსავსე მასალა — რომლისგანაც მხოლოდ აწი უნდა აშენდეს ნამდვილი საქართველო, სვეტიცხოველის ტაძარივით მთლიანი, მშვენიერი და წესრიგოვანი. და ამინ გეტყვი შენ, — საქართველოს სჭირდება აღმაშენებელ, ისეთი, ვითარ იყო აღმაშენებელ სვეტიცხოველისა.

სთქვა და დადუმდა გიორგი.

— და შენ ამბობ, ნათელფენილო, რომ მე არა ვარ აღმაშენებელ საქართველოსი? — მწარე ღიმილით იკითხა ბაგრატმა.

— მე გითხარი — დიდი ხარ, მაგრამ არა უდიდეს, — ჩამოართვა გიორგიმ.

— მაშასადამე, არა აღმაშენებელ! — ეს თავისთვის ჩაილაპარაკა მეფემ.

— შენ უკვე სთქვი, შვილო და მეფეო, — უთხრა გიორგიმ თბილითა სინანულითა.

— არცა ძე ჩემი, გიორგი ბატონიშვილი? — სასოწარკვეთით შეღვინებული იყო ეს კითხვა ბაგრატ-მეფისა.

— არცა ძე შენი, — დაუზოგავად მიჰყვა ათონელი.

— მაგრამ, უკეთუ შენ გაწურთვნი მას, დიდი გიორგი ათონელი, ვითარცა გაწურთნა არისტოტელემ ალექსანდრე მაკედონელი?

— გახსოვს, მეფეო, ყრმობის დროიდან, ჩვენი უკანასკნელი სიტყვათგება ბასილი კეისართან? — უცებ კითხვა შეუტრიალა გიორგიმ.

— ყველა მახსოვს, მაგრამ შენ რომელს გულისხმობ?

— აკი შენ თვითონ უთხარ მაშინ ბაღილი კეისარს, სამი რამ არ გაიწურთნებაო — მგელი, არწივი, კაი ყმა?

ჩაფიქრდა ბაგრატ მეფე, გიორგისგან განახსენებ სიტყვაზე, მძიმედ და მწარედ ჩაფიქრდა.

— მაშ, არც ჩემი ძე...

— მაგრამ იქნება შენი ძის ძე, — უცებ თქვა ათონელმა.

— ჩემი ძის ძე? — იფეთქა მეფემ და აენთო სახე სახიერი.

— სწორედ.

— საიდან იცი?

— განა, რაც ვიცით, ყოველთვის ვიცით, საიდანაც და რატომაც ვიცით?

დაიბნა ბაგრატ მეფე.

— მაშ, როგორ, რანაირად? ჯერ ჩემ გიორგის ცოლიც არ შეურთავს და... და გონებით ხომ უნდა გავიაზროთ?

— მაგრამ ადამიანური გონების გარდა, არის კიდევ გერში ღვთაებრივი, — მტკიცედ თქვა ათონელმა და აჰხედა ზეცას.

— მაშ, გონებით არ ვიაზროთ?

— არა, ზოგჯერ გერშით უნდა ვიწამოთ.

— მაშ, უნდა ვიწამოთ, რომ ჩემი ძის ძე ალმაშენებელ! — მღელვარედ თქვა მეფემ, სახედარბაზოვანმა.

— და კიდევ აი, ის ოთხმოცი ობოლი ბავშვი და ტოლნი მათნი! — გადაუბა სიტყვა ათონელმა და ხელი გაუშვირა მოშორებით მდგარ ყრმათა ტყემალნარს.

ვედრება მეორე

და დაჯიშდა ფიქრი საქართველოს ბედისწერისა.

საქართველოს, ვითარცა სამეფოსა და სახელმწიფოს, გარდუვალად და გარდუკვეთელად სჭირდებოდა ალმაშენებელ.

და არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სრულიად კავკასიას, ვინათგან კავკასია ერთიან სხეულად შექმნა სამყაროს შემოქმედმა.

შუბლი ერთი აქვს ღვთის ყოველ შენამოქმედს და ერთი შუბლი აქვს დედამიწასაც, და შუბლი იგი დედამიწისა — არის კავკასია.

და ამიტომაც კავკასიის ყოველ ხალხს ერთი სუნთქვა აცოცხლებს, აარსებებს და ანათე'ავებს — სუნთქვა კავკასიონისა.

და დედამიწის შუბლსა ერთიანსა ერთი აღმაშენებელი და გამაერთიანებელი ეჭირვება...

აღმაშენებელ!

ვითარცა აღმაშენებელი სვეტიცხოველისა.

და ვინ უნდა ყოფილიყო იგი, ახალი არსუკისძე და თანაც — არსუკისძე არა ოდენ ერთი თუ ორი ტაძრისა, არამედ სრულიად საქართველოისა და კავკასიისა?!

ძრა ბაგრატ მეოთხე.

ძრა მისი ძე.

არამედ — ძის ძე!

ასეთი იყო ფიქრი საქართველოს ბედისწერისა, ანუ გერშო გიორგი ათონელისა.

ვედრება მესამე

და წავიდნენ.

საქართველოდან წავიდნენ ქართველნი.

რა უბრალოდ და მარტივად ითქმის ეს!

ძრადა, მიდიოდნენ: დიდი გიორგი, გიორგი მცირე და ოთხმოცი (თუ — ოთხმოცდაერთი?) ობოლი, უმრავლესობა უთმოითა მამაკაცობისათა.

და კიდევ — მიდიოდა მართა, მეფის ასული, მომავალი მარიამ, დედოფალი ბიზანტიისა.

და ბრწყინვალე ამალა მისი. ამალაში — ბერი პეტრე, პეტრიკ-ყოფილი, და მთავარეპისკოპოსი იოანე ბედიელი. და კონსტანტინოპოლიდან მოვლინებული სინკლიტიკოსი სვინგელოზი.

მცხეთიდაწ (ანუ სვეტიცხოველიდან) კონსტანტინოპოლამდე (ანუ აია სოფიამდე) ოთხმოცდაერთი დღის სავალი გზა ყოო ფეხით მოარული გზის მლეწველისთვის.

ცხენებით და ჯორებით იარეთო, ურჩია მეფემ, მაგრამ არ ინებეს: საქართველოს მიწურულამდის ქართულ მიწაზე მისხეულებით უნდა ვიაროთო, ხოლო ცხენით და დრომონით მერეც მოვესწრებითო, და ვიდოდნენ ქვეითად, უხამლონი, ფეხშიშველნი, ქართულ მიწაზე ხარბი ბიჯებით; ტერფთა გუ-

ლუძღები დაწოლით, ხოლო ოდენ მართა ბატონიშვილი მიჰყავდათ თეთრ ტაიჭზე ამხედრებული.

და გადაიარეს საქართველო, საქართველოზე ფიქრით გულადუღებულებმა და ყელდაჩიხულებმა.

და დაკოცნეს მიწა — ქართული მიწის მიწურულს.

დიდხანს ლოშნიდნენ და კბენდნენ.

(ეს მაშინ ლოთდებიან ქართული მიწის სიყვარულით ქართველები, როცა საქართველოდან გადიან).

ბანაკად დადგნენ, უკანასკნელ ღამის სათევად, უკანასკნელი ქართული მიწის ნატეხზე.

ვედრება მეოთხე

გიორგის კახაი აღარ შორდებოდა და თვითონაც აღარ იშორებდა. ახლაც თავის კარავში დააწვინა, კარებთან ახლოს.

ღამე განზოგადდა.

ათონელს არ დაეძინა.

იმის გამო არ დაეძინა, რომ სხვას ყველას დასძინებოდა.

კიდევ — წინაპართა ძვლების ჟღარუნი არ აძინებდა...

თუ ვისმეს უფიქრია და უანგარიშნია, რამდენი ქართველი არს განწიაღებულ ქართულ მიწაში? და კიდევ — რამდენწი უცხოელი?

უცხოური თესლის და სისხლის სიმძლავრე ქართულ მიწაზე!

ისევ შეუჩნდა და შეუძნდა გიორგის ფიქრში ეს საფიქრალი.

წმინდა სისხლიანი ერი არც არსებობს ქვეყნიერებაზე. ყოველი ერი ოდენ ეროვნულად ნაირგვაროვან სისხლთა ნარევია, თანაც — უმეტეს წილ მტრის სისხლნარევი, ანუ მოსისხლის სისხლიანი. დიადი მოსეც ასეთი იყო. დიდი კიროსიც, დიდი ალექსანდრე მაკედონელიც, და უმრავლესნი ყოველთა „დიდთაგანნი". ასევე ჩვენი მირიანი, ჩვენი ვახტანგ გორგასალი, ჩვენი ბაგრატი და მრავალი „ჩვენი"...

ოჰ, ეს სისხლი...

რაი არს სისხლი?

„სისხლი არს სული... კანონი მეორე სჯულისა, თორმეტი, ოცდასამი"... გაახსენდა და გადათვალა გიორგიმ ფიქრში.

— ხოლო, მე სისხლი მტკივა.

სარეცლიდან წამოაგდო ამ ხმამ გიორგი ათონელი.

კახაი ფეხმორთხმით იჯდა თავის საძინებელზე და მკრთალად იღიმებოდა, სარკმლიდან შემოსული მთვარით პირნაშუქარი.

იგი ქერუბიმს ჰგავდა, ციურ უფლისწულს.

— რა სთქვი შენ, კახაი... და რად არა გძინავს? — აუძიგძიგდა სიტყვა გიორგის.

— არაფერი.

— აკი მტკივაო?

— ეს ისე, იქნებ არც მტკივა.

— მაინც რა უნდა გტკივოდეს, კახაი?

— სისხლის ტკივილი ვიფიქრე მე.

— სისხლი როგორ უნდა გტკიოდეს, შვილო ჩემო?

— ჰო, იქნება არც კი ერქვას ამას ტკივილი.

— მაინც რასა გრძნობ, ანუ როგორ შეიცნობ ტკივილს?

— რაღაც სული მეფრფინვის.

— სული? მერე, აკი სისხლიო?

— სისხლიც და სულიც. აკი შენ თვითონ ბრძანე, ნათელფენილი, სისხლი არს სულიო.

— ჰო, დაღაცათუ სწერია ასე საღვთო წერილში, მაგრამ სისხლის ტკივილი მაინც არასგზით არ შეიგრძნობა.

— არ შეიგრძნობა, მაგრამ შეიცნობა.

— მაინც რარიგად, შე უცნაურო?

— ამ ქვეყნიდან ხომ ადამიანი ისე ვერ წავა, თუ ტკივილმა არ წაიყვანა?

— ალბათ... მართლაც, როცა წასვლაა, ტკივილმა უნდა წაიყვანოს. მაგრამ შენ ხომ არსად არ უნდა წახვიდე. ან რა დროს შენი წასვლაა! — ძლივს მოუყარა სათქმელს თავი გიორგიმ.

— არა, მე წასვლით უეჭველად მივდივარ, დღეს ცხრა მაისია და ვიცი, ამ დღეს გარდუკვეთელად უნდა წავიდე, ვინათგან მეძახიან და უნდა გავყვე იმ ძახილს. ხოლო, გზა ჩემი წასვლისა არის სისხლი, თეთრი სისხლი, და ამიტომ ვფიქრობ, რომ მტკივა იგი, რაკი მივდივარ, იმიტომ უნდა მტკიოდეს სისხლი.

მტკიცე და აღგზნებული ხმით ლაპარაკობდა ბიჭი. გიორგის კი პასუხი ვეღარ ეპოვნა და მხოლოდ ამას ფიქრობდა უსაზღვროდ სულშეძრული:

— აი, თურმე, რატომ მ ე შ ი ნ ო დ ა მე ოთხმოცდამეერთისა!“

„ანუ, რას მიქვია შ ი შ ი?!“

მთვარემ, თითქოს საგულდაგულოდ გაიმძლავრა ნათლის ნიშატი და წადნიერად დაეწაფა თეთრი ყრმის სახეს.

„იგი არს უფლისწული ცისა ზედეთისა!“ — უცებ აეკვიატა და რაღაცის თქმაც დააპირა, რომ კახაიმ დაასწრო:

— ნება მომეცი, მცირე ხნით შენს ღვთაებრივ მკერდს მივეყრდნო, — და პასუხსაც არ დაელოდა, ხელები მოჰხვია კისეოზე მოძღვარს.

— მოდი, შვილო! — უთხრა გიორგიმ, საშინლად აღელვებულმა და მიიკონა და მიისხეულა მკერდზე ცის უფლისწული, რომელსაც საოცრად მხურვალე ჰქონდა სახე.

— მცირე ხანს ვიქნები ასე, მერე აქედანვე წავალ და მაღლა, ღვთის ფერხთით წამოვწვები, — თქვა კახაიმ და მიითლიმა, ნეტარი სახით.

და უკვე გრძნობდა ათონელი, როგორ ნელნელაისად უცივდებოდა სისხლი ციურ უფლისწულს... სისხლი თეთრი...

და იგრძნო გიორგიმ, თვითონაც როგორ უგრილდებოდა საკუთარი სისხლი.

საკუთარი?!

რაი არს საკუთარი?

მე თვითონ კი ვარ საკუთარი, სისხლი რომ იყოს საკუთარი?

ფიქრობდა გიორგი ათონელი მანამდე უფიქრალს. ხოლო, სისხლი კვლავ თავის გზით მიდიოდა, ორივე სისხლი — მოწაფისა და მოძღვრისა.

მოწაფის სისხლი სწრაფად ცივდებოდა.

მოძღვრისა ნელნელაისად გრილდებოდა.

ალბათ, მოწაფის თეთრი სისხლისგან გრილდებოდა...

ანუ — თეთრდებოდა?!

— შვილო კახაი, რას ინატრიდი, მითხარი შვილო!

— რასაც ნატრობდა ჩემი მამა ბრძოლად წასვლის წინ.

— და რას ნატრობდა შენი მამა ბრძოლად წასვლის წინ?

— შენს ბიჭობას მომასწროო, მეუბნებოდა ამ ნატვრას იგი.

— მერე?

— მერე, ის ვერ მოესწრო ჩემს ბიჭობას, და... ვერც მე მოვესწარ.

ბიჭობასო?!

მე კი მოვესწარ ბიჭობას ჩემსას?!.

სულ გაშრობოდა სისხლი გიორგის.

— ღვთაებრივო, მიმღერე რამე! — უცებ სთქვა კახაიმ, თითქოს ღალადისად.

მიმღერეო?!

ამას კი აღარ მოელოდა, სიკვდილის მომლოდინე.

რამდენი ხანი გასულიყო, რაც აღარ ემღერა გიორგის. ოდენ გულში თუ აუმღერდებოდა რაიმე სიმღერა თუ საგალობელი, თავისით თუ აუმღერდებოდა, ხოლო ხმით მხოლოდ ყრმობისას, ფერის ჯოჯიკისძის კარზე თუ უმღერია და მას შემდგომ კიდევ როდის, როდის უნდა ემღერა? ნეტავ ერთი გამახსენოო, ინატრა.

— იქ, ციხეკენ მიმავალ გზაზე მისაგზლე მე შენი სიმღერა! — ისევ გაისმა ხმა ციური უფლისწულისა.

და ანაზდაითად გაიხსნა გიორგი ათონელის სულში „ძელი მწუხრისა“, ჰანგი უხრწნელი, გამონახდომი და გამონახადი ცემისაგან ძელისა ულპოლველისა, ყრმობის ჟამითგან ადევნებული, ვითარცა მარადიულ მაცოცხლებელი და მაარსებელი ბგერა მთელი მისი საწუთისოფლო ცხოვრებისა.

და გაისმა და განიბნა სივრცეში სიმღერა გიორგი ათონელისა, მისი ყრმობის ჟამს დაბადებული და ახლა, სიკვდილის კართან გარდასახული:

ძელი მწუხრისა, ძელი მწუხრისა,
ხმა ზენაარი, ლოცვა უფლისა.
ადგილის დედის ძგერა გულისა,
გოდება ყრმისა, ობოლ სულისა,
საქართველოსთვის დაკარგულისა.

მღეროდა გიორგი ათონელი. მღეროდა. სიმღერას განასრულებდა და უმალვე კვლავ სასიმღეროდ უბრუნდებოდა ნამღერ ლოგოსთა.

უცებ მოიწყვიტა სიმღერა მომღერალმა.

და დააცქერდა კახაის სახეს.

ბოლუწერელ ნეტარებას მოეცვა სახე ციური უფლისწულისა. იგი მკვდარი იყო.

და წამსვე იგრძნო ათონელმა, როგორ გაუწყდა საფეთქელი და გადაიშალა ძარღვი კათოლიკე, რომელიც წაიკითხვოდა, ვითარცა — „კახ“.

მკლავებზე გაისწორა ბიჭი გიორგიმ, წინ გამოიწვართა და გარეთ გამოვიდა.

ახლადნაშობი დილა შემოეგება, ნედლი, გრილი ოხშივრით მსუნთქავი. მზე ჯერ არ ჩანდა (მზეს დაგვიანებით ამოსვლა დასჩემდა, — მას შემდეგ, რაც გიორგიმ იგი დიდგორის მთაზე შეაჩერა). ოდენ ცისკარი დნებოდა ცაზე.

ახლაღა შენიშნა, წინ მისი თანამგზავრი ქართველები იდგნენ, უძრავად ჩაკორომებულნი და კაეშნით სახეშებოჭილნი.

ვერ შეეტყო გიორგის: მისი სიმღერის ხმაზე წამოშლილიყვნენ და მოსულიყვნენ. და აქამდე იდგნენ თურმე მათი მოძღვარის ღამეული სიმღერით და გლოვით ჯადოქმნილნი.

მხოლოდ წუთით მოავლო თვალი გიორგიმ გაოგნებით გათოშილ თანამგზავრთა სახეებს:

აი, მართა ბატონიშვილი;

აი, გიო, ანუ გიორგი მცირე, აი პეტრე, პეტრიკ-ყოფილი, და იოანე ბედიელი.

აი, ოთხმოცი ობოლი ყრმა. სწორედ ოთხმოცი. ოთხი ათეული.

უზედმეტოდ და უნაკლებოდ!

სხვა რაღა არის საჭირო?!

და კვლავ ყველა დაივიწყა, თვინიერ იმ ოთხმოცდამეერთისა.

და მზერით დააკვდა მკვდარ ქერუბიმს.

და ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ არასოდეს ცხოვრებაში ასეთი მშვენიერება არ ეხილა თვალით და არცა წარმოესახა გონებით.

უცებ მკვდარს თვალი მოსწყვიტა გიორგიმ, მზერა ზეცისკენ აირთხა და შესძახა:

— ღმერთო, შენი უღმერთობა მაკვირვებს მე!

უმალვე პასუხად დაიგრიალა ცაზედეთმა:

— მცირედ მორწმუნეო, რაისად შეორგულდი?

გაშრა გიორგი;

ახლა გაახსენდა, რომ ერთხელ კიდევ, ოდესღაც, მოესმა უფლის ეს რისხვეული ძახილი. ჰოო... ყრმობისას... სიზმარი

ტაძრისს... გარდასიტყვება ამა სიტყვისა პირითა ნინო განმანათლებლისა...

გული უცნაურად დაეწურა. მუხლი მოიყარა, კახაი მიწაზე დააწვინა, კაეშნით მოცულ ობოლთა კორომს გაჰხედა და თქვა დაღლილი ხმით:

— ნუ შეორგულდით, რამეთუ ყრმა ესე ღვთაებრივი ახლა იქ განისვენებს, მაღლა, ცაზედეთს, უფლის ფერხთა და თვალთა წინაშე.

ობოლი ყრმანი კი ნახატურივით უძვრელი მზერით ჩასციებოდნენ მოძღვრის სახეს და მკერდს.

და თითონაც დაიხედა მკერდზე გიორგიმ.

დაიხედა და იხილა ფართო ტალღებად აშლილი წვერი... ახლა თეთრი, სავსებით თეთრი, პირველქმნილი და პირველნაშობი თოვლივით სპეტაკი.

და არავის შეეძლო ეაზრა, რამ გაუთეთრა გიორგი ათონელს წვერი ასე სრულქმნილი სითეთრით — ცაზედეთიდან ჩამორისხებულმა უფლის ხმამ, თუ ქერუბიმის მსგავსი კახაის სისხლის სითეთრემ?!

ვედრება მეხუთე

მიწას მიაბარეს კახაი, ქაროული მიწის მიწურულს.

დაკოცნეს მისი სამარის ბორცვი, მიწა — პირველად მზის სინათლეზე ამოტანილი.

მართა ბატონიშვილმა მისი ხელითვე ველად დაკრეფილი ყვავილებით დაფარა იგი.

და წავიდნენ, საქართველოს სამანებს გაცდნენ.

უკვე ცხენებზე ისხდნენ და ზღვისკენ მიდიოდნენ.

იქ ბიზანტიის კეისრისგან გამოგზავნილი დრომონი ელოდათ.

მიდიოდნენ და ყველას თავისთვის უდუღდა გულში ფიქრი, ვითარმედ:

„რა ტკბილი ყოფილხარ შენ, საქართველო! და ეს არ ვიცოდით საქართველოში...“

სანამ ზღვაზე გააღწევდნენ, ერთი ღამე კიდევ უნდა ეთიათ და დადგნენ მიმწუხრისას, რომელიღაც მთის ძირას. კარვები გაშალეს და შეჰყვნენ შიგ ღამეს.

გიორგი მარტო იყო.

კახაის შემდგომ აღარავის აწვენდა თავის კარავში.

ღამე იყო ბერბეცი. არცა ვარსკვლავი, არცა მთვარის ნა-
ლეწი არ იყო ცაზე.

ღამე ბერბეცი კი — აღძრავს საფიქრალს ბერბეცს.

ისევ ეძინა ყველას.

ისევ არ ეძინა გიორგი ათონელს.

ფიქრი არ აძინებდა — ფიქრი რომ ფიქრს ათოვდა...

...დიადი მოსე ოდენ სჯულს როდი ქადაგებდა. არამედ სჯულთან ერთად თავისი ერის ხსნას ქადაგებდა. საკუთარი ერის გარეშე არ იყო სჯული. სჯული იყო ერისმიერი და ერი იყო სჯულისმიერი. ხოლო, პავლე მოციქულმა გვაჩვენა ჩვენ: „არა არს წარმართი და ჰურია, წინდაცუეთილება და წინდა-
უცეთელობა, ბარბაროს, სკვითელ, მონება, აზნაურება, არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე". სწორედ ასე ამბობს იგი კოლასელთა მიმართ ნათქვამსა შინა. და ვიწამეთ ჩვენც, ღმერთია მხედვარ, რამეთუ სჯული ქრისტესი ერთსა სიტყვაში — „მ ო ყ ვ ა ს ი" — სწორპატიობით აწონასწორებს ადამიანთა ყოველ მოდგმას დედამიწაზე.

ღმერთი მოსესი ხალხთა შორის ჰაბირუს მოდგმას აირჩევ-
და, როგორც რჩეულ ერს, ხოლო ქრისტესთვის ყველა ერთია ერთი „მოყვასი" — ჰაბირუელი თუ ეგვიპტელი, ბაბილონელი თუ არამეველი, ბერძენი თუ რომაელი, სკვითი თუ სარმატი, სომეხი თუ ქართველი.

მაშასადამე, არ არიან ერნი ყოველნი, არამედ არიან „მოყ-
ვასნი", ანუ „ძმანი ქრისტემიერნი".

მაგრამ, უფალო, შენგან დღეისდღემდე რომ ყოველი ერი ისევ და ისევ თავისად, ცალკე, გამორჩეულ ერად ირჩევა ყო-
ველი ერი, სიტყვით შენი მიმდევარი, საქმით რომ მაინც მო-
სეს ღმერთს მისდევს დ თავის თავს „რჩეულ ერად" წარმოა-
ჩენს? ყველა ერს რომ ცალკეულად „პირველობა" და „უკე-
თესობა" აუჩემებია? ბერძენი ბერძნობს, რომაელი რომაე-
ლობს, ჰაბირუელი ჰაბირუელობს, სარკინოზი სარკინოზობს, სომეხი სომხობს, რუსი რუსობს, და, ვინც მათ შორის ქრის-
ტიანია, ოდენ ამის შემდგომ „ქრისტიანობს", ოდენ საკუთა-

რი ეროვნულობის წარმოჩენის შემდგომ მიიჩნევს ყოველ სხვა ერს „მოყვასად თვისად“ და „ქრისტემიერ ძმად“.

და ჰქვია ამას ქრისტიანობა?

ანუ, უფალო, ჰქვია ამას შენი მიმდევრობა?

ბოლოს და ბოლოს, ჰქვია თუ არ ჰქვია, ქართველმა რაღა დააშავა? მსაჯე და მისაჯე მე, უფალო ჩემო!

რატომ მაინცა და მაინც ქართველისთვის უნდა იყოს უცილობელი ვალდებულება „ზოგად-მოყვასობა“, ანუ ზოგად „ქრისტესმიერი ძმობა“ და მხოლოდ ამის შემდგომ მისი „ეროვნულობა“, ანუ „ქართველობა“?

მსაჯე და მისაჯე, უფალო, მაგრამ, ამინ გეტყვი შენ: დღემდე არც ერთი ერი არ იმეტებს თავის საკუთარ ეროვნულობას შენი საერთო საკაცობრიო „მოყვასობისთვის“ და „ქრისტესმიერი ძმობისთვის“. და უკეთუ ვინმე იმეტებს, არავინაც ისე არ იმეტებს თავის საკუთარ ეროვნულობას, როგორც ქართველი.

ასე მოსდგამს ქართველის ჯილაგს — უცხოეთის გზით მოსულ ყოველ „ზოგადსაკაცობრიოს“ უნდა შეერთოს და შეეწიროს საკუთარის, „თავის დავიწყებით“.

უცხო მოყვასის სიყვარულმა ქართველს ლამის მტრად მოსული უცხოელისადმი მტრობის უნარიც გამოაცალოს და გამოჰყვეროს...

მსაჯე და მისაჯე მე, უფალო, მსაჯე და მისაჯე!

შენ თავისუფლება მიანიჭე ადამიანის სულს. მაგრამ სული იგი, შენგანვე შიშის კირთებისგან დახსნილი, შენი მოძღვრების აღსასრულებლად კი წარიმართა?!

ვაი, რომ არა, უფალო და მაცხოვარო ჩემო!

ათასზე მეტი წელიწადი გავიდა დედამიწაზე შენი ღვთაებრიობის მოვლინებიდან და, ადამიანი, სიტყვით რომ ქრისტიანობს, საქმით იგი ისევე სძულობს მეორე ადამიანს, როგორც შენამდე.

ისევე ჰკლავს, როგორც შენამდე.

ისევე ქურდობს, როგორც შენამდე.

ისევე ცილს სწამებს, როგორც შენამდე.

ისევე მრუშობს, როგორც შენამდე.

განუწყვეტლივ ქვეყნიერებაზე ვიღაცა ვიღაცაზე იმარ-

ჯვებს. გამარჯვება კი სიძულვილს ჰბადებს, ვინათგან დამარცხებული უბედურია. და ასე განუწყვეტლივ და განიადაგებით ადამიანთა შორის ბატონობს სიძულვილი.

ოო, ქრისტე, იქნებ ადამიანს ქრისტიანობა არც შეუძლია?!

შენ ღვთაება ხარ, ადამიანი კი მაინც ოდენ მოარული თიხა და ფერფლია. და იქნებ თიხამ ღვთაების აზრი ვერ გაიაზრა, ანუ — თუ გაიაზრა, უმწეობამან მისმან ვერ იტვირთა და ვერ განახორციელა?

ჯერ სრულქმნილი ქრისტიანი, თვინიერ შენსა, ოო ქრისტევ, დედამიწაზე არ გამოჩენილა.

მეც უძლური ვარ, ყოვლად უმწეო, ვიტვირთო და სიწრფოებით და სრულქმნილობით აღვასრულო ყოველი მცნებანი შენნი.

მე ქართველი ვარ და ქართველობას ვერ შეველიე, და მხოლოდ ქართველობის სიყვარულით იწყება ჩემი სიყვარული ყოველი ზოგადი მოყვასისა და ქრისტესმიერი ძმისადმი.

მე მძულს, რამეთუ არ ძალმიძს შენდობა საქართველოს სიძულვილისა.

მე ვმტრობ, რამეთუ არ ძალმიძს შენდობა საქართველოს მტრობისა.

მე ქართველი ვარ უწინარესად და სოლომონის იგავით ვამბობ: „რომელნი მე მძულობენ, უყუართ მათ სიკვდილი“;

იქნებ, უფალო, პატარა რომ ვართ, უფრო მეტ სიყვარულს და ყურადღებას მოვითხოვთ შენგან?!

რა გაეწყობა — დიდი ტანისას თავისი სიდიდე იშვიათად გაახსენდება. მცირე ტანისას კი თავისი სიპატარავე ერთის წუთითაც არ ავიწყდება. ამიტომ მას დიდი გული აქვს, მუდამ ვიღაცას ედიდგულება და დიდგულობითა თვისითა უნდა გადაფაროს სიპატარავე თვისი.

ამიტომაა, ღმერთს ყველაზე ხშირად პატარები ახსენებენ, მცირეტანოვანნი ეძებენ, პოულობენ და ეთაყვანებიან ღმერთს, ვინათგან ერთადერთი იმედი და სასოება მათი, ვითარცა მცირეთა და უმწეოთა — არის ღმერთი; ამიტომაა, რომ ყოველი მოძღვრება მესიისა, ღვთაებრივი მეოხისა და მშველელისა, ყოველთვის იბადება მცირე ერებში.

და ამინ გეტყვი შენ, უფალო ჩვენო — ჩვენ მცირენი ვართ

და უმწეონი დიდთა წინაშე და ამიტომაც, გამუდმებით შენზე მლოცველნი, მეტ ყურადღებას მოვითხოვთ შენგან!

აჰა, ესერა, ვთქვი მე სიტყვითა შინამდებარითა, რაიცა ფიქრითა ჩემითა გესმოდა შენ, უფალო ჩემო, და მსაჯე მე ცოდვილი და კაძნიერი...

ცის გრიალმა მოუჭრა სიტყვაც და ფიქრიც ათონელს.

სასჯელს მიგზავნის უფალიო და პირჯვარი ისახა. მერე კერეონი აანთო, ხატის წინ მუხლებზე დადგა და შეუდგა ლოცვას.

„დიდ და საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, მართალ და ჭეშმარიტ არიან გზანი შენნი, მეუფეო წმიდათაო“.

„ვინ არა შეშინდეს, უფალო, და ადიდებდეს სახელსა შენსა? რამეთუ შენ მხოლოი ხარ წმიდა, და ყოველნი მოვიდენ და თაყუანის-გცენ წინაშე შენსა, რამეთუ სიმართლენი შენნი გამოცხადნეს“.

კოკისპირულად დაეშვა წვიმა.

უანგარიშო მეხის წიწილა დააცხრა მიწას.

მეხის წიწილას სატანაც მოჰყვება ჩემდა სასჯელადო, გაუელვა ბერს.

და უმალვე გაისმა:

— გიორგი!

ვედრება მეშვიდე

ქალის ხმა იყო, ქალურად დაძახილი.

შემოტრიალდა, მუხლებზე დაჩოქილი.

მაშინვე წამოვარდა გაკვირვებული.

მის წინ მართა ბატონიშვილი იდგა.

— მართა?!

— ჰო, მე ვარ.

— რაისად მოხვედ შენ?

— ჩემთან შიში და სიცივე დადგა.

— მერე, მეოხად შენდა ყოველ განსაცდელს შენთან არს ღმერთი.

— ყველაზე მძლავრად შენთან არს იგი, და მე მოველ შენთან.

— გაბრუნდი უკან, შვილო ჩემო, და მე ვილოცებ შენთვის.

— მე უნდა დავრჩე!

— ?!

— სამუდამოდ უნდა დავრჩე! — ჟინით აღსავსე ხმით გაიმეორა ქალმა.

— მე შენ მსოფლიო ტახტის პატარძლად მიმყავხარ, მართა.

— არა, არ მინდა მე არარა პატარძლობა და არარა დედოფლობა, — მე შენთან უნდა წამოვიდე!

— სად, შვილო ჩემო?!

— არ ვიცი, სად. ათონის მთაზე, შავ მთაზე, სინას მთაზე, თუ ეშმაკის მთაზე, სულ ერთია, იქ სადაც შენ იქნები! — უკვე ძარღვებგანრღვეული და ცახცახით ატანილი ამბობდა ქალი.

— გონს მოეგე, და ნუ სცოდავ, მართა! — მკაცრად შესძახა გიორგიმ.

— გონიც შენთან არს ჩემი და სულიც შენთანა! — მიაგება ქალმა და გაექანა მისკენ.

— შესდექ, ცოდვილო! — იღმუვლა გიორგიმ, სასთუხალს ხელი მოავლო და იელვა ხმალმა.

ქალი წამით გახევდა.

— განვედ, სატანა! — სიტყვა მოუნაცვლა ბერმა ხმალშემართულმა.

— აჰა, დამკარი! — შესძახა ქალმა, მუხლებზე დაეცა და მკერდი მოიშიშვლა.

უეცრად ქალის მკერდიდან ავარდნილმა სინათლემ წაართვა ნათლის მკრთომელობა კერეონსაც და ხმალსაც.

მაშინ გიორგიმ, წამით რეტდასხმულმა, ორივე ხელით ასწია ხმალი და ზედ თვალებზე დაიდო პირით.

— უკეთუ არ განმეტევები, წამსვე მიხილავ თვალებშემუსვრილს!

შეძრწუნებული წამოდგა ქალი. მკერდი შეიკრა და თქვა დაღლილად:

— სულ ერთია, მაინც მონაზვნად აღვიკვეცები!

გიორგიმ სასთუნალზე დააგდო ხმალი (ანუ ხმლის ნატეხი, იერუსალიმით ევლოგიად წამოღებული).

— ყური მიგდე, მართა, მონაზვნობაც, ბერობაც და ერო-

ბაც ჩვენ ყველას ერთად დაბადებითვე საქართველოს სა-
კურთხევლისთვის მიგვიძღვნია და შეგვიწირნია. სწორედ სა-
ქართველოს ეტლისმწყობელმა შენი ცხოვრება ოდენ საერო
გზით უნდა ატაროს. შენმა ღვთაებრივმა სიმშვენიერემ განსაზ-
ღვრა და გაარიგა ასე. შენმა მშვენიერებამ-მეთქი უნდა განუ-
მტკიცოს შენსავ სამშობლოს მუდამ შლამსა და ქვიშაზე
მდგარი მშვიდობიანობა ეჭვებით დაღრღნილ კონსტანტინო-
პოლის სასახლესთან. სწორედ შენ უნდა ათქმევინო ქართ-
ველსაც და ბიზანტიელსაც: „მშვენიერებამან და მშვიდობამან
პირსა იკოცნეს".

ქალი ისმენდა, უძრავად მდგარი. თუმცაღა მის მტკნარ სა-
ხეზე აღარც ის წაიკითხვოდა, ისმენდა თუ არა მესიტყვის
სიტყვას.

— მაშ, მე მსხვერპლი ვარ, არა? — იკითხა ბოლოს, თით-
ქოს სხვისი ხმით.

— ჰო, მსხვერპლი ხარ, მსხვერპლი საქართველოსი! —
თითქოს საშველი იპოვაო, ნასწრაფევად მიურთო ათო-
ნელმა.

— რა უმწეოა შენი სიტყვები, სიტყვის მეუფე მთაწმიხ-
დელო! — მწარე სიცილით თქვა მართამ.

ეს რომ ისმინა, საოცრად დიადი ეჩვენა მართა ახლა გი-
ორგის — ანგელოსებრ დიადი, პირითა, „ვითარცა მზე" და
ტანითა, „ვითარცა სუეტი ცეცხლისა".

ხოლო, თვითონ... თვითონ, თითქოს დაპატარავდა, ტანში
შეჭმული.

და გაუელვა: „რაღაც კიდევ ფერს კარგავს და თეთრდება
ჩემში, ჩემი სიბერის მაუწყებელი... და რა მითეთრდება...
სისხლი?!" და კახაი გაახსენდა.

ისევ ქალისკენ გაიხედა.

და ვეღარ იხილა ქალი იგი.

გაოცდა და გაშეთდა გიორგი.

ასე წამიერ გაფიქრებაში როგორ გასხლტა და გაუჩინარ-
და მართა მისი თვალსამზირიდან?!

იქნებ, ძრც მოსულა იგი და ოდენ მოჩვენება იყო მისი
მოსვლაც, მისი სიტყვაც, მასთან გასიტყვებაც და მისი გაუ-
ჩინარებაც?!

„რამეთუ არიან სულნიცა საეშმაკონი, მოქმედნი სასწა-
ულთანი",

„უფალო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო, გულთა ჩვენთა და თირკმელთა ჩვენთა გამომეძიებელო, ნუ დამიტევებ ძე, უმწეოსა და მხოლოოსა!“

უსაზღვრო დაქანცულობამ მოიცვა მისი სხეული.

ვერ უძლო და უძლოოდ მიწვა სასთუნალსა.

მიწვა და მიითლიმა.

„ჰე, უფალო ღმერთო, მართალ და ჭეშმარიტ არიან სასჯელნი შენნი!“

ცა კი ისევ განიადაგებით უშენდა დედამიწას მეხის წიწილას.

ღამე დაბერდა.

(ღამეებმა დღეებს რიცხვით ხომ არ გადააჭარბეს?).

ვედრება მერვე

აგერ როდის, როგორც იქნა, გათენდა.

ტაროსი გამოცვლილიყო.

ცას მოეწმინდა.

მზემ კი ისევ დააგვიანა ამოსვლა. თითქოს აჰრეოდა მოძრაობის განწესება მზეს მას შემდგომ, გიორგი ათონელმა რომ შეაყენა იგი მთასა დიდგორისასა, დღესა თვალშვენიერ არსუკისძის დაკრძალვისასა.

ფეხზე დააყენა გიორგიმ ბანაკი და გამგზავრების სამზადისი ბრძანა.

კიდევაც ეწადნიერებოდა და კიდევაც ეკრძალებოდა შეხვედრა მართა ბატონიშვილთან.

მაგრამ, აი, თვითონ მივიდა მასთან მართა, როგორც სჩვეოდა, მივიდა, ხელზე ემთხვია და სთხოვა კურთხევა.

გიორგიმაც ჩვეულებრივ აკურთხა მართა, აკურთხა და შუბლზე ეამბორა.

და შუბლი ქალისა გრილი ეჩვენა გიორგის.

ქალს კი ცხელი ეჩვენა ტუჩები ბერისა.

და მაინც ვერ ირწმუნა ჭეშმარიტება გიორგიმ — ცხადი იყო, თუ მოჩვენება მართა ბატონიშვილის გამოცხადება მის კარავში ამ წამებულ ღამეს...

ამხედრდნენ და განაგრძეს გზა.

სწრაფად ვიდოდნენ და გლეხის სადილობისას უკვე ზღვაზე იყვნენ.

იქ კეისრის დრომონი ელოდათ, ქართველი საპატარძლოსა და მისი მხლებლებისათვის, წითელ ჯუბაჩიანი, საომრად შეჭურვილი საპატიო კენტურიით დაცული და დამშვენებული.

ჩასხდნენ ქართველები და გავიდნენ ზღვაზე. ბოსფორიც მშვიდობიანად გასცურეს და კონსტანტინოპოლს მივიდნენ.

საზეიმოდ მორთული და მოდარბაზული შემოეგება მსოფლიოს სატახტო აღმოსავლელ საპატარძლოს და მის ამალას. ასე იყო და ასე გრძელდებოდა: ქართველთა გამოცხადებას გამორჩეული ცნობისმოყვარეობითა და წადნიერებით ხვდებოდა ჰიპი დედამიწისა.

ოქროს რქიდან საღვთო კონსისტორიონამდე ქუჩებში ტევა აღარ იყო. ყველას ჰსურდა ეხილა იმპერიის ახალი საპატარძლო, რომელსაც სიმშვენიერით მანამდე უსმინარი სახელი დაეგდო ქვეყანაზე. მართლა რა საოცრება ყოფილა საქართველოს მეფის ასული. ასეთი სასძლო ჴეშმარიტად ჯერ არ მოსწრებია კონსტანტინოპოლის სასახლესო, იძახდა ხალხი მართას შემხვედრი და შემხედვარე.

მართა კი ამაყად და, თითქოს გულგრილად, არვის მხედვარედ მიაბიჯებდა, ოღონდ ჟამჟამად მთხოვართა და უპოვართა მოიძიებდა თვალით და მოისროდა მათკენ ფლურსა ვერცხლისას თუ ოქროისას.

ხოლო, გიორგი ათონელი? აჰა, ესერა, მშვენება ქართველთა! როგორ გათეთრებულა გიორგი! ნუთუ დაბერდა დრო-ჟამისგან უხრწნელი და უბერებელი მთაწმიდელი?!

კავკასიონს დამსგავსებია გიორგი ქართველი, მთასა ქართულსა, თეთრად მოსილს, ტანურღვეველს და ცაზედეთზე მოიერიშეს.

ხოლო, ესე ყრმათა ლაშქარი?

საით მიუძღვის გიორგი ათონელი ამ ოთხმოც მგლის ლეკვს თუ ციურ ქერუბიმს?

როგორ მოდიან, არვის მხედვარნი!

ზრდაუმწიფარნი და იერმოწიფულნი!

უზაკველნი და მზერაგაუტეხელნი!..

საგანგებოდ გაწყობილ ქსენოდოქსში მიიყვანეს და დააბინავეს ქართველები.

მეორე დღეს „აღუწოდა და აღიყვანა“ საღვთო კონსისტორიონში იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ ქართველნი, თვინიერ ყრმათა ობოლთა.

ჯერ სვინგელოზმა გიორგი ათონელი, იოანე ბედიელი და პეტრე ბერი შეიყვანა და წარუდგინა იმპერატორს სატახტოში.

წინ გავიდა გიორგი, მიეახლა კეისარს „წესისაებრ სამეუფოისა, თაყვანი სცა, ქებაი შეასხა და ლოცვაი და კურთხევაი მიუძღვნა“.

გაჰკვირდა კონსტანტინე კეისარი, ასეთი ღმრთივსულიერი სახე კაცისა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო, გადაულაპარაკა გარს მომდგარ სინკლიტიკოსებს. სიტყვა როგორი ჰქონიაო, დაბალხმოვანი, ამოდსასმენი და მკვირცხედ შესაგონებელი. მერე პეტრეს და იოანეს მიუბრუნდა და უთხრა მათ სახეგაბრწყინებულმა:

— მადლიერ ვარ უფლისა ბაგრატ მეფისა, რომელმაც მე გამომიგზავნა ესევითარი კაცი, ანგელოზთა მიმსგავსებული კაცი, რომელიც თუმცა ნათესავით ქართველი არს, მაგრამ ენითა და წესითა ყოვლითა ჩვენებურით არს შემოსილი.

ისევ დაეწურა გული გიორგი ათონელს: ვაი შენ, უბედურო ნათესავო ქართველო!..

პეტრე ბერი კი უკვე ბაგრატ მეფის წერილს უკითხავდა კეისარს: „გიხაროდენ, ჰოი ღმრთისმოყვარეო მეფეო, რამეთუ წარმომივლენიეს წინაშე მეფობისა შენისა კაცი, მიმსგავსებული უსხეულო ანგელოზთაი, და მოძღვარი ჩვენი ყოველთაი. ეგრეთ შეიწყნარე, ვითარცა შენის მეფობასა შენსა, რომლისა ლოცვითა დაამყარეს ღმერთმან ყოვლისა ზოფლისა მპყრობელი წმიდაი მეფობაი შენი!“

კვლავ უაღრეს გაიხარა ბასილევსმა ქართველთა მეფის წერილით. მაშინვე ისევ გიორგის საოცარ სახეს მიაშტერდა და უთხრა ნასწრაფევად:

— ბრძანე, წმიდაო მამაო, და რაიცა ინებო, ჩემმა ხელწიფობამ მყისვე აღგისრულოს სიხარულითა და წადნიერებითა!

გიორგიმ თავი დაუკრა სამადლობლოდ, ხოლო სიტყვით არარაი თქვა.

რა იცოდა კეისარმა კონსტანტინე დუკამ, ანუ რომელა-მემ იქ დამსწრეთაგან, რომ გიორგი ათონელს საამქვეყნიოდ ოდენ საქართველოსა და ქართველობის გადარჩენისა და ამაღლების გარდა საზრუნავად სხვა აღარაფერი შემორჩენოდა. ხოლო ქართველობისთვის ზრუნვა, ღმერთის გარდა, რომელი მიწიერისთვის უნდა ეთხოვა ათონელს?..

უხერხული დუმილი იწვა.

და ბრძანა მაშინ კეისარმა:

— იქნებ, დადგა დრო, რამეთუ ვიხილო მე ჩემი ქართველი საპატარძლო?

მაშინვე ნიშანი მისცა სვინგელოზმა.

კარი გაიღო და მართა შემოვიდა.

გაოცებით დაიგმინა და დადუმდა სატახტო დარბაზი.

კეისარი კონსტანტინე დუკა სილამაზის თავდავიწყებით მაძიებელი და დამფასებელი იყო, მაგრამ ასეთი მშვენიერება თავის დღეში არ ენახა გვირგვინოსანს.

აღარ იცოდა, რა ექნა სიხარულით აფოფინებულს.

იყვირა, მიქაელი მომგვარეთო და, სანამ უფლისწული მოვიდოდა, ჯერ მოეხვია და დაკოცნა სასძლო, მერე გარშემო უარა და ათვალიერა მესაქონლე ფერეზიკივით.

სასიძოც შემოვიდა. სასახლის ყვერულებმა შემოიყვანეს.

იგი ექვსი წლის იყო, საცოლეზე ორტოლ უმრწემესი.

— აი, შენი ცოლი და ავგუსტა! — მიახარა მამამ ძეს თვისას, მართასკენ ხელი გაიშვირა და დასძინა:

— სახელი მისი — მარიამ!

აჰხედა ქალს ყრმა უფლისწულმა.

პირი მოერღვა და სახე გაულენჩდა.

— მიდი, ახლოს მიდი! — მიაყვირა შვილს კეისარმა.

თვითონ ვერ მივიდა, მაგრამ მიიყვანეს ყვერულებმა საქმრო საცოლესთან.

თვალი კი მაინც ვეღარ მოეწყვიტა უფლისწულს ქალის სახისთვის. ლამის კისერი გადასწყდომოდა ქვემოდან ზემოთ მაცქერალს.

წელიწდე ძლივს წვდებოდა იგი ქალს.

— აკოცეთ, აკოცეთ ერთმანეთს! — ბრძანა კეისარმა.

და მაშინ მართაყოფილმა, აწ მარიამმა, პირველად შეჰხედა გიორგი ათონელს.

თვალი გააყოლა კეისარმა ქალის თვალს, და გულდანდობილი ღიმილით მიაძახა გიორგის:

— მიეცი ნება, წმიდაო მოძღვარო, მოწაფესა შენსა, მიეცი ნება!

— ამბორ-ჰყავ, შვილო ჩემო, — მოჰკვეთა გიორგიმ და თვითონაც, რეცა, გული დაეკვეთა.

უსაშველო წყენამ გადაუელვა სახეზე მარიამს (წყენა, რომლის შემჩნევა ოდენ გიორგი ათონელს შეეძლო).

და დაჰხედა საცოლემ საქმროს.

ტუჩაშვერილი უცდიდა მიქაელ უფლისწული ზემოდან წამომართულ ანგელოზს.

და ბიზანტიის მომავალმა დედოფალმა მომავალ იმპერატორს ოდენ თავზე დაადო ხელი.

და ქალმა უმალვე იგრძნო, რომ მის მომავალ ქმარს მარჯვნივ შეტყულეჟილი ცალაყუა თავი ჰქონდა.

ვედრება მეათე

ამ დროს სქიზმა, ანუ განხეთქილება და განყოფა კონსტანტინეპოლისა და რომის ეკლესიათა შორის კარგა ხნის მომხდარი ამბავი იყო.

საქართველოში გიორგი ათონელის წასვლამდეც, კონსტანტინე მონომახოსის კეისრობის ჟამსაც, დაწყებული იყო ბრძოლა იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ საეკლესიო საჭეთმპყრობელობათა შორის. მონომახოსის დროსვე ორივე საჭეთმპყრობელმა, რომის პაპმა ლეო მეცხრემ და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მიქაელ კირულარიოსმა ერთმანეთი ანათემას მისცეს, მიმდევრებიც და თანამდგომელნიც, ვითარცა მწვალებელ-ერეტიკოსნი, ერთმანეთს დაუწყევლეს და ამით სამომავლოდ შერიგებისა და საქრისტიანო სულის კვლავ გამთლიანების იმედიც სამუდამოდ გამოეშალა მსოფლიო ქრისტიანულ იმპერიას.

და იყვნენ განკერძოებულ — რომის პაპი, ვითარცა უფლისგან „კათოლიკე", გინა „მთავარი", გინა თავადი ყოველი ქრისტიანობისა, და — კონსტანტინოპოლის პატრიარქი, გი-

თარცა მწყემსმთავარი „ორთოდოქსალური“, გინა „მართლ-მადიდებლური“ ქრისტიანობისა.

და გრძელდებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ქრისტიანთა შორის ურთიერთგმობა, ურთიერთწყეველა, ურთიერთშეჩვენება...

...და მოხდა ისე, რომ მარიამ მართა-ყოფილის საპატარძლოდ დაწინდვის მეორე დღეს იმპერატორმა კვლავ მიიწვია გიორგი ათონელი, ამჯერად მაგნავრაში.

ჭადრების ხეივანში ისხდნენ. შუაზედ იმპერატორი იჯდა, მარჯვნივ და მარცხნივ სამღვდელონი ჩარიგებულიყვნენ. სამი კათოლიკე პატრი შეიცნო მათ შორის გიორგიმ. მაშინვე ააზრა: ისე კათოლიკობა და ორთოდოქსალობა ეჭიდება და ეჭმება ერთმანეთს, მაგრამ მე რაღაისთვისღა მიხმესო, ჰკვირობდა გიორგი.

დიდის წადნიერებით კი შეხვდნენ ახალმოსულს.

იმპერატორმა გვერდით დაისვა იგი და კვლავ მიუბრუნდა დანარჩენებს, აი კაცი ღვთისნიერი, რომლის სიტყვა და აზრი იქნებ უფრო შესასმინარი და შესაგნებელი აღმოჩნდეს ჩვენთვის, ერთმანეთის შეუსმინართათვისო.

მაგრამ, სანამ რომის კათოლიკეთა და ბერძენთა მართლმადიდებლობაზე გვეტყოდე — მანამ ის გვითხარ, ქართველთა და ბერძენთა ქრისტიანობას შორის თუ არის რაიმე განსხვავებაო.

ისევ აემღვრა ხასიათი გიორგის, მაგრამ ისევ არ შეიმჩნია და უპასუხა სრულიად მშვიდად: განსხვავება ის არის, რომ ჩვენი, ქართველების მართლმადიდებლობა უფრო მტკიცეა, ვიდრე თქვენი, ბერძნებისო.

როგორ თუ ქართული ბერძნულზე უფრო მტკიცეაო?! — იტკიცეს ბერძენმა სწავლულებმა.

— როგორ და, ჩვენ რაიც თავიდან მიგვიღია და გვიცვნია ქრისტიანობა, მის შემდგომ მისთვის ოდნავადაც აღარ გვიღალატნია, არასოდეს არ მივდრეკილვართ არც მარცხნივ, არც მარჯვნივ. და არც მივდრეკებით, უფლისა ნებით, — მტკიცედ თქვა ქართველმა და თან ისე გადახედა ბერძნებს, თუ საჭირო იქნება, განვაგრძობ და აქვე გადმოგილაგებ ყოველ მიდრეკ-მოდრეკას და გადახვევ-გადმოხვევას, რაიც ბერძნულ მართლმადიდებლობას დამართნია დასაბამითგან მოაქამდეო.

მაგრამ ბერძენ ღვთისმეტყველთ ალარ უცდიათ საცილობელი პასუხის გაცემა, ხოლო კეისარმა მაშინვე ირწმუნა გიორგის ნათქვამი და გაჰკვირდა ქართველთა სარწმუნოების აგრე ხანგრძლივად უცვლელობისა და ურყეველობისათვის;

და მაშინვე გადაბა ახალი სათქმელი გვირგვინოსანმა:

— მადლი ღმერთსა, ეგზომ უადრეს საგულისხმონი რომ შევიტყვე ნათესავთათვის ქართველთა. გარნა, პატიოსანო მამაო, მე კაცი ვარ სამხედრო საქმეთა შინა აღზრდილი და მეცნიერებისა წვლილად ყველაფერი ვერ მიცნობიეს. ხოლო აწ ვინათგან კვერთხი მეფობისა ხელთ მიპყრიეს, მნებავს, რათა ყოველივე ვიცოდე, რაიც საცილო გამხდარა ბერძენთა და ჰრომაელთ შორის. მართლმადიდებლობა პირველ ყოვლისა სწორედ მეფეთაგან იძიების. და გვაუწყე, პატიოსანო მამაო, ვითარ არს ესე, რომ ჩვენ, ბერძნები და ქართველები მფუვანი პურითა ვწირავთ და ზედაშესაც წყალს ვურევთ, ხოლო ჰრომაელნი უფუვარი ხმიადითა და ურწყოითა ზედაშითა წირვენ? ფრიად უცხო მიჩანს ესე საქმე და ურთიერთარს წინააღმდგომ. ანუ რა ძალა აქვს პურის ცომსა და მასთან შერეულ მარილსა, ან წყალს რომელსაც ვურევთ ზედაშესა? განგვიმარტე და გულისხმა გვიყავ, წმიდა მამაო!

და მაშინვე გიორგიმ მიუგო, ვითარმედ:

— ჰოი მეფეო, ვინაითგან ბერძენთა შორის მრავალი წვალება შემოვიდა, მრავალგზის მიდრკეს ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ, ამისთვის წინარე თქვენებრ ღმრთისმსახურმა კეისრებმა და ბასილევსებმა შეკრიბეს წმინდანი საეკლესიო კრებანი, წვლილად გამოიძიეს განგებულებანი ქრისტესი, ღმერთისა ჩვენისა, და გამოძიებით დააწესეს, რათა ქრისტეს ხორცის განსახებად მოვიღებდეთ მფუვანსა პურსა, ხოლო, ქრისტეს გონების განსახებად — მარილსა, და კიდევ, ზედაშე ღვინოში წყლის შერევა დაწესდა იმად, რომ ქრისტეს ჯვარცმულსა ლახვარნაკრავი გვერდიდან სისხლი და წყალი გარდმოსდინდა. რაც შეეხება ჰრომაელთა, იმათ დასაბამითგან რომ ღმერთი ერთხელვე იცნეს, მას შემდგომ აღარასოდეს აღარც მწვალებლობა, აღარც მიდრეკა და გადახვევა რაიმე სარწმუნოებაში აღარ ჰქონიათ. ყველამ იცით განშვენებულად, ღამესა მას სერობისასა უფალმა ჩვენმა იესომ ტუსისხლო მსხვერპლი მისცა თავის მოწაფეებს და, აგრევე მიბაძ-

ვითა უფლისაითა, მოციქულმა პეტრემ, თავადმან რომის ეკლესიისამან, პირველმა შესწირა მსხვერპლი უსისხლო. და მას შემდგომ ასევე უცვლელად მისდევენ ჰრომაელნი პეტრეს წესთა და სარწმუნოებას.

მცირე ხნით შედგა და ისევ განაგრძო ათონელმა:

— ასეთად მიუღიათ თავთავის სახე ბერძნულ მართლმადიდებლობას და ჰრომაულ კათოლიკობას. მაგრამ, ხელმწიფეო, და ძმანო ჩემნო, განა ყოველივე ეს ჰღირს განხეთქილებად და განყოფილებად? განა, მთავარი ის არ არის, რომ ყოველი ქრისტიანი ქრისტიანია? მაგრამ ვაი, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ქრისტიანთა მტრობის ჭეშმარიტი მიზეზი მართლა ის როდი გახლავთ, ვინ ზიარებისას მფუვან პურსა სჭამს თუ უფუვარს, მარილიანს თუ უმარილოს, ან ზედაშედ სუფთა ღვინოს დალევს თუ წყალგარეულს! ჭეშმარიტი უბედურება და უბედური ჭეშმარიტება ისევ და ისევ ოდენ მიწიერი ამაოებისათვის ბრძოლაა და სხვა არაფერი. ბრძოლა იმისათვის, თუ ვინ იბატონოს ქრისტიანულ სამყაროსა ზედა — კონსტანტინოპოლმა, თუ ჰრომმა. რომლის სამწყსომ რომლისას უნდა აჯობოს, მეტი სიმდიდრე და მეტი პატივი მოიხვეჭოს, რომელმა რომელი დასჩაგროს. და უკეთუ ეს ასე არ არის, გაცვალონ საჭეთმპყრობელობა რომაელმა და კონსტანტინოპოლელმა მწყემსმთავრებმა და მაშინვე დაინახავთ, რომ სარწმუნოება როდი ყოფილა მათთვის მთავარი. გაცვლისთანავე დღევანდელი ორთოდოქსალი ხვალ კათოლიკე გახდება და პირიქით — კათოლიკე ორთოდოქსალად გადაიქცევა.

— და დასასრულ ამად ვამბობ მე სიტყვასა საწუხარსა და საგლოველსა, ქრისტიანენო, ძალგიძთ კია, იყოთ ჭეშმარიტი ქრისტიანენი? ჭეშმარიტი-მეთქი! ან იქნებ, ადამიანს არც შესწევს ძალა ქრისტიანობისა?!

სიტყვა გაათავა და დუმილი გააჩინა ათონელმა მაგნაერის ჭადართა ხეივანში.

და დატოვა ბერძენნი და რომაელნი ნავთსადგურსა დუმილისასა და წამოვიდა.

და მივიდა ისევ თავის ობლებთან, ისევ მათ სამოძღვროდ, სასწავლოდ, საწურთნელად.

დღის დასასრულს რომაელი პატრები ეწვივნენ და ეკჯნენ, რომში უნდა წაგიყვანოთო, პაპის წინაშე წარგადგინოთ და იქ უნდა გალაპარაკოთ შენის ღმრთივსასწაულის ენითა და სიტყვითაო.

ფიცხელი უარი უთხრა გიორგიმ. მე უფრო დიდი გზა მელის გასავლელი, და რომს წასასვლელად დრო არ დამრჩებაო.

ასეთი რა გზა აგირჩევიაო, იკითხეს რომაელთა.

მე არ ამირჩევია, უფალს აურჩევიაო, უპასუხა გიორგიმ და ამით რომაელებთან სიტყვათგებასაც მორჩა.

იმ დღეს კიდევ ათონიდან ივერონის მამასახლისი ჩამოსულიყო, „კაცი საჩიერი და წრფელი“. მივიდა, ხელები დაუამბორა გიორგის და შეჰღაღადა:

— კურთხეულ არს ღმერთი, კეთილად მოგიძღვა უფალი! აჰა ესერა, მონასტერი შენი წინაშე არს შენსა!

მონასტერს და სათვისტომოს ისევ შენ უნდა მოუაროო, ხოლო მე დიდი გზა მიძევს წინ გასავლელადო.

გაჰკვირდა წინამძღვარი ივერონისა, რა გზას გულისხმობს მოძღვარი ჩვენიო, მაგრამ კითხვის შებრუნება ვეღარც იმან შეუბედა.

მესამედ კიდევ მიიწოდა თვისთან კონსტანტინე დუკამ გიორგი ათონელი. ისევ დაისვა გვერდით და უთხრა ისევ პირველ შეხვედრისას ნათქვამი:

— რაიცა საურავი და საქმე შენი არს, მითხარი და ყოველსავე აღგისრულებს კეისრობა და ბასილევსობა ჩემი.

— საურავად და საზრუნავად მე ის ოთხმოცი ობოლი ყრმა დამრჩენიაო, საქართველოდან რომ წამოვიყვანე მე ცოდვილმა, — მცირე ფიქრის შემდგომ უპასუხა გიორგიმ.

— მერე, მაჩვენე ეგ შენი ობლები, რათა მივხედო მათ წყალობით, — ბრძანა კეისარმა.

მადლი მოახსენა გიორგიმ, ბავშვებს გავამზადებო, პიტაკს მოგართმევთო და გაგვაპატიოსნეთ თქვენის მობრძანებითო, უთხრა და დაემშვიდობა იმპერატორს.

მომდევნო დღე, ივნისის ოცდაოთხი, იოანე ნათლისმცემლის დაბადების დღე იყო და ასტუდიას წაიყვანა ქართველები გიორგი ათონელმა. ფეხით მივიდნენ, ფეხშიშველნი. მივიდნენ, ემთხვივნენ თავსა ქრისტეს წინამორბედისასა, ეზიარნენ ქრისტეს ცხოველმყოფელ საიდუმლოთა და დაბრუნდნენ უკან, ქსერლოფად, სადაც მაშინ იდგნენ ქართველნი მეტოქად.

გზაზედ რომ მოდიოდნენ, ათონელმა გიო გაიმარტოხელა და უთხრა ხმითა დაბლითა:

— მე ვიცი, შენი უღირსი მოძღვრის ცხოვრებას წერ შენ.

— ნათელფენილო... დააპირა შესიტყვება გიორგი მცირემ, მაგრამ არ დაანება გიორგი უფროსმა.

— ვიცი-მეთქი და ხელს ნუ შემიშლი! დაწერე, ოღონდ ისეთ რაიმეს ნუ გაიხსენებ, რაიც მომავალ ქართველს გულს ატკენს და მომავალ მტერს გულს აუყვავებს. ნუ დაწერ, როგორ მოჰკვეთეს მკლავი ქართველებმა ყველაზედ დიდ თანაქართველს. ნუ დაწერ ღალატს, თანასისხლიერის შურისა და სიძულვილის საძირეზე დამყნილს. ნუ დაწერ, რომ ქართველს ქართველის სიყვარული არ მოენატრება, ქართველს უცხოს სიყვარული რომ არ მოყირჭდება. ნუ დაწერ ღალატს ყვავილობას, ღალატის ბარტყობას, ღალატზე ნერწყვმორეულობას. სიყვარული გაამძლავრე. წკენტი რძესავით რომ ძლივს ვიდოდეს, მაინც განგებისად გაამძლავრე დინება სიყვარულისა.

მოიდრიკა ოდრიკლად გიო, ორივე ხელით უპყრა მარჯვენა მოძღვარს და ემთხვია მხურვალედ.

და, უცებ, სწორედ მხურვალებამ უკუაგდო ზარდაცემული.

თითქოს ცეცხლი ეკიდა მარჯვენაზე ათონელს.

— რაისაგან მხურვალებაი ესე, ნათელფენილო? — მშფოთვარედ ჰკითხა გიორგი მცირემ.

— ჩუმად, გიო, ობლები ახ შემიშინო, ნურც შენ შეშინდები, ალბათ გზამ დამცადა და მხურვალებაიც ამისგან არს, — თქვა ათონელმა და მსწრაფად განაგრძო გზა.

მივიდნენ თუ არა ქსერლოფს, მაშინვე უბრძანა ახლო თანამდგომთა:

— შეეკაზმენით და ობოლნი გაიყვანეთ ფილოპატს, სადაც დღესვე უნდა შევხვდეთ კეისარს.

— დღეს დარჩეს ასე და ხვალ შევხვდეთ კეისარს, — რიდით სთქვა გიორგი მცირემ, რომელსაც ფრიად აფიქრებდა უქეიფობა მოძღვრისა.

— ჰო, ხვალე, ხვალე სჯობს, — წამოეშველნენ მთქმელს დანარჩენნი.

მწარე ღიმილმა გადაურბინა სახეზე ათონელს.

— უკეთუ დღეს არ შევხვდებით კეისარსა, ხვალე ჩვენს ხელთ აღარ იქნება.

სთქვა და დარჩა სხვათათვის სიტყვა ესე გაუგებარი და განუმარტებელი. ყველამ თურმე ასე გაიგო — ხვალე კეისრის ნახვა აღარ იქნება ჩვენს ხელშიო. არადა, ათონელი რასაც ამბობდა, თურმე იმასვე გულისხმობდა — ხვალ თვითონ ხვალე აღარ იქნება ჩვენს ხელშიო.

გამოვიდა და თვითონ შეჯდა ჯორზე, სხვისგან მიუშველებლად და ხელმიუკარებლად. სხვებიც ამხედრდნენ. ობლები წინ წაიმძღვარეს და ფილოპატისკენ წარემართნენ.

მივიდნენ, დადგნენ და აცნობეს კეისარს მოსვლა თვისი.

ვედრება მეთორმეტე

ძალიან მალე მოვიდა კეისარი კონსტანტინე დუკა, სამივე ძე მოიყვანა — მიქაელი, ანდრონიკე და კონსტანტინე.

ამალაც ახლდა, ამალაში კიდევ — რომაელნი და სომეხი მწყემსთავარი გაგიკ კარელი.

თაყვანი სცეს ქართველებმა ხელმწიფეს და ხელმწიფისშვილებს.

ერთხანს უცქირა კეისარმა გაოცებით ქართველ ობლებს, მერე ათონელს მიუბრუნდა და უთხრა თავაზით:

— დიდი და მაღალი საქმე გიქმნიეს, ჰოი ნეტარო, ისეთი საქმე, რომლის შემძლებელი სხვა ერთიც არვინ მოიძებნებოდა ამა ჟამსა შინა.

მაშინ გიორგიმ წინასწარ დაწერილი პატაკი მიართვა კონსტანტინეს და თან უთხრა:

— წმიდაო მეფეო, ეს ობოლნი აღმოსავლეთში, საქართველოში შემოკრებია, ღმრთის სახელი დამისწავლებია და აწ შენი ხელმწიფობის წინაშე მომიყვანია. და როგორც საჭიროდ

სცნოთ, ისე გაზარდეთ და შეიწყალეთ მლოცველად სულისა თქვენისა და შვილთა თქვეხთა მხეგრძელობისათვის. მაშ, ობოლთა ჩემთა შევჰვედრებ ჯერეთ ღმერთსა და მას შემდგომ თქვენს ღვთაებრივ ხელმწიფობასა.

— მადლი მომიხსენებია, პატიოსანო მამაო, ნდობისა და სიყვარულისთვის! ახლა გთხოვ მე, ჟამობაი ათქმევინე და აგალობე ყრმათა და ყმაწვილთა შენთა! — უთხრა კეისარმა.

მაშინვე მიუბრუნდა ობოლთა კორომს ათონელი და უთხრა მშვიდი ალერსით:

— გალობაი სვიმეონ მოხუცებულისა!

და იგალობეს ობლებმა — „მჯდომარე ეტლთა ქერობინთა მეუფე“ და „აწ განმიტევე მე მშვიდობით“ (არავის უფიქრია, რომ სვიმონ მართლის „აწ განმიტევე“ ამა ქვეყნიდან საკუთარ განტევებად ეგულისხმებოდა გიორგი ათონელს).

ნეტარებით ისმენდა კეისარი და მისი ამალა ყრმათა გალობას.

და როცა გალობა დამთავრდა, უთხრა კონსტანტინე დუკამ ათონელ მამას:

— კეთილად განგისწავლებიან ბერძნულსა გვარსა ზედა, კეთილო ბერო, შვილნი შენნი. და წინასწარ, ფსუნად, ათასი აჟურაი მიბოძებია მათთვის. ხოლო, რაიც ამა პიტაკსა შინა სწერია, ყოველივე აღესრულება წადიერად.

თქვა და გამოეთხოვა გიორგის და მის ქართულ საკრებულოს კეისარი თავისი საკრებულოთი.

ვედრება მეცამეტე

გიორგი ისევ თავისით, ხელშეუშველებლად აღჯდა ჯორზე და გამოუძღვა თავ[illegible]ებს ისევ ქსერლოფის სავანისკენ.

მივიდნენ.

დაივანეს.

შემწუხრდა.

მწუხრისა ილოცეს.

ყველა აკურთხა ჩვეულებისაებრ გიორგი ათონელმა.

არავინ იცოდა, რა მხურვალება იდგა მოძღვრის თეთრი, სპეტაკი წვერის მიღმა.

ცივი წყალი დალია და მიწვა სარეცელსა ზედა.

არავის გაუგია, წამიერად როგორ ითხოვა მისმა გულმა და ტანმა მტირალი ქართული გაზის ნაჟურით დარწყულება და ქართულ გრილ, სურნელოვან მიწაზე დარეცვა.

და, იდუმალ, უბეში მიყუჟული ქართული მიწის ნაშთი იყნოსა.

და იგრძნო, როგორ მოუმძლავრდა სული.

ღამის სათევად თავზე დადგომა დაუპირეს, ყველამ ერთპირად. მაგრამ არ დაანებათ, მარტო ერთიც კმა არსო და ის ერთი ისევ გიო იყო — გიორგი მცირე.

ოთხშაბათი დღე თენდებოდა — დღე წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი.

ცისკრისა ილოცეს ქართველებმა, კვლავ წინამძღვრობით გიორგი ათონელისა.

სრულად გათენდა, დღე განზოგადდა და ისევ განარიგებდა და განაწესებდა წმიდა მთაწმიდელი ყოველსა განსარიგებელსა და განსაწესებელსა.

და კვლავ არავინ იცოდა, როგორ მატულობდა გზნება ხურვებისა თეთრად შებლარდნილი მკერდის შინაგან.

ის დღეც დაილია.

უცებ, ობლებთან მიმიყვანეო, უჩურჩულა გიორგი ათონელმა გიორგი მცირეს და აიღო არგანი ქართულად ჯვარსახოვანი.

მიმიყვანეო?!

როდის უთხოვნია შველა წაყვან-წამოყვანისა გიორგი მთაწმიდელს?!

გულმა რეჩხი უყო გიორგი მცირეს, მაგრამ არარა შეიმჩნია და წავიდეთო, უთხრა, ვითომ გულმშვიდად მოძღვარს.

და მივიდა გიორგი ათონელი საქართველოს ძუძუნაწყვეტ შვილებთან.

მივიდა და უყურა დიდხანს, მდუმარედ, სანამ სულ არ ჩამობნელდა.

და ბოლოს აღუტევა ხმითა რვალისათა:

— ქართველები ხართ, მცირენი ხართ და ცალკე გულებად დაქსაქსულნი. მცირე ხალხს კი ყველაზე უაღრეს ეჭირვება ერთგულად შეკვრა, ე რ თ-გ უ ლ ა დ-მეთქი!

ქართველები ხართ და თქვენი ს ი ძ ლ ი ე რ ი ს ი მ ე დი ბქვთ.

ქართველები ხართ და თქვენი გამძლავრების შიში აქვთ.

მაშ, სდექით მტკიცედ და ერთ-გულად!

იქმენით იმედი მოყვრისათვის!

იქმენით შიში მომტერისათვის!

— იქმენით უმაღლეს ორბთანი და უძლიერესნი ლომთანი!

— და დასაბამი და დასასრული ყოვლისა სიტყვისა და საქმისა თქვენისა იყოს ღმერთი და საქართველო!

და ამით განვიდა გიორგი ათონელი მისი უხრწნელი და უბერებელი სიტყვის სარბიელიდან.

რეცა, კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა ბიჭებისათვის, თვითონ ბიჭობა მონატრულს, მაგრამ უეცარმა ზეციურმა გრგვინვამ დაახშო მისი ყურთასმენა და გულისხმა:

„ცანი და ქუეყანაი წარხდენ, ხოლო სიტყუანი შენნი არა წარხდენ!“

ვედრება მეთოთხმეტე

გონს რომ მოვიდა, უკვე სარეცელზე იწვა, მისიანებით გარშემომდგარი.

და უმალვე ისევ აღეძრა ფიქრი, წუნარი, უხილავი და უსმინარი შრიალით.

მაინც რა იყო შენი წუთისოფელი, გიორგი ათონელო?

მარადიული ძიება ღმერთისა და საქართველოსი.

ძიება უაღრეს სინათლეში — უ-სი-ნათლ-ო-ეს-ში.

და არა ამქვეყნიურ სინათლეში, რომელიც ოდენ წკენტად ნადენი არს ამა ზედეთის უსინათლოესისაგან...

მაგრამ, ღვთისა და საქართველოს ძიებისთვის, განიხვნა კია ბჭენი უზენაესი ნათლისანნი?!

საქართველოზე ფიქრობდა.

მაშასადამე, კვლავ არსებობდა;

არსებობდა, რამეთუ საქართველოზე არაფიქრი იქნებოდა მისი არარსებობა.

„შენა ხარ სიბრძნის მდელო საქართველოსი!“

ეს ხმა იყო თვალშეუნიერ არსუკისძისა.

თვალშვენიერ, თვალშვენიერ, ვითარ მტკივის გული შენთვის, ძმაო ჩემო, ვითარ მტკივის და მელმის მკლავი შენი მე?!

და მოელანდა მკლავი, რომელსაც დაკარგული ტანი სტკიოდა.

და მოელანდა ხმალი, რომელსაც დაკარგული ნატეხი სტკიოდა.

და ვერ იაზრებდა აზრის მეუფე, რომ ორივე ეს სატკივარი — სატკივარი მკლავისა და სატკივარი ხმალისა — სრულიად მისი სხეულის ტკივილი და ლმობა იყო.

და იყო გამჯნული ორი ტკივილი და ორივ იყო „მისი“: ტკივილი მისი სულისა (რაიც იყო ოდენ საქართველო) და ტკივილი მისი სხეულისა (რაიც იყო ოდენ გარდასვლა მიწად).

და სადღაც დაიბადა სურვილი სხეულის ტკივილის მოკვლისა, ვინათგან უსაშველოდ მძიმდებოდა ტკივილი იგი.

„სულის სინათლემ უნდა მოჰკლას ტკივილი სხეულისა“.

მოესმა გიორგის, მაგრამ ვერ მიხვდა, ვისგან მოესმა.

და სანამ იმ ზეციერ ხმას გაიაზრებდა, მანამ ისევ მიწიდან ესმა ხმა მიწიერთა და სასოწართმეულთა:

— წმიდაო, წმიდაო, ლოცვა-ყავ ჩვენთვის ცოდვილთა!

თვალები გაახილა და იხილა ყოველნი მისნი სისხლისანი და მისი მიწისანი, გარსმოჯარულნი, გაქვავებულნი და გაზაფრანებულნი.

— სდექით მტკიცედ და მარად მღვიძარეთ, და გლოვითა და ტყებითა დედათა ნუ მიემსგავსებით!

მერე მხნედ ასწია ათონელმა მარჯვენა ხელი, სამებად შეჰკრა და გარდასახა ჯვარი მისი თვალით უკანასკნელად ხილულ ქართველებს.

— დალოცვილ იქმენით ღვთისა მიერ საქართველოსთვის!

მერე ტანი გაისწორა გიორგიმ, ახოვანი და ზრონაკვთოვანი, ისევ იყნოსა უბეში შემცივნული ბარტყიეთ მიყუჟული მიწის ნაშთი და თვალები დახუჭა.

და მიწიერთათვის იგი ჯერ ისევ ჩვეულებისაებრ მშვიდად სუნთქავდა.

ხოლო, ზეციერთათვის იგი მიწას უკვე აღარ ეკუთვნოდა.

— აჰა, არს ჟამი დაუტევო წყენტად მდენი ეგე საწუთრო! — ისევ ზეციდან ესმოდა ეს ხმა.

— მერე, მითხარი, ვის მიმართავ შენ, რომელ „მეს“ ჩემსას — სულსა ჩემსა, თუ სხეულსა ჩემსა?

— სულს მივმართავ და გამოიყვანე საპყრობილითგან სული შენი დიადი!

— და ეს იქნება დასაჯრული?

— არა, ეს იქნება დასაწყისი.

და მაშინ მიხვდა, ვისი ხმაც იყო ხმაი იგი.

— ანამაისა, ანამაისა!

— ჰო, მე ვარ და მე მოგიწოდებ საწუთისოფლო ქმნადობიდან მარადიულ უკუქმნადობისკენ, მარადიულო სურვილო ჩემო!

— ანამაისა, შენი ხმა მესმა, მაგრამ სახე შენი ვერა ვიხილე.

— ჯერ ეს იხილე და იგი შენ მოგიყვანს ჩემთან.

და იხილა გიორგი ათონელმა წიგნი, რომელსაც ეწერა „საქართველო“, ცაზედეთის წიაღსა შინა, უხილავ ჰაერწნულზე გადაშლილი და დამყარებული.

და ესმა ხმა, ვითარცა ხმა ბისა ქუხილისა:

„აღიღე და შეჰამე წიგნი იგი, რომელმან დაამწაროს გვამი შენი, არამედ პირსა შენსა და გონებასა შენსა ტკბილ იყოს, ვითარცა თაფლი!“

და აღიღო გიორგი მთაწმიდელმა წიგნი იგი უხილავი ჰაერწნულიდან, თუ უხილავ ანგელოზთა ხელთაგან, და შეჰამა.

და იყო პირსა მისსა და გონებასა მისსა შინა ტკბილ ვითარცა თაფლი. მაგრამ რაჟამს შეჰამა, უსაშველოდ დამწარდა გვამი მისი.

და განიყარნენ ერთურთისაგან — სული ტკბილი და გვამი მწარე.

წიგნისა „საქართველოსგან“ განიყარნენ.

— და ამიერითგან გვამსა შენსა ეწოდა „სიკვდილი“, ხოლო სულსა შენსა „სიცოცხლე“! — წკარუნი მოისმა, მზის სხივთა წკარუნი.

უკანასკნელი ფიქრი გათრთოლდა, გათრთოლდა და და-

ფლითა, ვითარცა ქართველთა დროშა შირიმნის ბრძოლაშიც უკანასკნელი სიტყვა გაფითრდა და გაშრა მის გრძნეულ ბაგეზე:

„იქმენინ სა-ქართველ-ო...“

მისი სული უკვე აზიდულიყო მაღლა, მაღლა, და უხილავ ჰაერწნულზე დამყარებული, დასცქეროდა უძრავად დარეცილ მის სხეულს...

ვედრება მეთხუთმეტე

მივიდა გიორგი მცირე, დააცქერდა, და სთქვა უსაზღვროდ სულშეძრულმა:

— სძინავს მამასა ჩვენსა!

და საშინელი ზარი და ზუნი მოესმა სულსა ათონელისასა დედამიწიდან.

ეს, ქართველები იგლოვდნენ მათ მოძღვარს და მათი სულის დამამყარებელს.

— ვაი ჩვენდა, ვაი ჩვენდა შენ მიერ, ჰოი მამაო! რაი-ესე შეგვამთხვიე ჩვენ, ვითარმედ სადა შეგვკრიბე და აღგვზარდე და აწ სადა დაგვიტევე და დაგვპანტე! ვაი ჩვენდა, ოოო, მამაო ობოლთა, მამაო უმამოთა და უდედოთა!

იყო ესე გლოვის ხმა ქართველ ყრმათა ობოლთა.

— ვაი ჩვენდა, ვაი ჩვენდა, ჰოი წმიდაო! რამეთუ ვიდრე ჩვენ თანა იყავ, ღამენიცა დღე იყვნეს, ხოლო აწ, რაი განგვეშორე, დღენიცა ღამე არიან!

იყო ესე გლოვის ხმა ასაკსრულთა და ხანდაზმულთა ქართველთა.

და წარემართვოდა ქართველთა გლოვა წინამძღოლობითა გიორგი მცირისა, ანუ ხუცესმონაზონისა, ანუ გიორგი ათონელის მომავალი მემატიანისა:

„ჰე, ჳშმარიტად დაიძინა ზიარმან მამამან ჩვენმან, რომელსა ფრიად ვუყვარდით ჩვენ და გვწყალობდა, ვითარცა წვილთა ჳშმარიტთა, ვითარცა მოქმედთა ქრისტეს ვენახისათა, ვითარცა ძეთა მორჩილებისათა. შეისვენა ზოგადმან მოძღვარმან ჩვენმან, ქვეყნისა ანგელოზმან და ზეცისა კაცმან, ტაძარმან ქალწულებისამან უბიწომან, მრავალფერმან და მრავალსახემან სიბრძნემან სულისამან, ხელოვანმან გულისხმის-

მყოფელმან და ერთგულმან ქრისტეს მსახურმან, ბრწყინვალემან თვალმან ქრისტეს გვარისამან, მოთმინებისა მოღვაწეთმან, წყალობისა წყარომან და განკრძალულმა უფლისა სჯულის მმარხველმან და ფასის საცავმან სათნოებისამან, რომელი-იგი სიტყვითა ტკბილ იყო და ზრახვითა საწადელ.

„და ვინ შემძლებელ არს სიტყვით აღწერად, რაოდენნი და რაბამნი სახელნი მიანიჭნა მას საღმრთომან მადლმან ყოველთა მათ საქმით აღსრულებითა და ყოველთა მოციქულებრ შეყვარებითა! აჰა, აჰა, მარადის სასურველნო, რაი არს ჩვენი ესე, გლახაკთა ამათ, საიდუმლოი და რაი არს სიბრძნე ესე ღმრთისაი გამოუთქმელი?

„აწ მინდეს ცრემლხი იერემიას გოდებისანი. აწ მოვედ ჩვენდა, ჰოი რაქელ, დედაო ბენიამენისო, სტიროდე შვილთა შენთა და ნუგეშინისცემასა ნუ მიიღებ, ნუ, ვითარცა ბეთლემს დახოცილ ყრმათათვის, რამეთუ იგინი ღმრთისა შეიწირნეს, არამედ ყრმათა ქართველთათვის, რომელთაც არა ჰყავთ ნუგეშინისმცემელი, რამეთუ ერთი ჰყავდათ და იგიცა მიეფარა. ამათთვის ტიროდე, ჰოი რაქელ, ხოლო მე ესრეთ ვიტყოდი ძმათა მიმართ და ყრმათა ობოლთა მიმართ:

„ვაიმე, ვაიმე, ძმანო პატიო! ანნო და შვილნო ობოლნო! აწ დაგვეხშა პირი იგი, რომელიც გვაწვრთიდა შჯულსა უფლისასა დღე და ღამე! წარვიდა გონებისა განზრახვაი, ჰე შმარიტად ღმრთისა მიერ აღძრული! დაწუხნა თვალნი მართლიად მხედველნი და განმარჩეველნი კეთილისა ბოროტისაგან! დადუმდნენ ბაგენი მცველნი სჯულისა უფლისასა! შეიკრა ენაი იგი ოქროსიტყვაი და საღმრთოთა ბრძანებათა ხმამაღლად მღაღადებელი და ბრწყინვალედ მთარგმნელი ღმრთივ-სულიერთა წიგნთაი! დაუქმდა ხელნი შვენიერად მწერალნი, რომლითა განანათლა ეკლესიანი ჩვენნი! დადგნენ ფერხნიცა შვენიერნი, განკაფულნი ღამისთევათა შინა ზედგომით! დაუქმდა გონებაი მხილველი და სიღრმეთა სულისათა გამომეძიებელი! მიწად ისახვის გვამი წმიდაი, მოღვაწებისა შრომითა დამაშვრალი!

„ხედავთა, თუ ვითარ არიან საქმენი ჩვენნი?

„ეჰა, ბოროტი ესე სიბნელე, რამეთუ მზე, მნათობი ჩვენი, დაჰხდა!

„ვაი თქვენ, ყრმანო ობოლნო, შვილნო და მოწაფენო ამის ტკბილისა და სახიერისა მამისანო, აწ უმწარესად დაობლე-

ბულნო, მცირედ აღყვავებულნო, კვლავ მსწრაფლ დაჭნობილნო, ბრწყინვალედ განათლებულნო და ბოროტად დაბნელებულნო!

„ვიგლოვდეთ, ვიგლოვდეთ, რამეთუ ვზივართ მდინარეთა ზედა ცოდვისათა და არავინ არს დამხსნელი ჩვენი! და ორღანოთა წიგნთა საღმრთოთასა დავჰკიდებთ დუმილისა ძეწნათა ზედა, რამეთუ იტყვის მოციქული პავლე — უკეთუ დაწერილ არა იყოს, მკითხველნი დუმენო. რამეთუ ძეწნა ხე არს უნაყოფი და ვინაითგან დაცვივა ტკბილი ცხოვრებისა ჩვენისა ნაყოფი, ჩვენც ვიქმენით ძეწნად უნაყოფოდ: ბე, ჰე შმარიტად! და უქმად და უძრავად ორღანონი ჩვენ, მეტყველებისა დუმილის შეშათა ზედა დავჰკიდენით!

„და არავინ არს, რომელმან მოიღოს ნაწვეთი ერთი წყლისაი და განაგრილოს ენაი ჩვენი სალმობიერი და შემწვარი ცეცხლითა მწუხარებათაითა!

„წარხდა მშვენიერებაი იგი საწადელი, დადუმნა ხმაი იგი სავსე სიტკბოებითა, დაიყვნეს ბაგენი იგი ღმრთივებრწყინვალენი, აღფრინდა მადლი იგი განმაბრძნობელი ჩვენი. სადა არიან თვალნი, ზეცისა საიდუმლოთა მხილველნი! სადა არიან ყურნი, საღმრთოისა ხმისა მსმენელნი! სადა არს ენაი წმიდაი, ტკბილად მახსწავლებელი ცოდვილთა სინანულისაჲ! სადა არს ტკბილი მყუდროებაი თვალთა მისთაი! სადა არს წესიერი იგი დუმილი ბაგეთა მისთაი! სადა არს საწადელი მარჯვენე მისი, რომელიც კურთხევასა პირისასა სასურველთა თითთა თვისთა ჯვარისწერითა დაჰბეჭდვიდა!

„და ამიერითგან მოვაქციოთ აფრაი სიტყვისა სანუგეშებლად ყოველთა მგლოვიარეთა ქართველთა, რამეთუ იგი დიადი წმიდაი ჩვენსა შინა მდგომარე არს, დაღაცათუ ჩვენ არა ვხედავთ მას. და წმიდათა წმიდათასა შევიდა მამაი ჩვენი და შინაგან კრეტსაბმელისა, სადაც წინამორბედად მისთა შევიდა ქრისტე. დაღაცათუ დაუტევა კრეტსაბმელი ხორცთა თვისთაი, უკუე არა იგავით ჰმსახურებს იგი ზეციერთა მათ, არამედ თვით ხატსა საქმეთასა ჭანიცდის. არღარა სარკითა და სახითა, არამედ პირსა ღმრთისასა პირისპირ ჰხედავს და მეოხ არს ჩვენთვის წინაშე მისსა შვილად და მოწაფეთა თვისთა და ითხოვს მიტევებასა ცოდვათასა.

„განიძარცვა მან ტყავისა სამოსელნი, რამეთუ სამოთხისა მკვიდრთა არარას ეხმარებიან ესენივითარნი სამოსელნი. არამედ ახლა მას იგი სამოსელნი ჰმოსიან, რომელნიც სიწმიდითა თვისითა უქსოვნა თავსა თვისსა და მოიხვნა ღმრთისგან. ჰეშმარიტად, ესევითარი კაცის სიკვდილი პატიოსან არს წინაშე ღმრთისა და უფროისღა არცა თუ სიკვდილ არს, არამედ განხეთქაი ბორკილთაი, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „განხეთქენ ბორკილნი ჩემნი“. განტევებულ იქმნა და განთავისუფლებულ იქმნა ბორკილთაგან და საკრველთაგან ხორცთაისა. საბრხე შეიმუსრა, ხოლო სირჩიტი აღფრინდა, დაუტევა ეგვიპტე, რომელ არს ცხოვრებაი ესე ნივთიერი, და წიაღვლო არა ზღვაი იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყვდიადი ზღვაი ამის საწუთოისაი. და შევიდა ქვეყანასა აღთქმისასა, რომელ არს ზეცათა იერუსალემი. და მთასა მას ზედა სიბრძნისმეტყველებს ღმრთისა თანა მოძღვარი ჩვენი. წარიხადა მან ხამლი სულისაი, რათა საღმრთო სლვითა გონებისაითა წმიდასა მას ქვეყანასა უნივთოდ ივლიდეს, და ხედვიდეს ღმერთს საკუთარი სულითა უნივთოითა.

„ესევითარი ნუგეშინისცემაი გვაქვს ჩვენ, ძმანო და შვილნო, და ამა ნუგეშინით გვამი ესე წმიდაი ამის ნეტარისაი მთაწმიდას წარგვყავს!“

ვედრება მეთექვსმეტე

და ჰხედავდა სული გიორგი ათონელისა, როგორ დაჰგლოვდნენ ქართლოსის მოდგმად წოდებული ადამიანნი მის კიდობანსა სხეულებრივსა.

აი, როგორი ყოფილა ის, რომელშიც ვესახლე მე, ანუ მერქვა თვითონ „მე?!“ — კვლავ გაიოცა სულმა სხეულის სიმძიმისგან თავდასხნილმა და ჰარილიევით გამსუბუქებულმა.

უკვე შორს იყო, კოშმელის ცას აცდენილი,

მანამდე გაუცხობიერებელი ნეტარება ადგა გარშემო.

„ეს — ღმერთი ნეტარებს ღმერთში!“ — გაუელვა და უშალვე ნეტარებითვე აღმოხდა:

„დე-და-აააა!!!"

და აკვანი დალანდა, აბოს კბილით შებმული, დედის სურნელით ავსებული.

მზის სხივებით ნაქსოვ ჰაერწნულზე ირხეოდა აკვანი იგი.

ხოლო დედა, აკვნის დამრწევი, არსად ჩანდა. ალბათ იმიტომ, რომ იგი ყველგან იყო, ვითარცა ღმერთი — ღმერთივით ყველგან მყოფი, გრძნობით ყველასთვის შესაგრძნობელი და ცნობით ყველასთვის შეუცნობელი.

უეცრად შეჭანდნენ საქანელნი ცათანი. მზეც შეტორტმანდა, მისი სხივებით ნაქსოვი ჰაერწნულიც გაირღვა და იქ, სადაც წამის წინ აკვანი იძვროდა, მის ადგილზე რახსისფერი ჯვარი ამოიმართა, ჯვარი მხრებდაქანებული და ქალის თმით შეკვერთხილი.

და ჯვარზე ჯვარცმული ქანაობდა, დახრილ ჯვრის ფრთებზე განმსჭვალული, უსაზღვრო ტანჯვით სახემოქცეული და გვემული ტანით წინგადმოქცეული.

„არა არს ჯვარცმა უმძიმესი, ვიდრე ქართულსა ჯვარსა ზედა!" — ხრიალებდა ჯვარცმული იგი.

„სახელი შენი?" — ჰკითხა სულმა ათონელმა.

„სახელი ჩემი დამავიწყდა. ქართველობა კი არ დამავიწყდა. და ვარ ასე, თანასისხლიერის სიძულვილის საძირეზე დამყნილი..."

შეძრწუნდა სული ათონელისა, რამეთუ ისევ გადაფარა ღვთაებრივი ს უ რ ნ ე ლ ი ადამიანურმა ს უ ნ მ ა...

და ინატრა ახალი სიკვდილი — სიკვდილი სულისა.

მაგრამ უმალვე მოესმა ხმა, ხმა მზის სხივური წკარუნისა:

„არა, არ ენდო, არ ეცდუნო, ეგ ყოველივე მოჩვენებაა, რამეთუ ჯვარცმა ქართულს ჯვარზე არს ნეტარება!"

და უცებ გაქრა ჯვარცმა იგი.

და ისევ დადგა ნეტარება, ოდეს ღმერთი ნეტარებს ღმერთში...

„...მეოხ მეყავ მე, უფალო, და მომეც სინათლე უაღრესი, რათა უსინათლოესმან გადაჰფაროს ნათელი ესე, რომელსაც

ვერ დაუფარავს დედამიწიდან ამოღწეული შური — გესლი კაცთა გულისა!“

და ისევ შეჭანდნენ საჭანელნი ცათანი.

და განიხვნა ბჭენი ზესთასოფლური სინათლისანი.

და გადმოიქცა ნათლის ჩქერნი, რეცა, უშჭარი, უშტი და უშტის-უშტი მზეებისგან გადმონადენნი.

და, რეცა, სული ათონელისა, მეოხებით უზღვრო ნათლისა, გასულიყო დროისაგან ზედროულ დროში.

„აჰა, ესერა, უსინათლოესი, შენგან ნატრული და ძიებული!“

ვისგან გაისმა ეს ხმა, უშჭარ მზეთაგან მოდენილ სხივთა წკარუნით?

და შემობრუნდა სული ათონელისა, გარდასული ზედროულ დროში.

და იხილა ასული თეთროსანი, ვითარცა ირმის რძეში ნავლევი.

და მის გვერდით — თეთროსანი ყრმა ქერუბიმი;

იცნო ისინი. ერთად იყვნენ ნამაისევნი და ორივეს ტანზე ემოსა მზე.

„ცანი და ქვეყანაი წარხდენ, ხოლო სიტყვანი შენნი არა წარხდენ!“ უთხრა ყრმამ თეთროსანმა.

ხოლო ასულმა, მარადიულად სანატრელმა:

„კვლავ რაის ნატვრა აღგებძვრის შენ, სულო ათონელისა და შუბლო საქართველოისა?“

„კვლავ ერთხელ ხილვა დედამიწისა!“ — აღმოხდა სულს.

„აჰა, იხილე დედამიწა, დედამიწისთვის სულწასულო დედამიწელო!“

და კვლავ იხილა დედამიწა სულმა ათონელმა, შორს, შორს, ცხრა ცაის ქვეშე, უთვალავ ფერით მოსაროთული და მოკაზმული.

დედამიწაზეც არ ეხილა ასე ლამაზი დედამიწა.

და მოესურვა ხელით აეტაცა ეს საკვირველი თვალი სამყაროისა — სამყაროს დედისერთა, მხოლოდშობილი, საცხოვრისი, სალხინებელი და საწამებელი კაცთა მოდგმისა.

აეტაცა და ჩაეკრა გულში, ჩაეკონებინა და ჩაესხეულებინა.

და დაეკოცნა კავკასიონი, ცის მაწოვარი — ვერცხლის შუბლი დედამიწისა.

სადაც ეწერა „ნათესავი ქართველი“ და იძეროდა საქართველო — კათოლიკე ძარღვი მსოფლიოისა.

და ფეთქავდა სვეტიცხოველი — საფეთქელი საქართველოსი.

ბოლოგზე

ქვე-ყანასა ზედა

გიორგი ათონელის ცხედარს მიასვენებდნენ ათონის მთისაკენ.

კუბო მძიმე იყო, მიწა — ნაავდრალ-ნამეხარი, ლაჟე, სხლტომადი;

ობლები მიასვენებდნენ, ათეულთა მონაცვლეობით, ყველა-ყველგან შებმულნი.

ქართველები იყვნენ და ქართველებისთვის უჩვეულო თანაერთგულებით და თანადგომით ეწეოდნენ საზიარო ტვირთს;

მტკიცედ ვიდოდნენ, ქალბაბარის ძვლისა სიმტკიცით;

ვიდოდნენ და ახლა რომ მხრებზე ესვენათ — იმა წმინდანის ნამოძღვრალი და ნაჯიშარი სიტყვა უდუღდათ გულში:

„მცირენი ხართ და ნუ დაიქსაქსვით ცალკე გულებად!"

„ძლიერნი ხართ და სიძლიერითა თქვენითა იქმენით იმედი მოყვარეთა თქვენთა!"

„ძლიერნი ხართ და იყავით შიში მომტერეთა თქვენთა!"

„იქმენით უმაღლეს ორბთანი და უძლიერეს ლომთანი!"

„დასაბამი და დასასრული ყოვლისა სიტყვისა და საქმისა თქვენისა იყოს ღმერთი და საქართველო!"...

და ვიდოდნენ ყრმანი ობოლნი, საქართველოს ძუძუნაწყვეტნი და ძუძუმწყურვალნი, შემცივნული ბარტყივით მკერდში შებუდრული მიწის დანაშთით.

ზე-ყანასა ზედა

ცასა ზედეთსა, საქართველოს ბედის ვარსკვლავთა საფიხვნოზე, კვლავ შეყრილიყო ყველა ვარსკვლავი.

და გაიწოდა ბებერი სხივი საფიხვნოს მახვშა ცინცხლად

მოკაშკაშე ჭაბუკ ვარსკვლავთა მიმართ და აღუტეხა ხმითა უკვეთელითა:

— შენ, არ-უკისძევ, ხელოვანო, მკლავი ხარ საქართველოსი!

— შენ, ათონელო, წმინდანო, შუბლი ხარ საქართველოსი!

— და ორნივ ერთად, მკლავი და შუბლი, ხართ დიადნი ნიშანსვეტნი აწმყოდელი საქართველოსი!

შეიშმუშნა და შეირყა ვარსკვლავთა საფიხვნო.

შურით და სიყვარულით შეაცქერდნენ ძველი ვარსკვლავნი ახლად შეღერებულ თანასხივოსანთ.

ერთდროულად — შურით და სიყვარულით, ვინათგან იმ ჩავარსკვლავო საფიხვნოელთა სული აკი ქართული იყო!

(ქართული სული — დაუდგრომელი უფლისწული შურისა და სიყვარულისა)...

— ხოლო, სამომავლოდ? — გაიშრიალა უცებ ამ კითხვამ.

— სამომავლოდ... ვიყოთ მოლოდინში უფრო დიადი ვარსკვლავებისა.

თბილისი
ილია ზაქარიას დაბადებიდან
1985

ლექსიკონი

ბაკი — სვეტის თავის (კაპიტელის) ზედა ნაწილი.

ბოს კბილი — აქანზე შებმული აეგაროზი ავი თვალის უკუსაგდებად (გურია).

დიტონი — საკურთხეველი.

ვარტანი — პალო, მარგილი.

ველნი — ეზო, მინდორი.

ცრეხი — უნაყოფო, ბერწი.

ზავერი — მძიმე სატვირთო ხარი.

ზარმაცი — ასაწევი კეტი, ბერკეტი, ოწინარი.

ლაგრეკი — ტეხილი, ან მრუდხაზი ორნამენტი.

მდედად — მხარიღლივ.

მპოლი — ზეთის ჭურჭელი.

მქმელი — მეანი, ამყვანი ბებიაქალი.

ნაზდაბთი — უეცარი, მოულოდნელი.

ნთიჰატოსი — მთავარი, „პიტიახშო".

ნთიპატრიკიოსი — მთავრის მოადგილე.

ნთრაკა — ავხორცობის სენი.

ნწალა — ბიგი, საყრდენი ბოძი.

რზანიგი — საპატიოდ მინაძღვნევი: სამადლობელი წერილი.

სკეზისი — განდეგილობა.

სოთმღერება — ქავილი, ფხანა, თაშაში.

შავერი — ბარძაყი, ბაყვი.

ბადმი — სარქველი.

ბევთი — ცუდი (ამბავი).

ბაქმი — ფერადი წრე მზის, ან მთვარის გარშემო.

ბასრობა — დაცინვა.

ბატყელა — მრუდხაზოვანი, ხუროთმოძღვრული გადაბმა.

ბელზბული — ეშმაკი.

ბეჩარა — ბეჩაი, უმწეო, საცოდავი.

ბისონი — ძვირფასი ქსოვილი.

ბიჩვერი — შტერი, უგუნური.

ბრკალება — ელვარება.

ბიცოვანი — მარილიანი, მლაშე.

ბუკელარიოსი — გვარდიელი.

ბურნუსი — შავი შესამოსელი.

განაგისი — დადგენა, გადაწყვეტა.

განიადაგებით — განუწყვეტლივ.

განლგებული — გაშტერებული.

განმაბრძნობელი — ცოდნის მიმცემი, განმანათლებელი, მასწავლებელი.

განუცადებლად — განუწყვეტლივ.

გარაბადი — საკიდარი, კავებიანი დგამი.

გარდუკვეთელად — გარდუვალად, აუცილებლად.

გზელი — მამალი.

გზლიკაშად — შორიახლო მიდევნება.

გლმატო — უეემური საქმელი.

გვადრუცი — კოლოფი, ურნა, ზარდახშა.

გღმურძი — გარეული ტახის მკერდის ძვალოვანი ფარი.

გმური — ლახვარი.

გოჯოჯი — წვირე ჩალეკილ-ჩამხმარი (რაჭა-ლეჩხუმი).

გრო — გუნდი.

დალიჰი — ტახტი, სკამლოგინი.
დამგუნება — დაწუნება, დატოვება (რაჭა).
დამწვისება (დამწვისებული) — ზრდადასრულება (ზრდადასრულებული).
დამხედ — მიწაზე პირდაპირ.
დანდალუკია — სიყვითლის სენი („ბოტკინი").
დაორკეცება — დაორსულება, მუცლადღება.
დარეცა, დარეცვა — დაცემა, დაფენა.
დასვინტაქსება — დალაგება; დაწყობა, დაწესრიგება.
დაღაცათუ — თუმცა, თუმცაღა.
დაწერტილი — დაჩვრეტილი.
დიასპანი — დესპანი, ელჩი.
დინდგელი — ფუტკრის სანთლის ნაგოზი სკაზე.
დომესტიკოსი — მთავარსარდალი.
დრაუქი — დროშა.
დრვიმოთალიკონოს — იერუსალიმის სოლომონის ტაძარი.
დრომონი — ხომალდი, ხუთას-ექვსასი კაცისათვის.
დრონგული — ასოეული (აქნა ასოეულებად, დრონეულებად).
დრუნგილი — მარმარილო.

ებგური — გუშაგი, დარაჯი.
ივლოგია — ნაკურთხი საბსოვარი, ძღვენი.
ევხარისტია — ზიარება.
ელამონი — კარიბჭე.
ელგეონი — თაღოვანი სარკმელი.
ემბატერია — საომარი სიმღერა.
ენგიდუნია — ქვეყნიერება.
ეპარქოსი — მთავარი, მეფის ნაცვალი.
ეპისტატი — ზემდეგი.
ეპიტროპი — მზრუნველი.
ერთიცვარი — პატარა (ჯავახეთი).
ერისიონი — ცისიერი, ზესთაქვეყნიური.
ერისწყეული — ერის მავნე და ერისგან დაწყეველილი.
ესერა — აი, აჰა, მაშ.
ეტლისმწფელი — მეეტლე.
ეჯი — სამი ათასი ნაბიჯი.
ვარემანდი — მღვდელთმთავრის მოსასხამი, ანაფორა, ფილონი.

ზეანდანი — ტანკენარი, ზეაშვეტილი.
ზენიშანი — ემბლემა.
ზმილაქი — სურო, ფათალო.
ზორავარი — სარდალი, მხედართმთავარი.
ზორვა — მსხვერპლწირვა კერპისათვის.
ზრიმლი — ცვარი, ნამი (ფშავი).

თალპიონი — საომარი ეელი.
თანათანები — საცალფეხო მილიკები (მთაში გაგონილი ეს სიტყვა მომაწოდა მამუკა ასლანიკაშვილმა).
თერძვა — ხვნა-თესვა.
თერძული — ხნული, ყანა, ხოდაბუნი.
თორაკი — „მკერდი ბეჭითურთ" (საბა).
თხრიმლი — ჩირქი.

იამივარი — მხოლოდშობილი, დედისერთა.
ებედევი — უცაბედი, მოულოდნელი, შემთხვევითი.
ეკონომოსი — მონასტრის სამეურნეო საქმეთა გამგებელი.
ელგკრო — ლითონი.
ელისტიკი — თარხი.
ენთილა — კუპის აშლილობა, დიზენტერია.
ესტროსი — დუნაი.

ყობლოფანჩი — შავი კაბა.

განაბი — მგალობელთა წარმმართველი, ლოტბარი.
კარაპი — პატარა ნავი.
კარკინო — „ესე არს დიდი ცხრაფეხა“ (საბა).
კატეპანი — პროვინციის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი.
კელარი — მეკუპნავე.
კერეონი — დიდი სანთელი.
კერძოერი — ჯორი (იხ. საბა).
კომიტი — მთავარსარდალი.
კრჩხიელება — კივილი.
კუბასტი — ლეჩაქი.
კუბიკულარიოსი — მესაწოლეთუხუცესი.
კუმკუმა — მცირე წყლის ჭურჭელი.
სურტამელი — კარის კამარა.

ლაკვანი — გამოქვაბული, მღვიმე.
ლათხი — წოლანა, ძირს დასაგებ ძელი.
ლარნაკი — კუბო; ყუთი, კიდობანი.
ლეჰე — სველი, ნოტიო (რაჟა-ლეჩხუმი).
ლიბანდაკი — მოკლე ხელშუბი.
ლოპანარი — ცერცვი.
ლოშქრი — დორბლი.
ლორფინი — „ქვის ფიცარი“ (საბა).
ლოპრი — დორბლი.
ლხინისუფალი — თამადა.

მაგისტროსი — მთავარი, უფროსი.
მაზარა — მონაზონთა წამოსასხამი.
მეანდრი — კლაკნილი ორნამენტი.
მეგობერი — გზაჯვარედინი.
მეკვეთინე — მემარნე, მეღვინე.
მერამლე — მისანი, მკითხავი, რამლის მყრელი.
მესტვინარი — მებუკე.
მეჯურმუცე — ყაჩაღი, ქურდი, მეკობრე, მძარცველი.
მეძავთსაძოვნებელი — მეძავთა სახლი, „ღამის კლუბი“.
მითლიმვა — მილულვა თვალის.
მოსარათული — მორითული, მოოქვილი (ნახ. საროთი).
მოძნაური — მოშურნე.
მსახვარი — მოდელი, მაკეტი.
მტიერი — ჭაჩალი.
მუქაფა — სამაგიერო, სანაცვლოდ მისაგებელი (რუსთაველი).
მუცლადღებული — ფეხმძიმე.
მუჯირი — მნე, სურსათის გამრიგე.
მყვარი — ბაყაყი.
მწაფელი — წამყვანი, გამძღოლი.

ნამკესი — წკირი, მცირე ანათალი.
ნაოსი — ტაძრის მთავარი ნაწილი.
ნართექსი — ტაძარში შესავალი წინა ნაწილი.
ნარუქი — პირველი, პირველქმნილი, პირველმოქმედი, „პიონერი“.
ნასხური — ნაგავი, ბალასტი, სახოცი ჩვარი.
ნატი — თალათინი, ტყავის საფენი.
ნაცილი — ტყუილი, მონაგონი.
ნესტვი — ბუკი.
ნინელი — ბიჭი ათიდან თხუთმეტ წლამდე (საბა).
ნიჯგორი — კაპარჭი, ისრის ჩასალაგებელი ბუდე.

ოქსინო — საკურთხეველის შესამოსელი.
ბამპლავაქი — მეტიჩარა.
ბარაკიმომენოსი — სიიმპერიო სანთიობოთა უფროსი.
ბასენიკი — მსახური, მცველი.
ბასტოფორიონი — „ტაძართა სამეუფო“ (საბა).
პატრიკიოსი — კეთილშობილი, წარჩინებული (სამხელეო წოდება).
პატრუცაგი — წერილი მეუღლისადმი.
პერეგრინუსი — უცხო მოგზაური (ლათინური).
ჭინა, ჭინაკი — თეშა

ბარაშკული — პირდაღებული.

ბეტაკი — „საეკლესიო მინაწერი“ (საბა).

ბოლოკა — ქოსა.

ბრეპოზიტოსი — სახლთუხუცესი.

ბრიმაკიოსი — ნოტარიუსთა უფროსი.

ბროედროსი — თავმჯდომარე, უფროსი.

ბროპონტიდა — მარმარილოს ზღვა.

ბროტოასიკრიტოსი — სამეფო ამალის მეთაური.

ბროტოსპათაროსი — გვარდიელი, მაღალი სამხედრო-სამოხელეო ჩინი.

რახსი — შავწითელი.

რეფერენდარი — მრჩეველი.

რეცა — თითქოს, რაღაც.

როშო — ყალბი, მოლაყბე.

როპანაგი — ნიფხაყი, ქვედა საცვალი.

რღოლვა — კვნესა, გმინვა (აკვნესა, არღოლა, აბღაველა — რაჭა).

საბასრობელი — საცინლად ასაგდები.

საბრხე — მახე.

საგბოლისი — სამზარეულო.

საგოდებელი — სასაფლაო.

საელვებელი — სარკე.

საზეპურო — ღვთის ანარჩევი, წარჩინებული, დიდებული.

საითანაო — „თანაწყასატანი“ (საბა).

სალეკარი — ნალექთაგან დასაწმენდი.

სალმობიერი — მტკივნეული.

სამარტვილე — სამარე.

სამწერობელი — „მწერთა წარსადევნელი...“ (საბა)

სანაწერო — საბედისწერო.

სანიჭვარი — შესაწევარი, მინაძღვნევი.

სარმუზა — მაშია, მსუბუქი ფეხსაცმელი.

საროთი — სამკაული, ძვირფას ლითონებზე ანათალი.

საწმართულო — შარვალი, და არა „საწმერთულო“ საცვლის მნიშვნელობით (იხ. საბა).

სახამხამო — იხ. ხამხამი.

საცანდალო — საცალფეხო ბილიკი (ზემო იმერეთში გაგონილი გს სიტყვა მომაწოდა ისტორიკოსმა ასანა ნადირაძემ).

სერსერათი — ლითონისგან დაწნული ბადე.

სილენტარიოსი — სიწყნარის დამცველი.

სკარამანგი — ძვირფასი წამოსასხამი.

სტადიონი — ასოცდახუთი ნაბიჯი.

სქოლარიოსი — გვარდიელი.

სწორპატიობით — თანაბარი პატივით, ერთი უფლებით.

ტაშტაბრაგი — ტაშტი, ქვაბი, გობი.

ტბოში — ხის მაგიდა გრძელი.

ტოკვეცი — ხის მოკლე ხელკეტი.

ტრელობა — მლიქვნელობა — ყალბი ფერება.

უდარესი — უფრო ნაკლები (შედარება: „უაღრესი“ და „უდარესი“).
უზეურული — შეუმჩნეველი, დაუნახავი, „დაუზვერავი“.
უკანსკნელი — „ნართაული სხელი ცუდი“ (საბა).
უკომორო — სუფთა, ცრიალა, უხინჯო.
ულპოლველი — ულპობელი, მაგარი, მკვრივი; ურთხველის ხე.
ულუკი — მკითხავი, მისანი.
ურნატი — ხნული, ყანა.
ურწინი — „ცხენი უზვი“ (საბა).
უხუარი — „ბიჭი ხუთიდან ათ წლამდე“ (საბა).
უტეშინ — იგივე, რაც სტადიონი — დაახლ. 125 ნაბიჯი
უჯმაჯური — ეელური, რეგვენი, მოუხეშავი.

ფაიქი — შიკრიკი.
ფელგამი — ბალღამი, ჩირქი.
ფერეზიკი — მეწვრილმანე ვაჭარი.
ფილიტიმია — პატივმოგება.
ფიჩოსანი — ფიჩვით მოსილი ბერი.
ფრთემალედ — მსწრაფლად, ფრენით.
ფსუენი — ობობა.
ფლურშ — დრაჰკანი, ოქროს ფული.

ქარანძავი — გამოქვაბული.
ქაფარი — ურჯული, ურწმუნო.
ქაჩაბური — არგანი, სამწყსო ჯოხი.
ქეიბური — გრძელი, ფრთიანი ისარი.
ქეჯიმი — ცხენის საფარი და სამკაული.
ქლამინდი — სამეფო წამოსასხამი.
ქორაკანდელი — ჰაღი.
ქსენოდუქსი — სადგომი უცხოელთათვის, სასტუმრო.
ქსაროზინი — მირონის სურნელი.

ღადრობა — ღალატი, დაუნდობლობა.
ღაზარინელი — მკითხავი, მისანი.
ღვარნაფშევნი — კოკისპირული წვიმა, ნიაღვარი.

ყარყაში — ყაყანი, ჟურზაური.
ყაყაჩორა — ბალახის სახეობა.
ყაჰი ჭიჭნაურისა — აბრეშუმის ჰია.

შაბარდუხი — შავი, უმამაცესი ჭორი.
შალალი — ჩირქი.
შეუძნდა — გაუძნელდა.
შიმუნვარი — მოახლე, მხლებელი ქალი.
შუანი — ეშვი.
შუქმოსანერგ — შუქმანი, შუქმოსილი.

ჩიბე — „ღორთი და თახუთა საწოლი“ (საბა).
ჩუბუტო — ჩაღრმავებული, ფოსო.
ჩუკენი — გულდედალი, ჯაბანი.
წადნიერება — სურვილი, ვნტერესი

სი („ეწადნიერება" — „აინტერესებს").

წ ე ნ წ უ რ ა — „ავი გოჯი" (საბა).

წ კ ე ნ ტ ი — წვრილად, ძნელად ნადინარი.

პ ე პ ნ ა უ რ ი — აბრეშუმი.

ხ ა მ ხ ა მ ი — „ბეჭთ საშუალო" (საბა); სახამხამო.

ხ ვ ი რ ი — სამღვდელო თავსარქმელი.

ჯ ა ლ ა ბ დ ა რ ი — კაკუტი, ლარძაყინი.

ჯ ა ნ ა ო ზ ი — აქიმი.

ჯ ა რ ა ო ტ ი — მყრალი წებო.

ჯ ა რ ბ ი — „მძინვარე ასპიტი" (საბა).

ჯ გ რ ა კ უ მ ი ა — შუა ადგილი, შუა სახსარი, „ცენტრი".

ჯ ი ბ უ კ ი — დიდი (ლურსმანი); ჩასკვნილი (კაცი).

ჯ ი რ ი — „ორპირად მოქნილი ტყავი" (საბა).

ჯ უ მ ლ ი — წყვილნი, ერთადმყოფნი, თავმოყრილნი, მოგროვილი.

ჰ ა პ ა პ ე ტ ი — „საქმეთა ზედი მდეგი" (საბა).

ჰ ა რ ი ლ ი — (და არა „ჰარილგ") — იგივე, რაც ჯირი (იხ. საბა).

ჰ ო რ ო ლ ი — ლახვარი.

შინაარსი

წინაბჭე . 5
ქვე-ყანასა ზედა 5
ზე-ყანასა ზედა 5

სავედრებელი პირველი — შუბლი 7
სავედრებელი მეორე — ტრბი 58
სავედრებელი მესამე — კვართი 73
სავედრებელი მეოთხე — ხიპი . 150
სავედრებელი მეხუთე — მთაწმიდა 303
სავედრებელი მეექვსი — მკლავი . 440
სავედრებელი მეშვიდე — საფეთქლი 524

ბოლობჭე 565

ქვე-ყანასა ზედა 565
ზე-ყანასა ზედა 565
ლექსიკონი 567

რედაქტორი ჭ. თავართქილაძე
მხატვრები: ო. ჭოჩაკიძე, ი. ჩიკვაიძე, ა. სლოვინსკი
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ე. ცვანია
გამომშვები მ. წივწივაძე

გადაეცა წარმოებას 03.04.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.12.87. ხაბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108¹/₃₂. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. უე 01522 პირობითი ნაბეჭდი თაბახი 30,24. პირ. საღ.-გატ. 30,24. საღრიცხ.-საგამომც. თაბახი 27,35. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 882.
ფასი 2 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.